

သတင်း
XIII-2008

მთავარი რედაქტორი ნაირა ბელაშვილი

ნომრის რედაქტორები: ბიორბი ლოპუნიძე, ვასილ კოპახიძე

ნახატი გარეკანზე მანანა კაჭკაჭიშვილისა

ყდის დიზაინი კოტე სულაბერიძის

შინაარსი

იუბილე

გივი მარგველაშვილი — 80.....5

პოეზია, პროზა

ვასუშტი კოტატიშვილი — სონეტები.....9
ჯემალ აჯინაშვილი — სონეტები 14
ნაირა გელაშვილი — „მაგრამ ან გასწი და მიესალმე“ (მოთხრობა)..... 49
შოთა იათაშვილი — ლექსები79
რუსუდან კაიშაური — ლექსები90
მარგარიტ დიურასი — ფრაგმენტები წიგნიდან „მატერიალური ყოფა“98
ნაირა გელაშვილი — ლექსები..... 105
შოთა იათაშვილი — სიცილის ოთახში (მოთხრობა).....122
სოჰრაბ სეფეჰერი — ლექსები.....126
ივან ბუნინი — მოთხრობები.....137
გიორგი ბუნდოვანი — ლექსები148
ირაკლი კაკაბაძე — ლექსები156
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი — შლეგი იოანე (მოთხრობა)..... 165
შუა საუკუნეების არაბული პოეზია.....173
ნაჰაპეტი ქუჩაძე — ჰაირენები178
ჰერმან ჰესე — ზიდჰარტა (რომანი, ნაწილი მეორე).....185
შოთა ბოსტანაშვილი — გაცეცხლებული ლაპარაკი.....227

დრამატურგია

ინგებორგ ბახმანი — სიმრეხის მალაზია (რადიოპიესა).....251

წერილები

როლან ბარტი — რა არის კრიტიკა?.....271
თამარ კოტრიკაძე — „მე ვარ ადამიანი“ (რამდენიმე მოსაზრება
ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე).....275
ლევან ბრეგვაძე — ნობელიანტი თარგმნის ჩეჩნურ თქმულებას289
მერაბ ღალანიაძე — მერაბ მამარდაშვილის ლექციები.....293

რელიგია

ჰინდერ ბილეფელდტი — რელიგიის თავისუფლება საბოლოო კრიტერიუმი?.....299

დამშვიდობება

დევი ფუტკარაძე — აფხაზურის გაკვეთილი (ანა აბრამიშვილი-წვინარია).....307
ნათელა ხუციშვილი.....309
ზაზა კვერცხიშვილი — „შენი კალამი ნაწები
სისხლის გუბეში“ (ზაზა თვარაძე).....326
ზაზა თვარაძე (არქივიდან).....329

შარშან ორი მნიშვნელოვანი იუბილე იყო ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. თუმცა ორივე ამ იუბილემ სრულიად უხმაუროდ ჩაიარა და ქართულ მედიას არ გახსენებია მწერლები — ნაირა გელაშვილი და გივი მარგველაშვილი, რომელთაც დაბადებიდან 60 და 80 წელი შეუსრულდათ. ცნობილი მწერლის, მთარგმნელის, გერმანიისტიის „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელის ნაირა გელაშვილისათვის გვინდოდა ჩვენი ჟურნალის მეშვეობით მაინც მიგველოცა ეს მნიშვნელოვანი თარიღი. შესაბამისი პუბლიკაციაც მოვამზადეთ, მაგრამ თვითონ იუბილარის დაჟინებული მოთხოვნითვე, უხერხულია შენივე ჟურნალიდან ადამიანმა საკუთარი თავის ქება ისმინო, პუბლიკაცია „აფრის“ სტამბაში ჩაშვების წინ ამოვიღეთ.

ასე რომ, დღეს მხოლოდ გივი მარგველაშვილის შესახებ ვაქვეყნებთ პატარა წერილს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას, თუ როგორ აღინიშნა მისი იუბილე ბერლინში, მაგრამ ორივე მწერალს ვულოცავთ იუბილეს და იმედს გამოვთქვამთ, რომ ოდესმე თბილისიც აღნიშნავს ამ მწერალთა ღვაწლს, რომლებიც არასოდეს ეკუთვნოდნენ არც ნომენკლატურასა და არც ხელისუფლების ფავორიტებს.

ბივი მარგველაშვილი — 80

ქართული წარმოშობის გერმანულენოვან მწერალსა და ფილოსოფოსს, ამჟამად ქალაქ ბერლინში მცხოვრებ გივი მარგველაშვილს 80 წელი შეუსრულდა.

ბერლინის გერმანულ-ქართულმა საზოგადოებამ საზეიმოდ აღნიშნა დიდი შემოქმედის იუბილე.

ზეიმს უამრავი გერმანელი და ბერლინში მცხოვრები ქართველი ესწრებოდა.

საღამო მიჰყავდა გერმანელ საზოგადო მოღვაწეს, მომღერალსა და ლიტერატორს — ეკეჰარდტ მაასს.

მოხსენება გივი მარგველაშვილის შემოქმედების შესახებ ნაიკითხა ქართველმა გერმანისტმა ალეკო კარტოზიამ.

შემდეგ კი თავად მწერალი კითხულობდა თავის მცირე ზომის ნაწარმოებებს. და კითხულობდა, როგორც ყოველთვის, საოცარი არტისტული ტემპერამენტით, რაც თბილისშიც და ბერლინშიც ბევრისთვისაა ცნობილი და რამაც ამჯერადაც დარბაზი უსაზღვროდ აღაფრთოვანა.

მწერალმა მიიღო ოფიციალური მილოცვები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის სამსახურიდან, კულტურის სამინისტროდან, ბერლინ-მიტეს ბურგომისტრისგან და ა.შ.

გივი მარგველაშვილს ადრეც მიუღია ოფიციალური პრემიები, ჯილდოები თუ მედლები გერმანიის სხვადასხვა ინსტანციებისგან.

ახლა ვიკითხოთ, რას მიიღებდა საქართველოში, მით უმეტეს, ახლანდელ საქართველოში რომ ეცხოვრა? — რა თქმა უნდა, არაფერს. აქ მისი ახლობლების გარდა, ვერავინ, პირველ რიგში ხელისუფლება, ვერ გაიგებდა 80 წელი შეუსრულდა თუ 70, ათი წიგნი გამოსცა თუ ოცი. დღეს ვიღას ახსოვს მწერალი თუ პოეტი, მხატვარი თუ კინორეჟისორი? არადა, ალბათ ხელისუფლებამაც უნდა იცოდეს და ხალხმაც, რომ საქართველოს დიდი სულიერი დესპანი ჰყავს ევროპაში.

მაგრამ ისევ ბერლინს დავუბრუნდეთ, და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ გივის ბიოგრაფია.

აქ, ამ ქალაქში დაიბადა გივი 1927 წლის 14 დეკემბერს.

მისი მშობლები ქართული საზოგადოების უამრავ მნიშვნელოვან წარმომადგენელთან ერთად 1921 წელს გაექცნენ ბოლშევიკ ოკუპანტებს. მაშინ მათი პირველი შვილი, მარიამი, შვიდი წლისა იყო.

მამა — ტიტე მარგველაშვილი ბერლინის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე გახლდათ, ამავე დროს ბერლინის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. დედამ — მარიამ ხეჩინაშვილმა ემიგრაციაში ცხოვრებას ვედარ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. მაშინ გივი სამი-ოთხი წლის იყო, მისი და ლიზი კი — უკვე 17-ისა ხდებოდა.

ბედისწერის დარტყმები ამით არ დასრულებულა. 1946 წლის თებერვალში, როცა მეორე მსოფლიო ომი უკვე დამთავრდა და გერმანიაში ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო, საქოთა სპეცსამსახურების თანამშრომლებმა, ლავრენტი ბერიას აგენტებმა, მამა-შვილი ტიტე და გივი მარგველაშვილები დასავლეთ ბერლინიდან აღმოსავლეთ ბერლინში გაიტაცეს. 18 წლის გივი ზაქსენჰაუზენის ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკში გამოამწყვდიეს, ტიტე მარგველაშვილი კი თბილისში გადმოაფრინეს და 8 თვიანი პატიმრობის შემდეგ 1946 წლის სექტემბერში დახვრიტეს. წელიწადნახევრის შემდეგ გივიც თბილისში ჩამოიყვანეს, სადაც იგი არავის იცნობდა, და უცნობი მამიდის — თამარ მარგველაშვილის კარს მიაყენეს. მამიდაშვილი ნიკოლოზ ლანდია მეგობრად და მფარველად ექცა გივის, რომელსაც,

როგორც „ხალხის მტრის“ შვილს მუდამ სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები უთვალთვალებდნენ და სიცოცხლეს უმნარებდნენ. უზომოდ ტრავმირებულ ახალგაზრდას სხვაც ბევრი გაუჩნდა თანამგრძობელი და დამცველი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გივი მარგველაშვილი ჯერ უცხო ენათა ინსტიტუტში ასწავლიდა გერმანულსა და ინგლისურს (საერთოდ, იგი შვიდამდე ენას ფლობს), შემდეგ კი ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის ბ-ნ ნიკო ჭავჭავაძის მიწვევით ამავე ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა.

თბილისში შეუდგა გივი მარგველაშვილი წერას. ძირითადად აქ შეიქმნა მისი უზარმაზარი შემოქმედება — რომანები, მოთხრობები, ლექსები, პიესები, ფილოსოფიური თხზულებანი.

მაგრამ საქართველოში მას მხოლოდ ერთი-ორი ფილოსოფიური ნაშრომი გამოუცეს. ერთი პიესა და ორიოდ მინიატურა დაუბეჭდეს. ეგ იყო და ეგ.

ამასობაში დადგა 1990 წელი. საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საზღვარი გაიხსნა. და გივი მარგველაშვილი ისევ თავისი დაბადების, ბავშვობისა და სიყმაწვილის ადგილს — ბერლინს დაუბრუნდა.

მისი რომანები გერმანულადაა დაწერილი, მაგრამ ძირითადად საქართველოს თემატიკას ეხება.

აქ თითქმის ერთბაშად გამოსცეს მისი 6 წიგნი. წელს გერმანიაში გამოვიდა გივი მარგველაშვილის კიდევ ერთი რომანი, რომელმაც აღიარება მოიპოვა.

ქართულად გამოცემულია მისი რომანები: „მუცალი“ (2003.), „კაპიტანი ვაკუში“ (2005.), „ორი პიესა“, მინიატურების კრებული „მე წიგნის გმირი ვარ“ (2006.) და ფილოსოფიურ-ენათმეცნიერულ თხზულებათა ხუთტომეული.

პოეზია, პოეზია

ვასუპტი კოტივივილი

სონეტი

სონეტის სონეტი

სალექსო ფორმებს არა ვცემდი საკადრის პატივს,
ჩემთვის მთავარი იყო ლალი ლექსი ქართული.
აღზნებულ ჭაბუკს არასოდეს მესმოდა მათი,
ვინც იყო ლექსის არტახებში ჩასმით გართული.

მე არ მესმოდა, რუსთველური შაირის მქონეს,
ლექსის ფორმები ევროპიდან რატომ მეთრაქა?
იქიდან, სადაც სონეტების უმაღლეს დონეს
აღწევდა ხოლმე თუნდ შექსპირი, თუნდაც პეტრარკა?!

გამოხდა ხანი და მივხვდი, რომ ვცდებოდი ადრე,
ფორმა გარსია, მთავარია ლექსის შიგანი,
უნდა იცოდე პოეზიის ყამი და ყადრი,
მთელი თავისი სიღრმითა და სიგრძე-სიგანით.

და აი, თრთოლვით გადაგიშლით მე ჩემს სონეტებს
ისე, ვით ძველი ნუმისმატი ნათხარ მონეტებს.

14.10.07.

სიბერის სონეტი

სულმა სხეული გამოფიტა და ტვინიც გახმა,
და უქმად ყოფნაც აღარ არის უკვე ადგილი.
ლეთესთან დგახარ, მაგრამ ქარონს არ უნდა გაღმა
შენი გაყვანა, რადგან ნავში არ აქვს ადგილი.

დრო აღარ მიდის და რატომღაც არც შენ მიდიხარ,
ქვეყნად არავის ენაღვლები, არ ენატრები.
გრძნობ, ზედმეტი ხარ და ყველაფერს ანარიდი ხარ
და ხსოვნის ეკრანს ეცრიცება ბნელი კადრები.

ხვდები, რომ ქვეყნად აღარაფერს არა აქვს აზრი,
რაზე იფიქრო, რა ისურვო ან რა ინატრო?
შენა ხარ მხოლოდ დიოგენეს ფუტურო კასრი,
რომელშიც უკვე დიოგენე აღარ ბინადრობს.

აღარ გაწუხებს აღარცერთი ძველი ჭრილობა
და ეუფლება შენს სულს სრული უსურვილობა.

29.09.07.

ცოდნის სონეტი

ხე ცნობადისა აგვეკრძალა და აღვეკვეთა.
 ადამ და ევამ ჩაიდინეს სასტიკი ცოდვა,
 ალთქმა გატეხეს და მას შემდეგ ადამის ძეთა
 დავინყეთ ფუჭი ბჟუტური და უაზრო ბოდვა.

გავიდა დრო და ვილას ახსოვს ადამ და ევა,
 მაგრამ გულს გვიღრღნის ამ სამყაროს შეცნობის ჭია.
 და ოკრობოკროდ მიკრომაკრო კოსმოსის კვლევას,
 წყლის ნაყვის ნაცვლად, შემეცნების სახელი ჰქვია.

ის პირველქმნილი ცოდვა ისევ ცოდვადვე დარჩა
 და ღვთის კანონი არ შეცვლილა თუნდაც სულ ოდნავ.
 არ ვინანიებთ არაფერს და შენდობაც არ ჩანს,
 რადგან ყველაზე დიდი ცოდვა – ეს არის ცოდნა.

თუ უვიცი ხარ, შენ ხარ კაცის მხოლოდ მოდელი,
 სამაგიეროდ, უმანკო ხარ და უცოდველი.

16.10.07.

ადამის სონეტი

ბუნდად ვიხსენებ სამოთხეს და ჩემს ოჯახს დაშლილს,
 სიბერემ უკვე თავისი ქნა, დაბინდა გონი.
 მახსოვს, რომ ევამ მომანოდა სამოთხის ვაშლი
 და მე, სულელმა, უნებლიედ შევჭამე მგონი.

ის დღე იყო და ის დღე, დახშეს სამოთხის ბჭენი
 და დავრჩი ასე, მხოლოდ ლელვის ფოთლის ამარა.
 ევამ კი არად მიიჩნია სირცხვილი ჩვენი
 და კვლავ შიშველმა იქ, ცაშივე, შეკრა კამარა.

წელან ბაზარში ჩავიარე, არ იყო ტევა,
 და იმდენ ხალხში დავინახე საყასბოს იქით,
 ვაშლს ჰყიდდა ვილაც დედაკაცი, სახელად ევა,
 და წინ ეყენა მამაკაცთა უგრძესი რიგი.

რალაც ეჭვები დამესივნენ, როგორც მგლის ლეკვნი
 და მაშინ ვიგრძენ, რომ მტკიოდა ნაკლული ნეკნი.

14.10.07.

ვეს სონეტი

ადამის ძენო, ყურს ნუ უგდებთ ამ სულელ ადამს,
მისგან ღალატი არაერთხელ მეც მაქვს განცდილი.
კარგად მიირთმევს თვითონ სხვათა მსხალსა თუ ატამს,
ვერ მოინელა ერთი ვაშლი, ჩემგან განვდილი.

თავის მართლებას, კარგად ვგრძნობ, რომ ფუჭად ვუნდები,
რას მემართლება, ან რა უნდა ჩემგან ნეტავი?!
კაცი მინდოდა ძარღვიანი, მთრთოლავ კუნთებით,
არა სამოთხის ნებიერი, მშვიდი, ნეტარი.

ადამს უნდოდა, მხოლოდ თავის ნეკნად ვენახე,
მე კი ქალი ვარ და, ვისაც მსურს, იმას ვევენები,
მე კაცი მინდა მხვნელ-მთესველი და მევენახე,
რომ ღვინობისთვის დამინუროს ძუძუ-მტევნები.

ვისგან ვისაც ვშობ, ადამ, მაინც ერქმევა შენი,
მაინც ყველანი იქნებიან ადამის ძენი.

14.10.07.

ბანშორჯის სონეტი

„Я вас любил“
ა.პუშკინი

ხანძარი ჩაცხრა, ჩაინავლა, უკვე ვარ მშვიდად,
ალარ მალეღვებს ოდინდელი ეჭვების განცდა.
ამიერიდან ველარავინ მომზიდავს მშვილდად,
რადგანაც ქვეყნად ყოველგვარი სამიზნე გამცდა.

ალარ მალეღვებს არაფერი, თავად შენც, რადგან
„არა“-ს ნიშნავდა თურმე შენგან ნათქვამი „დიახ“.
ალარ მალეღვებს, ეს სად ხდება, ერთგან თუ ათგან?
რადგანაც უკვე არ მეგულვი არსების ნიაღ.

თუ წარმოგიდგენ, ალარ იწყებს სული ფორიაქს,
რომ ახლა უკვე სხვა სარეცლის ხარ ნებიერი,
რომ გეუფლება სხვა განცდათა ეიფორია
და ვნებისაგან გიელმდება თვალთა იერი.

ღმერთს ვევედრები, რომ იმედი მაინც მქონდეს მე,
რომ შენ ჩემსავით ჰყვარებოდე ვინმეს ოდესმე!

17.09.07.

ცხოვრების სონეტი

„რამდენი რამ არს ამაქვეყნად, რაც არ მჭირდება“ –
 ბრძანა სოკრატემ და ის იყო მართალი ცამდე.
 რა ჭირად გინდა ტაში, ქება, ხოტბა-დიდება,
 აბა, მიდი და ჩუმი, სადა ცხოვრება სცადე.

იგუთნისდედე, ისახნისე, ან იბართოხე,
 აკეთე საქმე, ნურასოდეს იქნები უქმად.
 სხვისი ქონების მოსახვეჭად ნუ იამბოხებ,
 შეირგე მხოლოდ შენი შრომით ნაშოვნი ლუკმა.

ხანდახან მაინც გადაშალე ზნეობის წიგნი,
 ფურცლე, იკითხე წინაპართა ძირძველი სიბრძნე,
 ჩაწიკნიკებულ ასოთა თუ სტრიქონთა შიგნით,
 ითვალისწინე, გაიაზრე ის, რაიც იგრძნე.

მადლის თესვა და მაცთუნებელ ეშმათ რიდება,
 დე, იყოს შენთვის ერთადერთი ჭეშმარიტება.

16.10.07.

სიკვდილის სონეტი

სახათაბალოდ თავს რატომ ვიხდით?!
 რატომ გვალეღვებს ეს ისტორია?!
 სიცოცხლის ვალებს დღეს რატომ ვიხდით?!
 სიკვდილის ტორი – ეს ის ტორია,

რომელიც დაგვცემს ადრე თუ გვიან
 დიდსა თუ მცირეს, ყველას ერთიან.
 სიცოცხლის წყლები დღეს რასაც ჰქვია,
 ყველანი ლეთეს ტალღებს ერთვიან.

არქეოლოგნო, თხოვნა მაქვს ერთი:
 მიწა, რომელიც მერგო საძვალედ,
 არ გადათხაროთ, ინამეთ ღმერთი,
 იქ მაინც მშვიდი ძილი მაცალეთ!

შემაცნობინეთ ბნელი ჰადესი,
 სააქაოზე უდიადესი.

21.09.07.

საავადმყოფოს სონეტი

შენ აქ სასწრაფო დახმარების დიდი მანქანით
შემოგაბრძანეს ციმციმ, ციმციმ ვინრო საკაცით,
და შესასვლელში ჩოჩქოლით და ქაქან-ქაქანით
არ შემოუშვეს ცოლი, შვილი, და, თუ ძმაკაცი.

წევხარ შიშველი, ექიმები მრავლად არიან,
უნდათ, სიცოცხლით შეგმოსონ და არ ემოსები,
ნაზი ექთანის გოგონები თავს დაგხარიან
ისე, ვით თეთრი, ფრთაფარფატა ანგელოსები.

გჩხვლიტეს ნემსებით, გაგიზომეს პულსი და წნევა,
გადააქციეს ყველაფერი ეს სულ მიღებად.
და შენ რომ ხედავ მათი ტანის უნაზეს რხევას,
გონს მოდიხარ და თითქოს რაღაც გესურვილება.

ხვდები, რომ თუკი არ დაგძალავს მარადი ძილი,
მედდებს, და არა მედიცინას, მიუძღვით წვლილი.

29.09.07.

ჯემალ აჯიაუვილი

სონეტები

* * *

ყრმობის ხილვებო, სამუდამოდ ჩემთან დარჩებით:
ნომბრის შუქი დასთამაშებს ბზებს და ჩინარებს
და მზე ხალისობს — შემოდგომის მზე მომცინარე —
ოდიშის ცაზე განფენილი დიბა-ფარჩებით.

ისვენებს ხელი — დამაშვრალი ხელი გამჩენის,
ჯარგვლის უკან კი, მიმწუხრისას, მინდვრის წინარე
ამღერებს ქარი ჩალისღერებს და ოწინარებს
იმ ძველკოლხური რაფსოდით და თუთარჩელით.

მალლა მეჯლისი გაუმართავთ სოფლის მნათობებს
და ორლობეში გულიანად მასლაათობენ
ვილაც უცნობი მალაკანი და კათოლიკე.

მთვარე, დაღლილი, მოგონებებს ეამბორება,
შენ კი — სხვაგან ქრის მეოცნებე შენი გონება, —
სხვა სივრცეებთან მუსაიფობ, ჩემო თოლიგე! . .

* * *

რამ გამახსენა დაკარგული ჩემი ბავშვობა —
ეზო და ბაღია, ბაღის უკან სუნი საძროხის,
ვიგონებ ალღუმს, მოწოდებებს ცრუს და საძრახისს
და ისევ მზარავს თვალთმაქცობის ეს უხამსობა.

კოლხურმა ხვატმა აგვისტოში სულ მთლად დამცოფა,
მაგრამ მის კვალზე, სულო ჩემო, დღემდე ჩაგძახის
სუნთქვა თუთების — დასიცხულის და მოცახცახის —
და თავგზას გიბნევს ონავარი ბავშვის ანცობა.

სალამი დღეებს, რომლის ხსოვნა თავს არ გვანებებს, —
დათმობილ ომებს, ხელჩაქნეულ აღფრთოვანებებს;
ვუსმენ მწყემსის ხმას, მინდვრებიდან ქარის მონასტვენს,

და წვიმის შიში ბავშვადქცეულს მაკრთობს ნაკლებად,
ისევ ავყურებ მაღლობისკენ გზას სამონასტრეს
და ნაცნობ ბილიკს მივუყვები მარწყვის საკრეფად. . .

* * *

შუქმოიეფე მთვარე ჩაცხრა, მზეც გაიეფდა,
ქარს შეენივთა ობლის სუნთქვა, სუნთქვა მაძღართა,
კვლავ გაიცხადა თებერვალმა სილბო მთიებთა
და აჩქამებულ ორლობეში თოვლი აწყალდა.

და ცა, რომელიც უმზეობით გვიგერიებდა,
ამ გაზაფხულზე უცაბედად ისე გაცხარდა,
რომ კვირიკობა მოენატრათ კვირკველებთან —
ჯუბუ შლეგთან და შერეკილთან, ჭკუით სანყალთან.

მაღე დატოვებს კვირიკობაც ნაცნობ კოინდარს
და შემოდგომა მერამდენე კაბას მოირთავს;
ვიბრუნებ ხილვად, სიცხადეში რაც მაქვს დაცდილი,

ვით ძვირფას ხსოვნას — ნარსულიდან გადმონაბარებს,
თითქოს სიზმრიდან გადმოსულა დედის აჩრდილი
და უთენია ძილბურანში საბანს მაფარებს. . .

* * *

შენ მშველი შენი სამარიდან, ძვირფასო დედი:
როცა ავსული მომინდომებს ხელის ჩავლებას
და ცრემლის გუბე იტალღება ბროლის ჭავლებად, —
შენ მშველი შენი სამარიდან, ძვირფასო დედი!

გულს მიღრღნის ბევრი აბეზარი, ფლიდი და ყბედი,
მაგრამ ჩაცხრება ყურეებში ქარი თავნება
და შენი რიდით უხამსობა ჩაინავლება, —
შენ მშველი შენი სამარიდან, ძვირფასო დედი!

რომც შემძრას ხისტი სინამდვილის მსახვრალმა ხელმა,
დამიხსნის შენი ქალურობის ბრწყინვა და ელვა;
უთქმელად დამაქვს სევდიანი შენი ჩვენება

და თუ დავკარგე სიყვარულის გრძნება და ყადრი, —
მნამს — გზააბნეულს მეგზურივით შემეშველება
დედაშვილობის ნარუვალე ხიბლი და მადლი. . .

* * *

პირველი ლექსი — სულხან-საბა, დავით-გარეჯი, —
ვისხენებ იმ წლებს, რუსთაველის მზეს და მთოვარეს,
ქალებს, რომლებმაც ოცნებებით აღმაფრთოვანეს
და გიჟურ ქროლვას დაუსართეს ცეცხლის თარეში.

დროვ წარმავალო, წარსაცემი უკვე წარეცი,
და, მაინც, ზოგჯერ — სიჩუმეში, სევდით მოვანეს —
შევეყურებ შენს ქოხს, შვილმოკლულს ძია ოვანეს,
და ნუგეშს ვეძებ უნუგეშო შენს სიმწარეში.

ვფურცლავ ძველ წიგნებს: დონ-კიხოტი, ბიჭი გავროში,
ბობოქრობს მავრი ვენეციის ბნელ სამავროში;
ათონს დაჰყურებს გაბრიელი — დინჯი სალოსი,

მიდის ჟამი და სამიზნეებს იღებს მიზანში,
მზეს ეფიცება შემოდგომის დღე შესალოცი
და ჭალა-ჭალა ეფარება თვალს დილიჟანსი. . .

* * *

ფიქრში, ძილის წინ, წარმოსახვა დაგიტრიალდა,
გახსოვს სასახლე, სასახლეში სანთლის ჭიატი,
ზღვა და ზღვისპირი, ლაზარეთი, ძველი იალტა,
თათრის ბაზარი — მუხამბაზი და ბაიათი.

გახსოვს სხვა ხილვაც — ნელი ცეცხლი, ცეცხლი კიანთა,
შენ და სოსელი, ბუხრისპირი, თაფლის ხმიადი,
გულში მზე გენთოთ გორგასლიან-დავითიანთა
და სულს იწრთობდით იაკობის აი-იათი.

კიდევ რა გახსოვს: თევზაობდა ორი მეთევზე
და მთვარის ჩრდილი თიმთიმებდა მინარეთებზე;
დრო კი სულ ცდილობს, ყველაფერი მოსპოს, მოცელოს

და ჰა — ეს ხილვაც ჩაამთავრა ბოლო ქვეთავთან:
ყრმის სახვევები მორღვეოდა საწყალ სოსელოს
და მის ადგილზე გველეშაპის გესლი წვეთავდა. . .

* * *

დუმდა დრო-ჟამი, სიჩუმეში თვლემდნენ ბორცვები,
 ცრემლი რკალავდა წარმავლობის პირქუშ კალენდარს
 და სევდა იყო უნაპირო, ყოვლისმომცველი
 და სოფლის გაღმა შემცივნული მზე კანკალებდა.

შემოდოდა სალოცავში სულ სხვა მლოცველი,
 ზარსაც სხვა მნათე არისხებდა საყდრის კარებთან
 და შემოდგომას შემოჰქონდა ხმა ფოთოლცვენის
 და ხმასთან ერთად კანტიკუნტად ფერსაც გარევედა.

და ჟღარუნობდა რალაც ჯართი — გროვა ლითონთა
 და ქუჩა-ქუჩა ნოემბერი დათაღლითობდა;
 მოვსინჯე ღვინო — მჟავე იყო და უმწუთხესი,

ქუხდა ალღუმი მოთუხთუხე სადღეგრძელოთა,
 ობლის კვერი კი მიმჯდარიყო თავის კუთხეში
 და მბჟუტავ ცეცხლზე სიბნელეში ჩუმად ცხვებოდა. . .

* * *

მახსოვს ზღვისპირი — ძველი გაგრა და გუდაუთა:
 ქარმა — უჟმურმა მასპინძელმა — ცა გადაცრიცა,
 შემცივნულ ხეებს დააჭდია ფერი ნაცრისა
 და დამსვენებლებს წასასვლელად ვადა დაუთქვა.

ჩაირონინა ხეივანში მოყმემ ჩაუქმა,
 სიგარის ნამწვი ჩასპანდურად ხელში ჩასრისა,
 ჯგუფს გამოეყო საკურორტო იმპერატრიცა
 და კარისკაცებს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

იქ კი მორიგდნენ მასპინძელი და მაჭანკალი,
 მხნედ აჩხრიალდა მოვერცხლილი დანა-ჩანგალი,
 გაეხმინა ქარაშოტი პირქუშ თებერვალს,

ბნელ კრეისერთან გაიელვა სამართებელმა,
 და ისევ ხილვა — უჩვეულო ხილვა მეასე —
 და ისევ ჭორი იასონზე და მედეაზე. . .

* * *

კვლავ შეატოკა ეზო-კარი მარტის ხმაურმა,
სწუხს ონინარი — გატანჯული წყლით და სიცივიტ,
რბის სიყმანვილე დაოთხილი ურა კვიცივით,
თიმთიმებს მთვარე — ურმისთვალი. . . რამ გააურმა?

თქვენმა ხილვამ კი, ვარსკვლავებო, ისევ მაურვა,
ვიდრე დამცქერთ და კანტიკუნტად კიდევ მიცინით, —
აქ ექიმბაშმა ჯადოსნური სტრეპტომიცივით
კვლავ შეაზავა დაორთქლილი ჩემი ყაურმა.

ბნელ განჯინასთან დაჩხაკუნობს ძველი ფანდური —
ცოტა ყალბი და რამდენადმე სიაბანდური;
გარეთ ქარი ქრის, გათოშილა ხე და ხეხილი,

მზის ანდამატი უილაჯოდ ანდამატურობს,
ჭერს მოსწყვეტია ანგელოსი ფრთამოტეხილი
და ფარლალა სარდაფებში ჩუმად ფათურობს. . .

* * *

დამლალა ჩემმა უსაშველო მარტოსულობამ:
მომბეზრდა ფუყე შემართება, ცეცხლის შენთება,
ძველ ნასახლარზე დავინწყების კოშკი შენდება, —
დამლალა ჩემმა უსაშველო მარტოსულობამ.

მიბღვერს სიბერე — თეთრი დათვი, — თათებს ვულოკავ,
მოვა ბავშვობა — ნაცნობ ეზოდ, ნაცნობ ჩელტებად,
მიცნობს წამიერ, თვალებს დახრის და შეჩერდება, —
დამლალა ჩემმა უსასრულო მარტოსულობამ. . .

გზას გასცქერს მწირი — უპოვარი, ღარიბ-ღატაკი,
მიმწუხრის კართან გადმოდგება ვილაც ქადაგი
და წარსულ დღეებს მოგონებით მოაფერვალებს.

მადლობა უფალს, შემოდგომას მაინც ველირსე:
უჩუმრად ვდგავარ განშორების უღელტეხილზე
და კრთომით გავცქერ დათოვლილი მთების მწვერვალებს. . .

* * *

მახსოვს ის ლხინი, — ტოლუმბაში სახენაბეჟი,
დრო, რომ იტყვიან, ძმაბიჭებში ღდინზე ვატარე,
ლადაობითაც გულიანად წავილადავე, —
ღმერთების ნადიმს შევესწარი სოფლის კაფეში.

ნამი წამს სდევდა — სწრაფზე სწრაფი და უსწრაფესი,
წრე იკვრებოდა, — სადაც ბოლო, იქვე სათავე,
ერთურთს ერწყმოდა სიდიადე და სისადავე
და მალლა-მალლა ადიოდა ჩვენი ტრაპეზი.

პურს მიეტანა დახლიდარი, ქერქი მილოღნა,
ვიღაც ამღერდა — ოდელია, დელა-რანუნი, —
თუმცა ვერაფრით გაგვახარა დღის ეპილოგმა, —

მზის ჩასვლა იყო ყოვლად მშვიდი და ბანალური:
ოღონდ ეს კია — რაღაც გაკრთა, თითქოს იელვა,
და ცას გახედეს სოფლის გლახამ და არქიელმა. . .

* * *

ღღე მკრთალდებოდა, მთავრდებოდა სიცხის ღრეობა,
ინვოდა ჭალა დახანძრული: — ჭინკებს არული!
მთებს ამძიმებდა წარმავლობის ყრუ სინანული
და ჩარხი, ბედთან მორკინალი, ცას ერღვეოდა.

შენ კვლავ გალობდი სულთათანას, მწუხრის მზეო და
ქარს გადმოჰქონდა შორეული ეტლის თქარუნი
და მთების ჩრდილში გამოკრთოდა ლანდი ფარული —
ჩუმი და მშვიდი, შელამებას როგორც ჩვეოდა.

ფიჩხს აგროვებდა ეთერქალი ობლის კერისთვის
და ფოთოლ-ფოთოლ ცრიატებდა ცა ენკენისთვის;
სოფლის ბერდელა მიმჯდარიყო ძირძველ თუთებთან,

თავს ფოთოლცვენის ანგელოზი ადგა დუმილით
და საფუტკრეში შემოდგომა დაფუთფუთებდა
და მთვარიანში შრიალებდა აბრეშუმით. . .

* * *

ვამკვრივებ სილბოს, ვამკვრივებულს ვკვერაჲ და ვკვერაჲ
და დღემდე მიჩანს ძეშეცთომილს ყოვლის გვირგვინად
ცა, რომელზედაც შესაქმისას გადაიგრგვინა
უფლის ბაგიდან ამომსკდარმა პირველმა ბგერამ.

ადამის ძეო, გულქვაობის ფუძეჲ და კერაჲ,
სიო რომ ქროდა, ცელქი სიო — მხნე და ქირქილა, —
გზად ანგელოსის სუნთქვასავით გადაირბინა
და წყალთა წიაღ ჩაიკარგა ჩქერალ და ჩქერალ.

და დღემდე ჩასდევს სიღრმეებში იმ ბნელ ჩასახვევს
და უხმოდ იტანს გამუდმებულ ამ გარდასახვევს...
ღმერთო მაღალო, არ იქნა და აღარ განელდა

რისხვა, რომლითაც პირვანდელი კარი ჩარაზე,
ამძიმებს მიწას უძრობა ცის საქანელთა
და ტოკავს სული ცოდვა-მადლის ძველ ქანქარაზე...

აღაჲი

*„და გამოაძევა ღმერთმა იგი ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა,
რომლისგანაც შექმნა. და შეიცნო ადამმა ევა. . .“*

ბიბლია

ეს მე ვარ — ადამ: ვნებით მთვრალი, მთვრალი ევათი,
ხელში მიჭირავს მწიფე ვაშლი, ვაშლი სარტოვე
და მომაქვს წლები — მძიმე ჯვარი და სიმარტოვე —
წლები, რომლებსაც სამოთხეში უქმად ვწელავდი.

წინ მიდევს ტევრი — გაუვალი, გაულწევადი,
ძირს რომ დამეც და მარტოობის ტორით დამტორე, —
ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ დამტოვე,
რისთვის დამაჭდე სევდიანი ფიქრის სევადი.

ნეტავ, ჩაგეხშო ჩემი ტანი და ჩაგეკლიტა,
ცოდვა არ გეშვა თავგასული ჩემი ნეკნიდან;
გაღმით ცა დამცქერს — მოხატული შენი თითებით,

სიკვდილის ბინდით ამთავითვე დანაბინდი ვარ
და ვილტვი, ვილტვი განკიცხულის გაბედითებით,
მივდივარ, მაგრამ, ღმერთო ჩემო, საით მივდივარ?!

* * *

კვლავ შემონერეს შემოგარე მწუხრის ჩრდილებით
მექორწინემ და მესაფლავემ — მეფემ და გლახამ,
რაც წასულია, წასულია დანამდვილებით, —
არ დაბრუნდება არასოდეს, აღარ და აღარ.

მიმქრალა მთვარე, მიდრეკილა სხივთა მიღევით,
შენც მიღეულხარ, პაემანი გასრულდა რახან
და სანუთროდან მოწეული ნანადირევით
ყოფნა-არყოფნის გასაყართან დარცხვენით დგახარ.

ნესს განგინესებს სადაცაა შენი მოწესე
და კიდევ ერთხელ გაგისხენებს მეორმოცეზე;
მეუფობს სუსხი, — გაზაფხული სითბოს შეურევს, —

მაგრამ გზის პირას ნოემბერი მაინც ქირქილებს,
ცა კი დაჰყურებს განბილებულ ათასწლეულებს
და საფლავებთან მიმოზნეულ დაფნის გვირგვინებს...

აბრაამის მსხვერპლშენიშვა

„და აღდგა აბრაჰამ განთიად. . .“
ბიბლია, ნიგნი შესაქმისა

ის გრძნობდა თქვენს ძალს, დილის ნამო, დილის სუსხო და —
მისდევდა ცის ხმას, მიდიოდა. . . ხმოზდა ლაქაში
და ღვთიურ ხმათა მარადიულ ამ მარაქაში
რწმენა და შიში ვარსკვლავივით წინ მიუძლოდა.

შორით მოჩანდა შავი ურდო, ურდო უცხოთა,
მომავლის ბჭესთან ავბედითად ყეფდა ნაგაზი,
სხვა დანარჩენი — ხვალის ქარგა თუ ჩანახაზი
და ხვალის ფიქრი — მარტოოდენ ღმერთმა უწყოდა.

უწყოდა ღმერთმა, — იალეზდა მაყვლის ტევრი და
ჯვარცმას და ტკივილს მომავლიდან ვერ განდევნიდა,
ვერც იმედს, — ბანგო სოფლისაო, სოფლის თრიაქო! —

ღრუბლებს ახედა პატრიარქმა უცხო ბექიდან:
ფიქრს მისცემოდა ზეციური საპატრიარქო
და ცისკიდურზე ანგელოსის ცრემლი ეკიდა...

მელქიდეაქის სიზმარი

რად ბორგავს ეს ხმა: სამყაროზე დასარისხებელ
ზარებს რეკვენ და — ერთმანეთზე მინაციები —
ქვესკნელის კარებს ეხეთქება ცა და ციერი
და სფეროები უკუნიდან ძრწოლვით გვიცქერენ.

და ჰა, კვლავ ვხედავ ძველთუძველეს თავდავინყებებს:
სისხლის მორევში ილანძება თეთრი მთიები,
მზეს ეხლებიან სისხლიანი დინასტიები
და როკაპები სასიკვდილო როკვას იწყებენ.

დაბინდულ ცაზე გაბრწყინდება ოქროს ფორაჯი,
გამოვა მღვდელი ძონეულის ანაფორაში
და კვლავ მიუშვებს ცხენოსანი შავ მოსართავეს.

რაიც მიზეზი, თავო ჩემო, იგივე შედეგი:
ნანგრევებს დასცქერს დაღვრემილი მელქიდეეკი
და ცისკიდურზე ვარსკვლავები აღაპს მართავენ...

* * *

*„... და აღიმსთო მოსე განთიად...“
ბიბლია, წიგნი გამოსვლათა*

დუმდნენ მოგვები, წინამძღვარი დულდა ამაოდ,
ცით ამეთვისტო ეღვრებოდა ოქროს ტიარებს
და მზე ლუოდა — ეგვიპტური მზე სატიალე
ქარის და ქარვის სათამაშოდ და საქანაოდ.

ღმერთს არ ეძინა, — ღმერთის იყო მზეც და მარაოც,
რომ საჩრდილობლით დაეჯაბნა სიცხის სიალე
და, როგორც ბრძანებს გულმართალი მემატიანე,
სიცხე-სიგრილით აჯერებდა პირქუმ ფარაონს. . .

და ჰა, აღიმსთო წინამძღვარი, სერზე აღვიდა,
გზა წარმოსახა სახვალთა წარმოსახვიდან
და წარმავალ დღეს წამიერად მადლი მიაგო.

მერე წარდგა და უდაბნოსკენ ხალხი წალალა;
ცა კი ყუჩობდა — წარმართული ცა ფარლალალა —
ჯერაც უფორმო, უპირქუბო და უნიალო...

ქველ იაფოში

*„და ჩავიდა იონა იაფოში, მონახა ხომალდი,
ჩაჯდა შიგ და გაემგზავრა თარშიშისაკენ...“
ბიბლია*

მზე თავის სხივებს ამჯერადაც თმობდა იოლად
და ტალღა, ტალღა — უძლეველი გარდანქემანი —
დაბინდულ ნაპირს აწყდებოდა, როგორც ვეშაპი,
და მუცლადღების მოლოდინში ძრწოდა იონა.

მოჩანდა მთვარე — გაცრეცილი ცის აფიორა —
მზესთან სარეცელგანაყოფი და ნაეშმარი,
მინდვრის გადაღმა უხალისოდ რეკდა ეჟვანი
და ზღვისპირ ნისლი ქანაობდა კვამლის ფიორად.

და იქვე — თითქოს გართობისთვის, თითქოს ფლირტისთვის —
ისმოდა უცხო მელოდია ბრმა ფლეიტისტის;
ცაზე კი, ცაზე — საიდანაც მრავალსიტყვიან

წვიმებს და ქარებს გაზაფხული სუნთქვას უნელებს, —
იდგა ვილაც და სიჩუმეში, როგორც იტყვიან,
ვარსკვლავთა შორის განკარგავდა განკარგულებებს...

* * *

მზე მიიდრიკა, — თანადგომას ვილა გამინევს,
როცა მიწას და მიწის ნაყოფს — თხილს და არაქისს —
ჰკრებს გულქვაობა უხსოვარი ძვალშესალაგის
და ყოველ სულდგმულს დაუნდობლად სპობს და ამინებს.

და შესამუსრად განწესებულ მხრებს და ლავინებს,
ტუჩებს, კბილებს და ათას რამეს, რაც თქმად არა ღირს,
დრო სამტეხლოსთან დაახვედრებს ქვას და ძალაყინს
და თავის წილხვედრს სასიკვდილოდ მიუთავისებს.

ჩაქრება ფერი, განელდება ათასფერულიც
და სიმარტოვე შეაჭირვებს მარტის ქერუბიმს;
მაგრამ კვლავ ჰყვავის უფსკრულებთან ძველი პირიმზე,

მზესაც, როგორც ჩანს, სარბიელი მისცა უკუნმა
და ბიბლიური სიყვარულით გამთბარ ბილიკზე
ანგელოზები მიმოდინან ნაღმა-უკულმა...

იერემიას ბოღება

„ბაბილონის მდინარეებთან დავსხედით და ვტიროდით...“
ფსალმუნი 137

უსაზღვრო იყო ჩვენი ტანჯვა, უსაშველო და,
გალავნის ჩრდილში — სისხლიანი გზებით მარები —
ვიდოდნენ დღენი უჩვეულო მოიარებით
და წმინდა ქალაქს ანგელოსის ცრემლი შვენოდა.

გვზარავდა ზარი იავარქმნილ სამლოცველოთა,
ჭექდა ბალთაზარ — აღრეული და ნამთვრალევი,
ძენნათა შორის ქანაობდნენ ჩვენი ქნარები
და მთვარის ჩრდილი დაგვცქეროდა ღრუბლის წვეროდან.

ღმერთო, ჩვენს სამწყსოს სასიკვდილოდ ნულა დარისხავ,
კვლავ გვაჯებით — დაგვიხსენი მოსისხარისგან:
რამდენჯერ უნდა გადაუდგეს საღვთო სამართალს,

რამდენი მსჯავრი უმოწყალოდ გამოგვიტანოს,
რომ ხელებიდან უსუსური ბალღი აგვართვას
და გამეტებით შეახეთქოს კლდეს და პიტალოს...

* * *

მზეო, გაკრთი და წამიერად გადაიელვე,
გამწარდა დღენი სიონისა, როგორც კაპარი,
და ცეცხლის ენა — იქედნურად ნაორკაპალი —
ქარებს მოსწყდა და ამეტყველდა ქარის მიერვე.

და შენც, ბაგეო სიკვდილისავ, ისევ იენე,
გმინვით მოჯარდნენ სამარხებთან მამა-პაპანი:
ვის შერჩა დავლად სიჭაბუკის ტკბილი ზღაპარი,
სად ჩაქრა, სადა, ისრაელის სიმშვენიერე!

აპრილის დღეებს ტირისდენით ნულა მონისლავ, —
ღმერთო, დაგვიხსენ სისხლისმსმელი ბაბილონისგან!..
კვლავ ტირის, ტირის ღამეებში შავი კუნელი

და ვხედავ ჟამთა წიაღიდან: ბნელ და შფოთიან
გზებს მოარღვევენ სისხლიანი საუკუნენი
და წარსულიდან მომავლისკენ ზათქით მოდიან...

* * *

თითქოს დავწყნარდით, ყველაფერი წარსულს დაბრალდა,
წვიმამ ინვიმა ათასწლოებით, ცვარმაც იცვარა,
არადა, დღემდე, კაცმა რომ თქვას, რა შეიცვალა? —
სულს ისევ ზაფრავს შელამება, როგორც ზაფრავდა.

ისევ მიჯრილა ნასაყდრალთან რიგი საფლავთა,
ძველი წინწარიც ისევ მწვანობს იმ ძველ წინწნარად, —
ვისთვის იღვანა სოლომონმა, რისთვის ინვალა,
მაინც თუ დაობს საბოთი მამა აბრამთან?

ცაზე ვარსკვლავი ბეთლემისა ისევ კიაფობს
და ისევ ებრძვის ანგელოსი საწყალ იაკობს;
ისევ ის ტყეა, იგივეა ხე და ხეხილი,

იგივე ქარი სძრავს ქანაანთან წარღვნის კიდობანს,
გამოდის ნოე კარვებიდან მკერდგაღელილი
და, ნასმურევზე, უთენია სადღაც მიტოპავს...

* * *

*„ასე ამბობს კიროს, სპარსეთის მეფე: ქვეყნიერების ყველა სამეფო მე მომცა
უფალმა, ცათა ღმერთმა...“*

ბიბლია, წიგნი ეზრასი

ცას შეაჩერდა დაღვრემილი ასარგადონი, —
მზის მაყრიონი თანისთანად ბნელში ჩალაგდა, —
სპა, ნაომარი, მიაყენა მყუდრო ჭალაკთან
და ოცნებებში ჩაიძირა დიდი ბატონი.

ბრუნავდა ხომლი, — ვარსკვლავებთან მასლაათობით
დაღლილი მთვარე გაკრთებოდა ალაგ-ალაგ და,
როცა მარიხი ხელმეორედ ალაპარაკდა,
ერთ კილოკავზე ამეტყველდა ყველა მნათობი:

— გარდავლენ დღენი დიდებისა, ო, ასარგადონ,
რომ შენს მეფობას სამეუფო ბრწყინვა წარხადონ,
დაცხრება ხმანი მსაჯულთანი, სჯანი ქართანი,

კვლავ გაცუდდება მცდელობანი საჯილდაო ქვის,
წამოვა კიროს — საბოთის მთავარსარდალი
და ანგელოსი სააღლუმოდ ქუჩებს დაუგვის...

* * *

ქარი, ასე ვთქვათ, ათამაშდა თავის გემოზე
და მიმქრალ დღეებს მიადევნა მიჯნათა მიღმა
ჭალა, რომელიც, შემოქმედო, მწვანით შემოსე
და შენივ ნებით სიყვითლეში მიჭკნა და მიხმა.

მზეს შეაცივდა განთიადი ცვრიან მდელოზე,
და ხსოვნის წიაღ ნარიტანა დღეების რიგმა
ტანჯულ სახეზე შეყინული სიანგელოზე
და უსიცოცხლო კიდურებზე დაკრული სტიგმა.

ღმერთო მაღალო, — გაურჩებას ვბედავ და ვრისკავ, —
ხმიანებს ცრემლი, მიპასუხე, — რატომ და რისგან!
აღბათ, ამ ხმებშიც ცნაურდება სხვა ალიანსი

და ამალღებულ სამრეკლოზე, ნისლიან სერთან —
ცის საიდუმლო მანუსკრიპტი კრთის მთვარიანში
და დაბადება იკითხება სიკვდილთან ერთად. . .

შერიგება

ციკლიდან: „აბიათარის ხილვები“

კვლავ გრძელდებოდა სივრცეებში ჩარხის ტრიალი —
დრტვინვა ტომთა და ნათესავთა, დრტვინვა სახელთა, —
სამრეკლოს ჩრდილში ისრაელთან ჯდა ქრისტიანი
და ისტორიას საჭოჭმანო გვერდებს ახევდა.

ქარს კი ართობდა მომაკვდავი ნისლის ხრიალი,
და სიყვარულის სასიკვდილო ფიცარნაგებთან
სულს იოხებდა ანგელოსი პირსისხლიანი
და გაშიშვლებულ ქარქაშებში ხანჯლებს აგებდა.

და ქარწყლდებოდა — გულმონყალე ღვთის გარიგებით —
ჯვარცმა და სისხლი, მსხვერპლშენირვა და ტარიგები;
სულში კი მაინც გრძელდებოდა ძველი დულილი,

ან შვილმკვდარ დედას შერიგება რაში უღირდა? —
და ზესკნელიდან გადმომსკდარი ელვა-ქუხილი
კვლავ ხმიანებდა გარდამოხსნის უთქმელ ნუხილთან. . .

* * *

მზე მკრთალდებოდა, იცლებოდა ღვინის კათხები,
 მზეს გასტიროდა შემოდგომის ნაშუადღევნი,
 ცა მოცრიატე ქანაობდა უცხო ტაფობთან
 და იცლებოდა, იცლებოდა ღვინის კათხები.

გმინავდა სისხლი, ყრმათა სისხლი — ომში ნათხევი
 და ისევ ომზე ოცნებობდა ბრბო ჭკუათხელი,
 მზე მკრთალდებოდა, იცლებოდა ღვინის კათხები,
 ცას გასტიროდა შემოდგომის ნაშუადღევნი.

ბნელ გალავანთან მომდგარიყო მოდგმა უბირთა
 და შავი ტბორი თუხთუხებდა მკვდარ ქერუბიმთან;
 კვლავ თარეშობდა არენაზე ომის გენია,

მზე იცლებოდა, იცლებოდა ღვინის კათხებიც
 და ხელმეორედ იწყებოდა ეს მისტერია
 კვდომის და შობის, ისევ კვდომის და მუცლადღების. . .

* * *

ქარს გზააბნეულს ფლატეებზე ფეხი დაუცდა,
 ბნელ საწიერებს შეენივთა გუნდი ნათელთა. . .
 ბრმა მუსიკოსი მიმჯდარიყო სანტა კლაუსთან
 და ფერად ბგერებს სინათლეში აფარფატებდა.

გვიტევდა ქორი, ავძახოდით ჰაუ-ჰაუს და
 სისხლის ნატბორი თუხთუხებდა დახშულ სადენტან
 და დიდებული დინასტია ნეიჰაუზთა
 მკვდარ კლავიშებზე გაზაფხულის ჰანგებს ბადებდა.

ისადგურებდა სიყვარული მთაში, მდელოში, —
 ყოფნა-არყოფნის შესაყართან ჯდა ანგელოსი
 და წუთისოფლის რაობაზე ბჭობდა ქარონთან.

დრო კვლავ ლამობდა გარდასულის დამახსოვრებას,
 ცა კი ჩვეულად წარმართავდა კაცთა ცხოვრებას
 და მღვიმეებთან ბეთლემელი მწყემსი გალობდა. . .

ოსტატი და მარბარიტა

ლიუბიმოვი, ტაგანკის თეატრი

იქ, სადაც ნათელს ბნელი სარდლობს და სარანგია,
იდგა ეშმა და ხატის თვალნინ ხალხს დაასმენდა,
უფლის ჭიშკართან ღავლავებდა ვილაც ავყია
და შხამის მარცვლებს აზავებდა საღვთო სასმელთან.

დახშულ კარებთან დაღვრემილი იჯდა ავგია,
ეზარებოდა დამტვერილი თავლის განმენდა,
მაგრამ სხვა ნათელს ასხივებდა სახლი თავლია
და შემოდგომას გაზაფხულის კაბას აცმევდა.

და გრძელდებოდა სამსხვერპლოსთან მრევლის განგაში, —
ახალ სპექტაკლებს ამზადებდნენ ძველ ტაგანკაში;
ტროის კარებთან გროვდებოდა სპა ნათურქალი,

უცხო ბგერები იღვრებოდა უფლის ორღნიდან,
წითელ კუთხეში მიმჯდარიყო მთვრალი დურგალი
და ხვალინდელი ჯვარცმისათვის ფიცრებს ჩორკნიდა. . .

* * *

ცის ეპისტოლე უთენია მიუტანეს და
მიჰგვარეს მზე და სილამაზე — და თავისთავად —
ცისკრის ნათელმა სასოება ათანისთანა
და დასიცხული ტრამალები ცვარმა დანესტა.

უცხო მეგზურმა ჩაიარა იორდანესთან, —
გამოკრთა ქალი თვალციმციმა და ალვისტანა
და ხმა, იესო სიყვარულზე ბჭობდა ვისთანაც,
ჩაიღია და სინათლეში ჩაღღვა თანისთან.

ღუოდა ოქრო — განთიადის ოქრო ხალასი,
მზე ფუთფუთებდა პიტიახშის თავისქალაში;
დრო მიდიოდა ოდინდელი წესით, ყაიდით,

ბედითი ჩრდილი ქანაობდა ძველ მუზარადთან,
წვეთავდა წყალი აბეზარი სიმუყაითით
და წარმავლობა ათასწლოვან ლოდებს ბზარავდა. . .

* * *

ცას შეაჩერდა უიმედოდ ობლის გამდელი,
 ბნელ სანიერებს უჩვეულო სუსხი მოედო. . .
 ჯერაც ციმციმებს მღვიმეებში შენი სანთელი,
 ჩვენო ცრემლო და სიხარულო, ჩვენო პოეტო!

მზისკენ ილტვი და ოცნებებში ღამის გამთევი
 ყრუ სანახებში უთავბოლოდ მიეთმოეთობ,
 მაგრამ გულს გიკლავს გაუვალი ეკალ-ბარდები
 და სისხლიანი მოედანიც დღემდე მოედნობს.

სიტყვა აილო სისასტიკემ — ძველმა მოლოქმა —
 ფარდა დაეშვა, ინერება წიგნის ბოლოთქმა;
 ახლა ამ ვარდებს სიბნელეში ვისთან მიიტან,

გაუფასურდა შემართება ყველა მოისრის
 და სასიკვდილოდ ალანძული გეჭენიდან
 პირველშობილთა გულსაკლავი მოთქმა მოისმის. . .

* * *

ვინ იფიქრებდა, — დაცრიცავდა მინდვრებს ქაცვი და
 კვლავ დაკარგავდა სიკამკამეს ძველი სასმელი,
 ვერ შემოსავდა დედამიწას ცის ტანსაცმელი
 და შემოდგომა გაზაფხულის სიტკბოს დაცლიდა.

რწმენა ვინ ჩაკლა, შვების წყარო ვინ გადაწრიტა,
 ვინ დაუსართა სასოებას ეს განსაცდელი, —
 ცის ასომთავრულს აკვირდება დიდი ხანძთელი
 და მთავარ სათქმელს ელოდება უფლის ტაძრიდან.

ჰა, ჩამობრწყინდა სატევარი — ელვით ნალესი —
 და ამეტყველდა სახარება იოანესი;
 და შემობრუნდა ზეციური ქორონიკონი,

სადღაც ჭალისპირ მოლალურმა ჩაილილინა,
 ეკლესიიდან გამოვიდა მამა გრიგოლი
 და ცისკიდურზე ხორცშესხმული სიტყვა იხილა. . .

* * *

ღუოდა ფერი, — მინდვრის ფერი, ფერი ყანობთა,
მთებს შერეოდა სურნელება მზის და ზაფრანის,
ცას განდობოდა მარიამის წმინდა საფლავი
და სინათლისკენ მიდიოდა, მიიგალობდა.

ტბა ქანობდა, ლელიანში ქარი ქარობდა,
გადახსნილიყო სამარხების შავი ნაპრალი,
გამოქცეოდა ქალდეველებს მამა აბრამი
და სიცოცხლეზე ბაასობდა პირქუშ ქარონთან.

მერე მზე გალღვა, სავანეში შუქი დავანდა
და გზას რომ ავყევ — უჩვეულო არსთა მზირველი, —
ჭრელი პეპელა ამიფრინდა იასამანთან

და მოვიხილე საოცარი მოსახილველი:
ჩამომჯდარიყო ანგელოსი შოთა რუსთველთან
და გაბრწყინებულ ხეობებში ჩიტი უსტვენდა. . .

* * *

დღეუმნიფარი გადამნიფდა, გადადღიურდა
და როცა ტაძრად შერისხული მრევლი მოვარდა,
ეშმაკეულებს გამოეყო გუნდი მსტოვართა
და კადნიერი სითამამით დადგა ღვთიურთან.

ამაყი მოდგმა გადაჯიშდა, გადატყიურდა,
და სათუთ ხსოვნას სიჩუმეში დიდხანს ტორავდა
შეგინებული სამოსელი ბაგრატოვანთა
და მონგოლური ძველმანებით სავსე იურტა.

ტიროდა და-ძმა, — მორღვეული ტაძრის შუაში
ბრწყინავდა სისხლი გატანჯული იეშუასი;
და ყოველგვარი უხამსობის მამამთავარი —

ბრბო, მოლიზლარი, ზეიმობდა საღვთო სასმელთან,
ბნელ კარიბჭესთან სათვალთვალოდ იდგა დავარი
და უტიფარი სისასტიკით ნესტანს ასმენდა. . .

* * *

თვინიერ უცხო ზნეობათა, რიგთა და წესთა, —
 გქონდა სახლი და სამლოცველო, გქონდა ზინათი...
 გახსოვს სალამო? — ეკლიანში ვარდებრ ბზინავდი
 და იადონი სიყვარულზე ყეფდა და კვნესდა.

გშვენოდა დიბა ხატაური, ძვირფასო ნესტან,
 ნათობდა შენი ათინათი, დაო თინათინ,
 და გულანშარო — ინდუსტანით და ათინათი —
 სტამბულის სტავრას აელვებდა შენს სავანესთან.

ან კი რა დაშთა: შეფიცულან სტიქსი, აქერონ,
 რომ ძველი ხსოვნა გადაშალონ და გადაქელონ;
 მაგრამ ნუ შიშობ, — ცისკიდური ისევ მინაზდა

და მზე, — რომელსაც გულისგული მიეც და ანდე, --
 კვლავ მობრუნდება სიყვარულის ბნელ ხაზინასთან
 და შენი შუქი გაბრწყინდება მინიდან ცამდე... .

* * *

თუ სიბრმავეა, გირჩევნია სხვარიგ დაბრმავედე,
 სულ სხვანაირად მოისმინო ერთხელ ნასმენი,
 მოისხა სულ სხვა მოსასხამი და ტანსაცმელი,
 სხვა საფლავისკენ გადახვიდე, — გადასაფლავდე, —

რადგან ახალი რუბიკონის გადასავლამდე
 სულ სხვა გზა ვცანი, სულო ჩემო, სულ სხვა საზღვრები,
 თვალმა სხვა ნახა სიბნელიდან გადასასვლელი
 და ზუბოვკიდან მომავალმა სხვა მზე დავლანდე.

სხვა ცა ვპოვე და სხვანაირად ხმოზდა ებანი —
 სხვა უფალი და უფლებათა სხვა უფლებანი:
 ფერისცვალების ნიშანკვალი გაკრთა თაბორთან,

სხვა ნელთაღრიცხვა შემობრუნდა ქორონიკონად
 და ქვა, რომელიც სააღმართოდ ამომთაგორდა,
 უკუიქცა და რახანია დაღმა მიგორავს. . .

* * *

გაკრთა ნესტანი უთენია მზის ათინათად,
გალავნის კიდეს ჩაუარა სამან-სამან და
თავი აილო, მოკრძალებით მიდგა დავართან
და ინდოეთში ქანაანის ვარდი ინატრა.

სადლაც დაღამდა ცისქვეშეთში, სადლაც ინათა,
და, როცა ბინდი დაძაბუნდა და დასამარდა,
მოდგა რუსთველი, დაიმონმა სიბრძნე მავანთა
და სიყვარული დაადგინეს ყოვლის წინაპრად.

ია და ვარდი მოაშენეს, ღვარძლი მოცელეს, —
მშვიდობა ყველა სულით პოეტს და მეოცნებეს!
მზე მკრთალდებოდა, ილეოდა ტკბილი მირაჟი,

გზებს მთარღვევდა მომავალი შეუდრეკავად
და სახვალიოდ — მარადიულ პალესტინაში
ვარდის ადგილი, სამწუხაროდ, ეკლებს ეკავათ. . .

შაბათა კნიაზი

*ერთობ საქმიანი კაცი იყო, დიდი მოქეიფე და დარდიმანდი. ოთხშაბათობით
ბაზრობაზე რომ გამოჩნდებოდა, მთელი ქალაქის გადამყიდველები
მორიდებით შემოეხვეოდნენ ვარს. მეტსახელად შაბათა კნიაზს ეძახდნენ.*

ოთარ მამფორიას ნაამბობი

ბევრი ქალწული, თვალხატულა ბევრი დიაცი
მისმა სურვილმა სანთელივით ჩაათავა და
მეარღნის გვერდით, ფაეტონზე ბრწყინავს თამადა, —
ბრწყინავს თამადა საქორწინო რაფსოდიაში.

უხსოვარ ცაზე მანუსკრიპტებს გააქვთ გნიასი,
დილამ უკუნი სასიკვდილოდ დააშამათა
და უთენია ბაზრობაზე მოდის შაბათა,
მოდის შაბათა — ოთხშაბათის დიდი კნიაზი.

ღამდება ისევ, აჭრელდება მთვარის ფორაჯი
და, თუკი ცისპირ მლოცველებმა მრევლი მოკრიბეს,
ისიც თავს ჩარგავს ათასწლოვან სეფერ-თორაში*

და სულში იწერს საიდუმლო იეროგლიფებს;
გარეთ კი ქნარზე იძერწება სიტყვა სარითმე
და ღმერთზე ბჭობენ სოფლის გლახა და მედავითნე. . .

* სეფერ-თორა — ბიბლ. მოსეს ხუთნიგნეული.

* * *

კვლავ შეგახსენებ, გულმავინყო მემამათიანევ,
ხანძთას და ხახულს, — გულსა შიგან რაც ჩამყოლია:
აქ დიდგორია, როგორც მახსოვს, იქ შამქორია,
უფრო იქით კი — დარუბანდის კარი ჭრიალებს.

ჩავყვები დრო-ჟამს, ირეკლება სუსხიც, სიალაც,
გმინავს ზარი და საქორწინო ჰანგი ჰგონიათ;
ცრემლი მოსკდება თვალებიდან მოკლულ გოლიათს
და ლოცვად დამდგარს სინანული შემანრიალებს.

ფუჭია, ფუჭი, ჩვენი სჯანი და მასლაათნი,
ვერას დასტყუებ ისტორიას, გინდაც დაადნი;
აგერ, ხომ ხედავ, აღმა ვიყავ, დაღმა დავედი,

თუმცა, ვინ იცის, ბედისწერა ხვალ რას ინებებს:
შურდულს აიღებს უთენია მწყემსი დავითი
და უთავბოლოდ მიმოაბნევს ფილისტიმელებს. . .

* * *

მადლობა უფალს, — გაიდარა, ისევ გადარჩი,
თითქოს შეამრა სისხლის კვალი დამწვარ დანისტარს,
ისევ გაცოცხლდა შენი სული და გათავისდა
და გაღვივებას ეშურება ჩამქრალ ლადარში.

და მზაკვრის ხელით გაზაკვულის და განათარსის
დახსნას ლამობ და — ასე ნელა, ასე თანისთან —
ჯვართან თუ გრემთან, იყალთოსთან თუ სამთავისთან
კვლავ მოთმინებით ელოდები დათქმულ კათარზისს.

ვინც მტერს ლენდა და ბოროტებას ბურჯებს უნგრევდა, —
ნაომარი და ნატყვიარი წევს იუნკრებთან;
მაგრამ რას ნიშნავს გზების გაყრა და განტოტება,

კიდევ რა დაგრჩა გასაყოფი და გასახლეჩი? —
ისმის ილორთან უილაჯო მრევლის გოდება
და ცინკის კუბო ასვენია ცივ სასახლეში. . .

თქვა შუშანიკმა

— ხედავცა, ვარსქენ, სიხარული როგორ ჩამიქრა? —
მე კი ცის ჰანგებს — ლოცვად ნათქვამს, ლოცვად მონასმენს —
ვიგალობ ხორცის დასათმობად და სამონაზვნედ
და ვამბობ სოფლის სამდურავებს, — თქვა შუშანიკმა.

წარხდა ბროლი და ბადახშანი, დაგვრჩა შავი ქვა,
ღრეობს შური და უნდობლობა, — ვინ ვის მოასწრებს, —
და ვხედავ წყებად ჩარიგებულ ძველ ზოროასტრებს,
ვაი სანუთროს ლალატიანს, — თქვა შუშანიკმა.

და ისმის გმინვა თვალშეუდგამ ჟამთა წიაღში,
არმაზის კერპთან თავმოდრეკით დგას პიტიახში;
ეჰ, ოდინდელო თვალთმაქცობავ, როგორ გვიზიდავ,

რომ დაბანგულმა ფიალებმა ფიქრი მიახშოს
და არტომანთა ღამეული საბრძანისიდან
ლეგა ღრუბლები ეფინება საპიტიახშოს. . .

კურაპალატის აღსარება

მადლობელი ვარ, — უთავბოლო სოფლის ტრიალში
თითქოს გაცხადდა დაფარული შენი ქარაგმა
და მიმწუხრისას სიყვარულზე ალაპარაკდა
შენს სახატესთან მუხლმოყრილი ერთი დიაცი.

რა ვქნა, არ ძალმიძს ფუჭი შფოთი, ფუჭი გნიასი,
ახლაც — ყოვლის თქმას ვამჯობინე ყოვლის არათქმა,
მაგრამ რა ვუყო, — ბედდამწვარმა კურაპალატმა
როგორ გავტეხო სისასტიკე ფებრონიასი.

როგორ დავიხსნა სირცხვილისგან ჩემი ნაგრამი,
როგორ ავლაგმო სიჯიუტე აულაგმავი!
უკვე კარვის წინ ებგურებმა ჟამი მონიშნეს,

ჩემი დიაცი სასთუმალთან ალბათ მიმელის
და სიზმარ-ცხადში მოლივლივე ძილისშორისებს
ავსებს ხატება ცრემლიანი მაგდალინელის. . .

თიკო-სან

ოსაკა, „მხიარული სახლის“ ჰეტერეები

თიკო გულქველო, ღირსეულო ჩემო თიკო-სან,
ბევრი რამ არის საგულისხმო ალბათ ამაში,
თმას რომ აიხვევ უზრუნველი ხტუნვა-თამაშით
და, უთენია, გულმოდგინედ თავზე იკოსავ.

დაგღალა ხმებმა სააშიკო-სამუსიკოსამ,
ზღურბლთან ხელს გინვდის სამურაი — მხნე და მამაცი,
შენ კი გატყვევებს სიდიადე ფუჯიამასი
და სიყვარულის ფერდობებზე მალვით მიცოცავ.

მახსოვს ტყისპირი, შენი სახლი, — ძველი ვიტრაჟი
თავს იწონებდა ჩამავალი მზის პალიტრაში;
მაგრამ ზაფხული მიიწურა, მდელი ათიბეს,

რა ვქნათ, ძვირფასო, წარმავლობა საქმეს აგვარებს,
თუმცა რა წაშლის გულუბრყვილო შენს სინატიფეს
და შენს თვალეში მოკამკამე მზეს და აკვარელს. . .

* * *

სწყვიტეს მათრახი, ტაიჭები ოთხით გარეკეს,
გარბის მწვევარი, — მტკაველია გზიდან მდელიმდი! —
ისევ ძრწოლა და ორთაბრძოლა: როგორ გელოდი! —
და კარეტები გამალებით ცვლიან კარეტებს.

გიჟური სრბოლა გრძნობებისა ისევ გვარეტებს,
კარს აყურადებს საჭურისი — ბლუ და მელოტი
და მენესტრელი გაცვეთილი რომანსეროთი
თავდავინყებით იმეორებს ამ ტრაფარეტებს.

ღრუბლებს შესტირის მარტოსული — ბედზე გამწყრალი,
მაგრამ მტკივან გულს მოუფონებს ეს შაქარწყალი
და დასიცხულ ბალს შადრევანი მონოტივებს.

მთვარე კი მღერის სიყვარულზე ძველი მოტივით
და სიყვარული — ნაღვლიანი ტურანდოტივით
კვლავ იმეორებს ვერაგობის ნაცნობ მოტივებს. . .

*„ქართველმა დიდებულებმა თამარის პირველი საქმროს მოსაყვანად
ტფილისელი დიდვაჭარი გაგ ზავნეს, ვინმე ზანქან ზორაბაბელი...“
გერონტი ქიქოძე*

*„ზანქან ზორაბაბელი ჩვენ ქართველ ებრაელად მიგვაჩნია...“
ზაქარია ჭიჭინაძე*

იოჩნა ცხენმა, წაფორხილდა ორგან თუ სამგან,
იცლება ციმციმ გადმოღვრილი მთვარის ტაგანი,
მე — სისხლი შენი, ძვალი შენი და ხორცთაგანი —
მოგძახი ჟამთა წიაღიდან: მობრუნდი, ზანქან!

მოგტაცა თვალი ჩრდილოეთის უზადო ქარგამ? —
შენს პირს შაქარი, ჩემო ზანქან, შენს პირს შაქარი! —
ვინა ჰყავს მაჯის შემტყვებარი და დოსტაქარი
რუსულ-ქართული საათების რხევას და ქანქარს. . .

ხომ ხედავ, ზანქან, ჩამოზნელდა და პაჭანიგთა
ძველ ნასახლარზე სისხლიანი ურდო ჩარიგდა;
ვიცი, ძნელია მოლოდინში უბრად გაძლება,

თუმც ბედისწერას მერამდენედ დაეუბრები,
როს სტეპებიდან მტკივნეულად მოიზღაზნება
შენს შესაყრელად წამომდგარი კვამლის ღრუბლები. . .

გულბაათი ჭავჭავაძე

ყველა ვერსიას გააჩნია თითო რევერსი,
მე კი — ჯამის და აზარფემის, ქვევრის ჯინაზე —
დიდ სასმისებთან უნაყოფო კამათს შევეშვი
და იერიში მივიტანე წვრილ ჭინჭილაზე.

მაგრამ, სასმელო, მოვმკვდარიყავ და არ შემესვი, —
წაფხდი, ცოლო და — კარვის კარი როცა მირაზე, —
მე დაბინდული წარმოსახვის დანაშრევებში
კვლავ დავინახე გადამქრალი შენი სინაზე.

თითქოს ნაზამთრალ ხოდაბუნებს მარტი დაათბა,
— ვაჰ, დრონი, დრონი — სინანულით თქვა გულბაათმა;
ამ აზრისაა სევდიანი ჩვენი ყვინჩილაც, —

ვერ მოაბრუნებ ყიყლიყოთი წლებს და საათებს, —
წამლად ვერ ნახავ სადღეისოდ ისეთ ჭინჭილას,
ის გულბაათიც ვერასოდეს იგულბაათებს. . .

* * *

— ზოგი დოლარმა აგვამჩატა, ზოგი ევრომ და,
ქისტის არ იყოს, მასონებმაც მოგვცეს ზიანი,
წარყვენს მტკვარი და არაგვიცა არაგვიანი, —
ანდუყაფარი ჯიხურებთან ასე მჭევრობდა.

ის რომ მჭევრობდა, ვენახებში ვაზი მტევნობდა,
ზვრებს დასცქეროდა შემოდგომა ბარაქიანი,
ბაღს აჩქამებდა აბრეშუმის ნელი შრიალი
და შადრევანიც ძველებურად მოშადრევნობდა.

როგორ გიხდებათ, ოცნებებო, ველზე თარეში,
ვიდრე მოხვდებით ურბანისტულ ამ სიმდარეში!
დაინექტრებით შემოდგომის მზით და შარბათით,

მერე თითქოსდა ტკივილები გაგიყუჩდებათ, —
გადმოეშვებით სიმალლიდან ნელი ფარფატით
და ქვაფენილებს დაადნებით საპნის ბუშტებად. . .

გასაუბრება

კაცი კაცს ჰკლავდა, ბატონობდა ღმერთი ღმერთობით,
ბაღს შერეოდა სარეველა, ბაღჩას — ეკალი,
კლდეკარს მოსდევდა სიბნელეში კიდევ კლდეკარი
და მთების ჩრდილში ხმიანებდა უცხო ფერდობი.

„ — სურვილს თუ ირთობ, დამერწმუნე, ფუჭად ერთობი, —
დრო, რომელთანაც სამეგობროდ პირი შეკარი,
ლეთას წყალია — შეუვალი, დაუდეგარი,
სახელი მისი სიკვდილია — ნუ მიენდობი! ”

საფლავთა წიაღ განასრულა ძვლების ჩაკირვა
და ბოლოს ისევ სიცოცხლისა თქვა ჭაშნაგირმა;
ცას ასცქეროდნენ მესიტყვენი უდაბნოსანი,

შორს კი, მთის გაღმა — სიყვარულის იალაღებთან —
ყელს იღერებდა სასიმღეროდ თეთრი შროშანი
და გაზაფხული ყვავილებში თვალებს ახელდა. . .

* * *

პენტავდა ქარი თოვლს და ღრუბელს, და საპენტელა
მგლებს მილაღავდა საცხოვარში, ცხოვარს სამგლეში,
თავს იანგლებდა მასხარასთან ვილაც ბენტერა —
იმ მასხარაზე უფრო ყბედი და უანგლესი.

მზეს კი, — თითქოსდა დედამინას გადაემტერა, —
დავინყებოდა გაზაფხულის ბოლო ანდრეზი,
ბნელ ნასაყდრალთან მიმჯდარიყო სოფლის ტერტერა
და დევის ქალთან ნებივრობდა ვირი ტანტრესი.

ვინ დაგიდევდათ მზეს და მნათობს: ბევრიც გეძებნათ,
კვარს ვერ ნახავდით დედამინის წასაქეზებლად;
ან ვის ახსოვდა მოძმის შველა და გზა უვალი,

მხოლოდ ზეცაში — ყოვლის წიაღ, ღრუბლის ჩრდილობთან, —
ჩამომჯდარიყო გულშეძრული მამა-უფალი
და, დაღვრემილი, დედამინის დახსნას ცდილობდა. . .

* * *

მეტი რა გითხრათ, ჩვენო ღმერთო, ღმერთო მაღალო, —
ისევ ვსულდგმულობთ, როგორც ხედავ, შენი ღმერთობით,
დილის სინათლეს აგვირგვინებს მყუდრო საღამო,
მთის მწვერვალები ზავდებიან ლურჯი ფერდობით,

ცვდება ფიქალი, იფიტება ძველი მაღარო,
წყლისპირ ვზივართ და წარმავლობით დღემდე ვერთობით,
ბრუნდება მგზავრი — უნობათო, უარმაღანო,
დაღლილი შენთან უშედეგო ურთიერთობით;

დაბლა ეშვება აღმამფრენი ჩვენი პეგასი
და წრეს პოულობს ჯაგლაგების კარტოთეკაში;
რა ვქნათ, ძვირფასო, უკვდავებას ბევრი ეძებდა,

ცა კი, როგორც ჩანს, ოცნებებით მაინც გვაპურებს, —
რთავს სატყუარებს ნაირფერად შორენკეცებთან
და გამუდმებით იმეორებს ნაცნობ ფაბულებს. . .

ამერიკელ ინდიელთა მუზეუმი

ვაშინგტონი, 2004 წ.

რამ გამახსენა ჩემი ბანძა, ჩემი კულაში,
ან სიდონიას თავგანწირვა ქრისტეს კვართისთვის,
როცა ტეხასის საიდუმლო აგენტურაში
ასე აეჭვებოთ ჰაბიტუსი ვილაც არტისტის;

მაგრამ არ ცხრება ძველი ფიქრი, ფიქრი უნასი, —
ო, მღვრიე ფიქრო, ჩემი გული ისე განგიცდის,
როგორც შავ ღრუბელს თოვლიანი მთის ანტურაჟი,
ანდა ზღვის სიღრმეს კიდურები აკვალანგისტის.

ქალს შეხედავთ და სიხარულით გული გევესებათ, —
კრთის ამულეტი მოლუსკებად და გველთევზებად;
ფარდის უკან კი დარბევები, ძარცვა, აკლება, —

ეს უმსგავსობა საწყალ შამანს ბოლმით ასიებს
და პრეფექტურის ფანჯრებიდან ჭვრეტს სირაქლემა
უცხო ტომებით გადათქერილ რეზერვაციებს. . .

* * *

მიცოცავს ჩრდილი ბილიკ-ბილიკ, — ეკალ-ქაცვიან
ლარტაფს მისდევს და, — ნუთის უკან მზე რომ ათბობდა,
იმ საბალნაროს სამოსელი უკვე გაცლია
და ჟამთა წიაღ გადასულა ხმა თეატრონთა.

ისევ უხმობენ მალემსრბოლებს ზეცის ტატნობთან, —
ძალნი გრძნეულნი დაყოვნებას რას დაგვაცლიან! —
სადაც ატამი ჩრდილოვანში ჩუმად ატმობდა,
ვარდი ვარდობს და ვარდის გვერდით — ისევ ღვარძლია.

ცა კი კვლავ უსმენს ცათამბჰრობელს — უცვლელ ფარაონს
და მიდის ჟამი, ქარებს მისდევს და მიქანაობს;
კმარა, უფალო, შევისვენოთ, ფარდა დავხუროთ,

ქარებს ვაცალოთ გაგრილება, ჩრდილში დასხდომა
და ზამთრის წიაღ გადავმალოთ საგაზაფხულოდ
კვირტის მორიგი აფეთქება და გადასკდომა. . .

* * *

ძველს რომ ნატრობთ და ითოშებით დღეის სიცივით,
სჯობს მოგონება შლექიფებად წელზე შეიბათ,
რომ გავიცინოთ, გარდასულზე როცა იცინით
და სერაფიტის სეირნობაც გვექცეს სეირად.

ვიდრე მივალ და მივჩინებ ჩარჩის ჩიჩინით,
ვიღაც მუდრეგმა ჩამიარა გულარხეინად,
ჩახვეულ კიბეს ჩაეკიდა კიბალჩიჩივით
და მეარღნეთა მარაქაში დაჯდა ყეინად.

ბახუსის წყალი, როგორც ვატყობ, მაინც გესხურათ
და ჟანრულ სცენებს აფიქსირებთ კვლავ გროტესკულად;
და სახედარიც – დაზაფრული ბაზრის სიძვირით –

კუდს ათამაშებს შაითანთან საბენეფისოდ
და ვარდისფერად შეფერილი მოგრძო ჩიჩვირით
ასურათხატებს ორთაჭალის დუხჭირ ეპიზოდს. . .

* * *

იდგა კაცი და მომავალზე ბჭობდა ღმერთივით,
მეც სახვალისოდ სურვილები ბევრჯერ დავძარი,
მაგრამ სიბერემ უცაბედად დამცა თავზარი
და ძონის კაბა შემიცვალა მწუხრის მერდინით.

და დღეს მე და შენ ობლებივით ერთურთს შევტირით. . .
სადაც მთებს სძრავდა, სულო ჩემო, შენი ხანძარი,
ახლა კორდია — დასეტყვილი და ნახავსარი —
წვიმის და ქარის სევდიანი მრავალწერტილით.

ფიქრობ — ადგები, ხელმეორედ ლელოს გაიტან,
უხმობ ბავშვობას, უხმობ ჭალებს — ხმა არსაიდან;
ცვდება ფურცელი ოდინდელი პერგამოტივით,

საყდრის კედლებსაც დასცვენია თეთრი ბათქაში,
ალბათ, უფალო, ნაადრევი ჭკნობის მოტივი
იგულისხმება თავიდანვე შენს წინათქმაში. . .

შურისძიება

ნარსულის ცოდვებს მომავალი ხელზე დაიხვევს,
მთვარის ნათელი ჩაიცლება ტაგან-ტაგან და
დაბინდულ შუქში გაჯერდება გუნდი საგანთა
და მგლების ხროვა გადათქერავს სანყალ საიხვეს.

შენც ტრამალ-ტრამალ გაიჭრები, — გასნი, გაიქეც,
თუმცა ვის შესძრავ, — საქანელი უკვე დაქანდა,
მილაღავს ქარი ნოემბერთან — ძველ ქონდაქართან —
ფოთლებს და ცრემლებს, ქარვის ბეჭდებს და მოზაიკებს.

ამოდის ცაზე უცხო შუქი და გზას უნათებს
ფიქრებს და ხილვებს — სულ სხვა ნიღბებს და კლოუნადებს;
ბოლოს ბუნებაც ამოიდგამს დახშულ ენას და

განსჯის ცოდვა-ბრალს, უპასუხოდ არვის იტოვებს
და მკაცრად უხმობს ჩამოქცეულ ავანსცენასთან
დეღამებს და მენყრებს, — მისტერიებს და წყალდიდობებს. . .

* * *

ერთურთს ჰკარგავდით, ზეცის ნამო, მინდვრის შლამო და
მასრებს ტოვებდა ქურჩა-ქურჩა ტყვია სამასრე,
და სულიც — ბუდეს აცდენილი — სწუხდა ამასვე
და სურვილების გასაყართან ღამე ღამობდა.

ამოდიოდა ოხშივარი საბუღლამოდან
და ცა, რომელიც, შემოქმედო, ასე ჩარაზე,
ესიზმრებოდა დატყვევებულს ცივ ფანჯარაზე
და, შებორკილი, ღრუბლებისკენ აჭრას ღამობდა.

ჩაკრეფილიყო სიბნელეში გუნდი მნათობთა
და მხოლოდ ერთგან მომაკვდავი მზე ჭიატობდა;
სულს კი უჭირდა ნელთალრიცხვის დამახსოვრება

და ძალს იკრებდა დილეგიდან ამოსახედად
და გრძელდებოდა ტყვეობაში მისი ცხოვრება
და ამ ცხოვრებას მოლოდინი ერქვა სახელად. . .

* * *

ოქროდ ღუოდა სინათლეში ანი და ბანი,
 ჰოე — რომელიც აღსასრულით გვაკრთობს და გვდაგავს —
 და დასცქეროდა შემოქმედის მზრუნველი თვალი
 ანდალუსიის შუადღეში მთვლემარე ნაგაზს.

კვლავ გრძელდებოდა იდუმალზე ბჭობა და სჯანი,
 ბნელ ლაბირინთებს მიიკვლევდი ნახაზ და ნახაზ,
 მაგრამ ვერ ასცდი ამჯერადაც — გავარდეს ჯანი —
 ათასგვაროვან უაზრობას იქაც და აქაც.

ფეხს უბორკავდა დოსტაქარი კუს თაბაშირით,
 ცეკვავდა ხარი გამომთვრალი უსტაბაშივით;
 უცებ ცის დასებს გამოეყო უცხო მოდასე,

ხმა შემოგვესმა — გამყივანი ხმა მალაგიდან,
 ვილაც უბირი აძუნძულდა სინაგოგაზე
 და გუმბათებზე მთვარისფერი ჩალმა დაკიდა. . .

* * *

და მიგნებულის დავინყებით, ისევ მიგნებით,
 დროს თავანყვეტილს შეჩერება როდი ენება,
 რბის სიავესთან წილნაყარი ღმობიერება
 უცხო ფიქრების ჩაფიქრება-გადაფიქრებით.

კვდომის დღენო და სამოთხენო, მარად იქნებით,
 ძველ ფოლიანტებს საცავებში ობი ერევა
 და გზას მიიკვლევს უმეგზურო ყოფიერება
 სიკვდილ-სიცოცხლის უსასრულო პარადიგმებით.

მიმოქრის ქარი — შემოდგომის ქარი თავნება,
 წრიალებს სული, ბნელში ხრჩოლავს და იკვამლება;
 უკვე დაღამდა, დარბაზებში სუსხი გამეფდა,

მაგრამ სიცოცხლეს — უკვდავ კლოუნს — რაღა აღიმებს?
 ჩერდება ეტლი უკუნეთის ყრუ აკლდამებთან
 და ხელში გაჩრის გაზაფხულის თეთრ ბალდახინებს. . .

* * *

დგას მიკიტანი მუშამბასთან გაქონილ ფუნჯით,
ძველ სამჭედლოში იჭედება ცინკის სასახლე,
ჯორს გააბეზრებს ნავსიანი დღის სისაძაგლე
და მტვრიან შუკებს აუყვება ხურჯინ და ხურჯინ.

ხარ ამრეზილი, ფეთიანი, ანჩხლიც და ურჩიც,
მაშ, აიფოფრე, ჩემო ყურშავ, ტანი აძაგრე,
რომ შენი მოდგმის ყოველგვარი სიმამაძაღლე
ხარფუხის დუქნებს შეახოცო დორბლიან დრუნჩით.

რა ვქნათ, ბნელდება, ითალხება ღრუბლის მერდინი,
თანაც, ხომ ხედავ, — ღეროები ქარმა აჩალა,
წვიმს და წვიმების სევდიანი მრავალწერტილი

მდუმარეა და მრავლისმთქმელი, ვით ორთაჭალა,
იქ კი, მტკვრის გაღმა — დანყებულა კვირის შაბაში
და დილის საარს ელოდება ბრმა უსტაბაში. . .

* * *

. . . და მოვლენები — ხელდასხმულნი ცით და ბუნებით —
აღმა და დაღმა, წინ და უკან — ზემდეგ და ქვემდეგ
გზას მიჰყვებიან უთავბოლო მიმართულებით —
დღისით და ღამით, ზამთარ-ზაფხულ, და ასე შემდეგ.

და სახვალთო წრებრუნვაში — სხვა გართულებით —
თუმც და-ცა-მლენავ, ცხოვრებაო, დამცემ და შემტეხ, —
ვართ სხვანაირი სურვილებით გადართულები —
ზემდეგ და ქვემდეგ, თავო ჩემო, შემდეგ და შემდეგ.

და გორავს ჭურვი — საიდანდაც ერთხელ დაძრული,
არც საწყისი ჩანს არსაიდან, არც დასასრული;
თუმც რას დაეძებ, ოცნებაო, გასწი, იარე, —

მზის ანარეკლი სადაცაა ღრუბლებს შესტირებს
და სევდით გასცქერს უხილავი მემამტიანე
ცის დასავალთან გაელვებულ მრავალწერტილებს. . .

* * *

სრბოლა ჟამისა ჟამთასვლაში ისევ განელდა,
თავი დახარა სადაისოდ ცისკრის დროშამ და
განქარდა ელვა — წყება ფერთა და აკვარელთა —
და ნოემბერი დაინინდა დალლილ შროშანთან.

ამ სასიკვდილო სერობაში მზეს ვინ გარევდა:
ქარსაც ენიშნა გამოცანა პირქუშ დრო-ჟამთა
და გაზაფხულის გულუბრყვილო ნიავექარებთან
ასე უგზოდ და უადგილოდ აღარ რომავდა.

ისევ გრძელდება დიალოგი ძველი მძახლების —
შობის და კვდომის, მიძინების და განახლების;
ცაზეც უკვდავი შინაბერა დღემდე ფოფინებს,

მთვარეს ვგულისხმობ, სანყალ მთვარეს — ჩვენს ძველ აკუშერს, —
სევდით რომ დასცქერს გაღვიძებულ ახალშობილებს
და სააღაპოდ — ჩამოცვენილ ფოთლებს აქუჩებს. . .

* * *

რას ვიფიქრებდი, უნდობლობა კვლავ შემბორკავდა. . .
სიზმრად ვიხილე – სიბნელესთან ბჭობდა ცისკარი
და ღრუბელ-ღრუბელ ნანაობდა ცა ნასიცხარი
და ჯურღმულებში უსახელო ლანდი ბორგავდა.

ბედითი ხმები გაისმოდა ერთგან, ორგან და
სისხლის ცრემლებად იცლებოდა მზე და ისხარი
და წითელ ტბორში ბანაობდა ბრბო საზიზლარი
და წრეს რკალავდა უნასების ბინძურ ორკაპთან.

ჰგავდნენ თავადაც ტაბაკონთან შეთქმულ ასპიტებს, —
ვინ უფრო მეტად იავებსო და ისასტიკებს;
მართლის ადგილი სამსჯავროში ბილწებს ეკავათ,

ცას შეჰყმუოდა ქვესკნელიდან ბნელი საძალლე
და დაძრულიყო სათნოების წასალეკავად
ურჯუკი მოდგმის უტიფრობა და სისაძაგლე. . .

* * *

ბევრის მომსწრეა ჩვენი გორი, ბევრის მნახველი,
მაგრამ, ღმერთს მაძლი, ყველაფერი წარსულს მიბარდა,
და დღემ ღამესთან — მაშრიყელმა ნამალრიბალთან —
კვლავ გაიხსენა ისტორიის დიდი ნალველი.

ხმას ხმა გაეხმო — სამდურავთა ამომძრახველი
და დავინახე — სიჩუმეში, იმ ძველ იფანთან,
დროს დრო მუსრავდა, ნამუსრევე მზე პირს იბანდა
და სინითლეში ლუდლუდებდა მინდვრის ძახველი.

ტყეს აჩქამებდა ფოთლის სუნთქვა, სუნთქვა სიოთა
და კვლავ დიოდა დრო და ჟამი და მიდიოდა. . .
გზის განაპირას გამდგარიყო კუშტი მოლოქი

და მოვლენებით აჭრელებულ იარლიყებთან
ღრმულს ჩასცქეროდა ტანნახრილი არქეოლოგი
და უძველესი ფენებიდან სინჯებს იღებდა. . .

* * *

ზესხმად დაგვატყდი, მარტის ცაო, რისხვად დაგვეცი:
ფიქრი, რომელიც გაიკვირტა, ყლორტად იზარდა, —
გაკრთა, ვითარცა მოციმციმე ცეცხლის ნაკვესი
და სულში ჩამრჩა სახსოვარი იმ საფიცართა.

და დოქი — თიხა ასაზელი, ტერფით საგლესი —
ველარ შეშრა და შედუღაბდა, რაღას იზამდა?! —
და, როგორც სიტყვა უფორმოების სისაძაგლეში,
ჩუმად მიქრა და მიინავლა უთქმელ მიზანთან.

მოდგა გრიგალი დასათრევად, ყლორტის სატყეპად, —
ჩაკვდა ნაყოფი, ჩაიფურცლა ეს მუცლადღება;
აზრს აჩანაგებს უაზრობა — ძველი ფირალი,

გული მომიკლა მშობიარის სისაცოდავემ,
დუმს ემბრიონი — ნანვალები, ნადუხჭირალი
და პოეტები საალაპო ლექსებს ბოდავენ. . .

* * *

ნავს გაეტირა ზღვაოსანი ნაპირ-ნაპირ და
 დღის ათინათი სიჩუმეში გაკრთა ანაზდად,
 ცა კვლავ გაენდო ვარსკვლავების ანაბანას და
 ისევ ჩამოსხდნენ ქურუმები დალლილ რაბინთან.

მიწყდა ხერხის ხმა — გამხივანი ხმა ბირდაბირთა —
 და მზე, რომელიც მიმწუხრისას ასე განაზდა,
 კვლავ დაინინდა შემოდგომის უზუნდარასთან
 და შემოგარე უცნაური შუქით დაბინდა.

ციდან იღვრება შეღამების ჩუმი ალერსი,
 ვილაც მიმოდის საიდუმლო კულუარებში, —
 შლის და აერთებს თავს და ბოლოს, ახვევს დასახვევს

და ანესრიგებს მიზანსცენებს, — ყველას ასაქმებს,
 და სინათლიდან უჩვეულო მაღლით ანელებს
 ზესკნელ-ქვესკნელის გამუდმებულ ფერისცვალებებს. . .

* * *

ეშმამ მოძღვარი განსასჯელად კლდისპირ შემოსვა, —
 ცასთან შულლი და გაურჩება ასე ინება, —
 შენ დიაცები შემოგისხა მგლის არჩივებად,
 რომ ავხორცული ძუძუები ურცხვად გელოშნა.

“ — სიკეთის კვართით მიძნელდება თქვენი შემოსვა,
 გარჯას რომ ამბობთ, სიავისთვის გთვლით გარჯილებად,” —
 და, უთენია, მამალმერთის ეს განჩინება
 კვლავ საზეიმო აღტკინებით თქვა ანგელოსმა.

აკრძალულ ნაყოფს ეტანება ყველა არსება,
 იქ ვილაც დადის, ცოდვებს ითვლის და ითარსება:
 მეცხრე, მეოცე, ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები, —

მქრქალდება ღამე ქალდეური მარჯნით და გიშრით
 და კარვის კართან მერამდენედ კვდება აქლემი
 დამშრალი ჭისკენ საცოდავად განვდილი კისრით. . .

* * *

ისევ აკეცა შელამებამ დილის მაგიდა
და მთვარემ, მთვარემ – დაღვრემილმა აქემენიდმა –
კვლავ გააცხადა წარმავლობის ძველი ენიგმა
და დარიოსის საძვალესთან ცრემლი დაკიდა... .

აჩქამდა წყარო, ამეტყველდა სევდის ბალი და
დრომ უმნიფარმა სულსწრაფობა ველარ შენიღბა, --
მაღლე მოდგება შენი ხილვა, შემძრავს შენი ხმა
და უცხო ელვა გამოკრთება სარკოფაგიდან.

წართქვამს ქადაგი შელამების სალიტანიოს
და სატრაპებთან სატრაპეზოდ შევა დარიოს;
მოვა მოახლე, საჭურისი ხელებს შეახებს

და საზეიმოდ გამზადებულ ამფითეატრებს
აღნუსხავს მთვარე გაცრეცილი ძველი არქივით
და ხსოვნის წიალ ასამარებს ყრუ სამარხივით... .

* * *

მინდვრის ლამაზო დედოფალო, ბალბავ თუ ბაოვ,
მზეს რომ უმღერ და აღსაკმეველებს გალობით უკმევ,
თვალი მოგტაცა, როგორც ვატყობ, უბირთა უქმემ, —
ჩვენთან ჩვენი ხარ, სამწუხაროდ, სხვასთან კი სხვაობ.

სხვა ქალწულებიც — მოხავერდე სიტყვების ხაომ
გააბრუა და მოლიპულზე დაცურდნენ უკვე
და ვილაც უცხო აშიკებთან საეჭვოდ ცმუკვენ, —
სტიროდე, რუთის დედამთილო, სანყალო ნაომ!

ეს ამჩატება, რა თქმა უნდა, განგრევს და გამღვრევს
და უსიამო მოლოდინით გიყინავს ძარღვებს;
მაგრამ მთავრდება მეუფება ტლანქის და ხისტის

და მარადიულ კალოებზე — მინიდან ცამდი —
ძნებს ახვავებს და მეძნეურთან ღიმილით გიცდის
კდემამოსილი მოაბელის კეთილი ლანდი... .

* * *

უხსოვარ მთებზე სამრეკლონი გაბმით რეკენ და
ანი და ჰოე, დღე და ღამე — ორი პოლუსი —
დინჯად დიან და გადადიან მინდვრის ბოლოში,
რომ ისევ შეთხზან დაბადების ტკბილი ლეგენდა.

როგორ გვახარებს სიხარული სალხინებელთა,
ხარობდა რომიც — უძლეველი ჩვენი კოლოსი, —
მაგრამ მოვიდა საუკუნე მარკო-პოლოსი,
ცას შეაბერდა ძმების სუნთქვა, მგელიც შებერდა.

მიცოცავს სხივი, ბნელში გავა, ხვრელში გაძვრება,
საგულისხმოა, ჭეშმარიტად, ეს შენაცვლება!
მალლა კი — ძველი კირითხურო, ჩვენი ხარება,

ნათელში ახვევს გამოუნვაჲ კირს და ალიზებს
და ყოველ ჩქამის გაღებაზე — დაუხანებლად
მარჯვენას გვინვდის, გვეფერება და გვახალისებს. . .

* * *

ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან
რალაც ხუთი თუ ექვსიოდე წელი გავიდა,
მაგრამ უეცრად სამყაროში გაჩნდა ნაპრალი —
ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან;

სამკლად სხვა მინდვრებს სთავაზობენ ნადს თუ მამითადს,
სულ სხვა ჯიში და მოდგმა მოდის — დედით, მამითაც
და სხვა მზით ცრუობს შემოდგომის დღე შესაბრალი —
ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან;

მალე გახვალ და გამოლმიდან გაღმა გამიტან —
ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან;
სხვა დღე იბარტყებს, სხვანაირი მზით და ბარტყებით —

იჭვით, იმედით, წარღვნის წყლებით და ცისარტყელით, —
ეს ჩამჩურჩულა მომაკვდავმა ჩემმა მამიდამ —
ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან. . .

თბილისი-იერუსალიმი, 2004-2006 წწ.

ნაირა ბელაშვილი

„Geh aber nun und grüsse...“*
 „მაგრამ აწ გასწი და მიესალმე...“

HAUSAUFGABE

საშინაო ღაგალება

Dichterberuf

*Des Canges Ufer hörten des Freudengotts
 Triumph, als allerobernd vom Indus her
 Der Bacchus kam, mit heiligem
 Weine vom Schlafe die Völker weckend.*

პოეტის მოწოდება

განგის ნაპირებს სიხარულის ღმერთის ტრიუმფი
 ესმოდათ, ოდეს ყრმა ბახუსი, დამპყრობი ყოველის,
 ინდოეთიდან მოიწევდა ძლევაშოსილად
 მძინარე ხალხთა წმიდა ღვინით გამღვიძებელი.

Schlaf – ძი-ლი – (dzi-li)
 Vö –lker – ხა-ლხე-ბი – (cha-lche-bi)
 Gott – ღმერთი – (gme-rti)
 we-cken – გა-ღვი-ძე-ბა – (ga-gvi-dze-ba)
 Wein – ღვი-ნო – (gwi-no)
 Freu-de – სი-ხა-რუ-ლი – (si-cha-ru-li)

Und du, des Tages Engel! erweckst sie nicht,
 Die jetzt noch schlafen? gib die Gezetze, gib
 Uns Leben, siege Meister, du nur
 Hast der Eroberung Recht, wie Bacchus.

და, შენ, დღენათლის ანგელოზო, არ გააღვიძებ,
 მათ, ვისაც ჯერაც ისევ სძინავთ? მოგვეც კანონი,
 მოგვეც სიცოცხლე, გაიმარჯვე, ოსტატო, მხოლოდ
 შენ გაქვს უფლება დაპყრობისა ბახუსის დარად.

*ექდგენება გერმანელ ფოტოხელოვანს, ჰიოდდერლინის საზოგადოების წევრს, კრისტა ფოგელს, რომელსაც შეუყვარდა საქართველო და მოხოვა დამეწერა მოთხრობა ღვინოზე. ამ მოთხრობის დაბეჭდვას იგი საქართველოსადმი მიძღვნილ ფოტოალბომში აპირებდა სხვა ქართველ მწერალთა მოთხრობებთან ერთად, მაგრამ სურვილი ვერ აისრულა, რადგანაც „მაგრამ აწ წადი და მიესალმე...“ სამწუხაროდ მეტისმეტად დიდი გამოვიდა. ასე, რომ წინამდებარე ტექსტი გერმანელი მკითხველისთვის იყო განკუთვნილი. კრისტას ისიც აუუხსენი, რომ მოთხრობა მგონი სხვა რამეზე უფრო გამოვიდა, ვიდრე ღვინოზე. ის „სხვა რამე“ კრისტას უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენა.


მარცვალთა რაოდენობით, მხოლოდ ერთი სიტყვა ემთხვევა გერმანულს, დანარჩენი ქართული ეკვივალენტები უფრო გრძელია:

დღე – (dge) Tag

ა-ნგე-ლო-ზი – (a-nge-lo-zi) E-ngel

კა-ნო-ნი – (k-ano-ni) Ge-setz

სი-ცო-ცხლე – (si-zo-zxle) Le-ben



ჰაინრიჰ!

გერმანული სიტყვების ქართული შესატყვისები ზუსტადაა მოძებნილი. დამარცვლითაც სწორედ დაგიმარცვლავთ და ტრანსკრიფციაც სწორია, რაც ძალიან მახარებს, მაგრამ არ შეგისრულებიათ საშინაო დავალების **სამი** მნიშვნელოვანი მოთხოვნა, კერძოდ, თქვენ უნდა დაგედგინათ:

ა. ამ ტექსტებიდან რომელია ორიგინალი და რომელი თარგმანი.

ა. რომელი საუკუნის ტექსტთან შეიძლება გვეკონდეს საქმე.

გ. რას ამბობს ლექსი.

ამიტომ დავალებას შესრულებულად ვერ ჩაგითვლით და ისევ გიტოვებთ.

რამდენიმე სიტყვას გეტყვით მესამე პუნქტთან დაკავშირებით.

გთხოვთ, ჩაუკვირდეთ, რაზეა ლაპარაკი: როგორც ვხედავთ, **ბახუსი** ანუ **დიონისე**, რომელსაც პოეტი „**სიხარულის ღმერთსაც**“ უწოდებს, ჯერ ყრმაა. იგი დაეხეტება ქვეყნიდან ქვეყნად, ამჯერად ინდოეთიდან მოეშურება დასავლეთისკენ. იპყრობს ყველა ხალხს, იმ აზრით, რომ ყველასთან მიაქვს „ღვთაებრივი ღვინო“, და მისი იდუმალი ძალით აფხიზლებს ხალხებს, რომელნიც ძილის ტყვეობაში იმყოფებიან (ცხადია, გახსოვთ: „In vino veritas“; თუმცა, ზუსტად არ ვიცი, აქ რა ჭეშმარიტება იგულისხმება). ამგვარად, სიხარული უკავშირდება გაღვიძებას, გამოფხიზლებას, რაც მიიღწევა მიწიერ-ზეციური სითხის – ღვინის წყალობით. დიონისეს მისია გაღვიძებაა (და არა გამოშტერება, როგორც ახლა ხდება). მაგრამ რა ძილია ეს, რომელსაც ყველა ხალხი შეუპყრია?

ეს არის დავიწყების ძილი, ეს არის ხსოვნის წაშლა.

და რა დაავიწყდათ, რა აღარ ახსოვთ ხალხებს, რის გამოც სიხარული დაუკარგავთ? მათ აღარ ახსოვთ, რა არის ცა... მათ ჯერ კიდევ იციან, რომ „ღმერთები“ არსებობენ, მაგრამ ეს გონებითი, ინერტული ცოდნაა, გულით კი ვეღარ გრძნობენ, აღარ ახსოვთ, რას ნიშნავს ზემიწიერ განზომილებაში ყოფნა. მაშასადამე, მათი არსებობა ერთგანზომილებიანი გამხდარა, რაც ისეთი არსებისათვის, როგორიც ადამიანია, ბუნებრივი არ არის და ამიტომ მის ავადმყოფობას ნიშნავს (ამ ყველაფერზეა ლაპარაკი ამ პოეტის მთელ შემოქმედებაში).

ღმერთების საჩუქარი – დიონისეს ღვინო არის იდეალური მდგომარეობის გახსენების საშუალება.

მაშასადამე, თუ დიდი, დიდი ხნის წინათ, ბერძნულ სამყაროში ყრმა დიონისემ აღასრულა საიდუმლო მისია: გამოადვიდა უმძიმესი ძილით შეპყრობილი ხალხები, ძილით, რომელიც იგივე მეტაფიზიკური მეხსიერების დაკარგვა, ანუ, დავიწყება იმისა, თუ რა არის და როგორია ნამდვილი სიხარული: ყოფნა ღმერთებთან („ხსოვნა“, „მადლიერება“, „სიხარული“ ერთმანეთს ეკუთვნის და უერთმანეთოდ არ არსებობს), განა იგივე არ უნდა მოიმოქმედოს რაღაც განსაკუთრებულმა არსებამ გვიანდელ, ანუ ჩვენს ეპოქაში?

„ძილის“ თვალსაზრისით, ამ პოეტის საუკუნე (XVIII – XIX) და ჩვენი (XX–XXI) ერთი და იგივე ეპოქაა. ეს არის, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ნამდვილი ლეთარგიული „ძილის“, „დავიწყებისა“ და „გახეების“ „მწირი ჟამი“, რაც ამ ჟამის შვილებმა არ იციან და ჰგონიან, რომ ცოცხლობენ. (აქ სიტყვას ვერ გაავარძელებ იმის თაობაზე, რომ „ღამე“, „ძილი“ და „დავიწყება“ მთელი მათი სიმძიმისა და ფატალურობის მიუხედავად, არ არის რაღაც მხოლოდ ცალმხრივად ცუდი რამ. ამ კრიზისის დროს ადამიანი იღებს ისეთ მწარე გამოცდილებას, რასაც სხვა ვითარებაში ვერ მიიღებდა. ძილის პერიოდში სიტყვაც ფარულად მწიფს. მოკლედ, პოეტის აზრით, „მსოფლიო ღამისა“ და „ძილის“ ეპოქა ეს იგივე „რკინის აკანია“, რომელშიც უამრავი დაიმსხვრევა და დაიღუპება, მაგრამ ზოგი იმ განსაკუთრებულ ძალასა და სიმწიფეს მიაღწევს, რასაც ამ „აკანის“ გარეშე ვერ მიაღწევდა). არსებას, რომელმაც უნდა გაიმეოროს დიონისეს მისია, ლექსის ავტორი, როგორც ხედავთ, უწოდებს „ღლის ანგელოზს“ და „ოსტატს.“ ახლა მან უნდა აგვახსოს გამოდევნებისა და ყოფნის სიხარულით, და თან: „მოგვცეს კანონები.“ რა თქმა უნდა, ახალი კანონები! წინასწარ გეტყვით, რომ „ღლის ანგელოზსა“ და „ოსტატში“ იგულისხმება პოეტი, თან დასაველეთის, ანუ, „ჰესპერიის“ პოეტი. ჰო.

მაგრამ, თუ „ოსტატი“ ხალხებს დროზე ვერ გააღვიძებს, გამღვიძებლის ფუნქციას აიღებს გამანადგურებელი ბედისწერა. ეს არის ნათქვამი ამავე პოეტის ერთ სხვა ლექსში:

Die Völker schwiegen, schlummerten, da sah
Das Schicksal, daß sie nicht entschliefen und es kam
Der unerbittliche, der furchtbare
Sohn der Natur, der alte Geist der Unruh.
Der regte sich, wie Feuer, das im Herzen
Der Erde gärt, das wie den reifen Obstbaum
Die alte Städte schüttelt, das die Berge
Zerreist, und die Eichen hinabschlingt und die Felsen.

ხალხები დუმდნენ და ეძინათ და ბედისწერამ
ოღეს იხილა, რომ არა და არ იღვიძებდნენ,
ჯიქურ მოვიდა უმოწყალო, თავზარდამცემი,
და ზეაზვირთდა როგორც ცეცხლი დედამიწისა,
ღრმად რომ გიზგიზებს მის წიაღ და ვით მწიფე ხეხილს,
რომ აზანზარებს ქალაქებს და მთებს ანაპრალებს,
და ძირს ანარცხებს მუხებსა და ციცაბო კლდეებს.

გთხოვთ, ამ ლექსიდან ამომიწეროთ **ზედსართავი სახელები** და **ზმნები**. განსაზღვრეთ **ზმნების დროები**. ეგებ მითხრათ, რომელია თარგმანი და რომელი დედანი?

ნახვამდის. ლამარა.

P.S. როცა ჩემთან მოხვალთ, მაშინ მოგიყვებით ყველაფერს, რაც ვიცი საქართველოში მცხოვრებ 19 ათას გერმანელზე, რომლებიც 1944 წელს, ისევე როგორც 100 ათასი ქართველი მაჰმადიანი, უმოწყალოდ აპყარეს და გადაასახლეს შუა აზიაში. (მა-

შინ მთლიანად კავკასიიდან ხუთი ხალხის დეპორტაცია მოახდინეს, მათ შორის ჩეჩნებისა და ინგუშების). ეს გერმანელები შვაბიიდან იყვნენ და ორი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ ჩვენთან. რატომ თავიდანვე არ მოთხარით, თუ ასე გაინტერესებდათ ეს ამბავი?

P. S. 2. იცით, ერთი თქვენი დიდი პოეტი ამბობს, რომ გერმანელების წინაპრები ცხოვრობდნენ კავკასიაში, შავი ზღვის პირას (ე.ი. ახლანდელ დასავლეთ საქართველოში, რომელსაც 1993 წელს ომის შედეგად ჩამოშორდა აფხაზეთი). არ ვიცი, საიდან გაუჩნდა ეს აზრი. "Ich aber will dem Kaukasus zu!" ასე იწყება მისი ლექსის ეს პასაჟი. „ხოლო მე გულმა გამიწია კავკასიისკენ!“ ან: „მე კი მწყურია, გავეშურო კავკასიისკენ“ ან: „ხოლო მე მინდა დავადგე გზას კავკასიისას!“



HAUSAUFGABE

საშინაო დავალება

Hilfsverbe

დამხმარე ზმნები

sein	haben	werden
ყოფნა	ქონა, ყოლა,	გახდომა
(ko-fna)	(qo-na, ko-la)	(ga-xdo- ma)

მე ვარ გახარებული.

მე მაქვს იმედი. მე არა მყავს შეყვარებული. მე მყავს კატა. მე მყავს მანქანა. მე ვავხდები სხვანაირი.

ვინ? – ადამიანი, და, მეგობარი და ა.შ.

რა? – ქვა, ცხოველი, გული და ა. შ.

ჰაინრიჰ!

საშინაო დავალების ეს ნაწილი თითქმის მთლიანად სწორია. კარგად დავიმახსოვრებიათ, რომ კითხვა "ვინ?" (wer?) დაესმის მხოლოდ ადამიანს, ხოლო კითხვა "რა?" (was?) ყველას და ყველაფერს ადამიანის გარდა. "მყავს" (ყოლა) იხმარება მხოლოდ სულიერ საგნებთან, არსებებთან. უსულოებთან კი – "ქონა". ამიტომ: "მანქანა მაქვს" და არა "მყავს". მე მგონი, ეს იმის გაუგებრობაა, რომ დღევანდელი ქართველებიც შეცდომით ამბობენ: "მანქანა მყავსო", ალბათ იმიტომ, რომ ის სულიერი ჰგონიათ.

რაც შეეხება თქვენი მაგალითების შინაარსობრივ მხარეს, მოხიბლული ვარ თქვენი კარგი განწყობითა და ოპტიმიზმით. (ღმერთმა ქნას, რომ "სხვანაირი" წინადადებაში "მე ვავხდები სხვანაირი " ნიშნავდეს "უკეთესს"). ჩემმა ქართველმა მოწაფემ, რომელსაც გერმანულს ვასწავლი, გუშინ ასეთი მაგალითები დამიწერა: "Ich bin dunkelbunt." "Ich habe Angst." "Ich werde grau." გთხოვთ, მითარგმნოთ. აი, ასეა საქმე.

რაც შეეხება „შინ დაბრუნებას“. „Heimkunft“. მე თქვენ მოგეცით ამ ლექსის პირველი ნაწილი ქართულად და გერმანულად. ორივე ტექსტიდან თქვენ უნდა ამოგეწერათ **სიხარულის** გამომხატველი სიტყვები. თქვენ კი მხოლოდ ქართულიდან ამოგიწერიათ. საინტერესოა, რასაც მწერთ, რომ ქართულად ვაგებთ უფრო ვაგვიადვილდათ, ვიდრე გერმანულად და რომ ეს ქართული ლექსი უნდა იყოს, რატომღაც ძველი და ხელოვნური

გერმანულით თარგმნილი, და რომ გერმანელმა მთარგმნელმა, როგორც ჩანს, კავკასიონის მთები ალპებით შეცვალა.

ჰაინრიჰ! ასეთ რამეს არცერთი ნორმალური მთარგმნელი არ აკეთებს!

ჰო! კიდევ ეს: ჩემს შეკითხვაზე, რომელ ტექსტში უფრო ინტენსიური სიხარულია გამოხატული, მპასუხობთ: “რა თქმა უნდა, ქართულშიო”. საოცარია.

მაშასადამე, ღამე ალპების მთებში გამოუთქმელი სიხარულით აღავსებს პოეტს: „ღამე ნათელია“, „ღრუბელი გასახარებელ სურათებს ხატავს“, „მთის სიო ცელქობს, თამაშობს, დანაგარდობს“, „ქაოსი სიხარულს აფრქვევს“, „დილა ყვავილივით ამოიშლება“, „უსასრულოდ იზრდება წელიწადი“, „ღღუბი მამაცდებიან“, „პატარა სოფელი მთების ძირას უშიშრად, ნდობით, შეჭყურებს მწვერალს“... ეს ყველაფერი კარგი. მაგრამ, გთხოვთ, ამოიწერეთ გერმანულიდანაც.

თუმცა, ერთი წუთით! გამოვიცდიათ, თქვენ, თქვენ, თავად, ეს „სიხარული“? ეს „გაღვიძება“, ეს აღტკინება, ეს ლაღი, მომღერალი და მოცეკვავე ცეცხლი, რომელსაც შეუძლია უეცრად დატრიალდეს თქვენში და მერე გარეთ გადმოიღვაროს?! და თქვენ შლით ხელებს და გულში იკრავთ ადამიანებს, მათ შორის მტრებსაც, და ფართოვდება და ფართოვდება თქვენი მკლავების წრე და მასში ექცევა მთელი საქართველო, მთელი კავკასია, მთელი დედამიწა, ქრისტიანები, მუსლიმები, იუდეველები, ინდუსები, ბუდისტები, იეზიდები, წარმართები, შავ-თეთრ-ყვითელ-წითელკანიანები, ყველა, ყველა... კეთილები, ბოროტები, ლამაზები, მახინჯები, ეს საწყალი კონფორმისტებიც, ეს ბედურული მომხმარებლებიც, ეს გზაკვალარეული ათეისტებიც, ეს დაღუპული ვითომმორწმუნენიც – სარწმუნოების აბეზარი ინვალიდები, დიახ, დიახ თქვენს მკლავებშია ყველა, მდიდრები და ღარიბები, დასავლეთი და აღმოსავლეთი, ცუდი და კარგი ადამიანები, ცხოველებთან და მცენარეებთან ერთად და ფართოვდება თქვენი გული და ქროლდება და ამ დროს, დაიმახსოვრეთ, მხოლოდ და მხოლოდ ასეთ წუთებში, თქვენ გრძნობთ, რომ ხ ა რ თ, და აღტაცებით ფიქრობთ: აი, თურმე რა ყოფილა **სიხარული და ყოფნა!** და ერთი და იგივე ყოფილა ეს, გესმით?

გავიზიარებთ, არც ვიცი, რატომ, რომ მე, მე თვითონ, სულ ორჯერ განვიცადე ის მდგომარეობა, რომელიც ამ წუთას აღვიწერეთ. ერთხელ ღვინოსთან იყო დაკავშირებული, მეორედ – ძლიერ სიყვარულთან და ლოცვასთან. პირველად ეს სტუდენტობისას დამემართა, ალპინიზმმა გამიტაცა და კავკასიონის ერთი-ორი ადგილი მწვერვალის დალაშქვრის შემდეგ მყინვარწვერზე ავედი ოთხ მთასვლელთან ერთად. გზის ორი მესამედი უკვე გავლილი გვქონდა, როცა ერთი ცუდად გავგვიხდა. კარავი გავშალეთ, ძალიან ციოდა, ავადმყოფს ვუვლიდით, მთელი ღამე არყით ეუზეუდით ტანს. გამოკეთდა, ჩაეძინა, სხვებმაც მიღულეს თვალი. სპირტქურაზე ღვინო გავათბე, რატომღაც ერთი ბოთლი მქონდა წამოღებული. ღვინო არასდროს არ მიაქვთ მთაში, თუ მიაქვთ, – არაყი, ოღონდ ყურძნის, ე.ი. სახელგანთქმული „ჭაჭა“. დავლიე და გარეთ გავედი. ერთი კი დავინახე, რომ მზე ამოდიოდა და თოვლი და ყინულის ქიმები ბრწყინავდა ირგვლივ და მერე კონკრეტულად ველარაფერს ვხედავდი... მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ თითქოს გულს ბევრი ფრთა ება და დაფრინავდა, რაღაც ფრინველივით დასტრიალებდა თავს მწვერვალს, კარავს, მერე მთელ ქვეყანას და მერე მთელ დედამიწას, უყვარდა და უხაროდა... და პირველად მხოლოდ მაშინ მივხვდი, რას ამბობდა ჩვენი მთის პოეტი, მთის განდევნილი, ვაჟა-ფშაველა, ვისი სახითაც ბუნებამ ბოლოს და ბოლოს თავისი მესიტყვე, თავისი მესია იპოვა:

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

ო, როგორ მინდა მალე დაეუფლოთ ქართულ ენას, რაკი ეს გადაწყვიტეთ, და თქვენ თვითონ წაიკითხოთ სრულიად განუმეორებელი ვაჟა-ფშაველა, რომელიც, პირდაპირ გეტყვით, ჰოლდერლინის (რაიმე წავიკითხავთ მისი?), და ალბათ, გოეთესიც (ამისი?) ნამდვილი სულიერი ძმაა. და იმასაც გეტყვით, რომ რაც მწვერვალზე დავიწყეთ ას-ვლა, სულ რაღაც სტრიქონები მიტრიალებდა თავში, ალბათ იმიტომ, რომ... იცით, რაშია საქმე? აი, იმ პირველი, თქვენი საშინაო დავალების ლექსის ავტორი ხშირად განიცდიდა ამ ენით გამოუთქმელ სისავსეს, ამ უსახელო აღფრთოვანებას და იცოდა: ეს არის ყოფიერება თავისი წმინდა სახით. მაგრამ მის სასოწარკვეთას ის იწყებდა, რომ ეს წმინდა ყოფნა, ანუ სიხარული ჩნდებოდა და ქრებოდა, ის მომენტალური იყო და არა მდგრადი. და იმ სულიერი კაშკაშის შემდეგ სამყარო კიდევ უფრო ბნელი და პირქუში მოსჩანდა, როგორც ოთახი ზამთრის საღამოს, სადაც არაფერი ანთია. („ნუ დამალავ შენს სახეს ჩემგან, თორემ დავემგვანები საფლავში ჩასულებს,“ ფსალმუნი 143). მთელი უბედურების სათავე, მისი აზრით, ის იყო, რომ ცა ძალიან დაშორებოდა მიწას („Zwar leben die Götter, aber über dem Haupt droben in anderer Welt“ „თუმცა ცოცხლობენ ისევ ღმერთები, მაგრამ ჩვენს ზემოთ, სხვა სამყაროში“) და ცის შეგრძნება გაელვებებს ჰგავდა, მასთან ხანგრძლივი კავშირის დამყარება კი შეუძლებელი გამხდარიყო.

მისი შეგრძნებით, ზემიწიერ არსებებს, იგი მათ „ციერთ“ უწოდებს, აღარ სურთ გახილვადება, აღარ შეუძლიათ, „ჩანდნენ“. ყოველივე ამის გამო მარტო გრძნობს თავს სული მიწაზე („და დანაღვლიანდა ჩემზე სული ჩემი“, ფსალმუნი 143). ამ უკავშირობას ჰქვია მასთან „მსოფლიო დამე“ და „ძილი.“ იგი ეპოქას შიგნიდან ხედავდა და მისი გადაგვარების მიზეზებსაც (საშიშ) სიღრმეში ეძებდა. ბევრს არ უგლოვია ასე ადამიანისა და მისი ცხოვრების გამოშვივანა და აუტანელ ზედაპირზე ატივტივება... ის ამ გლოვას გადაჰყვა. გესმით? ამიტომ ევედრება „ღლის ანგელოზებს“, ანუ პოეტებს, „ხალხების გაღვიძებას“, ახალი სიცოცხლისა და ახალი კანონების დამკვიდრებას.

მითხარით, განა თქვენ კი არ ეძლევიტ ხოლმე სასოწარკვეთას, როდესაც ხედავთ, რამდენად სჭარბობენ მკვდრები ცოცხლებს? მაგონდება, როგორი გაცხარებით აფრიდით ქოქოლას პარტიებსა და პოლიტიკოსებს, სნობებსა და კონფორმისტებს, როგორც ბრძანეთ, ამ „ნაცრისფერ ტოტალობას“, ამ „მილიარდობით „მოადამიანო ადამიანს“, როგორ მოსთქვამდით, რომ „კატასტროფულად იზრდება მოსაწყენი ადამიანების რიცხვი“, მაგრამ, მაპატიეთ და, ასაკში შეხვალთ და ალბათ, როგორც ყველა, თქვენც ყველაფერს შეეგუებით. ის კი ვერ შეეგუა.

ამჯერად აქ დავამთავრებ.

P.S. ძალიან მიხარია, ჩემი საჩუქარი რომ მოგეწონათ. ეს ირმის ფორმის ღვინის სასმისი დამზადებულია ძალიან ძველი საგნების მიხედვით: ასეთი, ათასგვარი უცნაური, მცენარისა თუ ცხოველის ფორმის თიხის სასმისები აღმოჩენილია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ძვ.წ. II –III ათასწლეულის სამარხებში. ასეთივე სამარხებში ნაპოვნია ყურძნის კურკებიც. ალბათ იმედოვნებდნენ, რომ იმქვეყნადაც ვენახს გააშენებდნენ და სადღევრძელოებს დალევდნენ.



* * *

გამარჯობათ, **ჰ! H!**

საშინაო დავალება: გივ ზავნით კიდევ ერთ ლექსს. როგორც ხედავთ, ამჯერად მხოლოდ ქართულ ენაზე. ისწავლეთ ზეპირად. ამოწერეთ უცნობი სიტყვები, მოძებნეთ ლექსიკონში მათი გერმანული შესატყვისები,

გამიკეთეთ მისი პროზაული თარგმანი გერმანულად.

მიპასუხეთ კითხვებზე:

ა. თქვენის აზრით, თქვენს წინაშე თარგმანია თუ დედანი?

ბ. რა საერთო აქვს ამ ლექსის „დილსა“ და „გაღვიძებას“ „პოეტის მოწოდების“ „Dichterberuf“-ის „დილსა“ და „გაღვიძებასთან“?

გ. „ღვიძილის“ რომელი სინონიმებია თქვენთვის ცნობილი ქართულად და გერმანულად?

აი, ეს ლექსიც:

ელეგია

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

არსაიღამ ხმა, არსით ძახილი!
მშობელი შობილს არას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ხალხის ძილშია კენესა ისმოდა!

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო, ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

ახლა კი ნახვამდის. უკვე დაღამდა.

ძილის წინ დავანთებ პატარა (თაფლის) სანთელს და შევევედრები უფალს, დამაცადოს დაწყებული სამუშაოს დამთავრება, რადგან ჩემთვის მძიმე იქნება, თქვენთვის მოცემული პირობის შეუსრულებლობა (არ მესმის, მაინც რაში გჭირდებათ ნაშრომი „ღვინის კულტი და კულტურა საქართველოში“!). შევევედრები, დამიცვას ჩემი ველური მეზობლებისაგან, რათა მთელი დამე არ აღრიალონ ტელევიზორები და მაგნიტოფონები, არ იმღერონ გუნდურად, არ ასიგნალონ მანქანები, ზემოთა მეზობელმა რაღაც არ მირახუნოს ჭერზე, არ დამიფრთხონ ძილი და არ დამტანჯონ... უძილარი თუ ვარ, მთელი დღე მცივა, ტანში მაურიანებს და საერთოდ ვეღარ ვაზროვნებ. არადა, უმეტეს ბინებში ტელევიზორები თითქმის დილაამდე ანთია! ამით მიხვდებით, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის ცხრა წლის თავზე უმეტესობა უმუშევარია. და ვაი, იმის ბრალი, ვისაც სიჩუმე სჭირდება... აქ ადამიანებს მოთხოვნილება აქვთ, გამოსცენ ხმები თუ ხმაური, რათა დარწმუნდნენ საკუთარ არსებობაში ანდა ჩაიხშონ შიში ყოფიერების წინაშე.

და მე ვიბრძვი. ვიბრძვი თითქმის გამირულად. კეთილად ბრძანდებოდეთ.

P. S. ვაღდამი, გრიუნეთალი, ტრაუბენტალი, როზენბერგი, როზენტალი, როზენფელდი, განდენბერგი... (ტყისსამშობლო, მწვანეველი, მტვერისველი, ვარდებისმთა, ვარდთაველი, ვარდმინდორი, წყალობისმთა) აი, იმ გერმანული სოფლების სახელები, რომელთა კვალსაც კი ვეღარ ნახავთ დღეს. არადა, როგორც ჰყვებიან, ესენი ულა-

მაზესი, აყვავებული სოფლები ყოფილა. საკვირველია, რომ თურმე სწორედ ეს ორი გასახლებული ხალხი – გერმანელები და მაჰმადიანი ქართველი გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული კანონმორჩილებით, შრომითა და პასუხისმგებლობის გრძნობით. მათი კარმიდამოებიც განსაკუთრებით მოვლილი ყოფილა. ო, რამხელა დანაკარგია საქართველოსთვის! ახლა ისინი რომ ჩვენთან ყოფილიყვნენ, ქვეყანა, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობა, ალბათ ასეთი გაპარტახებული არ იქნებოდა.

P. S. № 2 **ჰაინრიჰ!** გითხრათ? იცით რა მემართება, საერთოდ, გერმანული ქალაქებისა და სოფლების სახელების გავონებაზე?! გული შემეძვრება, რაღაც ყოვლად აუხსნელი, ძველი სევდა და მონატრება გადამივიღის ხოლმე ტალღასავით. ღამის ცრემლები მადგება. განსაკუთრებით ის ტოპონიმები მოქმედებენ, რომლებიც ჩემს საყვარელ პოეტებსა და მოაზროვნეებს უკავშირდება. გერმანიაში სულ რამდენიმეჯერ ვიყავი და დედამიწიდან ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად პატარა გერმანული ქალაქების ხატებას წავიღებ იმქვეყნად.

ღამარა.

ჰაინრიჰ!

ძალიან მადლობელი ვარ, ლექსები ორივე ენაზე (საოცრად ადვილად) რომ დაისწავლეთ ზეპირად. იმის კვალობაზე, რომ აქ, როგორც მეჩვენება, **ქართული ღვინის** შესასწავლად და ღვინის ბიზნესისთვის ხართ ჩამოსული, პოეზიისადმი განსაცვიფრებელი შემწეობა გამოავლინეთ. ამასთან კავშირში კიდევ ერთ ლექსს გიგზავნი და გელოდებით გაკვეთილზე ჩემთან სახლში, ხვალ, საღამოს 5 საათზე. შეგახსენებთ, რომ დავალების ნაწილი მოსატანი გაქვთ: **პასუხები კითხვებზე**. გუშინ აღელვებული მომეჩვენეთ. თითქოს ფერმკრთალიც. რა გაწუხებთ? **ღამარა.**

P.S. ჯერ კიდევ არ მეთანხმებით, რომ ლექსების გარეშე ცხოვრება აუტანლად მოსაწყენია? და რომ ლექსებით უცხო ენის სწავლა ნამდვილად სახალისოა?

მართლა აპირებთ ყაზბეგში წასვლას? ჩემი იქაური მეგობრების კოორდინატებს მოგცემთ. **ღ.**

P.S.2 HAUSAUFGABE

საშინარო ღავაღება

Weinlied

Auf grünen Bergen wird geboren,
Der Gott, der uns den Himmel bringt.
Die Sonne hat ihn sich erkoren,
Daß sie mit Flammen ihn durchdringt.

Es nahe keiner seiner Kammer,
Wenn er sich ungeduldig drängt,
Und jedes Band und jede Klammer
Mit jugendlichen Kräften sprengt.

Es wird im Lenz mit Lust empfangen,
Der zarte Schoß quillt still empor,
Und wenn des Herbstes Früchte prangen
Springt auch das goldne Kind hervor.

Denn usichtbar Wächter stellen
So lang er träumt sich um ihn her;
Und wer betritt die heiligen Schwellen,
Den trifft ihr luftumwundner Speer.

Sie legen ihn in enge Wiegen
Ins unterirdische Geschoss.
Er träumt von Festen und von Siegen
Und baut sich manches luftge Schloss.

So wie die Schwingen sich entfalten,
Lässt er die lichten Augen sehn,
Lässt ruhig seine Priester schalten
Und kommt heraus wenn sie ihm flehn.

.....

.....

P.S. № 2

ა. მაინტერესებს, როდის ამოიწურება თქვენი ნებისყოფა, რასაც ქართული ენის შესწავლას ახარჯავთ.

ბ. კიდევ ბევრი საინტერესო ცნობა მოვიპოვე საქართველოდან გასახლებულ გერმანელებზე. ჰაინრიხ! ნეტავ თქვენ იმ გერმანელი ბერგის ნათესავი ხომ არ ბრძანდებით, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საქართველოს წამყვანი იხტიოლოგი იყო და რომლის ნათესავებიც 1944 წელს გაასახლეს?

გიხარიათ, თქვენი გვარი „მთას“ რომ ნიშნავს? ამიტომ ხომ არ გიყვართ მთაში ხეტიალი? წარმატებებს გისურვებთ. **ლამარა.**

.....

.....

მოგესალმებით, ჩემო კვირფასო მოწაფე!

ერთი მითხარით მეგობარო, რატომ არ გამოავხავენთ „ღვინის სიმღერის“ ქართული თარგმანი? შემთხვევით ლექსად ხომ არ შეუდევით თარგმანს?

სხვა მხრივ, აი, რა მოხდა ამ დღეებში:

სადამოს 9 საათი სრულდებოდა, კარზე დამიკაკუნეს, თუმცა, სინათლე გვექონდა. (უკვე იცით ალბათ, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას სიბნელე დაეწვეილა და მთელი რვა წელი ელექტროენერჯის უქონლობამ თუ წყვეტილმა მოწოდებამ მძიმე დალი დაასვა ჩვენს ფსიქიკას, მუშაობასა და ცხოვრების წესს, მოკლედ: ყველაფერი ფრაგმენტული გახდა). „ნამყო უწყევტი“ ხომ გახსოვთ. ეს კი სწორედ რომ „აწყო წყვეტილია“. კარი გაგაღე და მბუუტავი შექით განათებულ სადარბაზოში წარსულის ნამდვილი აჩრდილი დავლანდე: მეზობელი ქალი ჩემი სოფლიდან, სადაც ასე რვა წელია, აღარ ვყოფილვარ.

ძროხის სუნი ასდიოდა, თუმცა, ორ ოცლიტრიან, შემოწნულ შტოფში, რომელთა შორის ისე იდგა, როგორც ციხე-სიმაგრეში, რძე კი არა, ღვინო აღმოჩნდა. ფეხზე გაიხადა, როგორც ეს ჩვენს სოფლებშია მიღებული, და ისე შემოვიდა, მე ვერც გაფეხშიშვლების დაშლა მოვასწარი, ვერც შტოფების შემოთრევაში მიხმარება.

მე მას შევცქეროდი, როგორც ბედისწერის დარტყმას. როგორც ამ დარტყმის სასტიკ და ვერაგ განსახიერებას, რადგან კალამი ისევ ხელში მეჭირა და გაწყვეტილი წინადადებაც ტვინში გაწყვეტილ ჭიაყელასავით მისავსავებდა. ანუ, მე ის მძულდა და მძვინვარედ ვწყევლიდი ჩემს თავს კარის გაღებისათვის, იმისათვის, რომ ვერასდროს ვახერხებ ტელეფონისა და კარის ზარის იგნორაციას, საერთოდ ტელეფონის გამორთვას, იმის შიშით, ვაითუ მაგან ახლობელს რაღაც გაუჭირდეს და დაგჭირდე მეთქი და ასე ვიტანჯები.

მან, მას შემდეგ, რაც ბატკნის მატყლის ძაფით ნაქსოვი, გამჭვირვალე შალი მოიხსნა, შავი პალტო გაიხადა და სკამზე დაესვენა, რაც თმა გაისწორა, ლოყაზე ხელი ჩამოისვა და მერე გულზე დაიდო, ნიშნად იმისა, რომ გული დაეღალა (აქ ჩემი მრისხანება დადნა) – მამცნო შემდეგი:

ცნობილ „ხატის ავადმყოფს“, ოთხმოცი წლის „კედელაანთ მაროს“ (ჩვენში ყველა ოჯახს ზედმეტი სახელი აქვს) შემოეთვალა, რომ საჭირო იყო, დაუყოვნებლივ მიმეხედა „ზედაშესათვის“; რომ ჩვენი ზედაშეს სახურავი სამი წლის წინ ჩაშლილიყო; რომ ამ გაზაფხულზე ხშირი წვიმების წყალობით „ზღვასავით მოვარდნილ ჭინჭარს იქაურობა მთლად წაეღეკა“; რომ ქვევრი მიწას შეეწოვა და მთავარი: მაროს სიზმრად გამოსცხადებოდა სამი შავჩოხიანი, შავწვერ-ულვაშა ჭაბუკი, რომელთაც ეთქვათ, ჩვენ

აქა ვცხოვრობთ და სამივეს ერთად გვინდა ყოფნაო, და ხელი იმ ადგილისკენ გაეშვირაო, სადაც ოდესღაც პაპაჩემის პაპის მარანი იდგა და უკანასკნელ ხანობამდე ერთადერთი ქვევრი იყო შემორჩენილი მიწაში. ასე, რომ შენი მეზობლები ვართო. (მარო იქვე ახლოს ცხოვრობს). ესენი ზედაშეს სულები არიანო, განემარტა მაროს, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ერთი კი არა, სამი ქვევრი ყოფილა და ორი ადრევე შეუსრუტია მიწას, და, რომ სამივე შესრუტული ქვევრი დაუყოვნებლივ უნდა მოვეძებნოთო.

აღბათ არ გაგიჭირდებათ იმის წარმოდგენა, როგორ ხელახლა განრისხებული ვისმენდი „კედელაანთ მაროს“ შემონათვალს, რომელიც ამ სოფელში ერთგვარი ქურუმის როლს თამაშობს. მისი რელიგიური გამოჩენილობა, რომელზედაც სხვა დროს ვიამბობთ, ეკლესიასაც უღიარებია და მისთვის გარკვეული უფლებები, კერძოდ, რელიგიური სუფრის დალოცვა-კურთხევის უფლება მიუნიჭებია. მაგრამ მრისხანება ვერაფერს მიშველიდა. უკვე ცხადი იყო, რომ სოფელში წავიდოდი და მაროს რჩევებს შევასრულებდი, რადგან იმ კუთხეში, საიდანაც მე ვარ, კერძოდ, ქიზიყში, ზედაშესთან ხუმრობა თავში არავის მოუვა.

მეგობარო, ვიდრე ამ უცნაურობებში გაგარკვევდეთ, კერძოდ, აგიხსნიდეთ, რა არის ეს „ზედაშე“, მანამდე უნდა დაგემშვიდობოთ, რადგან ამ დღით, როდესაც ჩემ სტუმარ ქალს ბაზრის გზა მივასწავლე (ის ღვინო გასაყიდად ჩამოეტანა. ჩემთვის ცალკე ჰქონდა ორლიტრიანი ბოთლით, ასე, რომ როცა მოხვალთ, გაგასინჯებთ) და უკანვე შემოვბრუნდი, ჩემი სახლის წინ კინალამ სასწრაფო დახმარების მანქანამ გამიტანა. მან ვეღარ მიუსწრო ჩემ მეზობელ ოცი წლის ბიჭს, რომელსაც წუხელ თავისსავე ბინაში ამხანაგებთან ერთად ექიფა და დილაადრიან ერთ-ერთ მთვრალს დანა გაეყარა მუცელში.

საშინელი წივილ-კივილი ისმის, მთელი შენობა ხალხითაა სავსე, მოკლულის დედას ძლივს აკაგებენ, მესამე სართულიდან ცდილობს გადავარდნას... მაღალი ბიჭი იყო, რწვეა-რწვეით სიარული იცოდა და მუდამ გულს მიფორიაქებდა, რადგან ჩემს პირველ შეყვარებულს მაგონებდა...

თქვენ თავად აღბათ უკვე იცით, რომ აქ ღვინო ძალიან უყვართ, მაგრამ რადგან ცხოვრების საზრისი, რაღაც მაღალი იდეა, უმეტესობას არ გააჩნია, ასევე არ გააჩნია უწყვეტი სწავლითა და შრომით ქონების დაგროვების ხალისი და უნარი, – ეს „ღვთაებრივი სასმელი“ მასებს ანადგურებს, მით უმეტეს, რომ ქალაქელები სუფთა ღვინოს თითქმის ვერ სვამენ. ახლა ღვინოს უმეტესად წყალსა და შაქარს ურევვენ, და თან ვენახი ტრადიციული, ეკოლოგიურად უვნებელი კირისა და შაბის ნაცვლად, უკვე დასავლეთიდან შემოტანილი ახლ-ახალი მსამქიმიკატებით იწამლება. არასუფთა ღვინო ისედაც ვონებაარეულ ადამიანებს განსაკუთრებით უწამლავს ვონებას. თუმცა, ღვინით მოწამვლა ნარკოტიკებით მოწამვლასთან შედარებით უფრო კეთილშობილურად გამოიყურება, ნარკოტიკები კი დამოუკიდებლობის პერიოდში, ჩვენი ქვეყნის მეტისმეტად გაცრეცილი საზღვრების წყალობით დაუბრკოლებლად შემოედინება ყოველი მხრიდან: აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან. ადგილზეც მოჰყავთ.

ახლა გლოვის რიტუალი ერთ კვირას გასტანს, პანაშვიდი ორჯერ შედგება, ასე, დღის სამ საათზე. ადრე, საბჭოთა პერიოდში, როცა ქუჩაში გვიან სიარული საშიში არ იყო და ტრანსპორტიც ნორმალურად მოძრაობდა, პანაშვიდები საღამოს შვიდ საათზე ინიშნებოდა. ახლა კი ყველა თავს არიდებს სადმე გვიანობამდე შეყოვნებას და მოსახლეობის უეცარი გაღატაკების გამო საბჭოთა ხანის პანაშვიდებთან შედარებით ყვაილებმაც იკლო.

ჩვენი წეს-ჩვეულება (და ხასიათი) ასეთ დროს მეზობლებს კარნახობს, მგლოვიარე ოჯახისა და ოჯახში მოტრიალე ახლობლებისათვის საჭმელი გააკეთონ და მიუტანონ. ეს სამარხო საჭმელი უნდა იყოს, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გარეშე, მაგალითად, ლობიო, ისპანახი, ჭარხალი, ნიგვზით... ღვინოც მიაქვთ, რადგან სამგლოვიარო სუფრაზე, როგორც ქელეხამდე, ასევე ქელეხში, სისტემატურად ისმება გარდაცვლილის სადღერგრძელო, ღმერთს სთხოვენ მისთვის ცოდვების შენდობას და

მისი სულის სამუდამო ნათელში, ანუ ღვთის სასუფეველში დამკვიდრებას. გარდაცვლილთა სადღევრძელოს დროს ღვინოში პურის ნატეხს აწობენ და ასე ინსტიქტურად აღასრულებენ ევქარისტიულ რიტუალს.

სხვათა შორის, ასე იყო მუდამ, კომუნისტების დროსაც. ისინიც ემორჩილებოდნენ გაუაზრებელი ტრადიციის ინერციას (ოღონდ ცდილობდნენ, ეს ზემდგომი ორგანოების თვალში მოსახვედრად არ გაეკეთებინათ). ახლა მღვდელიც მოჰყავთ, რომელიც გარდაცვლილს წესს აუგებს. მერე დამარხავენ, ოჯახი უზარმაზარ ფულს გადაიხდის ჯერ ქელეხის, მინიმუმ, ასკაციანი სუფრის და მერე საფლავის მოსაწყობად, შეიძლება, საერთოდ ულუკმაპუროდ დარჩნენ, მკვდრის სუფრას კი არაფერს დააკლებენ. დედა შავებს ან აღარასდროს ან, ასე, ათიოდე წლის შემდეგ გაიხდის. (აღბათ თქვენც თვალში გხვდებათ უამრავი შავადმოსილი ქალი, სოფლებში კი ისინი გაცილებით მეტნი არიან, რადგან იქ უფრო ძლიერია ძაძების ტრადიცია და უფრო დაუნდობელია საზოგადოებრივი მორალი. გარდა ამისა, ჯარი ძირითადად ღარიბი სოფლელი ბიჭებისაგან შედგება, ქალაქელები, მით უფრო მდიდრები, ქრთამის საშუალებით ახერხებენ ვაჟების დახსნას სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან. ამიტომ ეთნიკურ კონფლიქტებში ძირითადად სოფლელი ბიჭები იღუპებიან). იტირებენ, ივაგლახებენ, ოღონდ არავინ მოინდომებს ბედისწერის წიგნის წაკითხვას, მიზეზის ძებნას, თუ მაინც რატომ მოკვდა საღ-საღამათი ოცი წლის ბიჭი. დანა რომ გაუყარეს, ეს სრულიად საკმარის მიზეზად ითვლება.

სხვათა შორის, რაინერ მარია რილკეს პოეზიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რეკვიემები, სონეტები, ელეგიები ერთი უმთავრესი შეკითხვა-ღერძის ირგვლივ ტრიალებს: რატომ კვდება ახალგაზრდა ადამიანი? ეს არის „ადრეგარდაცვლილების“ გულის შემძვრელი თემა მის შემოქმედებაში. მსგავს თემებს აღბათ ის წარმოშობს, რომ, საერთოდ, დასავლეთში სიცოცხლე ძვირად ფასობს, აღმოსავლეთში კი – იაფად. ამ ბიჭის სიკვდილს კი წმინდა წყლის შემთხვევად აღიარებენ. ღმერთის მიერ რატომღაც დაშვებულ და ეშმაკის მიერ რატომღაც ორგანიზებულ შემთხვევად, მთავარია, მკვლელი დაიჭირონ და რაც შეიძლება, ბევრი მიუსაჯონ. საერთოდ, ჩვენნიარ ქვეყნებში ხალხი იმპულსებით ცხოვრობს, მხოლოდ თითო-ოროლას მოთხოვნილება, უნარი და ხვედრია, გააცნობიერონ ყველაფერი, რაც ხდება.

მაგრამ, კმარა. ჩემი მეზობლები უღმერთოდ და უტრადიციოდ მთვლიან, რადგან აქტიურად არ ემონაწილეობ (როგორც ვითხარით, ბოლო წლებში მეტისმეტად ვახშირებულ) სამგლოვიარო რიტუალებსა და მათთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში.

მათი აგრესია განსაკუთრებით ამას წინათ დამატყდა თავს, როცა ოცდახუთიოდე წლის ბიჭის სიკვდილის ადგილას შემომთავაზეს გაყოლა და უარი მიიღეს. სვანები არიან და უძველესი რელიგიური წარმოდგენების მიხედვით სიკვდილის ადგილას მამალი უნდა მიეყვანათ, რომელსაც ფეხზე ძაფი ჰქონდა მობმული, მეორე ბოლო კი უკვე სახლში დასვენებული ბიჭის მაჯაზე შემოეხვიათ. ისე უნდა მისულიყვნენ ქალაქის მეორე უბანში, სადაც ბიჭი მოკლეს, რომ ძაფი უნდა ჰყოფნოდათ. ფეხით მიდიოდნენ და ძაფს სულ უმატებდნენ და უმატებდნენ, ბოლოს როგორც იქნა, დააბრძანეს დაღლილ-დაქანცული მამალი საავადმყოფოში, სადაც ბიჭი გარდაიცვალა. მამალს მისი სული უნდა წამოეყვანა სახლში. და ფრინველი თვალების ბრიალითა და ყივილით ახტა გარდაცვლილის საწოლზე და, ცხადია, შოკში ჩაჰყარა მედპერსონალი.

უნდა ვითხრათ, რომ ვერც ორიათასწლიანმა ქრისტიანობამ ამოძირკვა აქაური წარმართობა და ვერც სამოცდაათწლიანმა სავალდებულო ათეიზმმა, ერთმაც და მეორემაც შეითვისა იგი, მიუვალი მთიანეთის ჰერმეტიკულმა სივრცემ კი განსაკუთრებით კარგად დააკონსერვა. ამაზე ხატოვნად მეტყველებს ხარების, ძროხებისა და ცხვრების სისხლიანი თავები, ქრისტიანული დღესასწაულების დროს ეკლესიების ეზოებში რომ გორავენ, მთაშიც, ბარშიც და თვით დედაქალაქშიც.

სვანები დიდ უბედურებად თვლიან, რომ საზღვარგარეთ, მაგალითად, რუსეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში და სხვაგან გარდაცვლილი სვანების სულები მამლებს ვეღარ ჩამოჰყავთ სამშობლოში, და ისინი იქ უპატრონოდ დაბორიანდებიან. როგორც მათ

პკონიათ, ამის შედეგია, ახლა სვანეთში, განსაკუთრებით უშგულში, ზღვის დონიდან 2200 მეტრის სიმაღლეზე, არა თუ საქართველოს, არამედ ევროპისაც კი ერთ-ერთ უმაღლეს დასახლებულ ადგილას, მამლები ხშირად შუადღისას ან შუალამისას და თან ერთდროულად რომ იწყებენ ყივილს. ისინი მთელ პლანეტაზე მიმოფანტულ ქართველებს, მკვდრებსაც და ცოცხლებსაც, სამშობლოში უხმოებენ, განუცხადებია უშგულის უხუცესს: ასი წლის მარიამ გულედანს.

მოკლედ უარი ვუთხარი მამლის პროცესიაში მონაწილეობაზე. სამაგიეროდ, მე შეიძლება მოთხრობა დავეწერო მოკლულსა და მკვლელზე და დაწვრილებით აღვეწერო იმ დღის ნიუანსები, როდესაც ისინი დამეგობრდნენ. მკვასე უარი გამომივიდა, რადგან გამწარებული ვიყავი: სული მიწაკაწკებდა, ისე მინდოდა ჰოლდერლინის ერთი, სასწაული ლექსის თარგმანის დამთავრება. უჩემოდაც იოლას გახვალთ მეთქი, მივახალე, კარები ჩაკეტე და ჩემს მაგიდას ვეცი...

ნახვამდის. არ დაიგვიანოთ. **ლამარა.**

P.S. მაოცებს თქვენი – დასავლეთელების მიზანდასახულობა, სისწრაფე და მობიზლიზებულიობა, რაც ჩვენზე შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა, ხშირად დისკომფორტსაც გვიქმნის. ჩვენ ხომ დროის სხვაგვარი შეგრძნება გვაქვს და ჩარი ცხოვრება გვანადგურებს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვარ. ჩამოდიან გერმანელები, ფრანგები, პოლანდიელები და სხვები და ერთ კვირაში მთელი საქართველო მოვლილი აქვთ, ბევრი ჩვენზე უკეთ იცნობს ჩვენი ქვეყნის ბუნებას. რა სწრაფად მოვივლიათ მთელი ყაზბეგი! ჩემმა მეგობარმა მთასვლელმა მითხრა, ცოტა რომ ივარჯიშოს, მყინვარწვერზეც შეძლებს ასვლასო. ყოჩაღ!

პაინრიჰ!

უდიდესი ინტერესით დავეყურებ თქვენს პასუხებს. თქვენის აზრით:

ლექსი „ღვინის სიმღერა“ „Weinlied“ უნდა ეკუთვნოდეს ქართველ პოეტს და უნდა იყოს კარგი გერმანელი პოეტის მიერ თარგმნილი;

„ელეგია“ „Elegie“ („მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა...“) უნდა ეკუთვნოდეს ძველ გერმანელ პოეტს და უნდა იყოს კარგი ქართველი პოეტის მიერ თარგმნილი.

ხოლო ლექსი „პოეტის მოწოდება“ „Dichterberuf“ და „ხალხები დუმდნენ, ეძინათ...“ „Die Völker schwiegen, schlummerten...“ – ორივე ენაზე: ქართულადაც და გერმანულადაც საიდანღაც, რომელიღაცა მესამე ენიდან თარგმნილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თქვენს პასუხებზე მოგვიანებით ვიპასუხებთ. ახლა მეჩქარება. მიხარია, რომ ლექსები მოგწონთ, მართალი ვითხრათ, არ ველოდი.

P. S. კომპიუტერზე ქართულად ბეჭდვა ჯერ კიდევ რომ გაწვალებთ, რა გასაკვირია, როცა ჩვენც პრობლემად გვექცა, რომ 26 ასოსაგან შემდგარი ლათინური შრიფტი 33 ქართულ ასოს ვერ ასახავს, რის გამოც თანხმობენ თ, წ, ღ, ჩ, ჭ, ჟ, ძ იწერება სხვა ასოებს + Shift, ან ისე, პირდაპირ სხვა ასოებით. მეც და სხვებიც ყველაზე მეტ შეცდომებს სწორედ ამ ასოების წერისას ვუშვებთ. რამდენიც არ უნდა ვიმეორო, რომ, მაგალითად, ჭ = Shift + W; წ = უბრალოდ W-ს; ვ = V- ს; ღ = Shift + რ; ძ = Shift + Z და ა. შ. მაინც მემღება ხოლმე. რას ვიზამთ, მეგობარო, სწორედ ჩვენი განსხვავებები ქმნიან პრობლემებს და კიდევ ის, რომ იძულებული ვართ, უცხოების მონაპოვარს მოვარგოთ ჩვენი. მაგრამ, იმ დღეს რომ გიყურებდით, სულაც არ მქონდა იმის განცდა, რომ ქართულად ბეჭდვა დიდ სიძნელეს ვიქმნიდათ. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ პრაქტიკული პრობლემაა. მაგას ადვილად მოერევი, იმიტომ რომ ჯერ ახალგაზრდა ხართ და თან გერმანელი. აი, ლექსების კი რა მოგახსენოთ.

ნახვამდის. **ლამარა.**

ბამარჯობათ.

არ ვიცი, რა მეშველებოდა, რამდენიმე ადამიანი რომ არ შემხვედროდა! მაგალითად, ჰოლდერლინი და ნოვალისი. არასოდეს დამავიწყდება ის ორი ძველი, პატარა, გოთურშირფტიანი წიგნი, თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რომ აღმოვაჩინე! ეს ე. წ. „ნადავლი წიგნები“ იყო, მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩვენმა ჯარმა გერმანიიდან რომ ჩამოიტანა. ნახევარი არ მესმოდა, რას ვკითხულობდი, პირველ კურსზე ვიყავი და ჯერ გერმანულიც არ ვიცოდი ხეირიანად, მაგრამ ვეღარ მოვშორდი. მონუსხული ჩავშტერებოდი. ჩემი ცხოვრების მიზნად იქცა გაგება იმისა, რასაც ისინი მეუბნებოდნენ. მათ ერთგვარი სულიერი დესანტის როლი შეასრულეს ჩვენს მატერიალისტურ გარემოცვაში, რაც საბჭოთა ჯარის მიზანი ნამდვილად არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ: საკვირველ არიან გზანი წიგნებისანი.

რა შეიძლება იყოს საიდუმლოზე უფრო შემპყრობი! ეს ორი ადამიანი თავად იყო განსაცვიფრებელი საიდუმლო. „საიდუმლო სიწმინდიდან მოედინებაო“, ან: „რაც სიწმინდიდან მოედინება, საიდუმლოაო,“ („Ein Rätsel ist Reinenentsprungenes“) – ამბობს ჰოლდერლინი. ამასვე ამბობს ჩემი ძვირფასი ვაჟაც: „ვერ ვსაზღვრავე ჩვენის ტვინიოთა, იმას, რაც წარმოდინდება სიწმინდის ჭურჭლის პირითა“. (რომელი სიტყვაც არ გესმით, თავად მოძებნეთ ლექსიკონში).

და ასე გაფაციცებული და მათ სტრიქონებს ჩაშტერებული გამომატარეს მრავალი წელი, და მე მათი წყალობით არასოდეს მქონია განცდა, რომ ცხოვრება მოსაწყენი და უაზროა. ჯერ ჰოლდერლინი მოვიდა ჩემთან და სწორედ მის უბადლო კეთილშობილებას უნდა ვუბადლოდე, რომ ლაზღანდარობა, უაზრო მასლაათები და დროის ფუჭი ფლანგვა ჩემს განსაცდელად ნაკლებად იქცა და მხოლოდ უსასრულო ნაღველით მივსებდა გულს, როგორც თავად მას, ჩემს ძვირფას პოეტს... დიას, რაღაც ისე მოხდა, რომ, პირველ რიგში, ეს მანათობელი სულები მექცნენ მეკავშირებად იქ, სადაც მე დგომას ვცდილობდი: კაცობრიობისათვის ცნობილი სინამდვილეებიდან ერთ-ერთ ყველაზე არანამდვილში, სიცრუის, სისულელისა და ძალადობის ტოტალურ ორგანიზაციას რომ წარმოადგენდა და ენის წარმოუდგენელ გაუკუღმართებას იწვევდა. ო, მას რომ ეს სცოდნოდა, რა შუქის მიტანას შესძლებდა დაკარგულ კუნძულზე მოხვედრილებთან, მას, რომელიც თვითონ ასეთი ახალგაზრდა შთანთქა ჩემთვის დღემდე გაუგებარმა სიბნელემ. ეჰ, პოეტები მართლაც მხსნელები არიან, მაგრამ იმ მთავარი მხსნელის კვალდაკვალ – მხოლოდ თავიანთი მსხვერპლის ფასად. მან ეს იცოდა. თავადვე ადარებს პოეტებს ქრისტეს. (განსაცვიფრებელია მისი ლექსი „ერთადერთი“).

იცით, რაშია საქმე? ჩემი პოეტი პრობლემას იმაში ხედავდა, რომ „ამქვეყნიური“ ყოფილიყო, რადგან მეტისმეტად სულისძიერი გახლდათ, სული კი აქროლადია. ხოლო დღევანდელი პოეტის პრობლემა ის არის, რომ ცოტა მაინც იმქვეყნიური იყოს (რაც უკვე ძალიან ძნელია), რადგან მეტისმეტად ამქვეყნიურია. ანტირელიგიურმა ტოტალიტარიზმმა, რაც ჩვენ გავიარეთ, მაგრამ ვერ შევიცანით, კარგად დაგვანახა: რას ნიშნავს ცასა და მიწას შორის კავშირის გაწყვეტა. დასავლეთმა კი სხვა განსაცდელი გაიარა და გადის. დედამიწაზე მხოლოდ განსაცდელის სახესხვაობებთან გვაქვს საქმე. შედეგი კი, მაღალი აზრით, ჩანს, რომ ერთი და იგივეა: „ადამიანის მეტაფიზიკური გამოსულელება“, როგორ ფრანც ვერფელი იტყოდა. ჰო, ჩვენ ძალიან ნელა და დიდი ტანჯვის საფასურად ვავროვებთ ცოდნას, რომლის გამოყენებას უმეტესად ვეღარც კი ვასწრებთ:

..... Lang ist
die Zeit, es ereignet sich aber
Das Wahre.

(„Mnemosyne“)

..... გრძელია უამი,

ჭეშმარიტება კი მაინც
ხორციელდება.

(“მნემოზინე”)

Wa- hre – ჭე-შმა-რი-ტე-ბა (če-schma-ri-te-ba).

ხედავთ, რამხელა სიტყვაა ქართულში “ჭეშმარიტება?” მისი წარმოთქმა ალბათ გაგიჭირდებათ.

კეთილად ბრძანდებოდეთ. **ლამარა.**

P.S.

ა. მომილოცავს, სვანეთი მშვიდობიანად რომ მოვივლიათ. მაგ მიუვალ მთებში და კლდეებში ხომ ჯერ კიდევ დაძრწიან ყაჩაღები. კარგია, ჩემი რჩევა რომ გაითვალისწინეთ და სვანი გაიყოლეთ თან. მაგრამ ცუდია, ამის გამო გააკეთილები რომ გააცდინეთ.

ბ. ღმერთო ჩემო, არაფერი არ გავიწყდებათ! (ჩემგან განსხვავებით).

მეკითხებით, რას ნიშნავს “ხატის ავადმყოფობა” და მაინც რა სჭირს “კედელაანთ მაროს.” გიპასუხებთ:

ფენომენი მარო სხვა სოფლიდანაა გამოთხოვილი ჩვენთან. გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ დაყრუებულია და დამუნჯებულია. მერე ჩალოვინებულია, ლეთარგიული ძილიც დამართნია. ასე ყოფილა ორი წელი. შემდეგ ამდგარა და სრულიად მარტო წასულა ერთ შორეულ სალოცავში, მაღალ მთაზე რომ მდებარეობს. ეს სალოცავი, ისევე როგორც ბევრი სხვაც, წარმართული წარმოშობისაა, შემდეგ ქრიტიანობამ რომ შეითვისა. იქედან საღ-სალამათი დაბრუნებულია და უთქვამს, წმინდა მარიამმა მითხრა, ჩვენ უნდა გვემსახურო და კარგად იქნებოდ. ამის შემდეგ მარომ ჩუმად იშოვნა ბიბლია და ლამის დაიხეპირა, დაიწყო ეკლესიაში სიარული და გალობა, მიტოვებული და დაბინძურებული საყდრების დაგვა-დასუფთავება. მას აქვს რაღაც ხილვები. ასე ამბობს, თქვენ რომ მობილურები გაქვთ, მე მასეთი ტელეფონი ყურში მაქვს და სხვადასხვა ეკლესიები და სალოცავები მირეკავენ, მელაპარაკებიან და ხშირად თვითონ მიბარებენო. რაც კი საქართველოში ეკლესიებია, ყველა მოვლილი აქვს, მთაში და ბარში. აი, ასეთია დაახლოებით “ხატის ავადმყოფი.” განსაკუთრებით მთაშია გავრცელებული.

+++++

=====

|||||||

გამარჯობათ, ჰაინრიჰ! გუშინ უკვე სრულიად უაქცენტოდ წარმოსთქვით ეს სიტყვა კაფეში: „გამარჯობათ“. „ჯ“ - საც კი მოერიეთ. ვერავინ მიხვდა, ქართველი რომ არა ხართ. მე, როგორც თქვენს მასწავლებელს, სიამაყის გრძნობა დამეუფლა, მგონი, ამის გამო ყელიც კი მოვიღერე, და თინამ, რომლის მხსრეკელ მზერასაც არაფერი გამოეპარება, ყურში ჩამსისინა: რა ფარშევანგივით იფხორებოდ.

ხოლო ბოლოს, როცა მართლა დაამარცხეთ ჯავშნოსან თანხმოვანთა მთელი რაზმი (ყ.წ.ღ) და ნიკო სამადაშვილის სტრიქონები არაჩვეულებრივად სუფთად წარმოსთქვით, მართალი ვითხრათ, თვალებზე ცრემლები მომადგა:

**„სამყაროს ბოლოს მზე მოსჩანდა როგორც წერტილი,
და მე მეგონა ეს ქვეყანა იქ თავდებოდა,**

**რად სჩანდა ზეცა ღრუბლიანში გადაწეწილი,
ან შეშლილ პოეტს ღვთისმშობელი რას დაჰყვებოდა.”**

იცით, “ღვთისმშობელს” ჰქვია ჰოლდერლინის ერთი ჰიმნის ფრაგმენტს, რომელიც უკვე სულიერად დაავადებულმა დაწერა.

An die Madonna

Viel habe ich dein
Und deines Sohnes wegen
Gelitten, o Madonna,
Seit ich gehöret von ihm
In süsster Jugend;

„ძალიან დავიტანჯე
შენი და შენი შვილის
გულისთვის, ო, მადონნა,
მას აქეთ, რაც ბავშვმა
შევიტყე ამბავი მისი.”

განა რამდენი იგრძნობს ამ ენით გამოუთქმელ სიმძიმეს, ამ ტანჯვის უძირობას! მართლაც განსაცვიფრებელია დიდ გერმანელთა (და გერმანულენოვანთა) დაუინებუ-ლი და ტანჯული ღვთისმადიებლობა, ხშირად მხოლოდ იმ სინამდვილის საშინელების აღწერით რომ ვლინდება, საიდანაც ღმერთი გამქრალა. იცით, ერთმა თქვენმა დიდმა ფილოსოფოსმა XIX საუკუნის შუა ხანებში რა სთქვა? „ქრიტიანობის ბედი გერმანი-აში გადაწყდებო.“ მაგრამ ეს ხომ წარმოუდგენელი განსაცდელების გავლას ნიშნავდა, რაზედაც მას მაშინ ფიქრიც კი არ შეეძლო?! ნუ დამცინებთ, და მე ყოველთვის მჯერო-და ამ სიტყვების, იქამდე ვიდრე ჩვენი დაქცეული სახელმწიფოს გახსნილი საზღვრე-ბიდან შემოსული ცოცხალი გერმანელები არ გავიცანი, რომლებიც ჩვენთან ახალი ცხოვრების: თავისუფალი ბაზრის, ახალი ბუღალტერიის, ახალი სასამართლოს, კაპი-ტალიზმისა და სამოქალაქო საზოგადოების ასაშენებლად ჩამოვიდნენ ამერიკელებთან, ინგლისელებთან, ფრანგებთან, პოლანდიელებთან და სხვებთან ერთად. მათ მუშაობა ნამდვილად იციან და ჩვენთვისაც და თავისთვისაც სიკეთე უნდათ, მაგრამ, საკუთარ ლიტერატურაზე ვერავის დაელაპარაკები. ალბათ ამიტომ ვერ გრძნობენ ჩვენს სინამდ-ვილეს, რომლის გარდასაქმნელადაც აქ ჩამოვიდნენ. სხვები კი ჩვენთან ჯერ-ჯერობით არ ჩამოდიან. ნუ გეწყინებთ. ხომ იცით, რაც მაღაპარაკებს.

კიდევ ერთხელ ვიხდით ბოდისს, მთელი სამი გაკვეთილი რომ გავიცდინეთ, და მადლობას, დრო რომ არ დავიკარგავთ, და ასე კარგად გიმეცადინიათ.

რომ არა “ზედაშეს” მოულოდნელი და ფატალური ისტორია, ჩვენი მეცადინეობის კარგ ტემპს რა დამარღვევინებდა. რაკი გაინტერესებთ, მოგიყვებით, რაც გადამხდა თავს.

ჩემი სოფლელი ქალი მეორედაც მეწვია. ჯერ კიდევ იმ პირველი ვიზიტის დროს თავის ღვინის ბიზნესს ამგვარი განვითარება მისცა: რაკი მისი სუფთა, ნამდვილი კახური, თეთრი, მშრალი ღვინო (ხომ მოგეწონათ?) ბაზარზე მთელი სამი დღე არავინ იყიდა, – ზოგი ფერს უწუნებდა, ზოგი გემოს, – და საწყალს იქ დგომით ფხვები დაუსივდა და გაეყინა, ადგა და გადაამუშავა: შაქრის ფხვნილი მოხალა, მერე ჩაის მუქ ფერში გახსნა და ღვინოში აურიო. მიიღო იგივე სასმელი, რასაც ყველა ესოდენ წარმატებით ყიდდა “დეზერტირის ბაზარზე” და თვითონაც ორ საათში გაყიდა.

ამჯერადაც ასე მოიქცა და მეორე დღეს ერთად წავედით სოფელში. იმან ღვინოში

ადებული ფულით პურის ფქვილი იყიდა, მე კი მაშინვე შევუდექი ზედაშეს საქმის მოგვარებას. რა უნდა მექნა? “ხატის ავადმყოფი,” კედელაანთ მარო სოფლის ბოლოს, კაკლის ხის ძირას დამხვდა და ხელით მრავლისმეტყველად მიმანიშნა ჭინჭრით მოფენილ მრგვალ მოლზე, სადაც ოდესღაც ჩემი წინაპრების ქვიტკირის სახლი და მარანი მდგარა. მოლის შუაგულში სახლის მინიატურული სახურავის ნაშთები მოსჩანდა. ასეთი სახურავები აქვთ დრო-ჟამით დანგრეული საგვარეულო მარნების ქვევრებს, მიწაში რომ რჩებიან. სახლისა და მარნის ოდინდელ პატრონთა შთამომავალნი ჩვეულებრივ, უკვე სხვა ადგილას ცხოვრობენ, მაგრამ მათ ადათი უბრძანებს, არ დაივიწყონ საგვარეულო ქვევრები, გადახურონ ისინი, რათა შიგ წყალი არ ჩავიდეს და საერთოდ, მოვლილი შეინახონ. საგვარეულოს წევრები ვალდებულები არიან, წელიწადში ერთხელ მაინც შეიკრიბონ იქ, სანთლები დაანთონ, პატარა სუფრა გაშალონ, წინაპართა სადღეგრძელოები შესვან, თუ შესაძლებლობა აქვთ, ცხვარი დაკლან, მერე საჭმელი და ღვინო მეზობლებს გაუნაწილონ. ზედაშე საოჯახო მარნის ღვინოს ერქვა, ღვინოს, რომელსაც (ჯერ ღმერთებს და) შემდეგ ღმერთს სწირავდნენ. იმ კუთხეში, კი საიდანაც მე ვარ, ახლა მიტოვებულ მარანსა და ქვევრებსაც უწოდებენ.

საქმე ის არის, რომ საქართველოში მარანი ოჯახის წმინდა ადგილის, სალოცავის მნიშვნელობით იყო დატვირთული. მას უკავშირდებოდა აგრეთვე წარმოდგენა სახლის, ან ფუძის ანგელოზზე, რომელსაც ხალხის რწმენით, გველის, უფრო თეთრი გველის სახე ჰქონდა და მარანში, ქვევრების ძირში ცხოვრობდა. ერთ ან ორ ქვევრს ღმერთს სწირავდნენ. მათში მდგარი ღვინო მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე უნდა დაღეულიყო, ქვევრის ახდის უფლება კი მხოლოდ ოჯახის უფროსს ჰქონდა. თუ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებსა და დღესაც ცოცხალი მოხუცების მონაყოლს დავუჯერებთ, ზედაშე ძალიან მკაცრი საკრალური ადგილი იყო და წესების დარღვევას ვერ იტანდა. არ შეიძლებოდა მარანში ისე, უსაქმოდ ჩასვლა, ბავშვების თამაში, ხმამაღლა ლაპარაკი და ა.შ. ერთხელ თამაშში გართულ ჩემ უფროს მამიდას, ასე, თერთმეტი წლისას მარანში ჩაერბინა და ზედაშეს ქვევრზე გადამხტარიყო. იმ წამსვე გონი დაეკარგა და იქვე დაცემულიყო. ასე შეეტანათ სახლში და ბებიაჩემს მუხლები გადაეყვლიოდა წმინდა გიორგის ეკლესიაში ფორთხვით, ძლივს დაეყაბულებინა ქართველთა უსაყვარლესი წმინდანი საქმეში ჩარეულიყო, ზედაშე დაემშვიდებინა და ბავშვი მოესულიერებინა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ სულ ასე ჰყვებოდა ხოლმე, ძლივს დაეყაბულყო. მეორედ ჩემ უმცროს მამიდას დამართნოდა მსგავსი ფათერაკი. დახუჭობანას თამაშის დროს სხვათა მარანში, ზედაშეს უკან დამალულიყო. იმ ღამით მაღალი სიციხე მიეცა და მთელი ტანი წითელი ლაქებით დაჰფარვოდა. ბებიაჩემს წმინდა გიორგის კიდევ ერთხელ შეწუხება ვეღარ გაებედა და წმინდა ნინოს მონასტერში გაქცეულიყო. მისი აზრით, წმინდა ნინოს წმინდა გიორგიზე ახლო კავშირი უნდა ჰქონოდა ზედაშესთან, რადგან ხელში თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვარი (ქართველთა მთავარი სიმბოლო) ეჭირა, რომლის ვერტიკალური ნაწილის ბოლოები თვალში საცემად იყო დედამიწისაკენ დახრილი. შინ მობრუნებულს, პატარა თამრიკო უკვე გამოკეთებული დახვედროდა.

აი, ამ ყველაფრის წინაშე ვიდექი ახლა, ჩემი მოგონებებიც საკმაოდ მაფორიაქებდა, “კედელაანთ მარო” კი თავისას მიმატებდა და სიზმარში ნანახი სამი შაფოხოსანის სიტყვებს იმეორებდა. საერთოდ, მას მუდამ სჩვეოდა ზედაშეზე, როგორც ცოცხალ, პიროვნულ არსებაზე ლაპარაკი. “დამიძახა”, “მითხრა”, “დამესიზმრა,” “ნაწყენია,”- ო იცოდა ხოლმე თქმა, რაც მე, მართალი გითხრათ, მუდამ მაღიზიანებდა, რადგან თავად კერაფერს განვიცდიდი, უბრალოდ, შიშის გამო ვცდილობდი მოვლას, მართლა რამე არ დაგვმართოს მეთქი, ან უფრო ჩემი მამა-პაპის მიმართ პატივისცემა მამოძრავებდა. რატომ უნდა ამეგდო აბუჩად ის, რასაც ისინი მოწიწებით ექცეოდნენ! მეცოდებოდნენ კიდევ. მათი შრომაც მენანებოდა. ვინ იცის, საიდან მოათრიეს ხარებ-თუ კამეჩებშებ-მუელი ურმებით (ქიზიყს ადრე კამბეჩოვანი ერქვა) ამხიძიძი ქვევრები, რა წვალებით ჩაყარეს ამ, უწყლო, მაგარ მიწაში, უწყლობისავე გამო რა წვალებით უვლიდნენ სახლის წინ გაშენებულ ვენახს.

მაგრამ აი, ის ერთადერთი ქვევრიც, რომელიც გვქონდა, გამქრალიყო, მიწას შეესრუტა. და მარო ფანატიურად იმეორებდა, ახლა ერთი კი არა, სამი გვაქვს მოსაძებნი, რადგან სიზმარში მითხრეს, სამნი ვართ და ერთად გვინდა ცხოვრებაო.

სამი დღე ამოდ ვათხრევინეთ მეზობელ კაცს მიწა, დღეში ოცდახუთ ლარად. მერე კი ბუღლოზერის მოსაყვანად წავედი. როცა 1990 წლიდან, არჩევნებში კომუნისტების დამარცხების შემდეგ, საბჭოთა კოლმეურნეობები დაიშალა, სოფლის კუთვნილი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა: ტრაქტორები, კომბაინები, ბუღლოზერები კერძო პირებმა დაიტაცეს,

ან დაშალეს და ნაწილებად გაყიდეს თურქეთსა თუ რუსეთში, ან თვითონ ხმარობდნენ და მომსახურებაში საკმაოდ ძვირს ითხოვდნენ. აღმოჩნდა, რომ ახლა მთელ ხუთ-ექვს სოფელს ერთი ბუღლოზერი ემსახურებოდა და ისიც ადგილობრივ “მოქალაქეთა კავშირის” წევრებს წაყვანათ წინასაარჩევნოდ მოსახლეობის გულის მოსაგებად: წმინდა ნინოს მონასტრისაკენ მიმავალი გზა უნდა შეეკეთებინათ, რომელიც შარშან გაზაფხულზე დიდ წვიმების შედეგად გაჩენილმა მეწყერმა შუაზე გახლიჩა და მონაზვნები ქვეყანას მოსწყვიტა, ახლა ფეხით თუ ამოვიდოდნენ იმ ხევიდან ზემოთ, სადაც კვიპაროსებში ჩაფლული მონასტერი იდგა.

აქ გარდაიცვალა კაბადოკიელი ქალწული ნინო, რომელმაც მეოთხე საუკუნეში, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, სიზმარში გამოცხადებული ღვთისმშობლის თხოვნით საქართველო გააქრისტიანა. ისე, უკვე გეცოდინებათ ალბათ (რადგან ქართველები და სომხები უცხოელებს, პირველ რიგში, თავიანთ უძველეს სარწმუნოებას, საერთოდ, თავიანთ უძველესობას ამცნობენ ხოლმე), ქრისტიანობა პირველსავე საუკუნეში რომ გავრცელდა საქართველოში არაოფიციალურად მოციქულ ანდრიას წყალობით. რა წყაროებს ეყრდნობა ეს გადმოცემა, არ ვიცი.

ამოდ ვეხვეწე “მოქალაქეთა კავშირის” იქაურ ხელმძღვანელებს, რამდენიმე საათით ბუღლოზერი ეთხოვებინათ. არაფრით განსხვავდებოდნენ კომკავშირლებისა და კომუნისტებისაგან, ხალხი, უბრალოდ, კომუნისტური პარტიიდან გამოვიდა და ახალ პარტიასა და ეკლესიაში შევიდა. ტელევიზია მოეყვანათ და ზარზემით აუწყებდნენ ქვეყანას, იზოლაციაში მოხვედრილი მონასტრის გადარჩენას “მოქალაქეთა კავშირის” მიერ, “ვერაგი სტიქიის ნაკვალების” აღმოფხვრას, “სამუდამო გზების” გაყვანას...

ნერვები მომეშალა.

“რატოა მხოლოდ ერთი ბუღლოზერი და ერთი კომბაინი მთელ სიღნაღის რაიონში, როცა გერმანიამ ამდენი ფული ჩადო სოფლის მეურნეობის განვითარებაში?” – ლამის კბილების ღრჭიალით მივახალე ხელმძღვანელ “მოქალაქეებს” – “შარშან გლეხებს მოსავალი გაუოხრდათ, ყანები ვერ მომკეს, წელსაც იგივე ელთ. რა უყავით ის ფული? გამოიტენეთ, არა?” – და ხელები რამდენჯერმე მივირტყი ქურთუკის ჯიბეებზე. გზის ორივე ინჟინერი თვალეზაჭყეტილი შემომცქეროდა, როგორც რაღაც პრეისტორიულ არსებას. ბოლოს გონს მოვიდნენ და: “გერმანია არაფერს ამბობს და თქვენ რისთვის იშლით ნერვებსო”.

რა უნდა მექნა? დაღმართზე დავეშვი და ფეხით ჩავედი მონასტერში და იღუმენიას, დედა ბარბარას, მივმართე თხოვნით. „სამივე? სამივე ჩაყლაპა მიწამ?“ – სამჯერ მკითხა, შეშფოთებული ჩანდა. აშკარად შეეშინდა, უარი ეთქვა, ვაითუ, ზედაშე გაბრაზდესო, რომელიც ალბათ ისედაც გაბრაზებული იყო, რაკი მიწაში ჩაიმაღა. სწორედ ასე თქვა, ალბათ გაბრაზებულიაო. ისიც მამცნო, რომ ბოლოს მონასტერში მყოფ პატრიარქს ქადაგებისას პირდაპირ მიემართა ქიზიყელებისათვის: ზედაშეებს მიხედეთ და მოუარეთო. ვიდრე იღუმენია ორ მონაზონს ეთათბირებოდა და ბუღლოზერის გამოთხოვის გეგმას ამუშავებდა, ეკლესიაში შევირბინე და სანთელი დავანთე ღვთისმშობლის ხატის წინაშე, რომელიც თავისი სიღამაზით და კიდევ იმით იყო ცნობილი, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა მონასტერი საავადმყოფოდ გადააკეთეს, ათეისტმა ექიმებმა ხატი

ოთხ ფეხზე დააკრეს და საოპერაციო მაგიდად აქციეს. ასე რომ, ღვთისმშობელს ზედ სახეზე და ხელებზე უწყობდნენ უნარკოზოდ გაჭრილთა შინაგან ორგანოებს. არ ვიცი, ამით იმ ორგანოებს რა ემართებოდათ, მაგრამ თვითონ მარიამს სახე დაეკაწრა და ნიკაპთან გაეჭრა კიდევ. ყოველ შემთხვევაში მე ასე მახსოვს. “წუხელ კიდევ ტიროდაო,” ცუდად შენიღბული სიამაყით ჩამწურხულა მსახურმა ქალმა. “ვერ გავიგე, – ჩაწურხულე მეც, – რატომ კომუნისტების დროს არ ტიროდნენ?” საქმე იმაშია, რომ დემოკრატიის ეპოქაში გაძლიერებულ სასულიერო წოდებას თუ დაუფხერებთ, ძალიან ბევრმა ხატმა სწორედ ახლა დაიწყო ტირილი, ფილმიც კი გადაიღეს, სადაც ჩანს, ცრემლები რომ სდით ხატებს, ძირითადად ქრისტეს და ღვთისმშობელს.

მე პირადად არ მჯერა, თუმცა, პრინციპულად არანაირ აუხსნელ მოვლენას არ გამოვრიცხავ. მაგრამ ნერვები მეშლება, ხატების ტირილით რომ ამაყობენ, რადგან ეს, როგორც სასწაული, მათ მონასტრებს ღირსებად ეთვლება. “ჩვენი შემხედვარე იტირებენ, აბა რას იზამენ”-მეთქი და ბერი და ერი ვიგულისხმე. მე ზოგი ჩემი ნაცნობივით შორს არ მივდივარ და ხატების ტირილში პოლიტიკურ მოტივაციას არ ვეძებ. მათი შეხედულებით, რუსეთის ეკლესიის გავლენის ქვეშ მყოფი და მისი “აგენტებით სავსე” საქართველოს ეკლესია განგებ ამკვიდრებს იმ აზრს, რომ მართლმადიდებლური რუსეთიდან დისტანცირება და კათოლიკურ-პროტესტანტული (ხალხურად: “მასონური” (!)) დასავლეთისკენ წასვლა ზენა ძალების მიერ უბედურებად მიიჩნევა.

აღბათ გზის ინჟინრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, იღუმენიას ძვირფასი ქვებით მოჭედილი დიდი ჯვარი დაეჭირა და ხუთამდე შაოსან, კრიალოსნიან მონაზონთან ერთად ნელა უახლოვდებოდა დამეწყრილ ადგილს, სადაც ბუღდლოზერი აღმართულიყო. ორი ინჟინერი მართლაც შორიდანვე მოექცა შთაბეჭდილების ქვეშ, გაღსტუებები გაისწორეს და მსახურ ქალთა გუნდის შესაგებებლად დაიძრნენ. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ უეცრად, სად იყო და სად არა, შავთეთრი ბატკანი გამოხტა გზაზე, ბატკანი, რომელიც წელან მონასტრის ეზოში დაბორიანებდა და მაშინვე თვალში მომხვდა დიდი, შავი ლაქების გამო, განსაკუთრებით სახეს რომ უუცნაურებდნენ, შეძლება ითქვას, უუშნობდნენ, თითქოს სახეზე დიდი, შავი სათვალე ეკეთა. უფრო ცივილიზებული მორწმუნეები აღთქმულ ბატკანს, ცხვარსა თუ მამალს კი არ კლავენ, არამედ ცოცხლად სწირავენ ხოლმე ეკლესიებს, რომელთა მსახურები მერე თვითონ მიირთმევენ ხსნილში. გაუგებარი იყო, რა დაეძგერა, რომ გველნაკბენივით გარბოდა. მონაზვნებს გვერდი გააკრა, მე თვითონ ავუქციე გვერდი, ინჟინრებს თვითონ აუქცია, ვერავინ შეაჩერა და ნამეწყრალში გადაიჩეხა. ადგილზე გავშეშდი, ახალგაზრდა მონაზვნებმა კი სასწრაფოდ აიწიეს კაბის კალთები, იღუმენია მიატოვეს და შეიძლება ითქვას, სპორტული სირბილით მიაწყდნენ ნაპრალს. მადლობა ღმერთს, იქ დაბალი წყალი მდგარიყო და ახლა ბატკანი შავ წყალში იდგა და პანიკურად ბლაოდა, მის თავთან კი თევზის კონსერვის ცარიელი ყუთები დაცურავდნენ. თავგზააბნეული მთავარი ინჟინერი მუშებს დაეტაკა, რო ხეთქავთ, კონსერვის ყუთებს ძირს რაღად ისვრითო. მონაზვნები და მე ნაპრალს ჩავეყურებდით და ვცდილობდით, ბატკანი დაგვემშვიდებინა. გაჩნდა აზრი, რომ ბატკანი ბუღდლოზერით ამოგვეყვანა, მაგრამ იმის აღრიალებაზე სულ ჭკუაზე შეიშალა და კინაღამ იმ წყალში ჩაიხრხო. ერთმა მუშამ სქელი თოკის გორგალი მოათრია და გაშლა დაიწყო, თან ხელით გვანიშნებდა, მე ჩავალ და დამიჭირეთო. ყრუ-მუნჯი ყოფილიყო. მოკლედ, მუშებმა თოკით ჩაუშვეს და მერე ბატკანთან ერთად ამოათრიეს. მაგრამ რა გინდა! აღარ გაუშვა ბატკანს ხელი, არ მოგცემთო, გვანიშნებდა, თურმე გონებასუსტიც იყო და იღუმენიამ ხელი ჩაიჭინა, ჯანდაბას, იყოს მაგისო. მე ვანიშნე (ყელზე ხელი გავისვი) არ დაკლა მეთქი და იმან ღმუილი დაიწყო: ამ უესტმა თავზარი დასცა.

ახალი წიგნი გამოვიციათო, მითხრა იღუმენიამ დამშვიდობებისას. დაბნეულმა დაუუქნიე თავი. დავაბარე და ხვალ-ზეგ ჩამომიტანენ თბილისიდან, ძალიან მაინტერესებსო. გამიკვირდა. ის ჩემი სტუდენტი იყო, როდესაც მე ოცდაოთხი წლისამ ლექციების კითხვა დავიწყე თბილისის უნივერსიტეტში. ვერმანული ლიტერატურის ისტორიას

ვუკითხავდი. ისიც დაახლოებით მაშინ აღიკვეცა მონაზვნად, როდესაც მე იდეოლოგიური მოსაზრებებით უნივერსიტეტი დამატოვებინეს, პირჯვარი გადამწერა და მერე რაღაც უხერხულად და სევდიანად წარმოთქვა:

*Ich sehe dich in tausend Bildern,
Maria, lieblich ausgedrückt,
Doch keines von allen kann dich schildern,
Wie meine Seele dich erblickt....*

და მერე თავისი თარგმანიც მიაყოლა, თარგმანით იყო სტუდენტობისას გატაცებული:

გხედავ უამრავ სურათ-ფრესკებზე,
მარიამ, შენს ნაზ, ძვირფას სახეებას,
მაგრამ ვერ გხედავ ისეთს ვერცერთზე,
ჩემს სულს უამი-უამ რომ ეცხადები.

მთელი შვიდი საათი იმუშავა ბუღდოზურმა, გადათხარა მთელი მდგლო და ვერაფერი იპოვა. მე უკვე ვტიროდი. უზარმაზარი კაკლის ხის ფესვებზე ვიჯექი და ვტიროდი, თან უაზროდ ვაბორიალებდი ხელს ხის ქერქის ხავსიან ნატეხებს შორის, ძირს რომ ეყარა.

სოფლის ზემო უბნიდან ნათესავი კაცი, ჩემი პაპიდის შვილიშვილი, იღო, ჩამოვიდა „ნივით“ და ფული იმან გადაიხადა, მე აღარ მქონდა. ბუღდოზურმა ქშენით და ღრიალით დასტოვა იქაურობა. მძლოლს ჩემი ახალი წიგნი გავატანე იღუმენიასთან: “ჰიოდღერლინი და ნოვალისი. მზადება მომავლისათვის” და ისევ ხის ქვეშ დავბრუნდი.

მარო დეიდაც ჩემს გვერდით ჩამოჯდა. კაკასიონის თოვლიან მწვერვალებს გავცქეროდი. უცებ მომიტრიალდა და მითხრა: “არ უშვებს. უცხოს არ უშვებს, ვინმე თქვენი გვარის წევრმა უნდა თხაროს.” უარესად მოვიშალე, მარო ერთხელ კიდევ გავგმირე მზერით, უილაჯობისაგან იღოს ჩაუჯექი მანქანაში და სახლში გავეყვი.

აქაც არაფერი დამხვედრია სანუგეშო. დამინახა თუ არა ოთხმოცი წლის მანია მამიდამ, ანუ იღოს დედამ, მკითხა, გამოსასყიდი მოიტანე თუ არაო. ისეთი გამწარებული სახე ჰქონდა, არას თქმა შემეშინდა და დიახ – მეთქი. ო, ღმერთო ჩემო, აღმოხდა, მუხლებზე დაეცა და ხელები ალაპერო: დამთავრდა ჩემი სასტიკი ტყვეობა ამ ურჯულეობის ხელში, ახლა კი დავბრუნდები ჩემი პაპა-ბებების სახლში, ნუკრიანის ბოლოს, ბებერი ლეღვების ტვერში, შავი ყურძნის ტალავერშიო და ძველისძველ ჩემოდანში ტანსაცმლის, წინდის ჩხირების, ყაისნაღების, კოტონის ქილების, ბაწრით შეკრული წერილებისა და სხვა ძველმან-წვრილმანის ჩალაგებას შეუდგა. “ურჯულოებში” თავის შვილს, რძალსა და ორ შვილიშვილს გულისხმობდა, რომელთაგან ვერც ერთს ვეღარ სცნობდა თურმე და თავის გამტაცებლებად მიაჩნდა, რომელთაც ის გამოსასყიდის მიღების მიზნით მძევლად აყვანათ. (ალბათ მის ბებერ ყურამდეც მიეღწია მძევლად აყვანის მთელს მსოფლიოში გახშირებულ პრაქტიკას). ზოგჯერ ძაღლს უსევდა, ზოგჯერ სახრეთი დაერეოდა ხოლმე და იყო თურმე ერთი წივილ-კივილი.

თავი თორმეტი წლის გოგონა ჰგონებოდა, სტუმრად შემოსული მეზობლები კი თავისი ბავშვობის ახლობლები: დედა, მამა, პაპები, ბებიები, დეიდები, მამიდები, ბიძაშვილები თუ მამიდაშვილები. ეს დიდი ხნის გარდაცვლილი ადამიანები მის განსაცვიფრებელ, ათასობით დეტალით დახუნძლულ მეხსიერებაში სრულიად ცოცხლად არსებობდნენ, მეხსიერებაში, რომელსაც ბავშვობის მეტი აღარაფერი შემორჩენოდა. მეც თავისი ბიძაშვილი ვეგონე, რომელიც თორმეტი წლისა ჭიაკოკონობის დროს ცეცხლში დამწვარიყო. ოღონდ, მას არავისი სიკვდილი აღარ ახსოვდა.

“მეცი ფული მაგ უღმერთოებს და ეხლავე წავიდეთ ნატა ბაბოსთან და სოსია პა-

პასთან. ჩემი თოჯინები ხომ იქვე არიან, ფანჯრის რაფაზე დავტოვე. ჩემი წითელი კაბა, წინწკლებიანი, ხო იქვეა, შკაფში, საადღვომოდ რო მიყიდა ნატა ბაბომ, ამ აღდგომასაც იმას ჩავიცმევ და ისე წავიდეთ ძელი ცხოვლის ეკლესიაში, ვანო ხო იქ იქნება, თავის ახალუხში, როგორ უხდება არა? რომ გამოძევება მერე, ორღობეში, ისევ გადავუხვევ მოცვის ბუჩქებისაკენ და ისევ ვაკოცნინებ, ოღონდ ისევ ორჯერ, მეტჯერ არა. ვაიმე, როგორ მიყვარს, როგორ, სულ გული მიდნება მაგისი ხმის გავონებაზე, გინდა ამომავალი მზე დამინახია და გინდა ეგ, შემოვევლოს ჩემი სიცოცხლე! ხვალ დილითვე გავიპართ მირაულას გამოქვაბულში და ვიბანაოთ იმის კამკამა წყალში, უბნის ბიჭებმა არ დაგვინახონ, თორემ ჩაიმაღლებიან ისევ დუმფარებში და დაგვიწყებენ თვალთვალს. ლეღვი ჯერ ხო არ დაგიკრეფიათ, ერთად დავეკრიფოთ, ჭიკოკონობას დიდი კოცონი დავანთოთ, რომ ჭინკებსა და ეშმაკებს სულ თმებზე წაეკიდოთ, ოღონდ შენ ნუ გადახტები, ერთად წავიდეთ კალოზე, ისევ ერთად შევდგეთ კევრზე და ვიტრიალოთ, სოსნები ხო არ მოლეულან ჯერა, დავეკრიფოთ და ზედაშეს კართან დავაწყოთ... ”

და აქ სუნთქვა შემეკრა. “ზედაშე”.

„მანიკო“, – ვეუბნები, მე ხომ თორმეტი წლისა ვარ და ისიც, – „მანიკო, რამდენი ქვევრი გაქვთ მარანში?“ „შენ, რა არ იცი?“ – დაძაბული და ეჭვიანი სახით მიყურებს – „სულ ჩვენთან არა ხარ ხოლმე, სოფლის ბოლოს, ნატა ბაბოსა და სოსია პაპას სახლში?“ გონება მოვიკრიბე, მთავარი იყო, აწმყო დროიდან არ ამოვვარდნილიყავი.

„ვარ, მაგრამ, ქვევრების რიცხვი არასდროს არავის უთქვამს, და მე მარანში არასდროს ჩავსულვარ, ანეტა ხომ არა ვარ, ანდა თამრიკო, ხომ გახსოვს, რაც მოუვიდათ, კინაღამ რომ დაიხოცნენ?“ ამ ფაქტების ცოდნამ საფუძვლიანად აღმიდგინა მისი ნდობა. „ხუთი ქვევრი გვაქვს. ოღონდ, სამი, ყველაზე დიდი, ღმერთისაა, განიერი პირები აქვთ და პირზე ჯვრები და მზეები ახატიათ...“ – და სახე უცნაურად გაუნათდა, – „ერთხელ, შვიდი წლისა ვიქნებოდი მაშინ, ნატა ბაბოსთან ვიყავი, დაღამდა, სარკმელთან ვიდექი და უცებ დავინახე, მარნის სახურავიდან რაღაცა ცეცხლის ფერადი ბურთი ამოდიოდა და ჩადიოდა, ამოდიოდა და ჩადიოდა, შემეშინდა, ნატა ბაბოს ჩავეკარი და სარკმელთან მივათრიე. ის კიდე, ვითომც არაფერი, გახედა ღიმილით და „ეგრე იცის, შვილო, ნუ გეშინიაო.“ „ვინა“ – მეთქი, „როგორ თუ ვინაო“, გაუკვირდა, „ზედაშეს გველმა – ფუძის ანგელოზმა. ნატურის თვალი აქვს, და იმით უყვარს თამაში ღამ-ღამობითო. ნახე, რა კარვად თამაშობსო.“ გაგხედე და ისევ ისე ამოდიოდა და ჩადიოდა ის ცეცხლის პატარა, ფერადი ბურთი საყვარლად, ზოგჯერ პირისფერი, სიფრიფანა ენები უჩნდებოდა და ფერად კვალს ტოვებდა დამის პაერში. მერე გაქრა. კიდევ ერთხელ ვნახე ერთი წლის შემდეგ და მეტი აღარ მინახავს. ნატო ბაბო კი ხშირად ხედავს ხოლმე. ეხლა ამ მუხანათებს თავს რო დავადწევ და სახლში წავალთ, ჩემს პაპა-ბებიას რო ჩავეხუტები, ისე ვნახავ ალბათ, ჩვენი სახლის ანგელოზი როგორ თამაშობს. ითამაშებს, აბა რა იქნება, ხო გაეხარდება ჩემი შინ დაბრუნება!“ ტანში გამაჟრიალა. კიდევ კარგი, რომ უცებ დაეძინა ემოციებით დაღლილს.

სოფელში ჩვენი გვარის კაცები აღარ დარჩნენ. საერთოდაც, მამის მხრიდან პატარა სანათესაო მყავს და ახლა ისიც, როგორც მთელი სოფელი და მთელი საქართველო, – მთლად გაფანტული. ვისაც კი შრომა შეუძლია, ყველა სხვაგან შრომობს: თბილისში, მოსკოვში, მადრიდში, ბერლინში, ან დაეხეტება ქვეყნიდან ქვეყნად და დაყალთაბანდობს. და ჩვენს სოფელშიც გახშირდა მანამდე სრულიად უცნობი სანახაობა: „ცინკის კუბოების“ ჩამოსვენება და ამასთან კავშირში შემუშავებული რიტუალი: ხალხის ნაწილი აეროპორტში ხვდება ოჯახის წევრებთან ერთად, ნაწილი – სოფლის შემოსასვლელში და ნაწილი – სახლთან ხელში სანთლებით, რომლებსაც მაშინ ანთებენ, როცა მკვდრის ჩამომყვანები მობილურით იტყობინებიან, უკვე ახლოს ვართო. ის ოჯახი განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს, ვინც თავის მკვდარს არასდიდებით არ დასტოვებს სხვა ქვეყანაში, გინდაც ამის გამო ვალეებში ჩავარდეს. ჩვენც ჩამოვასვენეთ ჩემი ორმოცი წლის ბიძაშვილი მოსკოვიდან, რომელიც როგორც ქართველი, მატარებლიდან ჩავედოთ რუს ნაცისტებს, მამამისის ჩამოსვენება კი ვერ შევძელით,

რომელიც უფრო ადრე და უფრო შორეულ რუსეთში დაიღუპა. ასე, რომ, როგორც ვითხარით, აღარავინ იყო, ვისაც შეიძლებოდა მიწა ეთხარა და ზედაშე ეძებნა.

„ყველა თავის ადგილას უნდა დაეტიოს, თავის კერაზე და თავის მიწას მიხედოს, მაშინ აღარ გავერანდება ეგრე ყველაფერი. მამაშენიც არ უნდა წასულიყო აქედან, წავიდა და გადაჰყვა ღვინის წამბილწველებთან ბრძოლას, მოკლა ღვინის მაფიამ, შენი ორი ბიძაშვილი რუსეთში დაიღუპა, ერთიც – სხვა სოფელში, ყველანი ახალგაზრდები, რისთვის მიდიოდნენ, რისთვის მიატოვეს კერა!“ – ბუზღუნებდა „ხატის ავადმყოფი“ და მკაცრ თვალს არ აშორებდა თავისი ქმრის მძიმე შრომას, რომელიც დიდიდან დაეყენებინა მიწის სათხრელად, იმ მოსაზრებით, რომ მართალია, ჩვენი მოგვარე არა, მაგრამ, სამაგიეროდ, სოსიასა და ნატას გაზრდილი იყო და წესით, ზედაშეს არ უნდა უკუშეგდო.

„რას ლაპარაკობ! „კერასთან“ ეხლა ქალიც ვეღარ დარჩება! სხვა დროა ეხლა, ხალხი სამსახურს ეძებს! ცოდნას იფართოვებს! უცხო ქვეყნებს ეცნობა! სადაც ადამიანურად ცხოვრობს, სამშობლოდაც იმას თვლის!“ – მივახალე, თითქმის ყვირილით. გაღიზიანება მიძლიერდებოდა.

„ბოლოს ყველას შინ მოუნდება, ან მოუწევს დაბრუნება!“ – განაცხადა დელფოსის ორაკულივით და მთლად მომშალა.

მართლაც მოხდა საოცრება და სადამო ხანს თურმე რაღაცამ გაიწკრიალა:

ბარის წვერი მოხვედროდა ქვევრს.

მე სახლში ვიჯექი. რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი, მეორე დღეს უკვე ჩვენი მესამე გააკვეთილი უნდა გაცდენილიყო. ვიჯექი და გერმანელთათვის ქართულ ენის სწავლების სრულიად ახალ მეთოდიკაზე ვაგრძელებდი მუშაობას, რომლის გამოყენებას ახალი წლიდან ვაპირებ თქვენთან. შემდეგ კი ქართველებისთვის გერმანული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკასაც კიდევ ერთხელ ჩავხედე. ეს კურსი ჩემს მეგობართან ერთად შევიმუშავე კარგა ხნის წინ და ერთ კერძო სასწავლებელში ვიყენებდი. ვმუშაობდი გამწარებითა და პროტესტის გრძნობით იმ ირაციონალური სინამდვილის მიმართ, რომელშიც ასე მოულოდნელად ამოგყავი თავი, რომელსაც სახელს ვერ ვარქმევდი, რომლის მიერ გამოწვეულ განცდებშიც ვერ ვერკვეოდი და სწორედ ამიტომ, თითქმის ფანატიური გულმოდგინებით ვიწერდი ლექსებს. ეს ლექსები სტუდენტებისთვის უნდა დამერიგებინა გასაანალიზებლად, როგორც ლექსიკური და სინტაქსურ-მორფოლოგიური, ასევე აზრობრივი თვალსაზრისით.

გადავწერე ბოლო ლექსიც.

.....
.....

Ja! das Alte noch ists! Es gedeihet und reifet, doch keines,
Was da lebet und liebt, lässt die Treue zurück.

.....
.....

Vieles hab ich gehört vom großen Vater und habe
Lange geschwiegen von ihm, welcher die wandernde Zeit
Droben in Höhen erfrischt, und waltet über Gebirgen,
Der gewahret uns bald himmlische Gaben und ruft
Hellen Gesang und schickt viel gute Geister. O säumt nicht,
Kommt, Erhaltenden ihr! Engel des Jahres! und Ihr,
Engel des Hauses, kommt!

ღიახ! ძველი ისევ არსებობს!

იგი კვლავ ხარობს, იგი კვლავ მწიფს, თუმცა აღარავინ

შერხა ერთგული ცოცხალთაგან, მოყვარულთაგან.

.....
 ბევრი მსმენია დიდ მამაზე და დიდხანს ვღუმიღი,
 მასზე, რომელიც აახლებს ჟამს ცის სიღრმეებში,
 და მწვერვალების თავზე მძლავრად მიმოიქცევა.
 იგი მოიღებს მალე ცის მადლს, აგვაგალობებს,
 და მრავალ კეთილ სულს გვაახლებს. ნუ შეყოვნდებით,
 ო, მოდიეთ, მოდიეთ, მიეგებეთ, ანგელოზებო
 წელიწადისა! და თქვენც, წმინდა სულებო სახლის!

(ჰაინრიხ! კიდევ ვერ ხედებით, ვისი ლექსია? გემუდარებით, დაუკვირდით!

ო, როგორ მინდა, რომ თქვენც განიცადოთ ის სიხარული, რასაც ეს ლექსები მანიჭებენ და თქვენც ისე მოგემატოთ ძალა, როგორც მე მემატება.)

გადაეწერე თუ არა, უბანს შერჩენილი ორიოდე ბავშვის ყვირილი შემომესმა ((ბოლო პერიოდის გაჭირვებამ ბავშვებიც ძალიან შეამცირა): „იპოვეს! იპოვეს!“

და ბავშვებთან ერთად გაგრობდი სოფლის ბოლოსკენ, სადაც ოდესღაც ჩვენი საგვარეულოს უძველესი, ალბათ პირველი სახლი იდგა და სადაც ახლა „კედელაანთ მაროს“ ხელმძღვანელობითა და იძულებით მისი მეორე ნახევარი არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა. სამი ქვევრის თავი მოსჩანდა. სამივეს მკვიდრად ეხურა ქვის სარქველები, ასე რომ წესით მიწა და წყალი არ უნდა ჩასულიყო შიგ. ქვევრები ღრმად იყვნენ და თუ კი ოდესმე მარნის მსგავს რაიმეს აშენებას გადაეწყვეტიდა, მარნის იატაკი, რომელიც ალბათ “ქართული აგურით” მოპირკეთდებოდა, ქვემოთ დარჩებოდა. ასე, რომ სამსაფეხურიანი კიბე მაინც დაგვჭირდებოდა ზედაშესთან ჩასასვლელად. ახლა კი უბრალოდ ჩაეხტი, ახლად ამოთხრილ შავ მიწაში ფეხები ჩამეფლო, და მაროს აკკითხე. არ ავხადოთ მეტქი? აუცილებლად, ბრძანა. “ამოსუნთქვა გვიანდა, სუფთა ჰაერი ჩავგაყლაპეთო – ვგრე ამბობენ ისინი, შაჰოხოსნები... მაგრამ, შენ მაინც ნუ შეეხები, ისევ პეტომ ახადოსო” და ქმარს ნიკაპით ანიშნა ქვევრებზე. მოხუცმა კაცმა ბარი მიწაზე დაასვენა და ერთ-ერთ სახურავს დასწვდა, ნახევარზე მოჰხადა, მაგრამ ფეხი დაუცურდა, და ის ბრტყელი, მძიმე ქვა ზედ დაეცემოდა, მე რომ არ მეძარჯვა. დროზე წავწვდი. ერთ წამს ძლივს გავაჩერე ჰაერში დაჭიმული ხელებით და მერე, რაც შემეძლო, ბრტყლად და რბილად დავავდე მიწის ბელტებზე. ქვევრს ვანიერ პირზე მართლაც ეხატა მზეები და ჯვრები, ბნელ ფსკერზე კი წყალი უბრწყინავდა, რომელიც ჩემს თავს ირეკლავდა. ო, ღმერთო, ჩემო, ესღა აკლდა ჩემს ტანჯვას! ქვევრი ალბათ ვაბზარული იყო და მიწიდან იწოვდა წყალს. ქმრის წაქცევით, ჩემს მიერ ზედაშეს სახურავის ხელში აღებით, მისი მიწაზე დაგდებითა და ქვევრის ძირში წყლის აღმოჩენით შემფოთებული მარო ორი პატარა ბიჭის, ერთი გოგოსა და სქელი ჯოხის დახმარებით უკვე თავად მოირყეოდა ჩვენსკენ. წელში გაიმართა თუ არა, მაშინვე დაითხოვა ბავშვები, რომლებმაც მაინც მოასწრეს ქვევრში ჩაჭყევა. მარომ კი იმ ჯოხის მიყოლება მოასწრო. შემდეგ მოვლენები წარიმართა ასე: მარომ, პეტომ და მე მეორე ქვევრსაც მოვხადეთ თავი და იქაც გამოჩნდა წყალი. მარო დეიდამ სახლიდან თეთრი მიტკალი და სანთლები მოატანინა, ასე ოცამდე თავლის სანთელი მაინც დაანთო და ირგვლივ მიწაში ჩაარჭო. თავახდილ ქვევრებთან მუხლი მოიდრიკა და ლოცვა დაიწყო. მოუხმო მამა ღმერთს, ქრისტეს, ღვთისმშობელს, მიქაელ მთავარანგელოზს, წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს, ილია მართალს (პირველად შევესწარი, რომ სულ რაღაც თხუთმეტი წლის წინ წმინდანად შერაცხულ მწერალ ილია ჭავჭავაძეზე ვიღაც მართლა ლოცულობდა), ამ ქვევრების ჩამყრელთა, საერთოდ, წინაპართა სულებს, თან ბუტბუტებდა, ვინმე ხომ არ გამოძრჩაო, – ცრემლების ფრქვევით გადაუხადა მათ ყველას მადლობა “ყველაფრისათვის” და აგრეთვე სთხოვა პატიება „ყველაფრისათვის”, კერძოდ, პატიება, “ჩვენი უვარკისობის, აბეჩხარობისა და სკლეროზის” გამო, იმის გამო, რომ “ზედაშეები მიწას გავატანეთ,” (“ მიწავ, შენ კი ნუ გეწიხება, შენ კი არ გერჩიო,” ენაზე იკვინტა მაშინვე), ესე იგი, იმის გამო, რომ “გამოვტვინდით, და ყველაფერი გავაოხრეთო”.

მოკლედ, ბოლოს და ბოლოს უფლება სთხოვა ზედაშეს, რომ მათთვის ჩვენ, ქალებს მოგვევლო. ცხვირი და თვალები გაიმშრალა, ცოტა ხანს ზედაშეს ცარიელ თვალებს – სამ ცარიელ ქვევრს მიაშტერდა, თქვა, ნება მოგვცაო და სასწრაფოდ დაიწყო გრძელ ჯოხზე თეთრი მიტკლის დახვევა. ქვევრებიდან წყალი ამოვაშრეთ და ისევ დავხურეთ. როცა ზემოთ ამოვფოფხდით, მახარა: თუ კიდევ ჩავიდა წყალი, უნდა ოსტატი მოვიყვანოთ და ვანახოთ, გაბზარული ხომ არ არის. და თუ გაბზარულია, უნდა ამოვალესინოთ.

„აქ ხომ არ დავსახლდები!“ – გამოცხერი კბილებში – „ამათ მოსაგლეჯად აქ ვერ ჩამოვსახლდები!“ კედელაანთ მარომ ვითომ ვერ გაიგონა. „ქვევრი“ არა გაქვს ნანახი?“ – ვკითხე თითქმის ბოროტად. „როგორ არაო“, მიპასუხა მშვიდად, ვითომც ვერ მიხვდა, ამით რა ვუთხარი. (ერთ ქართულ, ძალიან პოპულარულ მოკლემეტრაჟიან კომედიაში, რომელსაც “ქვევრი” ჰქვია, ქვევრის გასაწმენდად შიგ ჩამძვრალი მოხუცი კაცი უკან ველარ გამოეცემა და ვიდრე ქვევრი არ გატყდება, მის სიბნელეში იტანჯება).

„გავები, აშკარად რაღაცაში გავები, ოღონდ რაში, მე თვითონ არ მესმის კარგად“ – ვიმეორებდი გულში. ეს უკვე პროცესია, თავს ველარ დავადწევ. ეს არის ნამდვილი პროცესი! ერთ საქმეს მეორე მოსდევს. ეხლა ქვევრის ამოღესვა გახდება საჭირო, მერე გადახურვა, მერე დასუფთავება, სანთლის დანთება ო, ღმერთო ჩემო! ბავშვი რომ არ მყავდეს, უფრო მაგრად ვიქნებოდი. ახლა კი მეშინია, მართლა რაღაც არ მოხდეს. რას ვიზამ, მორწმუნობასა და ცრუმორწმუნობას შორის ჯერ ვერავინ გაავლო მტკიცე საზღვარი, მით უმეტეს, როცა ქალებს, უფრო კონკრეტულად: დედებს ეხება საქმე...

კი ბატონო, გადავხურავ! აღვადგენ მარანს! მაგრამ ეს ხომ უბრალოდ მარნის მუხეუმი იქნება და ქვევრებში ღვინო აღარასოდეს ჩაისხმება. ეს ხომ მიტოვებული მარანია. ჩვენს ეხლანდელ ეზოში მაინც იყო. მაგრამ, ზედაშეს ახალ ადგილას გადატანა არ შეიძლება. ეს ერთ-ერთი დღემდე მოქმედი ტაბუა. და რაც მთავარია, ქვევრებში ერთი მოხუცი კაცის გარდა აღარავინ ინახავს ღვინოს, და მასაც რძალ-ვაჟი უკრძალავს ამ საქმეს, რადგან მძიმე შრომასთანაა დაკავშირებული. ამის ნაცვლად, როდესაც ზედაშეზე გადიან, რამდენიმე საათით ადრე ღვინით სავსე ხელდას ჩადგამენ ხოლმე ქვევრში და მერე იმას სვამენ, სრული რწმენით, რომ სიწმინდის რაღაც მისხალი მაინც გადაედებაო. და ეს მაშინაც, როდესაც ვენახი ახალ-ახალი უცხოური შხამქიმიკატებით არის შეწამლული. ისე კი, ამბობენ, რომ ღვინის დამზადების კახური წესი უნიკალურია.

ილოს მოველაპარაკე, რომ ზედაშესთვის სახურავი გადაეხურა, და საერთოდ, იქაურობისთვის მოველო, რომ საჭირო ფულს თბილისიდან გამოვუგზავნიდი და შედარებით გულდამშვიდებული ჩავბარვდი.

მაგრამ ასე ადვილად არ გამომიშვა განგებამ. ისევ გაისმა ყვირილი, ოღონდ, ამჯერად აღარც მხოლოდ ბავშვები ყვიროდნენ და აღარც სიხარულის ნიშნად.

გათენებისას სანთლებით ხელში ზედაშეზე გასულ მაროს, რომელსაც ღამით ისევ დასიზმრებოდა სამი შაგხოხიან-წვერულვაშიანი, ოღონდ ამჯერად ამღერებულ-აცეკვებული ჭაბუკი, ქვევრებზე პირქვე დამხობილი, უკვე გაცივებული მანია ეპოვა შავ, აყმუვლებულ ძაღლთან ერთად და მის სიკვდილზე უფრო მეტად მისი ჩაცმულობისაგან სცემოდა ელდა. მანიას თორმეტოდე წლის გოგოს კაბა ეცვა, თეთრ ნაწნავებზე წითელი ბანტები, ყელზე ფერადმარცვლებიანი მძივი, საფეთქელთან კი მწვანეგირჩებიანი თმის სამაგრი ეკეთა... თურმე შვილიშვილის ტანსაცმელი და სავაზაფხულო ნახევარჩექმები მოეპარა და ძაღლთან ერთად “მძევლობიდან” “შინ” გამოპარულიყო.

რალას ვიზამდი. მის დაკრძალვამდე დავრჩი. ოჯახს, განსაკუთრებით ორ შვილიშვილს, ძალიან რცხვენოდათ მანიას ესეთი სიკვდილი, და გოგონა, რომელსაც ბებიამ კაბა მოჰპარა, მთელი ორი კვირა სკოლაში აღარ წავიდა, დამცინებენო. თან გაბრაზებული იყო საშინლად, ახლად ნაყიდ, მოდურ ნახევარჩექმებსა და ლამაზ ვილვეტის

კაბას რომ ვეღარ ჩაიცვამდა, რადგან ისინი მკვდარს ეცვა, და სხვათა შორის, ძლივს გაჰხადეს.

ამას გეუბნებოდით, მეგობარო, როცა ინტენსიურად ვიწვევ მუშაობას ანუ წერას, ამის საწინააღმდეგო ძალებიც აქტიურდებიან: გარეთ, ცხოვრებაში. მაღლობა ღმერთს, ისევ სახლში ვარ და ჩვენი გაკვეთილები გრძელდება.

ხვალ გელოდებით.

წინასწარი დავალება: მოძებნეთ „Schicksal“- ის ქართული შესატყვისები და დაადგინეთ მისი ფუძე.

შესანიშნავად შეგისრულებიათ დავალება. ყველაფერი სწორია.

Schi-cksal – წე-რა (ce-ra); ბედისწერა (be- dis- ce- ra) – ემთხვევა სიტყვას schreiben (ce-ra); მწერალი – (mce-rali) – Schreiber, Schriftsteller; ბედისწერა – (be-dis-ce-ra) - Schicksal schreiben; ბედის მწერალი – (be-dis- mce-ra-li) – განგება, უმაღლესი ძალა, ინსტანცია, რომელიც ბედს, ბედისწერებს, ადამიანთა ცხოვრების გზებს “წერს”.

წერამ ამიტანა – (ce-ram a-mi-ta-na) – das Schicksal oder das Schreiben hat mich benommen, mithingerissen, gefangen genommen d.h. ich mache etwas Verhängnisvolles.

ნახვამდის. ლამარა.

P.S. რა მახვილი თვალი გაქვთ, ღმერთო ჩემო! როგორ მაშინვე შენიშნეთ ანანურის ეკლესიის კედელზე ორი, დიდმტკვნებიანი ვახის გამოსახულება უზარმაზარი ჯვრის ფრთებქვეშ! და ისიც, რომ ეს ვახები ანგელოზების თავზე შემოდგმული ქოთნებიდანაა ამოზრდილი.

ეს ცხოვრების ხე უნდა იყოს. ჩვენს მითოსურ პოეზიაში, ძირითადად მთამ რომ შემოინახა, ნათქვამია, რომ თუ ქალ-ვაჟი არ შეჭამს სიცოცხლის ხის ყურძენს, „უდროოდ დაშავდება.“ აი! გისურვებთ ამ ხის მტკვნებს.

ეხლა კი მართლა ნახვამდის.

ჰაინრიჰ!

კმარა!

გეუბნებით პასუხებს:

„ღვინის სიმღერა“ „Das Weinlied“ – ნოვალისის ლექსია, მისი რომანიდან „ჰაინრიჰ ფონ ოფტერდინგენი“, ანუ იგივე „ცისფერი ყვავილი“.

ლიტერატურული თვალსაზრისით, – აღზრდისა და მოგზაურობის რომანია. შინაგანი თვალსაზრისით კი, ისეთი იდუმალი და გამოუცნობი რამ, რომ ბადალს ვერ მოუძებნი. ნამდვილი ენიგმა. ისევე როგორც თავად ეს ყოველად გამოგნები ნოვალისი. ჩემის აზრით, ქრისტეს უახლოესი მეგობარი მაშინდელ გერმანიაში და ალბათ, მერეც. მუდამ გული მტკიოდა, ჰოლდერლინი და ნოვალისი მეგობრები რომ არ იყვნენ! (ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იდგა მაშინ თქვენს სამშობლოში, ჰაინრიჰ! ჰერდერი, ჰუმბოლდტი, ლესინგი, გოეთე, შილერი, ჰოლდერლინი, კლაისტი, კანტი, ჰეგელი, შელინგი, შლეგელები, ნოვალისი, ტიკი და რა ვიცი, კიდევ ვინ აღარ! იცი, რამდენი გენიალური აზრი, მიხედრა, მიგნება, შეგრძნება იფრქვეოდა და რა ენერჯია და ტემპერამენტი მსჭვალავდა ერთი, არცთუ ისე დიდი სივრცის ჰაერს?! ვერც კი წარმოიდგენთ, რა საინტერესო სამყაროა! ჩემი აზრით, შემდგომდროინდელი ფილოსოფია და ესთეტიკა სულ მაგათ აზრებს ამუშავებს, ან ეთანხმება, ან ავითარებს, ან ეკამათება. იცით, რა სახალისოა? რაღაც ულტრათანამედროვე აზრს, რაღაც ძალიან ახალს წაიკითხავთ სადმე და კარგად რომ გაჩიქნ-გამოჩიქნით, ფესვი ისევ ამ გერმანულ სამყაროში მივიყვანთ).

„პოეტის მოწოდება“ „Dichterberuf“ და „ხალხები დუმდნენ, ეძინათ“ – ჰოლდერლინის ლექსებია. აქ პირველად იღებს გამოსატყულებას ჰოლდერლინის აზრი პოეტის დანიშნულების შესახებ.

„ელგია“ („მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა...“) – ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსია. რათა ვერ მიხვედრილიყავით, ერთი სიტყვა შევცვალო: დედანშია: „ქართლის ძილშია კვნესა ისმოდა“ მე დაგიწერეთ: „ხალხის ძილშია კვნესა ისმოდა“. (ამ ადამიანზე ჩვენ ხშირად გვილაპარაკია. მისი აზრი პოეზიის არსისა და პოეტის დანიშნულების შესახებ ზუსტად ემთხვევა ჰოლდერლინისას. ვინც ძალიან დიდ სიმაღლეში ანდა სიღრმეში ეძებს ამ აზრს, მასზე ცხოვრება შურს იძიებს: სრულიად ახალგაზრდა ჰოლდერლინი წყვილიადმ მოიცვა. სამოცდაათი წლის ილია, „ერის სინდისი“ და „სულიერი მამა“, 1907 წელს პოლიტიკის არამზადებმა მოკლეს, რათა ქვეყანა კლასთა ბრძოლისა და სისხლიანი მატერიალიზმის გზით წაეყვანათ, რაც მოახერხეს კიდეც).

აი ასე.

თუ ასე ძალიან გსურთ ჩემი სოფლის ნახვა, შეგვიძლია, შაბათს წავიდეთ. ბოლოს რატომ იყავით დაბნეული?

ლამარა.

P.S. ჰაინრიჰ! უკვე მეორედ გეუბნებით და ძალიან გთხოვთ, მესამედ ნუღარ მათქმევინებთ: გაკვეთილებში ფულს ნუ შემომთავაზებთ. მე იმდენი მივიღე გერმანიისაგან, რომ ძალიან გამეხარდება, თუკი ამ სახით მაინც შემქედლება მადლობა გადავუხადო.



P.S. გემშვიდობებით საიდუმლოებით მოცული, განუმეორებელი ლექსით „ხსოვნა“: (კეთილი ინებეთ და თავად დაადგინეთ, ვისია). პოეტი მიმართავს ქარს, წარმოვიდგენიათ?

მეც მომენატრებით. გჩუქნით ჩემს თარგმანს. რომელიც, რა თქმა უნდა, ლანდია დედნის.

ხსოვნა

ANDENKEN

Der Nordost wehet,
Der liebste unter den Winden
Mir, weil er feurigen Geist
Und gute Fahrt verheißet den Schiffern.
Geh aber nun und grüsse
Die schöne Garonne,
Und die Gärten von Bourdeaux

.....
.....

ნორდ-ოსტი დაჰქრის,
ჩემი ქარი უსაყვარლესი,
რადგანაც კეთილ გზას და მეზნებარე
სულს მიანიჭებს შორ ზღვაში გასულთ.
მაგრამ აწ გასწი და მიესალმე
მშვენიერ გარონს
და ბორდოს ბაღნართ,
სადაც მიჰყვება ვიწრო ბილიკი
ციცაბო ნაპირს და სიძარლიდან
მდინარეში ეცემა წყარო...

.....

ხომ ხვდებით, თვითონ ვეღარ მიდის და სავარულ ქარს აგზავნის უცხო ქვეყანაში, (საფრანგეთში), რომელიც ოდესღაც შეუყვარდა და ახსოვს. ნეტავი იმას, ვინც ზღვაში გადის და ისევ ბრუნდება...

– დამშვიდობებისას ვითხრა რამე ჰაინრიჰმა? თუმცა, ჰაინრიჰი ხომ შენ დაარქვი, დამავიწყდა კიდევ, რა ჰქვია სინამდვილეში. რატომ დაარქვი მაინც ჰაინრიჰი? ნუთუ არაფერი ვითხრა? სად იქნება ეხლა ნეტავ? ბოლო-ბოლო რა დასკვნა გამოიტანე, მაინც რისთვის იყო საქართველოში ჩამოსული?

– რამდენ რამეს მეკითხები, ასმათ? ღმერთო ჩემო!

– მხოლოდ ერთზე მიპასუხე: სულ წავიდა?

– ასე მითხრა, მალე ჩამოვალო...

– კიდევ ერთი დადასტურება, რომ ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. ჩვენი მიზნისთვის რომ მიგვეღწია, მალე აღარ ჩამოვიდოდა, დარჩებოდა გერმანიაში და გერმანული ლიტერატურის ისტორიას შეისწავლიდა, მერე დაიცავდა, მერე თბილისში დაბრუნდებოდა და გერმანული ენისა და ლიტერატურის კათედრას სათავეში ჩაუდგებოდა. ეს იქნებოდა ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება! ახლა კი ამ კათედრიდან აღარაფერი დარჩება! – ასმათმა სევდიანად გადაუსვა ხელი წიგნს სათაურით „ჰოლდერლინი და ნოვალისი. მზადება მომავლისათვის“ და მერე შუბლი დააყრდნო.

– რაღა უნდა დარჩეს, აღარცერთი დიდი გერმანისტი აღარა გვეყავს, ზოგი მოკვდა, ზოგი დაბერდა, ზოგი უცხოეთში წავიდა, შენ კი ლამრი, არც კომუნისტებს ეხატებოდი გულზე და არც ეხლანდელებს, რომლებსაც კომუნისტებზე უფრო მეტად სძულთ კრიტიკა! ეჰ! ნეტავ არ დაგეწერა ამ მთავრობაზე ის ორი სატირა, ეხლა ხომ ცოცხალი თავით აღარ დაუშვებენ, რომ შენ მართო კათედრა! თუმცა, ეგეც რომ არა, უნივერსიტეტში ისევ ის ხალხია, ვინც მაშინ უნივერსიტეტი დაგატოვებინა. აი, ჰაინრიჰს კი ხელგაშლილები მიიღებდნენ, როგორც უცხოელს, ჩვენც ამოვუდგებოდით გვერდით და ავალორძინებდით ისევ ქართულ გერმანისტიკას! – თამარმა ოდნავ მოსვა წითელი ღვინო.

– რაღას ავალორძინებთ! ერთ-ორ სკოლაშიღა დარჩა გერმანული! ყველას უკვე ინგლისური უნდა! პირწმინდად პრაგმატული სული ბატონდება ჩვენს რომანტიკულ საქართველოში! და რა ვქნა, ღმერთო, რა შორსაა ჩემგან ეს ენა! ეს ინგლისი! ალბათ იმიტომ რომ ქართული ზუსტად ისე იწერება, როგორც გამოითქმის. გერმანულიც თითქმის. და საუბედუროდ, არიან ადამიანები, მაგალითად, მე, რომლებსაც მხოლოდ იმ ენების სწავლა შეუძლიათ, სადაც რამდენი ბგერაცაა, იმდენი ასოა... და რომლებიც ვერ იტანენ, როცა რაღაც სხვაგვარად იწერება და სხვაგვარად გამოითქმის და უამრავ სიზღვემტყვებს! – თავი არ აუღია ასმათს.

– აღრე გერმანიაში წახვლის შანსი არ არსებობდა და გერმანულს იმიტომ სწავლობდნენ, რომ გერმანული ლიტერატურა ეკითხათ, ეთარგმნათ, ეხლა საერთოდ იმიტომ სწავლობენ ენებს, რომ აქედან გაიქცნენ და უცხოეთში სამსახური იშოვონ... –

– ეჰ! გერმანული ლიტერატურა გერმანელებს აღარ უნდათ და ჩვენ რაღას გადავარჩენთ! – ხელი ჩაიქნია ასმათმა.

– კი, მაგრამ ჩვენ რაღა უნდა გავაკეთოთ! თუ აღარც გერმანული ენა უნდა ვინმეს და აღარც ლიტერატურა? არასამთავრობო ორგანიზაცია შევქმნათ და „სამოქალაქო საზოგადოების აშენებას“ შევუდგეთ? ეს ენჯელები ხომ ნამდვილი ნეოკომკავშირია! „საზოგადოების აშენება“ კულტურისა და განათლების გარეშე! – თამარმა ზიზღით ჩაიქნია ხელი და ისევ მოსვა ღვინო.

– სამაგიეროდ, კულტურას სამოქალაქო განათლების გარეშე შეუძლია ფაშიზმში ამოვაცოფინოს თავი!.. – ლამარამ ხელისგულეზე დაიყრდნო შუბლი და მაგიდის მიმართულებით უენერგიოდ გააგრძელა – კულტურა უკვე ისპობა და სამოქალაქო საზოგადოება ჯერ არ შექმნილა... მთელ ყოფილ საბჭოეთში გაჭირვება და ქსენოფობია სტაბილური.

– მაგრამ, ყველაზე მეტად მაინც ჩვენი გერმანული მაწუხებს...

– გუშინ, გოეთეს კაბინეტს რომ ვცლიდით, ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, სულ

რეზო მედვა თვალწინ, რა ტანჯვით შეავროვა ორი ათასზე მეტი წიგნი, გერმანული ლიტერატურა, ოთხმოციან წლებში, ხომ გახსოვს, თამრიკო, მაშინ უკვე მეც ლექციებს კკითხულობდი...

– როგორ არა. ერთად არ ვეხმარებოდით? კლასიკა-რომანტიზმს შენ ალაგებდი მარჯვენა კედლის თაროებზე, შუა საუკუნეებს – მე, შუაში, ორ ფანჯარას შორის, თვითონ რეზო – XX საუკუნეს, მარცხნივაც და მარჯვნივაც.

– გახსოვს, რა ამბავი გვექონდა, გერმანიიდან ვიღაცამ გოეთეს, შილერის, ჰოლდერ-ლინისა და რილკეს უზარმაზარი პლაკატები რომ გამოუგზავნა?

– როგორ არ მახსოვს, რა ზარზემით გაგაკეთებინეთ შესაფერი ჩარჩოები!

– ჰოდა, გუშინ მაგათი სურათები რომ გამოგვექონდა, თითქოს არ შეიძლებოდა ცოტაც მოეცადათ, უკვე დაიწყეს თავიანთი ბაინდერებისა და ფლიტჩარტის დაფების შეზიდვა, კარებში გავიტყედეთ პირდაპირ! კარებზედაც მაშინვე გააკრეს წარწერა “სოციალური კვლევების ამერიკული ინსტიტუტი.” ისე გვიყურებდნენ როგორც პრეისტორიულ რელიქტებს!

– შექსპირის კაბინეტიც უნდა შეისყიდონ და მერე ერთიანად გააკეთებენ რემონტს.

– ყველაფერი კანონზომიერად ხდება! ორივე კაბინეტში უკვე წყალი ჩამოდიოდა. აუცილებელი იყო, შექსპირსა და გოეთეს ჩვენი კანალიზაციის წყლით ებანათ ჩვენთვის ძვირფასი სახეები?

– კარგი, რა, ხომ ვიცი, რომ მასე არ ფიქრობ. უნივერსიტეტს რემონტი და შენახვა მაინც არ უნდა აეღო თავის თავზე?

.....

– ცუდად ვხდები, მაგაზე რომ ვფიქრობ! ბოლო კვირაში კიდევ ორმა კერძო მოწაფემ შეწვიტა სიარული ჩემთან. იცი, რა? გარდა იმისა, რომ ჩვენ გვეხაზება, თვითონ ეგენიც მეცოდებიან, რომ ვერასოდეს ვაიგებენ მაგალითად, ამ სილამაზეს:

*Kaiserkron und Päonien rot,
Die müssen verzaubert sein,
Denn Vater und Mutter sind lange tot,
Was blühen sie hier so allein?*

დედოფლისთითა და წითელი პიონი
ჯადოშეერილი თუ არიან:
დედ-მამა მკვდარია უკვე რა ხანია,
ნეტავ აქ რიდასთვის ჰყვავიან?

– აიჰენდორფის “„ძველი ბაღი““
– ჰო. „ძველი ბაღი“. „ძველი ბაღი“.
– ან ეს:

Wer jetzt kein Haus hat, baut sich keines mehr,
Wer ietzt allein ist, wird es lange bleiben,
wird wachen, lesen, lange Briefe schreiben
und wird in den Alleen hin und her
unruhig wandern, wenn die Blätter treiben...

ვისაც არა აქვს ახლა სახლი, ველარც აიგებს,
და ვინც მარტოა, მარტობას ველარც გასცდება,
წიგნს წაიკითხავს, მერე დაწერს უგრძეს წერილებს,
დამენათევი აუყვება მაღალ ხეივნებს,
და ჩამოცვენილ ფოთლებს გაჰყვება...

– კი, მაგრამ ფრანგები რომ ასე აქტიურობენ?! წელიწადში ხუთი-ექვსი წიგნი მაინც ითარგმნება ფრანგულიდან ქართულად, თანამედროვე ფრანგული ლიტერატურა! თუმცა, ჩვენ ბოლდერი უფრო გვხიბლავს ანდა პოლ ელუარი, მირჩა ელიადე, ეგ ზიუპერი და მარგარეტ იურსენარი, ვიდრე, მაგალითად, ამელი ნოტონი, მაგრამ, რას იზამ, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვთავს. ამ გერმანელებს კი რა უბედურება სჭირთ, რომ გოეთეს საზოგადოებასაც არ აინტერესებს გერმანული ლიტერატურა? განსაკუთრებით, კლასიკა და რომანტიზმი! არადა, საბჭოთა პერიოდში ყველაზე მეტი გერმანულიდან ითარგმნებოდა.

– ეგ იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომის წყალობით ეუხერხულებათ გერმანული კულტურის ექსპორტზე ზრუნვა...

– მერე ჩვენ მაგათ კომპლექსებს უნდა შევეწიროთ? ხომ გახსოვთ? წიგნები რომ არ იყო, ხელით ვიწერდით ბიბლიოთეკის წიგნებიდან, იმის ფულიც არა გვქონდა, რომ ფოტოასლები გაგვეკეთებინა! თან ფოტოასლებს სპეციალური, მკონი სულაც კაგებებს ნებართვა სჭირდებოდა, მერე, გვიან, პირველი ქსეროქსები რომ გაჩნდა, ყველა კონტროლის ქვეშ იყო, დააჯერებ ეხლა ვინმეს, რომ მთელი პოლდერლინი, ნოვალისი, ფაუსტი, ბრენტანო, რილკე, შელინგი, ჰუსერლი და რა ვიცი, ვინ აღარ, ხელითა მაქვს გადაწერილი, თან რა ნეტარებით ვწერდი!

– სხვებიც იწერდნენ მასე, ზოგი ფილოსოფოსი, ზოგი გერმანისტი... ასე ებრძოდნენ ბოლშევიკურ მატერიალიზმს...

– ისე, თუ გახსოვს, ლამარა, ჰოლდერლინსა და ნოვალისს შეეწირა შენი სამსახურებრივი კარიერა, მაგათი გულისთვის არ გამოვაბრძანეს უნივერსიტეტიდან! ვიღაცამ დაგაბეზლა ალბათ, კაგებებს თანამშრომლები რომ გაჩნდნენ შენს ლექციებზე, ვითომ სტუდენტები იყვნენ.

– მაშინ ხომ მეც გვეწრებოდი ხოლმე, აუდიტორია სავსე რომ იყო! სხვა ინსტიტუტებიდანაც რომ მოდიოდნენ, პოლიტექნიკურიდან, სამედიცინოდან, რა ვიცი... უმეტესობა ლექციებზე თოფით ვერ შეჰყავდათ, და ალბათ დაგაბეზდეს ლექტორებმა... დედა, რა ენით გამოუთქმელი სახეები ჰქონდათ იმ კაგებეშნიკებს, მაგრამ იწერდნენ გამაღებთ, ყველაზე სწრაფად, სხვათა შორის. ალბათ გავარჯიშებულები იყვნენ – თამარმა ბროწეული გადახსნა და დამარცვლას შეუდგა.

– ლამარ, მე ხომ ვნახე ასე ხუთი წლის წინ შენი დოსიე, გავაბრუე ჩემი ბიძაშვილი, განყოფილების გამგე ხოა იქ, ხვალ-ზეგ მაინც ლუსტრაციის კანონი გამოვა, დოსიეები მაინც გაიხსნება, მეტი არა ჩემი მტერი, და არაფერი მოხდება, თუ ეხლა მაჩვენებ ლამარას დოსიეს-მეთქი. ჩემი თვალთ წავიკითხე: შენი ლექციების დაწურული კონსპექტი, ჩაწიკიკებული გვარები: გოეთე, შილერი, ჰოლდერლინი, ნოვალისი და ა.შ. ბოლოს: რილკე, პაულ ცელანი, თომას მანი, ჰესსე, ინგებორგ ბახმანი, ჰაინრიჰ ბოლოი, გდუნთერ გრასი... რა ვიცი, ვინ აღარ!

– მერე? კარგად კი აღარ მახსოვს.

– რა მერე. დასკვნა იყო ასეთი: მარქსიზმ-ლენინიზმის საწინააღმდეგო პოზიციიდან წაკითხული ლიტერატურის ისტორია. იმის მაგივრად, რომ აჩვენოს ყველა ჯურის იდეალისტის, მით უმეტეს, რელიგია-ოპიუმით გონდაბნელებული მწერლის მსოფლმხედველობრივი სიმახინჯე და უსუსურობა, ლამარა დ. ახალგაზრდებში აღვიძებს სიყვარულსა და პატივისცემას მათ მიმართ. კლასიკოსებს უფრო თავშეკავებულად იხსენიებდნენ, მაგრამ ეს საწყალი ჰოლდერლინი, და ყველაზე მეტად კი ნოვალისი, როგორც „რეაქციონერი რომანტიკოსი“, სკოლის სახელმძღვანელოებში ხომ ასე ეწერა, მიწასთან იყვნენ გასწორებულნი, თითქოს თავიანთი უბედურება არ ეყოფოდათ.

– ღმერთო ჩემო, კიდევ კარგი, სტალინი უკვე მკვდარი იყო!

– ჰო. ეგრევე დაგხვრეტდნენ. ამასთან შედარებით, უნივერსიტეტიდან გამოშვება და საზღვარგარეთ არგაშვება – იაენანად უნდა ჩაგეთვალა.

– აუ, რამდენს ვტიროდი, სტუდენტებს რომ მომაშორეს.

– ჩვენც ვტიროდით. მთელი სამი წელი ვთხოვდით რექტორატს შენს დაბრუნებას...

– ეს ყველაფერი კარგი, ლამრი, აღარ მინდოდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, მაინც გეტყვი: ვერ გაართვი თავი დავალებას! და ჩაიშალა ჩვენი გეგმები!

– მაინც რა უნდა მექნა? რა?

– რა და, რომ გადავხედე თქვენს მიმოწერას, მგონი, საერთოდ დააფრთხე ის საწყალი ჰაინრიხი ამ ჩვენი ქართული გაუგებრობებით, თუნდაც ამ „ზედაშეს“ უცნაურობებით, მერე ამ ჰოლდერლინით, ნოვალისით, რილკეთი და რა ვიცი, სადაც ვინმე იყო მძიმეწონიანი, ყველა თავზე დაახვავე, ისედაც არ ჩანდა დალაგებული... ცოტა მსუბუქი რამ უნდა მიგეწოდებინა, უფრო მიწიერი, უფრო თანამედროვე...

– ესელა მეუბნები მაგას?! შენ გვინია, ძალიან მეხალისებოდა მაგეებზე ლაპარაკი? ხომ იცი, რომ ლიტერატურაზე ლაპარაკს საერთოდ ვერ ვიტან, მით უმეტეს, არალიტერატორებთან და, საერთოდ, არაშემოქმედ ხალხთან, თან ვგეთ პოეტებზე! ხომ წარმოგიდგენია, რა საშინელება იყო ჩემთვის?! ზედაშეს ამბებს კი სულ თვითონ მეკითხებოდა, ჩამაცვიდა პირდაპირ, ყველაზე მეტად ეს „გადმონაშთები“ აინტერესებდა და რა უნდა მექნა?! და საერთოდ, დამანებეთ თავი, გესმით? დავიდალე!

– კი ბატონო, მივდივართ! აი, ვლაგდებით! მაგრამ მითხარი, რომ ჩამოვა რას გააკეთებს?

– ქართული და გერმანული ღვინის მაღაზიის გახსნას აპირებს.

– კიდევ?

– არ ვიცი.

– რა გატირებს?

– არ ვიცი.

– იცი.

– მიყვარხარო, მომწერა ბოლოს...

– მერე? რა გატირებს?

– მგონი, მეც მიყვარს... მიყვარს.

– და რა გატირებს?

– არ ვიცი. არა. ღმერთო, როგორ მენატრება ჩემი გერმანია, ჩემი გერმანია... ისეთი სიჩუმე და სივრცე მაქვს იქ განცდილი... ისეთი სანახი, ისეთი მოვლილი ბუნება, ისეთი ტყე და მშვიდი, ვრცელი საღამო ხანი...

– მე არსადაც არ მივდივარ. აქ იმიტომ არ მოვედით, რომ შენი წიგნის გამოსვლა აღგვენიშნა? ეს არის ზეიმი?

– სწორია, არსადაც არ მივდივართ. აბა, ავწიოთ ჭიქები!

– ასე! რა ლამაზად დაიწკრიანებს! მოდი ერთხელ კიდევ მივარტყათ!

– ოოო! ღვინო ვარო, ამან უნდა თქვას!

– მოდი, ვიმღეროთ! აიღე რა გიტარა, თამრი!

– აი, გადავშლი ლამარას წიგნს, და რომელ ლექსზეც გადაიშლება, იმას ავუწყო მუსიკას... აი, მშვენიერია!

ღია ფანჯრიდან მზე იღვრება და ზოგჯერ ყვითელ ფოთლებსაც შეაფრენს ხოლმე ქარი ოთახში, სადაც სამი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი: ლამარა, ასმათი და თამარი პატარა, მრგვალ მაგიდას შემოსხდომია.

ისმის გიტარის ხმა და სიმღერა ქართულად და გერმანულად.

ეს იმ პოეტის ლექსია, რომელიც სრულიად ახალგაზრდა წყვილადმა მოიცვა.

ეს ლექსიც იმ წყვილადში იშვა:

„წლის დასასრული მოგვაგონებს დასვენების დღეს,
შეკითხვასავით ელის პასუხს და გასრულებას.“

„Als wie ein Ruhetag, so ist des Jahres Ende,
Wie einer Frage Ton, dass dieser sich vollende...“

ნორდ-ოსტი დაჰქრის,
ჩემი ქარი უსაყვარლესი,
რადგანაც კეთილ გზას და მგზნებარე
სულს მიანიჭებს შორ ზღვაში გასულთ.
მაგრამ აწ გასწი და მიესალმე
მშვენიერ რაინს
და მის ნაპირებს...

აპრილი, 2007წ.

უმოთა იათაშვილი

იონაე 1,1

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ყ
ღ
ყ
ღმერთი...

ივლისი. 2007.

ხელოსანი

„ალათასა-ბალათასა,
ხელი ჩავყავ კალათასა,
ქაფჩითა და თარაზოთი
ვარ სამყაროს კალატოზი“

გარანდა ფორმები:
მახვილი თუ ბრტყელი,
მართკუთხა თუ მრგვალი.
რაც შექმნა, შერეკა
მერე შიგ და იყო
სამყაროს დურგალი.

მოქსოვა მამრები,
 მოქსოვა მდედრები
 მუდამ მოფიქრალი.
 მინაზე გაშალა
 მთელი ეს ხალიჩა —
 იყო ფეიქარი!

გაჩარხა გრძნობები,
 მწველი და მგზნებარე,
 წრფელი და მარადი.
 ამითი აანყო
 ცხოვრება და იყო
 სამყაროს ხარატი.

შეკერა კაბები,
 შარვლები, ჩექმები —
 თბილი და ხალასი.
 მოარგო სუყველას, —
 ის იყო სამყაროს
 თერძი და ხარაზი.

დააცხო თონეში
 არსობის პური და
 დაადო სხვა ფასი.
 და ჰქონდა უფლებაც,
 რადგანაც იყო ის
 სამყაროს ხაბაზი.

4 აგვისტო. 2007.

პრაკონიერი

მეტყვევებმა დამიჭირეს.
 მალე ალბათ პასუხსაც კი მაგებინებენ.
 ელექტროხერხით მივადექი
 და სანამდე დამაკავებდნენ,
 მოვასწარი იმ ათი ხის გადახერხვა,
 რომლებზედაც მეჭირა თვალი.

უცნაური შეგრძნებები
 რამდენიმე წლის წინ დამეწყო.
 ამ ხეებს რომ ჩავუვლიდი,
 ვფორიაქობდი:
 რალაც მიღრღნიდა სულს და მერე,
 ეს განწყობა სიზმრებამდეც კი მიმყვებოდა —
 მოსვენებას მიკარგავდა,
 ლამის მტანჯავდა...

ერთხანობა შევეცადე
 იმ ხეებს არც კი გავეკარებოდი,
 მაგრამ ამან ვერ მიშველა —
 სული უფრო დამიმძიმა...
 და მეც იდუმალ ბედისწერას მივინდე და
 თითქმის ყოველდღე,
 საათობით,
 ამ ხეებთან ვწვრივდები,
 მათ ყველა ტოტს,
 ყველა ფოთოლს საათობით ვაკვირდებოდი...
 მათი ჩრდილების სილუეტებში
 ვცდილობდი რაღაც მინიშნება ამომეკითხა...
 მერქანს ფრთხილად ვეხებოდი,
 ხოლო ზოგჯერ ვბედავდი და ყურსაც ვადებდი:
 და ხანდისხან მეჩვენებოდა,
 რომ მესმოდა მათი ნათქვამი...
 დიდი ხანი ვიცხოვრეთ ასე
 მე და ხეებმა...
 ხუთმა ფიჭვმა, სამმა ნაძვმა და ორმა რცხილამ...
 ვიცხოვრეთ, სანამ
 ერთ დღეს არ ჩავწვდი მათ გულისწუხილს...
 გარეგნულად არაფერი ეტყობოდათ,
 შრიალებდნენ,
 ჩიტებით და მზის სხივებით ხალისობდნენ,
 მაგრამ მერქნის სიღრმეებში
 აუტანლად იტანჯებოდნენ...
 ათივე ავ წინათგრძნობას შეეპყრო, გრძნობდნენ,
 რომ სხეულში
 შემზარავი სიტყვები, როგორც ბაქტერიები
 უფუთფუთებდათ...
 დიდი ხნის შემდეგ, ეს სიტყვები
 საბოლოოდ რომ მომნიფდებოდნენ,
 მათ წააქცევდნენ,
 ქალღმერთად აქცევდნენ და მერე მათზე
 დედამინის უსაშინლეს წიგნს დაბეჭდავდნენ...
 დაბეჭდავდნენ პირველ ტირაჟს
 ეშმაკის წიგნის...

და როცა მე ეს გავიგონე,
 ბევრი აღარც მიფიქრია,
 ელექტროხერხით მივადექი მათ და
 მოვცელე...
 ახლა მათზე დაბეჭდავენ
 სულელურ ან ჭკვიანურ ლექსებს,
 პრეზიდენტთა გამოსვლებს და ქალაქის ჭორებს...
 ანდა სულაც გამოთლიან მათგან კუბოებს...
 გინდ ისე იყოს და გინდ ასე,
 ახლა უკვე ამას მათთვის
 მნიშვნელობა აღარა აქვს,
 მათ იციან, რომ

ყველაზე დიდ საშინელებას გადაურჩნენ:
დედამინის ყველაზე ნყეული ხეები ისინი
აწი უკვე არ იქნებიან...

აი, მე კი მეტყვევებმა დამიჭირეს.
მალე ალბათ სასამართლოში პასუხსაც კი მაგებინებენ.
და მე საკუთარ დანაშაულს ვაღიარებ,
აი, ხეების საიდუმლოს კი
არვის გავუმხელ!..

2 თებერვალი. 2007.

ნიცხე ვარსკვლავებით მოქედილ ცანს აჰყურებს

ძალიან ბევრს ეწევა ღმერთი.
ამიტომაც მალე მოკვდება.

ივლისი. 2007.

მოძრაობა

ქარი ქროდა და ქალს მიაფრიალებდა.
ქალი მიფრიალებდა და კაცი მისდევდა.
კაცი მირბოდა და უკან სამეგობრო მიყვებოდა.
სამეგობრო მიდიოდა და ლუდხანა იდგა.
ლუდხანა იდგა და ლუდი მჟავდებოდა.
ლუდი მჟავდებოდა და დახლიდარი ბერდებოდა.
დახლიდარი ბერდებოდა და თმა ცვიოდა.
თმა ცვიოდა და ბომბებიც ცვიოდა.
ბომბები ცვიოდა და სახლები ინგრეოდა.
სახლები ინგრეოდა და ახალი ლუდხანა შენდებოდა.
ახალი ლუდხანა შენდებოდა და ახალი სამეგობრო მოდიოდა.
ახალი სამეგობრო მოდიოდა და ახალი კაცი მორბოდა.
ახალი კაცი მორბოდა და ახალი ქალი მოფრიალებდა.
ახალი ქალი მოფრიალებდა და ძველი ქარი ქროდა.
ძველი ქარი ქროდა და ქარის წისქვილები ტრიალებდნენ.
ქარის წისქვილები ტრიალებდნენ და დონ კიხოტიც იზადებოდა.
დონ კიხოტი იზადებოდა და სერვანტესიც კვდებოდა.
სერვანტესი კვდებოდა და შექსპირიც კვდებოდა.
ანუ 1616 წლის 23 აპრილი იდგა,
ლიტერატურა გლოვობდა და ღმერთი იცინოდა.
ღმერთი იცინოდა და ხანდახან კაციც იცინოდა.
კაცი იცინოდა და ლუდს სვამდა.
ანუ პირიქით: ჯერ ლუდს სვამდა და მერე იცინოდა.

და მერე ტიროდა.
 ბოლოს კი დგებოდა ფეხზე და ბარბაცით ქალს მისდევდა.
 ქალი გარბოდა და ქარს კუდში მიჰყვებოდა.
 ქარი მიქროდა და ცდილობდა სინათლის სხივს დასწვოდა.
 კაცი იდგა და მათ დაჭერობანას უყურებდა.
 კაცი ხან ფიზიკოსი იყო,
 ხან პოეტი,
 ხან ლოთი.
 კაცი ხშირად შედიოდა ლუდხანაში და
 სანამ ლუდი დამთავდებოდა და დახლიდარი დაბერდებოდა,
 სვამდა ლუდს და მეგობრებთან ბჭობდა,
 ღმერთი კი იცინოდა,
 ღმერთი იცინოდა...

და ქარი ქროდა...

14 ივლისი. 2007.

სახელი და გვარი

ვუძღვნი ვან გოგის „ფეხსაცმელებს“

ჩვენ სახელი და გვარი ვართ,
 ერთი წყვილი ერთგული ფეხსაცმელი
 მუდამ ერთი ადამიანის.
 დაიბადება თუ არა იგი,
 მაშინათვე აცმევენ ჩვენს თავს:
 ჯერ გვარს, ცოტა ხანში სახელსაც,
 რათა იაროს დედამინაზე,
 საზღვრები გადაკვეთ-გადმოკვეთოს,
 ტალახშიც შეტოპოს,
 საპატიო წითელ ხალიჩაზეც გაიაროს
 საზეიმო მუსიკის ფონზე...
 ჩვენ რომ არა, დაუდგრომლები,
 ის ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა,
 სიყვარულს ვერ აუხსნიდა სხვა წყვილ ფეხსაცმელს,
 ვერ შესცოდებდა, ვერც აღსარებას ვერ იტყოდა,
 ერთი სიტყვით, ვერ იცხოვრებდა...
 „თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული...“ —
 და ამიტომაც პატრიოტიზმი
 ფეხშიშველა ხალხის საქმეა,
 მუშტს შემართავ, მოწოდებებს გაიძახი
 და საკუთარი სახელი და გვარი არ გახსოვს...
 ჩვენ, რა თქმა უნდა, თანდათან ვცვდებით,
 მაგრამ ბოლომდე არასოდეს,
 ერთი კია, ხანდახან პატრონი გვინუნებს და
 ახალ, პრიალა ფეხსაცმელებზე

საკუთარი ნებით გვცვლის ხოლმე,
 ხან ერთ-ერთ მათგანს, ხანაც ორივეს.
 მაგალითად:
 კოსტროვიცკის — აპოლინერზე,
 კვირკველიას — გრანელზე,
 ჯუღაშვილს — სტალინზე,
 სპენსერს — ჩაპლინზე,
 სემუელ კლემენსს — მარკ ტვენზე,
 ხოლო ქალები, რომ თხოვდებიან,
 ხშირად ცალ ფეხზე ქმრების ბათინკებს ირგებენ ხოლმე,
 და ჩვენც რაღა დაგვრჩენია,
 დამტვერილები, მორჩილად ვყრივართ მათ კარადებში,
 იმ იმედით, რომ ხანდახან მაინც გაგვიხსენებენ...
 თუმც უფრო ხშირად
 ორივენი სიკვდილამდე მათთანა ვართ,
 და მერეც, როცა
 ქრება ის ჩვენი ადამიანი,
 ჩვენ ვრჩებით ამ სამყაროში,
 როგორც ნიშანი მათი ოდესღაც არსებობისა.
 ჩვენ უკვე აღარ ვმოძრაობთ, მაგრამ
 ახალ თაობებს ვაჩვენებთ, იგი სად მოძრაობდა,
 რატომ და რისთვის...
 ზოგჯერ, თითქოს ჩვენი პატრონი ცალფეხა იყოს, —
 შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... —
 შთამომავლები მხოლოდ და მხოლოდ
 ცალ ფეხსაცმელს ამჩნევენ და აპრიალებენ...

აი, ასეა,
 ჩვენ სახელი და გვარი ვართ,
 და თუ მოკლედ აღვინერდით,
 ძირითადად ასეთია ჩვენი ცხოვრება...
 რა თქმა უნდა, მარადიული არაფერია,
 და ცოტა ადრე თუ ცოტა გვიან
 ჩვენც მოგვისვრიან საბოლოო სანაგვეზე,
 და ვინ იცის,
 იქნებ მხოლოდ ამის შემდეგ,
 ხალხური სიბრძნის და ფოლკლორის სიღრმეებში,
 გამოჩნდეს, თუ სინამდვილეში
 ვინ იყო ის ადამიანი,
 მთელი ცხოვრება რომ ამქვეყნად დავატარებდით...

1-2 აგვისტო. 2007.

სორცის არითმეტიკა

სხვა რა გზაა,
 კიდევ ერთხელ უნდა დაფიქრდე,

თუ ვინ იყავი, ვინა ხარ და
ვინ იქნები ცოტა ხნის შემდეგ...

უეჭველია, რომ იცვლები:
უეჭველია, რომ განიცდის შენი სული ტრანსფორმაციებს,
მაგრამ ამაზე მსჯელობა და საუბარი ურთულესია.
აჯობებს ისევ ხორცს დააკვირდე,
უფრო იოლად იპოვი მასში ტრანსფორმაციებს,
თანაც ისე, რომ
ანატომიას ანდა ფიზიოლოგიას
ერთხელაც არ გამოიყენებ.
შენს ხორცს ხომ თავისი არითმეტიკა გააჩნია,
და იგია უფრო მეტად თვალშისაცემი,
ვიდრე ის, რომ ნაოჭები გაგიჩნდა შუბლზე,
თმა გაგცვივდა,
ანდა სულაც სისხლძარღვები შეგივიწროვდა...

შენი ხორცი...
შენი ხორცი თავდაპირველად
იყო სამნაწილიანი:
დედაშენის, მამაშენის და საკუთრივ შენი.
ტანის ამ სამი ნაწილით გაჩნდი,
აიდგი ფეხი
და დიდი ხანი იარე ქვეყნად...
რომ მოინიფე, მამის ხორცი მოგაკლდა და
ორად ორი ნაწილითლა მოგინია
ცხოვრების მძიმე ტვირთი გეთრია...
უშუქობაში, უწყლობაში, უფულობაში ათრე ასე...
ათრევედი და სულით ობოლს
ხორციით ობლობის შემზარავად გეშინოდა,
იზაფრებოდი...
ხოლო მერე კი, უცებ დაიწყე...
კვლავ სამი... ოთხი, ხუთი, ექვსი...
ხორცის მეშვიდე ნაწილიც გაქვს, თითქოსდა უცხო,
მაგრამ შენი, ნამდვილად შენი...
რაც დრო გადის, ქუცმაცდები და პირნმინდად გცვლის
ხორცის ეს მარტივი არითმეტიკა...

შენი ხორცები...
შენი ციდა, საყვარელი, თბილი ხორცები...
დაბორიალობ სახლში ღამით
და სუყველგან,
ყველა ოთახში,
ისინი გხვდება საწოლებზე მიმოფანტული...
თავდაპირველი, ძველი ხორციც აქაა და
მოგვიანებით, ძლივს ნაპოვნი,
მეგობარი, ერთგული ხორციც...

არ შეიძლება შვიდ ნაწილად დაყოფილი ადამიანი
სამ ნაწილად ან ორ ნაწილად დაყოფილს ჰგავდეს...

ამიტომაც, რომ მე ახლა აი, ასეთი სხვანაირი ვარ...
 სხვანაირად ვხედავ, მიყვარს,
 სხვანაირად ვუსმენ ჩიტებს,
 ვჭამ, ვფიქრობ, ვშრომობ...
 ვარ ისეთი უშიშარიც,
 როგორც არასდროს:
 რაღა მომკლავს ასეთ შვიდხორცას!

თენდება უკვე...
 სულს არა აქვს თავისი მარტივი არითმეტიკა,
 უმაღლესი მათემატიკით იწყება იქ სუყველაფერი...
 მგონი მასშიც გამეგება რაღაცა, მაგრამ
 თენდება უკვე,
 და აჯობებს,
 ეგ საკითხი სამომავლოდ გადავდო და
 მაგიდიდან წამოვდგე, რათა
 კიდევ ერთხელ ჩამოვუარო ოთახებში მიმოფანტულ
 ჩემს ძვირფას ხორცებს,
 დილისათვის მოვაგროვო,
 მოვაგროვო სხვა ყაიდის ცხოვრებისათვის...

სხვა რა გზა იყო,
 ერთხელ კიდევ დავფიქრდი, თუ
 ვინ ვიყავი, ვინა ვარ და ვინ ვიქნები ცოტა ხნის შემდეგ,
 და ისე, როგორც საზრიანმა და ბეჯითმა პირველკლასელმა,
 მონდომებით და უშეცდომოდ
 ვითვალე ჩემი ცოდვილი ხორცი...

29 მაისი. 2007.

ოღა ცრემლსადინ გაზს

ყველაფერი ხახვით დაიწყო.
 ადამიანებს როდესაც არ ეტირებოდათ,
 მწარე ხახვს ფცქვნიდნენ,
 წვრილად ჭრიდნენ,
 ზოგჯერ სულაც უპუროდ ჭამდნენ
 და ბოლოს მაინც იცრემლებდნენ
 გამომშრალ თვალებს.
 სიღარიბის და საშინელი ვირუსების
 ძველ ეპოქებში
 ხახვი სწორედ რომ მისწრება იყო:
 იყო იაფი,
 ორგანიზმის იმუნიტეტს აძლიერებდა,
 თანაც როცა დანაყრდებოდი
 და ცოტასაც ისლუკუნებდი,
 გულზე ოდნავ მოგეშვებოდა!..

ამასთანავე,
დემოსს ძველი საბერძნეთის მერე როდისღა
ჰქონდა იმის შესაძლებლობა,
ევრიპიდეთი, ესქილეთი,
ან სხვა ნატიფი, დრამატული ხელოვნებით
განეცადა კათარზისი, ასე საჭირო!..

ამიტომაც, მწარე ხახვი და იმის ჯანი!

ხანდახან ხალხი როცა მაინც აჯანყდებოდა,
მეფეებს და იმპერატორებს
გამოჰყავდათ საკუთარი ლაშქარი და
ისინი ხახვის მთელ მოსავალს
მოჯანყეებს გაფცქვნილი სახით
უშენდნენ ხოლმე...
განრისხებული უპოვრებიც
გააგდებდნენ ხელიდან ფოცხებს,
ფინლებს და შუბებს,
ჩამოსხდებოდნენ სიპ ქვებზე და
რუსთაველის გმირებივით ატირდებოდნენ...

ისტორიულ ქრონიკებში და ანალებში
ამის შესახებ არაფერი არა წერია.
მიზეზი კი მარტივია:
მეფის კართა ჟამთაღმწერები
ხახვის სროლით მოპოვებულ გამარჯვებებს
მაღავდნენ ხოლმე,
ისე როგორც ხალხი მაღავდა
ბოსტნეულით მიყენებულ ამ დამარცხებებს.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა...
ქვეყანა ბევრჯერ ამოტრიალდა:
ფეოდალებმა, მონარქებმა, დიქტატორებმა,
კომუნისტებმა, დემოკრატებმა, ლიბერალებმა
უთვალავჯერ მოინდომეს ამ ცხოვრების
დაყენება საკუთარ წესზე.
ამ მონდომება-მონდომებაში
მეთოდებიც აუმჯობესეს...
და აგერ, აი, ხახვის ნაცვლად
უკეთესი ცრემლსაფრქვევი ბოლქვებიც
კი გამოიგონეს...

ხახვს ანი უკვე ყველა მხოლოდ
საკვებ პროდუქტად იყენებს ხოლმე:
ხრაკავს და თუშავს,
წვნიანს უშვრება,
მწვადს, ქაბაბს ან სალათას აჭრის,
და ამიტომაც, რახანია, მზარეულები,
ან დიასახლისი ქალბატონები
თულა ღვრიან მის გამო ცრემლდებიან...

ჩვენი ქვეყანა დიდი ხანი
 იყო ფრიად ჩამორჩენილი...
 დიდი ხანი ვცდილობდით,
 მაგრამ ვერ ვახერხებდით,
 აგრარული ეპოქიდან თავის დაღწევას...
 ბანანის და სიმინდის კი არადა, ლამის
 ჩიპოლინოს რესპუბლიკა ვიყავით მუდამ...

მაგრამ ბოლოს, მადლობა ღმერთს,
 ჩვენაც გვეღირსა!..
 გვეღირსა და დღევანდულობის შესაფერისად,
 ღირსეულად და ამაყად,
 ყველამ ერთად,
 დედაქალაქის გულისგულში,
 ისე როგორც ერთმა გუნდმა,
 ისე ვიტირეთ!

ცრემლები მეც გადმოვყარე,
 მით უმეტეს, რომ მიზეზი
 სხვებზე მეტი მქონდა ნამდვილად!..
 საერთო-სახალხო ქვითინამდე
 ერთი დღით ადრე ხომ უეცრად
 უახლოესი მეგობარი გარდამეცვალა.
 და პირველ დღესვე, სულშეძრულმა,
 სხვებთან ერთად
 დავიტირე იგი გულის ამოჯდომამდე...

მეორე დღესაც, ცხადია, რომ
 იქით გავწიე, მეგობარი სადაც ესვენა —
 ანუ სწორედ იმ ვინრო და მყუდრო ქუჩისკენ,
 სახელმწიფო კანცელარიას რომ უერთდებოდა...
 წინადღინდელი ემოციებით
 გადამწვარს და სულგამოფიტულს
 გული მქონდა ჩანყვეტილი,
 თვალი გამშრალი...
 მივდიოდი გამოღლილი,
 მექანიკური ნაბიჯით და
 ვიცოდი რომ პირველსავე დღეს
 მის ცხედართან
 გამოვლიე ჩემს სხეულში არსებული
 ცრემლის თითქმის მთელი მარაგი...

მაგრამ უცებ, მაგრამ უცებ...
 იცით, რა მოხდა?..
 არანაირად რომ არ მეგონა, ისე ავტირდი...
 ცხვირსახოცით მწარე ცრემლებს ვინმენდდი და
 ჩანითლებულ თვალებს ვისრესდი...
 მთელი ქუჩა ხალხით იყო გადავსებული
 და თანაგრძნობით შემყურებდნენ,

ბევრს საერთოდაც ზუსტად ჩემსავით
ლაპალუპით სდიოდა ცრემლი...

ამდენ ხალხში გზას ძლივს ვიკვლევდი...
„მეგობარო... მეგობარო...“ — ჩემთვის გულში
განუწყვეტლივ ვიმეორებდი...
მუჯღუგუნებით გზას ვიკაფავდი,
ამასობაში გული თანდათან დამინყნარდა
და შევწყვიტე თვალების სრესაც...
სახლამდე მცირედი მანძილილა მაშორებდა...
მაგრამ უეცრად
კვლავ ქვითინი ამივარდა ისტერიული...

სლუკუნ-სლუკუნით მივედი
მკვდარი მეგობრის სახლში.
ამხანაგები, ნათესავები,
არც ისე ბევრნი,
ოთახში ისხდნენ...
შევხედე და დავინახე,
თითქმის ყველას
თვალები ჰქონდა ჩანითლებული...
„მეგობარო... მეგობარო...“ — ჩემთვის გულში
კვლავ გავიმეორე.
ხოლო როცა ირგვლივ, ქუჩებში გამოფენილი
თვალცრემლიანი უამრავი ადამიანი წარმოვიდგინე,
მომეჩვენა, რომ
სიცოცხლეში დაუფასებელ
დიდ ქართველ მწერალ ზაზა თვარაძეს
დასტიროდა მთელი ქვეყანა.

.....
ღმერთო ძლიერო,
მადლობა რომ ხახვი შექმენი,
ხოლო მერე ცრემლსადენი გაზი — მისი
თანამედროვე ვარიაცია,
და შექმენი სახელმწიფო —
ძლიერი და ლიბერალური,
შექმენი ჯარი და „სპეცნაზი“ —
არც ისე ნაზი,
თუმც სატირალი საქმეების
მშვენივრად მცოდნე,
და მადლობა,
რომ გამოფინე ქუჩაში ხალხი
და „სპეცნაზის“ დახმარებით
გულამოსკვნით აატირე
უძვირფასესი ჩემი მეგობრის
ცხედართან ახლოს!..

რუსუდან კაიზაური

ჩაიდანო

ჩაიდანო, რა ხდება?
 ორთქლს უშვებ,
 ჭიქამ ბრაზი გაგინელა.
 განუყრელი მეგობრები:
 კარაქი, ჯემი,
 აპყოლიან დანის ენას.
 მურაბა დედოფლობს,
 ალუბლის ტურჩებით
 გაატკბილებს ლამბაქ-ფინჯანს.
 ლიმონმა გუნების ასაჭრელად
 პირდაპირ მდულარეში ჩააბიჯა.
 ჭიქებმა დაიფინეს ლამბაქები,
 თავში კოვზის ცემა დააპირეს.
 ცეცხლი გიკიდია, ჩაიდანო?
 ჭიქაში ჩარგე ცხვირი, ჩაატირე.

შემოდგომა

ქარებით დახვეტა ქვეყანა,
 გამართა ნვიმების აბანო —
 შეკრიბა მინაზე ვინც იყო,
 დაუბანელი და საბრალო.
 სამოსი გაიხადა შემოდგომამ,
 გამოუჩნდა ვაშლი და ყურძენი,
 კვახზე მიფუტყაპუნე ხელები,
 ტურჩებში ბრონეული ვუძღვენი.
 თავი გაიგიჟეს ფოთლებმა,
 გადაიხარხარა ბაზარმა.
 სიკვდილმა გამოიარა მწვანეზე,
 მაგრამ არავინ გაბრაზდა.

ლექსი

ლექსს როცა დანერ,
 იმ დღეს აღარ ლოცულობ,
 გული უარზეა.

დედობა ჩამოგერთმევა,
 სამშობლოს ათავისუფლებ
 შენგან,
 სიცოცხლე დასული
 ყუაზეა.
 ან რაღად გინდა?
 ლექსს როცა დანერ,
 გამობმული—მერნის
 ძუაზე ხარ.
 სამაგიეროდ,
 სხვა ყველაფერი
 შენს ჭკუაზეა.

შემქიდროება

ჩემსკენ მოიწვევენ საგნები,
 კეთილი და ბოროტი.
 ბზრიალასავით ვტრიალებ,
 მეხებიან
 სანყისით ან ბოლოთი.
 ყველაფერი ახლოა ჩემთან,
 მაგ. გალია წვიმების,
 ლამის ცას თვალი ავარტყა,
 მინაც არ არის მომხრე
 დაცილების.
 ყურიდან ჩიტი მცვივა,
 მეტმასნება ქალაქი,
 სავალდებულო გახდა—
 პურივით წამესვას,
 როგორც კარაქი.
 ძალიან შევმჭიდროვდით,
 თამამად ვერ ვიშლები.
 ცხოვრებაც გაბედულად
 ვერ აეწყო,
 თან ახლავს შენიშვნები.

მინიდან ამოვარდნა

ძალლი,
 როცა მთელი ვიყავით
 ღილივით ამძვრა და
 ბალახში გორავს.
 მთა ჩამოვიტეხე თეძოდან

და გამოვიდა მხოლოდ გორა.
 სად არიან ჩემგან მონყვეტილი
 საგნები,
 დაფანტულან და დღემდე
 ვკარგავ.
 გამიქვავდნენ, გამიველურდნენ,
 ველარ ირგებენ ლაგამს.
 გავიზარდე და დამიმოკლდნენ
 ნერვები,
 სადენივით მინდა ვჭიმო,
 მე და შიშველი სიმინდები
 ვხარხარებთ აღმოსავლეთში,
 დასავლეთს ვტირი ლიმონს.
 ტანზე ღობე და კარი
 ვერ მოვირგე,
 თმით დაითრევენ ჩემგან ჭარხალს.
 მინდა, მზესუმზირასავით
 მინიდან ამოვარდნა,
 დამძიმება და დახრა.

ლოზიო

ლოზიო, შე მარცვლებდასაცლელი,
 გასავლეთი ხარ,
 გასათხლეში, გასამწარებელი.
 სათითაოდ გამოდი, რომ მიგაჭყლიტო,
 დაგამლაშო, მოგიმწვანილო,
 ყურებზე ხახვი დაგაჭრა.
 ცეცხლი შენ!
 დადექი, ითუხთუხე, გასკდი სათითაოდ,
 ცივ წყალს გადაგასხამ,
 ძვალ-რბილს გაგიერთიანებ,
 დაგლეჭავ, ჩასახეთქო.
 გაგრილდი, თავი არ აიშავო,
 თორემ...
 აი, მჭადი კი დაგეცეს თავზე!
 არც ისე სანყალი ხარ...
 ყველა მოცლილია—
 სუფრაზე რომ ხარ და
 ქორნილი გაქვს;
 კომბოსტოს მწნილი გარმონივით
 იკეცება,
 დანა-ჩანგალს შუა ჩაგატარებენ,
 თეფშის სარეცელზე პურს მოგიწვენენ
 გვერდით და
 წინაკით ჩაგამწარებენ.

ნივრის ნაფრცქვენები, თეფშის ირგვლივ,
შენი საცვლებია,
დასვრილი თეფში, წინაკის ყუნწი...
სად არის დიასახლისი,
არ რცხვენია?

წიგნისგან დაცლილი

წიგნების ხელში ჩავევარდი,
წიგნებში მძინავს,
წიგნებით ვიკვებები.
მრავალსიტყვა ვარ და
ნეტა პირზე დამიკერებდეთ.
მამაჩემი წიგნების სახლს
მიშენებს,
წიგნზე ამხედრებული,
სანიშნს ველოდები.
„ვეფხისტყაოსანია“
ჩემი მზითვი,
ვისაც გასურთ, წამიკითხეთ,
არასდროს ვმეორდები.
დედაჩემმა წიგნში მიპოვა,
ბებიაწიგნების ქადა გამომიცხო.
წიგნები ყელზე მადგას,
რომელი წიგნი ვარ, გამომიცნონ.
წიგნები გვერდზე მოვისროლე,
ერთდროს საფიცრები,
წიგნისგან განგმირული ვწევარ
ბრძოლის ველზე,
მალე წიგნისგან დავიცლები.

სილის განვნა

კედელი ამოიყვანეს,
აქეთ და იქით სხედან
ნახევრები.
კედელი არ იყოს,
გაერთიანდებოდნენ გახელებით.
კედელი ჭაღით დაჭყეტილი
და განწყობილი ოჯახის
წევრებით,
გაჯგიმული, დაძაბული კედელი,
დენგამტარი ნერვებით,

სიბრაზისგან გადახსნილი,
 მტვერში გაპარული,
 შეაკავეს რკინის გისოსებმა
 და გაგიჟებული კედელი
 გაჯის პერანგით იმოსება.
 კედელს ზოგჯერ სული ეხუთება
 და იგლიჯება ფანჯრებად,
 ან ძალიან დაილლება
 და კიბეებად დაჯდება.
 თვალი გაქცევაზე უჭირავს, მაგრამ
 კუთხეში იჩოქებს
 და კავდება,
 კედელს სილა უნდა შემოარტყას
 ფართოდ გაღებულმა კარებმა.

მინის მთხრელი

ოჰ, ეს კალამი ამეკვიატა,
 ვერსად მივაგდე.
 შიშით ველარ მიფიქრია,
 ამომაქოთებს,
 დასანერს მიაგნებს.
 შემოდვრა თითებშუა,
 ველარ დავმალე
 სუფთა ფურცელი და
 მექცა სამარედ.
 ოჰ, ეს კალმისტარი
 ხიდად გაიდო
 სანერი პირით ჩემკენ,
 შემოდინ გულთან ლექსები,
 უბოდიშოდ გასწევენ ნეკნებს.
 სხვა ყველა ჩამოაშორა
 ჩემს ხელებს,
 ყოველი მხრიდან
 ვიკითხები,
 თითის წვერებზე შემართულა,
 მე მინა ვარ და
 და ის არის მინის მთხრელი.

ვან-გოგი ყვითელ ავტობუსში

ყვითელი ავტობუსი—№46
 მოსეირნობს ასფალტზე.
 ვან-გოგის დროა, იღვრება მზე,
 დედამიწელებმა სუნთქვით
 რომ გაფატრეს.
 ყვითელი ავტობუსი,
 ვან-გოგის მზესუმზირას
 რომ დაემსგავსოს,
 უნდა შევავსოთ მე და
 შავთმიანმა ბავშვებმა.
 ტკბილი მზე მალლიდან წვეთავს და
 ჩემთან შერეული—მლაშეა.
 ვან-გოგი ავტობუსიდან
 ჩავიდა,
 დანარჩენი მგზავრებიც
 კარებმა დამარცვლა.
 მზე ჩაიგუბა ავტობუსმა
 და გადასცდა.

რა მიქნია

მივრბივარ თუ ვდგავარ
 და სხვები მიქრიან,
 ველარ გავარჩიე „შენ“ „მე“ ხარ,
 თუ „მე“ „იგია“,
 ჩემს თავს რომ ავცდი,
 არც გამიგია.
 სიზმარს თუ ვიხელთებ,
 თავი ვერ შემირგია,
 ცხადი სულ რიგია
 და ძიგძიგია.
 რასაც ფრთა ესხმის,
 —ეს მარტო ფიქრია,
 მეც წამოვინიე,
 წამომეშალა ყველაფერი,
 ძირს გადამიქნია.
 ტირილით ვგროვდები—
 ეს რა მიქნია.

მარტოობის გამომცდილება

ერთხელ
 ნავიფარე ხელები,
 რომლებიც
 თითებით გართულდა.
 ნამოვიწყე მარტოობის
 შენება,
 ფეხი ფეხზე შემოიღო
 სართულმა.
 ჩემი მხრების უკან
 დავდექი,
 გავთათხე მოღალატე
 კანჭები,
 როცა ორივე ერთად
 ამეტყველდა,
 როგორც სათაური და
 სარჩევი.
 ყურის ნიჟარა აკეთილშობილებდა
 გარედან შემოსულ
 ხმაურს,
 ბაზარი აღარ ვიყავი,
 გამოქვაბულივით ვიძახდი „აუ“-ს
 მშიშარა მუხლებს
 გავექეცი,
 ფანჯარასთან დავტოვე
 ორი ჩამომტყნარი
 იდაყვი.

რომ მოვსინჯო მარტოობის სიმყარე,
 სიტყვებს სეტყვასავით მივაყრი.

კალიზის პირანგები

ხეები მესიჯობენ,
 ერთმანეთს ჩიტებს უცვლიან,
 ამიტომ ცაში ნუთების
 ფაციფუცია.
 ხეები მთვარეს აქეთ-იქით
 აქროლებენ,
 როგორც თეთრონს.
 ერთი სული აქვთ,
 მერე გუბეში
 რომ ჩაახეთქონ.
 უხტუნავთ ხეებს

კალიების პერანგი ხამი,
 ნითელი ფარნის ქვეშ
 დაჰყვებიან გაფუჭებულ ამინდს.
 მონაზვნობენ კიდევც,
 ფესვები მორჩილად არიან.
 ხეს თავში ცულს ვუკაკუნებ:
 „შეშად მინდიხარ, გცალია?“

დარღვეული დედა

დედის საყვედურები
 დიდი ხანია მდევნის
 ნაცემი ძალღივით, მხრებზე უნდა მოვიხვიო
 დედაჩემი,
 რომ ვიგრძნო,
 სად არის გაცვეთილი.
 მისი მინდვრის ყვავილობიდან:
 ნაწილი გატიალდა,
 ქოთანში ჩავტენე მონარჩენი.
 მთელი დღე ასმაგად ვინასკვები,
 არ მცალია გავიშალო,
 რომ პეპლად თავი მოვაჩვენო,
 დავატარებ: შუბლიდან მკერდზე,
 მკერდიდან—მხრებზე პირჯვართან ერთად
 ნეტარებით,
 არ ვეხსნები დარღვეულ დედას,
 მზისსხივგაყრილი მახათივით
 ვეტანები.

მარბერიტ დიურასი

ფრანგულიდან თარგმნა
ათინათ მამაცაშვილმა

ფრაგმენტები წიგნიდან
„მატერიალური ყოფა“

მამაკაცები

თუ განზოგადოების უნარი გაქვთ, შეიძლება დაასკვნათ, რომ „სიკვდილის ავადმყოფობა“ პირველი ვერსიაა წიგნისა „ქერა თმა, ცისფერი თვალები“. მაგრამ „სიკვდილის ავადმყოფობა“ გასამართლების პროცესია, მეორე მოთხრობაში კი, ვერანაირი გაგებით, მსგავსს ვერას წააწყდებით.

მაგალითად, ზოგიერთმა - პეტერ ჰანდკედან მოყოლებული და მორის ბლანშოთი დამთავრებული - ჩათვალა, რომ ნანარმოები „სიკვდილის ავადმყოფობა“ ქალების დასაცავად და კაცების წინააღმდეგ იყო მიმართული. გნებავთ, ასეც იფიქრეთ. მაგრამ თუ კაცები „სიკვდილის ავადმყოფობას“ ამ კუთხით შეხედავენ და მხოლოდ ამიტომ მიიჩნევენ საინტერესოდ, ალბათ წინათგრძნობა არ ღალატობთ! მართლაც არის იქ რაღაც ისეთი, რაც მათ ეხებათ. განსაცვიფრებელია, რომ ეს დაინახეს. საოცარია აგრეთვე ის, რომ **The Malady of Death**¹- ში არის მაინც მამაკაცი კაცებს შორის, კაცების წინააღმდეგ; და გარდა ამისა, ძალიან ზუსტადაა აღწერილი ქალების პირისპირ დარჩენილი ერთი მამაკაცი.

კაცები ჰომოსექსუალები არიან. ყველა მამაკაცს შეუძლია ჰომოსექსუალი იყოს. კაცებს მხოლოდ ერთი რამ აკლიათ - ამის გააზრება; ისინი ამას ვერ აცნობიერებენ, ვიდრე რაღაც არ შეემთხვევათ, ისეთი ინციდენტი, რომელიც ამ ფაქტს ნათელს მოჰფენს. ჰომოსექსუალებმა კი ეს უკვე იციან და ამას კიდევ აღიარებენ. ქალები, რომლებიც იცნობდნენ და ჰყვარობდნენ ჰომოსექსუალებს, ასევე ფიქრობენ და ზუსტად იმავეს აცხადებენ.

ნიღაბაფარებული ტრავესტი², შემოჭრილი დამპყრობელივით, მყვირალაა, შეუწყნარებელი, აღმასფოთებელი, საოცარად მომაჯადოებელი, ძნელად აღსანერი, ამავდროულად - ყველასთვის საყვარელი, - საკუთარ თავსა და სხეულში იგი ატარებს ქალსა და კაცს შორის ორგანული და და-ძმური დაპირისპირების მოკვდინებას, ატარებს აბსტრაქტულ ძაძებს, რომელიც თავისი მეორე ნაწილის გამოსაგლოვად ჩაუცვამს.

ეს უფრო ინტუიციურია, ვიდრე გამოცდილების შედეგი, უდავო რწმუნებულება იმისა, რაც მამაკაცების წრეში ხდება რეალურად. ეს არც კაცის პერსონალური მახასიათებელია, ან მისი ჩვეულებრივი, ზოგადი მდგომარეობა, ეს, უბრალოდ, თვალსაჩინოებაა. აღარ მინდა ახლა ამას რაღაც კონკრეტული სიტყვა დავარქვა. მას მერე, რაც ყველაფერს მივხვდი, აღარ მჭირდება სიტყვებით ამის ახსნა, ეს თვალსაჩინოება აღარ საჭიროებს სახელის დარქმევას. გნებავთ, შორიდან მოვუაროთ, რათა მეტაფორულად აიხსნას ყველაფერი? ახლა ისე აღარ ვწერ, როგორც წინათ, ანუ იმგვარად, როგორც უკვე ერთხელ აღვწერე „სიკვდილის

¹ სიკვდილის ავადმყოფობა (ინგლ.)

² გადაცმული, სანაწილადმდეგო სქესის სამოსში გამოწყობილი

ავადმყოფობაში“, ახლა მირჩევნია, უფრო უბრალოდ ვთქვა: მხოლოდ ერთ სიტყვაშია განსხვავება, და ეს სიტყვა არ არის ცნობილი; სიტყვაზე ჩრდილის მიყენების მნიშვნელობაზეა საუბარი, ერთი სიტყვის წამოცდენაზე. ეს ფერია, სულიერების გარეშე, რატომღაც - ცუდი ცისფერი. განსხვავებულობა ძლიერ ფაქიზია, იშვიათი, მაგრამ აღმოუფხვრელი, ან იქნებ, სრულიად სანინაალმდეგოდ, ეს ჩრდილის უქონლობაა, ჩრდილის არქონა ყველგან, ზღვასა თუ ხმელეთზე. და თვალეში დასადგურებული სიყვარულის უკმარისობის რბილი მარმაში.

წარმოსახვითს დიდი ადგილი უკავია ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობაში. და სწორედ აქ, ამ ქვაკუთხედზე ხდება მათი გაყრა ფრიგიდულობის გამო, რომელზეც ქალი სულ უფრო მეტად ლაპარაკობს და ეს სულ უფრო მეტად ანადგურებს მამაკაცს, რომელსაც ქალი ძველებურად სწადია. უმეტეს შემთხვევაში, ქალს არც კი ესმის, რა სიავემ თუ ჭირმა შთანთქა მისი სურვილი, კაცისადმი მისი ლტოლვა. უფრო ხშირად ზედმინვენით არც კი აცნობიერებენ, თუ რა არის სურვილის გრძნობა, როგორ ესახება ის ქალს; ქალი ფიქრობს, რომ რაღაც ისეთი უნდა გააკეთოს, რომ ისევე იგრძნოს ეს ლტოლვა, როგორც სხვა ქალებმა. საამშემთხვევოდ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება, კერძოდ: როდესაც ფიქრობენ, წარმოსახვის ნაკლებობა ან უქონლობა გვაქვსო, სინამდვილეში, სწორედ იქ არის წარმოსახვა ყველაზე ძლიერი. ამას ეწოდება ფრიგიდულობა.

ფრიგიდულობა ქალის მიერ სურვილის წარმოსახვაა იმ მამაკაცის მიმართ, რომელიც მის გვერდითაა და საკუთარ თავს სთავაზობს, ქალს კი იგი არ სწყურია, არ გააჩნია მისადმი ლტოლვა. ქალის ფრიგიდულობა, სიცივე მის გვერდით იმ სასურველი მამაკაცის არყოფნის ანარეკლია, რომელიც ჯერ არ მისულა მასთან, ანუ რომელსაც ქალი ჯერ კიდევ არ იცნობს. ქალი სწორედ იმ უცნობის ერთგულია, რომელსაც ჯერ სულაც არ იცნობს და მამასადამე, არც ეკუთვნის. ცივი ქალი ეს ალბათ *ლტოლვის უქონლობაა* იმ მამაკაცის მიმართ, რომელიც მისი საბედო არ ყოფილა. ფრიგიდულობის დასრულების წინასწარმეტყველება არ შეიძლება, იქნებ ისეც მოხდეს, რომ ვერც ერთმა კაცმა ვერ შეძლოს ამას წერტილი დაუსვას. ქალს მხოლოდ რომელიღაც გარკვეული საყვარლისადმი აქვს ლტოლვა, ვინც არ უნდა იყოს იგი, საზოგადოების რომელ ფენასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, და მხოლოდ ეს მამაკაცი იქნება ქალის საყვარელი, თუ ქალს მის მიმართ გააჩნია ლტოლვა. მიდრეკილებას, ლტოლვას თითქოს ქალური ბუნება აქვს, დედამინის ზურგზე მხოლოდ ის არ ექვემდებარება კონტროლს. ზოგჯერ, ჰეტეროსექსუალური საყვარლების შემთხვევაში, სურვილი იმდენად მიეჯაჭვება პერსონას, რომ მამაკაციცა და ქალიც შეიძლება ფრიგიდულები, უძღურები გახდნენ, თუ პარტნიორებს შეიცვლიან. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ეს დიდი იშვიათობაა. რა გაენწყობა, თუ ჩემი ნაფიქრალი ზედმეტად რადიკალურ და უიმედო მსჯელობად მოგეჩვენებათ, ყოველ შემთხვევაში, სიმართლესთან არის მიახლოებული.

ჰეტეროსექსუალობა სახიფათოა, სწორედ აქ ცდილობენ იპოვონ სურვილის სრულყოფილად დუალისტური ბუნება.

ჰეტეროსექსუალობის შემთხვევაში, საკითხის გადაწყვეტა არ არსებობს. ქალი და მამაკაცი შეურიგებლები არიან თავის არსშივე და ამის გამოსწორება შეუძლებელია, ამ მცდელობას ნანატრი შედეგი ვერ მოაქვს და თითოეული ახალი სიყვარულისას დაზავების შეუძლებლობა ხელახლა ბადებს ამ მცდელობის უსაზღვრო სურვილს. ამაშია მისი სიდიადე.

ჰომოსექსუალობის ვნება ისევე და ისევე ჰომოსექსუალობაა. ის, რაც ჰომოსექსუალს უყვარს, როგორც საყვარელი, როგორც სამშობლო, ან საკუთარი ქმნილება, ანდა მშობლიური მიწა, - ეს საყვარელი როდია, ეს თავად ჰომოსექსუალობაა.

საყვარლის სურვილით მიზიდულნი, იმ ვაგინალურ ღრუში ვალწევთ, რომელიც რეზონირებს სხეულის ცარიელი ნაწილივით. ეს ის ალაგია, რომელიც ჩვენი საყვარლის ასოს

არ გააჩნია. შეუძლებელია, ადამიანი მოტყუვდეს საყვარლის თაობაზე. ანუ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ უცხო კაცის ასო იმ ღრუში, რომელიც ერთადერთი კაცისთვის იყო განკუთვნილი და ეს მამაკაცი ჩვენი საყვარელია. როდესაც ვილაც უცხო კაცი გვეხება, ზიზღისაგან ვყვირით, საყვარელს კი ისევე ვეუფლებით, როგორც ის გვეუფლება. ანუ ერთმანეთს ვფლობთ. დაუფლების ეს ალაგი აბსოლუტურად სუბიექტურია. და სწორედ მას უმასპინძლებდა საყვარელი, ჩვენსავე მუდარას აყოლილი, ყველაზე უფრო ძლიერი დარტყმებით – რომ ექოდ გაისმას მთელს სხეულში, მიმოიფანტოს ფიქრისგან დაცლილ გონებაში.

სწორედ იქ გვინდება სიკვდილი.

ის მწერალი, რომელსაც არასოდეს ჰყოლია ქალი, რომელიც არასოდეს შეხებია ქალს, რომელსაც არც ქალის დაწერილი წიგნი წაუკითხავს და არც ქალის დაწერილი პოემა, მწარედ ცდება, თუ ფიქრობს, რომ ლიტერატურული კარიერა უკვე გაკეთებული აქვს. შეუძლებელია, უგულვებელყო ეს აზრი და იფიქრო, რომ თანასწორი ხარ მეტრისა, დიდი ხელოვანისა. როლან ბარტი იყო კაცი, რომელთანაც მეგობრობა მაკავშირებდა, მაგრამ მისით აღტაცებული არასოდეს ვყოფილვარ. მეჩვენებოდა, რომ ყოველთვის ერთგვარი „პროფესორული“ მიდგომა ჰქონდა, ერთობ დაძაბული, ახასიათებდა სიმკაცრე და წინასწარი აკვიატებანი. მისი „მითოლოგიების“ ციკლის კითხვა ერთხელ რომ დავამთავრე, აღარასოდეს მივბრუნებოვარ. მწერლის სიკვდილის შემდეგ მინდოდა წამეკითხა მის მიერ ფოტოგრაფიაზე დაწერილი წიგნი, მაგრამ ვერ შევძელი, გარდა ერთი, ძალიან კარგად შესრულებული, დედის მიმართ მიძღვნილი ლამაზი ქვეთავისა. მოღვაწის დედა მუდამ მისი თანმხლები პირი იყო და ერთადერთი გმირი მწერლის ცხოვრების უდაბნოში. მოგვიანებით **„ფრაგმენტი შეყვარებულის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან“** გადავშალე და ვერც მისი წაკითხვა შევძელი.

წაწარმოები უდავოდ ინტელექტუალური საკითხავია. შეყვარებულის ბლოკნოტი, შეყვარებულის ჩანახატები, მაგრამ სიყვარულის გარეშე, ანუ, ჩემის აზრით, სიცარიელე, მეტი არაფერი. და მაინც, მინდა ვთქვა, მომხიბლავი კაცი იყო. . . დიახ. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წერის მანერა ჰქონდა, უძრავი, აკურატული, რაღაცნაირად რეგულარული.

რელიგიურ პარტიკულარიზმშიც³ კი საჭიროა უცნობს კარი გაულო, რათა მან შეძლოს — შევიდეს და ეგნოს. საჭიროა კანონის გადაშლა და მისი ღიად დატოვება, რომ რაიმემ მაინც შეძლოს შიგ შეღწევა და თავისუფლების ჩარჩოების ჩვეული საზღვრების დარღვევა. რა კარგი იქნებოდა, რომ შეგვეძლოს კარის გაღება ურწმუნოთათვის, რაიმე აკრძალულისთვის, რათა საგანთა უცნობმა, დაფარულმა რაობამ შეაღწიოს და თავი წარმოაჩინოს. როლან ბარტთან ასეთი რამ არ ხდება, მსგავსი ძვრები არ შეიმჩნევა, არც მოზარდის ძლიერი გრძნობების პულსირება ალწერილი, საკუთარ თავს რომ ვერ ერევა; ეს გაუცნობიერებული სურვილები მის ნაწერს არ გამსჭვალავს. ალბათ როლან ბარტი ბავშვობიდან პირდაპირ ზრდასრულობაში გადავიდა. მოზარდობის ასაკის ხიფათები კი არასოდეს გამოუვლია.

სექსუალობის თვალსაზრისით, კაცები ხშირად ჩემი წიგნების ცალმხრივ ინტერპრეტაციას ახდენენ, თითქოს მე რომელიმე ერთ მხარეს წაროვადგენდე. ისინი გადასინჯავენ წაკითხულს, ზედმინვენით განიხილავენ ყველაფერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. კაცები დასცინიან ყოველგვარ სექსუალობას, რომელიც მათი არ არის.

წაწარმოებში **„საყვარელი“** ზოგიერთმა მამაკაცმა არ მიიღო პატარა ბლანში და მისი ჩინელი საყვარელი. წიგნის კითხვისას ისინი თურმე თვალს ხუჭავდნენ! **საყვარელი** მათთვის მხოლოდ ღირსეული ოჯახია, სეირნობები, სკოლის დიპლომი, საიგონი **by night**⁴, კოლონიალური ცხოვრების ამსახველი ცნებების მთელი ეს ნაკრები. მაგრამ არა პატარა ბლანში და მისი საყვარელი. მკითხველთა უმეტესობაში ეს წყვილი აღძრავს უეცარ სურ-

³ პარტიკულარიზმი-რელიგიური დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ქრისტიე ეგნო მხოლოდ რჩეულთა გულისათვის (მთარგმნელისაგან)

⁴ ღამით (ინგლ.)

ვილს, რომელიც მოდის საუკუნეების წყვილიდან, მამაკაცთა ბნელი სიღრმეებიდან, ძალადობიდან, ინცესტიდან. ეს პატარა გოგონა, რომელიც ქალაქში ისე დადის, თითქოს ლიცეუმში მიდიოდეს, გადის ტრამვაის ხაზებით გადაკვეთილ დიდ გამზირზე, ბაზრების გავლით, მიდის ჩაშავებულ ტროტუარებზე, ხალხი რომ ირევა, რათა საყვარლისადმი მონური ვალდებულების გამო, მივიდეს კაცთან; ჩემის აზრით, მას ის თავისუფლება გააჩნია, რომელიც მე უკვე დაკარგული მაქვს.

მახსენდება ხელები ჩემს სხეულზე, მახსოვს თიხის კოკიდან გადმომდინარე წყლის სიგრილე. როგორ ცხელოდა, ახლა ამის წარმოდგენაც კი მიჭირს. მე ნებას ვაძლევ, რომ დამბანონ, იგი ჩემს სხეულს არ ამშრალებს, სველი გადავყავარ საველე სანოლზე. ხე აბრეშუმით გლუვია, გრილი. იგი ვენტილატორს რთავს. ძლიერი და იმავდროულად ნაზი, მზად არის — შემსვას და მეც ვნებდები.

კანი. პატარა ძმის კანი. ისიც მსგავსია. ხელი. მსგავსია.

ვფიქრობ, რომ საზოგადოდ მამაკაცი უხეშად ექცევა ქალს, ავტორიტარულად. მაგრამ ასეთი ქცევა როდი ნიშნავს, რომ მამაკაცი საერთოდ უხეშია ან ავტორიტარული ბუნებისაა. უხეშად იგი ჰეტეროსექსუალურ წყვილში გვევლინება, იმიტომ, რომ ამგვარ წყვილში ცუდად გრძნობს თავს; ის ამ როლს თამაშობს, რადგან ეს სწყინს. ჰეტეროსექსუალურ წყვილში კაცი თავის საათს ელოდება, ასე ვთქვათ, პერსონალურ საათს. მან ეს არც კი იცის, ვერც აცნობიერებს. იმ მამაკაცთა რიცხვი ჰეტეროსექსუალურ წყვილებში, რომლებიც მოლოდინში არიან, მარტონი, თავიანთ კუთხეში, ან სალონებში, პლაჟებზე, ანდა ქალაქში, და რომელთაც საერთო ენა ვერ გამოუნახავთ თავიანთ ქალებთან, მილიონობით განისაზღვრება ყველა ქვეყანაში. და მათ არაფერი იციან ამის შესახებ. ასეთ მამაკაცებს ჯავშანი ჰეტეროსექსუალურ წყვილში ნათამაშები როლიდან გამოსვლისას აღარ გააჩნიათ. ქალებს შორის ინტიმური საუბრის ეკვივალენტი მხოლოდ კაცებს შორის საუბარია. ლაპარაკი ნიშნავს, ისაუბრო სექსუალობაზე. ხოლო ლაპარაკი სექსუალობაზე კი, უკვე ნიშნავს სექსუალობაში ყოფნას. ეს სპორტზე ან სამსახურზე ლაპარაკი როდია.

ქალებს რალაც-რალაცების გადასხვაფერება უყვართ. ისინი ერთმანეთში მხოლოდ მატერიალურ ცხოვრებაზე ლაპარაკობენ. ქალები სულიერების სფეროში არ დაიშვებიან. ეს ცოტამ თუ იცის. იმათი რიცხვი კი, ვისთვისაც ეს ჯერ კიდევ უცნობია, ძალიან დიდია. საუკუნეების მანძილზე ქალებს კაცები ეხმარებოდნენ საკუთარი თავი ამოეცნოთ, კაცები ასწავლიდნენ მათ, რომ ქალები დაქვემდებარებულები და მათზე დაბლა მდგომნი არიან. ამ უკან დაწევისა და ჩაგვრის მდგომარეობაში მყოფთათვის, ქალების შეუჩერებელი ლაპარაკი გაურკვეველია, განუსაზღვრელი, რადგან ცხოვრების მატერიალურ სფეროს ეხება. ამგვარი საუბარი უძველესია; ქალები ძნელბედობის შესახებ მონათხრობს საუკუნეების მანძილზე გადასცემდნენ ერთმანეთს, პრაქტიკულად - წესდებასავით, ვიდრე ყოველივემ დღის შუქი არ იხილა ქალისადმი მიძღვნილ პირველ ნიგნში. კაცი კი არა, ქალია ნორჩი, ახალგაზრდა. და მან არასოდეს იცოდა ამის შესახებ.

ერთადერთი, რაც გვაერთიანებს, შარმია, ხიბლი, ხოლო ხიბლი ნიშნავს იყო მსგავსი. გინდ კაცისა, და გინდაც ქალისათვის, ხიბლი იმაშია, რომ თანასწორობა აღმოაჩინო.

თუ მამაკაცი ხართ, პრივილეგირებულობა მუდმივად ახლავს თქვენს არსებობას, პრივილეგირებულობა თქვენი გულის, სხეულის, რასის, სქესის — მამაკაცის გამორჩეულობა. სწორედ ასეთი განწყობით ხვდებით ქალს. თქვენში არსებული მეორე ადამიანი, კაცი ნომერი ორი, ცხოვრობს თქვენს ქალთან; მდებდრთან მას ჩვეულებრივი სექსუალური ურთიერთობები აქვს, უტილიტარული, კულინარული, ცხოვრებისეული, სასიყვარულო, ვნებიანიც კი, ბავშვების შემქმნელი და ოჯახის მაარსებელი. მაგრამ დიდი ადამიანი, რომელიც

თქვენში ცხოვრობს, ანუ კაცი ნომერი ერთი, ურთიერთობს მხოლოდ თავის მოძმეებთან –კაცებთან. ქალების დამამშვიდებელ ლაპარაკს კაცი მხოლოდ ცალი ყურით უსმენს, დეტალების განხილვით სულაც არ ინუხებს თავს, ის მისამღერივით ჩაესმის ხოლმე. ქალს უბრალოდ არ უსმენენ. თუმცა ამის გამო მთლად ვერც მამაკაცებს დავადასაშაულებთ. მართალია, ქალები ზოგჯერ მოსაწყენნი არიან და მათი უმეტესობა ვერ ბედავს როლიდან გამოსვლას; გასაგებია, რომ კაცებს ეს არც სურთ. ფრანგული ბურჟუაზია ქალს ყოველთვის განიხილავს, როგორც მეორეხარისხოვან არსებას. მაგრამ ერთი კია: ქალმა ყოველივე ეს უკვე გააცნობიერა. ამიტომაც ის მიდის და ტოვებს ხოლმე მამაკაცს; ახლა ის ბევრად უფრო ბედნიერია, ვიდრე ადრე. თავის კუთვნილ კაცთან ის ერთგვარ წარმოდგენაში მონაწილეობდა. ჰომოსექსუალებში ეს ნაკლებ თვალსაჩინოა.

ჰეტეროსექსუალი მამაკაცის გადაქცევა ჰომოსექსუალად ძალიან მძიმე, კრიზისული პროცესია. არ არსებობს ამაზე უფრო დიდი ცვლილება. მამაკაცს საკუთარი თავის შეცნობა უჭირს. ის თითქოს ხელახლა იბადება. უმეტესწილად, იგი კრიზისს ვერ მართავს, ვერ ერკვევა მასში. თავდაპირველად მას არაფერი გაეგება და ჰომოსექსუალობის ჰიპოთეტურ იდეასაც კი უკუაგდებს. მისი ქალი კი ხვდება ყველაფერს, იგი უმალ შეატყობს კაცს ამას, ან მოგვიანებით, მისი ახლობლების წრის მეშვეობით გაიგებს. ქალი ყველაფერს აანალიზებს, რასაც კაცი ადრე, წარსულში ამბობდა, და შეიმეცნებს. ქალი ამბობს: „ეს ყოველთვის ასე იყო, მაგრამ კაცი ვერ ხედავდა! ეს სხვებმა აღმოაჩინეს, მათ, რომლებიც მისნაირნი არიან“.

ეს ყველა დროის უდიდესი კატასტროფა იქნება. თავდაპირველად, ფარული. თავიდან მოსახლეობის ოდნავი შემცირება მოხდება. ხალხი მუშაობისთვის თავს აღარ შეინუხებს. საჭირო სამუშაოს შესასრულებლად მიგრანტებს მასიურად შემოიყვანენ. შემდეგ კი უცნობია, რა უნდა გაკეთდეს. იქნებ ყველა ერთად დაელოდება მოსახლეობის ტოტალურ გადაშენებას. და მუდმივ ძილში იქნება ყველა. უკანასკნელი ადამიანის სიკვდილი შეუმჩნევლად ჩაივლის. იქნებ, ისეც მოხდეს, რომ ახალი ჰეტეროსექსუალები კვლავ წარმოჩნდებიან, რომ ხელახლა გათამამდეს **კომედია**.

მართლაც, ძნელია ისაუბრო სექსუალობის თემაზე. ვიდრე ადამიანი სანტექნიკოსი, ან მწერალი, ან ტაქსის მძღოლი, ანდა ჟურნალისტი გამოვიდოდეს, ან გინდაც, სრულიად არ გააჩნდეს პროფესია, ის უპირველეს ყოვლისა, მაინც ადამიანია, ჰეტეროსექსუალი იქნება, თუ ჰომოსექსუალი. არის განსხვავებულობა მათ შორის, რასაც მუდამ გვახსენებენ, მოყოლებული გაცნობის დროიდან, და უფრო მოგვიანებითაც.

საჭიროა გიყვარდეთ კაცები. ძალიან, ძალიან. რარიგ ძლიერ უნდა გიყვარდეთ ისინი, რათა შეგეძლოთ მათი სიყვარული; უამისოდ, მათი ატანა ყოვლად შეუძლებელია, უბრალოდ წარმოუდგენელი.

მწერლის სხეული

მწერლის სხეული მისი ნაწერების თანამონაწილეა. მწერლები, პრინციპის ან ძალაუფლების მქონეთა მსგავსად, სექსუალურობის პროვოცირებას ახდენენ. ადამიანებს თითქოს ინტიმური კავშირი ჰქონდეთ ჩვენს ტვინთან, ისე შეაღწევენ ხოლმე მასში, როგორც სხეულში. არც მე ვარ გამონაკლისი. ეს დამაბრმავებელი ვნება იმ საყვარლებსაც აჰიპნოზებდა, ინტელექტუალები რომ არ იყვნენ. მაგალითად, მუშისთვის მწერალი ქალი ისეთი უცხო ხილია, რომლის გასინჯვაც არასოდეს ეღირსება. ასეა ყველგან, მთელს დედამიწაზე, ყველა მწერლისთვის, კაცი იქნება იგი, თუ ქალი. ისინი უმაღლესი სექსუალურობის საუკეთესო ობიექტები არიან. მეც ასე მემართებოდა ახალგაზრდობაში, როდესაც ასაკოვანი მამაკ-

აცები მიზიდავდნენ, მხოლოდ იმის გამო, რომ მწერლები იყვნენ. ვერასოდეს წარმომედგინა სექსუალობა ინტელექტის გარეშე და მხოლოდ ინტელექტუალობა მეხატებოდა, როგორც ერთგვარი თვითნაკლულობა. ბევრი ინტელექტუალი ხომ მოუხერხებელი საყვარელია, მორიდებული და უღონო, განმხოლოებული, თითქოს სექსი აშინებდეთ. ამის მიმართ მუდამ გულგრილი ვიყავი, მით უფრო, რომ ჩემს ირგვლივაც მწერლები ერთგვარად განმხოლოებული იყვნენ და განრიდება ახასიათებდათ საკუთარი სხეულისაგან. ჩემი დაკვირვების თანახმად, დიდი მწერლების სექსი ნაკლებად საჩინოა, შიშნარევია თითქოს, ხოლო უზადო საყვარლები ნაკლებად ღირებული მწერლები არიან. ტალანტი, გენია უზმობს ძალადობას, ეძიებს მას, როგორც სიკვდილს. ყალბ მწერლებს არ ანუხებთ ეს პრობლემები. ისინი სალად აზროვნებენ და მათთან თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობ. მწერლების წყვილის შემთხვევაში ქალი ასე ჰყვება მენწყვილის საქმიანობის შესახებ: ჩემი ქმარი მწერალია. ქმარი კი ამბობს: ჩემი ცოლიც წერს. ბავშვები ასე აცხადებენ: მამაჩემი წიგნებს აკეთებს, ზოგჯერ – დედაჩემიც.

უნიფორმა მ.დ.

მადლენ რენო ივ სენ-ლორანთან იცვამს, მოდელიორი უკერავს კაბებს, შემოაცმევს ხოლმე და, ალე-ჰოპ, ქალი უკვე მათ ატარებს. საკუთარ თავს ვეკითხები, იცის კი მადლენმა, რომ ახალი კაბები აცვია? ახლა მან ბევრად ნაკლები იცის, ჩვენმა მადლენმა. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ვფიქრობ, ეს ჯერ კიდევ უნდა ახსოვდეს. ხშირად მიფიქრია, რომ მხოლოდ ჩვენ ორნი, მადლენი და მე, სრულიად არა ვართ კოპნიები. ერთნაირი ტანისამოსი უნიფორმასავით მაცვია, აგერ უკვე თხუთმეტი წელია, ამას მ.დ.-ს უნიფორმას ვუწოდებ, ლოოკ⁵ დიურა, რომლის სტილიც ერთმა კუტიურისმ შარშან გადმოიღო კიდევ: შავი ჟილეტი, სწორი ქვედაბოლო, ყელიანი პულოვერი და მოკლე ჩექმები ზამთარში სატარებლად. ვთქვი: კოპნია არა ვარ-მეთქი, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. უნიფორმის ძიება შესაბამისობის ძებნაა ფორმასა და შინაგან არსს შორის, ანუ შესაბამისობის პოვნა იმას, რაც გგონია, რომ ხარ და იმას შორის, როგორც გინდა სხვების წინაშე წარმოჩინდე. ანუ, მეორენაირად რომ ვთქვათ, ჰარმონიული შერწყმა იმისა, რაც გგონიათ, რომ ხართ და როგორადაც გინდათ - ალუზიური⁶ მანერით - თავი წარმოადგინოთ ჩაცმულ ტანისამოსში.

ჩაცმის საკუთარი მანერის მიგნება სრულიად არაა ძნელი. როგორც კი ერთხელ მიაკვლევთ, საბოლოოა. ჩაცმის საკუთარი სტილის პოვნა, თავის მხრივ, ქცევის განმსაზღვრელი ხდება. როგორც კი ამას მიაღწევთ, მერწმუნეთ, ძალიან მოსახერხებელი მოგეჩვენებათ. იცით, პატარა ტანის ქალი ვარ, ამიტომ სრულიად არ მიხდება ტანისამოსი, რომელსაც ქალთა უმეტესობა ატარებს. მთელი ცხოვრების მანძილზე მოუხერხებლობას განვიცდიდი ამის გამო; არ მსურდა, გამომჟღავნებულყო, ჩემ მიერ ჩაცმული ტანისამოსიდან გამომდინარე, რომ ძალიან დაბალი ვარ; არ მინდოდა, ამაზე ვინმეს გაემახვილებინა ყურადღება, ვცდილობდი, ისე გამეკეთებინა, რომ ერთსა და იმავე სამოსში გამონყობილს, ადამიანებს უფრო ტანისამოსის მონოტონურობა აღენიშნათ, და არა მიზეზი, რის გამოც მეცვა ასე. ახლა აღარც ჩანთებს ვატარებ. ცხოვრება შევცვალე ამის გამო. ადრეც ასე იყო, ვიდრე ჟილეტს ჩავიცვამდი, თუმცა ოდნავ განსხვავებულად.

სულაც არ ვთვლიდი საჭიროდ, ლამაზი ტანისამოსით დამეფარა სხეული, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მწერალი ვიყავი. იგივე მოსაზრება მექნებოდა, წერა რომ არ შემძლებოდა.

კაცებს უყვართ მწერალი ქალები. თუმცა არ ტყდებიან ამაში. მწერალი უცხო მინასავითაა.

ასე და ამრიგად, უკვე ყველაფერი იცით.

⁵ გამოხედვა, იერსახე (ინგლ.)

⁶ ალუზიური ფორმით-არაპირდაპირად, მინიშნებით (ფრ.; მთარგმნელისაგან)

ცხოველები

ყოველთვის მინდოდა, ცხოველები მყოლოდა, ბევრი და სხვადასხვანაირი. შეუძლებელია პარიზში გყავდეს ძროხა, სიგიჟის ტოლფასია. მრავალსართულიან სახლში, ერთ-ერთ კარზე მიბმული ძროხა მეორე დღესვე თავს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოგაყოფინებს; ორივეს იქ მოგათავსებენ, როგორც ძროხას, ასევე მის პატრონს. წინა კვირას ტელევიზიით ვნახე, როგორ გამოძვრა დიდი თეთრი დათვი ყინულებიდან, არქტიკაში. მან ჯერ თავი გამოყო, მიმოიხედა. დასუსტებული ძლივს ამოძვრა ხვრელიდან და... დავარდა. 1986-ის ზამთარში მას სამი პატარა ბელი ეყოლა, სამი თვის მანძილზე არ განძრეულა, არაფერი უჭამია. დათვის ჯირკუტანა ბელები დედის რძით კარგად ნაკვები ჩანდნენ, დედა დათვის კი არაქათი მთლად გამოლევოდა. პირველ დღეს დათვი მხოლოდ ერთი წუთით გამოვიდა გარეთ, მეორე დღეს – ათი წუთი დაჰყო ბუნაგს მიღმა და ა.შ.

ერთი კვირის თავზე დათვი გორვა-გორვით ჩასრიალდა თავქვე, ზღვამდე. ზღვაში ცურვისას მას სულ ბუნაგზე ეჭირა თვალი, საიდანაც პატარებს გამოსვლა ეკრძალებოდათ. ზედმეტი გაჭიანურების გარეშე, დათვის დიდხანს არ უფიქრია, სელაპის ნახევარი ისე გადასანსლა, მეორე ნახევარი კი შვილებს გაუნანია. დათვი დიდია, როგორც გენერალი დე გოლი, მას ნააგავს. შესანიშნავია, ამაყი. ბუნაგიდან ასიოდე მეტრის მოშორებით მამალი დათვია, რომელიც უთვალთვალვებს. დედა დათვი ჩერდება და თვითონაც აკვირდება. დაფეთებული მამალი დათვი უკუიქცევა და თავს ძუნძულით უშველის.

ბედნიერი სიტყვა

დედაჩემს ყოველთვის ეშინოდა ფუნქციონერების, საზოგადო მოღვაწეების, მოლარეების, მაღალჩინოსანთა მდივნებისა თუ მებაჟეებისა, ძრწოლა იპყრობდა ყველა მათგანის წინაშე, ვის ფუნქციაშიც კანონისადმი პატივისცემის შთანერგვა შედიოდა. ყოველთვის ავადმყოფურად ეშინოდა, უპოვართა მენტალიტეტი ჰქონდა. ვერასოდეს განიკურნა ამისაგან. ამ შიშისაგან გამოჯანმრთელება მე ზეპირი გამოცდებით შეეძელი. თითოეული წარმატებული ზეპირი გამოცდის შემდეგ ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს ჩვენი ოჯახის ენდემურ სიღარიბეზე დიდი გამარჯვება მოვიპოვე. შანსიანი სიტყვა. თითქოს კონფრონტაცია ხდებოდა ჩემს სხეულსა და სოციალურ სხეულს შორის, რომელიც მუდამ იქ იყო დადარაჯებული ჩემს გასანადგურებლად. მომღერლები, მსახიობები იმავეს განიცდიან მაყურებლის წინაშე. ადამიანები, რომლებმაც ფული გადაიხადეს, რომ თქვენ მოგისმინონ, ან მოისმინონ თქვენი სიმღერა, თქვენივე მტრები არიან თითქოს და აუცილებლად უნდა აჯობოთ, არსებობა რომ შეძლოთ. როდესაც ამას პირველად შეიგრძნობთ, შეგეძლებათ გამოსცადოთ, თუ რას ნიშნავს სიტყვაზე დომინირება, სიტყვაზე გამარჯვება და დარბაზის დაპყრობა; მას შემდეგ აღარასოდეს შეგეშინდებათ, პირიქით, იმის სურვილიც კი გაგიჩნდებათ თქვენს მოსასმენად მოსული ხალხი არასდროს გაანბილოთ. თუმცა ეს გრძნობა გარკვეულწილად სცილდება ამ ფარგლებს, უფრო მეტია, ვიდრე გულისხმობენ, ეს ოდნავ მათი სიკვდილით დასჯას ნააგავს, ვინც თქვენივე განსასჯელად იყო მოსული.

ნაირა გელაშვილი

(დღიურის ნაწილი)

ბალაკტიონის ენა

სტრიქონი — გამმა, სონორების მისდევს კლავიშებს,
ან აკორდია, ხმოვანი რომ ხმოვანს ებმება.
რა ამსუბუქებს? “მშვენიერი მიზნის სიძნელის”
მწუხარებათა ნელი წვდომა თუ დაბეღება?

(თუმცა, ვერ იტყვი,
თუ რა ბადებს მუსიკას, — ბადე
მფრინავ გრძნობათა, ზემიმსწრაფთა,
სივრცეში სტროფის?
თუ მიყოლება სიტყვებისა ჯადო-განრიგით?

არა, არ ვიცი, ისერიგად ვით ბურთი გოლფის
ჩაიკარგება სიბნელეში აზრი უცაბედ,
გადაგიქროლებს ღია გულზე
სახეთა ქარი,
განცდათა ქარი,
ჩამოქნილი ზენა თანრიგით).

აზრის ხაზებით არნაკვეთნი,
უნახნაგონი,
მრავალ მიზეზით იფარებენ
რიდეს რიდებზე,
სწრაფად ცვლად ჰანგებს,
რითმებს,
მუხლებს,
ფერად სტრიქონებს

შორს მიიდენის
მყლერ ბურუსში
ყოფნის შიშები,
სატრფო ეული —
სილამაზე,
არსთა ძახილი,
„საგანთ უარი“
და ტორტმანი ყოფის კიდებზე.

ეშმაკის ერთი სახელი

ახსენებ სადმე
 ნეტავ სიტყვას
 „სიცარიელე“,
 ღმერთო — სავსების? კვლავ ვკითხულობ გაფაციცებით
 შენს ეულ სიტყვებს, არსად ამბობ:
 “სიცარიელე“...
 ეშმას თუ ჰქვია იდუმალი ეს სხვა სახელიც...

მთელი ორმოცი დღის მანძილზე
 უდაბნოს ქვიშა
 ლაპლაპებდა და
 ფსკერზე თვალთა ცივი ეშმასი
 ექოსკოპიურ სურათივით
 თრთოდა, სუნთქავდა
 სიცარიელის,
 მარტოობის,
 მოწყენილობის
 ჩანასახებით ავსებული გარსი ბედნავსი...

და ანათებდა სიტყვა ცრემლში
 როგორც ნათურა:
 მე ვარო გზაი,
 უდაბნოში ნაღველი გელით,
 თუმცაღა დარჩა
 სიტყვა წიგნში,
 მოდგმა ქვიშაში
 და საიდუმლო — გარიყული
 ვითარცა გველი.

„მოწყენილობა“! —
 თავზარს სცემდა ჯერ კიდევ ბოდღერს
 და მერე რილკეს
 ანამებდა განსაკუთრებით,
 ღამის წყვილები
 ცვეთის ძალას რომ წარმოშობენ,
 ილეშებიან
 გამოშიგნულ ვეშაპის ტანში
 მარტოობით და
 ულაპლაპებს სიცარიელეს
 ლაყურები და გლუვი კუნთები...

ეჰ, რა ქნან, ღმერთო,
 საკუთარ თავს გაურბის ყველა,
 ყოფიერება ისეთია,
 შიშებით გვავესებს,
 იქით მარსია, — მოწყენილებს უწვდის იარაღს,

აქეთ ეროსი ადუღებს სისხლს
და ველარ ძღება,
ორს აწყვეტს ერთურთს,
ცლის და ავსებს, ანთუ ვერა ცლის,
ანთუ ვერ ავსებს დანავსულ თასებს...

მონყენილობის ბეჭემოტი
მოქშენს, მოაპობს
სიცარიელის გლუვ დიუნებს და მთაგრეხილებს,
დამდნარ სიტყვებზე და საათზე
დორბლებს დააქცევს,
უზუსტო ნოტიო და ხაფი ხმით ცივ ცას შეჰყვირებს...

თვლა

დაძინებისას დავითვალე,
იყვნენ სამოცნი,
გალვიძებისას ვუყურებ და
სამი აკლია...
სად წაეხეტნენ? —
შეიძლება სხვის ფანჯარაში!
ნეტავი მქონდეს ერთი დიდი შუშის გალია...

ვნეწარ ნოემბრის ვარსკვლავთა
მწყემსი, მრიცხველი,
და ჩემი ფანჯრის სივრცესა ვჩხრეკ
რალაც მომთხოვნად,
ჰე, მერამდენედ ველოდები
სოფლის განთიადს,
მაგრამ ამჯერად მკაცრი გრძნობით და შეკითხვებით...

მსურს შევეკითხო
აყვავებულ ზეცის დაფიონს,
მუდამ გადაშლილს ნებიერად,
უშრეტ სავსებით,
მაინც რა არის, როგორია საყოველთაო,
ჰო, დედამინის უახლესი ჩიხის შანსები?

მე გეკითხები, ცავ, და ყველას, ვისაც შენ მაღავ,
რა ვუყოთ მიწას? და სად არის ციური “კმარა!”
ცოდოა, ცოდო! იცი, როგორ ვაებით გმინავს?
საით გაიქცეს დედამინა, სად ჰპოვოს ბინა?

მეტაფიზიკურ ზიზღის იყო დიდხანს საგანი,
ბევრი ცალმხრივად დიდი სული ითვალნუნებდა:
მიწას ზემოდან დაჰყურებდნენ ცისკენ მავალნი!

ის კი აღმოჩნდა უნაზესი ნერვების ბუდე,
გაიხარენით! – დაუმხიათ მისი ბუნება!

რა ბლავილია! ოქროს თევზი თვალებდათხრილი,
ლიპი მაზუთით შეღებილი ინყევლება და
შვლის ნუკრი ძელზე გაუკვრიათ, მახვილგაყრილი
სისხლიან დუჟის ნთხევით კვდება, რაც რამ ებადა
ჩვენს ყომრალ დედას, შიგანიდან ამოაცალეს:
რძე, სისხლი, ახლა ვილა უმღერს დაფნა-ებანით?
და ქარიშხალთა დინასტია ზღვებს გადმოანთხევს,
მრისხანე ზიზლით აზელს ბავშვებს, რკინას და შუმას,
რადგან წარსული ბევრად მეტი არის მყოფადზე,
რომ აღარ დარჩეს დრო წყლულების მოსაშუშებლად?

თვლას ვინყებ მაშინ, როცა ვდარდობ ან ვნერვიულობ,
(ძილგამფრთხალს დედა მასწავლიდა: დაგეძინება,
თუკი დაითვლი, სადღაც ასთან მეკიდა რული,
ჰო, ისიც მახსოვს, რომ თანახმად ბავშვობის რჯულის,
ვარსკვლავთა მთვლელებს მეჭეჭები არ ასცილდებათ)...

ახლა კი ვითვლი ჩემი ფანჯრის ვარსკვლავთა ფარას,
და ვითხოვ რაღაც გაურკვეველ ზეციურ “არა!”-ს,
მოდის მუნჯი მზე და ღამურებს მზერას უბურავს,
და ფარისებრი ჯირკვლის ქვემოთ ღრმული რომ არის,
დამგუბებია იქ ცრემლების ციციქნა გუბურა...

2006. ნუკრიანი

რიცხვი

რიცხვს ვერიდები
არ ითვლიდნენ ძველად საქონელს
და არ ამბობდნენ
რიცხვს ბავშვების ანდა ხეხილის,
რადგანაც რიცხვი
ბედისწერას თურმე აღონებს,
უფრო: ახელებს,
გათვალულია ყველაფერი თურმე
დათვლილი,
ხშირად წერისგან გადათელილი...

და მაინც:

როცა შევეგებე დაბადების დღეს,
თითქოს შემთხვევით იმ ოთახში,
ორმოცდაცხრამეტ
წლის წინათ სადაც დავიბადე,—
სულმა წამძლია:

გამოვითვალე
 (გახსენებით გადამრავლების)
 თუ მერამდენედ
 შევეგებე მაინც განთიადს...

3 6 5 ანუ
 დღენი ერთი წლის
 გადავამრავლე
 5 9 წელიწადზე ჩემი სიცოცხლის
 და 2 1, 5 3 5
 მივიღე რიცხვი
 დილის, მწუხრის, ღამის, შუადღის...

ახლა რა ვუყო
 ამ ქონებას, —
 ნუთუ მე დამაქვს?
 როცა წამიც კი მძიმე იყო
 (სიმძიმე მახსოვს)
 და რალაც ხშირად ვაკითხავდი
 ხელმარჯვე დალაქს
 თმის შესაჭრელად
 და მიჰქონდათ
 შავი თმის ტალღებს
 ბევრი სიშავე, —
 მიბრუნებდნენ წარკვეთილ სასოს...

ვინ შემჭრის დღეთა,
 წელიწადთა
 მძიმე ნაწნავებს —
 ჟამისყვავილებჩანწულები
 შემომგრაგნიან
 მფეთქავ კეფაზე,
 საფეთქლებზე, — ხეზე მაბამენ,
 ხეზე მაბამენ
 და აფრენას აღარ მაცლიან...

თვალი მოვავლე
 ოთახს, სადაც ვინეჟ აკვანში,
 ოთახს, რომელსაც დედაჩემი
 სუნთქვით ათბობდა,
 (გვითვალთვალეზდა მოყინული ფანჯრიდან
 მთვარე),
 ჩემს მორიგ სნებას და ტკივილებს რადგან ამცნობდა, —
 მას, ახალგაზრდას, განუწყვეტილ სტანჯავდა ალლო...

პირი დაალო გულმა, შთანთქა ათვლილი მხარე,
 მარად ახალმა ცრემლმა ყველა რიცხვი გაალო.

ევას სიმღერა

ო, ცეცხლოვანო ანგელოზო,
 ისე მარტო ვარ,
 „ევაააა...“ — მეძახის ჩემი ქმარი,
 მარტოა ისიც,
 ნაწყენი მამის მონატრებამ არ მიმატოვა,
 რატომ, არ ვიცი...

მახსოვს, რომ იყო რისხვით სავსე,
 მე კი ნაზი ვარ,
 შეხედე ჩემს კანს,
 ყველას იცავს ბენვი თუ ქერცლი...
 მე კი სიცოცხლის ხაოსაგან, ბრჭყალებისაგან
 არ მიცავს თითქმის არაფერი
 და იღბალშეცვლილს
 ყველაზე მეტად მაინც მამას მსურს ჩავეხვიო
 (ვით ჩავეხვევი დედა-მინას),
 მაგრამ მაშინებს —
 სკნელებისა და უფსკრულთა ღმერთი...

„ევაააა...“ — მეძახის ჩემი ქმარი,
 მეძებს, მარტოა,
 მე კი აქა ვარ, ქერუბიმო,
 რად გინდა შუბი, —
 ცეცხლისმფრქვეველი ეგ მახვილი,
 თუკი კვლავ დროა
 არშემოშვების,
 განა ზღუდეს შემოვლენ შუბლით?!

მაგრამ უთხარი მას, რომელმაც სული ჩამბერა,
 ენატრებითქო,
 აქა დგასთქო
 და ვერსად მიდის...
 თუ აღარასდროს შეირიგებ,
 აღარ იშვილებ,
 თავის მენყვილეს ველარასდროს დაუზავდება,
 და მათ დანყველილ სისხლს და საწოლს შეინოვს ბინდი...

ხალხი სიზმარში

ნუხელ რატომღაც დამესიზმრა უცნობი ხალხი,
 იდგენენ, კიდობანს დაჰყურებდნენ სახურავახდილს,
 იძახდნენ: „ეჰა!“ იძახდნენ: „ვაჰმე!“

„სულ დაიჟანგა განძი ჩვენი, ნახდა კარავი!
გავცქერით გზას და მომავალი არ ჩანს არავინ!“
იძახდნენ: „ვაგლახ!“ იძახდნენ: „ვაჰმე!“

რქა აიღეს და შიგ ბელურას დაედო ბინა,
და ზამთარს ჩიტი ბუდიანად შიგ ჩაეყინა...

ველარ ჩაჰბერეს, ვერ ჩაჰყვირეს, აღარ იყო მზე,
ლამის პეპელა მომკვდარიყო გრეხილ ბისონზე.

შენ ვილა ხარო? — შემომხედა უეცრად ერთმა,
დავიბენი და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

„შენ ხომ არა ხარ ჩვენი შორი შთამომავალი?
რჯულის დამგდებელს ნააგავხარ! დაგლახვროს ღმერთმა!“

და დავინახე კაცი ციდან ჩამომავალი,
ჩემი ანმყოსკენ დავიხიე როს დაზაფრულმა,
და ისევ ვიგრძენ გასაოცრად, რომ გაზაფხულდა,
ისინი კიდეც: „ავაჰმე!“ „ეჰა!“

2007.

ეს ზაფხული

მზია ლოლიშვილს

ბებერი ლომი: ეს ზაფხული: პაპანაქება
ველური ჟინით ძირს გვამხოზდა და თვალებს გვთხრიდა,
დედად წოდებულს, სადიდებელს და სანაქებოს,
ჩანს, მოერია მზეს რისხვა და ზიზლი ჩვენდამი —
და არ მიკვირდა, არ მიკვირდა, თუმცა კი მწყინდა,
და დასკდა მინა, დაჭკნა ვარდი, მოკვდა ქედანი,
ხმელი ფოთოლი აგვისტოსი ცვიოდა ხიდან...

მცენარეები ვერ გარბიან, ჩრდილში ვერ შევლენ,
სადაც ძალლი თვლემს, კატა ზანტად ამოქნარებს, წვება,
დგანან წმინდანთა უმწეობით და მზის ისრები
ყოველი მხრიდან აწყდებიან და გულში სწვდებათ.

რალა თქმა უნდა, ისევ მოვა წვიმა, ულევო
წყლები სად წავლენ — დაგვესხმიან ახასხასებით
მწვანეულისა, მაგრამ აბა რალას უშველის
უასაკოებს, ვისაც ფესვი ღრმად არა ჰქონდათ
(ვით ხე-გოლიათს, სიბრძნის კბილად ჩაზრდილს წიაღში)
ტენში მიწისა და ჩასწვდა იქ სიცხის კლანჭები —
და პატარა ხე და ეს ბუჩქიც გახმა და მოკვდა.

14.09.06.

სიცოცხლის პირისპირ

(ხალხურ კილოზე)

კაცს სიკვდილის წინ ახსენდება მხოლოდ და მხოლოდ
სილამაზენი სიცოცხლისა და დანანებით,
სულ ავინყდება შხამით სავსე თასები ბოლოს,
გულის ხორცისთვის ალესილი მისი დანები.

„ღმერთი მიწვდიდა დიბა-ატლასს თურმე სულისთვის,
არ მიმიკვრია ნეტავ რატომ ბაგე სურისთვის,
საოცარია, რად ვირჩიე მძიმე ფლასები,
რად მქონდა გული მუდამ გრძნობით არანავსები,

სიცოცხლევ, წმინდავ, დახუნძლულ სიკარგეებით,
უკვე გშორდები, არყოფნაში მივიკარგები,

ჟამი — საუნჯე რად გავფლანგე ასე ნისიად,
და თუ არ არის ეს ნათელი ჩემი, — ვისია?“

და ტირის კაცი, რა უღონოდ ატოკებს თითებს,
თვალეებით მთვარეს ეთხოვება, ციდან რომ დასცქერს,
წამომყევო, ეხვენება, ეს გზა მაშინებს,
მაგრამ შორსაა ყველაფერი, დის თავის გზაზე...

ბავშვობის ჩიტიც, ყელწითელა, და მზეც მინებში,
ჭრელი ბურთი და პაემანი, მღერა ველობის...
„ჰოი, სიცოცხლევ, გიგრძენ მხოლოდ კართან სიკვდილის,
ნუთუ ამდენხანს მიყურებდი და აქ მელოდი?“

ხოლო სიცოცხლე ეუბნება რაღაც გულთბილად:
„ამ ქვეყანაზე მე ვერავინ მომისურვილა,

ვერც გულთმისანმა, ვერც ღმერთმა და ვერც ბრძენმა თავად,
შემოაბიჯა ვინც კი ჩემში — მორჩა, გათავდა!

მემშვიდობება მერე ყველა ცრემლით და ურვით,
ბოლოს ყველანი განიცდიან ჩემს სასტიკ წყურვილს,

მე კი აქა ვარ, თბილი, გრილი, შლილი და ლალი,
მარადიული სიხასხასე და იალალი,

ნუ, ნულარ სტირი, გაუდექ გზას შენ ჩემი ნაშთით,
ველარ ამომშლის ვერავისგან მე ვერა შანთი,

გაიფანტები ახლა ნისლად, ცრემლად, ფიქრებად,
მაგრამ რისგანაც მე შევდგები, არ დაიშლება...”

15 სექტემბერი, 2006.

ასეთი დილა

ძლივს გათენდა,
გათენება ჰქვია ამას?

ნისლი ბურავს
ჩემი ფანჯრის იასამანს.

გავხსენ კარი:
ღმერთო, ეს რა სითალხეა!

ველარ ვხედავ,
ჩემს ეზოში სად რა ხეა!

ალბათ ჯანლი ატივტივებს
კნუტებს ფერადს,

და ცარიელ,
განცვიფრებულ საქანელას,

ჩემს ვარდებზე
ალარაფერს აღარ ვამბობ,

სადღაც თითქოს
ამოსტვენას ჩიტი ლამობს...

ნისლო, ნისლო,
ბარემ
ყველა გადაგვმალე,

გასქელდი და
ყველა გაგვაუჩინარე,

რადაც ალბათ
დაისვენებს ამ მოვლენით,

ამოვა და
ველარ იცნობს სოფელს მთვარე.

2 ოქტომბერი, ნუკრიანი. 2006.

ეს დღე

აი, დღე სრულყოფილი —
 თბილი ოქროცურვილი,
 31 ოქტომბერს დავიხსომებ ასეთს:

ნელი რწევა ჰამაკში,
 თვალის სხივთან თამაში,
 მზის ფოთლებში გავლა...

სადღაც შუქში ბრწყინდება,
 მიჩნდება და მიქრება
 ოქროსფერი თავლა...

ხის წვერს სამი ყვითელი
 შერჩენია ფოთოლი
 და ირწევა ცაში,

გულის ნათელს ვერა რევს,
 მზენარევი, მთვლემარე
 ნაღველის მარმაში...

გარდასული წვიმებით
 ნახარები ბალახი
 გარეშემო ბრწყინავს,

გეახლები, გშორდები,
 გეახლები, გშორდები,
 ყველაფერო, მგონი ვარ
 შენი ჩუმი ბინა...

სიმშვიდეა რა სრული,
 სული ალბათ ზრდასრული,
 ძილი და არაძილი
 გადაბმულია რულით...

31 ოქტომბერი, 2006, ნუკრიანი.

ისაპ

კნუტი ლეკვს მისწოლია,
სჩანს, რომ შერიგებულან
და მიდამო მთელია...
ო, ლოლია, ლოლია,
ფური ისევ ჭრელია,
ხბო ისევ წითელია...

1 ნოემბერი, 2006, ნუკრიანი.

ილას

არ ვიცი, ახლა როგორ ხედავ
ზამთრის დასასრულს,
გუშინ შემომხვდა ქალაქგარეთ პირველი ია,
მერე ვიდაცამ გამოალო სახლის ფანჯარა,
უცებ შებრუნდა და ფანჯარა დატოვა ღია...

მარტის ქარი ქრის და აპრილის მოაქვს სურნელი,
ფარდა გიჟდება, გარეთ მიჰქრის, ძნელია აჭრა...
ეს უკვე იცი. ჩვენს ქუჩაში შემოხეტებულ
გაზაფხულს მხოლოდ ის დახვდება,
რაც მიწად დაგრჩა...

მარტი, 2007.

* * *

20 მაისს ისე თბილოდა,
ვით 31 ოქტომბერს,
დაგვიანებულ გაზაფხულს
ახლდა ხალასი სუნთქვა,
ახლახან დაეყვავილა
ფურისულას და იასო...
უცებ აღმომხდა
ვით ნორჩ ბერს:
„ჩემო ძვირფასო იესო,
დღეიდან ჩვენი ცხოვრება
ალბათ გახდება სულ სხვა...“

22 მაისი, ნუკრიანი, 2007.

სიყვარული

აბა, რიდასთვის გისაყვედურო,
რომ არ მოხვედი, ან რომ არა ხარ,
მრავალი წელი ეხეტებოდა
შენი მძებნელი გული კარდაკარ...

ჩემმა მკლავებმა, ხელისგულებმა
უკვე შეუნდეს ცას და ცხოვრებას
მოხვევნები და მიკარებები,
რომლებიც მაინც, მაინც არ ახდა...

და გულმა — ურჩმა მოხეტიალემ
გადაუხვია გზიდან თანდათან,

მარტო მოველო — უთხრა ყველაფერს,
და იმ ყველაფერს უხმოდ ჩაბარდა,

დაგემშვიდობა, ძვირფასო, ვისაც
სიხარულების დელტად გასახავდა...

...

აი, შვილიშვილს გაექცა ბურთი...
მისდევს, მიჰყვება ქარი მდევარი...

„სულ ყვითელ პეპლებს მოჰყავთ აპრილი,“ —
ვფიქრობ წლის დროთა ცუდი მკვლევარი...
ნაბიჯით რალაც დაუდევარით
მიდიხარ სადღაც, უმზერ რალაცას,
მიხვალ ჰაერში... ასე ნამდვილი...
უკვე მოვრბივარ, მოგდევ, გეხვევი
შენ, ვინც არ იყავ და ვინც არა ხარ...

2000.

სიყვარულის ახსნა

ველარა მრევ და ველარ მალონებ!
ყველანაირი მიყვარხარ უკვე:
ნაზიცა და გააფთრებულისც,
მოქუფრულისც, ნერვებაშლილისც,
გიღებ კი არა — გაღიარებ!

ვადიდებ ზეცის ცხრაკლიტულ საშოს,
სადაც ყოველდღე ჩაისახები

ხილულ-უხილავ ყველაფრისაგან,
ვადიდებ ზეცის სამშობიაროს,
სადაც ყოველდღე იბადები, მუდამ ახალო!

შენ აღარაფერს აღარ გაბრალებ,
როცა უღმობლობ და აღარ გვინდობ,
მხოლოდ სახეზე ვიფარებ ხელებს
და ვცდილობ ჩემით ავხსნა სამყარო.

მსურდა ეს მეთქვა შენთვის, ამინდო!

1 ნოემბერი, 2006.

ილა თვარაძის რიკულეზიანი აივანი

(ერეკლეს მოედანი, № 10,)

იმას უყვარდი, თუ უყვარდი,
ჭრელო პეპელავ,
მის აივანზე რომ დაფარფატებ,
ის კი შინ არ არის...

იმას უყვარდი, თუ უყვარდი,
ყვითელი ვარდო,
მის აივანზე რომ იშმუშნები,
ის კი შინ არ არის...

ნეტავ იცოდე, რა იყავ მისთვის,
მზევ შემოდგომის,
მის ფანჯარაში რომ იხედები,
ის კი ფანჯრიდან არ იხედება....

და შენც, ნაცნობო ბოლოქანქარავ,
მრგვალი, ბებერი აივნის სვეტებს
შორის გაბმული მწვანე ვაზიდან
მის დახურულ კარს რომ გადასცქერი,
მინდა იცოდე, როგორ უყვარდი,
იმას, ვინც ახლა შინ აღარ არის...

არწევს ნიავი აივნის ვაზს და
არწევს ნიავი ჩიტებს ვაზისას
და თავდაყირა დაკიდებული
გამხმარი ქონდრის და პიტნის კონებს,
ნიავო, მინდა იცოდე, როგორ
უყვარდი იმას, ვინც აღარ არის!

და აივანო, ძველ აივანთა
 კეთილშობილი მოდგმის მშვენიებავ,
 მისთვის რომ იყავ მცირე სამშობლო,
 ანთუ კუნძული — გაშენებული
 აყვავებული კუნძებით, ქვებით,
 ყვავილებით და გამხმარ ნაყოფით,
 აშორებული დედამიწას და
 გაკიდებული მზეში, ჰაერში
 და მოშრიალე კენწეროში აკაკის ხისა...
 თუ იცი, კარგო აივანო, გამოქცეული
 რომ იყო შენთან,
 რაღაც ბოროტად მოუწყობელი
 ბინიდან, სადაც
 სულ უფრო ჭირდა ადამიანად თავის შეგრძნება,
 სადაც სურათებს, უბერებელთ, სუნთქვა ეკვროდათ...
 ო, აივანო, ნახატივით გულისშემძვრელო,
 კიდევ რამდენ ხანს დარჩები ასე,
 ყრუ, უნარსულო შენობებით გარსშემორტყმული,
 როცა შენს ირგვლივ მათი ალყა სულ ვინროვდება,
 და როცა იგი სამუდამოდ ნავიდა სხვაგან,
 ვისი კუნძულიც შენ იყავი, ანთუ აკვანი,
 ან დიდი ნავი სალამოს ზღვაში,
 მწუხრის ზარების ხმაზე რომ თრთოდა...

1 ოქტომბერი, 2006.

გატარება

სადღაც ვარ ისეთი,
 როგორშიც ქარიც გაივლის
 და ანგელოზიც...

სადღაც ისეთი,
 ისარსაც რომ არ გაატარებს,
 თუჯი ლამის...

სადღაც კი
 ნანლავებით ღობეს ვკიდევარ...

უწყვეტი კავშირის სამყარო

ყველგან მიპოვის დედაჩემი...
 მობილურებიც დედების ბრძანებით შეიქმნა.

მაგრამ ახლა გამოვრთე და სახლში დავაგდე,
 ლოგინს დავანარცხე გააფთრებულმა...

ის ქალაქშია,
 მე კი გვიანი შემოდგომის ერთ თბილ ყურეში—

მწირ კორდზე, მწიფე ასკილის ბურქთან
 და განწირული მივჩერებივარ

ხვნა-თესვასა და შავ-თეთრ ჭილყვავეებს,
 ახლად გადახსნილ, ღამისებრ მიწას
 უფლებამოსილად რომ აცხრებიან...

და გაღმა ფერდზე
 ვხედავ ბებერ, მარტოსულ კაკალს —
 ახალი ტყისკენ სევდიანად რომ იყურება...

და მახსენდება მოხუცი დედა
 და ხელს ქურთუკის ჯიბეში ვიყოფ...
 მობილურისთვის,
 წელან საწოლს რომ დავანარცხე,

ყველგან მიპოვის დედაჩემი...

* * *

ბლის ყვითელ ფოთოლზე
 ჭრელი, პანანინა,
 ჭია ამორკალავს
 ტანს და გასწორდება
 და ასე მიცოცავს წვიმის ბოლო წვეთთან,
 წვიმის ბოლო წვეთთან
 ბლის ყვითელ ფოთოლზე...
 თავს ასწევს, ჰაერში ნაზად შეატოკებს,
 თითქოს სარკეაო, წვეთში იხედება,
 და, აი, გადანყვეტს, რომ სახე შეახოს,
 (თუმცა, კი არ ვიცი, აქვს სახე თუ არა),
 მაგრამ სწორედ ამ დროს დაჰბერავს ქარი და
 ფოთოლს გაიტაცებს, კენწეროს აუტანს,
 მას, ვინც ვერ მოასწრო წყლის წვეთთან შეხება,
 ვინც მთლად დაიბნა და არც ფრენა არ იცის...

მარტი, 2007.

ოკეანის პირისპირ

ვერ დამავინწყებ, ოკეანევ,
სულმთლად პატარებს:
ჩიტისთვალებს და ია-იებს,
ჭია-მაიებს...

* * *

კვლავ უცნაურად გისხლტის
შენი თავი და ყოფნა —
თევზი ხელიდან წყალში.
თუმცა, შეეშვა, აჯობს
და მზის შეიგრძნო კოცნა,
შემოდგომაა გარეთ,
დამნიფებულა ვაშლი.

* * *

ძირს დაგდებული
პურის ნაჭრის
მეგობარი ვარ.

* * *

რატომ არ მოიჩქარის
ის ერთი სტრიქონი,
მარტივად რომ იტყვის,
თუ რისთვის იცხოვრე...

* * *

ნეტავ რამდენჯერ უნდა გითხრათ,
ჩემო თვალებო,
რომ თვითმფრინავი
ვარსკვლავებზე დიდი არ არის,
არც მონყვეტილი ვარსკვლავია,
გზააბნეული
ცას რომ მისერავს წყვდიადებში გადასაკარგად!
აი, გული კი არა ცდება,
„გზა მშვიდობისო“ —
რომ დაადევნებს სიბნელეში მარტო მიმავალს...

ზამთრის პირისპირ

ჰოი, ნოემბრის გეორგინებო!
დიდება თქვენდა!
გემუდარებით,
თეთრ დეკემბერშიც შემომყევით
მენამულ ჯარით...

საშინელება

ადამიანი რომ ბერდება
და სულელდება,
მით უფრო ხალხი.

* * *

მზე ისევ ამოდის,
იშლება ბინდი,
უფალო, მსურს ვიყო
კარგი და მშვიდი.

15 სექტემბერი, 2006.

* * *

წუხელ დამესიზმრა ბინა,
ნათელი და მზით გამთბარი,
ღმერთო, გადაატანინე
ჩემს ხალხს ეს მძიმე ზამთარი.

თებერვალი, 2007.

შოთა იათაშვილი

სიცილის ოთახში

ის წინ მიდიოდა, ის კი, ისე რომ ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, მას კუდში მიჰყვებოდა. მან პირველმა აიღო ბილეთი, მან კი მეორემ. აღებული ბილეთი ოდნავ უფრო ადრე მან გაუნოდა კონტროლიორს, ოდნავ უფრო მოგვიანებით კი მან. კონტროლიორმა ჯერ მისი ბილეთი გადახია, მერე კი მისი. ის პირველი შევიდა შიგ, ის კი მის შემდეგ. ჯერ მან ჩაიხედა სარკეში, მერე კი მან და, რაკი ერთდროულად ამქვეყნად არაფერი ხდება, მან ის პირველმა დაინახა, ის კი მან მეორემ. პირველი წინ იდგა, მეორე კი ცოტათი უკან. და, ისეც შეიძლებოდა მომხდარიყო და ასეც, მაგრამ, ამ შემთხვევაში, პირველი ქალი იყო, მეორე კი მამაკაცი.

და ქალი იყო დანაყრებულივით, მეტიც, გამძლარივით, მეტიც, ჭიპზე გამსკდარივით, ანუ, უფრო ზუსტად, ქალი იყო ტანგასიებულზე ტანგასიებული და ქალმა ჩაიღიმა, საკუთარ თავს წაეპრანჭა და როგორც კი სარკეში ტანგასიებულზე ტანგასიებული მამაკაციც გამოჩნდა, ფრიად ეამა ეს.

ის წინ მიდიოდა, ის კი უკან მისდევდა. ის ჯერ ტანგასიებულზე ტანგასიებული იყო, მერე კი აწონილზე აწონილი. იგი და იგი ერთსა და იმავე სარკეში იმზირებოდნენ და ძირითადად ერთსა და იმავეს ამჩნევდნენ. სადღაც ასე, მეოთხე სარკესთან ის და ის მიხვდნენ, რომ ოთახის შემოვლა ერთად მოუწევდათ, მეხუთე სარკესთან კი ილღიაში თავამოჩრილმა მამაკაცმა გაოფლილი პირით ქალს ჰკითხა:

- სახელი?
- ა?
- სახელი?
- აა... ნანა.

შემდეგი სარკე ყვიროდა. ორივენი იდგნენ და გაჰყვიროდნენ. ისე გაჰყვიროდნენ, რომ იქ ორიოდე წამის მეტი ვერ გაძლეს და ერთმანეთი წესიერად ვერც კი შეათვალიერეს. მემვიდეში ყინავდა და ჩაფუთნულები და მოზუზულები ერთმანეთს ეკვროდნენ. მან ჰკითხა მას:

- რა გაყვირებდა?
- და შენ?
- არა, შენ მაინც ჩემზე უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდი... უკვე ხმაც კი ჩახრინული გაქვს...
- მცივა და იმიტომ...
- მოგეფერები მერე...
- ნნ. ისე, რა გქვია?
- რეზო...
- მეცნობა რაღაც ეგ სახელი...

თოვდა... ის და ის უშედეგოდ ცდილობდნენ ერთმანეთი გაეთბოთ. ყოველივე ეს არქტიკულ ყინვას ჰგავდა. თუმც მან მოძებნა გამოსავალი: შემდეგი სარკისაკენ გაიქცა. ისიც უკან მიყვა და იქ ერთმანეთი ველარ დაინახეს. დიდი ხანი ათვალიერეს სარკე, მაგრამ უშედეგოდ.

- ნანა!..
- ჰა?!..
- საითკენ ხარ?

- აქეთ... მოგნონვარ?
- რა?
- მოგნონვარ -მეთქი?
- მგონი ძალიან...

ის ფიქრობდა, რომ სარკე ამჯერად მის განცდებს გამოხატავდა. ის არ ჩანდა და დიდი ხანი ფეხიც არ მოიცვალა ამ ადგილიდან, მაგრამ ყოველივე ეს ბოლო-ბოლო რომ მოსწყინდა და წინ წაინია, საკუთარი თავი შიშველი დაინახა. ის და ის იდგნენ და ბოქვენზე ხელს იფარებდნენ დარცხვენისებრი და ანურულეები.

- გოგო...
- ჰო, ბიჭო...
- ეგ რა უცნაური „სიცილის ოთახია“, არა?
- მეც ეგრე მეჩვენება...
- არადა, ჩემს ბავშვობაში სულ სხვანაირი იყო...
- მეც ეგრე მახსოვს...
- გაკვეთილებიდან გამოპარულები რომ მოვდიოდით ხოლმე აქ...
- მართალი გითხრა, მეც მაგ ძველი განწყობილებით მოვედი...
- მომინდომე ახლა შენც ოცდაათი წლის წინანდელი „სიცილის ოთახი“...
- მოიცა, ოცდაათი წლის წინანდელი რატომ? ასეთი ბებერი გგონივარ?
- ჰო, კაი, კაი, რამდენიც გინდა იყოს, ისე ვთქვი, საკუთარი თავიდან გამომდინარე...
- ეეე, ნავედი აბა მე...
- მოიცა, ერთი კარგად შეგხედო... აუ, რა გოგო ხარ... მოიცა, მოიცა...

ის გაიქცა. ისიც უკან მიყვა. მერე ანგელოზის ფრთები ებათ. იდგნენ და მშვიდად საუბრობდნენ:

- სად ცხოვრობ?
- საბურთალოზე. შენ?
- მე ვარკეთილში. მაგრამ სამოთახიანი მაქვს და მეტროსთან ახლოს. ორმოცდაათია-თასად იყიდება ჩემი ბინა.
- ჰო, ვიცი, ბინის ფასებმა მაგრა აინია. გათბობა გაქვს?
- ერთ ოთახს ვალუნლულეებ ზამთარში, მეტი კი ჯერჯერობით არც მჭირდება, — რეზომ ფრთები დაიქნია, — რამე რო იყოს, გადმოხვიდოდი ჩემთან?

— რა ვიცი, ვნახოთ... ერთსა გთხოვ ოღონდ, გადწყვეტილების მიღებაში ნუ დამაჩქარებ, — ნანამ ფრთები აიკეცა და ახალი სარკისაკენ გაფრინდა...

იქ ის არაჩვეულებრივად მომნუსხველად ლამაზი იყო, ისევე როგორც იგი, მაგრამ არც ერთმა არ გათქვა, რომ გამოსახულება მათ გარეგნობას არ შეესაბამებოდა. ის და ის იდგნენ მოჯადოებულები და საკუთარ გამშვენიერებულ გარეგნობას შეჰყურებდნენ, შიგადაშიგ კი ერთიმეორესაც. ამის მერე მორიგმა სარკემ ორივე გააკვირვა. იქ მათ თავები კომბოსტოსავით ჰქონდათ გასიებული, ტანი კი ჭიკაყელასავით მიმოლრეცილი. გაკვირვებამ რომ გადაუარათ, მერე ამაზე ბევრი იცინეს, მერე ერთმანეთს შეხედეს და მან ჰკითხა მას:

- დაახლოებით ეგეთი ხომ არა ხარ?
- ჰო, დაახლოებით... შენც, არა?
- ჰო...

— მაგიტომაცაა, რომ რაღაცნაირად მოგენებე... ბილეთი ავიღე, ოთახში შემოვედი და პირველსავე სარკეში ჩავიხედე თუ არა, მას მერე კუდში მოგყვები...

- ისე, ჩვენში დარჩეს და, აქ მარტო რამ შემოგიყვანა?
- მე?
- ჰო, შენ.
- და შენ?
- ეგ შეკითხვა პირველმა მე დაგისვი...

ის დაფიქრდა, რა ეპასუხა და ამ დროს ისინი სხვა დამთვალეირებლების ნიაღვარმა

გაიტაცა. რამდენიმე სარკეს ისე ჩაუქროლეს, რომ მიუხედავად დიდი მონდომებისა, ერთმანეთს თვალიც კი ვერ მოკრეს. ხოლო როცა ერთ-ერთ ამაღამაზე, როგორც „კოკა-კოლას“ სარეკლამო ბილბორდზე, კვლავ აღმოაჩინეს ერთიმეორის გვერდიგვერდ თავი, ძველი დიალოგი აღარც გახსენებიათ.

მას და მას „კოკა-კოლას“ ბოთლები მოეყუდებინათ და ბედნიერი სახით ნეტარ სითხეს ყლურნავდნენ. თუმცა ცოტა ხანში მას „კოკა-კოლა“ სასულეში გადასცდა და კინალამ დაიხრჩო...

მორიგ სარკეში ისინი ვეფხვებთან და ლომებთან ხელიხელგადახვეულები და გაციკროვნებულები მოჩანდნენ. ის უკვე დარწმუნებული იყო, რომ უყვარდა ნანა, ხოლო ის დარწმუნებული იყო, რომ უყვარდა რეზო. იქ რეზო და ნანა ჩუმად იყვნენ, ლომი და ვეფხვი კი ერთმანეთს შორის მარადიულ თემებზე საუბრობდნენ.

დაახლოებით ასე უცნაურად გრძელდებოდა რეზოსა და ნანას სეანსი „სიცილის ოთახში“. რეზოს ერთგან ნანას თავი ედგა, ნანას კი რატომღაც არ ედგა რეზოს თავი. ნანას ერთგან თავში ფეხი ჰქონდა, რეზოს კი — ორი ფეხი. რეზო პატარა ბიჭი იყო ერთგან, ნანა კი მოხუცი ქალი, ჩვილი რეზო ხელში ჰყავდა ატატებული და უნანავებდა. რეზომ ბებერიც ნახა საკუთარი თავი, ოღონდ თვალში წესიერად ვერ იხედებოდა და ნანა ვერსად იპოვა... რეზო და ნანა თითქმის მუდამ ერთად იყვნენ და გრძნობდნენ რომ უერთმანეთოდ ცხოვრება თითქმის უკვე აღარ შეეძლოთ... მათი სხეულის ნაწილები გრძელდებოდა, მოკლდებოდა, სივდებოდა, წვრილდებოდა, ქრებოდა, ერთმანეთში ინაცვლებდა, ისინი კი კვლავაც ერთად იყვნენ და დაწყებულ საუბარს აგრძელებდნენ:

- სილამაზე? ვინ რა იცის, რა არის სილამაზე...
- და ალბათ, რომ არ იცის, არცაა საჭირო...
- ჰო, ჰო, ძალიან სწორი თქვი, დიდი კანონზომიერებაა ყოველივე ამაში...
- მეტიც, შესაძლოა არც მშვენიერება იყოს აუცილებელი.
- არა, მაგაში ვერ დაგეთანხმები, მშვენიერება აუცილებელია!
- გააჩნია, მშვენიერებაში რას გულისხმობ?
- რას უნდა ვგულისხმობდე... ჰა, ჰა, ჰა!..
- რა იყო, რა დაგემართა?
- შეხედე ერთი, რა ცხვირები გვაქვს!
- ჰო, მაგარია...
- ჰა, ჰა!
- კაი ახლა, ნუ გადაბჟირდები! შენ არ ამბობდი, მშვენიერება აუცილებელიაო?
- არ ვიცი, არ ვიცი... ჰა, ჰა! ჰა, ჰა!

ის იატაკზე დაეცა, ხარხარებდა და ბავშვივით რამდენიმე წუთის განმავლობაში ისტერიულად ფეხებს იქნევდა. მეორეს კი შემდგომ სარკეში მუცელი გამოეზარდა. გამოეზარდა და აღელდა, რაღაც გაიფიქრა, მაგრამ იატაკიდან წამობობლებული პირველი როგორც იქნა კვლავაც მას რომ მიუახლოვდა, აღმოჩნდა, რომ მუცელი მასაც გამოზრდოდა, ამიტომ ვარაუდი გაქარწყლდა... მას მერე საკმაოდ ბევრი სარკე მოიარეს, და ერთ-ერთ მათგანში ჯადოსნური გამოსახულება მაინც აირეკლა: მას მუცელი ჰქონდა გამოზრდილი, იმას კი არა...

სწორედ ამ მომენტში გაიფიქრა ნანამ, სარკეებს მიშტერებული თავი გვერდით მიებრუნებინა და დაენახა, მართლა როგორ გამოიყურებოდა ის ბიჭი, რეზო რომ ერქვა და მთელი სეანსის განმავლობაში უკან დაყვებოდა, მაგრამ რატომღაც დაფრთხა, რამდენიმე წუთში კი თავისი საქციელი იმით გაამართლა, რომ სიბნელეში ბევრს მაინც ვერაფერს დაინახავდა...

მსგავსმა აზრმა რეზოსაც გაუელვა თავში რამდენიმეჯერ. ერთხელ გაიხედა კიდეც და გოგონას პროფილის ლანდს მიაჩერდა, მაგრამ ეს გამოსახულება, როგორც მხოლოდ და მხოლოდ „სიცილის ოთახის“ მორიგი დეფორმაცია, ისე აღიქვა.

ოთახი თითქოს არც ისე დიდი იყო, მაგრამ მათი მსვლელობა დაუჯერებლად დიდხანს გაგრძელდა. დაუჯერებლად დიდხანს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დასრულდა... ის გარეთ

გამოვიდა და ისიც ფეხდაფეხ გამოყვა. შუადღის მზემ ორივეს თვალი მოსჭრა და სინქრონულად სახე მოიჩრდილეს ხელით... თვალებიც მოჭუტეს, მერე ერთმანეთისკენ შებრუნდნენ და მან ის დაინახა, მან კი ის... იდგნენ და ერთმანეთს დაბნეულები უმზერდნენ... ის, როგორც წარმოედგინა, იმაზე გაცილებით უფრო ლამაზი იყო, და ისიც წარმოსახვითზე შეუდარებლად მომხიბვლელი... მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მიუხედავად ამისა, მას რალაც ჩაწყდა გულში და მასაც... ეს ის არ იყო, და არც ის იყო ის... ორივემ მოჩრდილული ხელი ერთდროულად ჩამოიღო და მან მას ხელი გაუწოდა...

— აბა, კარგად...

— მშვიდობით...

ის შებრუნდა და წავიდა... მზე თვალებში სცემდა. ირგვლივ უამრავი ვინ და რამ მოძრაობდა და ეს მოძრაობები გადღაბნილ ლაქებად ირეკლებოდა მის მხედველობაში... უამრავი ვინ და რამ ხმაურობდა ამასთანავე... ის კი მიდიოდა და უნდოდა თუ არა, საკუთარ ცხოვრებას საკუთარი ჩრდილივით აგრძელებდა. მერე უცებ შედგა და უკან მიიხედა... და დაინახა, რომ ისიც მიდიოდა... და რომ მერე უცებ ისიც შედგა... და რომ მერე ხელჩანთა გახსნა... და რომ მერე შიგ იქექებოდა... და რომ მერე ხელჩანთიდან პატარა, მრგვალი სარკე ამოიღო... და რომ მერე ეს პატარა, მრგვალი სარკე გახსნა და ჩაიხედა... და რომ დიდი ხანი იყურებოდა სარკეში და რალაცას აკვირდებოდა...

ის აღარ დაელოდა, თუ რას იზამდა ამის მერე ის, შებრუნდა და წავიდა... მიდიოდა და დიდი ხნის განმავლობაში მონაცვლეობით სამი სარკე ახსენდებოდა: რომელზეც ყვიროდნენ, რომელზეც არ ჩანდნენ და რომელზეც მას მუცელი გამოზრდოდა, მას კი არა...

იანვარი. 2007 წელი.

სოჭრაბ სეფეჰრი

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ლობჯანიძემ

სოჭრაბ სეფეჰრის ლექსთა ამ ახალ თარგმანებს ვუძღვნი მიუსაფარი ბელურის —
მხატვარ იდა თვარაძის ნათელ ხსოვნას.

ზღაპრის ჩიტი

ფანჯარა დღე-ღამის საზღვარზე გაიღო და
იქიდან ზღაპრის ჩიტი გარეთ გამოფრინდა.
ძილ-ღვიძილს შუა იყო გასროლილი.
სივრცის უგზოობა გაიარა,
ბრუნი დასცა და
ერთ გუბესთან მიწაზე დაეშვა.
მისი ფრთხიალი გუბეს შეერია.
გუბე ნელ-ნელა გალამაზდა
და შიგნით მცენარე ამოიღერა,
რალაც მცენარე — ბნელი და მშვენიერი.
ზღაპრის ჩიტიმა გული გადაიფატრა.
მისი შიგანიც მცენარესა ჰგავდა.
მკერდის ნაპრალი ფრთებით დაიფარა,
ყოფა გაუმწარდა.
მკაფიო მარტოობა დაბინდვოდა.
რისთვის მოვიდა?
მინიდან ფრთები წამონია,
უგზოობა ისევ გაიარა
და ფანჯრიდან შიგნით, სიღრმეში შევიდა.

იქ კაცი იყო.
ძარღვებში მოლოდინი უხმიანებდა.
ზღაპრის ჩიტი ფანჯრიდან ჩამოეშვა
გული გადაუფატრა და შიგნით შეუფრინდა.
იმან თავისი მკერდის ნაპობში ჩაიხედა;
შიგანი ბნელი და მშვენიერი გახდომოდა,
შეცდომის სულს ჰგავდა.
მკერდის ნაპრალი პერანგით დაიფარა
და ოთახი მარტო დატოვა
ძრწოლის სინათლეში.

ზღაპრის ჩიტი გადაკარგულ მიწა-წყალზე ჩამომჯდარიყო.
მთელ ტანში რალაცა ჟრჟოლამ დაუარა.
მისი შიგანის სიცარიელეში მცენარე გაიზარდა,
მკერდის ნაპრალიდან თავი ამოყო
და ფოთლები ცის ფსკერზე ჩაკარგა.
მისი ცხოვრება მცენარის ძარღვებით ზემოთ ადიოდა,
მწვერვალი უხმობდა.

მცენარე კი მისი მკერდის ნაპრალიდან შიგნით ჩაიწვერა
და ზღაპრის ჩიტმა
მკერდის ნაპრალი ფრთებით დაუფარა.
ფრთა გაშალა და თავი სივრცის უგზოობას მიანება.

მზერის ქვემოთ გუმბათი გაუცოცხლდა.
ირაო შეკრა და
ტაძრის კარიდან შიგნით შეფრინდა.
სივრცე უფერობის ნათელს ამოევსო.
საკურთხევლის პირისპირ
მოცახცახე წარმოსახვა ჰპოვა:
საკუთარი ცხოვრების ყოველი წამიდან
თითო საკურთხეველი გამოევლო
და მთელი მისი ზმანებანი რომელიღაც საკურთხეველთან ჩამქრალიყო.
თავი ერთი ზმანების საზღვარზე იხილა.
წამით დავიწყებაში ჩაიპნა.
თავი წამოსწია.
საკურთხეველი გალამაზებულიყო.
მის მარმარილოში
სივრცე დაინახა — ბნელი და მშვენიერი,
საკუთარი თავის შეუცნობი მხარე მღელვარე იხილა.
რისთვის მოვიდა?
ფრთა გაშალა და
საკურთხეველი ტაძრის მდუმარებასვე მიანება.

ბილიკზე ქალი მიდიოდა.
გზის თავში ახალი ამბავი ელოდა.
მის თავს ზემოთ კი ჩიტი ჩამოფრინდა
და ქალი ორ ხილვას შუა განიძარცვა.
ზღაპრის ჩიტმა მკერდი გაუფატრა და შიგნით შეუფრინდა.
ქალმა სივრცეში ფრენა იწყო.

კაცი თავის ოთახში იყო.
ძარღვებში მოლოდინი უხმიანებდა.
მისი თვალები კი ერთი ხილვის ტალანიდან გარეთ მიცოცავდნენ.
ქალი ფანჯრიდან ქვემოთ ჩამოეშვა —
ბნელი და მშვენიერი,
შეცდომის სულს ჰგავდა.
კაცმა თვალებში ჩახედა.
მთელი სიზმრები ამ თვალების ფსკერზე ჩარჩენოდა.
ზღაპრის ჩიტი ქალის გულის ნაპრალიდან გარეთ გამოფრინდა
და მისი მზერა მათ ჩრდილებს დაეცა.
გეგონებოდა, ჩრდილი ნასვრეტებიანი ფარდაა
და ეს ფარდა მის არსებობაზე დაეშვაო.
რისთვის მოვიდა?
ფრთა გაშალა
და ოთახი ერთი ზმანების გაოგნებაში ჩაეკარგა.

კაცი მარტო იყო.
თავისი ოთახის კედელზე სურათს ხატავდა.

მისი არსებობა დასაწყისსა და დასასრულს შუა ცახცახებდა.
 უხილავი ქროლვა მიედინებოდა.
 სურათი თანდათან მშვენიერდებოდა
 და ტკივილიან ცახცახს ასრულებდა.
 ზღაპრის ჩიტი მოსულიყო.
 ოთახი ცარიელი დახვდა
 და თავის თავი სადღაც სხვაგან აღმოაჩინა,
 განა სურათი
 მახე არ იყო,
 რომელშიც ზღაპრის ჩიტის მთელი ცხოვრება გაბმულიყო?
 რისთვის მოვიდა?
 ფთა გაშალა და
 ოთახი სურათის სიცილში მიივიწყა.

კაცს საკუთარ ლოგინში ეძინა.
 მისი არსება გუბეს მიაგავდა.
 თვალებიდან ხე ამოზრდოდა
 და მის ტოტებსა და ფოთლებს სივრცე ამოევსო.
 ხის ძარღვები
 დაკარგული ცხოვრებით იყო სავსე.
 ხის ტოტზე ზღაპრის ფრინველი ჩამომჯდარიყო.
 თავისი გულის ნაპრალიდან შიგნით ჩაიხედა.
 მისი შიგანის სიცარიელე ხესა ჰგავდა.
 მკერდის ნაპრალი ფრთებით დაიფარა.
 ფრთა გაშალა
 და ტოტი სივრცის უცხოობაში მიატოვა.

ხე ორ წამს შუა ქუნებოდა.
 ოთახი საკუთარ ზღურბლამდე აღწევდა.
 ჩიტი სივრცის უგზოობას კვეთდა
 და ფანჯარა დღე-ღამის საზღვარზე ჩაკარგულიყო.

მწვანეა მწვანეა

მე ამ სიბნელეში
 ერთ ნათელ ბატკანზე ვფიქრობ,
 რომ მოვიდეს და დაღლილობის ბალახი ამომძივოს.

მე ამ სიბნელეში ჩემი მკლავების გაყოლებას
 იმ ღრუბლის ქვეშ ვხედავ,
 რომელმაც პირველი ადამიანის ლოცვები დაასველა.

მე ამ სიბნელეში
 კარი გამოვადე ძველი მინდვრებისკენ,
 ოქროებისაკენ, მითთა კედელზე რომ დავინახეთ.

მე ამ სიბნელეში
 ფესვები ვიხილე

და სიკვდილის ახალრტონაყარ ნერგს
წყლის აზრი განვუმარტე.

დროის ნათელი გვერდი

სინათლის შემოტევამ მინები შეარყია.
გათენდა. მზე მოვიდა.
ჩაი მაგიდის მწვანე მოლზე შევსვით.

ცხრა საათზე ღრუბელი მოვიდა.
კიბეები დანამა.
ჩემი პანანინა ნამები
გვიმრათა ქვეშ შემალულიყვნენ,
თოჯინა კი წვიმაში სველდებოდა.

ღრუბლები ნავიდნენ.
კამკამა ჰაერი. ბელურა. ფრენა.
სად არიან ჩემი მტრები?
მეგონა:
ნარგიზების თანდასწრება სისასტიკეს გააქარწყლებდა.

კარი გამოვალე.
ცის ნატეხი
ჭიქაში ჩამივარდა.
ციანი წყალი შევსვი.
ჩემი პანანინა ნამები ვერცხლის სიზმრებს ხედავდნენ.
წიგნი დროის უჩინარ ჭერქვეშ გადავშალე.

შუადღე მოვიდა.
ჰაერის სურნელი სუფრის მზიდან ყვავილის ტანის აღქმამდე მოგზაურობდა.
საამოდ ბიბინებდა აღქმის ველ-მინდორი.

ჩემი ხელი ყოფნის თანდაყოლილ ფერებში ცურავდა.
ფორთოხალს კანს ვაცლიდი.
ქალაქი სარკეში ჩანდა.
სად არიან ჩემი მეგობრები?
ფორთოხლისფრად ელვარებდეს იმათი დღეები.

სარკმელთა მიღმა
რამდენიც გასურდეს, იმდენი ღამეა.
ჩემი ოთახი მარტო იყო
ჩემი თითებისა და უმაღლესი მიჯნის შეხებისას.
ჩემს ოთახში საზომთა დაქვეითების ხმა ისმოდა.
ჩემი პანანინა ნამები ვარსკვლავებზე ფიქრობდნენ.
ძილი რალაცებს მიშენებდა თვალეზზე:
ღია სივრცეს, ღიღინის ქვიშასა და მეგობრის ნაფეხურებს...

ლოტოსი

სიზმრის საზღვარს გადავდიოდი,
როცა ერთი ლოტოსის ბნელი ჩრდილი
მთელ ამ ნანგრევებს თავზე გადაემხო.
რომელმა უტიფარმა ქარმა მოიტანა ამ ლოტოსის თესლი
ჩემი სიზმრის მინაში?

ხილვათა მინის კარს მიღმა,
სარკეების უძირო მორევში,
ყველგან, სადაც კი ჩემი რომელიმე ნიბო ჩამელუპა,
თითო ლოტოსი გაშლილიყო,
თითქოს იგის წამინამ იფრქვეოდა
ჩემს სიცარიელეში,
ხოლო მე მისი გაფურჩქვნის ხმაში
წამინამ საკუთარი ნებთვე ვკვდებოდი.

აივნის ბანი იქცევა
და ლოტოსის ღერო ყველა ბოძს ეკონება.
რომელმა უტიფარმა ქარმა მოიტანა
ამ ლოტოსის თესლი ჩემი სიზმრის მინაში?

ლოტოსი აღმოცენდა.
მისმა ღერომ თავი ჩემი მკაფიო ძილიდან წამოიღო,
მე სიზმარში ვიყავი.
ღვიძლის წყალდიდობა დაინყო.
თვალი სიზმრის ნანგრევებში გავახილე.
ლოტოსი მთელ ჩემს ცხოვრებას მოხვეოდა.
მის ძარღვებში მე ვმოძრაობდი.
მის არსებობას ფესვი ჩემში ედგა.
ის მთლიანად მედ ქცეულიყო.
რომელმა უტიფარმა ქარმა მოიტანა
ამ ლოტოსის თესლი ჩემი სიზმრის მინაში?

უპასუხო

დაუსაბამო და უსასრულო წყვდიადში
ჩემი მოლოდინის სინათლეში კარი აღმოცენდა.
კარს მიღმა საკუთარი თავი მარტო დავაგდე და
შიგნით შევაბიჯე.
ერთმა უჭუჭრუტანო ოთახმა
მზერის სიხალვათე ამომივსო;
ჩემში რალაც ჩრდილი ჩამოეშვა და მთელი ჩემი მსგავსება
თავის შეუცნობლობაში ჩაკარგა.
მე სადღა ვიყავი?
იქნებ ჩემი ცხოვრება სადღაც, გადაკარგულში ცახცახებდა,

მე კი ამ ცახცახის ანარეკლი ვიყავ,
რომელიც უნებურად ყველა სიცარიელეს ერთმანეთს ახეთქებდა და
ყველა ხილვის დასასრულს გაოგნების ჩრდილში იძირებოდა.

მე კარის მიღმა მარტო დავრჩენილიყავ.
საკუთარ თავს რომელიმე კარს იქით მუდამ მარტოს ვხედავდი,
თითქოს ჩემი არსებობა კართან რჩებოდა
და ფესვი მის ჯახუნში ჰქონდა განტოტვილი.
განა ჩემი ცხოვრებაც უპასუხო ძახილი არ იყო?

უჭუჭრუტანო ოთახში ანარეკლი აქეთ-იქით თავბრუდახვეული აწყდებოდა.
მე კი წყვილიაღში ჩამძინებოდა.
ძილის ფსკერზე ჩემს თავს მივაგენი
და ამ სიფხიზლემ სიზმრის სიხალვათე შემიბილწა.
ნუთუ ეს სიფხიზლე ჩემი ახალი შეცოდება იყო?
დაუსაბამო და უსასრულო წყვილიაღში
ფიქრი კარს მიღმა მარტო დარჩა.
მე სადღა ვიყავი?
ვიგრძენი, სადღაც მღვიძარებამდე ვალწევ.
მთელი ჩემი არსებობა ამ მღვიძარების ნათელში მოვიხილე.
განა მეც რაღაც შეცოდების დაკარგული აჩრდილი არ ვიყავი?

უჭუჭრუტანო ოთახში
ანარეკლი ცახცახებდა.
მე სადღა ვიყავ?
დაუსაბამო და უსასრულო წყვილიაღში
კარს მიღმა ეული გაოგნებალა დარჩენილიყო.

შასუსა

ერთი ბლუჯა მიწის გვერდით,
საკუთარი თავიდან შორს, მარტოდმარტო ვზივარ.
მღელვარებანი მიწად იქცა,
მიწა კი თითებს შორის გამისხლტა და ძირს ჩაიპნა.

არაფერს დაემსგავსე!
სახე შენი მიწის სიცივეს მიაბარე.

საკუთარი ზეობა დამეკარგა.
მეშინია შემდეგი წამისა და ამ სარკმლისა, რომელიც ჩემი
გრძნობის პირისპირ გამოიღო.
ყვავილის ფურცელი ჩემი ხელის დავინყების ზედაპირს დაეცა:
აკაციის ყვავილის ფურცელი.
დაკარგული სიმღერის სუნი ასდის,
იავნანის სურნელი,
დედაჩემის სახეზე რომ ცახცახებს.
ფანჯრიდან

დაისს ბავშვობის კედელზე ამძვრალი გადავყურებ.

ამაო იყო, რა ამაო იყო.

ის კედელი

მწვანე ბალის ბჭეებზე ჩამოიქცა და

თამაშთა ოქროს ჯაჭვიცა და ზღაპართა ნათელი სარკმელიც
ნანგრევებში მოჰყვა.

იქით მხარეს

ჩემი სიშავე ჩანს.

აღიზის გუმბათის ბანზე ვდგავარ — სევდის მსგავსი
და ჩემი მზერა დაისის ბუხარს შევუკეთე.

ამ კიბეებზე სევდა მარტო დაჯდა.

ამ ტალანებში მოლოდინი ეხეტებოდა.

ძველისძველი „მე“ ამ თიხის მწვანე ქსელებზე ჩაქრა.

ამ აკაცის ხემ მზის ჩრდილში მზის დაბნელება

ტკბილ შიშში ნახა.

მზე სარკმელში იღველფება.

სარკმელი ფოთლით ამოივსო.

ფოთოლთან ერთად ავცახცახდი.

გვართა კავშირი ჩემზე არ ჰკიდია.

მე ჩემს ჰაერსა ვსვამ

და საკუთარი თავიდან მოშორებით, მარტოდმარტო ვზივარ.

ჩემი თითი მტვერს აბრუნ-ატრიალებს,

გამოსახულებებს ერთმანეთში ურევს,

კანკალებს და რული ეკიდება.

სურათს ხატავს, მწვანე ხატებას: ტოტებსა და ფოთლებს.

ნათელი ბალების თავზე მივფრენ.

თვალები ბალახებით ამომევესო

და ჩემი ძგერა ტოტებსა და ფოთლებს უერთდება.

მივფრინავ, მივფრინავ.

შორეული მინდვრის თავზე მზე ფრთებს მინვაავს და

მე სიფხიზლის სიძულვილში

მინაზე ვეცემი.

ვილაც ჩემი ფრთების ნაცარზე მიაბიჯებს.

ხელი შუბლზე მეხება. მე აჩრდილად ვიქეცი:

შასუსა, შენა ხარ?

დაიგვიანე.

ბავშვობის ნანინადან მზის მონუსხულობამდე

შენს ლოდინში ვიყავ.

ქსელთა მწვანე ღამეში გეძახდი, მდინარის გარიჟრაჟზე, მარმარილოთა მზეში

და ამ ბნელ წყურვილში გეძახდი: შასუსა!

დააღამე ეს მზიანი ველი,

რათა დაკარგული გზა მოვნახო და საკუთარ ნაფეხურებში ჩავქრე!

შასუსა — შავო, შიშველო როკვავ!

აიტაცე ჩემი ცხოვრების მტვერი!

მისი ბაგეები დუმილისა იყო.

მისი თითი არსაით აცახცახდა.

უეცრად სახე მოერღვა და მისი მტვერი ქარმა მიმოფანტა.

ცრემლიან ბალახზე მივაბიჯებ.

სიზმარი ამ ბალახში ჩამეკარგა.

ხელები ძებნის ამაოებამ ამომივსო.

ძველისძველი „მე“, მარტოსული, ამ ველებზე დაეხეტებოდა.
 მაშინ, როცა კაცის თითებშუა იყო ქსელთა სიზმარი და აკაცის სუნი.
 დარდზე მივაბიჯებ. ღამესთან ახლოსა ვარ. ჩემი სიბნელე ჩანს.
 „იმ დღეთა“ ღამეში ღამპარი ავიღე.
 აკაცის ღამპრის ნათელში დგას.
 მის ფოთლებს სძინავთ. იავნანას დამსგავსებთან.
 დედაჩემს ვუსმენ.
 მზე ფანჯარას ერწყმის.
 დედაჩემის ბუტბუტი ფოთოლთა ძვერას ასდევს.
 აკვანი ირწევა.
 ამ კედლის უკანა მხარეს წარწერას ჰკვეთენ.
 გესმის?
 ორ ფუჭ წამს შუა მოველ და ნავედი.
 თითქოს კარი მიწის სიცივეს გამოვუღე.
 სასაფლაომ ჩემს ცხოვრებას შემოანათა.
 ჩემი ბავშვობის თამაშობებმა მუხლები ამ ქვებზე გადაიტყავს.
 ქვებს ვუსმენ: სევდის მარადისობას.
 საფლავის გვერდით რა ფუჭია ვინმეს ლოდინი.
 შასუსა შავი მარმარილოდან აღმოცენდა.
 შასუსა, ჩემო ბნელო მსგავსო,
 მზით დავისვარე.
 დამაბნელე, ჩამალუსკუმე. შენი ტანის ღამე ჩაღვარე ჩემში.
 ჩემს ხელებს შეხე. ჩემი ცხოვრების გზა შენში ქრება.
 გზა სიცარიელეში. მგზავრობა სიბნელეში.
 ქარავნის ზანზალაკის წკრიალი თუ გესმის?
 კოშმარების ხვავის თანამგზავრად ვიქეც.
 გზა ღამიდან დაიწყო. მზემდე მივიდა და ახლა სიბნელის საზღვარზე გადადის.
 ქარავანი მდინარის თავთხელზე გადადიოდა.
 გარიჟრაჟი ტალღებში ჩაიპნა.
 ვერცხლისფერ ტალღებში ერთი სახე სიკვდილზე იცინის.
 შასუსა, შასუსა!
 სურათთა ნისლში საფლავეები სუნთქავენ.
 შასუსას ღიმილი მიწაზე იპნევა
 და მისი თითი დაკარგულ ადგილს მიანიშნებს: წარწერა!
 ქვები ირწევიან.
 აკაცის ყვავილები დედაჩემის იავნანაში იფურჩქნებიან: მარადისობა ტოტებშია.
 მტვრის ბლუჯის გვერდით,
 საკუთარი თავიდან მოშორებით, მარტოდმარტო ვზივარ.
 ფოთლები ჩემი გრძნობის ზედაპირზე სხლტებიან.

მზიანი

წყლის ხმა მოისმის.
 მარტოობის მდინარეში
 ნეტავ რას რეცხავენ?
 სუფთაა წამთა სამოსელი.

დეის* თვის შვიდი რიცხვის მზეს შორის
 თოვლის წკრიალი, ხედვის ძაფები და დროის წვეთებია.
 სიცინცხალე აგურებზეა, დღის ძვალთა ზედაპირზე.
 რა გვსურს?
 სეზონის კვამლი ჩვენს სიტყვებს გარს შემოხვევია,
 ვარდების ბაღის პირი ფიქრია.

მოგზაურობები შენ მათ ქუჩებში გხედავენ სიზმრად,
 ფრინველთა შორეულ სოფლებში შენს თავს ერთმანეთს ულოცავენ.

რატომ არ იციან ადამიანებმა,
 რომ საკმეველა შემთხვევითი არაა,
 არ იციან, რომ
 დღეს ბოლოქანქარას თვალებში გუშინდელი ნაპირის წყალთა ელვაა.
 რატომ არ იციან ადამიანებმა,
 რომ შეუძლებლის ყვაფილებში
 სიცივე ჭახჭახებს?

ხედვის სურა*

*ეფიცავ ხედვასა
 და სიტყვათა დასაწყისს
 და მტრედის გაფრენას გონებიდან,
 სიტყვა გალიაშია.*

ჩემი სიტყვები ერთ უნათლეს ველ-მინდორს ჰგავდა.
 მე მათ ვუთხარი:
 მზე თქვენი კოშკის პირასაა
 და თუ კარს გამოაღებთ, თქვენს ქცევას გაანათებს.

და მე მათ ვუთხარი:
 ქვა მთიანეთის სამკაული როდია,
 ისევე, როგორც ლითონი არაა მოსართავი წერაქვის ტანისა.
 მინას ხელისგულზე უჩინარი მარგალიტი უდევს,
 რომლის ნათებამაც გაახევა ყველა მოციქული.
 ეძებთ მარგალიტი,
 ნამები სამოციქულო მისიის საძოვარზე გაირეკეთ.

და მე მათ მაცნის ფეხის ხმა მივახარე,
 დღის სიახლოვე და მატება ფერისა,
 ვარდის წკრიალი უხამს სიტყვათა ნაკეცებს მიღმა.

და მე მათ ვუთხარი:
 ყოველი, ვინც ხის ნაფოტის ხსოვნაში წალკოტს დაინახავს,
 სახე მარადი აღტკინების ხეობათა ქროლვაში ჩაურჩება.
 ვინც ვნების ფრინველს დაუმეგობრდება,

ძილი სამყაროს უმშვიდეს ძილზე მშვიდი გაუხდება;
ვინც დროის თითის ნვერთაგან სინათლეს წამოკრეფს,
ოხვრით ფანჯარათა ნასკვებსაც გამოხსნის.

ტირიფის ქვეშ ვიყავით.
ჩემს თავს ზემოთ ტოტიდან ფოთოლი ჩამოვწყვიტე. ვთქვი:
თვალი გაახილეთ. ამაზე უკეთესი აია* რაღა გინდათ?
გავიგონე, ერთმანეთს რომ ეუბნებოდნენ:
ჯადოქარია, ნამდვილი ჯადოქარი!

*ყოველი მთის ნვერზე მოციქული იხილეს,
უარყოფის ღრუბელი მხრებით მოიტანეს.
ქარი ზეგადმოვავლინეთ,
რომ მათი თავებიდან ქუდი მოეტაცა.
მათი სახლი ქრიზანთემის ფურცლები იყო.
თვალები დავუხუჭეთ
მათ ხელებს გონის ტოტის ნვერომდე არ მივალწევინეთ,
ჯიბები წეს-ჩვეულებებით ამოვუვსეთ
და ძილი სარკეთა მგზავრობის ხმებით ავუღელვეთ.*

კარგი მარტოობის ღამე

ყური უგდე, გალობს სამყაროს უშორესი ჩიტი.
ღამე ნათელია, ერთგვაროვანი და ღია.
ბაღის ყვავილები
სეზონის ყველაზე უფრო ხმოვან ტოტზე
მთვარეს (ან თვეს) ისმენენ.

კიბე შენობის წინ,
კარი ლამპრით ხელში
და ნიავის უყაირათობაში.

ყური უგდე,
გზა შორიდან შენს ნაბიჯებს უხმობს,
თვალი შენი არ არის სიბნელის სამკაული.
ქუთუთოები შეარხიე, ფეხსაცმელი ჩაიცვი და წამო,
წამოდი იქამდე, სადაც მთვარის ფრთა შენს თითებს გააფრთხილებს,
დრო შენთან ერთად ქვალორლიან მინაზე ჩამოჯდება
და ღამის ფსალმუნი შენს ტანს გალობის ნაფლეთივით თავისკენ მიიტაცებს.
ალალმართლობაა იქ, ვინც გეტყვის:
საუკეთესო რამ იმ ხედვამდე მიღწევაა,
რომელიც სიყვარულის შემთხვევითაა სველი.

შეხვედრის ხმა

კალათით მოედანზე გამოვედი. სისხამი იყო.
 ხილი მღეროდა.
 ნაყოფები მღეროდნენ მზეში.
 ხონჩებზე ცხოვრება კანთა სრულყოფილებაში
 ზედაპირთა მარადიულ სიზმარს ხედავდა
 .ბალთა განგაში თითოეული ხილის ჩრდილში ნათლად მოჩანდა.
 შეუცნობელი ჟამი ცურავდა კომშთა ბრწყინვაში.
 და ყოველი ბრონეული საკუთარ ფერს აგრძელებდა
 ალალმართალთა მიწა-წყალამდე.
 თანამოქალაქეთა ხედვა, სამნუხაროდ,
 ფორთოხალთა წინსვლის გარემოს შემხები ხაზი იყო.

შინ მივბრუნდი. დედამ მკითხა:
 მოედანზე ხილი არაფერი გიყიდიო?
 — უსაზღვროების ნაყოფები ამ კალათში სად დამეტია?
 — ხომ გითხარი, მოედანზე ერთი მანი* კარგი ბრონეული იყიდე-მეთქი?
 — მოვსინჯე ერთი ბრონეული
 და მისი სივრცე ამ კალათში ვერ იქნა და ვერ დაეტია.
 — კომში მაინც, კომში რა იქნა? შუადღის საკვებს რა უნდა ვუყოთ...
 —

შუადღისას სარკეებში კომშის ანარეკლი
 ცხოვრების შორეულ გაყოლებამდე მიდიოდა...

განმარტებანი

დეი — მთვარის ირანული კალენდრის მე-12 თვე. შეესაბამება ქრისტიანული კალენდრის ნოემბერ-დეკემბერს.

სურა — ყურანის თავი.

აია — ყურანის ცალკეული მუხლის, ლექსის სახელწოდება. პირველი მნიშვნელობაა: „სას-ნაული“.

მანი, ბათმანი — წონის ერთეული; სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ოდენობისა. დაახლოებით ნახევრიდან ერთ კილოგრამამდე.

ივან ბუნინი

რუსულიდან თარგმნა
მზია გელაშვილმა

ღამე

აგარაკზე წყვდიადი სუფევს, — უკვე გვიანია — გარემო დაუსაბამო კამკამად იფრქვევა. ზღვაზე გადაკიდულ ქარაფებზე დიდხანს ვისეირნე და აივანზე, ლერწმის სავარძელში ჩავესვენე. ვფიქრობ და ვაყურადებ, ვისმენ: ბროლად იმსხვრევა გარემოს კამკამი.

ცის ღამეულ უსასრულობაში ფერად-ფერადი ვარსკვლავები განბნეულა, მრუმედ ციალებს მნათობებით მოჭიქული ირმის ნახტომი და ორი უსწორმასწორო ბოლქვით ჰორიზონტის უსაზმნო წყვდიადს ერთვის. აივანი ეზოს გადასცქერის. მეჩხერი და ტანდაბალი ბალი წვრილ-წვრილი კენჭებითაა მოკირწყლული. ღამეული ზღვა მოჩანს. დუმს უძრავად ფერმიხდილი, მიბანგული, მოლიცლიცე ზღვა. ვარსკვლავებიც დუმან. მხოლოდ ერთფეროვანი, უწყვეტი წკრიალი მოცახცახე სიზმარივით გამეფებულა ღამეულ სიმყუდროვეში.

რაზე ვფიქრობ?..

„გავკადნიერდი და გონებით მსურდა განმეჭვრიტა რაი არა არს ყოველი მზესა ქუეშე. და მივეც გული ჩემი რომელ გამოძიებად და განხილვად სიბრძნევ ყოველთათვის ყოფილ ცათა ქუეშე... რამეთუ ზრუნვა ბოროტი მოსცა ღმერთმან ძეთა კაცთასა“. და ეკლესიასტე მამაშვილურად გვირჩევს: ნუ იქმნები მართალი ფრიად, ნურცა ბრძნობ ბევრს. მე მაინც ვბრძნობ, მე ზედმეტად გულმართალი ვარ.

რაზე ვფიქრობ? როდესაც თავს ჩავეძიე და მენადა გახსენება, რაზე ვფიქრობდი, იმავე წამს ვიფიქრე იმ ფიქრზე და იმაზე, რომ სწორედ ეს ფიქრია ყოვლად გასაოცარი, ყოვლად მიუწვდომელი და ვგონებ, ავბედითი ჩემს ცხოვრებაში. რაზე ვფიქროდი, რა სულდგმულებდა ჩემში? გაუცნობიერებელი ფიქრი გარემოზე (ან, უფრო ზუსტად, ფიქრის მაგვარი), და უზომო სურვილი — გონებაში ჩამებეჭდა, შემენახა, შემეკავებინა გარე სამყარო... კიდევ რა? შეგრძნება უსაზმნო ბედნიერებისა, რასაც მანიჭებდა გარემოს დიდებული სიმყუდროვე და ღამის წყვდიადის ჰარმონია, თუმცა ამ ბედნიერებას რაღაც ნალველი და ანგარებაც ერთვოდა. საიდან გაჩნდა ეს ნალველი? ალბათ, იმ ფარული შეგრძნებიდან, რომ მხოლოდ ჩემს სულში არ სუფევს სიმყუდროვე, ეს მუდმივ ფარული ტანჯვა! — მე ვფიქრობ. ანგარება საიდანღა გაჩნდა? დაუძლეველი სურვილიდან, როგორმე გამომეყენებინა ეს ბედნიერებაც, სევდაცა და ანგარებაც, რაღაც შემექმნა მისგან... და ისევ ნალველი, ეკლესიასტე: „არა არს ხსენება პირველთა და უკანასკნელ ქმნილთა. არა იყო მათდა ხსენება ყოველთა თანა უკანასკნელ, რამეთუ დავინყებულ არს სახსენებელი მათი და სიყვარული მათი, და სიძულვილი მათი, და შური მათი ეგერა წარწყმდა და ნაწილი მათი არა არს მერმე საუკუნოდ ყოველსა შინა ქმნულსა მზესა ქუეშე“.

რაზე ვფიქრობდი? არსებითი ის კი არ არის, რაზე ვფიქრობდი, არსებითია ფიქრი ჩემი, ჩემთვის ყოვლად მიუწვდომელი ქმედება, მაგრამ უფრო არსებითი და მიუწვდომელია ფიქრი ამ ფიქრებზე და იმაზეც, რომ „არაფერი გამეგება არც საკუთარი სულისა და არც სამყაროსი“. ამასთან ერთად მესმის ჩემი არგაგება, ჩემი მიუსაფრობა ამ უკიდევანო ღამის ჯადოსნურ კამკამში, ხან სულიერი რომ მგონია, ხან უსულო, ხან უაზროდ მეჩვენება, ხან კი თითქოს რაღაც ფარულსა და ყველაზე არსებითს მიმხელს.

ეს ჩაღრმავება საკუთარ სულში, გაგება საკუთარი არგაგებისა ყველაზე დიდი საბუთია ჩემი უკვდავების. საბუთია იმისა, რომ ნაზიარები ვარ რაღაც ისეთს, რაიც ათასწილ ძლიერია ჩემზე: ჩემში, ჩემს მიღმა სულდგმულობს კიდევ რაღაც, უსათუოდ არსებითი,

განუყოფელი — ჭეშმარიტი ღმერთის წილი.

მაგრამ ეს ხომ ნაწილია იმისა, რაიც არს უფორმო, მარადიული, უსივრცო და იგია ჩემი სიკვდილიც. „აღიღეთ უღელი მისი თქვენს ზედა და იქმნებით ღვთის დარი“. „ღმერთი ცა-შია, ჩვენ კი მიწაზე“. მიწიერი, ამქვეყნიური მსახურებით ვიღუპებით. ღმერთი უსასრულოა, უსაზღვრო, ყველგან არსებული, უსახელო. და სწორედ ეს ღვთიური თვისებანი მცემს თავზარს. თუ ეს თვისებანი ძლიერდება და იზრდება ჩემში, მაშინ მე, ჩემი ადამიანური ცხოვრებისათვის, მიწიერი „არსებობისათვის“ და „შექმნისათვის“ ვკიდები...

უძრავად ეშვება ბინდი და ბნელი ფარავს ტანაყრილ ხეებს.

აქა-იქ ვერცხლისფრად რიალებს მოკირწყლული ბილიკი, თეთრად ლიცლიცებენ ყვავილები, შორს ფლატეები ჩამუქებულია და ზღვა ბურუსით მოსილ გარდამოხსნად მიილტვის ცისკენ.

სარკესავით ეღვარებს ბურუსი: თვალსაწიერზე კი — ნყვდიადი და ავბედიობა: ეს იუპიტერისაგანაა, და კიდევ იმიტომ, რომ იქ, სამხრეთის დასალიერზე, ვარსკვლავი არ ჩანს.

ოქროცურვილი, ზვიადი იუპიტერი ირმის ნახტომის მიღმა იმგვარი დიდებულებით ანთია, რომ აივანზე ძლივსშესამჩნევად იკვეთება მაგიდისა და სკამების ჩრდილი, ის ახლა სულ სხვა სამყაროს ერთი ციდა მთვარეს ჩამოჰგავს, სინათლის სვეტი ზესკნელიდან მრუმე-ოქროსფრად იღვრება მოსარკული ზღვის რძისფერეთში, ჰორიზონტზე კი, თითქოს ნათელს უპირისპირდებაო, ბედიტად მოჩანს შავი გორაკი.

და უწყვეტი, შეუნელებელი წკრიალი, გამჭოლი ჰანგებით რომ ავსებს ცის, მიწისა და ზღვის მყუდროებას, ხან ერთად მოჩნრიალედ და მორაკრაკე ნაკადულებს ემსგავსება, ხან კი საოცარ, ნელიად მოცახცახე, ბროლად ასხმულ ყვავილებს მაგონებს...

მარტოოდენ ადამიანს აოცებს საკუთარი არსებობა და ფიქრობს მასზე. სწორედ ამით განირჩევა იგი იმ არსებათაგან, ვინაც ჯერ ისევ სამოთხეში ნეტარებენ და არ-რას უწყიან თავის თავზე. თუმცაღა, ადამის ძენიც ხომ გაოცების ხარისხითა და ზომით განირჩევიან ერთურთისაგან? რატომღა დამდაღა უფალმა, რად მარგუნა წილად ფიქრის, გაოცებისა და „ბრძნობის“ ეს ავბედიტი უნარი, რად იზრდება და ძლიერდება ჩემში ეს თვისება? ბრძნობს კი ღამეულ ტრამალებში განბნეული ჭრიჭინების გუნდი, მთელ სამყაროს სიყვარულის უზაკველი ჰანგებით რომ ავსებს? ისინი სამოთხეში არიან, ცხოვრების ნეტარ ძილს მინდობილნი, მე კი უკვე გამოვფხიზლდი და ვფიქრობ. სამყარო მათშია და ისინიც სამყაროში სუფევენ, მე კი შორიდან ვუმზერ ყოველივეს. „უგუნურმან გარე მოსხნა ხელნი თვისნი, და შემჭამნა ხორცნი თვისნი. მოკრძალე ქართა არა სთესავს“.

ვისმენ და ვფიქრობ. და ამიტომაც უსაზმნოდ მარტო ვარ, მარტო ვარ ამ ღამეულ მყუდროებაში, ჯადოდ მონკრიალედ, ბროლად დამსხვრეული ნაკადულების კამკამში, დიდებული ქედმოდრეკითა და განუბჭობელობით რომ იღვრება რომელიღაც უძირო სივრცეში. იუპიტერის ნათება შემზარავად აცისკროვნებს ზესკნელიდან დედამინამდე თვალშეუდგამ სივრცეს, ღამის დიდებულ ტაძარს და მის მეფურ კარიბჭესთან სულიწმინდის ხატებად აღმართულა. და მარტო ვარ ამ ტაძარში. მე ვფხიზლობ.

დღე ქმედებაა, ტყვეობა სულისა. დღე სივრცესა და დროში. დღე — მიწიერი ვალის აღსრულებაა, მიწიერი ყოფის გამართლება. და დღის კანონი ბრძანებს: იყავ ქმედითი და არ შეწყვიტო ეს ქმედება, რათა შეიცნო თავი შენი, ადგილი და მიზანი შენი, რადგან შენა ხარ მონა მიწიერი და ბოძებული გაქვს რაღაც დანიშნულება, ნოდება, სახელი. რაღაა ღამე? შეჰფერის კი ადამიანს მის წინაშე ფხიზელი წარსდგეს, წარსდგეს იმ მიუწვდომელით, რაიც არს „ბრძნობა?“ წერილ არს, არ იგემო აკრძალული ხილი და ყური მიუგდეთ ამ თავდავიწყებულ მეხოტბეთ: მათ არ უგემიათ და არც იგემებენ! სწორედ მათ უმოქმედობას უგალობეს ქებათა-ქება ეკლეზიასტეთა! სწორედ მათ თქვეს: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“, თუმცაღა იქვე დასძინეს — მწარე შურით; „არა არს კეთილ კაცსა არამედ თვინიერ რომელ ჭამოს და სუას, და რომელ უჩვენოს კეთილი სულისა თვისისა შრომასა შინა თვისისა. რამეთუ ვინ ჭამოს და სუას თვინიერ მისა, რამეთუ კეთილსა კაცსა წინაშე პირსა მისსა მისცა სიბრძნე და მეცნიერება და სიხარული“. რა არის ღამე? ღამით თავისუფლდება დროისა და

სივრცის მონა, ქრება მისი მიწიერი დანიშნულება, მიწიერი სახელი, წოდება — და თუ ფიზიკურად, მისთვის განკუთვნილია დიდებული საცდური: უნაყოფო „ბრძნობა“, გაგების უნაყოფო ლტოლვა, ესე იგი, ორმაგი გაუგებრობა: გაუგებრობა სამყაროსი, საკუთარი სულისა, საკუთარი სანყისისა და დასასრულის.

მე არც სანყისი მაქვს, არც დასასრული.

ვიცი, რამდენი წლისა ვარ, მაგრამ ეს ხომ სხვებმა მითხრეს: მითხრეს, რომ დავიბადე რომელიღაც წელს, რომელიღაც დღესა და საათს: სხვაგვარად არ მეცოდინებოდა ჩემი დაბადების დღე, მაშასადამე, არც ჩემი წლოვანება და არც ის, რომ ჩემი არსებობა დაბადებით არის გაპირობებული.

დაბადება! რა არის ეს? დაბადება! დაბადება სულაც არ არის ჩემი სანყისი. ჩემი სანყისია ის (ჩემთვის ყოველად მიუწვდომელი) უკუნი, რომელშიაც ჩავისახე და დავიბადე, ჩემი სანყისია დედა, მამა, პაპები და პაპის პაპები, რადგანაც ისინი მე ვარ, ოღონდ სხვა იერსახით. მათგან ბევრი რამ გადმომეცა უცვლელად. „მახსოვს, ოდესღაც, უთვალავი წლის წინ, ბეკეკა ვიყავი“. მეც შევიგრძენი მსგავსი რამ (სწორედ იმის ქვეყანაში, ვინაც ეს თქვა — ინდოეთის ტროპიკებში): შევიგრძენი შემზარავი გრძნობა, რომ უკვე ვყოფილვარ აქ, ამ სამოთხისეულ სიტბოში.

თავს ვიტყუებ?

ხომ დასაშვებია, რომ ჩემი წინაპარნი ინდოეთის ტროპიკებში ცხოვრობდნენ. მათ ხომ არაერთგზის გადასცეს შთამომავლებს და ბოლოს მე მიანდერძეს ყურის, ნიკაპის, წარბების ზუსტი მოხაზულობა, მაშ რად არ უნდა გადმოეცათ უფრო ფაქიზი, უსახელო და უწონადო გრძნობა ინდოეთის სიყვარულისა? არიან ადამიანები, რომელთაც „უგონოდ“ ეშინიათ გველებისა და ობობების, ე. ი. ეშინიათ გონების მიღმა, და სწორედ ეს არის შეგრძნება რომელიღაც ადრეული არსებობისა, ბუნდოვანი გახსენება იმისა, რომ ოდესღაც, შენს უძველეს პაპის პაპას მუდამყამს ქვეწარმავლისაგან ემუქრებოდა სიკვდილი. ჩემი წინაპარი ინდოეთში ცხოვრობდა. მაშ რად ვერ შევძელ, ინდოეთის ოკეანის სანაპიროებზე თავდახრილი ქოქოსის პალმებისა და თბილ, ტროპიკულ წყალში მობანავე მუქ-ყავისფერი ხალხის ხილვისას, გამეხსენებინა, რას ვფიქრობდი, ოდეს ჩემი მუქი-ყავისფერი წინაპარი ვიყავი?

მაგრამ არც დასასრული მაქვს.

თუ არ მესმის და ვერ ვგრძნობ საკუთარ დაბადებას, ვერც სიკვდილს გავიგებ და შევიგრძნობ, სიკვდილზე არაფერი მეცოდინებოდა, ვერც შევიგრძნობდი, უდაბურ, უკაცრიელ კუნძულზე რომ დავბადებულიყავი და მეცხოვრა. მთელი სიცოცხლე სიკვდილის დაღი მანამეზს — მაინც მუდამ მგონია, არასოდეს მოვკვდები. სიკვდილი! ადამიანი ხომ ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ გარდაიქმნება, ე. ი. შეუმჩნეველად კვდება და შეუმჩნეველადვე აღორძინდება. მაშასადამე, მეც არაერთხელ გარდავქმნილვარ (მოვმკვდარვარ და ისევ ავღორძინებულვარ). ვკვდებოდი — და მაინც ვცოცხლობდი, არაერთგზის მოვკვდი და მაინც, დვრიტაში იგივე ვარ, რაც ადრე ვიყავი, იგივე და წარსულით აღსავსე.

სანყისი. დასასრული. რაოდენ მერყევია დროისა და სივრცის ჩემეული აღქმა. წლებთან ერთად განა მხოლოდ ვგრძნობ, გონებითაც ვჭვრეტ ამას.

მე გამომარჩიეს ბევრზე-ბევრისაგან. და თუმცა მთელი სიცოცხლე ჩემი თვისებების სისუსტე და არასრულფასოვნება მანამეზდა, სხვებთან შედარებით მაინც ერთობ საოცარი ადამიანი ვარ. სწორედ ამიტომ (იმის გამო, რომ არ ვარ სხვების მსგავსი, ერთგვარად უჩვეულო ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები), დროის, სივრცისა და საკუთარი არსებობის ჩემეული შეგრძნება და წარმოსახვა ერთობ არამყარია.

ვინ არიან ეს უჩვეულო ადამიანები? ისინი, ვისაც პოეტებსა და მხატვრებს უწოდებენ. რას უნდა ფლობდნენ ისინი? ყოველი ხელოვანი თუ პოეტი განსაკუთრებით ღრმად უნდა შეიგრძნობდეს წილხვდომილ ანმყოფსა და გარდასულს, საკუთარსა და უცხო ერს, საკუთარ სულსა და ადამიანებს ე. ი. უნდა გააჩნდეს გარდასახვის უდიდესი უნარი, ამასთანავე, განსაკუთრებით ცოცხალი და განსაკუთრებით ხატოვანი (მგრძნობიარე) მესხიერება უნდა

ჰქონდეს. და ამ ჯგუფს რომ განეკუთვნებოდე, უნდა იყო ინდივიდი, ვინაც არსებობის უგრძელეს გზაზე წინაპართა ჯაჭვში გამოატარა და შემდეგ საკუთარ არსებაში სრულად ასახა ველური პაპის პაპის ხატება, მისი შეგრძნებების სინედლე, აზროვნების ხატოვანება და უზარმაზარი ქვეცნობიერება, ამასთანავე, ამ უგრძელეს გზაზე უდიდესი შეგნებით უნდა იყო უზომოდ გამდიდრებული.

დიადი წამებული თუ დიადი ნეტარია ამგვარი კაცი? ერთიცა და მეორეც. ამ ადამიანთა ჯვარცმა და ნეტარებაა განსაკუთრებულად ძლიერი „მე“. თავის დამკვიდრების უდიდესი წყურვილი და ამასთანავე (იმ მდიდარი გამოცდილების წყალობით, რაც არსებობის უგრძელესმა ჯაჭვმა შესძინა), შეგრძნება ამ წყურვილის უაზრობისა და ყოვლადმყოფობის გაფაქიზებული აღქმა. და აქედან — ბუდა, სოლომონი, ტოლსტოი...

თუ ზრდასრული გორილები განსაკუთრებით საშიშნი არიან ფიზიკური ძალით, უზომოდ მგრძნობიარენი — სამყაროს აღქმისას, დაუნდობელნი — ჟინის დაოკებისას და საოცარი უშუალოებით გამოირჩევიან, ხანში შესულნი გაუბედავნი, დაფიქრებულნი, ნაღვლიანნი, და გულმონყალენი ხდებიან... თავზარდამცემი მსგავსებაა ბუდებთან, სოლომონებთან, ტოლსტოებთან! და საერთოდ, ამ ღვთიურ მოდგმაში რამდენი წმინდანისა და გენიოსის ჩამოთვლა შეიძლება, რომელნიც გარეგნულად გორილებს ჩამოჰგავდნენ! ყველამ კარგად უნყის ტოლსტოის გაბარჯლული ნარბები, ბუდას გიგანტური აღნაგობა და ამობურცული თავის ქალა (მუჰამედის გვემულება, ოდეს ანგელოზნი ელვით აუწყებდნენ „არაამქვეყნიურ ქვესკნელებსა და საიდუმლოებებს“ და „თვალის დახამხამებაში“, მაშასადამე — დროისა და სივრცის ყოველგვარი კანონის გარეშე, გადაჰყავდათ მედინიდან იერუსალიმში, შავ ქვაზე, რომელიც მარად ირხევა ზეცასა და დედამიწას შუა, თითქოს ერთურთს შეურწყავს წარმავალსა და მარადიულს).

სოლომონები და ბუდები ჯერ გასაოცარი სიხარბით აღიქვამენ სამყაროს, შემდეგ უდიდესი ვნებით წყევლიან მის ცდუნებებს. ისინი ჯერ უდიდესი ცოდვილნი არიან, შემდეგ უდიდესი მძაგებელნი ცოდვისა, ჯერ — უდიდესი მომხვეჭელნი, შემდეგ — მფლანგველნი. ისინი მაიას გაუმადლარი მონები არიან — აჰაჰ იგი, მოწკრიალე, მჩხიბავი მაია, ყური მიუგდეთ, ყური მიუგდეთ მას! — და ყოველი მათგანი გამოირჩევა წლებთან ერთად მზარდი ყოვლადმყოფობის შეგრძნებით და ამ ყოვლადმყოფობაში შთანთქმის უცილობლობით...

ოდნავ შეირხა ჰაერი, მოულოდნელად ყვავილების და ზღვის ნოტიო სურნელი შემოაფრქვია აივანს. იმავე წამს შრიალიც გაისმა — მთვლემარე ტალღებმა ჩუმად ამოიფშვინეს და ზანტად მიელამუნენ ნაპირს. გაუცნობიერებლად ბედნიერი, რულმორეული, უდარდელი, ქედმოდრეკილი და მომაკვდავი! მიელამუნა, მიეშხეფა, ქვიშა ღია-ცისფერი ციალებით ააელვარა, — ააელვარა უთვალავი სიცოცხლით — და იმგვარადვე ზანტად გაიზლაზნა უკან, თავის აკვანსა და სამარეს მიუბრუნდა. უთვალავი სიცოცხლე ახმაურდა თავგამეტებით და წყლის დიდებულ სარკეში ოქროს ნაკადად ჩამოღვრილი იუპიტერი მეტი სიზვიადით და დიდებულებით აციმციმდა ცისკიდურზე...

განა მე უკვე არ ვარ უსანყისო, დაუსაბამო, ყველგან არსებული?

რამდენიმე ათეული წელი მაშორებს ბავშვობას. თვალშეუდგამი სიშორე! მაგრამ საკმარისია მცირე ხნით ჩავმყუდროვდე და დრო ქრება. არაერთგზის განმიცდია ეს საოცრება. არაერთგზის მომხდარა: კვლავ ვუბრუნდები იმ მინდვრებს, სადაც ბავშვობა და ყრმობა გამიტარებია, იქაურობას თვალს მოვავლებ და უეცრად, არაარსებულივით ილევა განვლილი, გრძელი წლები. ეს არ გეგონოთ, არ გეგონოთ გახსენება: არა, მე კვლავ იგივე ვარ, სრულიად იგივე. იმგვარადვე აღვიქვამ ამ მინდვრებს, ჰაერს, ამ რუსულ ცას, იმგვარადვე აღვიქვამ მთელ სამყაროს, როგორც იქ, იმ შარაზე, ბავშვობისა და ყრმობის ჟამს.

ამგვარ წუთებში არაერთხელ მიფიქრია: ყოველი წამი, რაც კი აქ ოდესღაც მასულდგმულედა, შეუმჩნევლად აღიბეჭდებოდა ჩემი მეს უთვალავ, უსასრულოდ მცირე და იდუმალ ფირფიტებზე — ზოგი მათგანი ახლა გაცოცხლდა და გამომჟღავნდა. კიდევ წამი და, ჩვენებანი კვლავ იძირებიან ჩემი არსების უკუნში. დაე, შთაინთქას, ვიცი, ის არსებობს. „არაფერი არ კვდება, მხოლოდ სახეს იცვლის!“ თუმცა ეგებ არის რაღაც, რაც გარდასახ-

ვას არ ექვემდებარება, რაც არამც თუ ჩემს ცხოვრებაში, საუკუნეებშიც არ იცვლის სახეს? უთვალავი ამგვარი ნაჭდევი გადმომეცა წინაპართაგან. რა არის ნიჭი, გენია, თუ არა ამ ნაჭდევის სიმდიდრე (შთამომავლობითიცა და კეთილშეძენილიც), თუ არ ნაწილ-ნაწილ გამომჟღავნების უნარი ამ მზის სხივებში, რომელიც ჟამიჟამს გამოანათებს ხოლმე უკუნიდან.

ამას წინათ დილასისხამზე მოულოდნელად გამომეღვიძა და უეცრად შემზარა ჩემმა ხნოვანებამ. ოდესღაც მეგონა, თუ ადამიანი ორმოც ან ორმოცდაათ წელიწადს იცხოვრებდა, რაღაც განსაკუთრებული, თითქმის საშინელი არსება უნდა ყოფილიყო. აი, ასეთ არსებად ვიქეცი, ბოლოს და ბოლოს, მეც. რა ვარ ახლა, — ჩავეკითხე თავს, — კერძოდ, რად ვიქეცი ახლა? თავს ძალა დავატანე და შორიდან შევხედე საკუთარ არსებას — საოცარია ამის უნარი რომ შეგვწევს! — და გასაოცარი სიცხადით აღვიქვი, რომ იგივე ვიყავი, რაც ათი თუ ოცი წლის წინათ.

შუქი ავანთე და სარკეში ჩავიხედე: დიახ, უკვე გამიუხებდა სახე, ნაკვთები გამომეკვეთა, საფეთქლები მხეცით დამეფარა, თვალეზიც ჩამიქრა... მერე რა?

საოცრად მსუბუქად წამოვდექი და ღამეულ სიმშვიდეში ჩაყურსულ, რიჟრაჟით აცრი-ატებულ ოთახებში გავიარე. ბინაში უჩუმრად იპარებოდა ახალი, ნელიად მზადი დღე და მკერდის სიმალლეზე ჰკვეთდა ოთახების ბინდბუნდს.

განსაკუთრებული, რიჟრაჟისეული სიმყუდროვე ჯერ ისევ მეფობდა ადამიანთა იმ უზარმაზარ ბუდეში, ქალაქს რომ უწოდებენ. სხვაგვარი სიჩუმით იდგნენ მრავალსარკმლიანი სახლები, ეძინათ მრავალრიცხოვან მცხოვრებლებს, ესოდენ განსხვავებულთ და ესოდენ ერთგვარად მინებებულთ ძილს, უგრძნობელობას, უსუსურებას. ჩემ თვალწინ იწვნენ ჩაჩუმებული ქუჩები (ჯერ ისევ ცარიელი და სუფთანი), თუმცა გამჭვირვალე ბურუსში უკვე მწვანედ ციალებდნენ გაზის ნათურები. და უეცრად ხელახლა შევიგრძენი ის გამოუთქმელი გრძნობა, რომელსაც გამთენიის ჟამს გაღვიძებული შევიგრძნობდი ხოლმე მთელი სიცოცხლე — განვიცადე უსაზმნო ბედნიერება, ბავშვურად მიმნდობი, სულის მომფონავი სიტკბო სიცოცხლისა, რამეთუ იბადებოდა რაღაც ახალი, კეთილი, მშვენიერი — და ამასთანავე შევიგრძენი სიახლოვე, ძმობა, ერთიანობა ამ დედამიწის ზურგზე ჩემთან ერთად მცხოვრები ადამიანებისადმი. ასეთ წუთებში კარგად მესმის, რად მოთქვამდა პეტრე მოციქული; მან ხომ სწორედ დილასისხამზე ასე ნედლად, ხელახლა და ნაზად შეიგრძნო იესოსადმი სიყვარული, ცხადად აღიქვა საკუთარი ბოროტება — წინა ღამით, რომელი ჯარისკაცების შიშით ჩადენილი! ხელახლა მთლიანად, ჩემეულივით შევიგრძენი ის შორეული, სახარებისეული დილა ელეონის ზეთისხილის ხეივანში და პეტრეს განდგომა. დრო გაქრა. და მთელი ჩემი არსებით აღვიქვი: რა საოცრად მცირეა ორი ათასი წელი! მე ჯერ მხოლოდ ნახევარი საუკუნისა ვარ; საკმარისია ორმოცჯერ გავზარდო ჩემს მიერ განვლილი წლები და ქრისტეს, მოციქულების, „ძველი“ იუდეველების, „ძველი“ ადამიანების ეპოქაში აღმოვჩნდები. იგივე მზე, რომელიც ღამენათევმა, ფერმიხდილმა და ნამტირალევმა პეტრემ იხილა, საცაა, მეც გამინათებს. და თითქმის იმავე გრძნობებმა, რომელმაც ალავსო ოდესღაც პეტრე გეთსიმანიაში, ახლა მეც ამაღელვებს და იგივე ცრემლები მომგვარებს, ასე ტკბილ-მწარედ რომ აატირებს პეტრე კოცონთან. მაშ, სადღაა ჩემეული ანმყო და მისეული? სადა ვარ მე და სად — პეტრე? თუ ჩვენ, თუნდაც წამიერად ასე შევერწყეთ ერთურთს, სადღაა იგი, ჩემი **მე**, რომლის დამკვიდრებას და გამოყოფასაც ესოდენ ვნებით ვცდილობდი მთელი სიცოცხლე? არა, სრულიად, სრულიად არაფერს ნიშნავს, რომ მე ამქვეყნად პეტრეს, იესოს, ტიბერიუსის დროს კი არ ვცხოვრობდი, არამედ, ეგრეთ წოდებულ, მეოცე საუკუნეში! რამდენჯერ წარმოდგენით მიცხოვრია უცხო და შორეული სიცოცხლით, გრძნობებით, თითქოს ყველგან და ყოველთვის ვარსებობდი! სადღაა ზღვარი არსებულსა და წარმოსახულს შორის, ჩვენს განცდებს შორის, რომელიც ასევე არსებულია, უცილობლად არსებული!

მთელი სიცოცხლე ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ვლახავ და ვარღვევ სივრცეს, დროს, ფორმებს. დაუოკებლად და უსაზღვროდ მწყურია სიცოცხლე და მე ვცოცხლობ არა ოდენ საკუთარი ანმყოთი, არამედ ჩემი წარსულითაც, არა ოდენ ჩემეული სიცოცხლით, არ-

ამედ ათასობით უცხო სიცოცხლეებითაც, ყოველივეთი, რაიც ჩემი თანამედროვეა და იმითაც, რაც იქ, შორეული საუკუნეების ბურუსშია ჩაძირული. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გზაზე დავიღუპო თუ პირიქით, დავამკვიდრო საკუთარი მე, გავამდიდრო და გავადლიერო?

ამქვეყნად ორგვარი ადამიანები არსებობენ. ერთ უზარმაზარ ჯგუფს განეკუთვნებიან ანმცოსეული, ცხოვრებისეული შენების, ქმედების, თითქმის უნარსულო და უნინაპრო ადამიანები, რომელნიც ერთგულნი არიან ყოფიერების იმ ჯაჭვისა, ინდოეთის სიბრძნე რომ ქადაგებს: მათ არ ენალვლებათ, ასე უკვალოდ რომ იკარგებიან უსამართლობაში და არა უწყიან ჯაჭვის სანყისისა და დასასრულის შესახებ. მეორე, შედარებით მცირე ჯგუფს განეკუთვნებიან საშინელი მფლანგველნი, უკვე შეცნობილი რომ აქვთ ამ ქმედებისა და შენების არარაობა, ოცნების, ჭვრეტის, სამყაროთი და საკუთარი არსებით გაოცების უნარით დაჯილდოებული „განსჯის“ ადამიანები, უკვე იღუმლად რომ გამოეხმაურნენ უძველეს ძახილს: „გამოეყავ ჯაჭვს!“ — უკვე შეპყრობილნი მარადიულობაში შერწყმის, განბნევის სურვილით, ამგვარი გამძვინვარებით რომ იბრძვიან და ყოველ გარდასახვას, ანმცოს ყოველ წუთს მისტირიან. ეს ადამიანები თავიანთ უთვალავ წინაპართაგან აღქმის უდიდესი სიმდიდრით არიან დაჯილდოებულნი, საოცარი სიცხადით შეიგრძნობენ ჯაჭვის უსასრულოდ შორეულ რგოლებს და განსაცვიფრებლად (ეგებ უკანასკნელად) აღადგენენ საკუთარ თავში სამოთხეში მცხოვრები პაპის პაპის ძალას და სინედლეს. სამყაროს აღქმისას ისინი სამოთხისეულად მგრძნობიარენი არიან, მაგრამ სამოთხეშიც აღარ ედგომებთ. აქედან იღებს სათავეს მათი დიდებული გაორება: ჯაჭვიდან გასვლის, განშორების, მისი არარაობის მტანჯველი შეგნება და ამ ჯაჭვით პირადული, უდიდესი აღფრთოვანება. და ყოველ მათგანს აქვს უფლება გაიმეოროს ოდინდელი კვნესა: „მარადიულო და ყველგან მსუფვეო! შენ არ უწყოდი, რა იყო სურვილი და წყურვილი. შენ სიმშვიდეში განისვენებდი, მაგრამ თავადვე დაარღვიე ეს სიმშვიდე: შენ ჩასახე და განავითარე ასახვის უსაზმნო ჯაჭვი, რომლისაგანაც თვითეულს ეწერა ყოფილიყო უფრო და უფრო უნაყოფო, უფრო და უფრო მიახლოებოდა ნეტარ სანყისს. ან უფრო ძლიერდება შენი ძახილი: „გადი ჯაჭვიდან! გადი უკვალოდ, უანდერძოდ, უმემკვიდრეოდ!“ ო, ღმერთო, მე უკვე მესმის შენი. მაგრამ ჯერ მიჭირს განშორება ცრუ და ტკბილმწარე ყოფიერებასთან, ჯერ ისევ მაკრთობს შენი უსანყისობა და დაუსაბამობა...”

ო, რომ შეიძლებოდეს არსებაში თუ არა, სიტყვაში აღიბეჭდოს ეს ცრუ და გამოუთქმელად ტკბილი „ყოფიერება“.

ჩემი არსებობის უძველეს ხანაში, ათასობით წლის წინ, მე ზღვის ზომიერ ხმაურზე ვსაუბრობდი, ვმღეროდი, რომ მახარებდა და მტანჯავდა ცის სილურჯე, ღრუბელთა სითეთრის მიუწვდომლობა და მომხიბლაობა და ქალის სხეულის მტანჯველი მშვენება. იგივე ვარ ახლაც. ვინ და რად მაიძულა შეუსვენებლად მეტარებინა ეს ტვირთი — მარად გამოვთქვამდე საკუთარ გრძნობებს, აზრებს, წარმოდგენებს, გამოვთქვამდე არა მარტივად, არამედ ზუსტად, ლამაზად, ძალოვნად, რათა ადამიანები მოიხიბლონ, აღფრთოვანდნენ და ნალველი ან ბედნიერება დაეუფლოთ? ვინ ან რად ჩამაქსოვა სულში დაუცხრომელი ლტოლვა — ჩემი შინაგანი ცხოვრებით ავანთო ადამიანები, ვუწილადო საკუთარი თავი და შემდეგ მათშივე ვეძიო თანაგრძნობა, ერთიანობა, შერწყმა? ბავშვობიდანვე ყველა ჩემს შეგრძნებას, ხედვას თუ აღქმას ეს „ანგარება“ ახლდა თან, მუდამ გამდიდრების სურვილი მამოქმედებდა, რათა შემდეგ მეტი ძალოვანებით ამესახა საკუთარი მე. მე ატაცებული ვარ მოხვეჭისა და ფლანგვის მუდმივი სურვილით, მსურს გავემიჯნო მილიონობით მსგავსთ, მსურს მიცნობდნენ, ღირსი გავხდე მათი შურის, აღფრთოვანებისა და მარადისობის. ადამიანური ცხოვრების გვირგვინი ხომ ხსოვნაა — ყველაზე უდიდესი, რასაც კუბოსთან ჰპირდებიან ადამიანს — მარადიული ხსოვნაა. და არ მეგულება ადამიანი, რომელიც იღუმალ არ იწვოდეს ამ გვირგვინის იმედით. ჩემი სული? მასაც ხომ ამ იმედმა გაულია ქანცი, — რად ან რისთვის? — რომ ამ სამყაროში უკუნითი უკუნისამდე დარჩება მისი ხსოვნა, მისი გრძნობები, წარმოსახვანი, სურვილები, რომ სძლევს იმას, რასაც ჩემი სიკვდილი ეწოდება, რაიც უცილობლად მოვა

და რაიც არ მნამს მე, არ მსურს და არ მინდა ვირწმუნო! და განუწყვეტლივ, უბმოდ ვყვირი მთელი არსებით: „შესდექ, მზეო!“ და მით უფრო ძალუმაღ ვყვირი, რამეთუ არსებითად, მე კი არ ვქმნი — მე ვფლანგავ საკუთარ თავს, — არც სხვაგვარი ყოფა ძალმიძს, რაკი ბოძებული მაქვს დროის, სივრცის და ფორმის გადალახვის უნარი, ჩემი უსაწყისობისა და უსასრულობის შეგრძნება, მაშასადამე ის ერთიანობა, რომელიც შემინოვს, როგორც ობობა თავის ქსელს.

და ჭრიჭინები გალობენ, გალობენ, მათაც ნაბოძები აქვთ ეს ერთიანობა, ტკბილია მათი სამოთხისებრი უზრუნველობითა და ნეტარი თავდავიწყებით აღსავსე სიმღერა, მე მემნარება მხოლოდ.

იუპიტერმა თავის უმაღლეს ნერტილს მიაღწია. და უმაღლეს დუმილს, უმაღლეს უძრაობას, უმაღლეს მშვენიერებასა და დიდებულებას მიაღწია ღამემ. „ღამე ღამეს გადასცემს ცოდნას“. რომელს? და ეგებ ამ იდუმალ, უმაღლეს ჟამს?..

უფრო დიდებული და მრისხანე გახდა ვარსკვლავებით მოჭიქული ცის უკიდევანო და უძირო ტაძარი — ხომლი აინთო ცაზე, მრუმე ოქროსფრად მოლიცლიცე სვეტი დამრეცად ეშვება ლეთარგიული ძილით მიბანგული ზღვის მოსარკულ რძისფერეთში. უძრავად მუქდებიან წვრილი ხეები, და უფრო ტანკენარნი მოჩანან უფერული კენჭებით მოფენილ სამხრეთის ამ მეჩხერ ბაღში. და უწყვეტი, შეუნელებელი წკრიალი, გამჭოლი ჰანგებით რომ ავსებს ცის, მინისა და ზღვის მყუდროებას, უფრო მეტად მიემსგავსა საოცარი, ნელიად მოცახცახე ბროლადასხმულ ყვავილებს... საით მიილტვის ეს მორაკრაკე დუმილი?..

და კვლავ ფშვინვა სიცოცხლისა, შრიალით მიელამუნენ ტალღები ნაპირს, უკუიქცნენ და ყვავილებისა და ზღვის ნოტიო სურნელი შემომამფრქვიეს. თითქოს გამეღვიძა. მიმოვიხედე და წამოვდექი. აივნიდან ჩამოვრბივარ, ბალი გადავჭერი, მერე ქარაფიდან თავქვე დავეშვი. ქვიშაზე მივაბიჯებ, ზღვის პირას ვჯდები, წყალს ნეტარებით ვახებ ხელს და წამისად უთვალავი მოლიცლიცე წვეთებით, უზღვავი სიცოცხლეებით ვივსები... არა, ჯერ არ დამდგარა ჩემი ჯერი! ჯერ კიდევ არის რაღაც, რაიც ძლიერია ჩემს „ბრძნობაზე“, ჯერ კიდევ ქალივით სასურველია ჩემთვის ეს ღამეული წყლის სარეცელი...

მზის ღაკვრა

სადილის შემდეგ ისინი მზედაღვრილი, ჩახუთული სასადილოდან გემბანზე გამოვიდნენ და მოაჯირთან შეჩერდნენ. მან თვალები მინაბა, ხელის ზურგი მიიღო ლოყაზე, უბრალოდ, მომხიბლავად გაიცინა — თავბრუდამხვევი იყო ეს პატარა ქალბატონი — და თქვა:

— მგონი, დავთვერი... გასაოცარია, მაინც საიდან მომევლინეთ? ამ სამი საათის წინ არც კი გიცნობდით. მე ისიც არ ვიცი, რომელ სადგურზე ამოხვედით. სამარაში? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს... თავბრუ მესხმის თუ სადღაც ვუხვევთ?

წინ წყვდიადში შუქი ციმციმებდა. უკუნიდან ძლიერი ბორიო შეეხალათ სახეში, შუქიც სადღაც გასწვრივ ჩაიღველფა: გემმა მკვეთრად, ვოლგური სიშმაგით იცვალა გეზი და მომცრო ნავსადგურს მიუახლოვდა.

პორუჩიკი მის ხელს მისწვდა და ეამბორა. პატარა, ძლიერ ხელს მზის სურნელი ასდიოდა. მან უეცრად ცხადლივ შეიგრძნო მთელ თვეს აღმოსავლეთის მზესა და გავარვარებულ ქვიშაში ნებივრობით ჩამკვრივებული, გარუჯული მისი სხეულის სისალუქე (ქალმა ადრევე უთხრა, ანაპიდან ვბრუნდებით) და ნეტარი ძრწოლით შეეკუმმა გული.

— ჩავიდეთ... — წასჩურჩულა პორუჩიკმა.

— სად? — ჰკითხა მან გაოცებით.

— ამ ნავსადგურში.

— რატომ?

პორუჩიკი დუმდა. მან კი ისევ ხელის ზურგი მიიღო აღანძულ ლოყაზე:

— გადაირიეთ...

— ჩავიდეთ, — უაზროდ გაიმეორა პორუჩიკმა, — გემუდარებით...

— ოჰ, თქვენი ნებაა, — უთხრა მან და სახე მოარიდა.

გემი რბილად მიეხალა მქრქალად განათებულ ნავმისადგომს და ისინიც ლამის შეაწყდნენ ერთმანეთს, თავს ზევით ბაგირის ბოლომ გაიშხუილა, შემდეგ უკან გადაქანდნენ და ხმაურით ადგაფუნდა წყალი, საბიჯელა ახმაურდა... პორუჩიკი ბარგის მოსატანად გაიქცა.

ნუთის შემდეგ ლამეში ჩაძირული ბოგირი განვლეს, კოჭებამდე ჩაეფლნენ ღრმა ქვიშაში და დამტვერილ ფაეტონში ჩასხდნენ უჩუმრად. უსასრულოდ ეჩვენათ იშვიათი, გადაფერდებული ფარნებით განათებული და მტვრით დაღობილი აღმართი. ბოლოს ააღნიეს, ქვაფენილზე ახრიგინდნენ, რაღაც მოედანი გაიარეს, სათათბირო, კოშკი, რუსული სამაზრო ქალაქის ზაფხულისეული ხორშაკი და სუნი... ფაეტონი განათებულ სადარბაზოსთან შედგა, მოღიავებული კარიდან ზეაღმავალი, ძველებური ხის კიბე მოჩანდა, ბებერმა, წვერგაუპარსავმა ლაქიამ, ვარდისფერი პერანგი და ქურთუკი რომ ეცვა, უკმაყოფილოდ წამოკრიბა ბარი და ფლატუნით გაუძღვათ წინ. ისინი ერთ უზარმაზარ, დღის ხვატით გავარვარებულ და ჩახუთულ ნომერში შევიდნენ, სადაც ფანჯრებზე ქათქათა ფარდები იყო ჩამოფარებული და სარკესთან, შანდლებში ორი სანთელი კრთებოდა — და შესვლისთანავე პორუჩიკი იმგვარი ლტოლვით მიიჭრა მასთან, ორივეს იმგვარად შეუხუთა კოცნამ სული, რომ წლების შემდეგაც თრთოლვით იხსენებდნენ ამ ნუთს: არც ერთს ამგვარი არასოდეს განეცადა.

დილის ათ საათზე, მზიანი, ცხელი, ნეტარი, საეკლესიო ზარების გადაძახილით, სასტუმროს წინ გართხმული ბაზრის, თივის, კუპრისა და საერთოდ, რუსული სამაზრო ქალაქისათვის ჩვეული ნაირ-ნაირი სუნით აღსავსე დილის ათ საათზე, წავიდა პატარა და უსახელო ქალი. მას საკუთარი ვინაობა არ გაუმხელია და ბოლომდე წარმტაც უცნობს უწოდებდა თავს. იმ ღამეს თვალის არ მოუხუჭავს, მაგრამ დილით, სანოლთან მიდგომულ თეჯირს რომ გამოსცილდა, ხუთ ნუთში დაბანილი და თმადავარცხნილი, ჩვიდმეტი წლის უბინო ქალწულს ჰგავდა. ეხამუშებოდა რაიმე? არა, ანდა სულ ოდნავ. გუშინდელივით კვლავ უბრალოდ ეჭირა თავი, მხიარულობდა, ზედმეტად კეთილგონიერი იყო მხოლოდ.

— არა, არა, ძვირფასო, — გაჯიუტდა ქალი, როცა პორუჩიკმა გზის ერთად გაგრძელება სთხოვა, — არა, თქვენ მომდევნო გემს უნდა დაელოდოთ. ერთად თუ წავალთ, ყველაფერს პენი დაეკარგება. მე კი ძალზე დამწყდება გული, ასე რომ მოხდეს. ღმერთს გეფიცებით, სულაც არა ვარ ის, ვინც ერთი შეხედვით შეიძლება გგონებოდით. ამდაგვარი არასოდეს შემთხვევია და აღარც შემემთხვევა. თითქმის გონება დამებინდა... უფრო სწორად, გუშინ ჩვენ ორივეს მზემ დაგვკრა.

და პორუჩიკიც როგორღაც იოლად დაეთანხმა. გულარხინად, ნეტარი კაცის იერით მიაცილა მისადგომამდე — მოვარდისფრო გემი ნუთი-ნუთს უნდა გასულიყო — გემბანზე ყველას დასანახად აკოცა და ძლივსლა მოასწრო საბიჯელაზე შეხტომა.

ასევე გულარხინად და მსუბუქად მიბრუნდა სასტუმროში, მაგრამ რაღაც უკვე შეცვლილიყო. უმისოდ გადასხვაფერებულიყო ოთახი, ისევ სავსე იყო ქალით — და ცარიელი. საოცარია! ჯერ ისევ ჰაერში ტრიალებდა მისი ინგლისური ოდეკალონის სუნი, სინზე მის მიერ შეუსმელი ჩაის ჭიქა იდგა, თავად კი გამქრალიყო... და პორუჩიკს იმგვარი სინაზით გაეთანგა გული, რომ მყისვე პაპიროსი გააბოლა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— უცნაური თავგადასავალია! — ნაძალადევი სიცილით ჩაილაპარაკა და იგრძნო, როგორ მოაწვა თვალებზე ცრემლი, — „ღმერთს გეფიცებით, მე სულაც არა ვარ ის, ვინც ერთი შეხედვით შეიძლება გგონებოდით“... და აკი წავიდა კიდევ.

თეჯირი განუული იყო, ლოგინი აულაგებელი. პორუჩიკს უკვე აღარ შეეძლო ამ ლოგინის ცქერა, სანოლს თეჯირი ჩამოაფარა, ფანჯარა მიხურა, რომ ბაზრიდან მონადენი ყაყანი და ბორბლების ღრჭიალი აღარ გაეგო, თეთრი, დაბერილი ფარდები ჩამოუშვა და ტახტზე დაჯდა... ჰო, ეს „უცნაური თავგადასავალიც“ დასრულდა! იგი წავიდა — ვინ იცის, სად არის ახლა? ალბათ მინის თეთრ სალონში ან გემბანზე ზის, გასცქერის ამ მზერაგაუნდენ,

მზეზე ალაპლაპებულ მდინარეს, გზად შემხვედრ ტივებს, ყვითელ მეჩჩებს, წყლისა და ცის მოელვარე შორეთს, გასცქერის ამ უკიდევანო, ვოლგურ სივრცეს... ვაი, რომ უკვე სამუდამოდ, სამარადჟამოდ... სადღა შეხვდებიან ერთმანეთს? „განა შესაძლებელია, - გაიფიქრა მან, — განა შემძლია მოულოდნელად იმ ქალაქში ჩავიდე, იქ ხომ მისი ქმარიც ცხოვრობს, სამი წლის გოგონა, მთელი მისი ოჯახი და საერთოდ, იქ მისი ჩვეული ყოფაა!“ — და ის ქალაქი პორუჩიკს რაღაც უჩვეულო, კრძალულ ალაგად ეჩვენა, უეცრად მიხვდა, რომ ქალი ისევე მარტო იცხოვრებდა იმ ქალაქში, ეგებ ხშირად გაიხსენებდა კიდეც ამ ანაზღაურულ, წამიერ შეხვედრას, თავად კი უკვე ველარასოდეს ნახავდა მას და ნაფიქრმა შეძრა, თავზარი დასცა. შეუძლებელია! ეს ხომ საშინელი უსამართლობა იქნება! ტკივილით მოენურა გული, უმისოდ არარად ეჩვენა მთელი ეს გრძელჟამიერი ცხოვრება და სასონარკვეთამ გაუთანგა სხეული.

„რა საშინელებაა! — გაიფიქრა მან, წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და თეჯირის უკან მდგარ სანოლს თვალი აარიდა, — რა დამემართა? ასეთი რა იყო ეს ქალი ან რა მოხდა საერთოდ? მართლა მზის დაკვრას ჰგავს! ანკი მთელ დღეს როგორ გავძლებ უმისოდ ამ ღვთით მივიწყებულ ქალაქში?“

მას ჯერ ისევ ახსოვდა ქალი, სრულად ახსოვდა მისი ყოველი, თვით უმცირესი ნაკვთიც კი, მისი გარუჯული სხეულისა და ტილოს კაბის სურნელი, ახსოვდა მკვრივი, სალუქი ტანი, მისი ხმის მხიარული, ანცი ჟღერა... ჯერ ისევ გულს ეფონებოდა მისი ქალური მშვენიერებით მოგვრილი ტკბობა, მაგრამ ამჟამად უმთავრესი ის მეორე, სრულიად უჩვეულო გრძნობა იყო — ის უცნაური, ჯერარგანცდილი საღმობა, რომელიც ერთად ყოფნის ჟამს არც უგრძნია, ვერც წარმოიდგენდა და რომელზეც ან მას ველარასოდეს ეტყოდა! „ჰო, — გაიფიქრა მან, — ველარასოდეს ვეტყვი! რა ვიღონო, რით გავლიო ეს უბოლოო დღე მოგონებებითა და ვაებით სავსე ამ ვოლგისპირა ქალაქში, ვოლგამ ხომ ვარდისფერი გემით სამუდამოდ თან გაიყოლა იგი?“

რაღაცით უნდა ეხსნა თავი, რაიმე ესაშველა, სადღაც წასულიყო და ფიქრი განეგდო. მან სწრაფად დაიხურა ქუდი, ხელჯოხი აიღო, დეზების რანკუნით განვლო დერეფანი და კიბეზე ჩაირბინა... სად წავიდეს? სადარბაზოსთან ფაეტონი იდგა, კიჩოზე ტყაპუჭიანი ყმანვილი მეფაეტონე მშვიდად აბოლებდა.

პორუჩიკი გაოცდა: როგორ შეიძლება ასე მშვიდად იჯდე და ესოდენ უდარდელი და გულგრილი იყო? „აღბათ, ამ ქალაქში მხოლოდ მე ვარ ასე უბედური“, — გაიფიქრა და ბაზარს დაუყვა.

ბაზრობა მილეულიყო. უმიზნოდ იყილა მარხილებთან დახორხლილ ნეხვში, კიტრითა და ქვაბ-ქოთნით დატვირთულ საზიდებს შორის, ყოველი მხრიდან ყაყანით იხმოზდნენ დედაკაცები, ქოთნებს აჩეჩებდნენ, ზედ თითებს აკაკუნებდნენ, ნახელავს აქებდნენ, კაცები ხაფი ხმით ღრიალებდნენ: „შუშა კიტრია, თქვენო აღმატებულებავ!“ და ეს ყოველივე იმდენად სულელური, უაზრო ეჩვენა, რომ უკანმოუხედავად გამოიქცა ბაზრიდან. იქიდან ეკლესიაში შებორიალდა, სადაც რიხიანად, ამოდ გალობდნენ, შემდეგ აღსრულებული ვალის შეგრძნებით დააბიჯებდა მთის ფლატეზე გართხმულ პატარა, დაბურულ და გავერანებულ ბაღში და მდინარის მხერამიუნვდენ, ღია რვალისფერ ლივლივს გასცქეროდა... კიტელის ღილები და პაგონები ისე გაუხურდა, ხელს ვერ მიაკარებდი. ქუდის არშია ოფლმა დაულტო, სახე უხურდა... მერე, როცა სასტუმროში მიბრუნდა, ძალზედ ეამა დიდ, ცარიელ და გრილ სასადილოში შესვლა, ნეტარებით მოიხადა ქუდი, ღია ფანჯარასთან მაგიდას მიუჯდა, საიდანაც დასიცხული სიო უბერავდა და ჩაცვიებული არაყი მოითხოვა. ირგვლივ სიკეთე სუფევდა, უსაზღვრო ბედნიერება დავანებულებოდა, უსაზღვრო სიხარული. ამ ხვატში, ბაზრის სუნში, მთელ ამ უცხო ქალაქსა და თვით ძველ, დაფახფახებულ სასტუმროშიც სიხარული სულდგმულედა, მას კი ნაწილ-ნაწილ ეფლითებოდა გული. პორუჩიკმა არაყი გადაკრა, კიტრის მწნილი მიატანა და ცხადლივ შეიგონო, რომ დაუფიქრელად გაიღებდა სიცოცხლეს, ოღონდ ერთი დღით, თუნდ ერთი დღით მობრუნებულებოდა ქალი, ოღონდ დღევანდელი დღეც მასთან ერთად გაეტარებინა, რათა ეთქვა, როგორმე დაერწმუნებინა, დაეჯერებინა,

რაოდენი ტანჯვითა და აღფრთოვანებით უყვარდა... ან დარწმუნება და დამტკიცება რად სჭირდებოდა? ვერ მიხვდა. მაგრამ ახლა ეს სიცოცხლეზე უცილობელი ეჩვენა.

— ნერვები აღარ მივარგა! — ჩაილაპარაკა და მეხუთე ჭიქა არაყი დაისხა.

მერე ბოთლი გასწია, შავი ყავა მოითხოვა, გააბოლა და მწარედ დაფიქრდა: რაღა ელონა, რით დაელნია თავი ამ მეყვსეული, ღვთით მოვლენილი სიყვარულისგან? თუმცა თავის დაღწევა — ამასაც ცხადლივ გრძნობდა — უკვე შეუძლებელი იყო. სწრაფად წამოდგა, ქუდი და ხელჯოხი აიღო, იკითხა, ფოსტა სად არისო და იქით გაეჩქარა, უკვე იცოდა, რასაც მისწერდა: „დღეიდან ჩემი სიცოცხლე სამუდამოდ, კუბოს ფიცრამდე თქვენ გეკუთვნით, თქვენი მონა ვარ“, მაგრამ ძველ, სქელკედლებიან სახლს რომ მიუახლოვდა, სადაც ფოსტა და ტელეგრაფი იყო მოთავსებული, თავზარდაცემული შედგა: პორუჩუკმა იცოდა რომელ ქალაქში ცხოვრობდა ქალი, იცოდა ქმარი და სამი წლის გოგონა რომ ჰყავდა, მაგრამ არც გვარი იცოდა მისი და არც სახელი! გუშინ სადილის ჟამს და სასტუმროშიც არაერთხელ ჰკითხა, პატარა ქალი კი სიცილით პასუხობდა:

— ჩემი სახელი და ვინაობა რაში გჭირდებათ?

კუთხეში, ფოსტასთან ფოტოსურათები გამოეფინათ. იგი დიდხანს უცქერდა ეპოლეტიებიანი, თვალეგადმოკარკლული და დაბალშუბლიანი სამხედროს დიდ პორტრეტს, გასაოცრად ფუმფულა ბაკენბარდები და ორდენებით დამშვენებული ფართო მკერდი რომ ჰქონდა... რა საშინელი, ამაზრზენი ჩანს ყოველივე ჩვეულებრივი, ოდეს ამ საოცარი „მზის დაკვრით“, დიდი სიყვარულით, საზარლად დიდი ბედნიერებით არის გული შეძრული. ჰო, შეძრული. მან ახლადჯვარდანიერითა წყვილს შეხედა, ყმანვილს გრძელი სერთუკი ეცვა, თეთრი ჰალსტუხი ეკეთა და გაჭიმული იდგა დედოფლის გვერდით, შემდეგ ვიღაც პირმშენიერი, ანცი ქალიშვილის სურათს დააკვირდა... და ამ მისთვის უცნობი, უტანჯველი ხალხისადმი შურით აღვსილმა დაჟინებით გახედა ქუჩას.

— სად წავიდე? რა ვქნა?

ქუჩა უკაცური იყო. სახლები ერთმანეთს ჰგავდა, თეთრი, ორსართულიანი, ვაჭრული, მწვანეში ჩაფლული, და გეგონებდა, შიგ ყოველი სულიერი ჩამკვდარაო, თეთრი, მკვრივი მტვერი იდო ფილაქანზე. ეს ყველაფერი თვალს ჭრიდა; ყველაფერს ხვატი დაპატრონებოდა, აღმურიანი, ნეტარი, მხიარული, მაგრამ ამჟამად სრულიად გამოუსადეგარი ხვატი. შორს ქუჩა მალლა მიიწვედა, იკლანკებოდა და ურღუბლო, მონაცრისფრო, ლიცლიცა ცას ებჯინებოდა. თვალსანიერი რალაციით აღმოსავლურს წააგავდა, სევასტოპოლს თუ ქერჩს... ანაპას. სწორედ ეს იყო აუტანელი. პორუჩუკმა მზეს მოუჭყტა თვალი, თავი დახარა, საკუთარ ფეხქვეშ მინას დააჩერდა და ბარბაცით, ბორძიკით, ტორტმანით გამობრუნდა უკან.

სასტუმროს რომ მიუახლოვდა, ისე იყო ქანცგალეული, თითქოს თურქმენეთის ან საჰარის უდაბნოში ევლო. უკანასკნელი ძალისხმევით შევიდა უზარმაზარ, ცარიელ ნომერში, ოთახი დაელაგებინათ, სამუდამოდ გაექროთ ქალის კვალი — ერთადერთი სარჭილა დარჩენილიყო საპირფარეშოს მაგიდაზე! მან კიტელი გაიხადა და საკუთარ თავს შეხედა სარკეში: არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი ოფიცრის მზეზე გარუჯულ, უღვაშებ-გამოხუნებულ სახეზე აღგზნებული, შემლილი გამომეტყველება აღბეჭვდოდა, თეთრი, სიფრიფანა პერანგი და გახამებული საყელო კი რალაც ახალგაზრდულ და უსაზღვროდ უბედურ იერს მატებდა.

პირალმა დაწვა ლოგინზე, დამტვერილი ჩექმები სანოლის ზურგზე დააწყო, ფანჯრები ღია იყო, ფარდები ჩამოშვებული, სიო დროდადრო ბერავდა ფარდებს და ოთახში გავარვარებული სახურავების, შუქით აღვსილი და ან სამარადჟამოდ დაცლილი, უტყვი ვოლგური სამყაროს პაპანება შემოჰქონდა. ის იწვა, თავქვემ ხელები ამოეწყო და დაჟინებით უცქერდა კედელს. შემდეგ კბილი კბილს დააჭირა, თვალი დახუჭა, იგრძნო, ქუთუთოებს შორის როგორ გამოჟონა ცრემლმა — და ჩაეძინა, ხოლო როცა ისევ გაახილა თვალი, ფარდების მიღმა მზის ციალილა ყვითლობდა. ქარი ჩამდგარიყო, ოთახი საჰაერო ღუმელივით გამომშრალიყო... ათი წლის წინ გარდასულივით გაახსენდა მიმქრალი დღე და დღევანდელი დილაც.

აუჩქარებლად ადგა, აუჩქარებლადვე დაიბანა ხელ-პირი, ფარდები ასწია, დარეკა და

ჩაი და ანგარიშის გასწორება მოითხოვა, მერე დიდხანს, გულდინჯად მიირთმევდა ლიმონიან ჩაის, შემდეგ ფაეტონის მოყვანა და ბარგის წაღება ბრძანა, ფაეტონის გამოსხუნებულ, მწითურ სკამზე მოკალათდა და ლაქიას ხუთი მანეთი გაუნოდა.

— წუხელაც მგონი მე მოგიყვანეთ, თქვენო კეთილშობილებავ, — მხიარულად შესცინა მეფაეტონემ და შოლტი აიქნია.

ნავსადგურისკენ თავქვე რომ ეშვებოდნენ, ვოლგაზე უკვე ზაფხულის ლურჯი ღამე იწვა. უკვე ნაირფერი ალი ციმციმებდა წყლის ზედაპირზე, მოახლოებული გემის ანძაზეც ნათურები ეკიდა.

— დროზე მოვედით! — ლაქუცით გაუღიმა მეფაეტონემ.

პორუჩიკმა მასაც ხუთი მანეთი აჩუქა, ბილეთი იყიდა და ბოგირთან მივიდა... გუშინდელივით რბილად მიეხალა გემი მისადგომს, ბაგირმა გაიშხუილა, უკან მიმწყდარი გემის ბორბლებქვეშ წყალი ადგაფუნდა... და საოცრად მშობლიური, მიმზიდველი ერგენა ხალხით გაჭედილი, განათებული, სამზარეულოს სუნით გაჟღენთილი გემი.

ნუთის შემდეგ გზა განაგრძეს, იქით აიღეს გეზი, საითაც დღეს დილას გაემგზავრა პატარა ქალბატონი.

წინ, შორეთში ზაფხულისეული, ლუსკუმი რიჟრაჟი ქრებოდა, რულმორეული, მოქუფრული ანარეკლი ბუნდად იკვეთებოდა წყლის ზედაპირზე, უფრო იქით, რიჟრაჟის ქვეშ კი ჯერ ისევ მთრთოლავ ჭავლებად ლიცლიცებდა მდინარეზე და უკან მიცურავდნენ, მიცურავდნენ ირგვლივ, სიბნელეში გაბნეული სინათლეები.

პორუჩიკი გემბანზე იჯდა, სახურავქვეშ და ათი წლის სიმძიმე დასწოლოდა მხრებზე.

გიორგი ბუნდოვანი

რღვევიდან რღვევამდე!

ჩვენ მივდიოდით ხალხისგან სავსე-დაცარიელებულ ქუჩაზე.

იგრძნობოდა დენტის და შიშის სუნი...

უცნაური და უცხოა შიშის სუნი, როდესაც გაურბიხარ მასზე ფიქრს,

აივნებიდან დროშები ფრიალებდნენ, გარეცხილი და მიტოვებული ნიფხვებივით.

ჩვენს უკან იდგა სახლების ჯარი, ქვის ლეგიონები შემოგვცქეროდნენ ზურგში.

ისევ შეუჩერებლად მივიწვევით წინ, თითქოს ადგილზე ვიდექით და ქუჩა კი

მოძრაობდა უკან.

მე და შენ გვახსოვდა ჩვენი ქვეყნის წარსული, თავისი პროლეტარი და ავანტიურსტი გამირებით, თავისი შავი თუ ნითელი ბელადებით...

კვამლში გახვეული პროსპექტების აქორჩილი თვითმყოფადობა და გარდასული პენი; ინდუსტრიული კანონზომიერება სინანულისა და დავინყების ბალებში შემოღწეული, ფეხქვეშ გვედებოდა ალისფერი ბალახი, ხავსი სრულყოფილების,

როგორც ხსოვნის ნაშთი;

განწირულ ხმებში ირეოდა ჩვენი ცხელი და მძიმე სუნთქვა;

გარეუბნების ნაგვიანი ჟრიამული, მიჩუმებულ სადარბაზოთა თვალდათხრილი უპეებიდან — საკანალიზაციო ჭების გავლით, ჰაეროვანი დამქანცველობისაკენ...

ჩვენ მივიწვევით ნათელი და მართალი მომავლისაკენ, თაობების ნახტომით აღზევებულნი — უთავბოლო სერენადებით მთვრალნი, აჭედელი კარიბჭეების რღვევით.

სახეებზე, მე და შენ, გვეწერა ჩვენი ქვეყნის ტკივილი, ჩვენი ბავშვობის არშემდგარი ქრონოლოგია და მყოობადის დაუნერელი უვერტიურა!

ხმლების, დანების, ყუმბარების და რევოლვერების წვიმა ჩეჩქავდა მშობლიურ მიწას, უჩვეულო მოზრდილი სეტყვის მსგავსად, რომელიც ჩვენ გვერდს გვაქცევდა...

ჩვენ მივიზღაზნებოდით, ზოგჯერ გავრბოდით, ზოგჯერ კუს ნაბიჯებით მივაპობდით ფარად ქცეულ, ჯავშნის მკვრივ საჭაერო ზღუდეებს, მაგრამ მაინც წინსვლა იყო

ერთადერთი იმედი და მიზანი.

ჩვენ არ ვჩერდებოდით! გვცემდნენ, გვაფურთხებდნენ, გვლანძღავდნენ, გვწამლავდნენ, გვკუნავდნენ, მაგრამ ვერასოდეს გვიყენებდნენ, რადგანაც ჩვენ ვიყავით ამბოხისა და ბუნტის შვილობილები.

გადიოდა ისტორია, როგორც ეპიზოდი; შემოდოდა ახალი უფრო გრძელი ეპიზოდი ისტორიისა და მას მოჰყვებოდა შემდეგიც...

ფეხები გვეფლობოდა ტალახში, ზოგჯერ ვიბანდით ოფლით, გაცვეთილ ფეხსაცმელებს და ჩვენი შემტევი ნირი აცოფებდა თანადროულებს!

ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი, გვიყვარდა თავისუფლების ფენომენი, როგორც ლამის რეალობადქცეული ილუზიის ნარჩენი და გვიყვარდა სიკვდილი, ისევე როგორც ცხოვრება.

ჩვენ არ გვეშინოდა შინაარსიანი დალუპვის და ლაჩრულად გავურბოდით მარიონეტულ არსებობას! რღვევიდან-რღვევამდე ვფხიზლობდით და ქუთუთოებს ვიკერებდით ლოყებზე, რომ არ ჩაგვძინებოდა.

რკინის მღვიმეებში და ცეცხლოვან სტალაქტიტებში გამონრთობილებს, გვაოცებდა მხოლოდ ერთი, ის, რასაც სიმშვიდე ერქვა, რომელსაც არასოდეს ვიცნობდით ახლოს!

ინტეგრაციისა და გენერაციის მსხვერპლნი ვხდებოდით არაერთხელ...

სიმულაციის დაუძინებელი მტრის იმიჯით ვიკავებდით ისედაც დაკავებულ პოზიციებს, ხელმეორედ, მეათედ, მეასედ, შუბლებით ვასკდებოდით ყველა უსამართლობას!

ჩვენ ვიყავით ნორჩი ლენინელები, ოქტომბრელები, პიონერები, კომკავშირელები და

პარტიულები, და შემდეგ ამას სამარცხვინო წარსულად ვთვლიდით.

ნამუსახდელი დღევანდულობის ანაქრონიზმში ვზედით სინმინდებს, რომლებიც ოდნავ კიდევ შემოგვრჩა ჩვენს კასტრირებულ სულებში, მაგრამ მფეთქავ და მდულარე გულებში, ამავე დროს!

ჩვენ მივტიროდით გარდაცვლილ მეგობრებს, ვუსმობდით გარდახვენილ ახლობლებს და ჩვენს შვილებს ჰარდ-როკის და საბჭოური ჰიმნების ალილუიათი ვაძინებდით!

დგებოდა მემილიარდე დილა, მეტრილიარდე ღამე...

ჩვენ კვლავ ერთად ვიდექით ყველა პოზიციებზე, ბარიკადებზე, ხარაჩოებზე, ჩვენ, მე და შენ, შენ და ისევ მე, ხელიხელჩაკიდებულები, ვაცხადებდით ყოველთვის და ყველგან ჩვენს ნებას, როგორც სარწმუნოებას და საღვთო განაჩენს!

ფოლადის ჩექმებით, ნიჩბებით, ტექნიკით და საიდუმლო სამსახურებით გვებრძოდნენ, ჩვენ, მე და შენ და ჩვენ მაინც ყოველთვის გამარჯვებულნი ამოვდიოდით, გამარჯვებულნი და სუფთანი ამ მყრალი წუმპიდან, რასაც დაკარგული „სამშობლოს ხიზლი“ ჰქვია.

ჩვენ ამ „ხიზლს“ დღითიდღე თავიდან ვეცნობოდით, მოხუცთა დარიგებებიდან, სკოლის მერხებიდან და ნაცადი ინსტიტუტებიდან და ეს თავს მოხვეული ჰეგემონიის მთავარ აზრად გვესახებოდა!

ჩვენ ყველაფერში გამოვლილები და ყველაფრის გამძლენი, სხეულდასერილები, მაგრამ გონებანათელნი დღეს, ისევ ერთად ვდგავართ ამოცანის წინაშე, ჩვენ, მე და შენ, ჩემო სისხლში მონათლულო სინდისო, ჩემო შავ-წითელა ბელადო და უდრტვინველო ისტორიავ; ვიაროთ წინ და ავკაფოთ ხნული, როგორც მარადისი დინამიკის სანინდარი!..

ბახმობა ხეთა

დააგეთ მზერა, აპნიეთ შფოთი,
გზებზე დაღვრილა სიშიშვლე ხეთა...
გარდუვალა ცვლილება კოდის,
უსათუოა გახმობა ხეთა.

მინები ორთქლში ირეკლავს თვალებს,
წელავს საათი სირუხეს დღეთა...
ვისტუმრებთ ერთად კარმიულ ვალებს,
სამკალს მოვიმკით, ასევე, ერთად!

აბაზანაში სისხლიან შხეფებს,
სახეზე ივლებს მაშვრალი სევდა...
— დიზინქექცია — ბალებს და მერხებს!
პირბადით დაძრწის — კლასებში მედდა.

ფრინველთა გვამებს — ცეცხლი და ნავთი!
კაცთა ნარჩენებს — ხრეში და მიწა!
სასაფლაოებს არ შერჩათ ფართი,
გამჩენი პირმშოს ნიადაგ კიცხავს!

შეაკვდით მკერდით პირტიტველ მავრებს.
ეს რისხვა სხვაა – განგაშის მრეკი...
შუბლით მიასკდით მაგიურ კარებს,
რიგში გადათვლით — ენკი და ბენკი...

მათრახით აპობს მედროვე სივრცეს,
მედროვე ენით მტვერს აცლის მეფეს...
ვილაცა ახდენს ეშმაკურ სინთეზს,
ვილაცა უცდის, ღრეობას, შემდეგს...

ურცხვი ტონია, საგზალი მათი
და სიასმაგით ნიღბების შეცვლა...
ახდა არ უნდათ უმძიმეს ფარდის,
უსინდისობის თვალეში შეხლა!

გრაფულ სიმხნევით მივარღვევ ცუნამს,
გრაფულ სიდიდით მოველი სასრულს;
ლექების ზღვაში ადეპტურ ცურვას
— შევხვდები როგორც ოცნებას — მაცდურს!

ივარაუდე!

ივარაუდე, რომ დაიბადე ქრისტეს მაგივრად,
ივარაუდე, რომ ბავშვობაში კრიშნას ნაცვლად ივარავდი კარაქს,
ივარაუდე, რომ ბოდჰის ხის ქვეშ იგერიებდი მარას ლეგიონს,
ივარაუდე, რომ შარავანდედი გადგას საოცარი!..

— ივარაუდე!

ივარაუდე, რომ ოცდაცამეტის ხდები ნამდვილად,
ოთხმოცდაოთხს რომ მიაღწევ, ბუდასავით, ივარაუდე...

ივარაუდე, რომ შეთხზავენ შენზე არაკებს,
ივარაუდე, რომ მრავალი სიცოცხლის, გავხარ ემბრიონს,
ივარაუდე, რომ აღარ დაგრჩა ვინმესთან საომარი.

— ივარაუდე!

ივარაუდე, რომ ეპოქებს დაუსვამ ნერტილს,
ივარაუდე, რომ სამყაროს თავიდან შეთხზავ!..
ივარაუდე, რომ წარსულს, შენ, ტომებად კინძავ,
ივარაუდე, რომ მომავალს დოგმებად აქცევ.

— ივარაუდე!..

ივარაუდე, რომ მასწავლებელს ემსგავსე, კეთილს.
ივარაუდე, რომ პასექს გასტეხ და ღვინოს შესვამ...
ივარაუდე, რომ სხვის ცოდვებს იწოვ და იკრავ,
ივარაუდე, რომ ცის კიდეს თაღებად ასწევ!

— ივარაუდე...

წარმოიდგინე და იქცევა ეს ქვეები — ოქროდ,
წარმოსახვაში ეამბორე ფეხებზე უფალს...
ვიშნუს თუ შივას — ყველას უყვარს ეგ სამწყსო — შენი,
ბუდას თუ ქრისტეს, რომ უყვარხარ!..

— ივარაუდე!

— ივარაუდე, რომ შენ გჯერა ყველაფერ ამის,
მეორედ მოსვლისაც რომ გჯერა —

— ივარაუდე!..

რეზინის სიყვარული

რამდენად უსაფრთხოა რეზინის სიყვარული?
 ის არის წელვადი, დრეკადი და კონფორმისტული...
 რეზინივით მოხელთებადი გრძნობები,
 მანიპულირებადნი ჩემგან.
 მიზერული ტრამვების ფასად... ნახეთქები გულის ფსკერზე, მიკრო-ინფარქტი;
 რამდენად ვნებიანია რეზინის კოცნა?
 ის არის ბუტაფორია ანდა რეალობა, კეკლუცი...
 მზარდი განზომილების მატარებელი ნეირონები.
 ტევადია და უძირო, გუბურაში არეკლილი ნახევარმთვარესავით...
 რეზინის საყდარი, ჰო, ერთხელ მინახავს სადღაც...
 რეზინის თუ პოლიმერის მოძღვარი გვწერდა ჯვარს!
 რეგულარული შეერთებების შემდგომ — შენთან...
 შენგან გადმოღვრილი, ჩემში, ელექტრო-იმპულსური
 ორგანიზმის რხევები!..
 რეზინის რევემატიზმი და რეზისტენტულობა;
 მე ამ კანს, რომელშიც ვცხოვრობ, გავწელავ შენამდე...
 — სადაც არ უნდა მეგულეობდე!..
 — სადაც არ უნდა იხატებოდე ტოტალურ სიზმრად, ძვირფასო!
 მაცალე მოგირგო რეზინის სამყაროსავით, ჩაგიტიო...
 რამდენად უხარვეზოა დნობადი სილიკონის ფაქტორი, შენს უზომო მკერდში?
 გამაგონე მდულარე სუნთქვის პერიმეტრული ჟღერა,
 დამანახე სუსხი გუგების, გუნდების წყლად ქცევა-უკუქცევადი...
 მუდმივად განვაახლებ ღვთიურ რეესტრში შენი ნებოვანი სხეულის
 პრივატიზაციას! — დამერწმუნე...
 და დგება დრო, როდესაც საშლელი რეზინით
 ავაცლი შენს ანარეკლს, იმ დესპოტ მთვარეს, დედას შენსას...
 მაჩუქე რეზინის კდემა და კაუჩუკის სათნოება, კვლავ მარად მორგებადი, ჩემთვის...
 მაჩუქე უთავბოლოდ მსრბოლი სიჩქარე,
 მოლეკულური ურთიერთშერწყმით რომ დასრულდება უთუოდ...
 მინილადე რეზინის სიყვარულის პრელუდია, როგორც სიზმარი,
 უფორმოვ, ჩემო...

ხელოვნური ხასიათი — წყალსაცავზე!

ეს თბილისის ზღვაა, ჭაობია ხორცის,
 ლემს იგრილებს — ჩონჩხთა დიდი ესკადრილია...
 ეს თბილისის ტბაა, დაბოლილი, ნორჩი,
 ტალღებივით სურნელი, ამორძალთა, გრილია!
 ეს მეთევზე წყალში აღევლინა ლოცვად,
 იქ ვიღაცის თავი, ვით ტივტივა — მოჩანს,
 მწვანე ხვლიკი ქვაზე დასიცხული ცოცავს,
 გოგო საცვალს იცვლის, ფაქიზად და მორცხვად!

გარუჯულა კაცი, ტრაურივით, შავად —
 მას შიშველი ქალის ტატუ-დამლად აზის...

ჰორიზონტის ჭრილში მგზნებარება ნავად —
 ალისფერი ლაქა, უღმობელი, ამ მზის!

ყველას უნდა მძორი დაასველოს, რადგან
 — ელემენტი ცეცხლის, უწყლოდაა სუსტი...
 ამ ნაპირზე უცდის, თითოეულ მათგანს:
 — ტანსაცმელი, ქოში და საათი ზუსტი!

დღეს თბილისი — მკვდარი ოცნებების პლაჟი,
 ამ მხურვალე სხივებს პასეანსზე ინვევს...
 მოზაიკა კენჭთა, პემზები და კაჟი,
 ნიჟარები ჭრელი, რომ მოქცევას იტევს.

მაზოლებთან ერთად, მზესუმზირას, სიმინდს...
 — დაატარებს ირგვლივ დედაბერი, კუზით,
 ჭუჭყთან ერთად, ვინმე მოირეცხავს სინდისს,
 ვინმეც, ბანქოს თამაშს დაასრულებს ტუზით!

ვერც კი აღვწერ, თუნდაც, ორიოდე წუთში —
 თუ რამდენი მძორი ჩაეშვება ზღვაში?..
 მენაყინე ბიჭი, პლომბირებით ყუთში
 ააგროვებს ხურდებს, ნაბიჯების თვლაში.

არ გადადის სიცხე, მაგნიტური ფარდა
 და რადიო მარცვლავს, ხრინნიანად, ჰანგებს...
 — ეს მოხუცი ბიძა, ღრმად მიცურავს, მარდად,
 კენტად მჯდომი ქალი მისცემია დარდებს...

ჟრიამულში ვარჩევ თოლიების სიცილს,
 რომ ცინიზმით ციდან დაგვკვივიან ასე —
 წელიწადში ერთხელ, მოსასვლელად ვიცლი,
 მომყავს ცოლი, ბავშვიც — სიხალისით სავსე!

სულაც არ ღირს კიდევ, გავაგრძელო წერა,
 იგივე დამშრალი სიუჟეტების სახვა...
 — თოლიებს ამარცხებს მონივნივე ძერა,
 თან მომბეზრდა ხალხთა სტომაქების ნახვა!

გუდა-ნაბადს ავკრეფ, უქეიფოდ, ზანტად,
 გამიხვრიტა სკალპი, მადულარა სხივმა —
 დავბრუნდები ისევ, გაისადაც, ალბათ,
 რომ სიღრმეში, შტორმით, გამაქანოს ტივმა!

ჰაერში მოთელვა

დავით ჩიხლაძეს

ჰაერში, რომელიც პლანეტას აკრავს
 დაფრინავს ჩვენი წერილები,

ელექტრონული ციფრების სახით,
 ან ატომების, მოლეკულების...
 ტალღების მსგავსი სიშლეგით.
 ჰაერში, რომელიც კოსმოსში არ არის,
 სადღაც, ოზონში გარინდებულა ჩვენი კონტაქტი...
 დრო მართლაც იწურება,
 ღვინოც იწურება, ცხოვრებაც და უსასრულობაც;
 — მე მახსენდება ბაბუაჩემის სიტყვები,
 ოჯახზე გადაყოლის თაობაზე და მენატრება
 მისი მელოტი თავი...
 ჰაერში, რომელიც საფლავეებში არ არის!
 იქ, მანდ, ახლა დღეა, ან დილა,
 აქ კი მე, ფეხებს ვიბან, მაზოლები მტანჯავს
 და მძიმედ ვემზადები დასაძინებლად...
 მარი, ნახევრად მძინარი, ოდრი ჰეპბერნს
 უყურებს ტელევიზორში, შავ-თეთრად,
 გვერდით ბავშვი თვლემს ანგელოსურად...
 კოლოები და პეპლები ეხვევიან ლამპას,
 თვითმკვლელობისათვის მზადყოფნით.
 მანდ, სადღაც, რა ხდება ამ წამში,
 მუშაობის, თუ დასვენების, თუ გაქცევის დროა?
 ანდა დაფიქრების, დაბრუნების...
 ჰაერში, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ,
 იქ, სადღაც, თავისი საკრალით, არსებობს
 — მარგოც..!
 მე, ძილის წინ ვიყურები მობილურ ჰაერში
 და ვეძებ შენს წერილს,
 ციფრულ კაკაფონიაში, ძილისპირულივით,
 რომელიც მამშვიდებს ასე.
 მარის უკვე სძინავს, ფილმიც თავდება და
 შემოდგომის მოლოდინი —
 — „ჰგავს, ისევ, სიზმარს..!“ —
 დღეს ქარიშხალმა შუშა ჩაგვიმსხვრია
 საძინებელში
 და მე მივხვდი: — აქ დარჩენა აღარ შეიძლება!
 — „...ცხოვრება ჰგავს სიზმარს!..“ — ო, ისევ.
 და ციდან, ყოველი თვითმფრინავის ხმაურისას,
 მე ზემოთ ვიცქირები
 და ყოველ მათგანში, ვცდილობ დაგინახო...

ბრძნობათა აჯახსანდალი

დანაყრდი
 გაძეხი
 გათავდი
 აღდექი

შერდღი
გარდღი
კერკეტი
გაფუჭდი

აგევსო
სტომაქი
დათესე
ორმაგი

გალანძღე
დაკბინე
გათათხე
გაყინე

იყურე
ითმინე
იურჩე
ისმინე

განენე
გათელე
აკუნე
ამრთელე

იხეთე
ითრიე
ალმერთე
იკვლიე

ეფეთე
ეტაკე
ეკვეთე
ეშმაკებს

ამასხრე
დასცინე
ანაყრე
ათმინე

მიაგე
მიუზღე
აძაგე
იუნყე

აფრინე
ნავარდით
განფინე
ჰავერდით

აცოფე

აშლეგე
ამყოფე
ჩახერგე

აცოცხლე
ამკვდარე
ამოკლე
ამწარე

ასუნთქე
დაარჩე
დათუთქე
დაქარე

იქექე
იფეთქე
ინათე
სხივადვე!..

შიდა-ხსნა

წამიდან-წამზე, ტერფების მსხვრევით
ვაბიჯებ მიზანს, გახედნილს ჩემგან...
ჩვილების ქვითინს, ნოვით და რწევით,
მიცემულ სიტყვას, გატეხილს ერთგან.

წუთიდან-წუთზე, ქოშინით, მკერდით
მივარღვევ, შტორმში, წამომდგარ ღობეს...
გაგერთხმეს ყველა ყვავილი ფერხთით,
ყველა ამბორი ბაგიდან მოგწყდეს!

საათით-საათს ვაბრუნებ უკან,
კვირებს, თვეებს გავწვანავ ქარში...
ავაწყობ რითმად, ამ აზრებს — უღრანს,
იმედთა წარღვნა გაციებს ტანში!

გავწირავ მრავლად — იუგებს, კალბებს,
ეონებს ცეცხლში შევუნთებ შეშად...
მსურს შენი ვნების უბინო ატმებს —
შევაკვდე ისევ, უსუსტეს ლეშად!

წლებიდან-წლებში ვანაცვლებ ეგოს,
საუკუნეებს — მხედრული მარშით...
რომ ჩემი სიტყვა, ქვეყანას ეყოს,
რომ ჩემი სტროფი დამკვიდრდეს ტაშით!

ირაკლი კაკაბაძე

ბაგის ქაჯი

გიორგი ნადირაძეს

სატკივარი გავრცობისა და ყოვლისმომცველობის ოკეანეში ჩადგა —

ისევ დავსივდი,
 წვიმებისაგან ვერ გაშრა მინა,
 სიგიჟის ზღვარზე ვარ —
 ვიღებ გულს ტირილით, ვაებით
 და მაინც მთელი ღამეები არ მეძინება,
 საავადმყოფოებსაც ესიზმრებათ აუტანელი სიმშრალე ხველების.
 თითქოს ჰაერიც პროზით გაიჟღინთა,
 საგაზეთო, მყვირალა პროზით.
 ძალა არ მყოფნის შევისუნთქო, რაც დარჩა სუფთა —
 ლიტერატურული სახინკლებით სავსე ქალაქში,
 რომელიც მეგობრებისაგან დაიცალა
 და ახლა ფანჯრის მინაზე მხოლოდ აღელვებული იანვრის ქარი თუ დაგიკაკუნებს.
 სივრცეებისა და დროის უკუნიდან
 ვილაც აფორიაქებული კითხულობს:
 „სად არის ძვირფასი მეგობრის სახლი?“
 — მეგობარმა ამერიკა აღმოაჩინა!
 და მიდის ასე,
 გზას მისას დავარქვი გაქცევა,
 და მიზანს არდაბრუნება.
 მე კი ოცდაორი წელია უკვე და
 საკუთარი თავიც ვერ მიპოვნია.
 იმ დღეს ვიჯექი,
 გავცქეროდი სკოლის ფანჯრიდან სველ სახურავებს
 და ერთადერთი სურვილი ტივტივებდა
 გონებისა და გულის სიღრმეებში,
 სურვილი მარად კათაკმეველობის —
 ბავშვობაში კი მღვდლობაზე ვფიქრობდი
 და რა ვიცოდი, რომ ეს თურმე ყაჩაღობასაც გულისხმობდა. . .
 ვინ დაბრუნდა,
 და ვინ დაბრუნდება სამშობლოში
 ზედმეტი ტვირთის გარეშე?
 ადამიანები ქრებიან ისე, რომ ვერც იმახსოვრებ
 და ვერც შეიცნობ,
 ქრებიან, როგორც ვარსკვლავები დილის ხაფანგში,
 სწორედ, ურეალიზაციო სიკეთე მოინელებს ამ ჩვენს პლანეტას.
 ამ ჯოჯოხეთშიც შეიძლება შეხვდე ადამიანს,
 რომელიც მოსიარულე ედემი იქნება
 და როგორც შენაკადი ჭაობში, ისე შემოიჭრება,
 გაჭრის ჩაფიქრების მინდორს მისი ფეხის ხმა.
 მერე თუ გინდა დაირქვი ერეკლე,

ან ზაზა —

საკუთარ თავს მაინც ვერ გაექცევი,
 ვერ გაექცევი, რომ აქ მიწა უნდა თხარო
 და, ცქერას ცას თუ დაუნყებ, გადაგთელავენ,
 ცოდვის პარტიას შეასრულებენ გზებზე,
 რომელიც გათელა მტვერმა
 და რომელმაც მეგობარი დაგიფრთხო.
 ან დადგები ქუჩაში
 და იმითაც იქნები ბედნიერი, რომ შეგიძლია წახვიდე სახლში,
 სადაც არავინ არ გელოდება.
 ხოლო ყვითელი ავტობუსების ქალაქს
 აღარაფერი შეაშფოთებს,
 მის მგრძნობელობაზე ველარაფერი იმოქმედებს,
 მას მხოლოდ მშვიდი ადამიანები უყვარს
 და სიყვარულიც ხომ პირობითობით არის მოსილი.
 მე კი წერილების მაგივრად რატომღაც ყოველთვის ვიღებ დეპეშებს
 და რისი შიშიც გავიშინაურე,
 ის დამელოდა ყველა ქუჩის კუთხეში,
 ესე იგი ცხოვრების დინების ყველა მოსახვევში —
 და რალა დამრჩენია, ბამბის ძაფზე, ჩირივით უნდა ავაცვა ყველა მოგონება
 და ჩამოვიკიდო ყელზე, ან ოთახის უბნელეს, მივარდნილ კუთხეში,
 იქ, სადაც არასოდეს მივუჩენდი ბინას ძვირფას მეგობარს.

უძილო ღამეთა სიზმრები

ლახვრით დავდევიდით

სიფრიფანა, უთეთრეს ღრუბლებს,
 საუკუნეთა წინ გაურკვეველი ფერის
 სისხლისაგან რომ დაიცალნენ.

ვუკოცნეთ ხელები ფერწასულ თუთის ხეთ,
 ნუხილს ვამბობდით შეცდომებისთვის,
 რომელთაგან თავი ვერ დავიხსენით.

უკანასკნელი სინანული გავანდეთ იარაღს,
 ან ბანრის ყულფს,
 ან სანამლავს.

ჩავნექით უკვე —

ჩვენ საწოლი მოგვიხდა მიწის,
 მიწა რომ იძვრის, ეს ჩვენ ვსუნთქავთ ჩვენი ფილტვებით,
 რომლებიც სიცოცხლეშივე დავიხეთქეთ მოთქმით და გოდებით. . .

ეს ჩვენ ვსუნთქავთ ჩვენი მკვდარი, ვინრო ფილტვებით.

ეს ჩვენ ვმღერით უძილო ღამეთა წიაღში,
 ჯოჯოხეთივით ჩამაფიქრებელ და მწველ სიმღერას,
 რომელიც სავსეა სევდით – დაკარგულ სიყვარულზე.

არაყვავებულ ბრონეულებზე.

არწაკითხულ წერილებზე.

ართქმულ ლექსზე.

არგამხელილ გრძნობაზე.

ღალატის სახეში გაწილ სილაზე.

მოტეხილ ფრთებზე.
 გატეხილ სიტყვაზე.
 ქალწულთა ნელსურნელებასა და
 სინაზის ღიმილზე.
 ნვიმის დარდიან მონოლოგზე.
 თოვლში გაშლილ ქოლგებზე.
 მთაში გავარდნილ ექოზე.
 შადრევანთა სიმღერებზე.
 ქარიან ქალაქებზე.
 დაკარგულ მეგობარზე და
 დაკარგულ სამშობლოზე.
 ტკივილის განცდაზე.
 შიმშილის სიმძაფრეზე.
 ნატვრის ხის სიმძიმეზე.
 ამაო ლოცვებზე.
 ამაო ფიქრსა და გარჯაზე.
 არგაზრდილ ბავშვზე,
 მის უძირო თვალებზე.
 არგამომცხვარ ობლის კვერზე.
 დედის ჩანვეთებულ ცრემლზე.
 ჭაღარა თმის ფილოსოფიაზე.
 მოხუცთა ნაოჭების დამწერლობაზე.
 გამონვდილ ხელებზე.
 ასაკის დარდსა და სიბრძნეზე.
 ბედისწერის სიმკაცრეზე.
 წამლის სიმწარეზე.
 მოულოდნელ ჭირზე.
 გაუპატიურებულის კვნესაზე.
 დილეგის სინესტესა და ნკვარამზე.
 დენტის მძაფრ სუნზე.
 უფსკრულთა ძახილზე.
 მიცვალებულთა დუმილზე.
 ნიღბების თეატრზე.
 სახელის გატეხვაზე.
 ცრუ დაპირებებზე.
 დაკარგულ სიმშვიდეზე.
 სიჩუმის გაბზარვაზე.
 ჭორის სისაძაგლეზე.
 ყრუ მუსიკოსებზე.
 მარტოობის სიოსა და
 ყოფის დაუდევრობაზე.
 დროის სისასტიკეზე.
 გზების უსასრულობაზე და
 სიმღერა, რომელიც სავსეა სევდით – ადამიანთა ცხოვრებაზე,
 რომელმაც მოგვარგო საწოლი მიწის,
 საჩივრები გვანერინა პოეტებს,
 რომლებსაც მინაშიც ვმღერით,
 დახეთქილი, ვინრო ფილტვებით –
 ეს ჩვენ ვმღერით უძილო ღამის წიაღში,
 უძილო ღამეთა სიზმრებს,
 როდესაც ჯართისკაცებმა მოიპარეს ყველა ბიუსტი . . .

ნარილი იღას

განვლო ზაფხულმა შენთვის სიკეთით?
 შემოდგომის ლოცვებით,
 სიოთა ჩურჩულით,
 ქარების სიშორით. . .
 განვლო ზაფხულმა უსიკვდილოდ?
 ერთი ყლუპი მუსიკა მწყურვალისთვის,
 ერთი ლუკმა პოეზია მშვიერისთვის. . .
 რა დაგიტოვა ზაფხულმა ხსოვნისთვის?
 ამწვანებული განცდით,
 სურვილების ცვალებადობით,
 მრავალძარღვების დუმილით. . .

ვინც ლამაზები დარჩით,
 ვისაც სულიც დაგრჩათ და ადამიანური ხასიათიც,
 ხელის სიმხურვალეც,
 მუხლების სისუსტეც,
 ტკივილის კოცნის სიტკბო ვინც იცით.
 ვინც ანაბეჭდებს ტოვებთ სხვის ფანჯრებზე —
 იცოდეთ, ცოტათი სევდიანი არ ყოფილა ეს ზაფხული,
 რომელმაც ყველაფერი წაიღო, გაუსაძლის აგვისტოში,
 გამძარცვა და დამიტოვა მხოლოდ დარდი და განცდა;
 სოფლის შარაგზაზე ეკალი რომ შეგერჭობა, ბავშვს და ფეხშიშველს;
 უფრო სული რომ წამოგტკივდება, ვიდრე სხეული;
 შეშფოთებული რომ დგახარ კედელთან;
 წინასწარ რომ ჭვრეტდა იორდანე მის მომავალს,
 ვინც იგი შეიმოსა და მაინც რომ მოედინებოდა! . .
 ყველაზე დიდი პროფესორი შაშვია მხოლოდ —
 რასაც კი გალობს, ბოლომდე სჯერა,
 მე კი წვიმიან ქუჩაში ავეყუდე მთვრალი ხესავით
 და რაღაცას ვმღერი,
 შეყვარებული სახლები კი ბაასობდნენ მანძილის უსამართლობაზე
 და ნისლიან პრაღაზე,
 სადაც, ალბათ, ახლა თენდება და
 ნისლის მანტია აცვიათ სახლებს, შენობებს,
 ხიდებს და ტაძრებს.

ცოტათი სევდიანი არ ყოფილა ეს ზაფხული,
 რომელმაც ყველაფერი წაიღო,
 გამძარცვა,
 გაუსაძლის აგვისტოში. . .

კალიაზი და მოციქულაზი

ნეტავ, სად არის მოუსვლელის გზა ან ბილიკი,
 სად ჩამოკიდეს უმკაცრესი, უტყვი გრიგალით

იმ სოფლის კარი, საიდანაც არ ისმის ხმაი.
ჩამავალი მზის ჟანგიანი ცა
შარაგზის მოციქულებს საკუთარ მისიაზე დააფიქრებს
და ეს ცა —
სკლეროზის ელემენტებით დაჭორფლილი
მხოლოდ შეცდომებს დაგვიმახსოვრებს.
გახსოვთ, კალიები რომ შემოესივნენ ქალაქს
ხასხასა სიმწვანით?
მერე, როცა უსამშობლობისას
ექვების თოვამ გამთომა
და ყველასაგან გამანაპირა,
ისე მომენატრა ის მწვანე სიმწვანე
და ისე მომწყურდა,
რომ სიზმარშიც ჩამყვა და ამეკვიატა.
ჩაფიქრებული მოციქულები კი
საკუთარი თავისაგან იკურნებიან
და თავდაჯერებით სნეულდებიან.

2004 წელი

ირაკლის

ხვალ შაბათია,
ლოცვა უდგათ მხცოვან რაბინებს,
რად ხარ დუმილში?..

ფოთოლცვენის თვე ნავიდა,
ახლა ზამთარი შეგმოსავს დარდის ქურქით,
ფიქრის მანტიით,
მერე ჩაგწვავს, მერე ჩაგფერფლავს
და პაპიროსის ამონასუნთქი განიტოტება დილის ნისლივით.
ვინ ნაიმძღვარებს წუთისოფელში პროლოგად,
სათამაშო ცხენის უაზრო ტიტინს...
ან როგორ მოახერხეს ყველა წყენის და ყველა ბოღმის ამოხველება?
აღარ იქარგება უპანაშიდები,
ახლა მანქანების აყვავების საუკუნეა.
პოეტის საწოლში კი ბაობაბები ამოვიდნენ
და ჯვრებად ითლებიან,
ხოლო ჩვენი ბავშვობის ხეთაგან კუბოებს თლიან
და რელსებს შორის გადებულ ლიანდაგების მორებს.
ნათესავები საუბრობენ, რომ უცნაურობებით სავსე კაცი ხარ,
არადა დაღონებული ხარ, დაბრუნებული და
დარდისაგან სამუდამოდ განუკურნელი
ბავშვობის ხსოვნის გადამხმარი საძოვრებიდან.
თანაც დღეს ყველას თვალწინ ახდენენ
მკვდარი სულების გაპიროვნებას.
და გააფეტიმეს სულიერიც და ხორციელიც.
და შენ აღარ იცი, ძალღი ხარ თუ ადამიანი,

თუნდ იყო ძალღი, ღმერთო, გესმის,
რომ იყო ძალღი, მოხეტიალე, უპატრონო და მანანნალა,
რომ იყო ძალღი მეამბოხე, ძალღი პოეტი —
მაინც, რად არ სდევს ძალღურ ცხოვრებას შენი წყალობა?!

რად ხარ დუმილში?
ფოთოლცვენის თვე წავიდა,
ხვალ შაბათია,
ლოცვა უდგათ მხცოვან რაბინებს.

2005 წელი

და

გრაფიკით ჩქეფენ შადრევნები ჩვენი ქალაქის,
თქვენც ამ ქალაქში ცხოვრობთ და სუნთქავთ!
თუმცა რა ვქნა, რომ მე ვერ ვხედავ
ჩემი ფანჯრიდან;
მაგ სანახებს, მაგ ნაკრძალებს და მაგ ნალკოტებს.
არც ეგ რითმები იქარგება ჩემი ფანჯრიდან. . .
და წელთა უსასრულობამ და ადამიანთა უსუსურობამ
რაც კი დაკარგა,
და რისი ყდაც არის ვარსკვლავებით მოჩითული ცა —
მხოლოდ წყარო თუ დაამღერებს, ისიც ჩურჩულით
და მორიდებით.
თქვენ კი აქ ცხოვრობთ და არასდროს ტირით?
მაშ, როგორ უწევთ სოლიდარობას სახლებს, როცა ზამთარში
საკვამურიდან ამოსდით ჭალარა თმები?
ვის ეხუტებით დილაობით მინერალური წყლის ბოთლის მაგივრად?
ვის ეტრფიან ეგ თქვენი ბალები?
მაგ თქვენი ბალების ხეთა ჩრდილები? —
რომლებიც ჩემი ფანჯრიდან არასდროს მოჩანან!
ღამეა, მოკვდი გაცოცხლების დაიმედებით,
ჩამომრეცხეს დღეები, თვეები და წლები.
და აქ უფლება გვაქვს ჩასუნთქვის,
და ჩამორთმეული გვაქვს უფლება ამოსუნთქვის —
გრაფიკით ჩქეფენ შადრევნები ჩვენი ქალაქის
და წყაროვ, ან შენ თქვი ჩემი სათქმელი . . .

ქლისპირი

ვის დაჭირდება შენი გულწრფელობა,
როცა მთელი ცხოვრება
საქანელიდან საქანელაზე და
საქანელაზე საქანელიდან გადაჯდომია.

როცა საკუთარ გამონაგონს ისე ვიჯერებთ,
 როგორც ღმერთის განკაცების ჭეშმარიტებას.
 როცა დაჯერებული ტყუილის შემდეგ,
 კი არ დაიღლები და დაიქანცები,
 არამედ მოიგონებ უფრო რთულ ტყუილს.
 სამყაროც ისე არ გიყურებს, როგორც შენ მას
 და მშობელსაც უფრო გამძლე და ძლიერი ვუნდოდი,
 და არა კალია, რომელიც გავურბივარ
 ყოველგვარ საფრთხესა და განსაცდელს.
 და ამ სპექტაკლში, ყველაზე მეტად,
 ყოველდღიური ნიღბების ცვლა კი არ დაგლის,
 არამედ, ეჭვები დაგახრჩობს და
 მდინარე, რომელიც კულისებიდან გამოედინება.
 გლუვი სახე აქვს ჭაობში ცხოვრებასაც
 და ცხოვრების საქანელიდან საქანელაზე თამაშიც
 უძრაობაა, უძრაობა. . .

* * *

რისთვისაც გავისარჯეთ და რაც შევიყვარეთ,
 რისთვისაც დავიხარჯეთ და რაც გვეძვირფასა,
 აღმოჩნდა — სიცარიელე ყოფილა აუტანელი.
 თვალეზაპრობილნი ბრალს ვდებთ ყველას, ვისაც მივწვდებით,
 ჩვენ ვიმეორებთ სახარებას,
 ჩვენ ვმეორდებით.

დაცლილი ჭიქებივით ამოგვაპირქვავეს —
 ამ სივინროვეში კი პატიოსნება ვერ ჩაეტეოდა.
 საკუთარი თავით შეპყრობილნი იყვნენ მამები,
 კომპლექსების ცულებით დაგვაკლეს, ეპოქების გზაგასაყარზე,
 თავიანთ სავარძლებს,
 ჩვენი სიკვდილი აამლერეს და რასაც ვსუნთქავდით,
 საკუთარი ოცნებებით მოგვინამლეს.
 ისინი არასოდეს საუბრობდნენ თავიანთ გასაჭირზე,
 მხოლოდ სიდუხჭირე უჭრელდებოდათ თვალეზაპრობილნი და სხეულზე.
 სიკვდილი არის, რაც კი როკავს
 და რაც კი მღერის,
 სიცოცხლე თურმე ყრუ-მუნჯია —
 სძულს პოეტები!
 ჩვენ ვიმეორებთ სახარებას,
 ჩვენ ვმეორდებით.

ჩუმი ბოდიალი

როცა მშვიდი ხარ,
 როცა სატკივარი სხვისად გეგულვის

და შენი სახლის კედლების მიღმა
 იტკიებს თავს ის სატკივარი.
 როცა მშვიდი ხარ
 და რომ არ უწყი, როცა იქნება
 შენი სახლის კედლებს შიგნითაც მორთავს კვილს
 და ბოლთისცემას გაუთავებელს, ის სატკივარი.
 როცა აღარ დახუჭავს თვალს ზეცა
 და აღარ იქნება იქიდან დუმილი,
 ზღვის ყვავილებივით აყვავდებიან ღრუბლები,
 გაუკაცრიელებულ ცას მოეფინება ცვლილების განწყობა —
 მე კი აღარ მიტაცებს ცის ნისლიანი სიმღერები
 და მივეჩვიე მყრალ და იაფ პაპიროსს,
 წვიმაც მხოლოდ წარსულს მაგონებს;
 ანას, ალბათ, ახლა ორწლამდე შვილი ჰყავს,
 ორი ათას ექვსი წელია
 და ორი ათას ხუთში გარდაიცვალა ზაურ მეძველია.
 გუშინ კი ჩემი ძმისშვილი ამიტირდა,
 რადგან მეზობლის გოგომ უთხრა, რომ
 როცა მოკვდება, იმ ქვეყნად სხვა დედა ეყოლება,
 ამას კი სხვა დედა არ უნდა,
 რა ქნას რომ არ უნდა?!..
 ოცნებების მონად ქცეული ხანდახან ისეთი მართალი ვარ,
 რომ შიში მიჰყრობს —
 არ უნდა იყო ასეთი მართალი.
 ხანდახან ისეთი მცდარი ვარ,
 რომ მაშინაც მეშინია,
 რადგან ასე არ უნდა ჰგავდე ყველას და ყველაფერს.
 როცა მშვიდი ხარ
 და არ იცი, რომ ყველგან დანალმულია განსაცდელებით
 შენი სავალი გზები და ხიდები,
 და გაუკვალავ თოვლში შენიშნავ ვიღაცის ნაფეხურს
 და მხოლოდ გრძნობ, რომ რაღაც ძალიან წმინდას გადაუარეს,
 თუ ხედავ საფლავებს ნაქცეული მგლოვიარეების ამბორით დათოვლილთ
 და თუ არც ერთი მეგობარი არ გყავს სოფლად
 და ყველაფრისდა მიუხედავად, მაინც მშვიდი ხარ,
 მაშინ ის სატკივარი უკვე შენს ბინაშიც უნდა მოძებნო —
 შენი სახლის კედლებს შიგნითაც
 ჩუმად ხომ არ დაბორიალობს.

ბრალი ჩემი

მომკითხავ გრძნობებს,
 მომკითხავ თბილ და მოზომილ სიტყვებს,
 კიდევ საქმეს —
 საგმიროს და სასახელოს;
 მე ველარ მიცნობ, რაც არ უნდა ეძებო ჩემში
 ძველი ოცნება, ძველი ფიქრი და ის გრძნობები,
 როცა გული მკაცრი ტკივილით ყელში გეჭედება,

და ამით თავის არსებობაში გარნმუნებს, რომ გული გქონია! —
 თუმც, პოეზიით და გაზაფხულით დაავადებული,
 გაზაფხულით, რომელიც ბავშვური ოცნებებით დაგემსხვრა...
 და ამიტომაც უუნარო ვარ სიკეთეებში,
 იმ ყველაფერში, სადაც ადრე გეგულვებოდი.
 სამაგიეროდ შემძლია ყოველდღიურობა და ერთფეროვნება,
 შეჩვევა და შეგუება ყოველივესთან, დრო რასაც მთავაზობს
 და ყოველივე, რა თქმა უნდა, ცრემლის გარეშე,
 ო, რა თქმა უნდა, ცრემლის გარეშე.
 მიინავლება სიცოცხლე ჩემი – ნისლის მდინარე;
 მშრალი და დუნე,
 ხელებს ვუშლი ნაპირების შეხებას
 და, რასაც დაიტირებენ ჩემი მდუმარე ხელები
 და რასაც მიაყრიან მინას და ყვავილებს,
 რკინიგზის სადგურებს, დანგრეულ დაბებს,
 განადგურებულ ქალაქებს, მიტოვებულ სოფლებს და სახლებს,
 შეშლილ გვამებს, ჩაშავებულ თვალებს
 და ლაზარეთებს,
 რომელიც მე ვარ, ჩანგრეული და მიუვალი;
 ვემსგავსე ყველას, ვინც გარშემო ადამიანი ვერ შენიშნა, ვერ დაინახა!
 ვარ ლაზარეთი მომაკვდავთა და განწირულთა,
 დამაგვიანდა,
 ყველას შველა დამაგვიანდა,
 უსასრულოდ ყველაფერი დამაგვიანდა.
 ვით შეჩვენებული და სიცხიანი
 წყევლას ვუგზავნი სალოცავ ზესკნელებს,
 იქ მცხოვრებ არსებებს, იმ ოცნებებს და მოგონებებს,
 რომლებიც გაფრინდნენ,
 სიზმრებით შორეთს გაფრინდნენ...
 და ჯანდაბას იქით გზა ჰქონია ყველა გაზაფხულს;
 მარტებს, აპრილებს, გადაპენტილ, მსხმოიარე, კეკლუც მაისებს!
 და საიდან ამდენი დუმილი,
 ამხელა დუმილი, ხელებო?...
 ვის დასამარხად ემზადებით,
 ვის ჩასამარხად? –
 შავი მინაა შემნახველი ჩემი სატრფოსი,
 ჩემთვის ცივია ეგ სამარე, ეგ იდილია,
 მე დედის გულში ვარ ჩამარხული ჩემი კუბოთი,
 ჩემი სუდარით და ამ ქვეყნიდან წასაღები დიდი ხურჯინით,
 რომელიც ვავსე ხან დარდებით, ხანაც მუდარით,
 და უფრო ცოდვებით,
 და უფრო სიზმრებით;
 რომელთა სიცხადისათვის ყოველთვის მე ადრე ვტიროდი.
 ვის დასამარხად ეშურებით,
 ვის დასამარხად,
 მდუმარე მუსიკით ჩამოყრილო და დაღალულ ჩემო ხელებო?!

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

არაბულიდან თარგმნა
გიორგი ლობჯანიძემ

შლაგი იოანე

თარგმანს დიდი სიყვარულით ვუძღვნი მამა ბასილ კობახიძეს

ზაფხულის დღეებში იოანე ყოველ დილით გადიოდა მინდორში, მიირეკავდა თავის ხბორებსა და ხარებს, მხარზე სახნავი გაედო, ყურს უგდებდა შაშვთა გალობასა და ფოთოლთა შრიალს და მიდიოდა. შუადღისას ამწვანებულ ველთა შორის მოჩუხჩუხე ნაკადულთან ჩაიმუხლავდა, საგზალს შეექცეოდა, მონარჩენ ნამცეცებს კი ბალახებზევე ბელურებს უტოვებდა.

სალამოს, როცა დაისი სამყაროდან წამი-წამზე კრეფდა სინათლეს, ბრუნდებოდა ხოლმე თავის ღარიბულ სახლში — ლიბანის ჩრდილოეთის სოფლებსა და ველ-მინდვრებს რომ გადასცქეროდა. მოხუც დედ-მამასთან ერთად ფეხს მოირთხამდა ქვის ტახტზე, ყურს უგდებდა მათ საუბარს, გარდასულ დღეთა ამბებით სავსეს, და გრძნობდა, როგორ ერთდროულად ერეოდა შვება და ძილბურანი.

ზამთარში ბუხართან, ცეცხლის სიახლოვეს მინვებოდა, უსმენდა ქართა ბრდღვინვას, მტვრის ნაწილაკთა შრიალს და ფიქრობდა წელიწადის დროთა ცვალების ბუნებაზე. პატარა სარკმლიდან თოვლით დაფარულ ველებსა და ფოთოლთაგან გაძარცვულ ხეებს გასქცეროდა, რომლებიც ჭახჭახა ყინვასა და ქარიშხალში, გარეთ მიტოვებულ უპოვართა კრებულებით იდგნენ.

გრძელ ღამეებში მღვიძარი რჩებოდა, ვიდრე მშობლები დაიძინებდნენ. მერე ხის კარადასთან მივიდოდა, იქიდან ახალ აღთქმას გადმოიღებდა და კითხულობდა საიდუმლოდ, ჭრაქის კიალა, მბჟუტავ სინათლეზე. დროდადრო კი ფრთხილად გადახედავდა მძინარე მამას, რომელიც ამ წიგნის კითხვას უკრძალავდა, რადგან მღვდელმთავრები გულუბრყვილო ადამიანებს იესოს სწავლების დაფარულ სიამეთა შეცნობას არ ანებებდნენ და ამის ჩამდენს, ეკლესიიდან განკვეთითაც კი ემუქრებოდნენ.

ასე გალია იოანემ თავისი სიჭაბუკე სიტურფითა და საოცრებებით აღსავსე მინდორთა და იესოს ნათლითა და ძალით აღბეჭდილ წიგნს შორის. ჩუმი იყო. ბევრს ფიქრობდა დედ-მამის მონათხრობ ამბავთა შესახებ და სიტყვას არ დასძრავდა. თანატოლებთან ყოფნის დროსაც მათთან ერთად მდუმარედ იჯდა და შორეთს გასცქეროდა იქ, სადაც ზეცის სილურჯე და მიწის პირი ერთმანეთს ხვდებოდნენ. ხოლო თუ ეკლესიაში წავიდოდა, იქიდან დაძმარებული ბრუნდებოდა, რადგან სწავლება, რაც ამბიონთაგან და კათედრათაგან ესმოდა, სულაც არ იყო ის, რასაც სახარებაში კითხულობდა, მორწმუნეთა ცხოვრება კი არაფრით ჰგავდა იმ მშვენიერ ცხოვრებას, რაზეც იესო ნაზარეველი ქადაგებდა.

* * *

მოვიდა გაზაფხული და ველ-მინდვრებში ჩამოდნა თოვლი. მთის მწვერვალებზე შემორჩენილი ნაფლეთები კი დნებოდა და ნაკადულებად ეშვებოდა ხეობათა ციცაბოებში, მქუხარე მდინარედ ერთდებოდა და თავისი ბრდღვინვით ბუნების გამოღვიძებას იუწყებოდა.

აყვავდა ნუშისა და ვაშლის ხეები, გაიფოთლა ძენა და ტირიფი. ფერდობებმა აღმოაცენეს ბალახ-ყვავილი. იოანე დაიღალა ბუხრის პირას ყოფნით. ხბოსაც ატყობდა, როგორ ჩამოდნა საჩიხეთა სივინროვეში და როგორ ისწრაფოდა ამწვანებული საძოვრებისაკენ, რადგან გაიფხიკა საბძლები და დაცარიელდა ქერის ორმოები.

მივიდა, პირუტყვი გომურიდან გამოუშვა და მინდორში გაირეკა. ახალ აღთქმას კი სამოსის უბეში იმაღავდა, რომ არავის დაენახა. ასე უნია ხევის გულზე გადაშლილ ველამდე, იმ მონასტრის მინათა მახლობლად, კლდის ციცაბოთა შორის პირქუში კოშკივით რომ წამომართულიყო. საქონელი საძოვარზე გაიშალა, თვითონ კი ჩამოჯდა, ზურგი კლდეს მიაყრდნო და ხან ხეობის სილამაზეს გასცქეროდა ტკბობით, ხანაც თავისი იმ წიგნის სტრიქონებს ჩაჰყურებდა, რომელიც ცათა სასუფეველის შესახებ ქადაგებდა.

ეს მარხვის ერთი ბოლო დღე იყო და იმ სოფელთა მცხოვრებნი, რომელთაც ხორცის ჭამაზე აელოთ ხელი, თმენის ნარჩენებზე მობლაუჭებულნი, აღდგომის მობრძანებას სულმოუთქმელად ელოდნენ. იოანესთვის კი, მთელი ღარიბი გლეხობის მსგავსად, მარხვის დღეები ხსნილის დღეთაგან არაფრით არ განსხვავდებოდა. მთელი მისი ცხოვრება ერთი ხანგრძლივი მარხვა იყო და საზრდელი მისი მისივე პირის ოფლით მოზედილ პურსა და გულის სისხლის ფასად ნაყიდ ბოსტნეულს არასდროს აჭარბებდა. ხორცისა და გემრიელი სადილის უქონლობა კი ბუნებრივი იყო. მარხვისას ჩვეულ ნდომას კი სხეულმბრევად კი არა, სულისმიერად განიცდიდა, რადგან თავის თავში გამუდმებით უბრუნდებოდა ძე კაცისას ტანჯვისა და დედამინაზე მისი ცხოვრების დასასრულის ხსოვნას.

ბელურები ყვილ-ხივილით ირეოდნენ იოანეს გარშემო, მტრედის ხუნდები აჩქარებით გადაუფრენდნენ თავზე და ყვავილები ისე იხრებოდნენ ქარის ქროლვაზე, თითქოს მზის სხივებში ბანაობნენ. ის კი გატაცებით კითხულობდა წიგნს. დროდადრო თავს აწევდა, ხედავდა ქალაქებისა და ხეობის კალთებზე შეფენილ სოფელთა ეკლესიების გუმბათებსა და ესმოდა მათი ზარების წკრიალი. მერე თვალს დახუჭავდა. მისი სული თაობათა ნაფლეთების თავზე ძველი იერუსალიმისაკენ მიცურავდა, კვალდაკვალ მიჰყვებოდა იესოს ქუჩებში, გამვლელებს მასზე ეკითხებოდა და ისინიც მიუგებდნენ: აი, აქ განკურნა ბრძები და ფეხზე დააყენა დამბლადაცემულნი. იქ მოუნწეს ეკლის გვირგვინი და თავზე დაახურეს. ამ მოედანზე შეჩერდა და ელაპარაკებოდა ხალხს იგავებით; იმ სასახლეში გააკრეს ჯვარზე, სახეში აფურთხეს და გაროზგეს. ამ ქუჩაზე მიუტევა მეძავს შეცოდება, ხოლო იქ კი მინაზე დაემხო, ჯვრის სიმძიმით წელში გადრეკილი.

ასე გავიდა საათები. იოანე ღმერთკაცთან ერთად იტანჯებოდა სხეულით და სულით მასზე მიჯაჭვულიყო, ვიდრე შუადღე მოვიდოდა და ადგილიდან წამოდგებოდა.

ხოლო როცა გარშემო მიმოიხედა, თავისი ხბო ველარსად ნახა. მოჰყვა აქეთ-იქით სიარულს, არემარეს ყურადღებით აკვირდებოდა და აოცებდა მისი დაკარგვა ამ ტრიალ მინდორში. როცა იმ ბილიკთან მივიდა, რომელიც ველთა შორის ხელისგულის ხაზებივით დამრეცად ეშვებოდა, შორიდან ერთ კაცს მოჰკრა თვალი, შავად შემოსილი, ბაღნართა შუა რომ იდგა. მისკენ გაეჩქარა და როცა მიუახლოვდა, იცნო — მონასტრის ერთ-ერთი ბერი იყო. თავდახრილი მიესალმა და ჰკითხა: მამაო, ამ ბაღებში მოარული ხბო ხომ არ გინახავთ?

ბერმა ისე შეხედა, მზერით ხმის გაკმედა დაავალდებულა და უხეშად მიუგო: დიახ, ვნახე, წამოდი და შენც შეხედეო! იოანე ბერს უკან გაჰყვა და მონასტერთან მივიდნენ. იქ ხბო ვრცელ, თოკებით შემოკავებულ საჩიხეში შეემწყვდიათ. ერთ-ერთი ბერი უდარაჯებდა; ხელში კეტი ჩაებლუჯა და, როგორც კი პირუტყვი გაინძრეოდა, უმონყალოდ ურტყამდა. იოანემ ხბოს წაყვანა განიზრახა, მაგრამ ბერმა კაბის კალთაზე სტაცა ხელი, მონასტრის ტალანში შეიყვანა და ხაფი ხმით იღრიალა: „აი, დამნაშავე მწყემსი. დავიჭირე, დავიჭირე!“ ყვირილზე ყოველი მხრიდან გამოცვივდნენ ბერ-მონაზვნები, მათ კი წინ მონასტრის წინამძღვარი მოუძღვოდათ — კაცი თავის ხელქვეითთაგან სამოსის უბრალოებითა და თავდაჭერილი შესახედაობით გამორჩეული. ბერ-მონაზვნები იოანეს გარს მსხვერპლისაკენ მიმსწრაფი მოლაშქრეებივით შემოენყვნენ. იოანემ კი წინამძღვარს შეხედა და მშვიდად ჰკითხა: „რა ჩავიდინე ისეთი, რომ დამნაშავე ვყოფილიყავი და რად დამიჭირეთ“. წინამძღ-

ვარს განრისხებულ სახეზე ულმობლობა გამოეხატა და ხერხის ზუზუნის მგვანი ხმით მიუგო: „შენმა ხბომ მონასტრის ნათესები წაახდინა და ვენახი გააფუჭა. ჩვენ კი შენ დაგიჭირეთ იმიტომ, რომ მწყემსია პასუხისმგებელი იმაზე, რასაც წაახდენს სამწყსო მისი.“ იოანემ სცადა სიბრალული გამოეწვია და უთხრა: მამაო, ეგ ხომ უგონო პირუტყვია, მე საბრალოს კი ჩემი ჯან-ლონისა და ამ ერთი ხბოს მეტი არაფერი გამაჩნია. ნება მომეცი, წავიყვანო და გზას ბარაქა დავატანო, შენ კი გპირდები, მეორედ ამ მინდორში აღარასოდეს მოვალო!

მონასტრის წინამძღვარმა ცოტა წინ წაინაცვლა, ხელები ზეცად აღაპყრო და თქვა: „ღმერთმა დაგვადგინა ამ არემარეზე და თვით დიდმა ესაიამ ჩაგვაბარა თავისი რჩეული მინა-წყლის მოვლა-პატრონობა. ჩვენც ვუფრთხილდებით ამ მინა-წყალს დღე და ღამ, მთელი ძალითა და ღონით, რამეთუ იგი წმინდა მინაა და ჰგავს ცეცხლს, რომელიც დაწვავს ყველას, ვინც მიუახლოვდება. თუ მონასტრისათვის ანგარიშის გასწორებაზე უარს ამბობ, ცეცხლად ექცევი შენს ხბოს შიგანში ბალახი, რაც მოძოვავ; მაგრამ უარის თქმის გზა არ გაგაჩნია, რადგან შენს პირუტყვს ჩვენს საჩიხეში მანამ დავიტოვებ, სანამ დაკისრებულ ბოლო გროშსაც არ გადაიხდი.“

წინამძღვარმა უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ იოანემ შეაჩერა და შეემუდარა: „ბატონო, ამ წმინდა დღეების მადლით, როცა ევნო იესო და დასტიროდა საღმრთოთა მისთა მარიაში, დამანებე ჩემი ხბო, რომ თან წავიყვანო. ნუ იქნები გულქვა ჩემდამი. მე ერთი საცოდავი ლატაკი ვარ, მონასტერი კი მდიდარია, მაპატიოს ჩემი უგულისყურობა და შეიბრალოს ჭალარა მამაჩემისა.“ წინამძღვარმა შეხედა და დაცინვით მიუგო: „მონასტერი მისხალსაც კი არაფერს გაპატიებს, უმეცარო, გინდ ლარიბი იყავ და გინდ მდიდარი. და ნუ მაფიცებ წმინდათაწმინდა საგნებს, რამეთუ შენზე უკეთ ვიცი მათი საიდუმლოებანი და დაფარული ძალმოსილებანი. ხოლო თუ შენი ხბოს წაყვანა გნადია, გადაიხადე სამი დინარი წახდენილი ნათესის მაგიერში.“

იოანემ მოგუდული ხმით მიუგო: „მამაო, ერთი გროშიც კი არ მაბადია. შემიცოდე და შეიბრალე ჩემი სილატაკე!“ წინამძღვარმა გაზინთული წვერი ჭუჭყიანი თითებით მოიფხანა და უთხრა: „ნადი, გაყიდე შენი მინდვრის ნახევარი და მოგვიტანე სამი დინარი, რამეთუ უმჯობესია შენთვის, ზეცამ უმინდვროდ დაგტოვოს, ვიდრე შენი სიჯიუტით მისი სამსხვერპლოს წინაშე თავს დიადი ესაიას რისხვა დაიტეხო, საიქიოში კი ჩავარდე ჯოჯოხეთის მარად გეენაში.“

იოანე წუთით დადუმდა, მერე თვალები გაუნათდა, გონი მოიკრიბა და საბრალობელი, თანაგრძნობის მოსურნე კილო ძალისა და ნების გამომხატველი ტონით შეეცვალა. უთხრა ისეთი ხმით, რომელშიაც ცოდნა ახალგაზრდულ სიმტკიცეს შერეოდა: „განა უპოვარმა უნდა გაყიდოს მინდორი, აღმომცენებელი მისი არსობის პურისა და სარჩო მისი ცხოვრებისა, რათა დაუმატოს მისი საფასური ოქრო-ვერცხლით მოოჭვილი მონასტრის საგანძურებს? განა სამართალია, რომ მიემატოს ლატაკს სილატაკე და სული გასძვრეს უპოვარს შიმშილით იმიტომ, რომ დიდებულმა ესაიამ მშიერ პირუტყვს ცოდვა მიუტევოს?!“

მონასტრის წინამძღვარმა თავი მედიდურად გადააქნია და უთხრა: ასე ამბობს იესო, მესია: „ვისაც აქვს, მიეცემა და გაუმრავლდება, ხოლო ვისაც არა აბადია რა, წაერთმევა.“

ესმა იოანეს ეს სიტყვები და გულ-გვამი აემღვრა. სული გაეზარდა და ტანი უწინდელზე უფრო აუმაღლდა, თითქოს მინა ფეხქვეშ აუტორტმანდა. ამოიღო უბიდან სახარება, როგორც მეომარი იშიშვლებს ხოლმე მახვილს თავდაცვისთვის და იყვირა: „ასე ათამაშებთ ამ წიგნის სწავლებას, ჰოი, თვალთმაქცებო და ასე იყენებთ ცხოვრებაში ყველაზე წმინდას იმისათვის, რომ ცხოვრების სიავენი გაავრცელოთ. და ვაი, თქვენდა, როცა მოვა ძე კაცისა მეორედ, დააქცევს თქვენს მონასტრებს და მათ ქვებს ამ ხეობაში მოიმოფანტავს, ცეცხლს მისცემს თქვენს სამსხვერპლოებს, ნეს-ჩვეულებებსა და ძეგლებს! ვაი თქვენდა, იესოს უმწიკველო სისხლისა და მისი წმინდა დედის ცრემლისათვის, როს შეერთდება თქვენს პირისპირ წყალდიდობად და უფსკრულის სიღრმეთაკენ გაგიტყორცნით! ვაი და ათასი ვაი თქვენდა, საკუთარ ვნებათა კერპების მსახურნო, შავი სამოსის შიგნით თქვენი საძულველი საქმეების სიშავეს რომ იფარავთ, ბაგეებს ლოცვით ამოძრავებთ, გულები კი სალი

კლდესავით გაგქვავებიათ, მუხლს მორჩილად იყრით სამსხვერპლოთა წინაშე, სულები კი თვალთმაქცობენ ღვთის წინ. ამ — თქვენი ცოდვებით აღსავსე — ალაგას მზაკვრობით მომიტყუეთ და ავაზაკივით შემიპყარით იმ მცირედი ნათესის გამო, რომელსაც მზე ჩემთვისაც და თქვენთვისაც ერთნაირად აღმოაცენებს. ხოლო როცა დანდობა გთხოვეთ იესოს სახელით და მისი სალმობისა და ტანჯვის დღეები დაგაფიცეთ, ისე დამცინეთ, თითქოს რაღაც უმეცრებასა და სირეგვნეს ვბოდავდი. აიღეთ, მოძებნეთ და მიჩვენეთ ამ წიგნში, როდის არ ყოფილა იესო მწყალობელი. წაიკითხეთ ეს ზეციური დრამა და მაცნობეთ, სად საუბრობს იგი, შეწყალებისა და დანდობის თვინიერ! მთაზე ქადაგებისას ხომ არა? ან იქნებ თავისი სწავლებისას, იმ უბედური მეძავის ჩასაქოლად შემართული ბრბოს წინაშე. ან ეგების გოლგოთაზე, როცა მკლავები გაშალა, რათა ადამიანის გვარი და მისხი ჩაეკრა გულში. შეხეთ, გულქვანო, ამ ქალაქებსა და უქონელ სოფლებს! მათ სახლებში იგრიხებიან სალმობათა სარეცელზე მდებარე ავადმყოფნი, მათ დილეგებში უქმად იღევა ზარგანხდილთა დღენი, მათ კარიბჭეებთან მოწყალებას ითხოვენ მათხოვარნი, გზებზე სძინავთ ბოგანოებს, სასაფლაოებზე ქვითინებენ ქვრივნი და ობოლნი! თქვენ კი დამსხდარხართ და ნეტარებთ სიზარმაცითა და მცონარებით, ტკბებით მინდორთა ნაყოფითა და ვენახთა ნაჟურით და არ მოინახულებთ სნეულს, არ განიკითხავთ პატიმარს, არ აპურებთ მშიერს, თავშესაფარს არ აძლევთ უცხოსა და არ ანუგეშებთ მწუხარეს. ნეტავ დასჯერებოდით იმას, რაც გაქვთ და დაკმაყოფილებულიყავით იმით, რაც ჩვენი წინაპრებისათვის უსამართლოდ წაგიგლეჯიათ. ხელებს ისე ინვდით, როგორც თავს — იქედნენი და მტკიცედ მიიტაცებთ იმას, რაც ქვრივ-ოხრებს გარჯის წყალობით მოუპოვებიათ და, რაც გლახებს სიბერისათვის გადაუხახავთ!

დადუმდა იოანე, რათა სული მოეთქვა; მერე კი თავი აწია და ჩაილაპარაკა: „თქვენ აქ ბევრნი ხართ, ხოლო მე ერთი! რაც გსურთ, მიყავით. მგლებიც მოინადირებენ ხოლმე კრავს ღამის წყვდიადში, მაგრამ მისის სისხლის კვალი ხევის გორაკებს მანამდე შემორჩება, სანამ განთიადი მოვა და მზე ამოანათებს!

ლაპარაკობდა იოანე და მის სიტყვებში ისეთი უზენაესი ძალა ხმინებდა, რომ ბერებს სხეულებში სისხლი გაუყინა და სულში ბოღმა და გაცხარება აუმოძრავა. ვინრო გალიებში მომწყვდეული მშიერი ყვავებივით რისხვით შესცქეროდნენ, კბილებს ბრაზით აღრჭიალებდნენ და მეთაურისაგან ნიშანს ელოდნენ, რომ მიცვენილიყვნენ და მსხვერპლი ნაწილ-ნაწილ დაეფლითათ, სანამ იგი ლაპარაკს მოათავებდა და დადუმდებოდა, როგორც ქარიშხალი მას მერე, რაც ხმელი ბალახები დალენა და გაფიჩხებული ტოტები დაამტვრია. და წინამძღვარმაც უყვირა თავის მორჩილთ: „შეიპყარით ეს საბრალო ცოდვილი, წაართვით წიგნი და შეაგდეთ იგი მონასტრის ბნელ სენაკში. იმას, ვინც ღვთის რჩეულთ შეურაცხყოფს, უფალი არც აქ შეუნდობს და არც მარადისობაში!“

ბერები იოანეს ისე მისცვივდნენ, როგორც მტაცებელი ნადირნი ესხმიან საკუთარ მსხვერპლს. გაკოჭილი წაიყვანეს ვინრო სენაკში და გამოკეტეს იქ, მას შემდეგ, რაც მუჯლუ-გუნებითა და წიხლებით უსასტიკესად უგვემეს სხეული.

იმ ჩაბნელებულ ოთახში იოანე გამარჯვებულივით შედგა, რომელმაც მტერზე უპირატესობა მოიპოვა თავისი ტყვეობით. გადაიხედა მცირე სარკმლიდან, დღის სინათლით გაჩახჩახებულ ხეობას რომ გადაჰყურებდა. სახე გაუნათდა. სულიერი ტკბობა იგრძნო, მის არსებას ერთიანად გულში რომ იკრავდა და დარწმუნება, რასაც საკუთარ გრძნობათა მორევისა და დამორჩილების ტკბილი განცდა ინვევდა. ვინრო სენაკი მისი სხეულის მეტს ვერაფერს ატყვევებდა. სული კი თავისუფალი იყო და ნიავთან ერთად გორაკთა და ველთა თავზე იტალღებოდა. ბერთა ხელებმა თუმცა გვემეს სხეული მისი, ხელი ვერ უწვდინეს გრძნობებს, რომლებიც უსაფრთხოდ ჩამყუდროვებულებიყვნენ ნაზარეველი იესოს გვერდით. კაცს, თუ სამართალი მის მხარესაა, ვერ დატანჯავს გვემა და ვერ გაანადგურებს უსამართლო განსაცდელი, თუკი თვითონ ჭეშმარიტების გვერდით იქნება. სოკრატემ შხამი ღიმილით დალია, პავლე კი სიხარულით შეხვდა ჩაქოლვას. მაგრამ დაფარული სინდისია, რომელსაც ვენინაალმდეგებით და გვტანჯავს, თვითონ ვლალატობთ და ამიტომაც ჩვენს წინააღმდეგ მოიქცევა.

შეიტყვეს იოანეს მშობლებმა, რაც მათ ერთადერთ შვილს დაემართა. დედამისი მონასტერში ყავარჯენზე დაყრდნობილი მივიდა, წინამძღვარს ფეხებში ჩაუვარდა, ცრემლად იღვრებოდა და ხელებს უკოცნიდა, რათა დაენდო მისი შვილი და მიეტყვეებინა მისი უმეცრება.

წინამძღვარმა თვალნი ზეცად ისე ალაპყრო, თითქოს ნუთისოფელზე ამალღდაო და ქალს უთხრა: „ჩვენ მივუტყვევებ შენს შვილს სიბეცეს და ვაპატიებთ სიშლეგეს, მაგრამ მონასტერს წმინდათაწმინდა უფლებები აქვს, რომლის განუხრელი დაცვა სავალდებულოა. ჩვენ ჩვენი თავმდაბლობით მივუტყვევებ ხალხს სიმდაბლეთ, მაგრამ დიდი ესაია არ მიუტყვევებს და არ აპატიებს იმას, ვინც შემუსრავს მის ვენახს და წაუხდენს ნათესებს.“

ქალმა შეხედა მას და ცრემლები დაპაღუპით სცვიოდა სიბერის ხელით დაკუჭულ ღაწვებზე. მერე ყელიდან ვერცხლის მეადალიონი მოიხსნა, წინამძღვარს ხელში ჩაუდო და უთხრა: „მამაო, ამ მედალიონის მეტი არაფერი გამაჩნია. ისიც დედაჩემმა მარჯუა ქორწინების დღეს, ახლა კი შეიწყნაროს მონასტერმა, ვით ჩემი ერთას დანაშაულთა გამოსასყიდი.“

წინამძღვარმა მედალიონი ჯიბეში იკრა, მერე კი უთხრა იოანეს დედას, რომელიც მადლიერებითა და სასოებით ხელებს უკოცნიდა: „ვაი, ამ მოდგმას, რამეთუ მასში აირეკლა წიგნის სასწაულნი: შვილები თქვლევდნენ ისრიმს, კბილები კი მამებს ეკვეთებათ! წარვედ, მართალო დედაკაცო, და ილოცე შენი შლეგი პირმშოსათვის, რათა განკურნოს იგი ზეცამ და სისაღე დაუბრუნოს!“

გამოვიდა იოანე დილეგიდან და წყნარად გაემართა თავისი ხბოს წინ, წელთა სიმძიმისაგან წელში გადრეკილი და ჯოხზედაყრდნობილი დედამისის გვერდით. თავის ქოხს რომ მიაღწია, ხბო საჩიხეში შეაგდო, თვითონ კი ფანჯრის მახლობლად ქვის ტახტზე ჩამოჯდა და დღის სინათლის ჩქერალს გააცქერდა. წამის შემდეგ მამის ჩურჩული გაიგონა, დედას რომ ყურში ეუბნებოდა: „რამდენს მენიანაღმდეგებოდი სარა, როცა გეტყოდი, ჩვენი შვილი ტვინარეულია-მეთქი. ახლა კი, ვხედავ, წინააღმდეგობას აღარ მიწევ, რადგან მისმა საქმეებმა ჩემი სიტყვები დაადასტურა და მონასტრის დიდებულმა წინამძღვარმაც დღეს იგივე გითხრა, რასაც წლების წინათ გეუბნებოდი!“

იოანე კი ისევ ისე დასავლეთისკენ იმზირებოდა, სადაც ხუჭუჭ თმასავით ჩახვეული ღრუბლები მზის სხივებით ათასფრად ელვარებდნენ.

2.

მოვიდა აღდგომის დღესასწაული და საზრდელისაგან თავშეკავება გემრიელი საქმელ-სასმელის სიუხვემ შეცვალა. დაბა ბიშარიში ახალი, ამალღებული ტაძრის მშენებლობაც დასრულდა, რომელიც იქაურ საცხოვრისებს შორის ისე წამომართულიყო, როგორც მბრძანებლის სასახლე თავისივე სამფლობელოს ღატაკთა ქოხმახებში.

და ელოდა ხალხი ერთ-ერთი ეპისკოპოსის მობრძანებას, რომელსაც ახალი ტაძარი და მისი სამსხვერპლო უნდა ეკურთხებინა.

და როდესაც შეიტყვეს მისი მოახლოება, გზაზე ჯგუფ-ჯგუფად გამოეფინნენ და ქალაქში ქალწულთა სიმღერით, მღვდელმსახურთა გალობით, ქნართა ხმებითა და ზარ-ზანზალაკთა წკრიალით შეუძღვნენ.

ხოლო როცა ოქრომკედით მოქარგული უნაგირითა და ვერცხლის ლაგმით აღკაზმული ცხენიდან გადმობრძანდა, დაბის მეთაურნი და წინამძღოლნი კეთილი სიტყვებით მიეგებნენ, ლექსებითა და მჩქეფარე ხოტბით, ქება-დიდებათ მოჩუქურთმებული საგალობლებით შეხვდნენ და ასე მიაცილეს ახალი ტაძრის კარიბჭემდე, სადაც ოქროთი შემკული სამღვდლო სამოსით შეიმოსა და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი გვირგვინი დაიხურა. ხელში ძვირფასი ქვებითა და იშვიათი ჩუქურთმებით მოხატული კვერთხი აიღო და მღვდელმსახურებთან ერთად ლოცვით, გალობით და ქება-დიდებათ ტაძრის გარს შემოვლას შეუდგა. მის გარშემო კი ნაირნაირი საკმევლის ნელსულრნელება ამალღდა და უთვალავი სანთელი აელვარდა.

იოანე ამ დროს ერთ შემაღლებულ გორაკზე მწყემსთა და მეურნეთა შორის ჩამდგარიყო და ამ სანახაობას ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა. სიმნრით სუნთქვა გახშირებოდა და ჯავრიანი ოხრავდა, რადგან ერთ მხარეს აბრეშუმის საუცხოოდ შეკერილ სამოსს, ოქროს მოელვარე ჭურჭელს, ვერცხლის ძვირფას სასანთლებსა და სასაკმევლებს, ხოლო მეორე მხარეს ღარიბ-ღატაკთა კრებულს ხედავდა, რომლებიც ახლომახლო სოფლებიდან და მცირე მამულებიდან ამ ბრწყინვალე შობაზე და ტაძრის კურთხევაზე დასასწრებად ჩამოსულიყვნენ. ერთი მხრივ, ხავერდითა და დიბა-ატლასით შემოსილი ბრწყინვალეობა, ხოლო მეორე მხრივ — უბადრუკ ძველმანებსა და ძონძებში გახვეული სიღატაკე. იქით მდიდარი, ძლევა-მოსილი ჯგუფი, რომელიც სიმღერითა და გალობით სარწმუნოებას წარმოადგენდა, ხოლო აქეთ სუსტი, დამცირებული ხალხი, რომელიც ჩუმად ხარობდა მკვდართა შორის იესოს აღდგომით, ლოცულობდა მშვიდად და ეთერს ყურში ჩასჩურჩულებდა დამსხვრეულ გულთა სიღრმეებიდან ამოხეთქილ თავისუფალ საგალობლებს. იქით წინამძღოლნი და მეთაურნი, რომელთაც თავიანთი ძალაუფლების გამო რაღაცით მარადმწვანე საროს მსგავსი ცხოვრება ჰქონდათ და აქეთ ღატაკი მეურნენი, რომელთა თვინიერების გამო მათი ცხოვრება იმ ხომალდს ჰგავდა, სიკვდილი რომ მეთაურობს, ტალღებს გვერდები რომ დაუმსხვრევიათ, იალქნები ქარებს დაუფხვრენიათ და აღმა-დაღმა დაქანაობს ზღვის უფსკრულის მრისხანე-ბასა და ქარიშხლის მძვინვარებას შორის გახირული. იქით გულქვა ბატონობა და აქეთ ბრმა მორჩილება. რომელი რომლის პირმშო იყო, ნეტავ? დესპოტიზმია ის ხე, რომელიც მხოლოდ დაბლობ, ძირს თვინიერად გართხმულ მიწაში ხარობს თუ მორჩილებაა ის მოტოვებული მინდორი, სადაც ეკალთა გარდა ვერაფერი სულს ვერ მოიდგამს.

ამ მტკიცეულ საფიქრალსა და მტანჯველ განსჯაში იყო იოანე. გული ისე მოწურვოდა, თითქოს სუნთქვას ხორხი ევიწროებოდა და შეეშინდა, რომ გულ-გვამი ნაწილ-ნაწილ დაეფლითებოდა. ამასობაში კი ეკლესიის კურთხევა დასრულდა და ხალხი ნელ-ნელა წავიდნამოვიდა. იოანემ იგრძნო, რომ ჰაერში რაღაც სული მის მაგიერ ქადაგებას მოუწოდებდა. მის არსებაშიც მთელი ძალით ამოდრავდა მისივე სული და საკუთარი ნების კვალდაკვალ იგი ცასა და ქვეყანას შორის მლაღადებლად შეაყენა. წინ წაინაცვლა გორაკებისაკენ, თვალნი აღაპყრო, ხელით ზემოთ მიუთითა, ხმამაღალი ძახილით თავისკენ მიიპყრო სასმენელნი, მიიზიდა მზერანი და დაიგრგვინა:

— შეხე, უმაღლესი სინათლის წრის შუაგულში დაბრძანებულ ნაზარეველო! გადმოხედე ლურჯი გუმბათის მიღმეთიდან ამ დედამიწას, რომელიც გუშინ თავისივე ელემენტთა რიდით შეიმოსა. შეხედე, საიმედო მცველო, ძრწოლის ეკლებმა მოახრჩვეს ის ყვავილები, რომელთა ფესვმაც შენი შუბლიდან ჩამონწვეთებულ ოფლზე გაიხარა. შეხედე, მართალო მწყემსო, ნადირ-მტაცებელთა ეშვებმა დაფლითეს იმ უძღური ტვირთის ნეკნები, შენ რომ საკუთარ მხრებზე შემოგესვა. შეხედე, შენი უბრალო სისხლი დედამიწის გულში ჩაინურა, შენი ცხარე ცრემლები ადამიანთა გულებში დაიშრიტა, შენი ცხელი სუნთქვაც ჩაინავლა უდაბნოთა ქარების წინაშე და იქცა ეს მიწა, რომელიც წმინდაჰყო შენმა ნაბიჯებმა, ბრძოლის ასპარეზად, სადაც სუსტთა ნეკნები ძლიერთა ფლოქვებით ილენება და უსამართლოთა ხელები უღონოთა სულებს იტაცებენ. ამ სიბნელის ყოველი მხრიდან მოისმის საფრთხეში ჩავარდნილთა ხმამაღალი ძახილი, რომელიც ვერ აღწევს შენი სახელით სამეუფო ტახტზე მსხდომთა ყურთასმენამდე და შენი სწავლების ამბიონებზე მქადაგებელთ ყურს ვერ უთრთოლებთ მწუხარეთა მოთქმა-გოდება. კრავები შენ, რომ სიცოცხლის სიტყვისათვის წარმოაგზავნე, ქვეყნიერების მღვწველ ნადირებად იქცნენ, რომლებიც გვერდებს უფატრავენ კრავს, მკლავებში რომ აგეტატებინა. ხოლო სიცოცხლის სიტყვა, შენ რომ ღვთის გულიდან ზეგარდმოავლინე, წიგნთა სიღრმეებში ჩაიმალა და მის ადგილას შემადრწუნებელი ღრიალი გამეფდა, რომლის შიშითაც ზარგანხდილი სულები ცახცახებენ. იესო, თავიანთი სახელ-დიდებისათვის მათ ეკლესიები და ტაძრები ააგეს და ნაქარგი აბრეშუმითა და გადამდნარი ოქროთი მოავარაყეს. შენი რჩეული ღარიბების სხეულები შიშველ-ტიტველი დატოვეს ჭახჭახა სიცივეში და სივრცე ნაირნაირ საკმეველთა კვამლითა და სანთლის პარპალა ალით ამოავსეს. შენი ღვთაებრიობის მორწმუნეთა მუცლები ულუკმაპუროდ, მშიერნი

დაჰყარეს, ჰაერი გალობითა და ვედრებით აავსეს და ობლის ძახილი და ქვრივ-ოხერთა გოდება აღარ ესმით. კიდევ ერთხელ მოდი, ცოცხალო იესო, და შენი ტაძრებიდან გააძევე სჯულით მოვაჭრენი. მათ ეს ტაძრები ქვაბებად აქციეს, სადაც იქედნენი ქვებუდანობასა და გაიძვერობას სისინებენ. მოდი და მიაგე ამ კეისრებს, რომელთაც სუსტთაგან მიუტაცებიათ ღვთისა და თავიანთი. მოდი და მოხედე ვენახს შენსას, შენი მარჯვენით რომ დარგე და ახარე. ტანი წეს-ადათმა გამოუხრა, მტევნები კი გამვლელ-გამომვლელთა ფეხქვეშ დაეჭყლიტა. შეხედე იმათ, რომელთაც მიანდე მშვიდობა, როგორ დაიყვნენ თავ-თავიანთებად, როგორ ექიშპებიან და ებრძვიან ერთმანეთს. მათი ბრძოლების ნაფლეთები კი არაფერია, თვინიერ ჩვენი მწუხარე სულებისა და შევიწროებული გულებისა. დღესასწაულებსა და ზეიმებზე ხმას გაბედულად იმაღლებენ და ამბობენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანაზე მშვიდობა და ადამიანებს სიხარული“! მაგრამ განა განდიდდება მამაი შენი ზეციერი, თუკი მის სახელს ცოდვილი ბაგეები და მატყუარა ენები წარმოთქვამენ?! განა მშვიდობაა ქვეყანაზე, როცა ლატაკთა შვილები მარხავენ თავიანთ ძალ-ღონეს მინდორში მზის გულზე, რათა ძლიერთა ხახანი და უსამართლოთა ფაშენი ამოავსონ. განა ადამიანებს შვება და სიხარული ექნებათ მაშინ, როცა ლატაკები სიკვდილს ისე უყურებენ, როგორც ძლეული — მხსნელსა და გადამრჩენელს. რაა მშვიდობა, ერთი მითხარ, ტკბილო იესო! განა მშვიდობა ბნელ, ცივ სახლებში მშვიდ დედათა მკერდს მიყრდნობილ ბავშვთა თვალეშია თუ იმ ლატაკთა სხეულებში, ქვის ტახტებზე რომ სძინავთ და ნატრობენ ძალას, რომლითაც მონასტრის მღვდელი მათ გასუქებულ ღორებს ერეკება და მასზე ხელი არაფრით მიუწვდებათ?! რაა შვება, იესო მშვენიერო, ეგებ ის, მბრძანებელი ვერცხლის ბრჭყვიალით კაცთა ძალასა და ქალთა კდემ-ნამუსს რომ ყიდულობს?! ან ეგებ ის, რომ დავდუმდეთ და დავრჩეთ იმის სულისა და სხეულის მონები, ვინც თვალებსა გვჭრის ოქროს ელვარებით, თანამდებობით, მოზიმზიმე ოთახებითა თუ სამოსელის ფარჩა-ატლასებით?! ეგებ ისაა შვება, დაჩაგრულნი რაღაცას რომ ლანძღვით დავიყვირებთ, ისინი კი ჩვენზე თავიანთ ქვეშევრდომებს წარმოაგზავნიან, მოაქვთ ჩვენზე თავიანთი ხმლები თუ ბედაურთა ფლოქენი, თელავენ ჩვენი ქალებისა და ბავშვების სხეულებს და დედამინა თვრება ჩვენი სისხლის ჩქეფითა და დენით. გამოგვიჩვენე ხელი იესო ძლევათა და შეგვიწყალებ ჩვენ, რამეთუ უსამართლობის ხელმა იმძლავრა ჩვენ ზედა. ანდა გამოგვიგზავნე სიკვდილი, რათა ნაგვიძღვეს სამარეთაკენ, სადაც შენი ჯვრის ჩრდილში დაცულნი, შენს მეორედ მოსვლამდე მშვიდად დავიძინებთ, რადგან სიცოცხლე ჩვენთან სიცოცხლე აღარაა, არამედ საშინელი ლუსკუმი წყვილია, სადაც ერთმანეთს ასწრებენ ბოროტი აჩრდილები, და ხეობაა, რომლის კიდეებზეც დალოდავენ საშიში იქედნენი. ჩვენთან არც დღეებია დღეები, არამედ მოელვარე მახვილებია, რომელთაც ღამე ფარავს ხოლმე ჩვენთა სალმობათა და ტანჯვათა სარეცელზე და დილა ისევ გადმოჰკიდებს ჩვენს თავზე, როცა გადარჩენის ნადილი ოფლის საღვრელად ველ-მინდვრებისაკენ მიგვიძღვება. შეიბრალებ იესო, მკვდართაგან შენი აღდგომისას, შენს სახელზე ჩაჭიდებული ეს კრებული და მიუტევე მათ მათი სისუსტე და სიბეჩავე.

იოანე ზეცას შეჰყვიროდა, გარშემო კი ხალხი შემორტყმოდა. ზოგს მოსწონდა და კმაყოფილი იყო, ზოგი კი არ იწონებდა და მრისხანებდა. ვილაც იძახდა: სიმართლის გარდა, არაფერს ამბობს და ზეცის წინაშე ჩვენ მაგივრად ლაპარაკობს, რადგანაც ჩვენ დაჩაგრულნი ვართო. ვილაც ამბობდა: ამ საცოდავს ბოროტი სული ალაპარაკებსო, ხოლო ვილაც ამტკიცებდა: ამ ბოდვის მსგავსი ჩვენთა მამა-პაპათაგან არა გვსმენია და არც ახლა გვსურს ყური დავუგდოთო! ხოლო სხვა ყურში ჩასჩურჩულებდა თავის ახლობელს: მისი ხმა რომ გავიგონე, მომწუსხველმა ცახცახმა ამიტანა, რომელმაც შიგნით მთელი გულგვამი შემეზანზარა! ის რაღაც უცხო, ზებუნებრივი ძალით ღაღადებსო. მეორე კი მიუგებდა: კი, მაგრამ ჩვენმა მეთაურებმა ჩვენზე უკეთ იციან, რაც გვჭირდება და შეცდომაა, მათში ეჭვი შეგვეტანაო!

ეს ხმები ასე მაღლდებოდა ყოველი მხრიდან, ერთდებოდა, როგორც ტალღათა ღრიალი, და მერე ისევ ჰაერში იმქრეოდა. ამასობაში მოვიდა ერთი მღვდელი, დაიჭირა იოანე და გადასცა შურტას, რომელმაც იგი სასამართლოში გადაიყვანა. მაგრამ რამდენიც არ

ელაპარაკნენ, ერთი სიტყვაც არ მიუგია, რადგან გაახსენდა, რომ იესოც მდუმარებდა თავის მაჭირვებელთა წინაშე.

და ჩააგდეს ბნელ დილეგში, სადაც ქვის კედელზე მიყრდნობილ ქვისავე ტახტზე ჩაეძინა.

მეორე დილას მოვიდა იოანეს მამა, მოსამართლის წინაშე თავისი ერთადერთი ვაჟის სიშლეგე დაამოწმა და განაცხადა: დიდი ხანია მესმოდა, როგორ ბოდავდა ხოლმე მარტო ყოფნისას, ჩემო ბატონო, და საუბრობდა ისეთ უცნაურ საგნებზე, სინამდვილეში რომ არ არსებობს. ვინ იცის, რამდენი ღამე გაუთევია გაურკვეველი სიტყვებით სიმშვიდის მავედრებელს, მხმოებელს ბნელი წარმოსახვებისა ისეთი შემადრწუნებელი ხმით, რაც მავნე სულით ატაცებულ ქადაგთა წყევლას ჰგავდა. ჰკითხე, ჩემო ბატონო, უბნის ახალგაზრდებს. ისინი მის გვერდით ტრიალებდნენ და იციან მისი გონების გატაცება შორეულ სამყაროთი. ელაპარაკებოდნენ და არას პასუხობდა, ხოლო თუ ხმას ამოიღებდა, გაურკვეველ სიტყვებს ამბობდა, რომელთაც მათ საუბართან არანაირი კავშირი არ გააჩნდათ. ჰკითხეთ დედამისს: მან ხომ ყველაზე უკეთ იცის ბიჭის სულიერი აშლილობა?! რამდენჯერ შევსწრებივარ, როცა შუშის, გაქვავებული თვალებით ცისკიდურს გასცქეროდა და გამიგონია, როგორი გატაცებით საუბრობდა ხეთა, ნაკადულთა, ყვავილთა და ვარსკვლავთა შესახებ ისე, როგორც ლაპარაკობენ ხოლმე ბავშვები პატარა საქმეებზე. ჰკითხეთ მონასტრის ბერებს. გუშინ მათაც შუღლი აუტეხა, საცინლად აიგდო მათი ღვთისმოსაობა თუ განდევილობა და უარყო სინმინდე მათი ყოფა-ცხოვრებისა. იგი შეშლილია, ჩემო ბატონო, მაგრამ ვებრალებით მე და დედამისი და სიბერისას სწორედ ისაა ჩვენი მარჩენალი, რომელიც ოფლსა ღვრის იმისათვის, რომ დღიური ლუკმაპური და სარჩო მოგვიტანოს. დაინდე იგი ისე, ვით ჩვენ გვინდობდე და აპატიე სიშლეგე მშობელთა სიბრაღულით.“

იოანეს სიშლეგის ამბავმა გარეთ გააღწია და მთელ იმ მხარეს მოედო. ჭაბუკები მას მისივე სიტყვებით მონუსხულნი იხსენებდნენ, ქალიშვილები დანანებით უმზერდნენ და ამბობდნენ: უცნაურია განგება ზეციური — ადამიანისთვის: ამ ჭაბუკში ერთმანეთს რომ შეურწყა გარეგნული მშვენება და გონების აშლილობა და მისი მომხიბლავი თვალების სხივები მისი სწეული სულის წყვდიადს შეუხამა.

* * *

ყვავილებითა და ბალახებით მწვანედ მოღალანე იმ ველთა და გორაკთა შორის იჯდა იოანე თავისი ხბოს მახლობლად, ცრემლიანი თვალებით ხეობის კალთებზე შეფენილ სოფლებსა და ველ-მინდვრებს გასცქეროდა, ღრმად სუნთქავდა და ამას ჩურჩულებდა:

— თქვენ ბევრნი ხართ, ხოლო მე ერთი. თქვით, ჩემზე რაც გასურდეთ, მიყავით, რაც გნებავთ. მგლებიც მოინადირებენ ხოლმე კრავს ღამის წყვდიადში, მაგრამ მისი სისხლის კვალი ხევის გორაკებს მანამდე შემორჩება, სანამ განთიადი მოვა და მზეც ამოანათებს!

პუა საუკუნეების არაბული პოეზია

არაბულიდან თარგმნა
გიორგი ლობჯანიძემ

აბუ ლ-ათაჰია

* * *

ბევრი თაობა ვნახე უნინ ღმერთის მესავი.
გარდახდნენ, გაქრნენ — სამნუხარო ბოლო ეს არის,
რამდენი კაცი აღაზევა ნუთისოფელმა
თავის საცდურით, შემდგომ მოკლა ბედზე მკვნესარი,
რამდენ საქმეში დავხელოვნდი, მერე კი მათგან
რამდენჯერ დავრჩი უიღბლობის ცრემლთა მკვესავი,
ნუთისოფელი მუდამ ბალღამს ანთხევს გველივით,
თუმც შებებისას ლბილი არი იქედნესავით.

* * *

სიკვდილი კარს ჰგავს და ყოველი ამ კარში შედის,
ნეტავ ვიცოდე, რანაირი იშლება ხედი
ამ კარის მიღმა... თუ ალაჰის მცნებით იცხოვრე,
სამოთხე გელის, გაგიღიმებს მომავლის ბედი,
მაგრამ თუ ქვეყნად არ ირწმუნე შენი უფლისა,
გეენის ცეცხლის მხურვალეებით დაგესხმის რეტი.

* * *

ვერ უვნებელჰყოფ სიკვდილს შენი სუნთქვით და მზერით,
ვერ დაგიფარავს სასახლეთა კარი და ჭერი,
ყველა აბჯროსანს მიენევა მისი ისარი,
ყველა თოროსანს გაჰკვეთს მისი მახვილის ნვერი,
ითხოვე შეველა და სანუთროს გზებით ნუ ივლი,
რომ ღვთის ცეცხლით არ დაიბუგო, ვით ჩალის ღერი.

* * *

ჰოი, უთბავ, ნეტავ სულ არ მენახე,
ნატრობს თვალი, უხვი ცრემლით ნაბანი,
მიბატონე, დამიპყარი, თუ გსურდეს,
იცის ღმერთმა, არ ვყოფილვარ ჯაბანი,

ღამეს ვათევ, ვარსკვლავების მწყემსი ვარ,
ძილს დაუნთქამს ირგვლივ სოფელ-დაბანი,
მე კი ღადას* ნაკვერჩხლებზე მიწოლილს
მაფარია ნარეკალის საბანი.

* * *

სადღა არიან ისინი, ვინც ჩვენს წინ ყოფილან,
ვინაც ქვეყანას სილამაზის შუქი მოჰფინა,
ბედის ტრიალი მიუხდათ და ჟამთა სიავემ
ყველა გასწირა, მწუხარება არ ამყოფინა,
ჩვენც დაგვატყდება ბედისწერის გარდუვალობა,
მაშ დღეს რა ურცხვმა სიხარულმა აგვაფოფინა.

* * *

ჩვენგან ყოველი წარმავლობის მცირე ღვეთია,
ადამის ძენი მონყდებიან ბოლოს ერთიან,
სათავე მათი უფალია, მდინარესავით
ჩაივლიან და ისევ უფალს ერთვიან,
ო, როგორ მიკვირს, მას ურჩობას ვით უბედავენ,
როცა ხედავენ ძლევამოსილი ოდენ ღმერთია,
მისით ნარენი ყოველივე სასწაულია,
რაც მიგვანიშნებს, რომ ის მართლაც ერთადერთია.

აბუ ლ-ალა ალ-მაარი

* * *

სანუთრო ესე ყარს, ვითარცა მიხრწნილი გვამი,
ყფფით ვესევით ძალღებვივით ჩვენ მის ლეშს უკმარს,
ვერ განძღეს იგი, ვინც საკბილოდ მოიგდოს რამე,
და ის დაპურდეს, ვის არ ერგოს არც ერთი ლუკმა,
ვისაც სიკვდილი არ ეწვიოს კარებზე ღამით,
უბედურება მოუტანოს რიჟრაჟის შუქმა.

* * *

ვიცინით, მაგრამ სიბრიყვეა სიცილი ჩვენი,
ტირილი გვიხმს და ხამს ცრემლები გვედოს ხუნდებად,
ბედის ტრიალი ჭურჭელივით იმგვარად გვლენავს,
რომ ძველი პენი აღარასდროს დაგვიბრუნდება.

* * *

გამგზავნე მასთან, რომლის ნიაღ ივანებს სიბრძნე,
 სადაც ნათელი ცის კალთაა მოჩარდახული,
 ვხედავთ, მან აღსასრულისათვის შექმნა თვით მეფე,
 და სიკვდილს როგორ განარიდოს მეფის მსახური,
 ნეტავ რად უნდა მეშინოდეს სიკვდილის გზისა,
 ყველა სავალი მასთან ცრუ ჩანს და უსახური,
 მწარე ყოფისგან დაგასვენებს და ქონებისგან,
 რაც ფანტე ან რაც სკივრებში გაქვს გადანახული.

* * *

ცოდვებს თუ მკითხავ, უზღვავი მაქვს ცოდვაც და ბრალიც,
 ცოდვა არ ჰქონდეს, ქვეყნად ვინმე თუ არის ნეტავ,
 მაგრამ კაცისთვის თურმე მხოლოდ ის არის ცხადი,
 რასაც მინისკენ მისაქცევი თვალებით ხედავს,
 სამოსის კალთა ნუთისოფლის ტალახში მიგვთრევს
 და ავკაცობის ფორიაქი დაგვესხმის რეტად.
 ვით ინადიროს ლომმა, თუკი მოუცვდა ბრჭყალი,
 როგორღა შეძლოს ნიამორთა ძარღვების კვნეტა.

* * *

სხვებმა თუ მარიხს უძღვნეს ხოტბა, მე ხოტბას ვუძღვნი
 ერთადერთს, ვისი მონაცაა მარიხი თვითონ,
 ამქვეყნად სიბრძნე არსადაა, უმეცარი კი
 იმგვარად დადის, ბრძენთა ბრძენი ის იყოს ვითომ,
 შეხედე თვალთმაქცს, ლოცვად დგრება რწმენის გარეშე,
 მზაკვარ თვალელებში ურწმუნობის უელავს ხვითო,
 ამბობენ, რაც ჩვენ სიმართლისთვის ცრემლი ვღვარეთო,
 ნეტავ როგორ არ დავიღალეთ, გავძელით რითო?
 მართალი კაცი მათ კი არა, თავისთავს ეტყვის:
 მე სწორედ თქვენგან გამოვბრუნდი ცრემლების ღვრითო.

* * *

ბრძანა ალაჰმა: ძე კაცისა ტანჯული იყოს,
 სამყაროებიც დაემონმნენ სიტყვით ავითა.
 მოკვდავთ იოლად მიაღწიეს სიკვდილის არჯალს,
 მინა ერგოთ და დაისვენა მან, ვინც ნავიდა.

* * *

გატყუებს იგი, ვინც იჩემებს, კეთილი ვარო.
ამ ქვეყანაზე არც მადლია, არცა სიკეთე,
ქვეყანა ბნელი დილეგია და ცივი ხარო,
რომლის კარებიც სამუდამოდ გამოგვიკეტეს.

არ გაბრწყინდება სასწაულით ჩვენი სავალი,
ჩამოგვეშლება ფეხქვეშ მყისვე მიწა ენერი,
მღელვარე ზღვაა საწუთრო და არყოფნის ნაპირს,
ჩვენც საცოდავი ტალღებივით შეველენებით.

სიყრუე მეფობს და ნუ ფიქრობ, ზეცაში მაინც
ვინმე მოგისმენს, გაგიგონებს სიტყვას პენიანს,
რამდენს უჭირდა და მაღალ ღმერთს ხმობდა საშველად,
მაგრამ ალაჰი, ვაგლახ, არც ერთს არ შეენია.

* * *

ამ ქვეყანაზე არცა მადლი და
არც სულგრძელობა არ არის არსად,
შემცდარა იგი, ვისაც სიკეთე
მიუჩნევია გადამრჩენ ხავსად.

იმგვარად ღელავს სოფლის მორევი,
ირგვლივ ვერაფერს მოეჭიდები,
და ალბათ ასე დავიღუპებით
სვედანავსული გემების მსგავსად.

მოხუცებულნი მიახლებიან
სიკვდილს და აღარ რჩება ნუგეში,
ყრმაო, სულ რაღაც ერთი წუთი და
მხცე დაგიფარავს მაგ დალალ-კავსაც.

ყველა ჩასაცმელს მიჯობს სუდარა
და ყველა სახლს სჯობს მყუდრო საფლავი,
სადაც გულდაგულ განერიდები
ბოროტს თუ კეთილს, მტერსაც და ავსაც.

ვინაც დღეს ცვრიან ბალახებს თელავს
იმის მსგავსია უკლებლივ ყველა,
ვინც ნავიდა და ცივმა აკლდამამ
ჩუმიად შეიტკობ და შეითავსა.

ფლიდნი სიცრუით ფონს თუ გავიდნენ,
მერე ქვეყანა თვისი ჰგონიათ,

ნება რომ ჰქონდეთ, ღვთისმოშიშთაც კი
მიუხურავდნენ სამოთხის კარსაც.

განა ალაჰის რისხვა ენიათ და
განა ღმერთმა მიჰხადათ ცნობა? —
რაც თავი ახსოვთ, მზაკვარნი იყვნენ,
დაბადებიდან სვე დაენავსათ.

ვერ გადაარჩინთ ბედაურები,
ტორებს რომ სცემენ დარახტულები
და ღვთის რისხვისგან თავდასაღწევად
ვერ მოირგებენ საჭურველ-ჯავშანს.

მათხოვარს ქერი რომ მისცენ პეშვით,
მარგალიტი ან ოქრო ჰგონიათ,
მოატყუებენ მოყვასს და ასე
ეცრუებიან საკუთარ თავსაც.

ჩვენ ვართ დაღლილი მექარავნენი
და ღმერთმა უწყის, საით მივდივართ;
გვეურჩებიან სიცოცხლის დღენი,
მუხლებდაკოჭრილ აქლემთა მსგავსად.

* * *

ჟამის შვილებო, შეიცადეთ სულ ერთი ნამით,
ჩემს თავს გავკიცხავ, ვიდრე აუგს ვეტყოდე მავანს,
ალაჰმა უწყის, როდის დაჰკრავს სიკვდილის ჟამი,
ჩვენ კი მიწაზე უსირცხვილო განცხრომით დავალთ.
სულ ერთი ნამით მეზობლობენ სული და ხორცი,
გაიყრებიან და ერთმანეთს უმზერენ ავად.

* ლადა — მენამული ფერის ეკლიანი მცენარეა.

ნაჰაპეტი ქურაკი

(XVI ს.)

სომხურიდან თარგმნა
გივი შაჰნაზარმა

ჰაირანები

* * *

ვინც ბოროტს ტურფა ნაჰგვაროს,
მისმა სამრეკლომ რეკოსა!
ხიდს რო გადავლენ, ის ხიდი
ნიაღვარს წაელეკოსა.
ეთოვოს, კვალში მადევარს
სდომოდეს, ვერც რა ეყნოსა,
წალკოტში შეეყვანა და
დღისით ტურჩებში ეკოცნა.

* * *

ამქვეყნად თავზარდამცემი
თუა, ორი რამ არისა...
ერთზე გიჟ მეტრფეს იტყვიან,
მეორეს — კუბოს კარისას...
ღირსებით დაიტირებენ
მკვდარ კარგ ყმას, მის ხმლის, ფარისას;
ხალხო, წყალობა ჩემი თქვით,
არც ცოცხლის და არც მკვდარისა...

* * *

შენ ცალ თვალს ლადარს ადრიან,
მეორეს — სახმილს ვნებიანს...
წარბებს თუ შეჰყრი, შირაზის
ლიბონიც მოირღვევიან;
ვისაც დამასკოს, ალეპოს
შენი ხმა მისწვდა, ბნდებიან,
მზე აღარ მზეობს იმათთვის,
ნატვრით შენ მოგშტერებიან!

* * *

შინაურ კაკების არმცნობი
 ტყუის! — მე ვნახე; მიჰყავდა
 ერთ ჯომარდს; ქალის ტურ-კბილმა
 მიაღმასა და მიყანდა.
 ისეთი იყო, იტყოდი,
 რა ყალბით ამოიხატა,
 მკვდარს მკერდში ჩაიხუტებდა
 და ცოცხალს ამოიყვანდა!

* * *

სით მოხველ, უცხო ყოილო,
 ქება რომ გამაბედინე!...
 სულს დაემკვიდრე სინაზით,
 თავს კი დამასხი რეტი მე;
 გულის კარს რო ვერ მიაგენ,
 თავში ამასკდი (ბედი მე
 მქონია როსმე?!) და მერმე
 თვალთაგან ცრემლად მედინე...

* * *

მის სურათს კი არ ვხატავდი,
 ოცნების ქალად ვსახავდი;
 ნარბნი კამარად რო შევკარ,
 ფერი დამედო ქალაღდის,
 დავეცი, დავბნდი... მხილველი
 გადაირია ნახატით;
 — მე ბნედა ღვთის შვილისგან მჭირს,
 ჭორის რად მეცა სახადი?!

* * *

შენ სანამ ჩემი იყავი,
 მწვანეს შვენოდა ცის ნამი,
 ნახვედ და თოვა-ქარბუქის
 ტორი დაგვეცა მრისხანი...
 კვლავ ჩემკენ თუ მოიქცევი,
 თუკი იქნები ის ქალი,
 მზედ ამოგივალ, გაგითბო
 მკერდს მოფიფინე სისხამი,
 გაბრწყინებ ისე, არ შეგრჩეს
 იმ დიდთოვლობის მისხალიც...

* * *

იმ სულელს კოცნა რო ვთხოვე,
 სირცხვილის მეცა სახმილი,
 უარი მტკიცა — „სახელი
 გამიტყდებაო“-ს ძახილით...
 ფანჯრით ხმა მესმა ლამაზის —
 „მო, მაგ უგვანთა ნახირის
 ნაყარმა კაი ყმის კოცნა
 რა იცის, რაა, რა ხილი.“

* * *

ბრძენს ჰკითხეს: — ვინმემ თუ იცის,
 ან რა ისეთი ჩაუთქვა, —
 მიწიერ გვამში უფალმა
 კაცს სული რატომ ჩაუდგა?...
 — სხეულის ამაღლებისთვის
 (პასუხი ითქვა ჩაუქად!)
 ან — ხალას ოქროდ, ყოველთვის
 რო არა ხსენდეს აუგად...

* * *

მე ჭერმის ნერგი ვიყავ და
 კლდის ქიმზე ოლედ ვხარობდი,
 ამომავდეს და ბალ-ბალჩის
 დუბელა წყლით მრწყეს... ამომდის
 სული აქ ტანჯვა-წამებით,
 ამ უცხო მიწით, ხაროთი...
 მოდით! მიხსენით ნაზარდი
 თოვლის ნაჟურის წყაროთი...

* * *

მორჩო ლამაზო, ჩვენ წყაროს
 რო მოეახლე ცალადა,
 შენი მკერდიდან მომწყდარი
 მთვარე შიგ წყალში ჩავარდა...
 მშურს რაყიფისა, ვინც შენთან
 გაითენ-დაიღამა და
 შენს ტუჩებს ვინც ზედ დააკვდა,
 მე იმაზე ვარ მწყრაღადა.

* * *

რაც ვიშვი, მღვდლისთვის არ მითქვამს
 მე აღსარება აქამდი;
 სულ გვერდს ვუვლიდი... რა მჭირდა,
 რა მოუხდელი სახადი?!
 მაგრამ აღერილს ვარდივით
 საცა კი ტურფას ვნახავდი,
 მისი მკერდისკენ ვინევი
 აღმსარებელის ღალადით!...

* * *

მშობელმა შვილი დასწყევლა
 (ვაი, რა მწარედ გვეგვემა!):
 „მწირად იქეც, რო ყარიბის
 ყადრი ისწავლო ეგება;
 ლოდი გდებოდეს სასთუმლად
 და მინა — ქვეშაგებელად,
 ღვთის ანაბარას, უძილოს
 დილის მადლი ვერ გეგემა!...“

* * *

ვინც მწირს გულს ატკენს, უფალმა
 აქციოს თავად მწირადა,
 მისი ყადრი რო იცოდეს,
 თუ გნებავთ, ოდენ იმადა!
 უსამშობლოს თავზე რომც
 ოქრო ესხმოდეს ნვიმადა,
 მშობელს და სატრფოს მონყვეტილს
 არა, არ უღირს ჩირადაც!

* * *

მო, საყვარელო, უშენოდ
 რა მემართება, იცი, რო?! —
 მოდი, აბრეშუმს დაგიფენ,
 არ მინდა ინილ-ბინილო!
 ზედ მეფურ სუფრას გაგიშლი,
 უფალმა რო არ მიწყინოს!
 ბადაგით შენ სადღეგრძელოს
 უნდა ფიცი და მტკიცი რო?!
 ღაზის თხელ პერანგს ჩავიცვამ,
 მკერდი რომ გამოგიბრწყინო.

* * *

ხელისგულს მიზის ქვეყანა
 და როგორც სარკეს ჩავცქერი;
 ჩვენ დროში გულით სანდომი
 აღარსად ჩანან კაცები,
 ვისთანაც პურს გატეხავდი,
 ვისთანაც ჭიქას ასწევდი;
 ყველგან ნამარდი ნადირობს
 ტყუილს გაბმული ფაცვრით...

* * *

მამაშენს ვუფრთხი, სათქმელი
 სადღაც წამომცდა კინალამ...
 მდიდრის წინაშე მე, ღარიბს,
 შიში ვერ გადამილახავს.
 — გაბედე, მოყმევ, უთხარი —
 რა ცეცხლი გწვავს და ვინა ხარ,
 ღარიბთ სარეცლის გამყოფი
 ცოტა მდიდარი გვინახავს?!

* * *

ქვეყნის საფიქრალს ვინც ჩასდევს,
 წუთისოფელი გალახავს...
 თხლე წყაროდ მოეჩვენება,
 ხოლო შარბათი — არაყად,
 ყინული — ცეცხლად; ვით სანთელს,
 სიცხოვლის შიში ჩანავლავს...
 მზეს, შუადღისას ემაღვის
 და ჰგუობს უფრო — ჩამავალს...

* * *

— ბროწეულს მოგცემ, გახლიჩე,
 რამდენ მარცვალსაც დაითვლი,
 თითოში თითო კოცნას გთხოვ, —
 გამემტყუნება რაისთვის?!
 — მომწყდი, სულელო ჯეელო,
 მონახე სხვა მიამიტი;
 თითოში თითო კოცნაო? —
 მაგის უკეთესს რას იტყვი?!

* * *

ლამაზო, უფლის ქმნილებაგ,
 შენ მშობელ დედას დიდება!
 ცას შენი მსგავსი არც მზე და
 არც მთვარე დაეკიდება;
 შენ ხარ ზუალი, ყოველ დღე
 სისხამ დილით რო ბრწყინდება,
 ელინთ მხარეს რო ნათელი
 გაჰყაროს ღამის კირთებას.

* * *

ვიცი, რო იცი მრავალი
 სიმღერა, ოქროს ყალიბით,
 თქვი დღეის დღისა, ხალხისა,
 მდიდარისა თუ ღარიბის.
 ფრთხილად! ხო იცი, აუგი
 ხალხზე არასდროს არ ითქმის,
 მოგეხსენება — არც მწირზე,
 არ დამანუხრო ყარიბი.

* * *

გამოდი, გამოანათე,
 როგორც მზემ ცისკრის უბითა,
 ღრუბლით, ვით ელვა აპრილის
 გაკრთი ძუძუთი ტყუპითა;
 შენს ტრფობას ბევრი გადაჰყვა,
 ვის ეკრძალება უფლითა,
 მეც, შენი მეტრფე, მწირად მქმენ
 და გადამკარგე უბნიდან.

* * *

წითელი ბეჭდით მიმინო
 დღით სანადიროდ გავიდა...
 ჭრელ კაკაბს მისწვდა გარეულ
 მტაცებლის თვალი წამითა;
 კაკაბმა: „ვერას გახდები,
 მე ცნობილი ვარ ამითაც, —
 დღის ფრინველი რო არა ვარ,
 თუ მომიხელთებ — ღამითა!“

ჰერმან ჰესე

გერმანულიდან თარგმნა
ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა

ზიდჰარტა

რომანი

ნაწილი მეორე

თავი პირველი

კამალა

გზადმიმავალ ზიდჰარტას ყოველ ნაბიჯზე ელოდა შესაცნობელი, რადგან სამყაროს სახე ეცვალა და მისი გულიც მოხიბლულიყო. ხედავდა მზეს — ტყის კორომთა თავზე ამონვერილს და შორეულ პალმათა სანაპიროზე შთანთქმულს. ღამეულ ცაზე განრიგებულ მთიებს ხედავდა და ცალაჟვარდში ნავივით მიმცურავ ნამგალა მთვარეს. ხედავდა ხეებს, მნათობებს, ცხოველებს, ღრუბლებს, ცისარტყელებს, კლდეებს, მცენარეებს, ყვავილებს, ნაკადულსა და მდინარეს, დილით ბარდებზე აბრწყინებულ ცვარ-ნამს, შორეულ მაღალ მთათა სილურჯეს და სიფითრეს; ჩიტებიც გალობდნენ და ფუტკრებიც, ვერცხლისფრად ქროდა ქარი ბრინჯის ყანაში. ეს ყოველივე, მთელი ეს მრავალსახეობა და სიჭრელე, მუდამ არსებობდა, მუდამ ანათებდა მზე და მთვარე, მუდამ ჩქეფდა მდინარეები და ზუზუნებდნენ ფუტკრები, მაგრამ ადრე, ეს ყოველივე ზიდჰარტასთვის არა იყო რა, წარმავალი და მაცდური საფარველის გარდა, საეჭვო და არასანდო საბურველის გარდა, რომელიც მხოლოდ იმისთვის არსებობდა, რომ მისი მოჩვენებითობა გაეაზრებინათ და ამგვარად გაენადგურებინათ; რადგან არსი არ იყო, რადგან არსი ხილულობის მიღმა მყოფობდა. ახლა კი მისი თავისუფალი მზერა ამქვეყნიურზე შეჩერებულიყო, ხედავდა და შეიცნობდა ხილულს, ამქვეყნად ეძებდა სამშობლოს, არსს აღარ ეძებდა, იმქვეყნიურისკენ აღარ ისწრაფოდა. ღამაში იყო ქვეყნიერება, როცა უბრალოდ, ბავშვივით უმზერდი და არაფერს ეძებდი. მშვენიერი იყო მთვარე და ციური ეტლი, ნაკადული და ნაპირი, ტყე და კლდე, თხა და ოქროსფერი ხოჭო, ყვავილი და პეპელა. რა მშვენიერი და საამო იყო ქვეყნად ასე სიარული: გაფაციცებული, ახლომყოფისთვის გულგახსნილი, მიმნდობი ბავშვივით. სხვაგვარად აცხუნებდა მზე თავზე, სხვაგვარად აგრილებდა ტყის ჩრდილი, სხვა გემო ჰქონდა წყაროს წყალს და ნადგამს, გოგრას სხვა გემო ჰქონდა და ბანანს — სხვაგვარი. მოკლე იყო დღეები, ღამეებიც — მოკლე. ყოველი ჟამი იალქანივით სწრაფად მიქროდა და ქრებოდა ზღვაში და მასთან ერთად მიქროდა საუნჯით, სიხარულის აურაცხელი განძით სავსე გემი. გუმბათოვან ტყეში, ხეთა მაღალ კენწეროებში მხტუნავ მაიმუნთა მოდგმას ხედავდა და ესმოდა ველური, ხარბი სიმღერა. ხედავდა ვაცბოტისგან ოტებულ ნერბს და მათ შეწყვილებას, ლელიან ტბაში საღამოს სანადიროდ გამოსულ დამშეულ ქარიყლაპიას და დამფრთხალ, ზვირთქაფებში ზე-ქვე მსრბოლ, მოელვარე ლიფსიტებს, გუნდ-გუნდად რომ გაურბოდნენ ქარიყლაპიას და ძალისა და ჟინის მძლავრი სურნელი იფრქვეოდა დაუდგრომელი მონადირის მიერ დატრიალებული ჩქარი მორევებიდან.

ეს ყველაფერი მუდამ არსებობდა, მას კი არასდროს შეუმჩნევია, მისი წილხვედრი არ ყოფილა, ახლა კი ყოველთან წილნაყარი, ყოველივეს ნაწილი იყო. მის თვალეზე ედო გზა შუქსა და ჩრდილს, მის გულზე — ვარსკვლავსა და მთვარეს.

ზიდჰარტა გზადაგზა იხსენებდა იეტავანას ბაღში მომხდარსა და განცდილს, იქ მოს-

მენილ ქადაგებას, ღვთაებრივ ბუდას, გოვინდასთან გამოთხოვებას, ამაღლებულთან საუბარს, ის სიტყვებიც გაიხსენა, ამაღლებულს რომ გაუბედა: სიტყვასიტყვით გაიხსენა და გაოცებული ახლალა მიხვდა, რომ მაშინ დანამდვილებით არც იცოდა, რასაც ამბობდა; არ იცოდა, რაც მაშინ გაუტამას უთხრა, რომ ბუდას საუნჯე და საიდუმლო მისი მოძღვრება კი არ იყო, არამედ ის გამოუთქმელი და სხვებისთვის ვერგასაზიარებელი, ნათელფენის ჟამს თვითონ რომ განეცადა და გამოეცადა, სწორედ ეს იყო ის, რის განსაცდელადაც ახლა მიდიოდა, რასაც ახლა განიცდიდა: თავისი თავი უნდა განეცადა-გამოეცადა. რა ხანია იცოდა, რომ მისი თვითობა ატმანი იყო, მარადიული არსის მქონე, ვით ბრაჰმა, მაგრამ დანამდვილებით არასოდეს უპოვია ეს თვითობა, რადგან აზრის ბადით აპირებდა მის დაუფლებას. და თუ თვითობა არც სხეული იყო და არც გრძნობათა თამაში, არამც და არამც არ იყო ის არც აზროვნება და გონება, არც შესწავლილი სიბრძნე და არც დასკვნების გამოტანისა და ნააზრევიდან ახალ აზრთა დაქსელვის ნაცადი ხელოვნება. არა, აზრთა სამყაროც სააქაოს არსებობდა და არანაირი მიზნისაკენ არ მიუძღოდა მაშინაც კი, როცა გრძნობათა შემთხვევით მე-ს მოაკვდინებდნენ, მაგრამ სანაცვლოდ აზრთა და განსწავლულობის შემთხვევით მე-ს ასაზრდოებდნენ. ორივე, აზრი და გრძნობა, მშვენიერი საგანი იყო, საბოლოო აზრი ორივეს მიღმა იფარებოდა, ორივეს მოსმენა ღირდა, ორივესთან თამაში ისე, რომ არც ერთი მოგეძულებინა და არც მეორე, არც ერთისთვის მიგენიჭებინა უპირატესი მნიშვნელობა, მაგრამ მათი უშინაგანესი იდუმალი ხმებისთვის გესმინა. მხოლოდ იქით სწრაფვა ენადა ზიდჰართას, საითკენაც ხმა უბრძანებდა; მხოლოდ იქ სურდა შეჩერება, სადაც ხმა შეაჩერებდა. რატომ ჩამოჯდა გაუტამა, ჟამთა შორის უმაღლესი ჟამისას, ბოდჰის ხის ქვეშ, სადაც ნათელი მოეფინა? ხმა შემოესმა, საკუთარი გულის სიღრმიდან წამოსული ხმა, რომელიც უბრძანებდა ამ ხის ქვეშ მოედია განსასვენებელი და მანაც თვითგვემა, მსხვერპლი, განბანვა ან ლოცვა, საჭმელ-სასმელი, ძილი ან სიზმარი კი არ არჩია, არამედ ხმას დაემორჩილა.

აი, ასე დაემორჩილო შინაგან ხმას და არა გარე ბრძანებას, აი, ამგვარი მუდმივი მზადყოფნა იყო კარგი, ეს იყო აუცილებელი, სხვა არაფერი.

ღამით, როცა ერთი მებორნის ჩალის ქოხში ეძინა, ზიდჰართას ესიზმრა: გოვინდა იდგა მის წინ, ასკეტის ყვითელსამოსიანი, დაღონებული. ნაღვლიანად ჰკითხა გოვინდამ, — რატომ დამტოვეო? გადაეხვია გოვინდას, მკლავები შემოაჭდო, ხოლო როცა გულში ჩაიკრა და ეამბორა, გოვინდას ნაცვლად დედაკაცი შერჩა ხელთ, დედაკაცის სამოსიდან სავსე მკერდი მოღელავდა, ზედ ზიდჰართა დაჰკონებოდა და დასწაფებოდა: ტკბილი და მძაფრი გემო დაჰკრავდა ამ ძუძუთა რძეს. დედაკაცისა და მამაკაცის, მზისა და ტყის, ცხოველისა და ყვავილის, ყოველი ჯურის ნაყოფისა და ყოველნაირი ნეტარების გემო ჰქონდა, ათრობდა და გონებას უბინდავდა. ახლად გაღვიძებულმა ქოხის კარში მკრთალად მოციმციმე მდინარე იხილა. უღრან ტყეში ხმაშენყობილად ჟღერდა ზარნაშოს ყრუ დაძახილი.

ის დღე დაიწყო და ზიდჰართამ თავის მასპინძელ მებორნეს მდინარის გაღმა გაყვანა სთხოვა. მებორნემ ბამბუკის ტივით გადაიყვანა მდინარეზე, აისის შუქში წითლად ციმციმებდა ვრცელი წყალი.

— ლამაზი მდინარეა, — უთხრა მეგზურს.

— ჰო, — თქვა მებორნემ, — ძალიან ლამაზი მდინარეა, ყველაფერს მირჩევნია. ხშირად ვუსმენ, ხშირად ჩამიხედავს თვალეებში და ყოველთვის ვსწავლობ მისგან. ბევრი რამ შეიძლება ისწავლო მდინარისგან.

— მაღლობელი ვარ, ჩემო მწყალობელო, — უთხრა ზიდჰართამ, როცა მეორე ნაპირს მიადგნენ. ხელცარიელი გესტუმრე, საყვარელო, ვერც გასამრჯელოს გადაგიხდი. ერთი უსამშობლოო, ბრაჰმანის ვაჟი და განდეგილი ვარ.

— მაშინვე მივხვდი, — უთხრა მებორნემ, — არც საზღაურს ველოდი და არც საჩუქარს. მოვა დრო და გადამიხდი.

— ასე გგონია? — მხიარულად ჰკითხა ზიდჰართამ.

— უსათუოდ ასე იქნება. მდინარემ ესეც მასწავლა: ყველაფერი უკან ბრუნდება და შენც, განდეგილო, კვლავ დაბრუნდები. მშვიდობით იყავ, შენი მეგობრობა იყოს ჩემი გასამრჯელო. მომიხსენე, როცა ღმერთებს მსხვერპლს შესწირავ.

ლიმილით დაემშვიდობნენ ერთმანეთს. სახემლიმარი შეჰხაროდა ზიდჰართა მებორნესთან დამეგობრებას და მის კეთილგანწყობას.

— გოვინდას მაგონებს, — ფიქრობდა ლიმორეული, — ყველა, ვინც კი გზად შემომხვდება, გოვინდასა ჰგავს. ყველა მადლიერია, თუმცა მადლიერებას თვითონ უფრო იმსახურებენ. ყველა ხალისით გემსახურება, სიხარულით გმეგობრობს, ხალისით მოგყვება, დაუფიქრებლად, ბავშვები არიან ადამიანები.

სამხრის ჟამს მიაღწია ერთ სოფელს. ფაცხების წინ, ორლობეში, ბავშვები შეყრილიყვნენ, გოგრის თესლითა და ნიჟარებით კენჭაობდნენ, ყვიროდნენ და ყირას გადადიოდნენ. სოფლის ბოლოს გზა ნაკადულს ემიჯნებოდა. ნაკადულთან ყმანვილ ქალს ჩაემუხლა და კაბებს რეცხავდა. ზიდჰართას მისალმებაზე თავი ასწია და შესცინა თვალანთებულმა. ზიდჰართამ შორიდან დალოცა ქალი, როგორც მგზავრებს სჩვევიათ და ჰკითხა, დიდ ქალაქამდე კიდევ შორი გზა ჰქონდა თუ არა. ქალი წამოდგა, მიუახლოვდა, ნორჩ სახეზე მიმზიდველად ციმციმებდა ნოტიო ბაგე, შეეხუმრა ზიდჰართას, ჰკითხა, ხომ არ შიოდა, ან მართალი იყო თუ არა, რომ სამანებს განმარტოებით ეძინათ ტყეში და ქალთან სიახლოვე ეკრძალებოდათ. თან მარცხენა ფეხით მის მარჯვენა ფეხს შეეხო და ტანი ისე შეარხია, როგორც ქალებს სჩვევიათ, როცა მამაკაცს სატრფიალოდ ინვევენ: ამ გამომწვევ მოძრაობას სამიჯნურო წიგნებში „ხედ ასვლა“ ეწოდება. ზიდჰართამ სისხლის თბილი დინება იგრძნო, უცებ სიზმარი გაახსენდა, ქალისკენ გადაიხარა და ყავისფერი კერტები დაუკოცნა, წარბქვემად ახედა და ნდობით მლიმარი, სურვილისგან თვალმილული სახე იხილა.

ზიდჰართასაც მოეძალა სურვილი, ჟინი იგრძნო, ვნებამ იფეთქა, მაგრამ შეყოვნდა წამით, რადგან ქალს არასდროს გაჰკარებოდა, თუმცა ხელები ქალის შესახებად ჰქონდა შემართული. და იმწამიერ, დამზაფრავი შინაგანი ხმა შემოესმა, ხმა, რომელიც უარს ამბობდა. ყმანვილი ქალის მლიმარ სახეს მყის ჩამოსცილდა ყოველი ხიბლი, ზიდჰართა ახლა მხოლოდ ვნებააშლილი ძუ ქალის დანისლულ მზერას ხედავდა. ღანვზე სათუთად მიეფერა, განერიდა სახტად დარჩენილს და სწრაფად გაუჩინარდა ბამბუკის ქალაში.

იმავე დღეს, შებინდებამდე მიაღწია დიდ ქალაქს და სიხარულმა აიტანა — ადამიანებთან ყოფნა მოსწყურებოდა. დიდხანს ცხოვრობდა ტყე-ღრეში, მებორნის ჩალის ქოხი ერთადერთი თავშესაფარი იყო, რომლის ჭერქვეშ ხანგრძლივი მიუსაფრობის შემდეგ გაათია ღამე.

ქალაქის შესასვლელთან, ერთ შემოღობილ წარმტაც წალკოტთან, კალათებით დატვირთულ მსახურთა და მოახლეთა ამაღლა შემოხვდა. მორთულ ტახტრევანზე, ოთხ მსახურს რომ მიჰქონდა, ჭრელ ჩარდახქვეშ, წითელ ყურთბალიშებზე ქალი იჯდა, მსახურთა ქალბატონი.

ზიდჰართა სიამის წალკოტთან შეჩერდა და მსვლელობას მიაჩერდა. ხედავდა მსახურებს და მოახლეებს, კალათებს, ტახტრევანს და ქალბატონს იმ ტახტრევანზე; შავი თმის ზვინულქვეშ ძალზე ნათელ, ძალზე ნაზ, ძალზე გონიერ სახეს, ახალგაპობილი ლეღვივით ალისფერ ბაგეს, გამოქნილ და ყალმით ნახატ წარბთა რკალს, ჭკვიან და ფხიზლად მზირალ შავ თვალებს, მწვანე და ოქროსფერი ზესამოსიდან აღერილ ყარყარა ყელს, მშვიდად დაშვებულ თლილ და თხელ ხელებს და მაჯებზე ასხმულ ოქროს სამაჯურებს.

ხედავდა და ახარებდა მისი მშვენიერება, როცა ტახტრევანი მიუახლოვდა, მოწინებით დაუკრა თავი ქალბატონს, მერე გასწორდა და მის ნათელ, ტურფა სახეს შეაცქერდა, წამიერ ჩახედა ჯილა წარბებიან ჭკვიან თვალებში, აქამდე უცნობი, უცხო სურნელი შეისუნთქა. პირმცინარმა ღამაზმა ქალმა თავი დაუკრა და წალკოტში გაუჩინარდა, მსახურებიც კვალდაკვალ მიჰყვნენ.

— კეთილი ნიშნით შევდივარ ქალაქში, — გაიფიქრა ზიდჰართამ. გულმა წალკოტისკენ გაუნია, იმავე წამს ბაღში შესვლა მოუნდა, მაგრამ გონს მოეგო. ახალა მიხვდა, ათვალწუნებით, ამრეხით და ეჭვის თვალთ რად შეხედეს მსახურებმა და მოახლეებმა შესასვლელთან მდგარ ყარიბს.

— მე ჯერ კიდევ განდეგილი ვარ და მათხოვარი სამანა. აღარას მარგებს ამაღ ყოფნა, წალკოტშიც არ შემესვლება, — გაიფიქრა და გაეცინა.

პირველივე შემხვედრს გამოჰკითხა წალკოტისა და ქალის ამბავი და შეიტყო, რომ სია-

მის ეს ბალნარი ჰეტერა კამალას ეკუთვნოდა, რომელსაც ამ ბალნარის გარდა სხვა სახლიც ჰქონია ქალაქში.

ამის შემდეგ შევიდა ქალაქში, ახლა უკვე მიზანი დაესახა.

მიზანს ადევნებული მიჰყვებოდა შუკების შენაკადებს, მოედნებზე ჩერდებოდა, მდინარის პირას, ქვის საფეხურებზე ისვენებდა. საღამო ხანს დალაქის ერთ შეგირდს დაუმეგობრდა, რომელიც პირველად კონკის ჩრდილქვეშ მოფუსფუსე იხილა, მერე ვიშნუს ტაძარში გადაეყარა, სალოცავად მისულს და ვიშნუსა და ლაკშმის ამბავი მოუთხრო. ის ღამე მდინარის პირას, ნავებთან გაათია და დილაადრიან, ვიდრე დალაქს მუშტრები მოუმრავლდებოდნენ, სადალაქოს მიადგა. დალაქის შეგირდმა წვერი გაპარსა, თმა შეჭრა, დავარცხნა და ნელსაცხებელიც შეაზილა. მერე მდინარეს მიაშურა და იქ განიბანა.

ნაშუადღევს, როცა კეკლუცი კამალა ამაღლასთან ერთად ბაღს უახლოვდებოდა, ზიდჰართა უკვე ბაღის ქიშკართან ელოდა. მდაბალი საღამი უძღვნა კამალას და საღამზე სალმითვე უპასუხეს. მსახურს, სულ ბოლოს რომ მიჰყვებოდა ამაღლას, ზიდჰართამ თავისთან უხმო და სთხოვა ქალბატონისთვის მოეხსენებინა, რომ ახალგაზრდა ბრამანს მასთან საუბარი სურდა. მსახური მალე დაბრუნდა, ჩუმად ანიშნა ზიდჰართას, თან გაჰყოლოდა და უხმოდ შეუძღვა ფანჩატურში, ტახტზე ნებიერად მიწოლილ კამალასთან მიიყვანა და მარტო დატოვა.

— შენ არ იყავი, გუშინ გარეთ რომ იცდიდი და მომესალმე? — ჰკითხა კამალამ.

— მართალია, გუშინ გნახე და მოგესალმე.

— მაგრამ გუშინ წვეროსანი, გრძელ თმებზე მტვერნაყრილი გლახა იყავი.

— ეგეც მართალია, მახვილი თვალი გქონია; შეგიმჩნევია ზიდჰართა, ბრამანის ვაჟი, განდეგილობის გამო სამშობლო რომ მიატოვა და სამი წელი დაჰყო სამანებს შორის. ახლა ის გზაც მივატოვე, ამ ქალაქში მოვედი და პირველი ადამიანი, ქალაქში შემოსვლამდე რომ შემხვდა, შენ იყავი, ამის სათქმელად გეახელი, კამალა! შენ ხარ ქალთაგან პირველი, ვისაც ზიდჰართა თვალდაუხრელად ესაუბრება. ამიერიდან აღარა მსურს თვალი ავარიდო ტურფა ქალს.

კამალამ გაიღიმა და ფარშევანგის ფრთებიანი მარაო შეათამაშა ხელში, ჰკითხა:

— მხოლოდ ამის სათქმელად მოვიდა ჩემთან ზიდჰართა?

— ეს უნდა მეთქვა და მადლობა გადამიხადა, რომ ასეთი მშვენიერი ხარ. თუ არ გამინყრები, კამალა, მინდა გთხოვო, ჩემი მეგობარი და მასწავლებელი გახდე, რადგან არაფერი გამეგება იმ ხელოვნებისა, რომლის დიდოსტატიც შენ ხარ.

ხმამალა გადაიკისკისა კამალამ.

— ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა, მეგობარო, ცოდნის მისაღებად ჩემთან მოსულიყო ტყიური, დაფლეთილ-დაძონძილსაცვლიანი სამანა. მრავალი ჭაბუკი დაიარება კამალასთან, ბრამანის ვაჟებიც მრავლად არიან, მაგრამ ლამაზად მოკაზმულნი, ძვირფას ნაღებში გამონყობილნი მოდიან. თმაში უხვად აქვთ ნელსაცხებელი და ქისაში — ფული. აი, ასეთნი არიან, განდეგილო, ის ჭაბუკები, კამალასთან სტუმრად რომ იარებიან.

ზიდჰართამ უთხრა:

— უკვე ვსწავლობ შენგან და გუშინაც ბევრი რამ ვისწავლე: წვერი გავიპარსე, თმა დავივარცხნე, ნელსაცხებელიც მაცხია თმაზე, მცირე რამ მაკლია, უდარებელი: ლამაზი სამოსი, ლამაზი ხამლები და ფულით სავსე ქისა. უფრო ძნელად მისაწვდომიც დაუსახავს მიზნად ზიდჰართას, ამ წვრილმანებზე უფრო მიუღწეველი მიზნისთვისაც მიუღწევია. როგორ შეიძლება არ მივალწიო მიზანს, რომელიც გუშინ დავისახე და ესოდენ სანუკვარია ჩემთვის: მინდა შენი მეგობარი გავხდე და სიყვარულით მონიჭებული სიხარული შევიცნო. ნიჭიერ მონაფეს იხილავ, კამალა. ბევრი რამ მისწავლია იმაზე ძნელი, რაც შენ უნდა მასწავლო, მაგრამ ვხედავ, ისეთი ზიდჰართა არ გაკმაყოფილებს, როგორიც არის — ნელსაცხებლიანი, თუმცა ტანთიჩაუცმელი, ფეხშიშველი და ჯიბეცარიელი.

— არა, — სიცილით შესძახა კამალამ, — ასეთ ზიდჰართას არ დავჯერდები. ტანსაცმელი უნდა გქონდეს ძვირფასი და ნაირ-ნაირი, ნაღები, კოხტა ნაღები, ფულით სავსე ქისა და საჩუქრები კამალასთვის. გაიგე, რაც გითხარი, განდეგილო, კარგად დაიმახსოვრე?

— კარგად დავიმახსოვრე, — მიუგო ზიდჰართამ, — განა ძალმიძს დავივინყო ის, რასაც შენი ბაგე წარმოთქვამს?! ახალგადახსნილ ლელვს მაგონებს შენი ბაგე, კამალა. ჩემი ბაგეც ნორჩია და წითელი, თავადაც ნახავ, როგორ მოერგება შენს ბაგეს. მაგრამ მითხარი, ტურფა კამალავ, ოდნავადაც არ გაშინებს ტყიური განდეგილი, სიყვარულის დასაუფლებლად შენთან მოსული განდეგილი?

— რად უნდა მეშინოდეს განდეგილის, ტყიდან გამოქცეული სულელი განდეგილის, ტურების მეტი რომ არაფერი უნახავს და არც ქალების გაეგება რამე?!

— რომ იცოდე, რა ღონიერია და რა უშიში, ტურფა ასულო. ვაითუ ძალით დაგეუფლოს, გაგიტაცოს და გატკინოს.

— არა, განდეგილო, ეგ არ მაშინებს. განა სამანას ანდა ბრაჰმანს ეშინია, რომ შეიძლება ვინმემ შეიპყროს და ძალით წაართვას განსწავლულობა, სათნოება ანდა ღრმა აზროვნების უნარი? არა, რადგან მას ეკუთვნის ყველა უნარი და თვითონვე გასცემს გასაცემად რაც ემეტება და იმას გადასცემს, ვისთვისაც ემეტება. მართალს ვამბობ, რადგან კამალაც ასე იქცევა, როცა სიყვარულს გასცემს. წარმტაცი და წითელია კამალას ბაგე, მაგრამ სცადე და აკოცე მისი ნების გარეშე და წვეთ სიტკბოსაც არ გაღირსებს ნაცადი ბაგე, რომელსაც ნეტარების უშურველად გაცემა შეუძლია. ნიჭიერი შეგირდი ხარ, ზიდჰართა, და უნდა ისწავლო: სიყვარული შეიძლება გინყალობონ, მოგყიდონ, გიძღვნან, ორლობეში იპოვო, მაგრამ სიყვარულს ვერ მოიპარავ. ეგ მცდარი გზაა. დასანანი იქნებოდა, შენნაირ მშვენიერ ჭაბუკს მცდარი გზით რომ ეცადა სიყვარულის მოპოვება.

ზიდჰართამ ღიმილით დაუკრა თავი.

— დასანანი იქნებოდა, კამალა, მართალი ხარ, ძალზე დასანანი იქნებოდა. არა, არ მსურს დავკარგოთ სიტკბოების თუნდ ერთი წვეთი მე — შენი, შენ კი ჩემი ბაგიდან. თანახმა ვარ, ზიდჰართა მაშინ დაბრუნდება, როცა ექნება ყველაფერი, რაც ახლა არ აქვს: ტანისამოსი, ნაღები, ფული, მაგრამ ერთსაც ხომ ვერ მიჩრჩევდი, კამალა?

— რატომაც არა, რჩევაზე უარს ვინ ეტყვის უმეცარ, საცოდავ განდეგილს, ტყიდან ტურებს რომ გამოქცევიან?

— მიჩრჩიე, სანატრელო კამალავ, სად წავიდე, სად მოვიპოვო უსწრაფესად ის სამი რამ, რაც ჯერ არ გამაჩნია.

— ბევრს სწავლია ამის შეტყობა, მეგობარო. ის უნდა აკეთო, რაც გისწავლია და საზღაურად ფული, სამოსი და ნაღები მოითხოვო. ღარიბ-ღატაკი სხვანაირად ფულს ვერ იშოვის. მაინც რა იცი, რა შეგიძლია?

— ფიქრი, ლოდინი და მარხვა შემიძლია.

— სულ ეს არის?

— სულ ეს არის, თუმცა ლექსების შეთხზვაც მეხერხება. ლექსს გიძღვნი, თუ მაკოცნინებ.

— გაკოცნინებ, თუკი ლექსი მომეწონება. თქვი შენი ლექსი!

მცირე ხნის ფიქრის შემდეგ ზიდჰართამ ეს სტრიქონები წარმოთქვა:

ჩრდილუხვ ბაღნარში როს შევიდა ტურფა კამალა,

ჭიშკართან უცხო, გარუჯული ნახა სამანა.

ქედდადრეკილი თაყვანს სცემდა ლოტოსის სადარს

და პირმცინარი უმადლოდა კობტა კამალა.

საამურია, ბევრად უფრო საამურია, — ღმერთებს

კი არა, — მსხვერპლი უძღვნა კეკლუც კამალას.

კამალამ ისე ხმამაღლა შემოჰკრა ტაში, რომ მის მაჯებზე ოქროს სამაჯურები აწკრილდა.

— მშვენიერია შენი ლექსი და გულწრფელი, გარუჯულო სამანავ, არც არაფერი დამაკლდება, ერთხელ რომც გაკოცნინო.

მზერით მიიზიდა კამალამ, სახე შეაგება ზიდჰართამ, ლელვივით ნორჩ ბაგეზე დაეკონა.

დიდხანს ჰკოცნიდა კამალა. გულშეძრული და გაკვირვებული ზიდჰართა გრძნობდა, როგორ ასწავლიდა ქალი, რაოდენ ბრძენი იყო, როგორ ფლობდა, როგორ უკუაგებდა და კვლავ იზიდავდა, ხოლო ამ პირველი კოცნის მიღმა კარგად ნაცად, განსხვავებულ კოცნათა სიმრავლე იმალებოდა და მას ელოდა. სუნთქვაშეკრული იდგა, თვალწინ გადაშლილი უსაზღვრო ცოდნითა და ჯერაც შესაცნობის უსამანობითა და სისავსით გაოგნებულ ბავშვს ჰგავდა.

— ძალზე მშვენიერია შენი ლექსი, — წამოიძახა კამალამ, — მდიდარი რომ ვიყო, ოქროს გაჩუქებდი, მაგრამ ლექსებით ვერ იშოვი იმდენ ფულს, შენ რომ გჭირდება, რადგან, თუ კამალასთან მეგობრობა გსურს, ბევრი ფული უნდა გქონდეს.

— რანაირი კოცნა შეგძლება, კამალა, — წაილულულა ზიდჰართამ.

— ჰო, ეს ნამდვილად მეხერხება. ამიტომაც არ მაკლია კაბები, ქოშები, სამაჯურები და ლამაზი ნივთები. შენ რაღას იზამ? ფიქრის, მარხვის და ლექსების შეთხზვის გარდა არაფერი რომ არ გეხერხება?

— ფსალმუნებიც ვიცი, — თქვა ზიდჰართამ, — მაგრამ აღარასოდეს ვიმღერებ. შელოცვაც ვიცი, მაგრამ აღარასოდეს შევულოცავ. წიგნებიც წამიკითხავს!..

— მოიცა, — შეაწყვეტინა კამალამ, — წერა-კითხვა იცი?

— რა თქმა უნდა, ვიცი. წერა-კითხვის მცოდნენიც არსებობენ.

— ბევრმა არ იცის. არც მე ვიცი. კარგია, რომ შეგიძლია, ძალიან კარგი. შელოცვების ცოდნაც გამოგადგება.

ამ დროს მოახლემ მოირბინა და ქალბატონს ჩურჩულით რაღაც მოახსენა.

— სტუმარი მენვია, — წამოიძახა კამალამ, — იჩქარე და გაუჩინარდი, ზიდჰართა, არავინ დაგინახოს! ხვალ ისევ გნახავ!

მოახლეს უბრძანა სათნო ბრატმანისთვის თეთრი მოსასხამი ებოძებინა. ზიდჰართა ანგარიშმიუცემლად მიჰყვა მოახლეს, რომელმაც ბილიკების ლაბირინთიდან ფანჩატურში შეიყვანა, მოსასხამი უბოძა, ბუჩქნარში შეუძღვა და გააფრთხილა, სწრაფად და შეუმჩნეველად გასცლოდა იქაურობას.

ნაბრძანები კმაყოფილებით აღასრულა. ტყეს შერჩეულ განდევილს ბალიდან შეუმჩნეველად გაპარვა არ გასჭირვებია. მესერს გადაევიდა და მოსასხამით ხელში დაბრუნდა ქალაქში. ერთი ფუნდუკის კართან შეჩერდა, ჩუმად ითხოვა საჭმელი, ჩუმადვე გამოუტანეს ერთი ნაჭერი ბრინჯის ღვეზელი — ხვალიდან, იქნებ, აღარც დამჭირდეს მათხოვრობაო, — გაიფიქრა ზიდჰართამ.

სიამაყემ გაიღვიძა და უცებ იმძლავრა მასში, სამანა აღარ იყო, აღარ უნდა ემათხოვრა. ძალს მიუგდო ბრინჯის ღვეზელი და იმომშვილა.

— რა უბრალოდ ცხოვრობენ ამქვეყნად, — ფიქრობდა ზიდჰართა, — ცხოვრება რთული არ არის. განდევილობისას კი ძნელი, მძიმე და უიმედო მეგონა. ახლა ყველაფერი იოლია, კამალას ჩატარებული კოცნის გაკვეთილივით იოლი. სამოსი და ფული მჭირდება, სხვა არაფერი. ეს პატარა და მალევე მისაღწევი მიზნები ძილსაც ვერ დაურღვევს ადამიანს. კამალას სახლის ადგილსამყოფელი ქალაქში უკვე იცოდა და მეორე დღესვე იქ გაჩნდა.

— საქმე კარგად მიდის, — დანახვისთანავე ახარა კამალამ, — კამასვამი გელოდება, ამ ქალაქის უმდიდრესი სოვდაგარი. თუ მოენონე, სამსახურს მოგცემს. ჭკუით იყავი, გარუჯულო სამანავ, სხვებს ვაამბობინე შენი ამბავი. კეთილად მოექეცი, რადგან დიდ ძალაუფლებას ფლობს, მაგრამ ნურც ზედმეტად დაუხრი თავს. მისი მსახური კი არა, მისი ტოლ-სწორი უნდა გახდე, თუ არა და ჩემს გულს ვერ მოიგებ. კამასვამი საცაა დაბერდება, სიმყუდროვე მოესურვება და თუ მოენონე, ბევრ რამეს განდობს.

ზიდჰართამ მადლობა გადაუხადა და გაიცინა, ხოლო როცა კამალამ შეიტყო, რომ გუშინდლიდან არაფერი ეჭამა, მხევალს პური და ხილი მოატანინა და თვითონ გაუმასპინძლდა.

— ბედი გქონია, — უთხრა ზიდჰართას დამშვიდობებისას, — შენს წინ ყველა კარი იღება. მაინც რისი ბრალია, რა თილისმა გაქვს ასეთი? მიუგო ზიდჰართამ: — გუშინ გითხარი, რომ ფიქრი, ლოდინი და მარხვა შემიძლია, შენ კი ყურადაც არ იღე ჩემი ნათქვამი, მალე

მიხვდები, კამალა, რად ღირს ეს ყველაფერი. იმასაც ნახავ, რომ ტყიურმა, სულელმა სამანებმა ბევრი კარგი რამ იციან და ბევრი ისეთი რამ შეუძლიათ, რაც თქვენ არ გეხერხებათ. გუშინნინ მტვერში ამოგანგლული მათხოვარი ვიყავი, გუშინ უკვე კამალას ვკოცნიდი, მალე სოვდაგარი გავხდები, ფულსაც ვიშოვნი და შენთვის სასურველი ყველა ნივთი მექნება.

— მართალია, — დაეთანხმა კამალა, — მაგრამ უჩემოდ რას გახდებოდი, რა გემშველბოდა, კამალა რომ არ დაგხმარებოდა?

— სასურველო კამალა, — უთხრა ზიდჰართამ და წამოიმართა, — შენთან მოსვლით პირველი ნაბიჯი გადავდგი. განვიზრახე მშვენიერი ქალისაგან მესწავლა სიყვარული. გადავწყვიტე და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ საწადელს მივალწვედი. ვიცოდი, რომ დამეხმარებოდი, უკვე მაშინ ვიცოდი, ბალის ჭიშკართან ატუზულმა, პირველად რომ შემოგხედე.

— რომ არ მესურვა?

— ხომ დამეხმარე. ხედავ, კამალა, რა სისწრაფით ეშვება ფსკერზე წყალში ნასროლი ქვა. ზიდჰართაც ასევე იქცევა, როცა მიზნის მიღწევას ცდილობს. არაფერს აკეთებს, იცდის, ფიქრობს, მარხულობს და ქვეყნიურ საგანთა შორის წყალში გადაგდებულ ქვასავით იძირება. არაფერს მოიმოქმედებს, არ იძვრის. მიზიდულობის ძალას ემორჩილება და ეცემა. მიზანი თვითონ იზიდავს თავისკენ, რადგან სულში არ შეუშვებს რაიმე ისეთს, რაც მის მიზანს ხელს შეუშლის და შეაბრკოლებს. ზიდჰართამ ეს განდეგილებისგან ისწავლა, ამას არქმევენ უმეცარნი ჯადო-თილისმას და დემონების ნამოქმედარი ჰგონიათ. დემონები ვერაფერზე ზემოქმედებენ, დემონები არ არსებობენ. ჯადოსნობა ყველას შეუძლია, ყველა შეძლებს მიზნის მიღწევას, თუ იფიქრებს, თუ მოიცდის, თუ იმარხულებს.

კამალა უსმენდა. უყვარდა მისი ხმა, მისი მზერა უყვარდა.

— იქნებ ასეც იყოს, — უთხრა ჩუმად, — იქნებ მართალიც იყო, მეგობარო, მაგრამ ზიდჰართა პირმშვენიერი მამაკაცია, ქალებს მოსწონთ მისი მზერა და შეიძლება ამიტომაც უღიმის ბედი.

ზიდჰართა ეამბორა და დაემშვიდობა: — დე, ასე იყოს, ჩემო მასწავლებელო, მუდამ მოგწონებოდეს ჩემი მზერა, არასდროს მომკლებოდეს შენგან მონიჭებული ბედნიერება.

ბავშვ-აღამიანებს შორის

ზიდჰართა სოვდაგარ კამასვამისთან მივიდა, მდიდრული სახლი მიესწავლებინათ, მსახურები ძვირფასი ფარდაგებით მორთულ ტალანში მიუძღვოდნენ მოსაცდელი დარბაზისკენ, სადაც სახლის პატრონს უნდა შეხვედროდა.

კამასვამი შემოვიდა, მკვირცხლი, მოქნილი, თმაში ჭალარაშეპარული, თვალგამჭრიახი, დაკვირვებული, ბაგვენებიანი. სტუმარ-მასპინძელი გულლიად მიესალმა ერთმანეთს.

— ასე მითხრეს, ბრაჰმანია, სწავლული კაცი, მაგრამ სამსახურს ვაჭართან ეძებსო. რა გაგჭირვებია, ბრაჰმანო, ვაჭრის სამსახურში ჩადგომა რომ გადაგინწყვეტია?

— გაჭირვებული არ გეგონო, — მიუგო ზიდჰართამ, — გაჭირვებაში არც არასოდეს ჩავვარდნილვარ; იცოდე, რომ განდეგილი ვიყავი, დიდხანს ვცხოვრობდი სამანებთან ერთად.

— განდეგილი და სამანა თუ იყავი, გაჭირვებული როგორ არ იქნები. სამანებს ხომ არაფერი აბადიათ?

— შენ რასაც გულისხმობ, უქონლობა თუ იმას ჰქვია, მაშინ მართლა უპოვარი ვყოფილვარ. მართლა არაფერი მაბადია, მაგრამ ჩემი სიღარიბე ნებაყოფლობითია, ამიტომ ზიდჰართას ღარიბი არ ეთქმის.

— რით ისულდგმულე, განა სილატაკე გასაზრდოებს?

— ამაზე არასდროს მიფიქრია, ბატონო, სამ წელზე მეტი ხანს დავყავი სილატაკეში და სარჩო-საბადებელზე არ მიფიქრია.

- ალბათ, სხვების ქონებით ირჩენდი თავს.
- ასეც რომ იყოს, განა თქვენ, ვაჭარებიც სხვის ხარჯზე არ ცხოვრობთ?
- მართალს ბრძანებ, თუმცა ვაჭარი მუქთად არავის არაფერს ართმევს, სანაცვლოდ თავის საქონელს გასცემს.
- აი, თურმე რა ხდება: ყველა იღებს, ყველა გასცემს. ცხოვრება აღებმიცემობა ყოფილა.
- ნება მიბოძე გკითხო: უქონელსა და უპოვარს გასაცემი რა გაგაჩნია?
- ყველა იმას გასცემს, რასაც ფლობს: მეომარი — ძალას, ვაჭარი — საქონელს, მოძღვარი — მოძღვრებას, გლეხი — ბრინჯს, მეთევზე — თევზს.
- სწორია, შენ რა გაქვს გასაცემი, რა გაბადია, რა იცი, რა გისწავლია, ან რა გეხერხება?
- ფიქრი შემიძლია, ლოდინი და მარხვა.
- სულ ეს არის?
- მგონი, სულ ეს არის!
- მერე მარხვა რას გვარგებს, რა ხეირია?
- რას გვარგებს, ბატონო, და სარჩო-საბადებელს მოკლებული მარხვა საუკეთესო გამოსავალია. ზიდჰართას, მარხვის შენახვა რომ არ ესწავლა, შიმშილი დღესვე აიძულებდა, შენთან ან სხვასთან, მსახურად დამდგარიყო. ახლა კი შეუძლია მშვიდად დაიცადოს, მისთვის უცხოა დაუთმენლობა, არ იცის გაჭირვება, დიდხანს უძლებს შიმშილის შემოტევას და შიმშილს დასცინის კიდეც. აი, რას გვარგებს მარხვა, ბატონო.
- სიმართლეს ამბობ, განდეგილო, დამელოდე.
- კამასვამი გავიდა, ქალაქის გრაგნილი შემოიტანა, სტუმარს გაუნოდა და ჰკითხა:
- აბა, თუ წაიკითხავ?
- ზიდჰართამ გრაგნილი გაშალა და დააკვირდა. ზედ სავაჭრო გარიგება დაენერათ, შინაარსი ხმამაღლა წაუკითხა.
- დიდებულია, — უთხრა სოვდაგარმა, — ახლა ამ ფურცელზე რამე დამინერე.
- ფურცელი და ქვა-კალამი გაუნოდა. ზიდჰართამ რალაც დაწერა და ფურცელი დაუბრუნა.
- კამასვამმა წაიკითხა: „წერა კარგია, ფიქრი — უკეთესი, ჭკუა კარგია, მოთმინება — უკეთესი“.
- სანიმუშოდ წერ, — შეაქო სოვდაგარმა. — სათქმელს რა გამოლევს, მაგრამ დღეს სტუმრად მიგიღებ და გთხოვ, ჩემს სახლში დარჩე.
- ზიდჰართამ მადლობა გადაუხადა, მიპატიჟება მიიღო და სოვდაგრის სახლში დაბინავდა. ნაირ-ნაირი სამოსი და წაღები მიაერთვეს, მსახური აბაზანას ყოველდღე უმზადებდა. დღეში ორჯერ გულუხვად უმასპინძლებოდნენ, თუმცა ზიდჰართა მხოლოდ დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამდა. ხორცეულსა და სასმელს კი პირს არ აკარებდა. კამასვამი ვაჭართა საქმიანობას აცნობდა, ქარვასლებსა და დაგროვილ დოვლათს აჩვენებდა, ანგარიშს ასწავლიდა; მრავალ სიახლეს გაეცნო ზიდჰართა, მეტწილად უსმენდა, ნაკლებს ლაპარაკობდა. კამასვამს დარიგებას იხსენებდა, სოვდაგარს ფეხქვეშ არ გაგებია, თავი ისე ეჭირა, რომ ტოლსწორივით, ტოლსწორზე უკეთესად მოჰყრობოდა. კამასვამი გულდასმითა და გატაცებით საქმიანობდა. ზიდჰართასთვის კი ყველაფერი თამაში იყო, თამაში, რომლის წესებიც ზედმინევნით უნდა ესწავლა, თავად საქმიანობა კი გულზე არ ეკარებოდა.
- კამასვამის სახლში დაბინავებიდან არც ისე დიდი ხანი გამოხდა, ზიდჰართა კი უკვე სახლის პატრონის საქმეებს უძღვებოდა. ყოველდღე, დათქმულ დროს, ლამაზ სამოსსა და კოხტა წაღებში გამოწყობილი, მშვენიერ კამალასთან მიდიოდა სტუმრად, ცოტა ხანში კი, საჩუქრებით ხელდამშვენებულიც ეახლა. რას არ ასწავლიდა კამალას წითელი, ჭკვიანი ბაგე. რას არ ასწავლიდა მისი ნაზი, მოქნილი ხელი; ასწავლიდა ზიდჰართას, სიყვარულში ჯერ გაუნაფავს, ვნებაში, როგორც უფსკრულში, ბრმად და დაუოკებლად დანთქმას რომ ლამობდა; სიყვარულის მოძღვრებას ძირის-ძირობამდე შეასწავლიდა; უკვე გაეგო, რომ ნეტარებას ვერ ეზიარები, თუ ნეტარებას არ აზიარებ, რომ ყოველი ჟესტი, ყოველი მოფე-

რება, ყოველი შეხება და გამოხედვა, სხეულის ყოველი უმცირესი ნაკვთი საიდუმლოს ფარავდა და ვინც ამ საიდუმლოს ამოხსნას შეძლებდა, ბედნიერებასაც ის ეზიარებოდა; ისიც ისწავლა, რომ მიჯნურებს, სიყვარულის დღესასწაულის შემდეგ, ერთმანეთით აღტაცებისა და ერთიმეორისადმი სიყვარულის გამოუხატავად დაშორების უფლება არ ჰქონდათ; ერთმანეთის წინაშე თავი დამარცხებულადაც უნდა სცნოთ და გამარჯვებულადაც, რათა არც ერთ მიჯნურს არ დაუფლებოდა მადლისობის ან სიცარიელის განცდა, ანდა უკეთური შეგრძნება იმისა, რომ მოიხმარა ან მოიხმარეს. საოცრება იყო მშვენიერ და ჭკვიან ხელოვანთან გატარებული ყოველი წამი; ზიდჰართა კამალას შეგირდად, მეტრფედ და მეგობრად იქცა. აქ, კამალასთან ერთადყოფნაში იპოვნა ამჟამინდელი ცხოვრების ფასი და აზრი და არა კამასვამის სავაჭრო საქმიანობაში.

სოვდაგარმა მნიშვნელოვანი წერილებისა და გარიგებების შედგენა მას მიანდო და მნიშვნელოვან საქმეებზე მასთან თათბირი ჩვეულებად ექცა. მალე მიხვდა, რომ ზიდჰართას ბრინჯისა და ბამბის, ნაოსნობისა და ვაჭრობის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იღბლიანი ხელი ჰქონდა და მას, სოვდაგარს, სიმშვიდითა და უშფოთველობით სჯობნიდა, უცხო ადამიანების მოსმენა-გაგების ხელოვნებაში კი უპირატესობასაც ფლობდა.

— ეს ბრაჰმანი, — უთხრა ერთხელ თავის მეგობარს, — ნამდვილი ვაჭარი არ არის და ვერც ვერასდროს გახდება, რადგან საქმეს ჟინით არასდროს ეძლევა. სამაგიეროდ, იმ ადამიანთა საიდუმლოს ფლობს, ვისთანაც, ქუდბედიანობის, კეთილი ვარსკვლავის თუ სხვა რამ ჯადოსნობის წყალობით, წარმატება თავისით მოდის; ეს სხვა რამ, ალბათ, განდევილებთან შეისწავლა. საქმეს თითქოს ეთამაშება, ვერანაირი საქმე ვერ შეაღწევს მის გულში, ვერ დაეუფლება, არც მარცხი აშინებს, არც არანაირი დანაკარგი.

მეგობარმა ვაჭარს ურჩია:

— შენთვის შესრულებული ყოველი საქმიდან, მოგების მესამედი, მიეცი, დანაკარგის შემთხვევაში კი დაე, თავისი წილიდან ზღოს ზარალი. ასე უფრო მონადინებით იშრომებს.

კამასვამი მეგობრის რჩევას დაჰყვა, მაგრამ ზიდჰართას არც ამაზე უნაღვლია. მისთვის მოგება და წაგება სულ ერთი იყო; მშვიდად ხვდებოდა მოგებას, წააგებდა და იტყოდა ხოლმე: — რას იზამ, ხელი მოგვეცარაო!

ისე იქცეოდა, თითქოს არაფრად აგდებდა საქმეს. ერთხელ, ერთ სოფელში, ბრინჯის უხვი მოსავლის შესასყიდად გაემგზავრა. იქ რომ ჩავიდა, ბრინჯი გაყიდული დაუხვდა, სხვა სოვდაგარს დაესწრო მისვლა. ზიდჰართა კი იმის ნაცვლად, მალევე გამობრუნებულიყო, რამდენიმე დღით შეყოვნდა სოფელში. გლეხებს ხელგაშლილად უმასპინძლა, მათი შვილები ფულით დაასაჩუქრა, იქაურების ქორწილშიც მოიღვინა და მოგზაურობიდან ძალზე კმაყოფილი დაბრუნდა. კამასვამიმ საყვედურებით აავსო, — რატომ მაშინვე არ დაბრუნდი, დრო და ფული ფუჭად რად გაფლანგეო. ზიდჰართამ უპასუხა: — ნუ გამკიცხავ, მეგობარო! როდის იყო გაკიცხვა საქმეს შველოდა. თუ ვიზარალეთ, ზარალიც მაზღვევინე. ამ მოგზაურობას კი არ ვნანობ. ათასი ჯურის ადამიანი გავიცანი, ერთი ბრაჰმანი დამიმეგობრდა, ბავშვები მუხლებზე მაცოცდებოდნენ, გლეხებმა ბრინჯის ყანები მანახეს და ქორვაჭრად არვის მივუჩნევივარ.

— ეგ ყველაფერი მშვენიერია, — აყვირდა გაღიზიანებული კამასვამი, — მაგრამ სინამდვილეში შენ ვაჭარი ხარ, ხომ არ მეშლება?! შენ რა, მხოლოდ შენი სიამოვნებისათვის გაემგზავრე სოფელში?

— რა თქმა უნდა, — გაიცინა ზიდჰართამ, — ჩემი სიამოვნებისათვის გავემგზავრე, სხვა რა მრჯიდა? ახალი ნაცნობები შევიძინე, უცხო მხარეები მოვიხილე, ადამიანების კეთილგანწყობითა და ნდობით დავტკბი, მეგობრები გავიჩინე. ხომ ხედავ, მეგობარო, კამასვამი რომ ვყოფილიყავი, საქმის ჩაშლის გამო გავბრაზდებოდი და დაუყოვნებლივ, უკან გამოვბრუნდებოდი; მაშინ კი მართლა უაზროდ გავფლანგავდი დროსა და ფულს. მე კი სიკეთით სავსე დღე გამოვცადე, ბევრი რამ ვისწავლე, სიხარული ვიგემე, ბრაზითა და დაუთმენლობით არც თავს ვაწვნი და არც სხვებს. და თუ ოდესმე, გვიანი ჭირნახულის შესაძენად ან სხვა მიზეზით, იმ სოფელში ჩასვლა მომიწევს, იქ კეთილგანწყობილი ადამიანები დამხვდებიან, მეგობრულად და სიხარულით მომეგებებიან და თავს შევიქებ: რა კარგი ვქენი, მაშინ რომ არ

ავიჩქარე და უგუნებობა არ გავამჟღავნე-მეთქი. გვეყოფა ამაზე კამათი, მეგობარო, ლანდვა-გინებით თავს ნუ იწუხებ! თუ ერთ მშვენიერ დღეს დარწმუნდები, რომ ზიდჰართას შენტვის ზარალის მეტი არაფერი მოუტანია, ერთი სიტყვაც საკმარისი იქნება, რომ ზიდჰართამ გუდა-ნაბადი აიკრას და გაგეცალოს. მანამდე კი ჩვენს ურთიერთობას დავჯერდეთ და ერთმანეთის უკმაყოფილონი ნუ ვიქნებით.

ამაოდ არწმუნებდა ვაჭარი, — ტყუილად გაჭმევ პურსო. ზიდჰართა საკუთარ ლუკმა-პურს ჭამდა, უფრო მეტიც, ორივე სხვის პურს ჭამდნენ, პურს, ყველას რომ ეკუთვნოდა. ზიდჰართა ყურს არ უგდებდა კამასვამის შეგონებებს და ისიც საგონებელში ჩავარდნილიყო. კამასვამას ვერა და ვერ დაერწმუნებინა ზიდჰართა: საქმეში ხელმოცარვის, ზარალის, მევალის მიერ ვალის გადაუხდელობის გამო უნდა წუხდეს, ბრაზობდეს, შუბლზე ნაოჭი დაიყაროს და ძილი არ გეკარებოდესო. ერთხელ, ისიც უსაყვედურა: — რაც იცი, ყველაფერი მე გასწავლეო. ზიდჰართამ უპასუხა: — ჩემს გაჯავრებას ნუ ეცდები! მართალია, შენგან ვისწავლე, რა ღირს ერთი კალათა თევზი, ან გასესხებულ ფულზე რა სარგებელი უნდა მივიღო, მაგრამ სულ ეს არის მთელი შენი მეცნიერება. ფიქრი შენ არ გისწავლებია, ძვირფასო სოვდაგარო, იქნებ თავად ეცადო და ჩემგან ისწავლო ფიქრი.

არადა მისი სული და გული ვაჭრობის საქმეს არ ეკარებოდა. საქმის ავკარგიანობას მხოლოდ იმით ზომავდა, კამალას სამყოფ ფულს მოუტანდა თუ არა; ვაჭრობით კი სამყოფზე მეტ სარგებელს ნახულობდა. მთელი თავისი თანაგრძნობა და ცნობისწადილი მხოლოდ იმ ადამიანებისკენ ჰქონდა მიმართული, ვისი საქმეები, ხელობა, საზრუნავი, გართობა და თავგუნებობა ადრე მთვარესავით უცხო და შორი ერვენებოდა; მაგრამ რამდენადაც ახლა ყველა ამ ადამიანთან საუბარი, ყველა მათგანის გვერდით ცხოვრება, ყველა მათგანისგან სწავლა ეიოლებოდა, იმდენადვე ამჩნევდა ზღვარს, ყველასგან რომ გამოჰყოფდა და ყველასგან მისი გამყოფი და გამმიჯვნელი ზღვარი ზიდჰართას სამანობა იყო. ხედავდა იმ ადამიანების ბავშვურ, ანდა პირუტყვულ ყოფას, ვინც თან უყვარდა, თანაც სძაგდა. ხედავდა როგორ ირჯებოდნენ, იტანჯებოდნენ და ჭალარავებოდნენ იმ საგანთა გამო, თვითონ ფასდაკარგულად რომ თვლიდა, რადგან ამად არ ღირდა არც ფული, არც მცირე სიხარული, მცირე პატივი; ხედავდა: ადამიანები კიცხავდნენ და შეურაცხყოფდნენ ერთმანეთს, ჩიოდნენ იმ ტკივილთა გამო, სამანს ღიმილს რომ ჰგვრის და იტანჯებოდნენ სამანასავით უცნობი და მიუღებელი დანაკლისის შეგრძნებით.

ღია იყო ყველაფრისთვის, რასაც ადამიანები უზიარებდნენ. გულგახსნილი ეგებებოდა ტილოს გამყიდველს, სესხის მთხოვნელს, ნებისმიერ სამანაზე მდიდარ, საკუთარ სილატაკეზე დაუზარლად მონუნუნე მათხოვარს. გადამთიელ მდიდარ სოვდაგრებზე ნაკლები პატივისცემით არ ეპყრობოდა ხელმრუდ მსახურს ან წვრილმანებით მოვაჭრეს, ქუჩაში ბანანს ზედმეტ ფასად რომ მისაღებდა ხოლმე, ზიდჰართა კი არ იმჩნევდა. გამუდმებით საზრუნავზე მომჩივან და მოსაყვედურე კამასვამისაც ცნობისწადილითა და ხალისით ესაუბრებოდა, განცვიფრებული უსმენდა და მის გაგებას ცდილობდა, უთმობდა კიდევ, თუ დათმობას ამჯობინებდა, მაგრამ მალე ყურადღება ისევ სხვაზე, მასთან შესახვედრად მოსულ ადამიანზე გადაჰქონდა. მისკენ კი მრავალი მოილტვოდა, ზოგი საქმეს მოჰყავდა, ზოგი — ცნობისწადილს, ბევრი მის გაცურებას ცდილობდა, ბევრი რჩევის საკითხავად, თანაგრძნობის საძიებლად მოდიოდა. ისიც რჩევას არ იშურებდა, თანაუგრძნობდა, ასაჩუქრებდა, თავს ოდნავ ატყუებინებდა, და მთელი ეს თამაში და ვნებათაღელვა, რა ვნებათაღელვითაც ადამიანები ამ თამაშს მისდევდნენ, ისეთივე ფიქრის საგნად ჰქცეოდა, როგორც ოდესღაც ღმერთები და ბრაჰმა.

მაშინ იყო, ღრმად მკერდქვეშ, მომაკვდავი, ჩუმი ხმა რომ გაიგონა; ხმა, ჩუმი რომ აფრთხილებდა, ჩუმი რომ ჩიოდა, ძლივს გასაგონად. ერთჟამს უეცრად გააცნობიერა, რომ უცნაურად ცხოვრობდა და ყველაფერი, რასაც იქმოდა, თამაში იყო, სხვა არაფერი; მართალია, არც ხალისი აკლდა და ჟამი-ჟამ სიხარულსაც განიცდიდა, მაგრამ ნამდვილი ცხოვრება მაინც გვერდს უვლიდა, მის გვერდით მიედინებოდა და არა მასთან ერთად. ჰაერში ბურთებით მარჯვენდ მოთამაშე მუშაითივით ეთამაშებოდა საქმეებს, ადამიანებს, აკვირდებოდა, მათით ერთობოდა; მაგრამ გული, — მისი არსების სათავე, ყოველივეს მიმართ მი-

უდრეკელი იყო. სადღაც, ზიდჰართასგან მოშორებით დიოდა ეს წყაროსთვალი, უხილავად და თავისთავად დიოდა და დიოდა, აღარაფერი ესაქმებოდა მის ცხოვრებასთან. ფიქრებით თავზარდაცემულს ზოგჯერ უნატრია: რა იქნება ამ ყოველდღიურ, ბავშვურ საქმიანობას მეც გატაცებით და გულდადებით მივდიო, მართლა ვიცხოვრო, მართლა ვიმოქმედო, მართლა დავტკბე და ყველაფერს ასე შორიდან, დამკვირვებელივით არ ვუყურო.

და ისევ მშვენიერ კამალას მიაშურებდა, სიყვარულის ხელოვნებას ეუფლებოდა, ინაფებოდა ტკობა-სიამის რიტუალში, როცა გაცემა და მიღება, როგორც არსად და არასდროს, ერთი და იგივეა. ქალს უკეთ ესმოდა მისი, ვიდრე ოდესღაც გოვინდას, ქალი უფრო მეტად ჰგავდა მას. ერთხელ უთხრა:

— შენ ჩემნაირი ხარ, სხვებს არ ჰგავხარ. კამალა ხარ, სხვა არავინ და შენში, შიგნით სიჩუმეა და თავშესაფარი, რომელსაც, ჩემსავით, შეგიძლია ყოველ ჟამს მიაშურო და საკუთარ თავთან მყუდროებადაურღვევლად დაივანო. ძალზე ცოტა ადამიანს აქვს საკუთარ თავში ასეთი თავშესაფარი, არადა მისი მოპოვება ყველას შეეძლო.

— ყველა როდია ჭკვიანი, — თქვა კამალამ.

— არა, — უთხრა ზიდჰართამ, — ეს ჭკუამრავლობის ან ჭკუანაკლებობის ბრალი არ არის. კამასვამი ჭკუა-გონებით არ ჩამომივარდება, მაგრამ საკუთარ სულში თავშესაფარი არ გააჩნია. იმ ადამიანებს კი, ჭკუით პატარა ბავშვებს რომ ჰგვანან, ასეთი თავშესაფარი მრავლად აქვთ. ადამიანთა უმრავლესობა, კამალა, ხიდან მონყვეტილ ფოთოლს ჰგავს, ჰაერში ფარფატებს და ტრიალებს, ირწევა და რწევა-რწევით ეცემა მიწაზე. სხვანი კი, მცირედნი, ვარსკვლავებს ჰგვანან, დადგენილ მყარ გზას მიუყვებიან, ვერანაირი ქარიშხალი ვერ გადააცდენს გზიდან, თავის თავში მოუცავთ კანონი და გზა. იმ მრავალ სწავლულსა და განდევილს შორის, ვისაც ოდესმე ვიცნობდი, ასეთი მხოლოდ ერთი მეგულება, ერთადერთი სრულყოფილი, და მას ვერასდროს დავივიწყებ. ეს გაუტამაა, ამაღლებული, შენთვისაც ცნობილი მოძღვრების მახარობელი. ყოველცისმარე მის მოძღვრებას ათასობით შეგირდი ისმენს და მის მცნებებს გულმოდგინედ იცავს, მაგრამ ისინიც ჩამოცვენილ ფოთლებს ჰგვანან, თავის თავში მოძღვრება და კანონი არ გააჩნიათ.

კამალა გაღიმებული აკვირდებოდა:

— ისევ მასზე საუბრობ, — უთხრა, — ისევ განდევილივით აზროვნებ.

ზიდჰართა გაჩუმდა და კვლავ სასიყვარულო თამაში წამოიწყო, ერთ-ერთი იმ ოცდაათ თუ ორმოც თამაშთაგანი, კამალამ რომ იცოდა. ავაზასავით მოქნილი და მონადირის მშვილდით დრეკადი სხეული ჰქონდა; ყველა, ვისაც მისგან ესწავლა სიყვარული, მრავალ სიხარულს, მრავალ საიდუმლოს იყო ნაზიარები. დიდხანს ეთამაშებოდა ზიდჰართას, იზიდავდა, უკუაგებდა, ძალას ატანდა, სუროსავით ეხვეოდა, შეჭხაროდა მის დაოსტატებას, ვიდრე ზიდჰართამ დამარცხება არ აღიარა და მოქანცულმა მის გვერდით არ მოისვენა.

ჰეტერა მისკენ დაიხარა, სახეზე დააჩერდა, დალილ თვალებში ჩაჰყურებდა.

— ყველაზე უკეთესი მეტრფე ხარ, — უთხრა ფიქრიანად, — ყველას სჯობიხარ, ვინც აქამდე შემხვედრია. სხვებზე ძლიერი, მოქნილი, დამყოლი ხარ. კარგად დაუფლებიხარ ჩემს ხელოვნებას, ზიდჰართა. ოდესმე, როცა ასაკი მომემატება, შენგან შევილს ვიყოლიებ, მაგრამ შენ, საყვარელო, ასკეტობას მაინც არ იშლი, ისევ სამანა ხარ, ვერ შემიყვარე, არც არვინ გიყვარს. ასე არ არის?

— შეიძლება ასეც იყოს, — უთხრა დალილმა ზიდჰართამ, — ჩვენ ერთნაირები ვართ. შენც არვინ გიყვარს. სხვაგვარად სიყვარულს ხელოვნებად ხომ არ გაიხდიდი? ჩვენნაირ ადამიანებს სიყვარული, ალბათ, არ შეუძლიათ. ბავშვ-ადამიანებს ხელენიფებათ სიყვარული; ეს არის მათი საიდუმლო.

სანსარა

დიდხანს ცხოვრობდა ზიდჰართა ამქვეყნიურ სიამეთა ცხოვრებით ისე, რომ მასთან ნილნაყარი მაინც ვერ გახდა. გრძნობები, სამანობის მხურვალე ნლებში რომ მოაკვდინა, კვლავ აღიძრნენ და გაიღვიძეს; თუმცა სიმდიდრე, ნეტარება, ძალაუფლება იგემა, გულით მაინც სამანად რჩებოდა და ეს გონიერმა კამალამ სწორად ამოიცნო. ფიქრის, ლოდინისა და მარხვის ხელოვნება დღემდე წარმართავდა მის ცხოვრებას; ბავშვი-ადამიანები ისევე უცხოები იყვნენ მისთვის, როგორც ზიდჰართა იყო მათთვის უცხო.

ნლები გავიდა და ფუფუნებაში ჩაფლულმა ზიდჰართამ მათი სწრაფი დინება ვერც შენიშნა. გამდიდრდა, უკვე საკუთარი სახლი ჰქონდა და საკუთარი მსახურებიც ჰყავდა, ქალაქის განაპირას მდინარესთან ბალიც შეიძინა. ადამიანებს უყვარდათ იგი, მასთან მიდიოდნენ, როცა ფული ან რჩევა სჭირდებოდათ, მას კი კამალაზე ახლობელი არავინ ჰყავდა.

ის მაღალი, ნათელი ფხიზლადყოფნა, ოდესღაც სიჭაბუკის მწვერვალზე რომ განიცადა გაუტამას ქადაგების შემდეგ, გოვინდასთან განშორებით მონიჭებული, დაძაბული მოლოდინი, მოძღვრებისა და მოძღვართა გარეშე ამაყი მარტოდყოფნის შეგრძნება, ღვთაებრივი ხმის საკუთარ გულში დავანების მზაობა ნელ-ნელა მოგონებად ექცა, წარმავალი გამოდგა; უკვე შორს, ჩუმად ჩუხჩუხებდა წმინდა წყაროსთვალი, ოდესღაც ასე ახლობელი რომ იყო, თავად მასშივე რომ რაკრაკებდა, თუმცაღა მთელი ამდენი ხნის მანძილზე მაინც შემორჩენოდა, რაც განდეგილებისგან, გაუტამასგან და ბრაჰმანი მამისგან ესწავლა: თავშეკავებული ცხოვრება, აზროვნების სიხარული, თვითჩაღრმავების საათები, თვითობის იდუმალი ცოდნა და მარადიული მე-ს — რომელიც არც სხეულია და არც ცნობიერება — ზოგი რამ შემორჩენოდა, ზოგი კი ფსკერზე ჩაღვრილიყო და მტვერს დაეფარა. იმ მექოთნის ჩარხივით, რომელიც ერთხელ თუ მომართე, დიდხანს ბრუნავს, მერე თანდათან ანელებს სვლას და თანდათან ჩერდება, ზიდჰართას სულშიც კიდევ დიდხანს ბრუნავდა განდეგილობის, აზროვნების, შეცნობადობის ბორბალი, ჯერაც ბრუნავდა, თუმცა უკვე ნელა და მძიმედ და სადაცაა ტრიალს შეწყვეტდა. ქვეყნიერება და სიზანტე იმ სინესტესავით ასე შეიჭრა ზიდჰართას სულში, ნელ-ნელა რომ ჟღინთავს და ალპობს მომაკვდავ ძირკვს, ნელ-ნელა გაჟღინთა, დაამძიმა, დაღალა და მიადინა. გრძნობები კი გაუცოცხლდა, ბევრი რამ ისწავლა, ბევრიც გამოსცადა.

ზიდჰართამ ვაჭრობა ისწავლა, ადამიანებზე ძალაუფლების გამოყენება, დიაცით თავის შექცევა, ლამაზი სამოსის ტარება, მსახურებზე მბრძანებლობა, კეთილსურნელოვან წყალში ბანაობა. ფაქიზად და გულდასმით მომზადებული კერძების ჭამა, საკამაზისა და ტკბილეულის დაგემოვნება, ღვინოსაც სვამდა, მომადუნებელს და გამბანგველს. კამათელს აგორებდა და ჭადრაკს თამაშობდა, მროკავ დიაცთ უცქერდა, ესწავლა და ტახტრევანითაც ატარებინებდა თავს და ფაფუკ სარეცელში იძინებდა, მაგრამ ისევე სხვებისგან გამორჩეულად და სხვებზე აღამტებულად მიიჩნევდა თავს, ისევე ოდნავ ქედმაღლურად, ოდნავ დამცინავი ათვალწუნებით უმზერდა ადამიანებს, სწორედ იმგვარი ათვალწუნებით, სამანა რომ განიცდის ამქვეყნიურ ადამიანთა მიმართ. ამრეზით უცქერდა კამასვამის ავადმყოფობას, გულმოსულობას, როცა ის შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, ანდა სავაჭრო საქმეთა გამო წუხდა და წუნუნებდა. მაგრამ მისი დამცინარობაც ნელა და შეუმჩნევლად, მოსავლის აღებისა და წვიმების დროთა სწრაფ დინებასთან ერთად მოიღალა და დაუცხრა. თანდათანობით, სიმდიდრის მოხვეჭაში, თვითონაც რალაცით დაემსგავსა ბავშვ-ადამიანებს, მათნაირი ბავშვურობა და შიშნეულობა შეიძინა. და მაინც შურდა მათი, რაც უფრო ემსგავსებოდა მათ, მით უფრო შურდა. შურდა იმ ერთადერთის გამო, რაც მას აკლდა და რასაც ბავშვ-ადამიანები ფლობდნენ, შურდა ის მნიშვნელოვნება, რასაც ბავშვი-ადამიანები თავიანთ სიცოცხლეს ანიჭებდნენ, შურდა მგზნებარება, რა გზნებითაც მათ უხაროდათ და ეშინოდათ, შურდა მათი შიშნეული ბედნიერება, მარადიული, ტკბილი შეყვარებულობის შედეგი რომ იყო.

ეს ადამიანები საკუთარ თავზე, ქალებზე, შვილებზე, პატივსა თუ ფულზე, სამომავლო

გეგმებსა თუ იმედებზე იყვნენ მარადიულად შეყვარებულები. თავად კი სწორედ ამას ვერ ახერხებდა, სწორედ ეს ბავშვური სიხარული და ბავშვური სისულელე ვერ შეისწავლა; უსიამოვნო და მისთვისვე საძულველი კი კარგად აეთვისებინა. სულ უფრო ხშირად უჭირდა ფეხზე წამოდგომა, ღამეული თავყრილობის შემდეგ, მოთენთილობა და დაღლილობა თანგავდა. ბრაზი და მოუთმენლობა ეუფლებოდა, როცა კამასვამი საზრუნავით თავს აბეზრებდა. ყომარბაზობაში ხელმოცარულს ხარხარი აუტყდებოდა ხოლმე. ჯერ ისევ სხვებზე გონიერი და სულიერი სახე ჰქონდა, მაგრამ იშვიათად იცინოდა და თანმიყოლებით იცვლიდა, იძენდა გამომეტყველებას, ასე ხშირად რომ ირეკლება ხოლმე მდიდარი კაცის სახეზე: უკმაყოფილების, ავადობის, უგუნებობის, სიზანტის, უსიყვარულობის გამომეტყველებებს. თანდათან მასაც ერეოდა მდიდართა სულიერი სნება.

საბურველივით, სიფრიფანა ბურუსივით ფარავდა დაქანცულობა, დღითიდღე ოდნავ მკვრივდებოდა, თვიდან თვემდე კიდევ უფრო მუქდებოდა, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მძიმდებოდა. სამოსელივით, დროთა განმავლობაში რომ ძველდება, ხუნდება, ლაქები უჩნდება, ნაოჭდება, ქობა ეძენძება, აქა-იქ იცრიცება და უგვანო ადგილებს აჩენს, ისე დაძველებულიყო ზიდჰართას ახალი ცხოვრება, გოვინდასთან განშორების შემდეგ რომ დაენყო, ასევე დაეკარგა ამ ცხოვრებას სწრაფწარმავალ წლებთან ერთად ფერი და ბრწყინვალება, ასე დაჭმუჭნულ-დალაქულიყო და ჯერაც ღრმად დაფარული, აქა-იქ მაინც ამაზრზენად გამოსჭვიოდა მოსალოდნელი იმედგაცრუება და ზიზღი. ზიდჰართა ვერაფერს ამჩნევდა. იმასლა შეიგრძნობდა მხოლოდ, რომ ოდესღაც მასში გამოღვიძებული და მისი ცხოვრების ბრწყინვალე ჟამს მუდამ თანამდევი ნათელი და მტკიცე შინაგანი ხმა დადუმებულიყო.

ქვეყანა შეეპყრო ხორციელ ტკბობას, ჟინს, სიზანტეს და ბოლოს თვით იმ ცოდვას, ყველაზე დიდ უგუნურებად რომ თვლიდა, ყველაზე მეტად რომ სძაგდა და დასცინოდა: სიხარბეს. მასაც უკვე დაუფლებოდა სიხარბე: საკუთარი ქონება და სიმდიდრე, თამაშად და წვრილმანად აღარ უჩანდა, ბორკილებად და ტვირთად ქცეოდა. უცნაური და მზაკვრული გზით, კამათლის თამაშის წყალობით მოხვედრილიყო ზიდჰართა ამ უკანასკნელ და ბილწ დამოკიდებულებაში. ეს კი მას მერე მოხდა, გულში სამანად ყოფნა რომ შეწყვიტა და ფულისა და ძვირფასეულობისთვის კამათლის თამაშს მიჰყო ხელი, თამაშს, მანამდე ღიმილით, გულმიუსვლელად რომ ეკიდებოდა, როგორც ბავშვ-ადამიანთა ერთ-ერთ ჩვეულებას და რასაც ახლა სულ უფრო მეტი გაშმაგებითა და ჟინით მისდევდა. საშიშ მოთამაშედ ითვლებოდა, მცირედნი ბედავდნენ მასთან თამაშს, ისე დიდ თანხას ჩადიოდა, ისე თავზეხელაღებულად. გულის შეჭირვების გამო მისდევდა თამაშს, ერთგვარ მრისხანე სიხარულს ჰგვრიდა უბადრუკი ფულის წაგება და ფლანგვა, მხოლოდ ამ გზით გამოხატავდა მკაფიო და გამკილავ სიძულვილს სიმდიდრის, ვაჭართა ამ კერპის მიმართ. ამიტომ თამაშობდა ასე ხელაღებით და დაუნდობლად, თავმოძულებული, თავგამკილავი, მრავალს იხვეჭდა, მრავალს ფანტავდა, ფულს აგებდა, სამკაულს აგებდა, აგარაკი წააგო, დაიბრუნა, ისევ წააგო. შიში კი, ის საშინელი და დამადამბლავებელი შიში, თამაშის დროს დიდი ქონების დაკარგვის გამო რომ განიცდიდა, აი, ეს შიში უყვარდა და გამუდმებით მის განახლებას, გამძაფრებას, უფრო მეტი ძალით მის გამოწვევას ცდილობდა, რადგან მხოლოდ ეს განცდა ანიჭებდა ბედნიერების მაგვარ გრძნობას, გონებას რომ უბრუებდა და რალაც ამაღლებულის შეგრძნებას მატებდა მის მაძღარ, უფერულ და ჩამკვდარ ცხოვრებაში. ყოველი დიდი დანაკარგის შემდეგ ახალი სიმდიდრის მოხვეჭაზე ფიქრობდა, უფრო დიდი მოწადინებით მისდევდა ვაჭრობას, უფრო დაუზოგავად აძალებდა მოვალეებს ვალის გადახდას, რათა თამაში გაეგრძელებინა, ფული ეფლანგა, სიმდიდრისადმი სიძულვილი გამოეხატა. წაგებას მშვიდად ველარ ეგუებოდა, წაგებულები ვალის გადახდას თუ დააგვიანებდნენ, მოთმინებას კარგავდა, გულმონყალებას კარგავდა გლახაკთა მიმართ, ფულის ჩუქებისა და გასესხების ხალისს კარგავდა. ის, ვინც კამათელის ერთ გაგორებაზე ათი ათასობით აგებდა და სასაცილოდ არ ყოფნიდა, ვაჭრობაში სულ უფრო მეტად დაუნდობელი და წვრილმანი ხდებოდა, ხშირად ფული ესიზმრებოდა კიდევ! და რამდენჯერაც ამ ამაზრზენი შეპყრობილობიდან ფხიზლდებოდა, რამდენჯერაც საძინებლის კედელზე დაკიდულ სარკეში არეკლილ დღითიდღე

ჭკნობად, სულ უფრო შნოდაკარგულ სახეს ჰკიდებდა თვალს, რამდენჯერაც სირცხვილი და ზიზლი ეუფლებოდა, იმდენჯერ გაქცევით შველოდა თავს, ხელახლა იწყებდა ყველაფერს, ილბალს ცდიდა, ახალ თამაშში ებმებოდა, ვნებით იზანგებოდა, ღვინოს ეძალებოდა და მერე ისევ უკან უხმობდა დაგროვებისა და მოხვეჭის ჟინი. ამ უაზრო წრებრუნვაში მიმოიქცეოდა ქანცგანყვეტამდე, დაბერებამდე, დასნეულებამდე.

და ერთხელაც გამაფრთხილებელი სიზმარი იხილა. შეღამებულზე სიამის ბაღში იყო კამალასთან ერთად. ხის ქვეშ ისხდნენ საუბარში გართულნი და კამალა დამაფიქრებელ სიტყვებს ეუბნებოდა, სიტყვებს, რომელთა მიღმა მწუხარება და დაღლილობა იმალებოდა, სთხოვდა გაუტამაზე მოეთხრო რამე, იმის სმენით ვერ ძლებოდა, თუ რაოდენ წმინდა იყო თვალი მისი, ჩუმი და მშვენიერი — ბაგე მისი, კეთილი — ღიმილი მისი, რაოდენ მშვიდობამოსილი — მიმოხვრა მისი. დიდხანს და მრავალი რამ უნდა მოეყოლა მისთვის ამალღებული ბუდას შესახებ, კამალამ ამოიოხრა და უთხრა: „ოდესმე, ალბათ მალე, მეც ამ ბუდას გავყვები. სიამის ბაღსაც მას ვაჩუქებ და თავშესაფარს მის მოძღვრებაში ვპოვებ“.

მაგრამ შემდეგ კვლავ მოიხიბლა და სასიყვარულო თამაშში ჩაითრია, მტკივნეული ვნებით ჩაიკრა-ჩაიხუტა, თან კბენდა, თან ტიროდა, თითქოს ამ ამო და წარმავალი სურვილიდან ცდილობდა კიდევ ერთხელ სიტკბოების ბოლო წუთი გამოენურა. ასე საოცარი სიცხადით არასდროს უგრძენია ზიდჰართას, რარიგ ენათესავება ტკბობა სიკვდილს. მერე მის გვერდით იწვა, კამალას სახე ახლოს იყო მასთან და თვალის უბებთან და ბაგის ჭრილთან, ისე მკაფიოდ, როგორც არასდროს, უღმობელ წარწერას ხედავდა, ჩუმი ნაოჭების ფაქიზად მოხაზულ ნაწერს, შემოდგომასა და ასაკზე რომ მიანიშნებდა, როგორც თავად ზიდჰართას, ჯერ ორმოცს რომ არ გადასცილებოდა, შავ თმაში კი აქა-იქ უკვე ჭალარა შეჰპარვოდა. დაღლილობა ეწერა კამალას მშვენიერ სახეს, იმ გრძელ გზაზე სიარულით გამონვეული დაღლილობა, რომელსაც სასიხარულო მიზანი არა აქვს, დაღლა და შეპარული ჭკნობა, მიჩქმალული, ჯერ უთქმელი და ალბათ ჯერაც შეუცნობელი შიში ეწერა: სიბერის შიში, შიში შემოდგომისა და სიკვდილის გარდუვალობისა. ოხვრა აღმოხდა დამშვიდობებისას, სული წუხილითა და დაფარული შიშით ავსებოდა.

ის ღამე თავის სახლში გაატარა მოცეკვავე ქალთა და ღვინის თანხლებით, ტოლ-სწორებზე მალლა ეჭირა თავი, თუმცა მათ აღარაფრით აღემატებოდა, სასმელს ეძალებოდა და შუალამე გადასული იყო, როცა დაღლილმა და მაინც აღგზნებულმა, ცრემლებამდე და სასონარკვეთამდე მისულმა, სარეცელს მიაშურა, ამოოდ ცდილობდა დაეძინა, გული, ასე ეგონა, მოძალებულ მწუხარებას და ზიზლს ველარ გაუძლებდა, როგორც ნელთბილი ღვინის გულისამრევ გემოს, ზედმეტად ჩატკბილებულ, მოსაწყენ მუსიკას, მოცეკვავე ქალების ზედმეტად ნაზ ღიმილს, მათი თმებისა და მკერდების ზედმეტად ტკბილ სურნელს. ყველაზე მეტად კი საკუთარი თავი ჰგვრიდა ზიზლს, სურნელოვანი თმები, პირიდან ამოვარდნილი ღვინის ოხშივარი, მოდუნებული კანი და უხალისობა. იმ კაცივით, ზედმეტად რომ ამოუყორავს მუცელი, ღვინით გაჭყუპილა, ყველაფერი მტკივნეულად უკან ამოურწყევია და სული მოუთქვამს შვებით, ასე ლამობდა ძილგამკრთალი ზიდჰართა უსაშველოდ მოძალებული ზიზლის ჟამს ყოველი ტკბობისაგან, ყოველი ჩვეულებისაგან, მთელი თავისი უაზრო ცხოვრებისა და საკუთარი თავისაგან გათავისუფლებას. მხოლოდ გამთენიისას ჩათვლიდა, როცა მისი სახლის წინ ქუჩა საქმიანმა ფუსფუსმა აახმიანა, ძილ-ბურანს მინებდა, თითქოს წარმოიდგინა, რომ ეძინა და სწორედ ამ წამიერი ძილ-ფხიზლობისას ესიზმრა:

კამალას ოქროს გალიაში ერთი პატარა, იშვიათი მგალობელი ჩიტი ჰყავდა. ეს ჩიტი ესიზმრა. სიზმრად იხილა: დადუმებულიყო ფრინველი, დილის საათებში მუდამ რომ გალობდა. რაკილა მისი დუმილი ეუცხოვა, გალიას მიუახლოვდა და შიგ შეიხედა. მომკვდარიყო პატარა ჩიტი და გაშეშებული ეგდო გალიის ძირში. გალიიდან ამოიღო ჩიტის სხეული, ერთხანს ხელით დაარწია, მერე შორს, შუკაში მოისროლა და მეყვსეულად საზარელმა ძრწოლამ მოიცვა, გულზე ისე შემოეჭდო მარწუხები, ისე ეტკინა, თითქოს მთელი თავისი ღირსება და სიკეთე გააყოლა ამ მკვდარ ჩიტს.

ამ სიზმრიდან შიშით გამოფხიზლდა და ღრმა მწუხარება დაეუფლა, ფუჭად, ასე ეჩვენებოდა, ფუჭად და უაზროდ წარემართა თავისი ცხოვრება; ხელთ აღარაფერი შერჩენოდა,

არაფერი ცოცხალი, არაფერი ოდნავ მაინც ღირებული ანდა შენარჩუნების ღირსი. და იდგა ზიდჰართა ჩაძირული გემის მგზავრივით, ნაპირზე გამორიყული, ეული და ცარიელ-ტარიელი.

პირქუშად მიაშურა ერთ-ერთ სიამის ბალს, მას რომ ეკუთვნოდა, ჭიშკარი დახშა, მანგოს ხის ქვეშ ჩამოჯდა, გულში სიკვდილს შეიგრძნობდა, მკერდქვეშ — ძრწოლას, იჯდა და შეიგრძნობდა რალაც კვდებოდა, რალაც ჭკნებოდა, რალაც უკანასკნელ წუთებს ითვლიდა მასში. თანდათან აზრი მოიკრიბა და სულისმიერი მზერა მოავლო განვლილი ცხოვრების გზას, იმ პირველი დღეებიდან მოყოლებული, რომელთაც მისი მეხსიერება სწვდებოდა. ჭემ-მარიტი ბედნიერება, ნამდვილი ტკობა? ო, როგორ არა, მრავალჯერ განუცდია ამგვარი რამ. ყმანვილკაცობის ჟამს უგემია, ბრამანთაგან შექებულს, ოდეს ტოლებში გამორჩეული, წმინდა სტრიქონებს მოუთხრობდა, სწავლულებთან პაექრობდა და მსხვერპლთშენირვისას ბეჯით შეგირდად წარმოჩინდებოდა. მაშინ გულით შეიგრძნობდა: „წინ გზა გიძევს, რომლისთვისაც მოწოდებული ხარ, შენ მოგელიან ღმერთებიო“, და მერე ჭაბუკობის ჟამს, როცა ყოველი ფიქრის საბოლოო, სულ უფრო ამაღლებულმა მიზანმა, მასავით მეცადინეთა დასიდან რომ გამოარჩია და თან წარიტაცა, როცა ტკივილით ეძიებდა ბრაჰმას აზრს, როცა უკვე შეცნობილი ჯერშესაცნობის წყურვილს კიდევ უფრო უმძაფრებდა, სწორედ მაშინ, ამ უმძაფრესი წყურვილისას, უმძაფრესი ტკივილისას ისევ იგრძნო მსგავსი რამ: „წინ, წინ გასწი! მოწოდებული ხარო!“ ეს ხმა ჩაესმა, როცა სამშობლო მიატოვა და სამანას ცხოვრება აირჩია, ხელახლა ჩაესმა სამანებთან განშორებისას სრულყოფილისკენ მიმავალს და მერეც, სრულყოფილისგან გაურკვეველსა და შეუცნობელში უკუქცეულსაც. რა ხანი იყო ეს ხმა აღარ გაეგონა, რა ხანი იყო, არანაირი სიმაღლისთვის აღარ მიეღწია, რა გატკეპნილი და უდაბური იყო გზა, წლების მანძილზე უმიზნოდ, უწყურვილოდ, ამაღლების გარეშე, რომ სჯერდებოდა წვრილმან სიამეთ და მაინც ვერას კმარობდა, ალაღბედზე მიემართებოდა! მთელი ამ წლების მანძილზე თავადაც ვერ ხვდებოდა, ისე ცდილობდა ერთ-ერთი მრავალთაგანი გამხდარიყო, ამ ადამიანების, ამ ბავშვების მსგავსი, მაგრამ მისი ცხოვრება ბევრად დუხჭირად და უბადრუკად გამოიყურებოდა, ვიდრე ამ ბავშვი-ადამიანებისა, რომელთაც ზიდჰართასგან განსხვავებული სხვა მიზნები და სხვა საზრუნავი ჰქონდათ, ხოლო ზიდჰართას კამასვამისნაირი ადამიანების მთელი სამყარო თამაშად, ცეკვად, სეირად ერგებებოდა, რომელსაც შორიდან უყურებენ. კამალა უყვარდა მხოლოდ, ეძვირფასებოდა, მაგრამ განა ახლაც ასე იყო? განა კიდევ სჭირდებოდა ზიდჰართას კამალა, ან კამალას ზიდჰართა? დაუსრულებელ თამაშს ხომ არ თამაშობდნენ? ღირდა კი ამისთვის ცხოვრება? არა, არ ღირდა! ამ თამაშს სანსარა ერქვა, საბავშვო თამაში გახლდათ, თამაში, რომელსაც ერთი-ორჯერ, ათჯერაც ხალისით ითამაშებ, მაგრამ არა მუდმივად და დაუსრულებლად.

და მიხვდა ზიდჰართა, თამაში დამთავრებულიყო, თამაში აღარ შეეძლო. მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა და შეიგრძნო, რომ მის შიგნით რალაცა მოკვდა.

ის დღე მანგოს ხის ქვეშ გაატარა მამაზე ფიქრში, გოვინდას და გაუტამას იხსენებდა. ნუთუ იმისთვის მიატოვა ისინი, რომ კამასვამი გამხდარიყო? შელამებამდე ასე იჯდა. როცა ზემოთ აიხედა და ვარსკვლავები დაინახა, გაიფიქრა: „აი, აქ ვზივარ, ჩემი მანგოს ხის ქვეშ, სიამის წალკოტში“. წამიერად გაეღიმა — ღირდა კი, სწორი იყო, უგუნური თამაში არ იყო, რომ მანგოს ხესა და წალკოტს ფლობდა?

ამასაც ბოლო მოეღო, ესეც მოკვდა მასში. წამოდგა და მანგოს ხესა და სიამის ბალს დაემშვიდობა. მთელი დღის უჭმელს, ძლიერმა შიმშილმა სახლი გაახსენა, თავისი განსასვენებელი და სარეცელი, კერძებით გასვებული მაგიდა. უილაჯოდ გაეღიმა და ისე შეირხა, თითქოს ტანიდან ჩამოიფერთხა, დაემშვიდობა ამ ყოველივეს.

იმ ღამითვე დატოვა ზიდჰართამ თავისი ბალი, ქალაქი და არც არასდროს დაბრუნებულა. დიდხანს ეძებდა კამასვამი, შეშინდა, ყაჩაღებს ხომ არ ჩაუვარდა ხელშიო. კამალა არ ეძებდა, არ გაკვირვებია მისი გაუჩინარების ამბავი რომ შეატყობინეს, აკი ყოველთვის ელოდა მის გაუჩინარებას. ზიდჰართა ხომ ერთი უსამშობლო, ყარიბი სამანა იყო, რაც მათი უკანასკნელი ერთადყოფნისას კიდევ უფრო მეტად იგრძნო და დანაკლისით გამოწვეული უმძაფრესი ტკივილით სავსეს ისლა ანუგეშებდა, რომ უკანასკნელი ერთადყოფნის ჟამს ასე

მგზნებარედ ჩაიკრა გულში, ბოლომდე მიეძღვნა და მასთან ერთარსობა მთელი სისავსით შეიგრძნო.

როგორც კი ზიდჰართას გაქრობის ამბავი ამცნეს, სარკმელთან მივიდა, სადაც ოქროს გალიაში იშვიათი მგალობელი ჩიტი ჰყავდა გამომწყვდეული. გალიის კარი გამოაღო, ჩიტი გამოიყვანა და გაუშვა. თვალი გააყოლა, დიდხანს უცქერდა გაფრენილ ფრინველს. იმ დღიდან მამაკაცების სტუმრობა აღიკვეთა. სახლის კარი ჩაკეტა. გამოხდა ხანი და მიხვდა, რომ მუცლად ელო ზიდჰართასთან უკანასკნელი ერთადყოფნის ჟამს.

მდინარესთან

ტყეში ეხეტებოდა, ქალაქიდან შორს და იმასღა ხვდებოდა, რომ უკან ველარ დაბრუნდებოდა, რომ ის ცხოვრება, წლების მანძილზე რომ ენეოდა, მოყირჭებული და ბოლო წვეთამდე დაცლილი, უკან მოიტოვა. ღრმად ჩაეთრია სანსარას ჭაობს, ზიზღი და სიკვდილი შეესრუტა ყოველი მხრიდან, წყლით გაჟღენთილი ღრუბლის ნაჭერივით პირთამდე სავსე იყო, სავსე მოყირჭებით, სიდუხჭირით, სიკვდილით სავსე, ქვეყნად აღარაფერი იზიდავდა, არ ახარებდა, ველარაფერი ანუგეშებდა.

გახელებით იმას ნატრობდა, თავი დავეინყებინა, სიმშვიდე ეპოვნა, მომკვდარიყო. მეხი მაინც დასცემოდა და ნაცარტუტად ექცია! ვეფხვი მაინც დასხმოდა თავს და დაეფლითა! ღვინო ცნობისნამრთმევ შხამად ქცეოდა, მეხსიერება დაებინდა, ძილქუში დასცემოდა იმგვარი, რომ არსებობდა კიდევ ჭუჭყის ნასახი, რომლითაც თავი არ წაებოდა, არსებობდა განა ცოდვა ან უგუნურება, მას რომ არ ჩაედინოს, შეჭირვება (სახმილი), რითაც სული არ დაემძიმებინოს? როგორღა ეცოცხლა? როგორ, რანაირად ჩაესუნთქა, ამოესუნთქა, ისევ შეეგრძნო შიმშილი, ისევ ეჭამა, ისევ დაეძინა, დედაკაცთან ისევ დანოლილიყო? განა ეს წრებრუნვა მისთვის არ ამოიწურა და არ დასრულდა?

ტყეში მიმავალი ზიდჰართა დიდ მდინარეს გადააწყდა, იმას, ოდესღაც, გაუტამას ქალაქიდან მომავალი ჭაბუკი, ერთმა მებორნემ რომ გადმოიყვანა. ამ მდინარესთან შეჩერდა, ნაპირთან შეყოყმანდა, დაღლილობასა და შიმშილს დაეუძღურებინა, რისთვისღა ღირდა, გზის გაგრძელება, ან საით უნდა წასულიყო, რა მიზნისაკენ? არა, მიზანი აღარ არსებობდა, აღარაფერი უბიძგებდა ერთადერთი, მტკივნეული სურვილის გარდა: ჩამოეფერთხა ეს უაზრო სიზმარი, ამოერწყია ეს უგემური ღვინო, ბოლო მოელო ამ უბადრუკი და საძრახი სიცოცხლისათვის.

ნაპირთან, მდინარისკენ გადახრილ ქოქოსის ხეს მიეყრდნო, ხელი შემოაჭდო და მწვანე წყალს ჩააჩერდა, შეუჩერებლად რომ მიედინებოდა მის ფეხქვეშ, უცქერდა და დაუძლეველი სურვილი ავსებდა, აენყვიტა, წყალში დანთქმულიყო. შემზარავი სიცარიელის ანარეკლი უმზერდა წყლიდან და მის საშინელ სულიერ სიცარიელეს ეპასუხებოდა. ჰო, დასასრულის წინაშე იდგა. აღარაფერი აკავებდა იმისაგან, რომ თავისი თავი აღეგავა პირისაგან მიწისა, გაეცამტვერებინა თავისი ცხოვრების უნდელი ხატი და ფერხით მიეგდო ქედმაღლურად მოცინარი ღმერთებისათვის. ეს იყო ის დიადი პირღებინება, რომელსაც ნატრობდა: სიკვდილი: იმ ფორმის შემუსვრა, ასე რომ სძაგდა! თევზებს უნდა შეესანსლათ ეს ძალღი ზიდჰართა, ეს უგუნური, ეს წარწყმედილი და ლეშადქცეული სხეული, ეს უსუსური და შერყვნილი სული! თევზებსა და ნიანგებს უნდა დაეჯიჯგნათ, ასო-ასო აექნათ დემონებს!

სახეარეული ჩაშტერებოდა წყალს, დაინახა როგორ აირეკლა წყალში მისი სახე და ზედ მიაფურთხა, უდიდესი დაღლილობით შეპყრობილმა ხეს ხელი უშვა, ოდნავ შებრუნდა, რათა შვეულად გადაეგდო სხეული წყალში და საბოლოოდ დაღუპულიყო. სიკვდილისაკენ იხრებოდა თვალდახუჭული.

და ანაზდად შეთრთოლდა, გაიჟღერა მისი სულის შორეული კუნჭულებიდან, მისი დაღლილი ცხოვრების უამრავი წარსულიდან ამოხეთქილმა ბგერამ. სიტყვა იყო, სიტყვის

მარცვალი, მოლიკლიკე ხმა, დაუფიქრებლად რომ წარმოთქვამდა უნებლიეთ, ბრამანთა ყოველი ლოცვის დასაბამისა და დასასრულის ძველთაძველი სიტყვა, წმინდა „აუმ“, „სრულყოფილისა“ და „სრულყოფის“ ტოლფარდი სიტყვა. და იმავე წამს, რა წამსაც მის სმენას მისწვდა „აუმის“ ჟღერა, მეყვსეულად გაიღვიძა მთვლემარე სულმა და შეიცნო ამ ქმედების სიმცდარე.

შეძრწუნდა ზიდჰართა. ნუთუ აქამდე მივიდა, ასე დაეცა, ასე დამდაბლდა, საცდურმა ასე შეიპყრო და მთელმა ცოდნამ დატოვა, რომ სიკვდილის ძებნაც სცადა და ამ სურვილს, ამ ბავშვურ ახირებას სიმშვიდის მოსაპოვებლად, სხეული მოეკვდინებინა საკუთარ თავში გაზრდა აცალა! რაც წლებში გამოცდილმა უკანასკნელ სატკივარმა, იმედგაცრუებამ და სასონარკვეთამ ვერ შეიძლო, ამ ბოლო წამმა ის მოახდინა, როცა აუმმა მის ცნობიერებაში შეაღწია და ზიდჰართამ შეიცნო თავი თვისი შეჭირვების და ცდომილების ჟამს.

„აუმ!“ იმეორებდა გაუთავებლად: „აუმ!“ და იმ ცოდნას იხმობდა ბრაჰმას შესახებ, სიცოცხლის შეუმუსვრელობის შესახებ, ყოველივე ღვთიურის შესახებ, რაც დაევიწყებინა.

თუმცა ეს მხოლოდ წამი იყო, ერთი გაელვება, ქოქოსის ხის ფესვებთან ჩაიკეცა ზიდჰართა, დაღლილობისგან მოცელილმა, „აუმის“ ბუტბუტით ხის ფესვზე მიდო თავი და ღრმა ძილს მიეცა. ღრმა და ზმანებათაგან თავისუფალი იყო მისი ძილი, რა ხანია ასეთი ძილი არ ღირსებოდა. როცა ძილში ხანდაყოფილს გამოელვია, ასე ეგონა, წლები გასულიყო; წყლის ჩუმ დინებას უსმენდა და ვერ გაეგო, სად იყო, აქ ვინ მოიყვანა; თვალი გაახილა, გაკვირვებით უმზერდა თავს დაყუდებულ ხეებს და ზეცას, ცდილობდა გაეხსენებინა აქ საიდან გაჩნდა, მაგრამ დიდი დრო დასჭირდა ამის გასახსენებლად, წარსული თითქოს ბურუსს მოეცვა, უსასრულოდ შორეული, გამანძილებული და სრულიად უცხო გამხდარიყო. მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ადრინდელი ცხოვრება (გონს მოსვლის პირველივე წამს ძალზე შორეულ, ოდინდელ განსხეულებად, ახლანდელი „მეს“ ადრინდელ დაბადებად რომ მოეჩვენა), ისე მიატოვა, რომ ზიზღისა და უბადრუკობის შეგრძნების გამო წყალში მოუნდა მისი ჩახრჩობა, თუმცა ერთ მდინარესთან, ქოქოსის ხის ქვეშ, გონს მოგებულს, პირზე წმინდა სიტყვა „აუმ“ მოადგა, ჩაეძინა და გამოღვიძებული, სამყაროს ახალშობილის თვალთ უმზერდა. ჩუმად წარმოთქვა სიტყვა „აუმ“, რომლის წარმოთქმისასაც ჩასძინებოდა და ასე ეგონა, მისი ხანგრძლივი ძილი სხვა არა იყო, თუ არა გამუდმებული, დაუნჯებული აუმ-თქმა, აუმ-აზროვნება, „აუმით“ სახელდაუდებელისა და სრულქმნილის წიაღში ჩაძირვა და მასთან სრული შერწყმა.

მაინც რაოდენ საოცარი იყო ეს ძილი! ასე აროდეს გაუხალისებია, განუახლებია და გაუახალგაზრდავებია ძილს! იქნებ მართლა მოკვდა, მიწას გასცილდა და ისევ ხელახლა განსხეულდა? მაგრამ არა, თავის თავს ცნობდა, ცნობდა საკუთარ ხელს და ფეხებს, ცნობდა იმ ადგილს, სადაც იწვა, ამ მე-საც ცნობდა მკერდქვეშ, ამ ზიდჰართას, თავნებას, უცნაურს, თუმცა მაინც შეცვლილს, განახლებულს, საკვირველად გამოძინებულს, საკვირველად გამოფხიზლებულს, სიხარულითა და ცნობისწადილით აღვსილს.

ზიდჰართამ წამოიწია და იქვე, მის წინ ფეხმორთხმით მჯდარი ადამიანი დაინახა, უცხო კაცი, ყვითელანაფორიანი, თავგადაპარსული ბერი, აზრდაუნჯებულის პოზაში გარინდული. დაკვირვებით უმზერდა უთმო, უწვერო კაცს და ამ ბერში მალევე ამოიცნო გოვინდა, ყმანვილკაცობის მეგობარი, ის გოვინდა, ამალლებულ ბუდასთან რომ ეპოვა თავშესაფარი. ხანში შესულიყო ისიც, გოვინდაც, თუმცა ძველი იერი შერჩენოდა სახეს, გულმოდგინებაზე, ერთგულებაზე, ძიებასა და შიშზე რომ მეტყველებდა. და როცა, კაცის მზერა იგრძნო გოვინდამ, თვალი გაახილა, შეხედა და ზიდჰართა მიხვდა, რომ ვერ იცნო მეგობარმა. და თუმცა ვერ იცნო, მისმა გამოღვიძებამ მაინც გაახარა გოვინდა.

— მეძინა, — თქვა ზიდჰართამ, — აქ საიდან გაჩნდი?

— გეძინა, — უპასუხა გოვინდამ. — ძილი საშიშია იქ, სადაც ქვენარმავლები ბუდობენ და ტყის ნადირი დაძრწის. მე კი, ბატონო, ამალლებული გაუტამას, წმინდა ბუდას, შაკიამუნის შეგირდი ვარ. ჩვენთან ერთად გზად მივდიოდი და სახიფათო ადგილას ჩაძინებული ვიპოვე. შენი გაღვიძება ვცადე, ბატონო, მაგრამ ღრმა ძილი მოგრეოდა, ამიტომ ჩემიანებს ჩამოვრჩი და შენთან შევეყოვნდი. მერე, ალბათ, მეც ძილმა მძლია, არადა შენი ძილის დარა-

ჯობას ვაპირებდი. გამიცუდდა სამსახური, დაღლილობა მომერია. ახლა, რაკილა გაიღვიძე, ნება მიბოძე წავიდე, მინდა, ჩემს ძმებს დავვინო.

— მაღლობელი ვარ შენი, სამანავ, მძინარს რომ მდარაჯობდი, — უთხრა ზიდჰართამ. — კეთილნი ხართ ამაღლებულის შეგირდები. ახლა, თუ გნებავს, შეგიძლია გზა განაგრძო.

— წავალ, ბატონო. სიკეთე არ მოჰკლებოდეს ბატონს.

— გმადლობ, სამანავ.

დამშვიდობების ნიშანი მისცა გოვინდამ და უთხრა:

— მშვიდობით.

— მშვიდობით, გოვინდა, — უთხრა ზიდჰართამ.

ბერი შეჩერდა.

— მომიტევე, ბატონო, საიდან იცი ჩემი სახელი?

გაელიმა ზიდჰართას.

— მე შენ გიცნობ, ო გოვინდა, მამაშენის სახლშიც გიცნობდი და ბრაჰმანთა სკოლაშიც, იმ დროიდან გიცნობ, განდეგილებთან რომ წავედით და იმ ნუთიდან, როდესაც ამაღლებულთან ჰპოვე თავშესაფარი იეტევანას ქალაში.

— ზიდჰართა ხარ! — იყვირა გოვინდამ. — ახლა გიცანი, ვერ გამიგია მაშინვე როგორ ვერ შევძელი შენი ამოცნობა. კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, ზიდჰართა, დიდია შენი ხელახლა ხილვით გამონვეული სიხარული.

— მეც მახარებს შენთან შეხვედრა. ჩემი ძილის მცველად იდექი, კიდეც ერთხელ გმადლობ ამისთვის, თუმცა დარაჯი არ მჭირდებოდა. საით გაგინევია, მეგობარო?

— არსაით მივალ. ვიდრე წვიმების დრო დადგებოდეს, ჩვენ, ბერები მუდამ გზას ვადგავართ, მხარე-მხარე დავიარებით, წესისამებრ ვცხოვრობთ, მოძღვრებას ვქადაგებთ, მოსაკითხით ვსულდგმულობთ და გზას ვაგრძელებთ. ასეა მუდამ. შენ საითლა გაგინევია, ზიდჰართა?

უთხრა ზიდჰართამ: — მეც შენსავით ვარ, მეგობარო. არსაით მივალ. გზაში ვარ მხოლოდ, დავეხეტები.

გოვინდამ უთხრა: — ამბობ დავდივარ, ვეხეტებო და მჯერა შენი. თუმცა მაჰატიე, ო ზიდჰართა, მწირს შენ არ გავხარ. მდიდრულ სამოსელს ატარებ და დიდკაცურ წაღებს, და თმა შენი ნელსაცხებლის სურნელს რომ აფრქვევს, მწირის, მონანნალე განდეგილის თმას არაფრით არ ჰგავს.

— მართალია, სანატრელო, სწორად შენიშნე. ყველაფერს ამჩნევს შენი მახვილი თვალი. მაგრამ არ მითქვამს: განდეგილი ვარ, მე ვთქვი გზადა ვარ, მართალი ვთქვი, ვმოგზაურობ, დავეხეტები.

— მოგზაურობ, — უთხრა გოვინდამ, — მაგრამ მცირედნი მოგზაურობენ ამგვარ სამოსით, უფრო მცირედნი — ამგვარ წაღებით, ამგვარი თმებით. არასოდეს გადავყრივარ ამგვარ მოგზაურს, ჩემი ხანგრძლივი ხეტიალის ჟამს.

— მჯერა შენი, ჩემო გოვინდა, მაგრამ სწორედ დღეს შემოგვხვდა ასეთი მწირი, ამგვარ წაღებით, ამგვარ სამოსით. გაიხსენე, საყვარელო: მედინია ეს ქვეყანა სახე-ფორმების, წარმავალია, სწრაფწარმავალი ჩვენი სამოსი, ვარცხნილობა, თავად ჩვენი თმა და სხეული. სწორად შენიშნე, მდიდარივით ვარ შემოსილი. მდიდარივით მაცვია ტანზე, რადგან მდიდარი ვიყავ, ამსოფლიურ, განცხრომის მოყვარულ ადამიანთა მსგავსად ვივარცხნიდი, რადგან მეც ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი.

— ახლა ვინლა ხარ, ზიდჰართა, რას წარმოადგენ?

— მეც არ ვიცი, ისევე არ ვიცი, როგორც შენ. გზაში ვარ. მდიდარი ვიყავი და აღარა ვარ, ხვალ ვინ ვიქნები, არც ეს ვიცი.

— სიმდიდრე დაკარგე?

— მე დავკარგე თუ მან დამკარგა, საკითხავია. ხელიდან გამომეცალა. სწრაფად ტრიალებს სახე-ფორმათა ბორბალი, გოვინდა. სადლაა ბრაჰმანი ზიდჰართა? სად წავიდა განდეგილი ზიდჰართა, ანდა მდიდარი ზიდჰართა სად დაიკარგა? სწრაფად იცვლება სწრაფწარმავალი, გოვინდა, შენ უკეთ იცი.

დიდხანს, ეჭვშეპარული თვალთ უცქერდა გოვინდა ყმანვილკაცობის მეგობარს. შემდეგ დამშვიდობების ნიშნად თაყვანი სცა, როგორც ვინმე დიდებულს და გზა განაგრძო.

სახემლიმარი გასცქეროდა ზიდჰართა მიმავალს, ჯერ კიდევ უყვარდა ეს ერთგული, მოშიშარი ადამიანი. განა შეეძლო ამ დიდებულ ჟამს, სასწაულთმოქმედი ძილის შემდეგ, „აუმით“ გამსჭვალულს, არავინ და არაფერი არ ჰყვარებოდა?! აი, ეს იყო ჯადოსნური სახეცვლილება, ძილის დროს, „აუმის“ მეოხებით რომ აღსრულებულიყო: ყოვლისმომცველ სიყვარულს აევსო მისი გული, სიხარულით უყვარდა ყოველივე, რასაც ხედავდა. ახლდა მიხვდა, სწორედ ეს იყო მისი სწეულებისა და სატკივარის მიზეზი აღარაფრის და არავის სიყვარული რომ აღარ შეეძლო.

სახემლიმარი უცქერდა მიმავალ ბერს. ძილმა ძალა შემატა, თუმცა შიმშილმა შეანუხა, რადგან ორი დღე არაფერი ეჭამა და აღარც ის დრო იყო, შიმშილს რომ არ ეპუებოდა. სევდით და თან სიცილით იხსენებდა იმ დროს. გაახსენდა მაშინ, სამი რამით მოინონა თავი კამალას წინაშე, იქადნიდა სამ კეთილშობილურ და უძლეველ ხელოვნებას ვფლობო: მარხვის, ლოდინისა და აზროვნების ხელოვნებასო. ეს იყო მისი საკუთრება, მისი ძალა და ძალაუფლება, საიმედო საყრდენი კვერთხი; ყმანვილკაცობის წლებში მუყაითი, გულმოდგინე მეცადინეობით შეისწავლა სამივე, სხვა არაფერი უსწავლია. ახლა აღარც ერთს აღარ ფლობდა, აღარც მარხვა შეეძლო, აღარც ლოდინი, არც აზროვნება. ყველაზე უბადრუკს, უწარმავალესს, მიწიერ სიამოვნებებს, კეთილდღეობას და სიმდიდრეს ანაცვალა ისინი: უცნაურად წარიმართა მისი ცხოვრება. ახლა კი, როგორც ჩანს, მართლა ბავშვ-ადამიანად ქცეულიყო.

თავის მდგომარეობას ჩაუფიქრდა. აზრის მოკრება გაუძნელდა, არც ეხალისებოდა, თუმცა თავს ძალა დაატანა.

ახლა, ფიქრობდა, როცა ეს უწარმავალესი საგნები ისევ ხელიდან გამომეცალა, ისევ მზის ქვეშ ვდგავარ, როგორც ოდესღაც ყმანვილობისას ვიდექი ხოლმე და არაფერი გამაჩნია, არაფერი შემიძლია, არაფრის უნარი არ შემწევს, არც არაფერი მისწავლია. და რაოდენ გასაკვირია! ახლა, როცა ახალგაზრდა აღარა ვარ, თმაში ჭალარა გამომერია და აღარც ძალა მერჩის, ყველაფერს თავიდან ვინყებ, ვინყებ ბავშვივით! ისევ გაელიმა. ჰო, უცნაური ბედი ჰქონია! ცხოვრება პირდაღმა დატრიალებულა და ახლა იდგა ზიდჰართა უწინდელივით ცარიელი, შიშველი და სულები ამ სამყაროში. მაგრამ ამის გამო აღარ ნუხდა, პირიქით, დაუძლეველი სურვილი კლავდა – ეცინა, ეხარხარა საკუთარ თავზე, ამ უცნაურ, უგუნურ ქვეყნიერებაზე სიცილით ეჯერებინა გული.

— ნალმა მიდის შენი საქმე! — სიცილ-სიცილით უთხრა საკუთარ თავს. და როცა ეს თქვა, მისი მზერა მდინარეზე შეჩერდა, მდინარეც დაღმა მიდიოდა, მუდმივად დაღმა მიედინ-მიიმღეროდა და ილხენდა. ეს კი ფრიად მოეწონა ზიდჰართას, მოწონების ნიშნად გაუღიმა კიდევ წყალს. განა ეს ის მდინარე არ იყო, რომელშიც თავის დახრჩობა განიზრახა ოდესღაც, ასი წლის წინ, ან იქნებ ესეც, სიზმრად მხოლოდ?

მართლაცდა გასაკვირი იყო ჩემი ცხოვრებაო, ასე ფიქრობდა, საოცრად იცვლიდა გეზს. ყმანვილობაში მარტო ღმერთებთან და მსხვერპლშენივასთან მქონდა საქმე. ჭაბუკობაში — ასკეტობა, აზროვნება და თვითწარმავება იყო ჩემი საქმე, ბრამას ვეძებდი, ატმანში მარადიულს ვადიდებდი. ყმანვილკაცობაში მომნანიებლებს გავყევი, ტყეში ვცხოვრობდი, სიცხესა და ყინვას ვიტანდი, შიმშილის გაძლებას ვსწავლობდი, ჩემს სხეულს კვდომას ვასწავლიდი. სასწაულივით მომეველინა დიადი ბუდას მოძღვრებიდან მომდინარე სამყაროს ერთიანობის შემეცნება, საკუთარი სისხლის წრებრუნვასავით შევიგრძნობდი სამყაროს ერთიანობის ცოდნას. მაგრამ ბუდასაც უნდა გავცლოდი და დიად ცოდნასაც. გავეცალე კიდევ და სიყვარულით ტკობას ვსწავლობდი კამალასთან, ვაჭრობას შევისწავლიდი კამასვამისთან, ფულს ვიხვეჭდი, ფულს ვფლანგავდი, კუჭმსახურობაში გავინაფე, გრძობებით პირმოთნეობა შევისწავლე. მრავალი წელი მოვანდომე იმას, რომ აზროვნებას გადავჩვეოდი, გონი დამეკარგა, ერთარსობა დამევიწყებინა.

განა ასეც არ მოხდა, განა ნელ-ნელა გზიდან გადახვევების გამო კაცი — ბავშვად, მოაზროვნე — ბავშვ-ადამიანად არ ვიქეცი? მაგრამ მაინც ძალზე კარგი იყო ეს გზა, მაინც არ მოკვდა ჩემს მკერდში ჩიტი და მაინც, რა უცნაური გზა იყო! უამრავი უგუნურება, მანკი-

ერება, უამრავი ცთომილება, ზიზღი, იმედგაცრუება და სივაგლახე მხოლოდ იმიტომ უნდა გამომეცადა, რომ ისევ ბავშვობას დავბრუნებოდი და ყველაფერი თავიდან დამენყო. მაგრამ ასეც უნდა მომხდარიყო, გული თანხმობას მეუბნება, თვალები იცინიან. სასონარკვეთა უნდა განმეცადა, ყველაზე უგუნურ, თვითმოკვდინების აზრამდე უნდა დავცემულიყავი, რათა კვლავ მეგრძნო მადლი, კვლავ შემძლებოდა „აუმის“ შესმენა, ნამდვილი ძილით დამძინებოდა და ნამდვილად გამღვიძებოდა. სულელად უნდა ვქცეულიყავი, ატმანი ხელახლა რომ აღმომეჩინა საკუთარ თავში. უნდა შემეცოდა, სიცოცხლე კვლავ რომ შემძლებოდა. კიდევ საით უნდა წამიყვანოს ჩემმა გზამ? გიჟურია ეს გზაც, დაკლაკნილი, მარყუჟივით დაგრეხილი და შეიძლება, წრეში ტრიალებს. დაე, იტრიალოს, მე მას მაინც გავივლი. გულში სიხარულის საოცარი მოზღვავება იგრძნო.

„საიდან, — მაინც საიდან ჩნდება შენში ეს სიხარული? — ეკითხებოდა საკუთარ გულს. — იქნებ ხანგრძლივი, ჯანსაღი ძილის ბრალია? ან სიტყვა „აუმის“, რომელსაც წარმოვთქვამდი? იქნებ იმის ბრალია, რომ გავიქეცი, რომ აღსრულდა ჩემი გაქცევა და ისევ თავისუფალი ვარ, ისევ ბავშვივით ვდგავარ ამ ცისქვეშეთში? ო, რა კარგია ეს გათავისუფლება, თავის-უფლების მოპოვება! რა წმინდაა და მშვენიერი ეს ჰაერი, მისი შესუნთქვა! იქ, საიდანაც გამოვიქეცი, ყველაფერს ნელსაცხებლის, სუნელების, ღვინის, მოყირჭებისა და სიზანტის სუნი უდიოდა. როგორ მძულდა ის მდიდარი კაცების, მუცელმონების, ყომარბაზების სამყარო! როგორ მძულდა თავი ამ ამაზრზენ სამყაროში ხანგრძლივი შეყოვნების გამო! როგორ მოვიძულე თავი, როგორ გავძარცვე, მოვნამლე, დავამდაბლე, ძაბუნ და ბოროტ არსებად ვაქციე! არა, არასდროს დავრთავ ნებას ზიდჰართას, თავი ბრძენკაცად წარმოიდგინოს! თუმცა კი უკვე კარგად მოვიქეცი, ეს ერთადერთი საქციელი მომწონს და ვამაყობ კიდევ, საკუთარი თავის სიძულვილს რომ ბოლო მოვუღე და იმ უგუნურ და უბადრუკ ცხოვრებაზე ვთქვი უარი! ყოჩაღ, ზიდჰართა, მრავალწლოვანი უგუნური ცხოვრების შემდეგ ერთხელ კიდევ გაგინათდა გონება და ქების ღირსი საქციელი ჩაიდინე: შენ მკერდქვეშ მომღერალი ფრინველის ხმა შეისმინე და მის ხმას გაჰყევი!“

ასე აქებდა, ასე შეჰხაროდა თავს და ცნობისნადილით უსმენდა შიმშილისგან აკვნესებულ კუჭს. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ტანჯვა-ვაება და გაჭირვება ბოლო წვეთამდე შესვა, ამ დღეებში, დაიგემოვნა და უკან ამოანთხია, სასონარკვეთამდე, სიკვდილის პირამდე გულმოყირჭებულმა. კიდევ კარგი, ეს დაემართა, თორემ კიდევ დიდხანს დარჩებოდა კამასვამისთან, ფულს მოიხვეჭდა, ფულს გაფლანგავდა, კუჭს ამოიყორავდა, სულს კი წყურვილით მოკლავდა, კიდევ დიდხანს იცხოვრებდა მყუდრო, კეთილმონყობილ ჯოჯოხეთში, უკიდურესი უნუგეშობისა და სასონარკვეთის წამი რომ არ დამდგარიყო, ის ზღვრული წამი, როცა მედინი წყლისკენ გადახრილმა თავის წარწყმედა დააპირა. და რომ მოერია, და რომ არ დანებდა აუტანელ სასონარკვეთას, უკიდურეს გულისზიდვას, და რომ ჯერაც ცოცხლობდა მასში ფრინველი, სიხარულის წყარო და ხმა, ეს ანიჭებდა სიხარულს, სიცილს ჰგვრიდა, უსხივოსნებდა ჭალარამოსილ თავს.

„სასიკეთოა, — ასე ფიქრობდა, — ყველაფერი, რისი ცოდნაც კაცისათვის ჯეროვანია, თავად გამოსცადო. ამსოფლიური ვნებები და სიმდიდრე რომ უკეთურისგან არის, ეს ბავშვობაშივე შევისწავლე. სწავლით კი ვისწავლე, მაგრამ საკუთარ თავზე ახლალა გამოვცადე. ახლა ეს დანამდვილებით ვიცი, ვიცი არა მახსოვრობით, არამედ თვალებით, გულით, კუჭითაც ვიცი. და ბარაქალა მე, რომ ეს ვიცი!“

დიდხანს ფიქრობდა ამ გარდასახვაზე, უსმენდა ფრინველს, სიხარულით რომ გალობდა. განა ეს ჩიტი არ იყო, გულში რომ მოუკვდა, განა თავადვე არ შეიგრძნო მისი სიკვდილი? არა, სხვა რამ მომკვდარიყო მასში, რალაც ისეთი, რაც დიდი ხანია სიკვდილს ნატრობდა. იქნებ ის მოკვდა, რის მოკვლასაც თვითგვემის მხურვალე წლებში ესწრაფოდა? განა ეს მისი „მე“ არ იყო, ეს პატარა, მხდალი და ქედმაღალი „მე“, რომელსაც ნდობით ებრძოდა, რომელიც მუდამ ხელახლა ჯაბნიდა, ყოველი მოკვდინების შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი, სიხარულს უკრძალავდა, შიშით თრთოდა? და განა ეს „მე“ არ მოკვდა დღეს საბოლოოდ აქ, ამ ტყეში, ამ საამური მდინარის პირას? განა მისი სიკვდილის გამო არ ჰგავდა ახლა ისევ ბავშვს, ესოდენი ნდობით აღვსილს, შიშისგან თავისუფალს, სიხარულით საეხეს?

ახლალა მიხვდა ზიდჰართა, თუ რატომ ერკინებოდა ამაოდ ამ „მეს“ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბრაჰმანი იყო, მაშინაც, როცა განდეგილი იყო. მრავლისმრავალი ცოდნა აბრკოლებდა, წმინდა სტრიქონთა სიმრავლე, რიტუალურ წესთა სიუხვე, ძალზე ბევრი თვითგვემა, საქმემრავლობა და ზედმეტი გულმოდგინება! ამპარტავნებით სავსე ყოფილა, ყოველთვის ყველაზე ჭკვიანი, ყოველთვის ყველაზე თავგამოდებული, ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინმავალი, ყოველთვის მცოდნე და სულიერი, ყოველთვის ღვთისმსახური ან ბრძენი. ამ ღვთისმსახურებაში, ამ ქედმაღლობაში, ამ სულიერებაში შემძვრალიყო მისი მე, იქ საიმედოდ მოეკალათებინა და იზრდებოდა, თუმცა ეგონა, რომ მარხვითა და მონანიებით მოაკვდინებდა. ახლალა მიხვდა ყოველივეს, მიხვდა, რომ იდუმალი ხმა მართალს ეუბნებოდა: ვერც ერთი მასწავლებელი ვერასდროს შეძლებდა მის ხსნას ამ „მესგან“. ამიტომაც უნდა გაეველო სანსარა, თავი დაეკარგა გართობისა და ძალაუფლების, ქალისა და ფულის გამო, ქორვაჭარი, ყომარბაზი, ლოთი და მომხვეჭელი უნდა გამხდარიყო, ვიდრე მასში მღვდელმსახური და განდეგილი არ მოკვდებოდა. და ამის მერე, ისევ ამიტომ უნდა აეტანა შემზარავი წლები, აეტანა ზიზღი, სიცარიელე, ბოლომდე, უმწარეს სასონარკვეთამდე განეცადა უბადრუკი და გაფლანგული ცხოვრების უაზრობა, ვიდრე ეს ავხორცი, ხარბი ზიდჰართაც არ მოკვდებოდა მასში. მოკვდა კიდევ და ხანგრძლივი ძილის შემდეგ განახლებულმა ზიდჰართამ გაიღვიძა. ეს ზიდჰართაც დაბერდებოდა, ოდესმე ისიც მოკვდებოდა, ისიც წარმავალი იყო, როგორც ყოველი ფორმა. მაგრამ დღეს ახალგაზრდა, ბავშვი, ახალი ზიდჰართა იყო და სიხარულით ევსებოდა გული.

აი, ასეთი ფიქრები ჰქონდა, პირმცინარი უსმენდა კუჭის ხმას, მაღლიერებით აყურადებდა ფუტკრის ზუზუნს. მხიარულად ჩაჰყურებდა მჩქეფარ მდინარეს, მასზე უკეთესი წყალი არ უნახავს, ასე ძლევამოსილი და მშვენიერი არასდროს მოსჩვენებია მედინი წყლის ხმა და სიმბოლო. ასე ეგონა, მდინარეს რალაც განსაკუთრებულის თქმა უნდოდა მისთვის, რალაც ისეთის, რაც ჯერაც არ იცოდა და რასაც სულ მალე შეიტყობდა. ამ მდინარეში სურდა თავის დახრჩობა; დღეს მასში დაიხრჩო ძველი, დაღლილი, სასონარკვეთილი ზიდჰართა. განახლებული ზიდჰართა კი მჩქეფარე წყლის უსამანო სიყვარულით გამსჭვალულიყო და თავისთვის უკვე გადაეწყვიტა, ისე მალე აღარ გასცლოდა მას, როგორც ერთხელ უკვე გაეცალა.

მეხორნა

— ამ მდინარესთან დარჩენა მინდა, — ფიქრობდა ზიდჰართა, — ეს იგივე მდინარეა, რომელზეც ერთხელ ერთმა კეთილმა მეხორნემ გადმომიყვანა მაშინ, როცა ბავშვი-ადამიანებისკენ მოვდიოდი; იმ მეხორნესთან მივალ, მაშინ მისი ქოხიდან დავიწყე ცხოვრება, ის ცხოვრება, რომელიც დრომ მოინელა და ჩაკლა, — ვინ იცის, იქნებ ჩემი ამჟამინდელი ახალი ცხოვრებაც იქიდან დაიწყოს!

ალერსიანად ჩაჰყურებდა მჩქეფარე წყალს, გამჭვირვალე სიმწვანეს, წყლის საიდუმლო მრავალი ნახატის ბროლისებრ ხაზებს. სიღრმიდან მოციმციმე მარგალიტების ჩქერალივით ზედაპირისკენ ისწრაფოდნენ წყლის ბუშტები, ირწეოდნენ და ციურ სილაჟვარდეს ირეკლავდნენ. ათასფერი თვალი ჰქონდა მდინარეს — მწვანე, თეთრი, ბროლისა და ლაჟვარდის და ამ ათასი თვალით უმზერდა ზიდჰართას. როგორ უყვარდა ეს წყალი, როგორ აღელვებდა, რა მაღლიერი იყო მისი! ზიდჰართა კვლავ ისევ გაღვიძებულ და ამეტყველებულ ხმას უსმენდა, მას რომ ეუბნებოდა: გიყვარდეს ეს წყალი, დარჩი მასთან, მისგან ისწავლეო! ო, როგორ არა, სიხარულით დაუდგებოდა შეგირდად, სიხარულით მოუსმენდა მდინარეს. ეჭვიც აღარ ეპარებოდა, ვინც ამ წყლის ენასა და საიდუმლოებებს გაიგებდა, ის სხვა მრავალ საიდუმლოსაც ჩასწვდებოდა, უიდუმალეს საიდუმლოსაც შეიცნობდა.

დღეს კი მდინარის მრავალ საიდუმლოთაგან ერთადერთს ხედავდა და ამ ერთადერთს დაეპყრო მისი სული; ხედავდა როგორ დიოდა წყალი, შეუჩერებლად მიედინებოდა და მაინც

მუდამ აქ, ერთ ადგილას მყოფობდა, მუდამ და ყოველთვის ერთი და იგივე იყო და მაინც, ყოველწამიერ ახალი! ო, ვინც ამას ჩასწვებოდა და ამოიცნობდა! თვითონ ჯერ არ ესმოდა, ვერ სწვებოდა მხოლოდ, გუმანით ხვდებოდა, შორეულ მოგონებათა, ღვთიური ხმებივით შეიგრძნობდა.

ზიდჰართა ნამოიმართა, სხეულში მბორგავ შიმშილს ველარ გაუძლო. ფიქრებით მოცულმა გზა განაგრძო, აღმა, დინების საპირისპირო მიმართულებით აჰყვა ვინრო ბილიკს და ხან ნაკადის ხმას, ხან კი სხეულში ახმაურებულ შიმშილს აყურადებდა.

როცა ბორანთან მივიდა, გამზადებული ნავი დაინახა და ამ ნავში იგივე მებორნე შეიცნო, რომელმაც ოდესღაც ჭაბუკი სამანა მდინარის ამ ნაპირზე გადმოიყვანა. ზიდჰართამ იცნო, მასაც მორეოდა სიბერე.

— იმ ნაპირზე გადამიყვან? — ჰკითხა ზიდჰართამ.

მარტოდმარტო, თანაც ფეხით მოსიარულე დიდებულის ნახვით გაოცებულმა მებორნემ ნავში მიიპატიჟა და ნაპირს გასცილდნენ.

— მშვენიერი ცხოვრება აგირჩევია, — უთხრა მგზავრმა, — ალბათ, რაოდენ მშვენიერია ამ წყლის პირას ცხოვრება და ყოველდღე მის ტალღებში ნებვირობა.

ლიმილით ირწეოდა ნავზე ნიჩბოსანი.

— მშვენიერია, ბატონო, მართალს ბრძანებ, მაგრამ განა ნებისმიერი ცხოვრება, ნებისმიერი სამუშაო ასევე მშვენიერი არ არის?

— შეიძლება ასეც იყოს. თუმცა მე შენი ხელობა მშურს.

— ეჰ, მალევე მოგბეზრდებოდა, მებორნეობა ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანებისთვის არ არის.

ზიდჰართას გაეცინა.

— დღეს, ამ ტანსაცმლით, უკვე მივიქციე ყურადღება, მაკვირდებოდნენ, ეჭვით მიცქერდნენ. მგზავრობის საზღაურად ამ სამოსს ხომ არ გამომართმევ, ასე რომ მამძიმებს? ფული მაინც არა მაქვს, გასამრჯელო რომ გადაგიხადო.

— ალბათ, ხუმრობ, ბატონო, — გაიცინა მებორნემ.

— არა, არ ვხუმრობ, მეგობარო! სამადლოდ ერთხელ უკვე გადმომიყვანე ამ მდინარეზე, ახლაც ისე მიგყავარ, ფული არ გითხოვია, ამიტომ ტანისამოსი გამომართვი.

— მერე, ბატონო, შეუმოსავი როგორ ნახვალ?

— ეჰ, მე თუ მკითხავ, არსადაც აღარ ნავიდოდი. მერჩია, ჩემო მებორნეე, ძველი არდაგი მოგეცა ჩემთვის და დამხმარედ, ანდა უკეთეს შემთხვევაში, შეგირდად აგეყვანე, რადგან ჯერ ნავის მართვა უნდა ვისწავლო.

დიდხანს დაჟინებით, ჩაძიებით უმზერდა მებორნე უცხოს.

— ახლალა გიცანი, — უთხრა ბოლოს, — ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ოც წელი იქნება გასული, ჩემს ქოხში გაათიე ღამე, მერე მდინარეზე გადაგიყვანე და კეთილი მეგობრებივით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. განა სამანა არ იყავი? შენს სახელს ველარც ვიხსენებ.

— ზიდჰართა მქვია, უკანასკნელად როცა მნახე, განდეგილი ვიყავი.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, ზიდჰართა. ვასუდევა ვარ. იმედი მაქვს, დღესაც მესტუმრები, ჩემს ქოხში გაათიე ღამეს და მომიყვები, საიდან მოდიხარ, ან რად გამძიმებს ეგ მშვენიერი სამოსელი.

მდინარის შუაგულს მიაღწიეს და ვასუდევა მეტი ძალით დაანვა ნიჩბებს, დინებას რომ არ წაეღო ნავი. მშვიდად ირჯებოდა ძლიერი მკლავებით, კიჩოს აკვირდებოდა. ზიდჰართა იჯდა და ფიქრობდა, იხსენებდა განდეგილობის იმ ბოლო დღეს, ამ კაცისადმი სიყვარულმა გული როგორ შეუტოკა. მადლიერებით მიიღო ვასუდევას მიპატიჟება. როცა ნაპირზე გადავიდნენ, დაეხმარა ნავი პალოზე მიება მებორნეს, მერე ვასუდევამ ქოხში მიიწვია, პური-თა და წყლით გაუმასპინძლდა, სიამოვნებით მიირთმევდა ზიდჰართა, სიამოვნებით შეექცა ვასუდევას მიერ მორთმეულ მანგოს ნაყოფსაც. შემდეგ, მზე-გადახრილზე, სანაპიროსთან ხის კუნძზე ჩამოსხდნენ და ზიდჰართამ წვრილად უამბო მებორნეს, ვინ იყო და სადაური, დაწვრილებით უყვებოდა თავის ცხოვრებაზე, ისე უყვებოდა, როგორც თვითონ დაინახა, სასონარკვეთის წუთებში. გვიან ღამემდე გაუგრძელდა ეს საუბარი.

ვასუდევა გულისყურით უსმენდა. უსმენდა და მის მონათხრობს ღრუბელივით ისრუტავდა: ზიდჰართას წარმომავლობასა და ბავშვობას, განსწავლის, ძიების წლებს, ყველა მის სიხარულსა თუ გაჭირვებას. ეს იყო მებორნის სიქველეთა შორის ყველაზე დიდი სიქველე: ასეთი მოსმენა მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ. ხმისამოულებლად უსმენდა და მოსაუბრე გრძობდა, როგორ ეხმიანებოდა მის სიტყვებს ვასუდევა, ჩუმად, ღიად, მოთმინებით უხსნიდა გულს, ყოველ სიტყვას უფრთხილდებოდა და ქებისა თუ კიცხვის სასწორზე კი არ წონიდა, მხოლოდ უსმენდა. ზიდჰართა მიხვდა, თუ რა დიდი ბედნიერება იყო ამგვარი მსმენელის წინაშე გულის გადაშალა და მასთან ერთად საკუთარი ცხოვრების ჩხრეკა და ტანჯვა.

თხრობის დასასრულს, როცა მდინარესთან მდგარ ხეზე და საკუთარ დაცემაზე, წმინდა „აუმზე“ და იმ სიყვარულზე უყვებოდა, ძილიდან გამოფხიზლებულმა რომ შეიგრძნო, მებორნემ თვალები მილულა და სავსებით მინებდა მის თხრობას.

და როცა ზიდჰართამ თხრობა დაასრულა, ვასუდევა კიდევ დიდხანს დუმდა, შემდეგ კი უთხრა:

— სწორედ ის მოხდა, რასაც ვფიქრობდი. მდინარე დაგელაპარაკა. შენც მეგობრად გექცა, ეს კი კარგია, ძალიან კარგი. დარჩი ჩემთან, მეგობარო. ოდესღაც ცოლი მყავდა, ჩემს გვერდით ეგო მისი სარეცელი, მაგრამ რა ხანია გარდაიცვალა და ახლა მარტო ვცხოვრობ. ამიერიდან ჩემთან იცხოვრე, ორივეს გვეყოფა ადგილი და საზრდო.

— მადლობელი ვარ, — მიუგო ზიდჰართამ, — მადლობას გწირავ და თანახმა ვარ. მადლობას გიხდი, ვასუდევა, კიდევ იმისთვის, ასე გულითადად რომ მომისმინე! იშვიათია ადამიანი, ვისაც ასეთი მოსმენის უნარი შესწევს, შენნაირი მსმენელი კი არც არასოდეს შემხვედრია. ამასაც შენგან ვისწავლი.

— შენ ისწავლი მოსმენას, — უთხრა ვასუდევამ, — მაგრამ ჩემგან არა. მოსმენა მდინარემ მასწავლა და თუ მოისურვებ, შენც გასწავლის. მდინარე ყოვლისმცოდნეა და ის გასწავლის ყველაფერს. წყალმა უკვე გასწავლა, თუ რა კარგია თავქვე ჩაშვება, ჩაძირვა, ღრმა ფსკერის ძებნა. მდიდარი და დიდგვაროვანი ზიდჰართა უბრალო მენიჩბედ იქცევა, სწავლული ბრამანი ზიდჰართა — მებორნედ. ეს მდინარემ გიკარნახა. მალე სხვა რამესაც გვასწავლის.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ზიდჰართამ უთხრა:

— რა არის ეს „სხვა რამ“, ვასუდევა?

ვასუდევა წამოდგა.

— უკვე გვიანია, — უთხრა მან, — წამოდი, დავიძინოთ. „სხვას“ რას ისწავლი, მეგობარო, მე ვერ გეტყვი. თვითონ შეიტყობ, იქნებ უკვე იცი კიდევ. როგორც ხედავ, სწავლული არ გახლავარ, არც ლაპარაკი მეხერხება, არც აზროვნებით გამოვირჩევი. მხოლოდ მოსმენის და სათნო ცხოვრების უნარი შემწევს, სხვა არაფერი მისწავლია. ამის გამო თქმა და სწავლება რომ შემეძლოს, ალბათ, ბრძენი ვიქნებოდი, მაგრამ ერთი უბრალო მებორნე ვარ და ადამიანების მდინარეზე გადაყვანა მევალება, სხვა არაფერი. მრავალი, ათასობით ადამიანი გადამიყვანია და ეს მდინარე ყველსათვის მხოლოდ გზად შეხვედრილი დაბრკოლება იყო, სხვა არაფერი, ისინი ფულისკენ, საქმეებისკენ, ქორწილებისა და სალოცავებისკენ მიემართებოდნენ, მდინარე კი აფერხებდა, მებორნის ვალი კი სწორედ ის არის, რაც შეიძლება სწრაფად გადაალახინო ეს წინააღმდეგობა. ათასთა შორის მხოლოდ ზოგიერთს — ერთეულებს, ოთხ თუ ხუთ მგზავრს არ ექცა დაბრკოლებად მდინარე, მათ გაიგეს წყლის ხმა, მათ მოუსმინეს, მათთვისაც ისევე წმინდა გახდა მდინარე, როგორც ჩემთვის. ახლა კი ნავიდეო და მოვისვენოთ, ზიდჰართა.

ზიდჰართა მებორნესთან დარჩა. ნავის გამართვას სწავლობდა, ხოლო როცა ბორანზე საქმე არა ჰქონდა, ვასუდევასთან ერთად ბრინჯის ყანაში მუშაობდა, ფიჩხს აგროვებდა, ბანანებს კრეფდა. ნიჩბების გამოთლა ისწავლა, ნავის შეკეთება, კალათების დაწვნა და ყველაფერი, რასაც სწავლობდა, სიხარულს ჰგვრიდა, შეუმჩნევლად იღეოდა დღეები და თვეები. მაგრამ იმაზე მეტს, რისი სწავლებაც ვასუდევას შეეძლო, ზიდჰართას მდინარე ასწავლიდა. გამუდმებით სწავლობდა მისგან. უპირველეს ყოვლისა, მოსმენას სწავლობდა, ჩუმი გულით, მომლოდინე, გახსნილი სულით მოსმენას, ვნებათაღელვის, ყოველგვარი სურვილების, განსჯის, მოსაზრების გარეშე.

მეგობრულად ცხოვრობდა ვასუდევას გვერდით ხანდახან გამოელაპარკებოდნენ ერთმანეთს, სიტყვაძუნობდნენ და დიდხანს წონიდნენ სიტყვას, ვიდრე იტყოდნენ. ვასუდევას ლაპარაკი არ უყვარდა, ზიდჰართა იშვიათად ახერხებდა საუბარში მის გამონვევას.

ერთხელ ჰკითხა:

— შენც მდინარემ გასწავლა ეს საიდუმლო: რომ დრო-ჟამი არ არსებობს?

ვასუდევას სახე ღიმილმა გაუცისკროვნა.

— ჰო, ზიდჰართა, — უპასუხა მან, — რასაც ამბობ, ამით ხომ იმას გულისხმობ, რომ მდინარე ერთდროულად ყველგან არის, სათავეში იქნება თუ წყალშესართავთან, ჩანჩქერზე თუ ბორანთან, წყალვარდნილებში, ზღვაში თუ მთაში, ყველგან თანადროულად მყოფობს და მისთვის მხოლოდ ანმყო არსებობს, წარსულის ან მომავლის ნატამალიც არ გააჩნია.

— ამას ვგულისხმობდი, — მიუგო ზიდჰართამ, — და როცა ეს საცნაურყვავი, ჩემ ცხოვრებასაც დავაკვირდი და მივხვდი, რომ ისიც მდინარესავით მიედინებოდა, ყმანვილ ზიდჰართას ჭაბუკი და ბერიკაცი ზიდჰართასგან მხოლოდ ჩრდილი ჰყოფდა და არა სინამდვილე. არც ზიდჰართას აღრინდელი დაბადებებია წარსული, ისევე როგორც სიკვდილი და ბრამასთან მისი უუკუმიქცევა არ წარმოადგენს მომავალს. არცა რა ყოფილა და არცრა იქნება; ყველაფერი არის, ყველაფერს მხოლოდ არსი და ანმყო გააჩნია.

გულშეძრული საუბრობდა ზიდჰართა, გონების უეცარმა განათებამ უდიდესი ბედნიერება განაცდევინა, ო, განა დრო არ იყო მიზეზი ყოველგვარი ტანჯვისა, ყოველგვარი თვითგვემისა და შიშისა, განა ყველაფერი, რაც მძიმეა და მტრული ამქვეყნად მყისვე არ გაქრებოდა და დაიძლეოდა, როგორც კი დროს დაძლევა და ცნობიერებიდან წაშლიდა კაცი? მღელვარედ ლაპარაკობდა, ვასუდევამ კი შუქმფინარი ღიმილი შეაგება პასუხად, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, უხმოდ დაეთანხმა, ზიდჰართას მხარზე ხელი გადაუსვა და საქმეს მიუბრუნდა.

ერთხელაც, კოკისპირული წვიმების დროს, როცა მოდიდებულ მდინარეს შხუილი გაჰქონდა, უთხრა ზიდჰართამ:

— ხომ მართალია, მეგობარო, მდინარე ხომ მრავალხმიანია, უამრავი ხმა აქვს. მის ხმაში ხომ ხელმწიფის ხმაც ისმის, მეომრისაც, ზარის, ღამის ფრინველის, მშობიარე ქალის ოხვრა-კვნესის და კიდევ მრავალი ათასი სხვა ხმა, ასე არ არის?

— ასეა, ასე, — დაეთანხმა ვასუდევა, — ყოველი ქმნილების ხმა შერწყმია მის ხმას.

— ისიც თუ იცი, — განაგრძო ზიდჰართამ, — რომელ სიტყვას წარმოთქვამს, თუკი მოახერხებ, ერთდროულად უსმინო ათეულ-ათასობით ხმიდან ყოველ ხმას?

ბედნიერმა სიცილმა გადაურბინა ვასუდევას სახეს, ზიდჰართასკენ დაიხარა და ყურში წმინდა სიტყვა ჩასჩურჩულა — „აუმ“. და სწორედ ეს იყო, ზიდჰართასაც სწორედ ეს სიტყვა ესმოდა.

და დღითიდღე სულ უფრო ემსგავსებოდა მისი ღიმილი მებორნის ღიმილს, ისეთივე შუქმფინარი, ბედნიერებით ისეთივე გაცისკროვნებული ღიმილი გაუხდა, რომელიც ათასობით მცირე ნაოჭიდან ასხივებდა მისი ბავშვური და თანაც ჭარმაგი ადამიანის ღიმილი. მრავალი მოგზაური, ამ ორ მებორნეს ძმებად მიიჩნევდა. ხშირად, მოსალამოებულზე, ხის ძირკვზე ჩამოსხდებოდნენ მდინარის პირას და მდუმარედ უსმენდნენ წყლის დუდუნს, რომელიც უბრალო წყალი კი აღარ იყო, არამედ ცხოვრების ხმა, ყოფიერის, მარად ქმნადის ხმა. ხანდახან, მდინარეს მიყურადებულნი ერთსა და იმავეზე ფიქროდნენ, რომელიმე მგზავრთან გუშინწინდელ საუბარს იხსენებდნენ, რომლის სახემ თუ ბედისწერამ ისინი დააფიქრა, სიკვდილზე ფიქრობდნენ, ბავშვობაზე და ისეც ხდებოდა, რომ ერთსა და იმავე წამს, როცა მდინარე რაიმე სასიკეთოს ეტყოდათ, ერთმანეთს გადახედავდნენ, ერთსა და იმავეზე მოფიქრალნი, ერთსა და იმავე შეკითხვაზე მიღებული ერთი და იგივე პასუხით გაბედნიერებულნი.

ბორანიდან და ორივე მებორნისგან რაღაც ისეთი მოედინებოდა, რასაც ზოგი მგზავრიც შეიგრძნობდა. ხანდახან, საკმარისი იყო ვინმე მგზავრს ერთ-ერთი მებორნისთვის შეეხედა და მაშინვე საკუთარი ცხოვრების მოყოლას იწყებდა. მოუთხრობდა თავისი ცხოვრების სატანჯველზე, ცოდვებს ინანიებდა და ნუგეშსა და რჩევას სთხოვდა. ხანდახან მათთან დარჩე-

ნის, თუნდაც ერთი ღამის გათევის უფლებას ითხოვდნენ, რათა მდინარისთვის მოესმინათ. ცნობისმოყვარეც ბევრი იყო, რომელთაც ყური მოეკრათ: მდინარესთან ორი ბრძენკაცი, ჯადოქარი თუ წმინდანი ცხოვრობსო. ცნობისმოყვარენი შეკითხვებით თავს აბეზრებდნენ, თუმცა პასუხს მაინც ვერ იღებდნენ, რადგან ჯადოქრებისა და ბრძენკაცების ნაცვლად ორ კეთილ მოხუცს ხედავდნენ, სიტყვაძვირი, ცოტა უცნაური და გამოთაყვანებული ბერიკაცების შთაბეჭდილებას რომ ახდენდნენ. ცნობისმოყვარეობის გამო მოსულნი იცინოდნენ და ერთმანეთს იმასლა ეუბნებოდნენ: რა უგუნური და ცრუმორწმუნეა ხალხი, უსაფუძვლო ჭორებს რომ ავრცელებსო.

წლები გადიოდა და არც არავინ ითვლიდა წლებს. ერთხელაც ბერებმა ჩამოიარეს, გაუტამას, ბუდას მიმდევრებმა და მდინარზე გადაყვანა ითხოვეს: მეზორნეებმა მათგან შეიტყვეს: ბერებს თავიანთ დიად მოძღვართან მიეჩქარებოდათ, რადგან ამბავი გაეგოთ, ამაღლებული სასიკვდილო სწეულებას შეეპყრო, მალე უკანასკნელად აღესრულება ადამიანური სიკვდილით, რათა სამუდამოდ გათავისუფლდესო. ცოტა ხნის შემდეგ სხვა ბერების ჯგუფი მოადგა ნაპირს, და ასე, გუნდ-გუნდად მოდიოდნენ, ბერების მსგავსად, ჩვეულებრივი მგზავრებიც მხოლოდ გაუტამაზე, მის მოახლოებულ სიკვდილზე საუბრობდნენ. როგორც ომიანობისას, ანდა უფლისწულის მეფედ კურთხევისას შეიყრება ხოლმე ხალხი, ისე დაძრულიყვნენ, საიდან აღარ მოდიოდნენ, ჭიანჭველებივით გუნდ-გუნდად იკვრებოდნენ, თითქოს რაღაც იდუმალ ძალას მიეზიდა, მოჯადოებულებივით მიემურებოდნენ იქითკენ, სადაც დიადი ბუდა სიკვდილს ელოდებოდა, სადაც წარმოუდგენელი რამ უნდა მომხდარიყო. ამ ათასწლეულის დიადი სრულყოფილი მარადისობისაკენ მიიქცეოდა სამარადჟამოდ ნათელსა და დიდებაში დასავანებლად.

ბევრს ფიქრობდა ზიდჰართა იმ ხანად სიკვდილს მინეულ ბრძენზე, მოძღვართმოძღვარზე, რომლის ხმაც მოწოდებად მისწვდა ხალხებს, ხმა, რომელმაც ასი-ათასობით ადამიანი გამოაფხიზლა, და ოდესღაც მასაც შეუძრა გული; ფიქრობდა ბრძენზე, რომლის წმინდა იერსახესაც ოდესღაც მოწინებით უცქერდა. კეთილად იგონებდა, თვალწინ წარმოუდგა მისი სრულყოფისაკენ განვლილი გზა და ღიმილით გაიხსენა ოდესღაც, ყმანვილკაცობაში, ამაღლებულისთვის თქმული სიტყვები. ახლა, როცა ღიმილს ჰგვრიდა მათი გახსენება, მედიდურ და ჭკუადაჩემებულ სიტყვებად ეჩვენებოდა ისინი. რა ხანია გაუტამასგან თავის განუყოფლობას მიმხვდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ მის მოძღვრებას არ იზიარებდა, თუმცა, ჭეშმარიტი მაძიებელი, ის, ვისაც ჭეშმარიტად სურდა პოვნა, ვერანაირ მოძღვრებას ვერ გაიზიარებდა. მაგრამ ის, ვინაც უკვე ჰპოვა, ყველა მოძღვრებას მოიწონებდა, მისთვის მისაღები იქნებოდა ყოველი მოძღვრება, ყველა გზა, ყველა მიზანი, აღარც არაფერი გამიჯნავდა სხვა მრავალ ათასთაგან, მარადიულში რომ დაეყვანებინათ, ღვთაებრივით რომ სუნთქავენ.

და ერთხელაც, იმ დღეებში, როცა უამრავი მნახველი მიემურებოდა მომაკვდავ ბუდასთან, გზას დაადგა კამალაც, ოდესღაც უტურფესი ტურფა ჰეტერათა შორის. რა ხანია უწინდელ ცხოვრებაზე უარი ეთქვა, თავისი წალკოტი გაუტამას ბერებისთვის ეჩუქებინა, ამ მოძღვრების მიმდევარი, მომლოცველთა მწყალობელი და კეთილისმყოფელი გამხდარიყო. ჯვალოს კაბა ემოსა და თავის ვაჟთან, ყრმა ზიდჰართასთან ერთად ფეხით გასდგომოდა გზას. უკვე მდინარის პირს იყვნენ მიწეულები. ყმანვილი კი მალი-მალ იღლებოდა, უკან სახლისკენ იწევდა, შესვენებას და დაპურებას ითხოვდა, ჯიუტობდა, გაჭირვებულებული ტიროდა. ბიჭუნას ჩვევად ჰქონდა ჭირვეულობით მიეღწია სანადელისთვის, კამალაც იძულებული ხდებოდა, ხშირ-ხშირად შეესვენა, დაეპურებინა, ენუგეშებინა, ხანაც გასწყრომოდა. ბიჭს ვერ გაეგო, საით მიდიოდნენ და რატომ, რა ესაქმებოდათ ამ უცხო მხარეში ვილაც მომაკვდავ უცხო კაცთან თუ წმინდანთან, არც მისი სიკვდილი აღარღებდა, თუმც მომაკვდარიყო, რა ესაქმებოდა მის სიკვდილთან?

ვასუდევას ბორანს უკვე მიახლოებოდნენ, როცა პატარა ზიდჰართამ, უკვე ვინ მოთვლის მერამდენედ, დედას სთხოვა, დაესვენათ. კამალასაც მორეოდა დაღლილობა და ვიდრე ბიჭუნა ბანანს ლოღნიდა, ჩაიმიუხლა და თვალმილულული სულს ითქვამდა. უცებ გულის გამგმირავად იყვირა, შეშინებულმა ბიჭუნამ ჯერ დედას შეხედა, ძრწოლაატანილ სახეზე

მიტკლისფერი რომ დასდებოდა, მერე კი კაბის ქობიდან გამომძვრალ შავ უხსენებელს მოჰკრა თვალი, კამალა რომ დაგესლა.

სირბილით დაადგნენ გზას, რათა მალე მიეღწიათ ხალხთან და ბორანს რომ მიუახლოვდნენ, ჩაიკეცა კამალა, მუხლი მოეკვეთა, სიარული ველარ შეძლო. ბიჭი საბრალობლად ყვიროდა, დედას ეხვეოდა და კოცნიდა, კამალაც ხმამაღლა ითხოვდა შველას და მათი ძახილი ბორანთან მდგარ ვასუდევას მისწვდა. გამალეზული მიიჭრა მათთან, ქალი ხელში აიტაცა, ნავში ჩასვა, ბიჭიც სირბილ-სირბილით მისდევდა უკან, მალე ქოხსაც მიაღწიეს, სადაც ზიდჰართა კერიაზე ცეცხლს აჩაღებდა. ზიდჰართამ შემოსულებს შეხედა და მაშინვე ბიჭის სახემ გააოცა, ესოდენ ნაცნობი რომ ეჩვენა და წარსული გაახსენა. მერე კამალაც დაინახა, მეზორნეს გონდაკარგული რომ ეჭირა ხელთ, მაშინვე იცნო და მყისვე მიხვდა, რომ ბიჭი, რომლის სახეც წარსულს ახსენებდა, მისი შვილი იყო და გული აუძგერდა.

ჭრილობა მოჰბანეს კამალას, თუმცა ნაკბენი უკვე ჩაშავებულიყო და სხეულიც შემუპებოდა. სამკურნალო ნაყენი ასვეს. ცნობა დაუბრუნდა კამალას, ზიდჰართას სარეცელზე იწვა ქოხში და მისკენ ზიდჰართა დახრილიყო, ის, ვისაც ოდესღაც ასე ძლიერ უყვარდა კამალა. თავი სიზმარში ეგონა, ღიმილით შესცქეროდა მეგობრის სახეს, ნელ-ნელა გაახსენდა, რაც შეემთხვა, გაიხსენა, უხსენებელმა რომ დაკბინა და შეშინებულმა შვილი მოიკითხა.

— ნუ გეშინია, აქ არის, — უთხრა ზიდჰართამ.

თვალი თვალში გაუყარა კამალამ.

— მოხუცებულხარ, საყვარელო, — მძიმედ ამოთქვა. შხამით დადამბლავებულ ენას ძლივს ატრიალებდა. — გაჭალარავებულხარ. მაგრამ მაინც იმ ჭაბუკ სამანას ჰგავხარ, ოდესღაც ტანსაცმელშემოცვეთილმა, ფეხდამტვერილმა რომ შემოაბიჯა ჩემს წალკოტში. ახლა უფრო დამსგავსებხარ იმ ძველ ზიდჰართას, ვიდრე მაშინ, მე და კამასვამი რომ მიგვატოვე. თვალებით ჰგავხარ იმ სამანას, ზიდჰართა. ვაი, რომ მეც მოვხუცდი და დავბერდი, ნუთუ მიცანი?

— დანახვისთანავე გიცანი, კამალა, საყვარელო, — გაელიმა ზიდჰართას.

— ისიც თუ იცანი? ის ხომ შენი შვილია, — ბიჭზე ანიშნა კამალამ.

მზერა აემღვრა, თვალები დაეხუჭა. ატირებული ბიჭი მუხლებზე დაისვა ზიდჰართამ, ტირილი აცალა, თმაზე ეფერებოდა და მტირალი ბავშვის შემხედვარეს, ოდესღაც, პატარაობისას ნასწავლი, ბრამანთა ერთი ლოცვა გაახსენდა. ნელა, მოლიღინე ხმით წარმოთქვამდა წარსულიდან, ბავშვობიდან ამოხეთქილ სიტყვებს. მისმა ნამღერმა დაამშვიდა ბიჭი და სლუკუნ-სლუკუნში ჩააძინა. ზიდჰართამ ვასუდევას საწოლზე დააწვინა ბიჭი. ვასუდევა კი კერიასთან ტრიალებდა და ბრინჯს ხარშავდა. ზიდჰართამ მზერა ესროლა, მანაც ღიმილი შეაგება.

— მოკვდება, — ჩუმად ამოთქვა ზიდჰართამ.

ვასუდევამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, კეთილ სახეზე ალის ანარეკლმა გადაურბინა.

ცნობის უნარი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა კამალას. ტკივილს დაედრიჯა მისი სახე, ტანჯვა ეწერა ბაგეზე და გაფითრებულ ღანვებზე. კამალას ტანჯვაში დანთქმული ზიდჰართა ჩუმად, გულდასმით, მოლოდინით კითხულობდა ამ ნაწერს. კამალამ იგრძნო ზიდჰართა რომ უყურებდა, თვითონაც მზერით მოიძია მისი თვალები და უთხრა:

— ახლა კი ვხედავ, თვალებიც გადაგსვავფერებია. სხვანაირი გამომეტყველება გაქვს. სულ ოდნავლა ჰგავხარ იმ ძველ ზიდჰართას. თითქოს შენა ხარ და არცა ხარ.

ზიდჰართას არაფერი უთქვამს, უხმოდ უმზერდა თვალებში.

— ნუთუ მიაღწიე, — ჰკითხა კამალამ, — ნუთუ მშვიდობა დაგივანდა სულში?

ზიდჰართამ გაუღიმა და ხელისგულით მის ხელს შეეხო.

— ვხედავ, — თქვა კამალამ, — ვხედავ, ასეა. მეც მალე მოვისვენებ.

— შენ უკვე ჰპოვე მშვიდობა, — ჩასჩურჩულა ზიდჰართამ.

კამალა დაჟინებით უმზერდა თვალებში. იმაზე ფიქრობდა, გაუტამას ნახვის დაუძლეველი სურვილი რომ ჰქონდა, სრულყოფილი ადამიანის სახის ხილვა რომ ეწადა, ეწადა

მის სიმშვიდეს ზიარებოდა, ამის ნაცვლად კი ზიდჰართას მიაგნო, და კიდევ კარგი, რომ ის იპოვნა, რადგან ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს გაუტამას სახე ეხილოს, იმდენი სიკეთე დიოდა ზიდჰართას თვალებიდან. უნდოდა ეს ყველაფერი ზიდჰართასთვის ეთქვა, მაგრამ ენა აღარ ემორჩილებოდა, უხმოდ უცქერდა ზიდჰართას, ის კი კამალას თვალეში მიღველფილ სიცოცხლეს აკვირდებოდა. და როცა უკანასკნელმა ტკივილმა აუვსო თვალები, სხეული კი უკანასკნელმა კრუნჩხვამ შეუთრთოლა, ზიდჰართა მისკენ დაიხარა და თვალები დაუხუჭა.

დიდხანს იჯდა და უმზერდა კამალას სამუდამოდ მიძინებულ სახეს. დიდხანს აკვირდებოდა, ჩამომქნარ, წლებით დაღლილ და დაჩიავებულ ტუჩებს და იხსენებდა, ოდესღაც, თავისი ცხოვრების გაზაფხულზე, ამ ბაგეს ლედვის ახლად გაკვირტულ ნაყოფს რომ ადარებდა. დიდხანს იჯდა ასე, კამალას უფერულ სახეზე დაყრილ ნაოჭებს კითხულობდა, ნანახით ივსებოდა და თავის სახესაც ხედავდა ასევე უსიცოცხლოდ მისვენებულს, ფერდაკარგულს, ჩამქრალს; ხან ახალგაზრდობისდროინდელი სახეები დაუდგებოდა თვალწინ, ახალგაზრდა ზიდჰართასა და კამალას სახეები, ცხადად ხედავდა კამალას ნითელ ტუჩებსა და გიზგიზა თვალებს და ნარუვალი ანმყოს, ნარსულისა და მომავლის ერთდროული არსებობის, მარადიულობის განცდამ გამსჭვალა თხემით-ტერფამდე. უფრო ღრმად, ვიდრე ოდესმე, უფრო სიღრმისეულად, შეიგრძნო ყოველი ცხოვრების შეუმუსვრელობა, ყოველი წამის მარადიულობა.

როცა წამოდგა, ვასუდევას ბრინჯი დიდი ხნის მომზადებული ჰქონდა, მაგრამ ზიდჰართას პირი არ დაუკარებია. ბაგაში, სადაც თხა ჰყავდათ, ჩალა გაფინეს მოხუცებმა და ვასუდევა დასაძინებლად დაწვა. ზიდჰართა გარეთ გავიდა, ქოხის წინ იჯდა და მდინარეს მიუგდო ყური. ირგვლივ წყალივით მჭიდროდ შემოსდგომოდა წარსული, ტალღებივით ერთდროულად ეხლებოდა მისი ცხოვრების ყოველი წუთი და ერთიანად გარემოიცავდა ზიდჰართას. მაგრამ ჟამი-ჟამ წამოდგებოდა, ქოხის კართან მიდიოდა, აყურადებდა, ამონმებდა, ეძინა თუ არა ბიჭს.

სისხამ დილით, მზის ამოსვლამდე, გაიღვიძა ვასუდევამ, ბაგიდან გამოვიდა და მეგობარს მიუახლოვდა.

— არ გიძინია, — თქვა მან.

— არა, ვასუდევა. აქ ვიჯექი, მდინარეს ვუსმენდი. ბევრი რამ მითხრა, პირთამდე ამავსო მკურნალი აზრებით და ერთიანობის, ერთარსობის აზრი გამანდო.

— ტანჯვა იგემე და გამოსცადე, ზიდჰართა, თუმცა იმასაც ვხედავ, რომ მწუხარება შენს გულს ვერ ეკარება.

— არა, სანატრელო, დამწუხრებული როგორ ვიქნები, როცა ისედაც მდიდარსა და ბედნიერს, ან კიდევ უფრო დიდი საგანძური და ბედნიერება მარგუნეს: ძე მიბოძეს.

— მეც მოხარული ვარ შენი ძის მობრძანებით. ახლა კი, ზიდჰართა, საქმეს შევუდგეთ, ბევრი სამუშაო გვაქვს. კამალამ იმ სარეცელზე დალია სული, რომელზეც დიდი ხნის წინ ჩემი მეუღლე გარდაიცვალა. მოდი, იმავ ბორცვზე დავანთოთ კოცონი, სადაც ჩემს თანამეცხედრეს მივაგე უკანასკნელი პატივი.

და ვიდრე ყმანვილს ეძინა, შემა მიზიდეს კოცონის დასანთებად.

ქქ

შეშინებული და თვალცრემლიანი შესცქეროდა ბიჭი დედის დაკრძალვას, პირქუშად და უნდობლად უსმენდა ზიდჰართას, შვილი რომ უნოდა და კეთილი იყოს ჩემთან, ვასუდევას ქოხში შენი მობრძანებაო, — უთხრა. ფერდაკარგული მთელ დღეებს ბორცვზე ატარებდა, სამარხთან, აღარც ჭამა სურდა, ველარაფერს ხედავდა, გული გაქვავებოდა და ბედისწერასთან მორკინალი, ბედს არ ეგუებოდა.

ზიდჰართას ებრალებოდა ბიჭი და არ ზღუდავდა, პატივს სცემდა მის მწუხარებას. იმასაც ხვდებოდა, რომ ბიჭისთვის ის უცხო იყო და არ შეეძლო მამასავით ჰყვარებოდა ზიდჰართა. თანდათან ისიც დაინახა და მიხვდა, რომ ეს თერთმეტი წლის ბიჭი დედის ნებიერა, ფუფუნებაში გაზრდილი, გემრიელ კერძებს და ფაფუკ ქვეშაგებებს, მსახურების მბრძანებლობას მიჩვეული ყმანვილი იყო. ზიდჰართას ესმოდა, რომ დამწუხრებული და განებივრებული ყმანვილი ასე უცებ, და თანაც ნებაყოფლობით ვერ შეეგუებოდა უცხოობასა და სილატაკეს. ამიტომ არაფერს აძალებდა, თავად ირჯებოდა მისთვის, ემსახურებოდა, საუკეთესო ლუკმას მეტწილად მას გადაუხანავდა ხოლმე. იმედოვნებდა, რომ დაყვავებითა და მოთმინებით მოიგებდა მის გულს.

მდიდარი და ბედნიერი ვარო, თქვა, როცა ბიჭი მასთან მოვიდა. მაგრამ დრო გადიოდა, ბიჭი არ იცვლებოდა, უწინდელივით პირქუშმა და უკარებამ, ამპარტავანი და ზვიადი გული გამოაჩინა, საქმის კეთება არ უყვარდა, მოხუცებს პატივს არ სცემდა, ვასუდევას ხეხილის ბაღში ხილს იპარავდა და მაშინ მიხვდა ზიდჰართა, რომ ვაჟიშვილის სახით ბედნიერება და სიმშვიდე კი არ ერგუნა წილად, არამედ ტანჯვა და საზრუნავი. მაგრამ უყვარდა იგი და სიყვარულით გამონვეული ტანჯვა-საზრუნავი ერჩია იმ ბედნიერებასა და სიხარულს, ბიჭუნას გარეშე რომ ექნებოდა.

მას შემდეგ, რაც ყმანვილი ზიდჰართა მათ ქოხში დასახლდა, მოხუცებმა სამუშაო გაინანილეს. ვასუდევა ისევ მარტო უძღვებოდა ბორანს, ზიდჰართა კი ქოხსა და მინდორს უვლიდა, რათა ვაჟთან ახლოს ყოფილიყო.

დიდხანს, მრავალი თვის მანძილზე ელოდა ზიდჰართა, რომ ვაჟი გაგებით შეხვდებოდა, მიიღებდა მის სიყვარულს და იქნებ ამ სიყვარულის თანაზიარიც გამხდარიყო, სიყვარულითვე ეპასუხა. მრავალი თვის მანძილზე ელოდა ვასუდევაც, გულისყურით აკვირდებოდა, იცდიდა და დუმდა. ერთხელ კი, როცა უმცროსმა ზიდჰართამ თავისი სიჯიუტითა და სიკერპით გაამწარა, მერე კი ბრინჯის ორივე ქოთანს დაუღწა, ვასუდევამ საღამო ჟამს გარეთ გაიხმო ზიდჰართა და უთხრა:

— მაპატიე, გული შემტკივა შენზე და ეს მალაპარაკებს. ვხედავ, როგორ იტანჯავ თავს, ვხვდები, რომ შენი შვილი გაფიქრებს გადარდებს და საზრუნავს გიჩენს, ამ ბავშვის ბედი მეც ძალიან მანუხებს. ეს ჩიტის ბარტყი სხვაგვარ ცხოვრებას და სხვანაირ ბუდეს არის მიჩვეული. შენსავით ზიზღისა და მოყირჭების გამო, არ გამოქცევია ქალაქსა და ფუფუნებას, თავისი ნება-სურვილით არ მიუტოვებია იქაურობა. მდინარეს დავეკითხე, ჩემო მეგობარო, ბევრჯერ ვკითხე. მდინარე კი იცინის, მე დამცინის, ორივეს დავგვცინის, თრთის ჩვენი სიბრიყვით გაოცებული. წყალი წყლისკენ ილტვის, ახალგაზრდა ახალგაზრდისკენ მიისწრაფვის, შენი ვაჟი იქ არ იმყოფება, სადაც უნდა იყოს. თვითონ ჰკითხე მდინარეს, შენც მიუგდე ყური!

დამწუხრებულმა ზიდჰართამ მზერა შეავლო მის კეთილ, ნაოჭმრავალ სახეს, რომელზეც მუდმივ სიხარული ეფინა.

— ძალმიძს კი მასთან განშორება? — იკითხა ჩუმად, დარცხვენით. — ცოტაც მაცალე! ხომ ხედავ, როგორ ვიბრძვი მისთვის, მისი გულის მოსაგებად, ვიბრძვი სიყვარულითა და მოთმინებით. ოდესმე მასაც უნდა დაელაპარაკოს მდინარე, ისიც ამისთვის არის მოწოდებული.

ვასუდევას ღიმილი გადაეფინა ბაგეზე.

— ჰო, მართალია, ისიც მოწოდებულია, ისიც მარადიული ცხოვრების ზიარია. მაგრამ არა მგონია, მე და შენ, ვისთვის, რისთვის არის მოწოდებული, რომელი გზა, რა საქმეები, რა ტანჯვაა მისი მოწოდება? სატანჯველი არ მოაკლდება, ეგზომ ზვიადი და ულმობელი გულის პატრონს; მისნაირებს ტანჯვა გაუმრავლდებათ, საცდურში ხშირად ვარდებიან, უსამართლობას სჩადიან, ცოდვა-ბრალით იბორკებიან. მითხარი, ვაჟიშვილის აღზრდას არ ცდილობ? ხომ არ აიძულებ? ხომ არ ძალადობ? ხომ არა სჯი?

— არა, ვასუდევა, მსგავსს არაფერი ჩამიდენია.

— ასეც ვიცოდი. არას აძალებ, მასზე ხელიც არ აღგიმართავს, არც გიბრძანებია რამე, რადგან კარგად იცი, რომ დრეკადი უდრეკზე მედეგია, წყალი კლდეზე ძლიერია, ხოლო სი-

ყვარული იძულებაზე უფრო მყარი. ძალიან კარგი, ქების ღირსი ხარ. მაგრამ იქნებ შენ თვითონ ცდები, რაკილა გეგონა, რომ იძულებას და დასჯას არ მიმართავ? განა შენი სიყვარულის საბლით არ ცდილობ მის დაჭერას? განა შენი სიკეთითა და მოთმინებით ყოველდღე სირცხვილის გრძნობას არ უღვიძებ და კიდევ უფრო უმძიმებ ცხოვრებას? განა არა სჯი, არ აიძულებ ამ მედიდურ, განებივრებულ ბიჭს ერთ ჭერქვეშ იცხოვროს იმ ორ ბერიკაცთან ერთად, რომელნიც მარტო ბანანით საზრდოობენ, რომელთათვისაც ბრინჯი — ფუფუნებაა, რომელთა აზრების გაზიარება მას არ ძალუძს და რომელთა დაძაბუნებულ-მინავლული გულებიც სხვაგვარად ძგერენ, ვიდრე მისი გული?

თვალი დახარა შემკრთალმა ზიდჰართამ, ჩუმად დაეკითხა: — შენ რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?

უპასუხა ვასუდევამ:

— ქალაქში წაიყვანე, დედისეულ სახლში დააბრუნე, მსახურები, ალბათ იქ დაგხვდებიან, მათ მიანდე შენი შვილი. თუ მსახურებს ვერ იპოვი, მასწავლებელს მიაბარე, იმიტომ კი არა, რომ რამე ისწავლოს, თავის ტოლ-სწორ გოგო-ბიჭებთან ერთად რომ იყოს, იმ სამყაროში, იმ გარემოში, მას რომ შეეფერება. განა ამაზე არ გიფიქრია?

— ჩემს გულში იხედები, — ნალვლიანად ჩაილაპარაკა ზიდჰართამ, — ამაზე ხშირად მიფიქრია, მაგრამ მითხარი, როგორ მივანდო ეს თავნება ბავშვი ამ სასწრაფო? ვაითუ უფრო გადიდგულდეს, ვაითუ, განცხრომასა და ძალაუფლების სურვილმა დალუპოს, მამამისის შეცდომები უკლებლივ გაიმეოროს და ბოლოს, სანსარამ ჩაითრიოს და სამუდამოდ შთანთქას.

მებორნის სახეზე უფრო აკამკამდა ღიმილი; მკლავზე ფრთხილად შეეხო ზიდჰართას და უთხრა:

— ამის თაობაზე მდინარეს დაეკითხე, მეგობარო! უსმინე, როგორ იცინის შენს ნათქვამზეც! ნუთუ მართლა გჯერა, თითქოს სისულელებს იმიტომ სჩადიოდი, რომ შემდეგ შვილი დაგეცვა მათგან? ნუთუ გგონია, რომ სანსარასაგან შეგიძლია შენი ვაჟის დაცვა? მაინც როგორ უნდა დაიცვა? შეგონებებით, ლოცვით თუ სიფრთხილისაკენ გაუთავებელი მოწოდებებით? ჩემო ძვირფასო, ნუთუ სულ დაივიწყე ის ამბავი, აღარ გახსოვს ბრამანის ვაჟი ზიდჰართას ჭკუის სასწავლებელი ამბავი, ოდესღაც აქ, სწორედ ამ ადგილას რომ მომიყევი? ვინ, ვინ დაიცვა სამანადშემდგარი ჭაბუკი, ვინ აარიდა ზიდჰართას სანსარა, ცოდვა, სიხარბე და უგუნურება? განა უშველა მამის სათნოებამ, მასწავლებელთა გაფრთხილებამ, ან საკუთარმა ცოდნამ და ძიებამ? ვინ, რომელი მამა, რომელი მასწავლებელი შეძლებდა მის დაცვას იმისგან, რომ საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრა, ამ ცხოვრებით თავადვე წაეხილნა თავი, თვითონ ეტვირთა ცოდვა, საკუთარი ხელით ესვა მწარე სასმელი და საკუთარი გზაც თავადვე ეპოვნა? ხომ არ გგონია, რომ ვინმე გაექცევა ამ გზას? იქნებ ფიქრობ, რომ შენი ვაჟი ასცდება ამას, რადგან გიყვარს და სიხარულით ააშორებდი თავიდან ყოველგვარ ტანჯვას, ტკივილსა და იმედგაცრუებას? მაგრამ ათე ზისაც რომ ანაცვალო თავი, ათე ზის რომ მოკვდე მისი გულისთვის, ოდნავადაც ვერ შეცვლიდი მის ბედისწერას.

ასე სიტყვაუხვი არასდროს ყოფილა ვასუდევა. მხურვალე მადლობა გადაუხადა ზიდჰართამ, შეფიქრიანებული შებრუნდა ქოხში და დიდხანს ვეღარ დაეძინა. ვასუდევას არაფერი უთქვამს ისეთი, რაზეც აქამდე თავად არ უფიქრია. მაგრამ ეს იყო ცოდნა, რომელსაც საქმედ ვერ აქცევდა. ბიჭისადმი სიყვარული, მისი სინაზე, შვილის დაკარგვის შიში, ამ ცოდნაზე ბევრად ძლიერი იყო. არასდროს არავინ დაუფლებია მის გულს ასე სავსებით, ასე ბრმა, ასე მტკივნეული, უპასუხო და მაინც ბედნიერი სიყვარულით.

მეგობრის რჩევას ვერ მიიღებდა, ვაჟთან განშორება არ შეეძლო. ბიჭის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდა, მის ქედმაღლურ ქცევას და უპატივცემულობას იტანდა. დუმდა და იცდიდა, ყოველდღე იარაღდებოდა სიკეთითა და მოთმინებით და ხელახლა იწყებდა ჩუმ ბრძოლას. ვასუდევაც დუმდა და სიკეთით, ცოდნით, სულგრძელობით აღესილი იცდიდა. მოთმინების ხელოვნებაში ხომ მათ ბადალი არ ჰყავდათ.

ერთხელ, როცა ბიჭის სახემ კამალა გაახსენა, მოულოდნელად მისი ნათქვამი მოაგონდა, სიტყვები, დიდი ხნის წინათ, ახალგაზრდობის წლებში რომ უთხრა ზიდჰართას: შენ

სიყვარული არ შეგიძლიაო; ზიდჰართაც დაეთანხმა, თავისი თავი ვარსკვლავს შეადარა, ხოლო სანუთროს კაცნი, ბავშვებივით რომ არიან, — ჩამოცვენილ ფოთლებს; და მაინც ამ ნათქვამში საყვედურიც იგრძნო. მას ხომ თავდავიწყებამდე არ ჰყვარებია სხვა ადამიანი, არასდროს ბოლომდე არ მისცემია სხვა ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობას, თავი არ დაუკარგავს, სხვისი სიყვარულით გახელებულს სისულელეები არ ჩაუდენია; არა, ასე არასდროს მოქცეულა და როგორც მაშინ ეგონა, სწორედ ეს იყო ის დიდი ზღვარი, მას რომ სანუთროს ბავშვ-ადამიანებისაგან განასხვავებდა. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ვაჟიშვილი ჰყავდა სიახლოვეს, ისიც, ზიდჰართა, მთლად იმ ბავშვ-ადამიანებს დამსგავსებოდა, სხვა ადამიანის გამო იტანჯებოდა, სხვა ადამიანი უყვარდა, თავდავიწყებით უყვარდა და ამ სიყვარულს გამოემტერებინა. ახლა, დაგვიანებით, ცხოვრებაში პირველად შეიგრძნო ეს უძლეველი და ყველაზე საკვირველი ვნება, რომელიც სახმილივით, გაუსაძლისად ტანჯავდა და მაინც ფრთაშესხმული უფრო განახლებულად, უფრო გამდიდრებულად გრძნობდა თავს.

მშვენივრად ხვდებოდა, რომ შვილისადმი ბრმა სიყვარული რაღაც ძალიან ადამიანური, უზომო გრძნობა იყო, სანსარა, მღვრიე სათავე, ბნელი წყალი იყო. და მაინც იმავდროულად, ამ სიყვარულის ფასს, მის აუცილებლობას შეიგრძნობდა, ეს სიყვარული ხომ მისი არსებიდან მომდინარეობდა. ამ სიყვარულის მოთხოვნილებაც გამოსყიდვას ითხოვდა, ეს ტკივილებიც უნდა ეგემა, ეს სისულელეებიც ჩაედინა.

ბიჭისთვის კი სულ ერთი იყო მამამისის ყველა მცდელობა, სულ არ ადარდებდა, მისი გულის მოგებას ეცდებოდა თუ არა, ყოველდღე მის ჭირვეულობას აიტანდა თუ არა, სისულელეს მოიძოქმედებდა თუ არა. ამ კაცს, მამამისს, არაფერი გააჩნდა ისეთი, რაც მას მოხიბლავდა, ანდა სულაც შიშს ჩაუნერგავდა. კარგი კაცი იყო, მამა, კეთილი, კეთილგანწყობილი, სათნო, იქნებ ძალიან ღვთისმოსავი, იქნებ წმინდანიც კი — მაგრამ ეს თვისებები ბიჭის გულს არ ეკარებოდა. მამა მოსაწყენ კაცად მიაჩნდა, მან გამომამწყვდია ამ უბადრუკ ქოხში, თავს აბეზრებდა და აღიზიანებდა, მის ყველა უნესობას ღიმილით და ყოველ უგვაზობას სიკეთით რომ პასუხობდა; ასეთი ქცევა ბიჭს ამ ბებერი ჩუმჩუმელას ყველაზე აუტანელ გაიძვერობად მიაჩნდა; უკეთესი იქნებოდა დამუქრებოდა ან სასტიკად დაესაჯა.

და ის დღეც დადგა, როცა ახალგაზრდა ზიდჰართამ აშკარად გაილაშქრა მამის წინააღმდეგ. მამამ ფიჩხის შეგროვება დაავალა, ის კი ქოხიდან არც გასულა, მუშტებშეკრული, გაჯიქებულ-გააფთრებული აბაკუნებდა ფეხებს, მთელი თავისი სიძულვილით უმზერდა მამას.

— შენ თვითონ მოათრიე შენი ფიჩხი! — ყვიროდა გაავეებული, — შენი ყმა კი არა ვარ. ისიც ვიცი, ხელსაც ვერ დამაკარებ. ცდილობ, ვიცი, რასაც ნიშნავს ეგ შენი წესიერება და მიმტვევებლობა, გინდა ასე დამსაჯო და დამამცირო. გინდა შენნაირი გამხადო, შენსავით სათნო, წესიერი, შენსავით ბრძენი! მაგრამ იცოდე, კარგად მომისმინე, შენს ჯიბრზე არ გავხდები შენნაირი, მიჩრევნია ჯიბგირი და მკვლელი გავხდე, ჯოჯოხეთში ამოვყო თავი, ვიდრე შენ დაგემსგავსო! მძულხარ, შენ მამაჩემი არა ხარ, ათგზის რომ ყოფილიყავი დედაჩემის საყვარელი, შენ მაინც არ იქნებოდი ჩემი მამა!

მრისხანება და მძვინვარება უთუხთუხებდა გულში, დუღდა და გადმოდიოდა დ ბილწ და ავყია სიტყვებს ახლიდა მამას. ყვირილი რომ დაამთავრა, სადღაც გაიქცა ქოხიდან და გვიან საღამოსლა მობრუნდა უკან.

ღილით კი ველარსად ნახეს, გაუჩინარდა. პატარა, ორფერი წნელისგან დაწნული კალათაც გამქრალიყო, რომელშიც მებორნეები გასამრჯელოდ აღებულ გროშებს, სპილენძისა და ვერცხლის მონეტებს ინახავდნენ. ნავით წასულიყო, ნავი, მოგვიანებით, მეორე ნაპირზე აღმოაჩინა ზიდჰართამ, და მიხვდა, რომ შვილი გაექცა.

— უნდა გავყვე, — თქვა ზიდჰართამ, — რომელსაც დღესაც კი უცახცახებდა ხელები იმ საშინელი სიტყვების გამო, გუშინ ბიჭმა რომ მიახალა, — ბავშვი ტყეში მარტო ვერ ივლის. დაილუპება. ტივი უნდა შევკრათ, ვასუდევა, და წყალგალმა გავიდე.

— ტივს იმიტომ შევკრავთ, — მიუგო ვასუდევამ, — რომ გატაცებული ნავი გადმოვიტანოთ. ბიჭს კი თავი გაანებე, გაიქცეს, მეგობარო, ბავშვი აღარ არის, არაფერი მოუვა. ქა-

ლაქისკენ მიმავალ გზას დაეძებს და მართალიც არის, არ დაგავინწყდეს, იმას აკეთებს, რაც შენ დროულად უნდა გაგეკეთებინა. თავის თავზე ზრუნავს, თავისი გზით მიდის. ეჰ, ზიდჰართა, ვხედავ როგორ იტანჯები: მაგრამ ტკივილი, შენ რომ გტანჯავს, სიცოცხლის მომგვრელია და მალე შენც სასაცილოდ მოგეჩვენება.

ზიდჰართამ პასუხი არ გასცა. ნალდი მოემარჯვებინა, ბამბუკისაგან ტივის გამართვას შესდგომოდა და ვასუდევა ბამბუკის ხეების ბალახისგან დაგრეხილი თოკებით შეკვრაში წაეშველა. მერე გაღმა ნაპირისკენ გაცურეს, წყლის დინებამ მათი ტივი შორს გაიტაცა და ახლა ტივის თრევა მოუხდათ ნაპირთან ახლოს, დინების სანინაალმდეგო მიმართულებით.

— ნალდი რატომ წამოიღე? — ჰკითხა ზიდჰართამ.

— ვიფიქრე, ვაითუ ნავიდან ნიჩაბიც დაიკარგა-მეთქი, — მიუგო ვასუდევამ.

მაგრამ ზიდჰართა ფიქრებს მიუხვდა. ვასუდევა ფიქრობდა, რომ ჯავრის ამოსაყრელად ბიჭი ნიჩაბს გადააგდებდა, ანდა სულაც გატეხავდა, რათა მდეგრები ვერ დასწეოდნენ. არც შემცდარა, აღარც ერთი ნიჩაბი არ დაუხვდათ ნავში. ვასუდევამ ნავის ძირზე მიანიშნა და ღიმილით შეხედა მეგობარს, თითქოს ეუბნებოდა: „განა ვერ ხედავ, ამით რისი თქმა სურს შენ შვილს, არ უნდა, უკან გაეკიდოო“. თუმცა სიტყვა არ დაცდენია. ხელები დაიკაპინა და ნიჩაბის გამოთლას შეუდგა. ზიდჰართა კი დაემშვიდობა, გაქცეულის კვალს გაჰყვა. ვასუდევას არ დაუშლია წასვლა.

ტყეში ხანგრძლივი ხეტიალისას ზიდჰართას უცებ აზრმა გაუელვა თავში, ბიჭის ძებნა უაზრობააო. ვინ იცის, იქნებ უკვე ქალაქსაც მიაღწიაო, — ფიქრობდა; თუნდაც ჯერ ისევ გზაში ყოფილიყო, მდევარს, შენიშნავდა და სადმე დაემალებოდა. ამან კიდევ უფრო ღრმად ჩააფიქრა და უცებ მიხვდა, რომ შვილის გამო აღარ დრტვინავდა, გულის სიღრმეში ხომ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ბიჭს არანაირი ხიფათი არ ელოდა ამ ტყეში. მიუხედავად ამისა სულმოუთქმელად მირბოდა, ბიჭის გადასარჩენად კი არა, დაუძლეველი სურვილი უბიძგებდა, იქნებ ერთხელ კიდევ მოეკრა მისთვის თვალი. ქალაქამდე ასე ირბინა.

როცა ქალაქის გარეუბანს მიაღწია, ერთ ფართო ქუჩას გადააწყდა, იმ მშვენიერი ბალის შესასვლელთან, ოდესღაც კამალას რომ ეკუთვნოდა; პირველად აქ დაინახა ტახტრევანზე დაბრძანებული კამალა. სული გარდასული დროის სურათებით აევსო, მეხსიერებაში ამოუტივტივდა ამავე ბალთან შეჩერებული წვერმოშვებული, თმადამტვერილი, შიშველი სამანა; დიდხანს იდგა და ღია ჭიშკრიდან ბალში იხედებოდა, ლამაზ ხეივანში ყვითელანაფორიანი ბერები დასეირნობდნენ.

დიდხანს იდგა დაფიქრებული და საკუთარ ცხოვრებას იხსენებდა. ბერებს გაჰყურებდა, უსმენდა, მაგრამ ახალგაზრდა ზიდჰართას და ტანკენარ ხეებქვეშ სასეირნოდ გამოსული ნორჩ კამალას გარდა ვერავის ხედავდა. თვალნათლივ ხედავდა თავის თავს, გაახსენდა კამალას გულთბილი დახვედრა, მისი პირველი კოცნა; გაიხსენა, რა ქედმაღლურად იუკადრისა თავისი ბრაჰმანობა და ამსოფლიური ცხოვრებაც ქედმაღლობითა და მოთხოვნებით დაიწყო. ახსენდებოდა კამასვამის, მსახურები, ღრეობები, ყომარბაზები, მუსიკოსები, კამალას გალიაში გამომწყვდეული მგალობელი ფრინველი... გონების თვალით კიდევ ერთხელ განვლო ცხოვრება, ბოლომდე შეიგრძნო და განიცადა, ერთხელ კიდევ შეისუნთქა სანსარა, ერთხელ კიდევ დაბერდა და დაიქანცა, ხელახლა იგრძნო ზიზღი, თვითმკვლელობის სურვილი, ერთხელ კიდევ და ბოლოს იგემა წმინდა აუმი.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ბალის ჭიშკართან იდგა და მიხვდა ზიდჰართა, რაოდენ უგუნურმა სურვილმა მოიყვანა აქ, ამ ქალაქში, ამაო იყო მისი მცდელობა — ვაჟს ვერაფრით დაეხმარებოდა, არც ჰქონდა უფლება ასე ჩაფრენოდა და მიჯაჭვოდა მას. გულის უღრმეს კუნჭულამდე სწვდებოდა სიყვარული გაქცეული შვილისადმი, იტანჯებოდა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ეს ჭრილობა იმისათვის კი არ ებოძა, რომ ეჩიქნა და ეჯიჯგნა, ყვავილად უნდა ექცია და გასხივოსნებულიყო.

მხოლოდ ის ადარდებდა, რომ ჭრილობა ახლა, ამ წუთებში, ჯერ არ ყვაოდა და სხივებად არ იღვრებოდა. იმ სასურველი მიზნის ნაცვლად, რამაც გაქცეული ვაჟის დევნაში აქამდე მოიტიყუა, სიცარიელეს დაესადგურებინა. მინაზე დაჯდა დამწუხრებული, გულში რაღაც ჩასწყდა, რაღაც ჩაკვდა, სიცარიელე დაეუფლა, ვეღარც სიხარულს ხედავდა სადმე, ვე-

ღარც რაიმე მიზანს. თავის სადარდელოში ჩაძირული იცდიდა. მდინარისგან ჰქონდა ნასწავლი: ლოდინი, მოთმინება და მოსმენა. ისიც იჯდა და უსმენდა, მტვრიან ქუჩაში ესმოდა ნალვლიანი და დაღლილი გულის ძგერა, თავად კი, შინაგანი ხმის გაგონება სურდა. დიდხანს იჯდა გაუნძრევლად სმენადქცეული, ველარაფერს ხედავდა, ირგვლივ სიცარიელემ დაისადგურა, გადაფარა და ერთიანად შთანთქა. ხანდახან, როცა ჭრილობა ისევ თავს გაახსენებდა, უხმოდ წარმოთქვამდა „აუმ“ და აუმით ივსებოდა. რა ხანია მიწაზე იჯდა და თმაზეც მტვერი დაედო; ბაღში მყოფმა ბერებმაც შენიშნეს, ერთი მიუახლოვდა და ორი ბანანი დაუდო წინ. მოხუცს ბერი არც შეუნიშნავს.

გახევებული მდგომარეობიდან მხარზე ხელის შეხებამ გამოაფხიზლა. მაშინვე იცნო ეს ალერსიანი, მორიდებული შეხება და გამოერკვა. წამოდგა და მიესალმა ვასუდევას, მას რომ კვალდაკვალ დასდევნებოდა. და როცა ვასუდევას კეთილი, ღიმილჩამდგარი, ნაოჭებით დაფარული სახე და სიხარულით გაბრწყინებული თვალები იხილა, თვითონაც გაელიმა. ახლალა შენიშნა ბანანები, აკრიფა, ერთი ნაყოფი მებორნეს მიანოდა, მეორე კი თვითონ შეჭამა. შემდეგ, ვასუდევასთან ერთად უსიტყვოდ დაადგა გზას, ტყე გამოიარა და ბორანთან, შინ დაბრუნდა. კრინტიც არ დაუძრავთ იმის შესახებ, რაც დღეს შეემთხვათ, ბიჭის სახელს არ ახსენებდნენ, არც მის გაქცევაზე უთქვამთ რამე. ქოხში, მიბრუნებული ზიდჰართა თავის სარეცელზე დანვა და როცა, მოგვიანებით, ვასუდევამ ქოქოსის რძე მიართვა თასით, მას უკვე ეძინა.

აუგ

კიდევ დიდხანს ეწვოდა ჭრილობა. მრავალი მგზავრი გადაჰყავდა მდინარეზე, მრავალნი მოგზაურობდნენ ვაჟების ან ქალიშვილების თანხლებით, ზიდჰართა კი შურით შესცქეროდა და ადამიანებს, შურით ფიქრობდა: მრავალ, მრავალ ათას ადამიანს ეღირსა ამგვარი ბედნიერება, აკვაცებს, ქურდებსა და ყაჩაღებს ჰყავთ შვილები, უყვართ ისინი და მათგანაც სიყვარულს იმკიან, მხოლოდ მე არ მეღირსა ამის შეგრძნება. უკვე ასე მარტივად, უგუნურად ფიქროდა, კვლავ დამსგავსებოდა ბავშვ-ადამიანებს.

ახლა სხვა თვალთ უყურებდა ადამიანებს, უწინდელივით ჭკვიანი კაცის ქედმაღლობით აღარ მსჯელობდა მათზე, და მათდამი მეტ სითბოს, მეტ ცნობისწადილს, მეტ თანაგრძნობას ამჟღავნებდა მისი მზერა. როცა უბრალო მგზავრები — ბავშვი-ადამიანები, საქმოსნები, მეომრები, ქალები გადაჰყავდა, ეს ხალხი არ ეუცხოებოდა, მათი ესმოდა, და მათ ცხოვრებას იზიარებდა, რომელიც აზროვნებასა და შემეცნებას კი არ ეფუძნებოდა, არამედ მხოლოდ ინსტინქტებითა და სურვილებით იყო მართული და თვითონაც მათ მსგავსად მიიჩნევდა თავს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ტკივილის გარდა სრულყოფას თითქმის აღარაფერი ამორებდა, მაინც ძმებად მიაჩნდა ბავშვ-ადამიანები, და მთელი მათი მზვობობა და უძღებობა სასაცილოდ აღარ ეჩვენებოდა, გასაგები, სიყვარულისა და პატივისცემის ღირსიც კი გამხდარიყო მისთვის. დედის ბრმა სიყვარული შვილისადმი, ერთადერთი ვაჟით თავმომწონე მამის ბრიყვული, ბრმა სიამაყე, ახალგაზრდა, პატივმოყვარე ქალის ბრმა, ველური ლტოლვა ძვირფასეულობისა და ვნებით მზირალი მამაკაცებისაკენ, ყველა ეს ინსტინქტი, ყველა ეს ბავშვური სიანცე, ყოველი უბრალო, სულელური, მაგრამ უჩვეულოდ ძლიერი, მძლავრმოქმედი, დაუძლეველი ინსტინქტი და ლტოლვა ბავშვურ გასართობს აღარ წარმოადგენდა ზიდჰართასათვის; ხედავდა, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები და ყოველივე ამის გამო, შეუძლებლის შემძლენი ხდებოდნენ, მოგზაურობდნენ, ომობდნენ, მზად იყვნენ, უსასრულოდ ეტანჯათ, აუტანელი აეტანათ; ამიტომ უყვარდა ისინი, ყოველ მათ ვნებასა და დღევაში, მათ ყოველ საქმეში სიცოცხლეს, — ცხოველმყოფელს, შეუმუსვრელს, ბრაჰმას ჭვრეტდა, ეს ადამიანები, თავისი ბრმა ერთგულებით, ბრმა სიძლიერითა და ამტანობით, სიყვარულსა და აღტაცებას იმსახურებდნენ. არაფერი აკლდათ, არაფრით

ტოლს არ უდებდნენ მცოდნე და მოაზროვნე ადამიანს, რომელიც მხოლოდ ერთ, სულ მცირე უპირატესობას ფლობდა: გაცნობიერებული და შეგნებული ჰქონდა ყოველი სიცოცხლის ერთიანობის აზრი. ზიდჰართა ზოგჯერ ეჭვობდა კიდეც, მართლა ასე ღირებული იყო ეს ცოდნა, ეს აზრი, თუ ისიც, მოაზროვნე ადამიანების, მოაზროვნე ბავშვ-ადამიანების ბავშვური ახირება იყო და სხვა არაფერი. სხვა ყველაფერში ხომ სანუთროს კაცნი ბრძენთა ტოლნი და სწორნი იყვნენ, ხშირად სჯობნიდნენ კიდეც მათ, ცხოველების მსგავსად, რომლებიც დაჟინებით, უწყევად მისდევენ დადგენილ კანონს და შეიძლება, გამძლეობით ადამიანებსაც სჯობნიდნენ.

ნელ-ნელა იფურჩქნებოდა და ნელ-ნელა მნიფდებოდა ზიდჰართაში გაცნობიერება და ცოდნა იმისა, თუ რა იყო ჭეშმარიტი სიბრძნე, ანდა მისი ხანგრძლივი ძიების მიზანი. ეს კი სხვა არა იყო რა, თუ არა სულის მზაობა, ერთგვარი უნარი, ერთგვარი იდუმალი ხელოვნება ყოველნამიერ, სიცოცხლის გულისგულში, ერთიანობის აზრზე ფიქრისა, ერთიანობის შეგრძნობისა და შესუნთქვისა. ეს ჭეშმარიტება ნელ-ნელა ყვავილივით იშლებოდა მასში, შემონათობდა ვასუდევას ხანდაზმული ბავშვური სახიდან: ჰარმონია, სამყაროს მარადიული სრულყოფილების ცოდნა, ღიმილი, ერთიანობა.

ჭრილობა ჯერაც ეწვოდა, მონატრებით და სიმწარით ფიქრობდა შვილზე, მისდამი სიყვარულისა და სინაზის განცდას გულში ელოლიავებოდა, ტკივილს თავს აჯიჯგინებდა, ყოველგვარ უგუნურებას სჩადიოდა სიყვარულის გამო. თავისით არ ქრებოდა ამ სახმილის ალი.

და ერთ დღესაც, როცა ჭრილობა გაუსაძლისად აენვა, მონატრებით დევნილმა ზიდჰართამ მდინარე გადაცურა, ნავიდან ნაპირზე გადავიდა და ქალაქში შვილის საძებნელად დააპირა წასვლა. თვინიერად და ჩუმად მიედინებოდა მდინარე, წყალნაკლულობის ჟამი იდგა, მაგრამ მისი ხმა უჩვეულოდ ჟღერდა: ის იცინოდა! ცხადად იცინოდა. მდინარე იცინოდა, მკაფიოდ და გარკვევით დასცინოდა მოხუც მებორნეს. ზიდჰართა შედგა, წყლის ნათქვამის გასაგებად დაიხარა და წყნარად მდინარე წყალში არეკლილ საკუთარ სახეს მოჰკრა თვალი; და ამ არეკლილ სახეში რაღაც შენიშნა, რაღაც დიდი ხნის მივიწყებულს რომ ახსენებდა და როცა დაფიქრდა, გაიხსენა: ეს სახე ძალიან ჰგავდა სხვა, მისთვის ნაცნობ და საყვარელ სახეს, შიშა და რიდის განცდას რომ უნერგავდა. ის სახე მამამისის იყო, ბრაჰმანის. და გაახსენდა, დიდი ხნის წინ, ყმანვილკაცობისას, როგორ აიძულა მამა განდევილებთან გაეშვა იგი, მერე როგორ გამოეთხოვა, ნავიდა და მას მერე უკან აღარც დაბრუნებულა. ალბათ, მამამისიც ისევე იტანჯებოდა, როგორც ახლა თვითონ იტანჯა შვილის გამო. დიდი ხნის წინათ, ალბათ, მამამისს მარტოობაში, შვილის უნახავად ამოხდა სული. განა ბედის დაცინვა არ იყო, ეს უცნაური და სულელური განმეორებადობა, ავბედით წრებრუნვაში ტრიალი?

მდინარე იცინოდა. დიახ, ასე ხდებოდა ყველაფერი მუდამ, ის რაც ბოლომდე, ძირისძირობამდე არ იყო გამოტანჯული და დაძლეული, უკან ბრუნდებოდა, მუდამ ერთი და იგივე ტკივილები უნდა გამოეცადათ. ზიდჰართა ისევ ნავში ჩაჯდა და უკან, ქოხისკენ გაცურა, მამას იხსენებდა და თავის ვაჟიშვილს, ახსენდებოდა, როგორ აიგდო მდინარემ და სასონარკვეთამდე მისულს, ლამის მდინარესთან ერთად ეხარხარა საკუთარ თავსა და მთელ ქვეყნიერებაზე. ეჰ, ჯერაც არ აყვავებულიყო ჭრილობა, მისი გული ჯერაც არ ეპუებოდა ბედისწერას, მისი ტკივილი ჯერაც არ გაესხივოსნებინა სიხარულსა და გამარჯვებას! თუმცა იმედი არ ტოვებდა და ქოხში დაბრუნებულს, დაუძლეველი სურვილი დაებადა, გული გადაეშალა ვასუდევასთვის, ბოლომდე გახსნილიყო, ყველაფერი ეჩვენებინა, ყველაფერი ეთქვა მისთვის, ვასუდევას ხომ ბადალი არ ჰყავდა, ისე უსმენდა ადამიანებს.

ვასუდევა ქოხში იჯდა და კალათს წნავდა. ბორანს რა ხანია აღარ მართავდა, თვალის ჩინი ერთმეოდა, აღარც მკლავში ჰქონდა ღონე. სახეზე მხოლოდ სიხარული და ნათელი დიდსულოვნება ეწერა უცვლელად.

ბერიკაცთან ჩამოჯდა ზიდჰართა, თანდათან დაინყო ლაპარაკი. იმაზე მოუთხრობდა, რაზეც არასდროს უსაუბრიათ: როგორ ნავიდა მაშინ ქალაქში, როგორ ეწვოდა ჭრილობა, რარიგ შურს ჰგვრიდა ბედნიერი მამების ხილვა, ხვდებოდა ამგვარ სურვილთა უგუნურ-

ბას და რა ამოდ ცდილობდა მათ დაძლევას. ყველაფერს ეუბნებოდა, ყველაფრის, ყველაზე უამურის ამოთქმა შეეძლო, გამჟღავნება, გასაჩინოება, მოსდევდა ყოველი სათქმელი. ჭრილობა გაიშიშვლა, დღევანდელი გაქცევის ამბავიც გაუმხილა, ცეტი ლტოლვილივით წყალი რომ გადალახა, რათა ქალაქში წასულიყო და მდინარემ სასაცილოდ აიგდო.

ვიდრე ლაპარაკობდა, დიდხანს ლაპარაკობდა, ვიდრე ვასუდევა უშფოთველი სახით უსმენდა, ზიდჰართამ უფრო მძაფრად, ვიდრე ოდესმე, იგრძნო ვასუდევას ყურადღების ძალა; იგრძნო როგორ წარდინდებოდა ტკივილები, შიშები, როგორ მიედინებოდა ფარული იმედი მსმენელისაკენ და მერე უკანვე ბრუნდებოდა. ამ მსმენელის წინაშე იარის გამომზეურება, ჭრილობის მდინარეში განზანზავს ჰგავდა, თანდათან გრილდებოდა მწველი იარა, თანდათან ერწყმოდა მდინარეს. ისევ ლაპარაკობდა, ისევ ამხელდა აქამე გაუმხელელს, აღსარებას ეუბნებოდა და სულ უფრო მეტად ეუფლებოდა განცდა, რომ ის, ვინც პირისპირ ეჯდა და უსმენდა, უძრავად უსმენდა, წვიმის წყალს დაწაფებულ ხესავით იწოვდა მის აღსარებას, ხორციელი ადამიანი, ვასუდევა კი აღარ იყო, არამედ თავად ღმერთი, თავად მარადისობა. და როდესაც ზიდჰართამ საკუთარ ჭრილობაზე, საკუთარ თავზე ფიქრი შეწყვიტა, ვასუდევას არსების გარდასახვაზე ფიქრმა მოიცვა მისი გონება, და რაც უფრო მეტად შეიგრძნობდა, რაც უფრო უღრმავდებოდა და აცნობიერებდა ამ გარდასახვას, მით უფრო ნაკლებად საოცარი, გასაგები ხდებოდა მისთვის, რომ ასეც უნდა ყოფილიყო, ბუნებრივი იყო, რადგან ვასუდევა რა ხანია, თითქმის მუდამ ასეთი იყო, მხოლოდ თვითონ ვერ შეეცნო ეს აქამომდე და რომ თვითონაც თითქმის აღარაფრით განსხვავდებოდა მისგან. გრძნობდა, ახლა იმ თვალთ უცქერდა მოხუც ვასუდევას, რა თვალთაც ხალხი უცქერს ღმერთებს და რომ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა; გულში უკვე ეთხოვებოდა ვასუდევას. ასეთი შეგრძნებები დაუფლებოდა, თუმცა ისევ ესაუბრებოდა.

როცა ბოლომდე ამოთქვა სათქმელი, ვასუდევამ შეხედა და მისთვის ჩვეული კეთილი, ოდნავ მოქანცული მზერა მიაპყრო, არცრა უთქვამს, თვალებიდან შუქივით ეფრქვეოდა სიყვარული და სიხარული, გაგება და ცოდნა. ხელი ჩასჭიდა ზიდჰართას, მდინარისაკენ გაუძღვა, ნაპირთან ჩამოჯდა მასთან ერთად და მდინარეს შეჰღიმა.

„შენ გაიგონე მისი სიცილი“, — უთხრა ზიდჰართას. — „ჯერ მაგრამ ყველაფერი არ მოგისმენია. ყური დავუგდოთ, უფრო მეტს გაიგონებ.“

მიაყურადეს. ნაზად ჟღერდა მდინარის მრავალხმიანი სიმღერა. წყალს ჩასცქეროდა ზიდჰართა და მედინ წყალში სურათ-ხატებმა გაიელვა, ეჩვენა მამა, მარტოსული, ვაჟზე ფიქრით გულდარდიანი, თავისი თავი დაინახა, მონატრების ჯაჭვით შვილთან გადაკვანძული; მისი ვაჟიშვილი, ისიც მარტოსული და ყმანვილურ სურვილთა მწველ გზას გახელებით ადევნებულ, ყოველი მათგანი თავისი მიზნისკენ ისწრაფოდა, ყოველი მათგანი ამ მიზნით იყო შეპყრობილი, ყოველი მათგანი იტანჯებოდა. ტანჯვაშეპარული ხმით მღეროდა მდინარე, გზნებით მღეროდა, გატაცებით მიილტვოდა მიზნისკენ, მოთქმა-გოდებასავით ჟღერდა მისი ხმა.

„გესმის?“ — ჰკითხა ვასუდევას უსიტყვო მზერამ. ზიდჰართამ თავი დაუქნია.

„უკეთ უსმინე!“ — წაიჩურჩულა ვასუდევამ.

ზიდჰართამ ყურადღება დაძაბა, მდინარის ხმა უკეთ რომ გაეგონა. წყალში ისახებოდა, ერთი-მეორეში გადადინდებოდა მამის სახება, მისი საკუთარი სახე, ვაჟის იერი; კამალას ხატიც გამოისახა და წამის უსწრაფეს ჩაიქროლა, მერე გოვინდა დაინახა, სხვა სახეებიც, ერთმანეთში შერეული ეს სახეები ერთ მდინარედ შენივთულიყო და ისინიც, ერთ მდინარედ ქცეულნი, თავიანთი მიზნისკენ მიისწრაფოდნენ, გატაცებით, გახელებით, ტანჯვით და მდინარის ხმაში მონატრება, მწველი ტკივილი, დაუცხრომელი სურვილი ჟღერდა. მიზნისკენ ისწრაფოდა მდინარე, ზიდჰართა ხედავდა როგორ ჩქარობდა, ეს მდინარე მისგან, მისიანებისგან, ყველა იმ ადამიანისგან რომ შედგებოდა, ვინც კი ოდესმე უხილავს; ყოველი ტალღა და ყოველი წვეთი ტანჯვით მიეშურებოდა მიზნისაკენ, მრავალი მიზნისკენ, ჩანჩქერად, ტბად, ზღვად, ჩქერად ქცევას ესწრაფოდა და აღწევდა ყოველ მიზანს და მიღწეული მიზნის შემდეგ ახალი მიზანი იჩენდა თავს, ორთქლად ქცეული წყალი ცად ადიოდა, კოკისპირულ წვიმად იქცეოდა და ციდან უკანვე ეშვებოდა, წყაროსთვალად, ნა-

კადულად, მდინარედ ქცეული ხელახლა მიზანსწრაფობდა, დენას თავიდან იწყებდა. უცებ წუხილნარევი ხმა ეცვალა. მართალია, მის ხმაში ჯერაც ჟღერდა ტკივილი, ძებნა, მაგრამ ასობით, ათასობით სხვა ხმა შერთვოდა, ერთ მთლიანობად შენივთულიყო მწუხარების და სიხარულის, ბოროტისა და კეთილის, სიცილისა და ტირილის ხმები.

ზიდჰართა უსმენდა, სმენად ქცეული, სმენად დანთქმული, ყოველისაგან დაცლილი, ხარბად იწოვდა ყოველ ბგერას და გრძნობდა, რომ ძირისძირობამდე ახლავდა დაეუფლა მოსმენის ხელოვნებას. აკი აქამდეც ხშირად გაუგონია ეს ყოველივე, მდინარეში არსებული ამ უამრავი ხმისათვის დაუგდია ყური, დღეს რომ სულ სხვაგვარად, ახლებურად ხმიანობდა. ამ უამრავ ხმას ერთმანეთისგან უკვე ველარც არჩევდა, მხიარულ ხმას მოტირალისგან, ყმანვილის ხმას მამაკაცის ხმისგან ველარ განასხვავებდა, ყველა ხმა ერთი იყო, მონატრების მომჩივანი ხმა განუყრელად თან სდევდა ბრძენის სიცილს, მრისხანების ყვირილი მომაკვდავის კვნესას ერთვოდა, ათასგზის ერთმანეთში ჩახლართული, ერთმანეთში ჩანწულ-ჩაქსოვილი, ერთ მთლიანობად ქცეულიყო ყველაფერი და ყოველივე ერთად: ყველა ხმა, ყველა მიზანი, ყველა მონატრება, ყოველი ტანჯვა, მთელი სიხარული, სიკეთე და ბოროტება, ეს ყველაფერი ერთად სამყარო იყო; ეს ყველაფერი, სიცოცხლის მუსიკა იყო, ყოველივე ის, რაც ამ სიცოცხლეში ხდება. და როცა ზიდჰართა ამ მდინარეს, ამ ათასხმიან სიმღერას დაკვირვებით უსმენდა, როცა არც ტკივილისა და არც სიცილის ხმას ყურს არ უგდებდა, როცა ხმათაგან სულდაუბოროკავი თავის მე-სთან ერთად ამ ხმებში კი არ ინთქმებოდა, არამედ ყოველ მათგანს, ერთმთლიანობას, ერთიანს უსმენდა, მაშინ მრავალხმიანი დიადი სიმღერა ერთადერთ სიტყვად ნივთდებოდა, ერთადერთი სიტყვა აღწევდა მის სმენამდე — აუმ: სრულყოფა.

„გესმის?“ — კვლავ მზერით ჰკითხა ვასუდევამ.

ნათლად გაბრწყინდა ვასუდევას ღიმილი, მსცოვანი სახის ყოველ ნაოჭზე ათრთოლდა ათინათივით, ისევე როგორც მდინარის მირიად ხმას დასციმციმებდა აუმი. ნათლად გაბრწყინდა მისი ღიმილი, როცა მეგობარს შეხედა, და ამჯერად ზიდჰართას სახესაც გადაედო ეს გაბრწყინებული ღიმილი. აყვავილდა მისი იარა, გასხივოსნდა მისი ტკივილი, ერთიანს შერთვოდა მისი მე.

ანლა შეწყვიტა ზიდჰართამ ბედისწერასთან ბრძოლა, ტანჯვას ბოლო მოუღო. შეცნობის სიხარულმა გაუცისკროვნა სახე, ამიერიდან ცოდნას აღარ უპირისპირდებოდა ნებელობა, ის სრულყოფილებასთან იყო ნაზიარები და თანხმობაში მოდიოდა მუდამ მჩქეფარ სიცოცხლის მდინარესთან, სიცოცხლის ნაკადთან და როგორც ამ ერთიანობის ნაწილი, სიხარულითა და თანაგრძნობით აღსავსე მიყვებოდა.

და როდესაც ნაპირთან ჩამომჯდარი ვასუდევა ზეზე წამოდგა, ზიდჰართას ცოდნის სიხარულით გაცისკროვნებულ თვალებში ჩახედა, ხელით მეგობრის მხარს შეეხო, როგორც სჩვეოდა, ფრთხილად და ნაზად, და უთხრა: „ამ წუთს ველოდი, მეგობარო. ამ წუთს მოვესწარ და ჩემი წასვლის დროც მოვიდა. დიდხანს ველოდი ამ დროს, დიდხანს დავყავი ამ სოფლად მებორნე ვასუდევას სახით. საკმარისია, მშვიდობით ქოხო, მშვიდობით მდინარე, მშვიდობით ზიდჰართა!“

ღრმა თაყვანი სცა ზიდჰართამ წამსვლელს.

„ვიცოდი“, უთხრა ჩუმად. „ალბათ ტყეებს მიაშურებ.“

„ტყეებს მივაშურებ, ერთარსში მივალ“, — მიუგო გასხივოსნებულმა ვასუდევამ.

სხივმფინარი გაუდგა გზას; ზიდჰართამ მზერით გააცილა; სიღრმისეული სიხარულის განცდით, სიღრმისეულად დაფიქრებული გაჰყურებდა სიმშვიდით გაჯერებულ მის ყოველ ნაბიჯს, შარავანდედმოსილ თავს, სინათლექცეულ გამოსახულებას.

ბოვინდა

ერთხელაც, სხვა ბერებთან ერთად, სულის მოსათქმელად შეჩერდა გოვინდა იმ ნალკოტში, კურტიზან კამალას გაუტამას შეგირდებისთვის რომ ერუქებინა. ერთ მოხუც მებორნეზე საუბარსაც იქ მოჰკრა ყური: აქედან ერთი დღის სავალზე, მდინარესთან, ცხოვრობს და მრავალნი ბრძენ კაცად მიიჩნევენო. და როცა გოვინდა გზას გაუდგა, ბორნისაკენ მიმავალი გზა აირჩია, ცნობისნადილით ატანილს ამ მებორნის ნახვა ერქარებოდა. მთელი ცხოვრება ზედმინევიით იცავდა წესებს, ახალგაზრდა ბერები მისი ასაკისა და მოკრძალებულობის გამო მოწინებით ეპყრობოდნენ, მაგრამ გულში ჩაბუდებული მოუსვენრობის განცდა ჯერაც ვერ განედევნა, ჯერაც არ განქარებოდა ძიების ყინი.

მდინარეს მიადგა, მოხუცს გადაყვანა სთხოვა და როცა ნავიდან გაღმა ნაპირზე გადავიდნენ, ჰკითხა: „მრავალ სიკეთეს მოგვაგებ ბერებს და მომნანიებლებს, მრავალნი გადაყვანია ამ მდინარეზე. განა შენც, მებორნე, მართალი გზის მძებნელთაგანი არა ხარ?“

ხნიერ თვალეში ღიმილჩამდგარმა ზიდჰართამ მიუგო: „განა ისევ მაძიებელს უწოდებ შენს თავს, ღირსეულო, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ასაკში ხარ და თანაც გაუტამას ბერთა სამოსელს ატარებ?“ „მართლაც ასაკოვანი ვარ“, მიუგო გოვინდამ, „მაგრამ ძიება არ შემინყვეტია. არც არასოდეს შევწყვეტ, ვგონებ, ეს არის ჩემი დანიშნულება. შენც, ასე გატყობ, გიძებნია. ამის თაობაზე შენს აზრს ხომ არ გამიზიარებდი, ღირსთაყვანსაცემო?“

უთხრა ზიდჰართამ: „რა უნდა გითხრა, ღირსეულო, რა მაქვს შენთვის გასაზიარებელი? იქნებ ის, რომ ძალზე ბევრს ეძებ და ძებნას კი პოვნამდე არ მიჰყავხარ“.

„ეგ როგორ?“ — ჰკითხა გოვინდამ.

„როცა ეძებენ“, — უთხრა ზიდჰართამ, „ხშირად ასეც ხდება, რომ მძებნელის თვალი მხოლოდ იმას ხედავს, რასაც ეძებს და სხვა არაფრის პოვნა, თავის თავში სხვა არაფრის შეშვება აღარ ძალუძს, რადგან გამუდმებით მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რასაც ეძებს, რადგან მიზანი დაუსახავს, რადგან ამ მიზნით არის შეპყრობილი. ძებნა მიზნის ქონას ნიშნავს. პოვნა — თავისუფლებას, ყოველივე ახლის მისაღებად მზაობას, ღიად ყოფნას, მიზნის არ ქონას. შენ, ღირსეულო, ალბათ მართლა მძებნელი ხარ, რადგან ისე ხარ მიზნის ძიებაში გართული, რომ იმასაც ველარ ამჩნევ, რაც ასე ახლოს, ცხვირწინა გაქვს“.

„არ მესმის რას მეუბნები, იქნებ ამიხსნა, რას გულისხმობ“, სთხოვა გოვინდამ.

ზიდჰართამ უთხრა: „ოდესღაც, ო, ღირსეულო, წლების წინათ, უკვე იყავი ამ მდინარესთან და მის ნაპირთან ჩაძინებული კაცი იპოვე, იმ მარტოკაცთან შეყოვნდი და მის ძილს უდარაჯე. მაგრამ, ო გოვინდა, მაშინაც ვერ იცანი ის კაცი“.

გაკვირვებით, მონუსხულივით ჩახედა მებორნეს თვალეში.

„ზიდჰართა ხარ?“, — ჰკითხა კრძალვით. „ამჯერადაც ვერ გიცნობდი! გულითადად მოგესალმები, ზიდჰართა, ნრფელი გულით მიხარია შენთან შეხვედრა! ძალზე შეცვლილხარ, მეგობარო, — მებორნეობა დაგინყია“.

კეთილად გაეცინა ზიდჰართას. „ჰო, მებორნე ვარ. გოვინდა, მრავალმა ადამიანმა მრავალი სახეცვლილება უნდა გამოსცადოს, ყოველი ჯურის სამოსელი უნდა მოირგოს და მეც ერთ-ერთი ამ მრავალთაგანი ვარ, მეგობარო. კეთილი იყოს შენი მობრძანება, გოვინდა. გთხოვ, ეს ღამე ჩემს ქოხში გაათიო“.

იმ ღამით გოვინდა ქოხში დარჩა და იმ სარეცელზე ეძინა, ადრე ვასუდევას რომ ეკუთვნოდა. მრავალი კითხვა დაუსვა ახალგაზრდობის მეგობარს, თავის ცხოვრებაზე ბევრი რამ უნდა მოეთხრო ზიდჰართას.

ღილით, როცა გოვინდას წასვლის დრომ მოაწია, გოვინდამ, ყოყმანის შემდეგ, მიმართა: „სანამ გზას გავუდგებოდე, ზიდჰართა, ნება მომეცი, ერთიც გკითხო: რა მოძღვრების მიმდევარი ხარ, რა რწმენა გაქვს, რა ცოდნა გაგაჩნია ისეთი, რაც გეხმარება მართლად იცხოვრო და მართალს იქმოდე?“

ზიდჰართამ უპასუხა: „თავადაც იცი, ძვირფასო მეგობარო, რომ ყმანვილკაცობაშიც,

მაშინ, როცა განდევნილთან ერთად ტყეში ვცხოვრობდით, უკვე ეჭვით ვუყურებდი მოძღვართ და მოძღვრებს, რომელთაც ზურგი ვაქციე. დღემდე აზრი არ შემიცვლია. თუმცა მას შემდეგ მრავალი მოძღვარი მყავდა. მშვენიერი კურტიზანი ქალი დიდხანს მყავდა მასწავლებლად, მდიდარი ვაჭარიც იყო ჩემი მასწავლებელი, ყომარბაზების შეგირდიც ვიყავი. ერთხელ, ბუდას შეგირდიც გახდა ჩემი მასწავლებელი, ტყეში ეხეტებოდა, როცა მძინარეს გადამანყდა, სალოცავად მიმავალი ჩემთან დარჩა და მიდარაჯა. ბევრი რამ მასწავლა, მისი მაღლიერიც ვარ. ყველაზე მეტი კი ამ მდინარემ და ჩემმა წინამორბედმა, მეზორნე ვასუდევამ, მასწავლა. უბრალო კაცი იყო ვასუდევა, მოაზროვნე არ ყოფილა, მაგრამ გაუტამასავით ყველაფერი იცოდა, რისი ცოდნაც აუცილებელია, ის სრულყოფილი იყო და წმინდანი“.

გოვინდამ უთხრა: „როგორც ვატყობ, ზიდჰართა, დაცინვას ისევ არ იშლი. მჯერა შენი და ვიცი, რომ არც ერთი მასწავლებლის მიმდევარი არ ყოფილხარ. მაგრამ შენ თვითონ, მოძღვრება თუ არ გაგაჩნია, ნუთუ რაიმე მოსაზრებისთვის არ მიგიგნია, შენდა თავად არაფერი შეგიცვნია ისეთი, რაც მხოლოდ შენეულია და ცხოვრებას გიმსუბუქებს? თუ ინებებ და ამის შესახებ მომიყვები, გულს გამიხარებდი, ზიდჰართა“.

უთხრა ზიდჰართამ: „დიახ, მქონდა ასეთი აზრები და შემეცნებანი, ჟამი-ჟამ. ზოგჯერ, ერთი საათით, ან ერთი დღის განმავლობაში, ჩემში ისევე შევიგრძნობდი ცოდნას, როგორც სიცოცხლის არსებობას შეიგრძნობენ საკუთარ გულში. მქონია ასეთი აზრები, მაგრამ გამიძნელებდა შენთვის მათი გაზიარება. იცი, გოვინდა, ერთ-ერთი ამ აზრთაგანი, რომლის შეცნობაც შევძელი, ის გახლავს, რომ ვინმესთვის სიბრძნის გაზიარება შეუძლებელია, სიბრძნე, როცა ბრძენი ვინმესთვის მის გაზიარებას ცდილობს, მუდამ სისულელედ ჟღერს“.

„შენ ალბათ, ხუმრობ?“ — ჰკითხა გოვინდამ.

„არა, არ ხუმრობ. ვამბობ იმას, რასაც მივხვდი. ცოდნის გაზიარება შეუძლება, სიბრძნისა — არა. სიბრძნე შეუძლება იპოვო, სიბრძნით იცხოვრო, სიბრძნემ გმართოს და გატაროს, სასწაული მოგახდენინოს, მაგრამ მისი გამოთქმა და სწავლება შეუძლებელია. აი ეს არის, რასაც ჯერ კიდევ ყმანვილკაცობაში გუმანით ვგრძნობდი, რამაც მაიძულა მასწავლებლებს გავცლოდი და მათზე უარი მეთქვა. ერთ მოსაზრებასაც მივაგენი, გოვინდა, რომელიც ალბათ ისევ ხუმრობად ან სისულელედ მოგეჩვენება, მე კი ჩემს საუკეთესო აზრად ვთვლი. ეს მოსაზრება იუნყება, რომ ყოველი ჭეშმარიტების საპირისპიროდ ისევ ჭეშმარიტება დგას! კერძოდ კი: ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ გამოითქმის, სიტყვებით მხოლოდ მაშინ გამოიხატება, როცა ცალმხრივია. ყველაფერი, რაც შეიძლება აზრად იქცეს და სიტყვებით გამოითქვას, ცალმხრივია; ყველაფერი ცალმხრივია, სანახევრო, ერთ მთლიანობას, წრიულ სისრულეს, ერთიანობას მოკლებული. ამაღლებული გაუტამა, როცა სამყაროს შესახებ მოძღვრებას ქადაგებდა, იძულებული იყო ეს სამყარო სანსარად და ნირვანად, ილუზიად და ჭეშმარიტებად, ტანჯვად და ხსნად დანანევრებული წარმოედგინა. სხვა გზა არ არსებობს, სხვაგვარად ვერას გახდება ის, ვინც სხვათა განსწავლას მოინადინებს. საკუთრივ სამყარო კი, ყოველივე არსებული ჩვენს ირგვლივ თუ ჩვენს შიგნით, არასოდეს ცალმხრივი არ არის. ცალკეული ადამიანი, ანდა რაიმე ქმედება, არასდროს არ არის მთლიანად სანსარა ან ნირვანა, არ არსებობს მხოლოდ წმინდანი ან მხოლოდ ცოდვილი ადამიანი. არადა, ასე გვეჩვენება, რადგან მცდარი წარმოდგენის ტყვეობაში ვიმყოფებით, რაკი დრო რაღაც რეალური რამ გვგონია. დრო ნამდვილი არ არის, გოვინდა, სულ უფრო მეტად და მეტად ვრწმუნდებოდი ამაში. და თუ დრო ნამდვილი არ არის, მაშინ ზღვარი, რომელიც გვგონია, რომ არსებობს ნუთისოფელსა და მარადისობას შორის, ტანჯვასა და ნეტარებას, სიკეთესა და ბოროტებას შორის, ასევე მოჩვენებითია, ცდომილებაა.

„ეგ რანაირად?“ ჰკითხა შემკრთალმა გოვინდამ.

„კარგად მომისმინე, მეგობარო, კარგად მომისმინე! ცოდვილი ადამიანი, ისეთი, მე რომ ვარ და შენ რომ ხარ, ცოდვილია, მაგრამ ოდესმე ისევ ბრამა გახდება, ნირვანას მიაღწევს, ბუდა გახდება — და აი, ეს „ოდესმე“ სწორედ მოჩვენებითი, ჩემო გოვინდა! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს აზროვნებას სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია, ცოდვილი ადამიანი ყოფიერებისაკენ მიმავალი ადამიანი — ბუდა არ არის, ის არანაირ განვითარების გზას არ

გადის. არა, ცოდვილში უკვე მყოფობს, ამჟამად და დღესვე, მომავალი ბუდა; მისი მომავალი მთლიანად უკვე მასში ძევს, და ამ ცოდვილში, და შენში, და ყოველ არსებაში ჩამოყალიბებად, დაფარულ, შესაძლო ბუდას უნდა ეთაყვანო. სამყარო, ჩემო მეგობარო გოვინდა, სრულყოფამოკლებული, ან სრულქმნის ნელ პროცესში ჩართული კი არ არის, ის ყოველწამიერ სრულქმნილია, ყოველი ცოდვა თავის თავში უკვე შეიცავს წყალობა-შეცნობას, ყოველ პატარა ბავშვში უკვე მოხუცი ცხოვრობს, ყოველ ჩვილში უკვე ბუდობს სიკვდილი, ყოველ მოკვდავში — მარადიული ცხოვრება. ადამიანთაგან არავის ძალუძს იმის განჭვრეტა, გზის რომელ მონაკვეთზე იმყოფება მისი მოყვასი; ყაჩაღსა და ყომარბაზშიც ბუდა თვლემს, ყოველ ბრაჰმანში კი — ყაჩაღი. მხოლოდ ღრმა მედიტაციით გვეძლევა დრო-ჟამის ხსნა-დაძლევის შესაძლებლობა, ადრე ყოფილი, ახლა — მყოფი, მომავალში — სამყოფი ყველა ცხოვრების თანადროული ხედვა, როცა ყველაფერი კარგია, ყველაფერი სრულყოფილია, ყველაფერი — ბრაჰმანა. ამიტომ მივიჩნევ, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, კარგია და სასიკეთო; სიკვდილი სიცოცხლედ მიჩანს, ცოდვა — სინმინდედ, გონიერება — უგუნურებად, ყველაფერი ასე უნდა იყოს, ყველაფერი ჩემს თანხმობას ელოდება, ჩემს მზადყოფნას, ჩემს მოსიყვარულე დასტურს, სასიკეთო მხოლოდ ასე იქნება ჩემთვის, მხოლოდ ასე მიშველის და არასოდეს დამაზიანებს. სულით და ხორციით გამოვცადე, რომ ცოდვა მესაჭიროებოდა, განცხრომა მჭირდებოდა, სიმდიდრის, სახელის მოხვეჭის სურვილი და სასონარკვეთის განცდა, რათა ზღვარგადასული წინააღმდეგობლობა მესწავლა, სამყაროს სიყვარული მესწავლა ისე, რომ ეს სამყარო ჩემს მიერ წარმოსახულ ჩემთვის სასურველ, ჩემს მიერვე სრულყოფილების ნიმუშად გამოგონილ სამყაროსთვის კი აღარ შემეძარებინა, არამედ დამეშვა, მიმელო და შემეყვარებინა ისეთი, როგორიც არის და სიხარულით ვყოფილიყავი მისი ნაწილი. აი, ზოგიერთი აზრთაგანი, ო, გოვინდა, მე რომ მივაგენი.

ზიდჰართამ ჩაიმუხლა, მიწიდან ქვა აიღო, ხელისგულზე შეათამაშა და უთხრა:

— აი, ეს ქვაც ქვა არის მხოლოდ, ხანი გამოხდება და, ალბათ, მიწად იქცევა, მიწა — მცენარედ, ცხოველად ან ადამიანად გარდაისახება. ადრე მხოლოდ ამას ვიტყოდი: „ქვა ქვაა და სხვა არავითარი ღირებულება არ გააჩნია, მაიას საუფლოს ეკუთვნის, მაგრამ სახეცვლილებათა წრებრუნვაში შეიძლება სულდგმულად, ადამიანად იქცეს და მხოლოდ ამის გამო ჩავთვლი ღირებულ საგნად“. ადრე ალბათ ასე ვიფიქრებდი, დღეს კი ვფიქრობ: ეს ქვა ქვაა, მაგრამ იმავდროულად ცხოველიც არის და ღმერთიც, ბუდაა და ვეთაყვანები, მიყვარს არა იმიტომ, რომ ოდესმე ვინმედ ან რამედ გადაიქცევა, არამედ იმის გამო, რომ ის რა ხანია, მუდმივად წარმოდგენს ამ ყოველივეს და რადგან ქვაა, რომელიც დღეს და ახლა ქვად მევლინება, სწორედ ამის გამო მიყვარს და ჩემთვის ღირებულებას და აზრს იძენს მისი ყოველი ძარღვი და ღრმული, ნებისმიერი — ყვითელი თუ რუხი — ფერი, მისი სიმკვრივე, მისი ხმა, რომელსაც ჩემი მიკარებისას გამოსცემს, მისი ზედაპირის სიმშრალე თუ სინოტივე. არსებობს ქვები, მიკარებისას ზეთს თუ საპონს რომ გვაგონებენ, ზოგი ფოთლებს ჰგავს, ზოგი — ქვიშას, მაგრამ ყოველი მათგანი განსაკუთრებულია და თავისებურად წარმოთქვამს ლოცვას — აუმ; ყოველი მათგანი ბრაჰმანა, და თან იმდენადვე, ქვაც არის, ზეთით ვით ლიპია ან საპონით სრიალა და სწორედ ეს მომწონს, ამას მივიჩნევ გაოცებისა და თაყვანისცემის ღირსად. მაგრამ მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. სიტყვები არას არგებს იდუმალ აზრს, რადგან ყოველთვის, როცა რაიმეს გამოვთქვამთ, უცებ ყველაფერი სხვა, ოდნავ გაყალბებულ, ოდნავ სულელურ ელფერს იძენს. ჰო, და ესეც ძალიან კარგია, ძალიან მომწონს, და სავსებით ვეთანხმები იმ აზრსაც, რომ ის, რასაც ერთი ადამიანი მის მიერ ნაპოვნ საგანძურად თვლის, მეორეს მუდამ სისულელე ჰგონია.

შეუსიტყვებლად უსმენდა გოვინდა.

— ეს ყველაფერი ქვაზე რატომ მომიყევი? — გაუბედავად ჰკითხა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— უნებლიეთ, ასე იქნებ იმიტომ მოვიქეცი, რომ სწორედ ეს ქვა, ეს მდინარე და ყველა ის საგანი მიყვარს, რასაც ახლა ჩვენ ვუყურებთ და რომლისგანაც შეგვიძლია, რამე ვისწავლოთ. ქვის სიყვარული შემიძლია, გოვინდა, შემიძლია ხეც მიყვარდეს ანდა მისი

ზრო. ისინი ხომ საგნებია და საგნების სიყვარული შესაძლებელია. სიტყვების შეყვარება კი არ შემოიძლია. ამიტომაც არაფერს ნიშნავს ჩემთვის მოძღვრებები, მათ არც სიმყარე გააჩნია და არც სირბილე, არც ფერი აქვთ, არც კიდე-ნაპირი, არც სუნი და გემო, სიტყვების მეტი არაფერი გააჩნია. იქნებ სწორედ ეს გაბრკოლებს, იქნებ სიტყვამრავლობის ბრალია, სიმშვიდე რომ ვერ გიპოვნია. ვინაიდან საბოლოო თავისუფლება და სიქველე, სანსარა თუ ნირვანა, ესეც ცარიელი სიტყვებია, გოვინდა. არ არსებობს საგანი — ნირვანა, არსებობს მხოლოდ სიტყვა — ნირვანა.

გოვინდამ უთხრა: — ნირვანა მხოლოდ სიტყვა არ არის, მეგობარო. ის აზრია.

მიუგო ზიდჰართამ: — თუ აზრია, დაე იყოს. მე კი გამოგიტყდები, მეგობარო, დიდად არ განვასხვავებ ერთმანეთისგან აზრებს და სიტყვებს. გულწრფელად გეტყვი, აზრებსაც არ ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას. საგნები უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის. აქ, ამ ბორანთან ცხოვრობდა ჩემი წინამორბედი და მოძღვარი, წმინდა კაცი, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე უბრალოდ სჯეროდა, მდინარის სწამდა და სხვა არაფრის. მდინარეს მიყურადებულმა, შენიშნა, რომ მდინარე მას ესაუბრებოდა, მდინარის ხმას დაუდგა შეგირდად, ეს ხმა ასწავლიდა, ზრდიდა და მოძღვრავდა; მდინარე იყო მისი ღმერთი, დიდხანს არ იცოდა, რომ ყოველივე — ქარი, ღრუბელი, ჩიტი, ხოჭო მის მიერ გაღმერთებულ მდინარესავით ღვთაებრივია, მასავით ბევრი რამ იცის და ბევრის სწავლებაც შეუძლია. ტყეში წასვლის ყამმა რომ უნია, უკვე იცოდა ყველაფერი, შენზე და ჩემზე მეტს სწვდებოდა, მასწავლებლების, ნიგნების გარეშეც იცოდა ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ მდინარისა სწამდა.

გოვინდამ თქვა: — განა ის, რასაც „საგანს“ უწოდებ, ნამდვილი და არსმოსილია? განა ეს ყველაფერი მაიას ხრიკებით შექმნილი საცთური, მოჩვენებითი ხატი და ილუზია არ არის? შეიძლება ქვა, ხე და მდინარე — სინამდვილე იყოს?

„დიდად არც ეს არ მაღარდებს“, — მიუგო ზიდჰართამ, „თუკი საგანი მოჩვენებითია, მაშინ მეც მოჩვენება ვარ და ამგვარად, ისიც ჩემი მსგავსია. და ვინაიდან ის ჩემნაირია, ამიტომ ძვირფასია ჩემთვის და მოწინების ღირსად მივიჩნევ. საგნების სიყვარული ამიტომაც შემოიძლია. ეს არის მთელი ჩემი მოძღვრება, გოვინდა, რომელიც, ალბათ, სასაცილოდ მოგეჩვენება: ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი სიყვარული მგონია. სამყაროს ჭვრეტა, მისი ახსნა, მისი უგულვებლყოფა დიდ მოაზროვნეთათვის დამითმია. მე კი ერთადერთი რამ მამოძრავებს, სამყაროს სიყვარული უნდა შევძლო, კი არ მოვიძულო, კი არ შევიჯავრო სამყარო და მასთან ერთად ჩემი თავი, ამრეზით კი არ ვუყურო, არამედ შევძლო ის, რომ სამყაროს და საკუთარ თავს და ყველა არსებას სიყვარულით, ალტაცებითა და მოწინებით ვუცქირო“.

— გასაგებია, რასაც ამბობ, — უთხრა გოვინდამ, — მაგრამ სწორედ ეს აღიარა მან, ამაღლებულმა, საცდურად და მოჩვენებად. მან სიკეთის ქმნა, დანდობა, თანაღმობა, შემწყნარებლობა დაგვიბარა, მაგრამ არა სიყვარული; მიწიერისადმი სიყვარული, გულით მიწიერზე მიჯაჭვულობა კი აგვიკრძალა.

— ვიცი, — მიუგო ზიდჰართამ და ოქროსავით გაბრწყინდა მისი ღიმილი, — ვიცი, გოვინდა. ხედავ, სიტყვებით კამათში, მოსაზრებათა შუაგულში მოვექეცით, როგორც გაუვალ, უღრან ტყეში. ვერ უარვყოფ, რომ სიყვარულზე ჩემს მიერ გამოთქმული სიტყვები გაუტამას სიტყვებს ეწინააღმდეგება, მოჩვენებითად ეწინააღმდეგება. ამიტომაც არ ვენდობი სიტყვებს, არანაირად არ ვენდობი, რადგან ვიცი, რომ ეს წინააღმდეგობაც ცთომილებაა. მე ვიცი, რომ თანხმობაში ვარ გაუტამასთან. შეუძლებელია, სიყვარული არ სცოდნოდა. არ სცოდნოდა მას, ვინც ადამიანური ყოფიერების წარმავლობა და არარაობა ძირისძირობამდე შეიცნო, და იმდენად უყვარდა ადამიანები, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი მაშვრალი ცხოვრება მხოლოდ მათ დახმარებას, მათ სწავლებას შეაღია! მასზე, შენს დიად მასწავლებელზეც ვიტყვი — მისი საგანი მორჩენია მის სიტყვას; მისი საქმე და ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე მისი სიტყვები, მისი ხელის მოძრაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მოსაზრებები. მის საუბრებსა და აზრებში კი არ ვხედავ გაუტამას სიდიადეს, არამედ მის საქმეებსა და ცხოვრებაში.

დიდხანს დუმდნენ ბერიკაცები. მერე, როცა გოვინდამ დამშვიდობება დააპირა და მისკენ დაიხარა, უთხრა: „— მადლობელი ვარ, ზიდჰართა, შენი ფიქრების გაზიარებისთვის. უცნაურად მომეჩვენა ზოგი აზრი, თავიდანვე ყველაფერი ერთბაშად გასაგები არ ყოფილა ჩემთვის. ასეა თუ ისე, მაინც მადლობელი ვარ შენი და მშვიდობიან დღეებს გისურვებ“.

(გულში კი ფიქრობდა: საკვირველი ადამიანია, ეს ზიდჰართა, საკვირველ აზრებს გამოთქვამს, სულელურად ჟღერს მისი სწავლება. სხვაგვარად ჟღერს ამაღლებულის წმინდა მოძღვრება, უფრო ნათელია, უფრო წმინდა, უფრო გასაგები, არაფერია მასში უცნაური, სულელური ან სასაცილო. მაგრამ მეჩვენება, რომ ზიდჰართას აზრებისაგან ძალზე განსხვავდება მისი ხელები, მისი ფეხები, თვალები, შუბლი; სხვაგვარად აზროვნებს და სხვაგვარად გესაღმება, სხვაგვარად დადის. მას მერე, რაც ამაღლებული გაუტამა ნირვანას ეზიარა, არ შემხვედრია ადამიანი, რომლის დანახვისთანავე მიხვდებოდი: აი, წმინდანი! ერთადერთი შემომხვდა ასეთი ადამიანი აი, ეს ზიდჰართა! თუნდაც უცნაური იყოს მისი სწავლება, თუნდაც სულელურად ჟღერდეს მისი სიტყვები, საპირისპიროს ამტკიცებს მისი მზერა და ხელი, მისი კანი და თმა — ყველაფერი განსპეტაკებულია მასში, ისეთ უმნიშვნელოებას, სიმშვიდეს, სიხარულს, უწყინარობასა და სინმინდეს გამოასხივებს, რომლის მსგავსიც, ამაღლებული მოძღვრის უკანასკნელი სიკვდილის შემდეგ, არც ერთი ადამიანისთვის არ შემინიშნავს.)

ასე ფიქრობდა გოვინდა, გაორებული გრძნობები ერთმანეთს ეჭიდებოდნენ მის გულში, სიყვარულმა სძლია, კიდევ ერთხელ დაიხარა ზიდჰართასკენ. ღრმა თაყვანი სცა მშვიდად ფეხმორთხმულს.

— ზიდჰართა, — უთხრა, — ორივე მოვხუცდით. ამ განსხეულებაში, ალბათ, ერთმანეთს ვეღარ ვიხილავთ. ვხედავ, სანატრელო, მშვიდობა მოგიპოვებია. ვალიარებ, მე ვერ ვპოვე სულის სიმშვიდე. თუნდაც ერთი სიტყვა კიდევ მითხარი, სათაყვანებლო, მიბოძე რაიმე, გზად გამატანე რამე ისეთი, რის მნიშვნელობასაც ჩავწვდები და მივხვდები! ჩემი გზა ხომ ძალზე ძნელია, ძალზე ხშირად ბნელით მოცული, ზიდჰართა!

მდუმარე ზიდჰართა უცვლელად, ჩუმად შეჰკლიმოდა. შიშნეული, კაეშნიანი მზერა შეავლო გაშეშებულმა გოვინდამ მეგობრის სახეს. ტანჯვა და მარადიული ძიება, მარადიული ვერპოვნა ეწერა თვალებში. ზიდჰართა ყველაფერს მიუხვდა და გაიღიმა.

— დაიხარე ჩემკენ! — ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა გოვინდას, — კიდევ უფრო გადმოიხარე! ასე, მომიახლოვდი! ახლოს, სულ ახლოს! მეამბორე შუბლზე, გოვინდა!

და როდესაც გაოცებული, მაგრამ უზომო სიყვარულითა და წინათგრძნობით მისკენ მიზიდული გოვინდა, ზიდჰართას სიტყვებს დაემორჩილა, მისკენ დაიხარა, ბაგით ზიდჰართას შუბლს შეეხო, სასწაულის მოწმე გახდა. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ზიდჰართას საკვირველ სიტყვებზე ფიქრობდა, როცა ამაოდ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, უდრო-ჟამობას წარმოიდგენდა, ნირვანასა და სანსარას განუყოფელ ერთმთლიანობად აღიქვამდა, როდესაც მგზნებარე სიყვარულისა და მოწინების განცდას მასში მეგობრის სიტყვებით გამოწვეული ერთგვარი სიძულვილის განცდა ებრძოდა, მაშინ მოხდა ეს სასწაული:

გაუჩინარდა მეგობრის, ზიდჰართას სახე და მის ნაცვლად სხვა, მრავალ სახეს ხედავდა, სახეთა ლაშქარს, სახეთა ჩქერს, ასი, ათასი, მირიადი სახე მოედინებოდა და მოედინებოდა, მაგრამ მაინც ერთდროულად და მუდმივად არსებობდა; ყველა ეს სახე განუწყვეტლივ იცვლებოდა, განახლდებოდა და ყველა მაინც ერთ სახედ იკვროდა, ყველა ზიდჰართას განსახიერებდა. მომაკვდავი თევზის, ჭანარის სახეებს ხედავდა, თვალებგამოცივებულს, უსასრულო ტკივილისგან ხახადაფჩენილს, სულს რომ ლაფავდა; ხედავდა ახალშობილთა სახეებს, წითელფორეჯიანსა და ნაოჭასხმულს, ტირილისაგან სახეშეჭმუხნილს; მკვლელის სახეს ხედავდა, მსხვერპლს დანას რომ უყრიდა და იმავე წამს ხედავდა შეპყრობილ ბოროტ-მოქმედს, ხუნდებდადებულს, მუხლებზე დაცემულს ჯალათი ხმლის ერთი დაკვრით თავს რომ აცლიდა; მამაკაცების და ქალების შიშველ სხეულებს, ამ სხეულთა სასიყვარულო შმაგ შერკინებას; გაშეშებულ ხელებს, ჩუმ, ცივ, ცარიელ გვამებს; ცხოველებს — ტახების, ნიანგების, სპილოების, ხარებისა და ფრინველთა თავებს; ღმერთებს ხედავდა, კრიშნას

უმზერდა, ხედავდა აგნის, ჭვრეტდა ყველა ამ სახეხას და გამოსახულებას, მათი ურთიერთკავშირის უამრავ გამოვლინებას: ყველა ისინი ერთიმეორეს ეხებოდნენ, ერთიმეორე უყვარდათ და სძულდათ, ერთიმეორეს სპობდნენ და ხელახლა შობდნენ; და ყოველი მათგანი სიკვდილის წყურვილს განასახიერებდა, წარმავლობის მწველ, მტკივნეულ აღიარებად განსხეულებულიყო, მაგრამ სიკვდილით არც ერთი არ კვდებოდა, მხოლოდ გარდაისახებოდა, მიწყვიტ ხელახლაშობილი მუდმივ სახეცვლილებას განიცდიდა ისე, თითქოს მათ სახეცვლილებათა შორის დრო-ჟამი არც არსებულებოდა; და ყველა ეს სახე-ხატება მშვიდად სუფევდა, მიედინებოდა, ერთიმეორის წიაღიდან იშვებოდა, ერთიმეორეს ერწყმოდა და ერეოდა; და მათ ზეგარდმო მარადიულად არსებობდა რაღაც სიფრიფანა, უარსო და მაინც არსებული რამ, მყიფე შუშასავით თუ ყინულის თხელი საფარივით, გამჭვირვალე კანივით, წყლის ნაჭუჭივით თუ ნილაბივით რომ გადაჰკვროდა მათ და ეს ნილაბი ილიმებოდა, და ეს ნილაბი ზიდჰართას ღიმნათელი სახე იყო, სახე, რომელსაც სწორედ ახლა, ამ წამს ეხებოდნენ გოვინდას ტუჩები. და იხილა გოვინდამ, რომ ღიმილი ამ ნილბისა ერთარსისა, მედინ სახეებს ზემოდან რომ დაჰკლიმოდა, ურიცხვ დაბადებასა და სიკვდილზე მარადიული ერთდროულობის ეს ღიმილი, ზიდჰართას ღიმილის ტოლი იყო, თანმთხვევი იყო გაუტამა ბუდას იმ წყნარი, ფაქიზი, ამოუცნობი, იქნებ კეთილი, იქნებ გამქირდავი, ბრძნული, იერმრავალი ღიმილისა, მრავალგზის რომ უხილავს შიშით და კრძალვით. ასე, — უკვე იცოდა გოვინდამ, — მხოლოდ სრულყოფილი ილიმებოდნენ.

დროსა და ჟამს ველარ შეიგრძნობდა, არც ის იცოდა, რამდენ ხანს გასტანა ხილვამ, წამიერი ჩვენება ჰქონდა თუ საუკუნე დასჭირდა; ველარ გაეგო სად ზიდჰართა იყო, სად გაუტამა, სად მთავრდებოდა მე და სად იწყებოდა შენ, ან საერთოდ მე და შენ თუ არსებობდა; თითქოს ღვთაებრივ ისარს დაეჭრა, ნექტარივით ატკბობდა ეს იარა; სიღრმისეულად მონუსხული და თავდახსნილი, ერთხანს კიდევ იდგა გოვინდა ზიდჰართას წყნარი სახისკენ დადრეკილი, იმ სახისკენ, ახლახანს რომ ეამბორა, ახლახანს აურაცხელი სახე-ხატის, ყოველივე ქმნადისა და ყოფიერის ჯადოსნურ სცენად რომ გადაქცეულიყო. ეს იერსახე მას მერეც არ შეცვლილა, რაც მის ზედაპირქვეშ სიღრმისეული ათასსახოვანება ისევ წაიშალა, ისევ უცვლელად, ჩუმად, სათნოდ ილიმებოდა, იქნებ კეთილად, იქნებ დაცინვით, მაგრამ სწორედ ისე, როგორც ის ილიმოდა, ამაღლებული.

ღრმა თაყვანი სცა გოვინდამ, ღვარად სდიოდა ცრემლი და ვერ-კი გრძნობდა; ხნიერ სახეზე უსაზღვრო სიყვარული ენთო ცეცხლივით, გულში კი — უმორჩილესი მოწინება და კრძალულება. შუბლი ლამის მიწას ახალა, ისევ ეთაყვანა უძრავად ფეხმორთხმულს, ვისი ღიმილიც ერთბაშად ახსენებდა ყოველივეს, რაც კი ოდესმე ჰყვარებია, რაც კი მისთვის ცხოვრებაში ოდესმე ძვირფასი და წმინდა ყოფილა.

განმარტებანი

1. ზიდჰართა — სანსკრიტის ენაზე ეწოდება მას, ვინც მიზანს მიაღწია, ცნობილია ასევე, როგორც გაუტამა ბუდას, შაკიამუნის საკუთარი სახელი.

2. გოვინდა — ბჰაგავად გიტაში არჯუნა კრიშნას მიმართავს ამ სახელით: გოვინდა, ანუ — ო, კრიშნა. მაგრამ ამ სახელის მნიშვნელობა მეგობარი უნდა იყოს.

3. ომ — მაგიური ძალის მქონე უძველესი ვედური მანტრამი. წარმოითქმის როგორც აჰიმ: ჩასუნთქვისას — ა, ამოსუნთქვისას — შ, სუნთქვის შეკავებისას — მ. გაიგივებულია სამყაროს შემქმნელ ღმერთთა ტრიადასთან: ა — ბრაჰმა, შ — ვიშნუ, მ — შივა.

4. ატმანი (სანსკრ. ātman) — ერთ-ერთი კარდინალური ცნება ინდუიზმის რელიგიურ-მითოლოგიურ სისტემაში. ინდუისტურ მითოლოგიაში წარმოადგენს პირველმიზეზს, სანყისს, რომელიც გამსჭვალავს ყოველივე არსებულს. როგორც ყოვლისმომცველი სამყაროსეული სული, იგი ბრაჰმასთან არის გაიგივებული. ვედურ ლიტერატურაში გამოიყენება ნაცვალ-სახელის სახით: „მე“ ან „თავის თავი“. ზოგჯერ სხეულსაც აღნიშნავს, ხოლო უპანიშადებში

აღნიშნავს სუბიექტურ ფსიქიკურ სანყისს, ინდივიდუალურ ყოფიერებას — „სამშვინველს“.

5. პრაჯაპატი (ძველინდ. *prajāpati*) — „შთამომავლობის უფალი“, ყოველივე არსებულის შემქმნელი ღვთაება. ამ მნიშვნელობით ოთხგზის მოიხსენიება „რიგ-ვედა“-ში.

6. ბანიანი (ჰესესთან *Banyanbaum*; ლათ. *Ficus Benghalensis*) — ლეღვის ხის ჯიში. შემთხვევითი არ არის, რომ „ზიდჰართას“ დასაწყისშივე ნახსენებია ლეღვის ხე, რომლის ჩრდილქვეშ იზრდებოდა ყმანვილი ზიდჰართა. ამ ნაწარმოების კონტექსტში გაუგებარი იქნებოდა ბანიანის ხის ხსენება, მით უფრო, როდესაც ცნობილია, რომ ბუდამ, სწორედ ლეღვის ხის ქვეშ მიაღწია გასხივოსნებას, ანუ ბოდჰის მდგომარეობას. ეს ხე ცნობილია, როგორც ბო ან ბოდჰი (რაც გამოლვიძებას ნიშნავს), ხოლო „ზიდჰართას“ I ნაწილის ბოლო თავს სწორედ „გამოლვიძება“ ეწოდება. ბოდჰის ხეს გასხივოსნების ხესაც უწოდებენ და ცნობილია, როგორც — *ficus religiosa* — ლეღვი ბრძენთა.

ბუდიზმში ბოდჰი არსებით ტერმინს წარმოადგენს და ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობას, სულიერ გაღვიძება-გასხივოსნებას აღნიშნავს.

ამ თვალსაზრისით, საგულისხმო უნდა იყოს იოანეს სახარების ერთი ფრაგმენტი, სადაც მოთხრობილია მაცხოვრის შეხვედრა ნათანაილთან: „იყავ რა ლეღვისა ქვეშე, გიხილე შენ“ (იოანე 1.47. შეხვედრა ჭემმარიტ ისრაიტელთან).

7. ფრინველი-მარტორქა (გერმ. *Nashornvogel*) — ფრინველის ჯიში, რომელიც ლათინურ ენაზე იწოდება როგორც *Buceroditae*.

8. გაუტამა, გოტამა (ძველინდ. *Gautama*) — ძველინდურ მითოლოგიაში შვიდი რიშიდან ერთ-ერთი უდიადესი, რომლის სახელიც მიეცა შაკიამუნს.

9. ბუდა (სანსკრ. *Buddha*) — „ნათელღებული“, სიტყვასიტყვით — „გაღვიძებული“. ბუდას სახელით პირველად მხოლოდ შაკიამუნი მოიხსენიებოდა.

10. შაკიამუნი (სანსკ. *Sākyamuni*) — შაკიას ტომის ბრძენკაცი, რომელიც ზიდჰართას სახელითაცაა ცნობილი. ბუდიზმში იგი უკანასკნელი მიწიერი ბუდაა, რომლის სწავლების ნიადაგზეც ბუდისტური სარწმუნოება აღმოცენდა. შაკიამუნი, „ბჰაგავად გიტას“ ჩხენკელისეულ თარგმანში განმარტებულია, როგორც „საკუთარი სახელი ბუდაელთათვის“, მისი ადრეული მნიშვნელობაც მღვიძარეს, გაღვიძებულს ნიშნავდა, შემდეგ კი არსებობის უღლისგან გათავისუფლებულს.

ჩვენ ვიზიარებთ ბ-ნ თ. ჩხენკელის ინტერპრეტაციას და რამდენიმე ადგილას ვიყენებთ მის მიერ „ბჰაგავად გიტას“ ტექსტში შეტანილ ქრისტიანულ ტერმინს — „ნათელღებული“.

11. მარა (სანსკ. *māra*) — მომაკვდინებელი, გამანადგურებელი. ბოროტების განმასახიერებელი ღვთაება. მისი უპირველესი მიზანია შეაბრკოლოს სულიერი გასხივოსნებისკენ გზადმყოფი ბოდისატვა. ერთ-ერთი ბუდისტური ლეგენდის მიხედვით, იგი შაკიამუნის ცდუნებასაც ცდილობდა.

12. მაია (სანსკ. *māyā*) — ვედურ მითოლოგიაში: ილუზია, ტყუილი. ერთი მხრივ, აღნიშნავს სახეცვლილებას, ჯადოსნურ მეტამორფოზას; ვიშნუიზმში — ყოფიერების ილუზორულობას. რეალობა გაგებულია, როგორც ღვთაებრივი სიზმარი, ხოლო სამყარო — როგორც ღვთაებრივი თამაში.

უმოთა ზოსტანაშვილი

გაცეცხლებული ლაპარაკი

გავთ**endi**, — ენდე!

დავშაღე-გამენდო. . .

შევრთე-გავენდე. . .

დავლენე წყე- დიადი დავსახე ჟამი. . .

გავთ**endi**, გამოველ, ხე იდგა სამი. . . ,

სამი სამანი, -სამი ალა, -ალვა სამი. . . ,

ალვიდან **ალი** გარდმომავალი. . .

ავლახე ალვა ხე – თარჯი და არჯალი. . . ,

მომდეგდა სევდა და ჯანჯალით არჯალი. . .

მეორე ალვა ხე. . . ,

არჯალი გავლახე. . . ,

მესამეც ავლახე. . .

ალიბჭე განველე **გავალდი**. . . ,

ავალდი და **გავიალე**,

გავიალვე, **გავიელვე**, ალვას თავზე გარდავევლე-

-გავიალვაელვე. . .

ხე გახევედა, ხე გახელდა ხელდახელ და აშრიალდა,

აალდა და ახმიანდა:

ან დამეცა ხამი, ანდა

დამცადა და დამცა **მეხმა**,

დამცა **მეხმა**. . .

ასე ალაპარაკდა და გამცა მე ხმა,

გამცა მე ხმა. . .

განველე **ალიბჭე**, ვებჭე ხ-მას. . .

–ალილო შვილო! მიხმოზდა მამა მე,

მამამ მომცა ცა, სით სითამამე

გადმომეცა და. . .

წყვიადი დავლენე, წაველ-წავლე წინ. . .

გავთ**endi**,

ამოველ,

ცათა ველ წამოველ,

წავლე წანწალით. . .

წაველ, წავლე წინ. . .

წინ **წინწკალი-წაპერწკალი**, **ბურჯღული** და **წაბერწყალი-**

- აქ მოშორდა წაპირს წყე — **ალი**. . . ,

მომდეგს მწყრალი. . . ,

თვალს აცეცებს,
აღსაცეცებს მიბრიალებს —
 — ბრრრალი, ბრრრალი, ბრრრალი. . .

წინ წინნალი — წერილთ მიჯნა — სამანი.

შინ მივდივარ **შინ**-ამდე. . .

რა შორეთია. . .

მზე რაც შორია — მზერაც (შ)ორია. . .

ჰაე — შორისშორია. . .

აი, ჩემი ანბანი,
 ჩემი ანაბასობა,
 ჩემი ანაბასისი. . .

ერთი, ორი;
 ერთი, ორი, სამი;
 ანი, ბანი, განი,
 მერე **მზეა** — დონი-
 -მღერის იადონი.

რა ემღერება? რა ეახლოვა?

რაე ახლოა; ეეე, რა ახლოა, მზერაც ახლოა,
 მზერა ახლოა,
მზე რა ახლოა,
მზე რაახ. . .
 რა ხმაა? . .

დოოო. . . (ენა უნდა ენას ანდო. აქ **დო** არი სანდო).

დოოო. . ., **რეეე**. . ., დრრრ. . . (ან **დო** ან **რე**, მაგრამ არა დორე)

მიიი. . ., **ფააა**. . ., **სოლ**.

ცეცხლმა ენა დააყენა სოლზე. **სოლ** — **მზე**

სულ **მზე**

ლო — **მზე**

ო — **მზე**

სი — **მზე**

ჟა — **მზე**

ქი — **მზე**

ჩე — **მზე**

ჩუ — **მზე**

ძუ — **მზე**

ხე — **მზე**

ნა — **მზე**

.

ნამო შეჩერდი!

შეჩერდი ნამო!

ნამოვინვიმე. . .

გავწვიმდი, ვინწვიმე- **დავაშთე ალი**; ვინწვიმე,

ვინწვი მე,

ვინწვი მეეე. . . დრრრ-ო!

შეჩერდი ნამო, მომყევი — ნამო,

მოოო!. . ., მოოო!. . ., მოოო!. . ., მოვიდა პოეტი!

(ზარის რეკვასავით უნდა ნავიკითხოთ, თავზარდაცემით)

მოვიდა ენამახვილი. . .

მიიი. . , **ფააა.** . , ფაეტონით მოვიდა,
 ფათქა-ფუთქით მოვიდა,
 მოვიდა გრძელი **ფა**—ენით,
 გრძელი ფაენით მოვიდა,

მოვიდა ენის ჭარტალით,
ტალით და **კვესით** მოვიდა,
 ჭირანოზე მოვიდა,
 საჭირო დროს მოვიდა,

მოვიდა **ყამარ**-ამართან,
 მოვიდა **სხივი** აღმართა — ახარა.

ახარა ხივით, შხივით ახარა. . .
 და შხივილით: ახ, არა! . ,

მთვარემ ხენცელამ ჩააგო ხელცელი,
 თან თანდათან,

თან თანდათან მიიქანცა, გაბაცდა და აცა-ბაცად გაბარბაცდა —
 —გამეცალა,
შუენარჩენიც ენაპირზე (ე, ნაპირზე) დამაცალა,

გაცალა ცა

და სადღაცა **წერილმასკვლავნიც** ჩაცალა, ცალ-ცალ ჩააციმციმა,
 გამარიდა-გამაცალა,
 მადროვა და მაცალა.

მაცილი კი ბაცანა — ბებრუცუნა ბებლი
 და ახმახთა ურდო — ახმაურდენ. . .

და მე დეენი დამედევნენ,
 და მე დეეებს დავეფეთქე,
 დავზარე და დავაფეთე,

ავფეთქედი და ავქორაფდი — ავიყაყე,
 გავჩაუქედი, გავიბუჩქე;
 ფიქრის ქორე ავაქორე,
 სიტყვის ქორი ავაქროლე,
 ბაყბაყ დეენი გადავდევენე,
 მაცილს ქანცი გავაცალე,
 წინ-წინ ბებლი გავაბავლე,
 ველნი განვვლე — გარდავვლე,
გადავწვი და **გავაავლე**.

შევლენე კარი და
სხივ-სხივად ვკარი და
 დაეცა ჯარი და-
 იხოცა — გათოვდა,
 გავთომდა — გაილო ცა,
 გაიხსნა ცა მეტი ხსნილობით. . .
 დავკარი **სხივი** ცამეტი,
 მარჯვნივ ცამეტი, ცამეტიც ცაცია,
 ცამეტი შუით-შუილით.

არ შეშინდე! თამაშია - არტისტული აქცია, სიტყვის ემანაცია.

რაც შეეხება მაცილს, არც **აცხელა** - არც აცია, გაიქცა, ზურგი მაქცია.

ცეცხლი რო **აფრქვია** რა ქვია?

რასაც არ ქვია, აღარც არსებობს.

აფრქვია ქვა-ცეცხლი (ალი-ქვა) და **ცეცხლის** მტვერი:

აქაც მაგარი სიტყვა დავარტყი,
ვაშტმა ვაშტურად ვაშტერე მტერი.

აი როგორ გავაბრუე,
როგორ გავაბიაბურე?
როგორ დავაბურე და
როგორ დავაბამბურე.

მოვედი **ცეცხლი** — **ნათელი**;

ვნახე ბნელსახე, ვიმარჯვე;
დავტოვე ველი ნაბრძოლი,
გადათელილი – ნათელი.
ომიც დავამთავრე ამით –
- ზმა **მზიანი** ღამით.

დილით ავთან დავამთავრე ომი,
ომი დავამთავრე ავთან დილით.
მე ვარ ლომი და მხედარი ლომზე,
ლაპარაკიც აქ დამთავრდა ომზე

ო, **მზე!**..

ქორო:
მშვიდობაა, ან ომია —
—უცვლელია ანომია

რა ღამე **გავთენდი?!..** რა ღამე გავტეხე?! ..
რალა მე **გავთენდი,..** რალა მე გავტეხე, ..

.....
რა ღამე გავთომე?! .. რა ღამე გავყავი?! ..
რალა მე გავთომე, .. რალა მე გავყავი, ..

რალა მე დავიწყე-დავსრულდი; მოვისანყისე-გავსრულდი;
გავხსენი-დავხურე; შევედი-გავედი;
გავმიჯნე, დავსაზღვრე ასე თუ ისე,
აქეთ **ნათელი** გამოვიტყე,

იქით დავტოვე ბნელი და მქისე;
ისევ და ისევ,

ისევ და ისევ. . . ხვალ გზა მიდევს,
სხვა გზა მიდევს, სხვა საგზალი-

-მუგუზალი. . .

წყალს რო გამოვტაცე **ალი**,

დადუქი და **კანდელი-**

-ცეცხლიანი ლაპარაკი-

-სიტყვა ლაპარაკამდელი. . . , სიტყვა ლაპარაკამდელი. . .

სხვა გზა მიდევს, სხვა საგზალი,
და სხვა გზებზე ხეტიალი.

მეკვლედ დამყვა ის ალვის ხე - ხე ტიალი.

ხეტიალი, წონიალი, წიალი,

ბოდიალი, ბორიალი, ბრიალი.

ბოდიალი კი ის ხეტიალია, თან რო ლაპარაკია **გაალებული**,
 ლაპარაკიანი ხეტიალია და მოხეტიალე ლაპარაკია,
ცეცხლთან ხლებული – **გაცეცხლებული**;
 ლაპარაკი კი **ცეცხლის** სივრცეა – **სივრცეცხლეა** —
 — სხვა სივრცე და სიცოცხლეა.

სივრცეცხლის ხე ღელავს,

სიცოცხლის ხე ხარობს. ხერა-ხერა,
 ღერა-ღერა,

ხე მნიფობს და ხემნიფობს,
 ხე **ელავს** და ხელავს.

ხე ხეაო – ა, ხმობენ,

ხე ხე ხე და ხა ხა ხა. . .

ხეც არი და ხეც არი,

ზოგი მაცოცხლებელი,

(ასე მაგალითად: საბაღე რძის ხე – საბა ღერძის ხე).

ჟამად **გაცეცხლებული**,

ზოგი კი უმეცარი — მოიჭრება და **ცეცხლს** მიეცემა.

ქორო: აქ ასეთი რეფრენია,
 უფრო სწორად ხე-ფრენია:
 ეს რა ხეა – ხეხელა და ხეშეშა,
 ხე ტიალი, ხეტი, ხეშტო,
 ხეშეშტა და ხეშესტარი,
 ხეშრე, ისტერიული
 ის სხვა ხეა, ის სახეა,
 ის ცა – ხეა, ხე ციური –
 — ხე პრეისტორიული.

ხოლო „**ცახე**... მერე ნახე, ახლა ხეს მივხედოთ.

ხე **სივრცეცხლობს**, **ცეცხლი**

ანათებს და **ათბობს**,

ცეცხლი წვავს ავს,

ავ-კარგს აქრობს

აქ რო აქრობს, იქით **ქრება**.

ქება, თორემ დაბნელდება!

ქება, ქება **ნათლის-**

-ცეცხლის ალის ძალის!

ქრება ცეცხლი, **იწვება** და წვება ნავში,

ნავით ჩავა, **ჩაინავლებს**... .

ჩავა, ენას ჩაიტანს და იტყვის ამბებს. . .

ჩავა ნავით – **ჩანავლდება**,

ამბებს იტყვის, რაც აქ ხდება –

– როგორ **ამომზევდება** და მერე როგორ აღზევდება,
 როგორ **ციცინათელდება**, როგორ **მომასკვლავდება**,
 ანდა როგორ **გამთვარდება**, – მათი ქება არ მთავრდება;

ათმაგდება – აგდება;
 ოცდება – ან რამ გაყო გაოცება – ოცნება;
 ორმოცდება – არ მოცდება;
 სამოცდება – წამოცდება;
 ასდება – არ ფასდება **ცეცხლის** ენამზეობა
 და **ცეცხლის** თავდადება

სიტყვის ტყავში ვერ ეტევა,
 ლაპარაკში არ თავსდება.

სიტყვის ტყავი ვახსენე და უნდა ავხსნა:
 სიტყვა თავად ტყავია — ზოგჯერ ვერძის, ზოგჯერ ვეფხის,
 ხან შაგრენის ტყავია. ტყავში რამე ამბავია.
 გავხსენი და გავატყავე — ტყავში ისევ ტყავია. . , რა ხდება რა ამბავია?

ქორო:
 დააბრუნეთ ამბავი!
 კარგია ან ავია,
 ამბავი ჰამბავია

ამბავი

ცეცხლის შრომა იცის შორმა – შორეულმა — დიდმა **ცეცხლმა** —
 — დიდმა **ალმაც**; იცის **ალმა**,
 იმ ცის **ალმა** —
 — **ალიცამ**.

სასტიკია **ცეცხლი**. . . ეშინიათ **ცეცხლის**,
 ფერებს **ფერფლად** ფანდავს,
 ფანდავს ფორმებს **ნაცრად**,
 არც რას აგდება არც რად,
 გარდა სიტყვის, ანდა
 ლაპარაკის გარდა.

კეთილია **ცეცხლი**. . .
ცეცხლი ყველას ასაჩუქრებს,
ალს აჩუქებს უკაცრიელ ქაჩალ ქუჩებს,
ნაცარსა და **ფერფლს** აქუჩებს.

შექუჩებულ **ნაცარ-ფერფლის**
 ქუჩის პერსპექტივაში სიტყვის ხე დგას,
 ხე დგას სიტყვის;

ცეცხლთან ისლა ლაპარაკობს,
 ლაპარაკით ფარავს არავს (ეს სხვა ლაპარაკიდანაა),
 ასე იტყვის – ზარავს:

აბა! ნუ **გაახურე**, დააყენე ენა,
 მე ოლე ვარ – ბრყენა.

ვერ **დამბუგავ**,
 მე სხვა ხე ვარ,
 მე სახე ვარ,
 მე ენა ვარ, პოეზიის — “ოლე”.

ნახე კვალი — **აიკვამლე**
 და აქედან **დააბოლე!**
ცეცხლმა ბოლი გამოიბა კუდად

და კუდამოძუებული **გაბოლდა** და გაიგუდა.

სხვა ვერსიაც იყოს უნდა:

თუმცა, მოდი თავიდან ვთქვათ:

ცეცხლი ანერვეულდა,
გულის წყრომას მიეცა —
— რისხვას, ბორგას, დარილს. . .
ამას კი ვერ გადაიტანს —
— დაერივნენ **ცეცხლის** არილს.

დაერია ერთად ყველას —
— **ელავს, ელავს, ელავს. . .**,
ბრკილებს და **ბზინვარებს**,
ბეზეკობს და **ლელავს**.
იბრძვის როგორც აფთარი
ცეცლი—ცეცხლის ფათარი.
ცეცხლზე ცეცხლი ედება. . .

ცეცხლს პატივი ეგება!
ეგება ეგებ ებანიც?
ე, — ბანიც! — მღერა, ქებათა—ქებანი:

მწველია ცეცხლის ვნებანიი. . .
წრფელია **ცეცხლის ვნებანიი. . .**
დიდია **ცეცხლის ვნებანიი. . .**;
დიდია, კიდე დიდდება,
დიდება! დიდება **კიდებას!**

დიდება **ალმოდებულებს!**
ცეცხლმოდებულებს დიდება!
(ზოგჯერ დიდებაც კინდება. . .)
დაერია ყველა ერთად,
თავს დაესხა მინა-წყალი,
თავზე **ცეცხლი** დააყარეს,
დაუბრუნდა ცეცხლის ალი.
დაფეთდა და დაფოთდა, (ზოგიერთი აღშფოთდა) —
არ **ჩააქროთ** არა, არა!
მარა რალა დროსია,
უკვე მორჩა — კმარა,
თავს **ნაცარი** დაიყარა,
ჩაქრა აღარ **მძვინვარებს** —
— **ბდგვინვარეა, ბდგვინვარე.**
მონვა სიტუაცია —
— დაყნოსა და დასუნა,
ბუსუნს ჩაჯდა, გაისუსა,
გაბუსუნდა, გაირინდა,
დადარინდა — დარიდდა.
გოდებით ილაპარაკა — რაკა რაკა რაკა. . .

ცეცხლმა ბოლი მოიფარდა —
ფარდის უკან თამაშობს და
ფარდის უკან ფანდავს. . .

ამბობენ რო,
როცა ლაპარაკსაც **მორჩა**,
თურმე **ცეცხლი** ველარ **მორჩა**—
— ველარ, ველარ მოიხედა
და რამდენი **ცეცხლიც მორჩა**—
— რაც კი დარჩა **თუთქი** —
— **ჩაითუთქა**, ისიც **მორჩა**;
გამოშტერდა, გაუშტარდა —
— დაირიბლა, **ჩაქრა** — **მორჩა.**
მზე ჩაუქრა, დაუბნელდა,
მოკვდა ცეცხლი? გაქრა—მორჩა?
ან **ალეები** სად არიან?
ანალეებიც გაქრა — **მორჩა**
ანალეები დარჩა მხოლოდ —
— პოეზია დარჩა — **მორჩა**
(დაუვარდა ალს მახალი! . .)
აქ კი **მორჩა** ეს ყაზალი.

სხვანი სხვასაც ამბობენ:
დადუმდაო, დაიღონა, შეიკეთა, **გააბოლა**,
დათრიაქდა, **დაიბოლა. . .**,
ჯერ ენაზე იკბინა,
ბოლო გააქანა და **ბოლი** გააქიცინა,
გაცინებაც სცადა და კიდევც გაიცინა,
იცინა და იცინა, იცინა და იცინა,
.მაგრამ ბოლოს იცი რა?
ბოლო-ბოლო, ბოლო-ბოლო ბლ ბლ ბლ. . .

ცეცხლის ბოლო ბოლია,
ცეცხლიანი თამაშის უკვე ბოლო როლია,
სევდიანი ფინალი, მინორული სოლო,
ჩრტიანი კი გრძელდება — ლაპარაკი უთავბოლო.

ჩაქრა ბაზმა და **ბაზმაკიც,**

ცეცხლსაც მოაწვა სევდა —

— **შავი ცეცხლი,** ფიქრი ავი.

ცეცხლსაც მობეზრდა **სიცეცხლე,**

უნდა **დაიწვას** თავი. . .

რა ქნას და რა **ცეცხლს მიეცეს,**

ანდა რა **ცეცხლში ჩავარდეს,**

უნდა **დაიწვას** თავი. . .

უკვე **ბევრი ცეცხლი ნახა,**

გაიგონა ბევრი ახა,

სხვა გზაც ველარ დაისახა. . . სხვა გზას ველარ ხედავს, გარდა

მწუხარე და ვარდისფერ გზის. . .

(თვალი იქით უჭირავს), უკვე **ცეცხლზე ზის.**

ქორო: სანდალია ნავი,

ნავმა წაიღო **ალი. . .**

ბედისწერა სრულდება!

მორჩა ეჭვი, მორჩა ბჭობა,

ა, საცაა დაიხრჩობა. . .

ვაი, როგორ გვეწყინება,

გული როგორ გვეტკინება.

ენტება და ეტყინება. . .

. აგონია ეწყება.

თავს დაეცა თავის იღბალს,

თავის იღბალს ეტყება.

ეტყობა დაწვა ნასიბი,

დასწეულდა, დანასდა. . .

ბოლოს დაწვდა დანას და. . .

ალარც **ინაღაღარა,**

(თავი თივას ადარა)

და რო ველარ იყელყელა. . . **გამოინაღაღარა.**

ასე ვთქვათ და **ჩაითუთქა, ჩაიღველფა**

ჩაიკრუტა, ჩაიბჟუტა,

შეიცვალა იერი,

ალარ არი **მღვიერი.**

ალარ არი აბედი — ა, ბედი!

სულ დაირბა, დაირიბლა,

ჩაიფშუტა — ჩაიფშუკა. . .

შუკა— შუკა, ჩქარა-ჩქარა,

ცის ბილიკი აიარა,

თან წაიღო იარა. . .

სულ **უალოდ** იარა —

— **ჩუით, ჩუით, ჩუით. . .** უი!, უი!, უი! . . .

მტერს და ავსა. . . მტერს და ავსა! . .

შველა არსად. . . შველა არსად! . .

ჩაითარსა,

ჩაინავსა, ნავში **ჩანვა. . .**

ჩაინვა — დაიშრიტა,

დაივსო.

ლხინი აქა, ქირი ავსა; აქ ბელელი აივსოს.

წამოისხა იღბალი. . .

ახლა რაღას უზამ? . .

უკვე ჩანვა ნავში. . .

ამოიღო ლუზა. . .

ცეცხლი ადგა წავიდა... ვაი, როგორ წავიდა!..

მიღმიეთში ჩავიდა... მიღმიეთში ჩავიდა...

ჩავიდა და ჩაეკიდა — ჩაეკიდობანა... .

კიდე — განი **დააბნელა**, დაბრუნდება კიდე განა?.. დაბრუნდება კიდე განა?..

კიდობანში **ცეცხლია!**

კიდობანში მერცხლია!

კიდობანში ვერცხლია!

კიდობანში ვერც გაიგებ რა არი... .

(კიდობანში **რა** არი)

ასეა თუ ისეა... .,

ცეცხლმა ველარ გაახურა,

ადგა, კარი გაიხურა... .

ეს ფურცელიც დაიხურა —

მორჩა **ცხუნება...**

ცხონება!, ცხო ნება! —

—მერვე მუხლი,

—მერვე თავი.

ჰორიზონტზე ხრჩის და ხრჩოლავს

აბოლილი ნავი... .

მზე დაბნელდა... . ელდა... .

ელდა ეცა... .

ე, — ცა! (ეს სხვა ლაპარაკიდან არი)

გაგვებუტა **ცეცხლი** — ბუტი... .

და ფუთ-ფუთად ავიდა —

—აფუთფუთდა **ფუტი**.

წავიდა **კვამლი** — ავი და შავ-შავი,

ავიდა სავსავით... .-ავიდა

რაკა ცას, რალაცას და რალაცას... .

-ელაპა-

-ეუბნა

-გაიბნა

-აიბნა

-ისე დაა-

ნაცეცხლარმა

-დააბარა

კვამლი-ბოლი,

-დააბურა

თალხი რამე — რალაცა დააბნია

ბრახა ცას,

რალაცა და რალაცა... .

რაც იყო იყო,

ეს არი რაც არი-

-ფერფლი და ნაცარი.

რაც მიაგო - ის მიეგო.

მორჩა **დანვას**, თავად დანვა — დაიძინა,

რას ვადარო? ავად არი —

—**ნაცეცხლარ-ნათავადარი,**

ენებადაცოტავებული, თან დათრიაქებული,

ალარ არის ქებული.

ქორო:

დიდძილმა ხელი რალა დარია,

რა **ლადარია?** რა **ლადარია?**

ცეცხლს სჭირდება დახმარება

და ხმარება

და ხმა რება — ხმები დაიარება:

ელია!... ელია!...

ცეცხლს ცეცხლი გამოელია,

ელიან, ელიან. . .

ელიან ალიონს - იალონს,

იალოს!

იალოს!

ვინ გაიგო **ცეცხლის** წყენა,

ცეცხლმა დააყენა ენა,

ცეცხლმა ენა ჩაიგდო და

ცეცხლმა შეინახა ენა,

ცეცხლი დაცხრა, მოისვენა.

ცეცხლმა ენა **დაიწვა** და **დასანჯავიც დანვა.**

დანვა, თვალი დანუხა და,

დანვა – თვალი ჩაიღამა – მიღალბათდა, დაივანა.

ქორო:

მაგრამ ენამ ენას

გამოუყო ენა.

ცეცხლი ჩაქრა, ჩქარა! ჩქარა!

ჩაქრა **ჩაინაკვერჩხალა,**

ჩაიღველფა, ჩათვლიმა და

მიიღულა, მიიძინა. . .

მიიძილისშინა და

მიიძილისშორისა. . .

ჩაქრა ნაღვერდალიც და

ნაღადარიც აღარ დაოხს,

ენას კლიტე დაადო და

აღარ **ნაღადარლადაოხს.**

ელია!... ელია!...

ცეცხლს ცეცხლი გამოელია,

ელიან, ელიან. . .

მოასვენეთ **ცეცხლი,** მოასვენეთ **ცეცხლი!**

დაილია ღალა, **ცეცხლიც** დაიღალა,

დაიღამა,

ღამე ნების,

ცეცხლის ნებით!

ისევ **ცეცხლის** ენებით,

მერე ვილაპარაკოთ,

გავაგრძელოთ დილით,

ცეცხლიც ამოიდგამს ენას,

ენას ისევ წაიგდებს და

ენას დაიგრძელებს **ჩრდილით. . .**

ქორო:

ჩრდილი ენაჭარტალა,

ჩრდილი ენატანია,

ჩრდილი ჩრდილიტანია.

რაო, **ჩრდილი** — ტანია?

რაო, ჩრდი — ლიტანია?

ჩრდილია ცეცხლის ნიშანი;

ჩრდილით მოდის **ცეცხლი,**

უტანო და უსხეულო – ჩია, ჩია,

ჩრია, ჩრია,

ჩრიალით და **ჩრრრ-დილით.**

დილამდე კი **დაბოლილი ცეცხლის** ზმანებებია,
დიდი **ნალადარლადავი**, ანუ **ნაცრის** სიზმრები,
ძილისშინა ლაპ-არაკი და **ნა-ხშირი** სიტყვები,

დიდი **ნახშირ-ნახშობა**. . . ,

ის რაც დაამახსოვრდა, ის რაც გაგვიზიარა,
თავის დიდი იარა, ზეცად როგორ იარა —
—აი, ეს მასალები:

მას **ალეები** დაესხნენ, რომ მას **ალი** დაეცა.

რა მაზალი დაეცა? რა მაზალოდ დაეცა?

და ეცა. . ! და ეცა. . ! (თავის ღვიძლი და ეცა).

დაიცადა, დაეცა.

დაე, ცა გაიგავოს!

ეს იგავი აიგავოს,
სხვა იგავმა იიგავოს!

აი, რა ზმა, რა ზამი და რა აზმა ზმა ეზმანა
ცად აღმავალ ნა-ცად ნაცარს.

აი, მერე რა ნახა:

ნახა ხანა დიდების — თავის დიდი აზანი
(უკვე სულ სხვა ბაზარი) — თავის მზეჭაბუკობა,
ბუკობა და წინწილობა, წილობა და ცილობა,
დიდი ხანა — **ხანძრობა**, ხან ძრობა, ხან ობა.

დიდი ენამზეობა, ზეობა და **მზეობა**,
აღტაცება, აღტახტება — აღზევება ტახტად.
(სხვათაშორის უნდა ითქვას, თავად დარჩა სახტად)

ქორო:

ცა — ურანოს უნარი,
სიზმარი და ბურანი.

ქორო:

აბა, უფრო ლაღად!
აბა, უფრო სხარტად!

აქეთ ახტა-დახტა,

აქატ ახტას ნამოახტა.

ერთი სიტყვით ქაჯობს,
ახტაჯანობს—ახტაჯობს.
(ამბობენ, რო ახტა ჯობს,

ხრდალთა ჯოგს,

მჯობნის მჯობს —

— მერანს ზოგს.)

სევდიანი ნარატივი: მარტო ერთი მერანია მარტო, როდის გაზაფხულდება, როდის მოხვალ მარტო! . .

ავადა ვარ, ვწევარ გადამედო გრრ. . . იპი, შემეყარა სს. . . ურდო, **სიცხე** მეკიდება და ენას ვუკიდებ...

ასე მემართება როცა ვნერვეულობ, როცა მცივა, ზამთარია, ჟამთარია — ჟამთა რია—რია. . .

ისევ ცხ. . . ცხ. . . ენებს დავუბრუნდეთ:

დაიქანცნენ, დანვნენ პოეზიის ცხ. . . ცხ. . . ენებიც, ქანცგანყვეტილი ცხ. . . ენები.

სამი ცხვირიც მოვიდა. ცხენები რა შუაშია? . . **სიცხე** მაქვს და მაბოდებს. . .

დავუბრუნდეთ **ნაცარს** — იმ სიზმარში დავბრუნდეთ, იმ ადგილას დავბრუნდეთ

ნაცარი რო ახტაჯობს—ახტაჯანობს, ქაჯობს.

არემარე **ჩაანაცრა** — ჩაანაცარემარა,

მოანაცარიელა,

მოანაცარელა.

არენაზე გამოიჭრა, **ნაცარენა** დაცადა:

ენა გამოსცადა და ენა გაინაცადა;

დაცეცხლა და **გადაბუგა**

უგანგებოდ, უგბილად;

რასაც ენა წაატანა —

— **ცეცხლის ენა** უკბინა;

დიდი **ცეცხლიც** **გააცეცხლა**,

ცეცხლიც გაიუგბილა.

მეორეს მხრივ — არტისტია,

დიდი **გზნებით** იქადაგა —

— **დაინვა** და დაიდაგა.

ასე რიგად გაისარჯა,

ამიტომაც დაისაჯა

და ეს აჯა და ეს მცნებაც: **წვა** და დაგვა!

არა **წვა** და არა დაგვა!

ნაცრის სიზმარს დაეუბრუნდეთ, — ვნახოთ კიდეც რა ნახა:

ნახა ზეცა ავლით — **ავლით** როგორ აივსო;

— **კვამლით** როგორ გაივსო,

ავილით და კნავილით

და კალით გაივსო.

ნახა ზეცა ბოლოს — **ბოლით** როგორ აივსო;

ბობოლით და ბობორიკით გაივსო.

ზეცა დანაგვიანდა, ვიდრე არ დაგვიანდა. . .

დაგვი! დაგვი! დაგვი, ანდა. . .!

იქნებ არის გვიანი? — გამოჩნდება, ჩანს და ჩანდა —

— ბანდა, ბანდა, ბანდა. . .

უკვე არის გვიანი! —

— იან — იან — იანით ზეცის გზები აივსო,

ზეცა **ავლით**, ზეცა **კვამლით**, ზეცა **ბოლით**,

ბობოლით და ბობორიკით გაივსო. . .

ყველა ერთად ბოგინობს,

ყველა ერთად ბობლინობს,

ყველა ერთად ბოდავს. . .

ბობოლები ბობოქრობენ,

ბობორიკა რიკაობს და

ბობონვერა ბობლავს. . .

ქორო:

მოდის რალაც უჯმაჯური

შარი—შურით, შავი შურით.

ყველა ერთად ყიყინებს. . .

ხმას უწყობენ,

ხელს უწყობენ,

ფეხს უწყობენ

დაფდაფსა და ბობლანს.

ყოველივე ის, რაც იხილა, —

რაც **ნაცარმა** ნახა,

რაც ილაპარაკა. . . რაკა. . . რაკა. . . რაკა. . .!

ქორო:

ერთგულებას ვერ წაართმევთ

ცეცხლი ნაცრის ხატია.

უფ, როგორი **სიცხეა**;

ფუ, როგორი **ბულია**;

უფ, როგორი **ხვატია** —

— რა **პაპანაქება. . .**

ქება **ნაცარს**, ქება!

ქორო:

ზოგი დროში **ინვის**,

ზოგი დროში იღვნის,

ზოგიც ავარდა—დავარდა,

კოვზი ნაცარში ჩავარდა.

ვნახოთ კიდე რა ეზმანა, ვნახოთ კიდე რა ნახა:
(რა მონოპოლია აქვთ აფიქსებს?)

როცა ზეცა **შეინაცრა** და შეიქნა **ნაცრობა** —
— დიდი **ნაცრობობა** და დიდი **ნაცრიანობა**;
თავად **ნაცრად აღნაცარდა** მისი **უნაცრესობა**.
ნაცრიონთ და **ნაცროვანთ** სიტყვა მისცა **ნა-ცრუ-ლი**,
დადის და **ნაცარნარობს**,
დადის და **ნაცარცარებს**,
უკვე გამო**ნაცარდა**, დაერია ფიქრები:
ზეცას დავგვი, ზეცას დავგვი!
როცა **ცეცხლი** ვიქნები. . . ,
დიდი **ცეცხლი** ჭექია. . .
მე ვარ **ნაცარქექია**,
ეს კი ჩემი **ბუხარია**,
ბუ—ხარია — უხარია. . .

ქორო:
და აღივსო ცა — ჩარდახი
მისი დიდებისა და
ძლიერების **კვამლით**. . .

ოქროს **ცეცხლით** გამოცდიან!
ოხ, როს **ცეცხლით** გამოცდიან ? . .
ცეცხლით ხეებს გამოცდიან!
ხეებს ცოცხად გამოცდიან!
აი, მაშინ გაცდიან —

— რა ყოფილა ამიანტოს?!
— ქვა და რკინა, ხე ჯავარი — მოხდენილი.

ჯავარი ხო ჭადარია.

ჭადარი ხო ხეა.

ხე ცოცხია

ხე **ცეცხლია** — **ცეცხლი ცეცხლჯავარიანი**.

ცეცხლი ზოგჯერ ჯავარიანი.

ცოცხი ხეა — ამიანტოს.

ამიანტოს (ამინატონი) არს ბუნება ხე მსგავსი ქვისა.

ამიანტოს, უბრძოლელი. განუღვეველი **ცეცხლისგან**,

რამეთუ **ცეცხლთა** რა შევიდეს, **განაკვერცხლებული** ჰგონიეს,
და, რა გამოიღიან, ვითარცა წყლითა განრცხილი, უწმინდეს არს.

მე ნაკვეთიც მინახავს მისი, ბამბასავით დაინწნება

და მისი ძაფიც ვიშოვე, და მისი ზენარი

და ხელსახოციც ვნახე, არ დაინვა. საბა.

შაბა, ამიანტოს შაბა! შა ბა.

ცა არაფერს მალავს, ხე ყველაფერს ფალავს.

ჩრდილია ცეცხლის ნიშანი;
ჩრდილით მოდის **ცეცხლი**,
 უტანო და უსხეულო – ჩია, ჩია,
 ჩრია, ჩრია, ჩრიალით და **ჩრრრ-დილით**.

დილით:

გაიღვიძა **ნალადარმა**, **გალვივდა** და გაახილა თვალი —
 — ერთი თვალი, ორი თვალი, . . რვა თვალი და **ცხრათვალი**
ალი, ალი, ალი! . .

გააჟღერეთ, გააჟღერეთ ნაბათი და რვალი:
 ვინ არი და ვინ არი **ნალადარის** დარი!
ნალადარის ნალდი დარი,
 ნალდი დარი,
 დარი!

ცეცხლმა ენას კლიტე ახსნა,
ცეცხლმა ცეცხლი ჩაცეცხლა,
ცეცხლმა ცეცხლის პური ჭამა,
 დაპურდა და ადგა **ცეცხლი**,
 ადგა **ცეცხლი**, გათენდა!
 გამოვარდა, **გამოაღდა**,
 გამოხია ახური, სადაც ღამე ათია.
 თვალებიდან **ცეცხლს აფრქვევს**,
 გულშიც **ცეცხლი ანთია**.
 ნუ გეშინით, ნუ გეშინით!
 არც მეორედ მოსვლაა
 და არც ყიამათია.
 გამოხია ახური,
ახურდა და ახირდა,
აციმციმდა, **ალიფლიფდა**,
აცრიატდა, აწრიალდა, ენა დაატრიალა,
 იტრიალა, იალა

და აღმართიც ალია.

ცეცხლმა ცეცხლი დალია,
 ძალა ისევ მოიკრიბა,
 ისევ ენად გაიკრიფა.
 ჩამოაგდო ენები და. . , ნება—ნება,
 ნება—ნება თან **ტყინება** ინება.

ინება **ცეცხლის კიდება** — დიდება, დიდება **კიდებას!**

აციალდა, **ატკრციალდა**,
აბურბურდა, **ალუდლუდდა**,
ალაღადდა, **ალადღადდა**,
 ტაბაცობს და ბარბაცობს,
გიზგიზებს და გუზგუზებს,
ლაზლაზებს და ლიზლიზებს,
 ლაბაზობს და ბაზობს,
 თან ზოზლინით ლიზლაობს,
 თან როკავს, თან ბრაზობს.
 ცეკვავს **ცეცხლიზაურით**,
 დიდი აურზაურით.

ქორო: **ცეცხლმა** თავი აირეკა,
 (თავის თავი აირეკლა),
 იჩინდრიკა, ირიკრიკა.
მზეზე ადგა, ზეზე დადგა,
 აინყვიტა — დაზეზდა.

ცეცხლი უნდა ათამამო —
 — არიკაო, აროკო —
 როკოკო და ბაროკო.

დოჩხაური — **ალია!** . .

ცეცხლმა ერთიც დალია,
ციბრუტივით დატრიალდა,
უელვარებს მწველი კაბა. . .

დათვრა **ცეცხლი**, აბა! შაბა **ცეცხლო**, შაბა!
ჩამბალილა! შაბა-შაბა. შა ბა.

დაბახუსდა **ცეცხლი**,
მიეპარა აცა-ბაცად,
დიდ **ცეცხლს ცეცხლი** გამოსტაცა. . ,
გამოსტაცა. . !
მოდის **ცეცხლი!**
მოდის კოცნა-**კოცონით**,
ანცობით და კანცონით:

მე **ცეცხლი** ვარ — მეუფე,
მზეთა—მზე ვარ **შამაში**,
ლილეფარას მეტრფე ვარ,
ავლილი და ჩავლილი,
ლილეთი და თამაშით. . .

მე ვარ **ცეცხლი** ცოცხალი,

ცეცხლი მე ვარ **ცია**, მე ვარ **ცია** მევარცია ია ია ია.

ციცია და ცის **ალი**.

ცეცხლი უფრო ცის არი.

(ის წყალია უმცროსის,

ცეცხლი უფროსის არი).

ცეცხლი ზეცით ჩამოდის, (და **ცეცხლით** ნათლავს, ნათლავს **ხურებით**; ის, წყალია — სხურებით);

ცეცხლოვანი ის არი —

— **ცეცხლოვანი** ისარი.

ცეცხლი ზეცით ჩამოდის,

მაგრამ როცა ჩამოდის

სადა სახლობს — რა სახლი აქვს სადაური?

ცეცხლსადგომებს აღგვი — წერს ლექსიკონი საბაური.

ლექსიკონი კი არა სიტყვის საბალახე (საბა — ნახე **საცეცხლე**).

საცეცხლე არს სადა მარადის ცეცხლი ეგზეზის,

გინა ჭურჭელთა ჭურჭელი. . .

საცეცხლური, მუჯამარი, ბერვარი და მანკანა;

კერაკნი და ბუხარი; აკუთა და ყვერბი;

თორნე, ღუმელი, სახმილი,

თუნი და (რა თქმა უნდა) **ბრძმედი.**

მე თუ მკითხავთ **ჩიბუხიც**

და ყოფილი **ჩიბუხიც,**

ის რაც **ნაჩიბუხარია** — **ნა - ჩი - ბუ - ხა - რი - ა.**

ქორო: იქითურთაც ექოთ,

აქეთ მოდის ექო:

— აქეთ, აქეთ **მაშხალები. . .**

ლალეები და ლალეები,

ციციას დალალეები;

ლალეები და ლალეები,

ციას ვენაცვალეები.

ამბობენ, რო წყალწყალამ

მოიტაცა **ალიცა;**

ზოგიც ამბობს, რო **ალიცა** მზეწვიას

თავის ნებით ეწვია.

გავახაროთ სიტყვის ქია!

აქ ასეთი სიტყუქია:

ჭიაკოკონობაა, ანუ კოკონაჭია.

დიდი ჟრიამულია

და დიდი სიხარული.

არული კუდიანებს!

კუდიანებს არული!

ბუ — ხარია — უხარია!

ცეცხლის ეტლმა აიარა აღმართი,
ჩრდილი დაინახა — დაი ნახა! . .

დაი ნახა! . .

აღმართა, აღმომიდა გზნებით,
გზები დაიგრძელა — დაიმოკლა ენა —

— **ჩრდილი** დაიმოკლა.

დაი მოკლა! . . ,

დაი მოკლა! . . ,

— რაო? . . , რაო? . .

— ვაო! . . , ვაო! . . , **ბაო. . , ბაო. . ,**

ბაო ნათლის დაო!

დაო, დაო! ვდაობ, ვდაობ!

ცეცხლი არუქ— მარუქია.

ცეცხლი ვის არ გაუკიცხავს,

ცეცხლი ვის არ უქია.

ცეცხლი შუქია, მაგრამ ბუქია;

ჟამთავია — ჟამთავის ხმა —

— ნარმეტყველი, დადუქია!

ჟამთავადი — **ჟამთავცეცხლა** —

— დადუქია, დადუქია!

ცეცხლი შუქია, ვის არ უქია, მაგრამ?

ცეცხლი შუქია, ვის არ უქია, მაგრამ?

მაგრამ **ბაო**, ჩვენი **ბაო სიცეცხლეს** ვერ გადაურჩა.

ამ ამბავმა დამაბა და. . . ,

ახლა რაღას მივებაო. . . ბაო ბაო. . .

ვდაობ, ვდაობ. . .

მცირე **ჩრდილია ბაო** —

— ბრძანებს ბრძენი საბაო.

სიბრძნედ აღუწერიათ,

რომ ყოველი **ბაო**

არის ცათა ნებაო:

ქვეყანაო — **ბაო**,

და ზეყანა — ნებაო.

ზეყანაო — **ცეცხლი**

ქვეყანაო — **ბაო**.

იმთავითვე ყოველივეს

თავის **ბაო** ებაო.

შაბა, შაბა,

ქება ბაოს, ქებაო!

დიდ პლატონთან ასეა

(თქვენც გაქვთ, ხომ კი, ნანახი)

ჩვენი **ბაო** ლაღია,

როცა უნდა ბაღღია,

როცა უნდა ბაღაღია.

„ხომ კი“ ვარაუდია,

ეს არ არის ისა,

ის ჯამია ხომიკა —

დიდი ჯამი ხისა.

მომწონს ჯამი ხომიკური,

ახლა ცოტა კომიკური —

ცეცხლის გზნებით ავენთოთ,

სიტყუჭებით გავერთოთ,

გავახართ სიტყვის ქია,

თან რამდენი სიტყუჭია:

თუკი **ცეცხლი** ცენზია,

ჩრდილი — **ჩრდილიცენზია**;

ჩრდილი — ლივი **ჩრდილივია** (რადგან ცაა დედანი);

თუკი **ჩრდილი** არის ლივი — ასლია და კალკია,

ცა — დედანსაც ხარვეზი აქვს, ცასაც რაღაცა აკლია, (მაგრამ ეს სხვა ლაპარაკში)

ჩრდილი — ლიბო **ჩრდილიბოა**, (ცა არი ბალავარი).

ჩრდილის ლიქნა — **ჩრდილიქნა**;

ჩრდილის ლიგა — **ჩრდილიგა**;

ჩრდილი ხმაა — ნიშანი
 ჟამმომდებელი ხსოვნისა,
 რიკა(ობა) — თამაში,
ჩრდილი რიკა — ლირიკა,
ცეცხლირიკა — ლირიკა უპირველეს ყოვლისა!

„. . . ხოლო ხილი ანუ ნაყოფი რამე
 იყოს ორნი შეერთებულნი,
 ითქვიან ტყუჭი;
 ხოლო ორნი ერთსა ბუდესა შინა
 ტყუბად ითქვიან.“ საბა
 ტყუჭი სიტყვა — სიტყუჭია. შა ბა.

პოეტიკა **ცეცხლი**,
 მშვილდოსანი, მგოსანი;
 ნიღბოსანი მსახიობი,
 გარდასახვა შვენის. . . .

ქორო:
 შენი წყ **ალი** გადაგვესხას,
 გადაგვესხას წყ **ალი** შენი.
 წმინდა წყ **ალი**, წყ **ალი** წმინდა—
 —განვიწმინდოთ გვინდა!

არტიკტია, მსახიობი — **ცე** ნილაბით **ცე—ცხლი**,
მერ ნილაბით **მერ—ცხლი**,
ვერ ნილაბით **ვერ—ცხლი**
 უნილაბოდ მკვდარი.

მე **ცეცხლი** ვარ და ვარ ცოცხალი და ვიყავი მკვდარი —
 —შავი **ცეცხლი**, **ცეცხლი** შავი.
 შევიცვალე. . .

ჩაველ ნავით, ჭაში ჩაველ. . .
 სიმაღლეთა ასაღებად სიღმეებში განვმარტოვდი —
 —ჩემს წიაღში დავიმალე. . .
 დავიმალე. . . დავიმალე. . .

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე. . .
 ორმოცი დღით და ორმოცი ღამით
 ჩაველ ნავით.
 ჩაველ ნავით — **ჩავინავთე** — ჩავინივთე — **ჩავნავთობდი**.
 (არ გეგონოთ გულს ვართობდი.)

აკი შევატყე ამხტომი იყო,
 უცხოდ რო იყო და სევდიანად.
 რა გქვია მეთქი, როცა ავარდა უცხო ფაცხა—ფუცხით,
 —როცა მთაზე იდგა.

ველკანიო — მითხრა —
 — ავდივარ ამაღამ ჟამაღმა.

მითხრა და ამღერდა, ამაღლდა. . . ,
 ამაღლდა.

უცხო **ცეცხლმა** მითხრა. . . ,
 უცხო სიტყვა დავარდა. . . ,
 უცხო ქადაგად დავარდა —

—სიტყვა ქალაქში ჩავარდა,
ცეცხლის ლავად გადაიქცა,
 დაიქცა,
 გამდინარდა გაიქცა. . .
 იქ ცა დაიქცა — **მეხი** გავარდა. . . ,

ელვა. . .

ქუხილი. . .

ცეცხლის ემანაცია, **ცეცხლოვანი** ნუხილი —
 —ვიხილე ნუხელი:

რო **ორ ცეცხლს შუა ჩავვარდი** —

—ზეცამ **ცეცხლი** ჩამოუშვა
 მინამ **ცეცხლი** აუშვა.

აუუ, შვა. . . !

ვიხილე ნუ—ხელი ხელი
 გახელებული ქალაქის თავზე,
 ვიხილე წყვილი ნული ხე ნუხელ

(არცერთი არ იყო ძუ ხე) —

— ალამდარი, ალად მდგარი ორი ხე — ცად.

ორი **შვილდი**, ორი **ლომი** —

—ორი ფხეცი ეცა. . .

რა **ცეცხლის ხაზზე** მოვხვდი,

რა **გაცეცხლებულ ცეცხლში ჩავდექი? . .**

გამომეღვიძა ავდექი.

ვნახე მოლბერტი კივის,

აქეთ რვეულს ტკივა

და ფანჯარა კივა,

ხეს ფოთლები ცვივა,

(თენდება და მცივა).

ხეს მოვპარე ვაშლი,

მეცოდება, მაგრამ. . .

ზეცას ხეებს ვაშლი.

(ბიბლიური ნარატივი):

. . . არის ქალაქი დიდი. . .

. . . ქალაქი ბაჯალლო ოქროსი. . .

. . . რადგანაც ახლოა ჟამი. . .

. . . კაშკაშა ვარსკვლავი ცისკრის. . .

. . . ვაი, ვაი დიდო ქალაქო. . . მძლავრო ქალაქო. . .

მეცოდება ის ქალაქი —

—**ცეცხლმოდებული** ქალაქი,

ის ქალაქი — ქალაქია.

აბა ის რა ქალაქია,

თუ ქალაქია ლაქია?

ზოგიც სულ სხვა ქალაქია.

სიტყვა არის ჩემი სახლი

და სიტყვები ქალაქია,

ყველაფერი ლაქალაქია,

ანდა ქალაქლაქია.

მოდის პოეტი —

—აი, პროექტი!

თუ ქალაქი არის **ჩრდილი**,

და თუ **ჩრდილი** სედომია,

და სედომსა ზედ ომია,

სახიფათოა **ცეცხლთან** თამაში!

მით., მითუმეტეს ქალაქში.

ცეცხლის სიტყვა, **ცეცხლის** სიტყვა,
ცეცხლის წვიმა — **წუმნუბა**,
გეჰენის ცეცხლი და
ცეცხლის მდინარეები,
 ანდა კიდე რეები. . .
 — გუბეები **ცეცხლის**. . .
ცეცხლოვანი ტბები. . . ვტკბები. . .

ვდაობ. . . ვდაობ. . .
 დაი — დაიქეცი ცაო!

ქორო:
ცეცხლი სამართალია,
ალია და **ხანძარი**;
ცეცხლი — განსანმენდელი,
ცეცხლოვანი ტაძარი.

დაიგრგვინე, **დაიჭეჟე**,
 დაი, **დაიქუხე მესო! მესო** გვითხარი! . . .

სიტყვა ჩამოვარდა. . . . **აფეთქდა**. . .

ენდე! — დაიქუხა **მესმა**, მე ხო გითხარი.

მე რომელი ვარ? — მე ვარ ნაფეთქი, ნაფეთქი მეთქი!

უცხო **ცეცხლი** მოვარდა,
 უცხო **ცეცხლის** ნაიბი. (ყველამ ენა დაიბით!)
 დაამთავრა აქცია —
 — ყველაფერი დაბუგა,
 ნაცარტუტად აქცია —
 — ყველაფერი **დანვა**, ყველაფერი **დანვა**. . .
 დანვა, ანუ ნაიქცა. . .
 ყველა **ჩრდილი** გაიქცა. . .
 მეტი **ჩრდილი** აღარ არი. . . , აღარ არი. . .
ჩრდილი მეტი აღარ არი. . . , აღარ არი. . .
ჩრდილიმიტიც აღარ არი. . . , აღარ არი.

დიდმა **ცეცხლმა** „უცხო“ შთანთქა —
 — **ცეცხლი** გახდა ალაღარი.
 ზის **ალხში** — **მზის სახლში**.
ცეცხლი ტახტზე ზის —
 — **შარავანდელი მზის**.

ცეცხლის ეტლი ჩამოუყვა დაღმართს,
 ჩვენი **ბაოც** ფენიქსივით აღსდგა.
 სალამოა, დაისია
 და ქალაქმაც კუშტი **ჩრდილი** დაისია,
 უშტი **ჩრდილი** დაისია.
 გაიზარდა დიდი **ბაო**,
 დიდე**ბაო**, დიდე**ბაო!** **ბაოს** შაბა, შაბა **ბაოს!**
ბაო იყო, **ბაო** არის, **ბაო** მუდამ იქნება.
 ასეთია იქ ნება!

სინათლემდე იყო ბაო —

ჩრდილი იყო, — **ჩრდილი** არის, **ჩრდილი** ივლის ურჩად,
 რაც **სიცეცხლეს** გადაურჩა!

. . . რამეთუ **შარავანდელი მზისანი**
 აღიღებინა ორთქლსა ქვეყანათაგან
 და აღიხვამს ჰაერთა შინა,
 ეთერისა და **მზისა სიცხეთა** მიერ
 ორთქლი იგი შეგვამდების
 და შეიქმნების ვითარცა **ცეცხლი**. . . ,
 ხოლო რა განძლიერდების კვეთება ქართა,
 განსთქდებიან ორთქლი იგი **განცეცხლებული**
 და მის მიერ გამოვლენ, **ხმანი ქუხილისანი**;
 უკეთუ ქარნი სასტიკნი ეკვეთეს კიდესა ერთსა
 და განხეთქა **გვამქმნილი იგი ცეცხლი**,
 განვლის სივრცედ ჰაერისასა
 და გამოჰკრთებიან მისგან **ელვანი**. საბა

ის, სხვა **ცეცხლი** შეგვამდება;
 ის, სხვა ქოლაა — სხვა ქართა. . . ,
 სხვა **ნაპენკალი** გაკრთება
 და სხვა **ელვანი** თვალთა. შაბა

ჩრდილია ცეცხლის ნიშანი; **ჩრდილია უცეცხლობის** ნიშანი.

ჩრდილი მოდის უჩრიალოდ, უჩინო და ჩუმი **ჩრრრ-დილით**.

ისევ **ცეცხლის** მოლოდინით. . .

. . . და გაშავდა **მზე**, როგორც ძაძა და სისხლივით განითლდა **მთვარე**.

უსინათლო არე—მარე. . .

ცეცხლი ნაკვერცხალით გაჩნდა. . .

ნაკვერცხალი კვერცხით დაიბადა. . .

ნაკვერცხალი კვერცხით ვერ დაიბადებოდა,

ვერც ხ-ით,

ვერც ჭ-ით,

ვერც ც-ით,

ვერც ძ-ით. . .

— ვერძით!

ცეცხლი ვერძით დაიბადა.

ოქროს ვერძით დაიბადა,

დაიბადა **ცეცხლი** ვერძით, გადაიქცა **არმურად** —

— გადაიქცა ღრუბელად.

ღრუ ბელია **ცეცხლის** სახლი,

ღრუ ბელიარის — **ცეცხლსა** და მახვილს!

ღრუ — სახლია,

ღრუში **ცეცხლია**,

ცეცხლია ღრუში,

ცეცხლია მრუში,

მრუში — მეძავი,

წმინდა მეძავი.

ცის **ალი** — **ალიცა**.

ღრუბლებშია **ცეცხლის** სახლი;

ცეცხლის სახლი ღრუ ბელია.

ცეცხლს ამ სახლში ელიან,

რა ხანია ელიან — **ალიცა** და ელია.

სახლში არის **წმინდა ცეცხლი**

სახლში არის **შუა ცეცხლი** —

— მშობლიური **კერია**.

მე ვინა ვარ?

თითქოს **თუთქი**.

თუ ვთქვი — **თუთქი?**

თუთქი — მეთქი!

თუთქი თითქმის —

— ასე ითქმის:

ნაცრიანი ცეცხლი, ანდა

ცეცხლიანი ნაცარი,

რაც არი და არც არი

ის, რაც მე ვარ.

მე ხარი ვარ,

ხარი — **ხარიპარია**,

დია — **ცისკრის ვარსკვლავი**.

შინ მოვიდა **ცეცხლი შიში**. შინ მოვედი **შინში**, შინ მოვედი შიშით. შიშინია **შიში**.
 შიშინია, მეშინია, სიჩუმეა, შრიალი და შიშვთშვთვთვთვთვთვთვთვთვთვთვთვთვთვთვთ

უ
 უუუუ
 უუუუუუუ
 უუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუუუ
 უუუუუუუუუუუუუუუ

გავთენდი, ამოველ, ცათა ველ ნამოველ,
 ნავლე ნანნალით. ან წინნალი —
 —წერილთ მიჯნა — სამანი — ცის კიდე და
 ცის კიდეა — **ალიცა ახ, ალიცა!, ახალი ცა!**
ცეცხლი სახლში მოვიდა; **დაცხრა**, სახლში მოვიდა;
 და ცხრა სახლში მოვიდა; **ალიცასთან** მოვიდა;
ცეცხლის დამთები მოვიდა; **ცია** სახლში მოვიდა;
 სახლის ნაშვი მოვიდა, სახლის ნავში მოვიდა,
ცეცხლმა აქ დაივანა; ურვა გამოიარა;
 რვა და ურვა ამბიდან ვერძმა გადმოიყვანა;
 ვერც ძმა უმეგ ზურებდა — ვერძმა გადმოიყვანა,
 იმ ამბიდან ამ ამბავში ვერძმა გადმოიყვანა;
 მალლა ამოიყვანა. ანა — ბანა, განი და თამაშიდან გავიდა.
 შინ მოვედი **შინში**, შინ მოვედი შიშით,
 შინ მოვედი მეტრფე, შინ მოვედი ვნახე
 ჩემი ციხე, მახე — ჩემი სატრფოს სახე —
 — ზეციური, ხე ციური — **ცახე.**
ნათელმტვერშია დიდი ერთსახე —
 — მოცახცახე — ერცახე.
 ხოლო **ცახე**, რა **მზის შუქი** სახლად შედგეს
 მას შინა იხილვებიან, ვითარცა მტვერი აღმავალი,
 მას მცირესა ეწოდების. საბა. შშშშშშშშშშშ შა ბა

დრამატურგია

ინტერპერსონალი

გერმანულიდან თარგმნა
ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა

სიზმრების მალაზია

რადიო-პიესა

პერსონაჟები

ლორენცო
ანა
მანდლი
გენერალური დირექტორი
პეპი
ვალდაუ
ნოვაკი
შპერლი
მეარლნე
დალაქი
საჰაერო ბუშტების გამყიდველი მოხუცი ქალი
თევზით მოვაჭრე
პოლიციელი
გამყიდველი
გამვლელელები
I მეტელეფონე ქალი
II მეტელეფონე ქალი
III მეტელეფონე ქალი
I თარჯიმანი
II თარჯიმანი
III თარჯიმანი
IV თარჯიმანი
მეზღვაური
რადიოსადგურის ოპერატორი
I სირინოზი
II სირინოზი
და სხვა ხმები

ხმაური: საბეჭდი მანქანის კაკუნის ისმის. შორს სამრეკლოზე საათის ზარი ორჯერ ჩამოჰკრავს.

მანდლი: ნუთუ უკვე ექვსის ნახევარია... მგონი, დღეისთვის კმარა.

ანა სიცილით: სანინაალმდეგო არაფერი მაქვს, ამ ბოლო დღეებში სამუშაო საათების შემდეგაც დიდხანს ვრჩებოდით სამსახურში. ძალიან ბევრს შრომობთ, არ გადაიღალეთ? სახეზე ფერი აღარ გადევთ, ბატონო მანდლი!

მანდლი: ფერნასული ვარ? არა, რას ამბობთ, განათების ბრალია. ადრე ღამდება. ცუდი

შუქია. განათებაზე უნდა ვიზრუნოთ. ნეონის შუქი თვალებს აზიანებს.

ანა: დიახ, ცოტა ხნის წინ „კვირის ფოსტა“-ში წავიკითხე. მგონი „კვირის ფოსტა“ იყო. ასეთ შუქზე ჯობს მუქი სათვალე გაიკეთოთო.

მანდლი: კარგით ერთი, გეყოფათ. სამსახურში შავი ან მწვანეშუშებიანი სათვალე ხომ არ გამოცხადდებით? ეს ყველას თვალში მოხვდება... დაასრულეთ ბოლო წინადადება — „და თავს უფლებას ვაძლევთ, რვა დღის შემდეგ დაგეკითხოთ. განსაკუთრებული პატივისცემით...“

ანა: „და თავს უფლებას ვაძლევთ, რვა დღის შემდეგ, განსაკუთრებული პატივისცემით დაგეკითხოთ... შეფს ხელი ხომ არ მოვანერინო? ცისფერპალტოიანი ბატონი უკვე წავიდოდა.“

მანდლი: ვინ ბატონი, რა ცისფერი პალტო?..

ანა: ბატონი, რომელიც შეუთანხმებლად გამოცხადდა და მაინც შემოუშვეს. პალტო ვერ შენიშნეთ? ასეთი ცისფერი, ზედმეტად ღია ცისფერი, არასოდეს მინახავს. როგორ ფიქრობთ, ასე უნდა იცვამდეს პატივისცემული მამაკაცი?

მანდლი: პალტო არ დამინახავს, თუმცა ღია ცისფერი ჩემთვისაც... დიახ, ჩემის აზრით... ზედმეტად... როგორც არის...

ანა: ასლებს ახლავე მოვანერსებ, მათი პარაფირება გნებავთ?

მანდლი: არა, აუცილებელი არ არის, ან იქნებ მაინც, მომანოღეთ.

ისმის ქალაღის შრიალის ხმა.

ანა: პირველ გვერდზე შეცდომა გამეპარა, მაგრამ შემიძლია ისე ამოვშალო, ვერავინ შენიშნოს... შემთხვევით ის ფილმი ხომ არ გინახავთ „ფორუმში“ რომ გადის, სახელწოდება სასაცილოდ მეჩვენება: „შვიდი ცის საშლელი“. ნაშლაზე ვლავარაკობდი და ამიტომ გამახსენდა... მაგრამ ფილმში, ალბათ, სულ სხვა რამ იგულისხმება. ფროილიან კლემანნი მიყვებოდა — არც ისე კარგი ფილმი ჩანს. მოსაწყენი ყოფილა. თუმცა ძალიან სასაცილო სათაური აქვს. ეს სულ სხვა რამ არის.

მანდლი: ესე იგი, ფროილიან კლემანნი... კი მაგრამ, ვინ არის ფროილიან კლემანნი?

ანა: როგორ... არ იცნობთ? ქერათმიანს, გამგეობიდან?

მანდლი: არა, ასეთს არავის ვიცნობ, ქერათმიანს, თანაც გამგეობიდან.

ანა: ეს ის ქალბატონია, გადარიცხვების გამო გამუდმებით რომ გვირეკავს, სამი კვირაა მეორე პროკურისტს¹ ცვლის.

მანდლი: დიახ, მივხვდი! მაგრამ ქერათმიანი არავინ ვიცი...

ანა: გასაგებია, საიდან გეცოდინებათ, თუ მხოლოდ ტელეფონით უკავშირდებით ხოლმე!

მანდლი: ფროილიან ანა, იქნებ უცებ... ანუ... იქნებ აქაურობა ცოტა დაგელაგებინათ და გასაღებიც აგელოთ... მე კი წავალ, სანამ მალაზიები დაიკეტება, მინდა მოვასწრო... ხვალ ჩემი მეუღლის დაბადების დღეა... ყვავილები, ან იქნებ რაღაც...

ანა: მაშინ იჩქარეთ. ორიოდ ნუთით მეტხანს დავრჩები თუ არა, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მართლა არაფერს ნიშნავს.

მანდლი: მადლობელი ვარ... თუ შეფს მაინცდამაინც ახლა დავჭირდი, უთხარით... არა, ნურაფერს ეტყვი, არ შეიძლება ისევე პუნქტუალურად წავიდე სამსახურიდან, რა პუნქტუალურადაც დილაობით სამსახურში ვცხადდები? **პალტოს იცვამს.** ესეც ასე, ეს ღილი ისევე მწყდება, თქვენს პალტოსაც ასე ხშირ-ხშირად სწყდება ღილები? ღილებს მე თვითონ ვიკერებ, ჩემი აზრით, კაცები ასე უნდა იქცეოდნენ, ქალი ხომ ყველა საქმეს ვერ გასწვდება...

ანა თავშეკავებულად ქირქილებს: ღილებს რაც შეეხება, ერთხელ მე დაგიკერებთ. ჩემი დაკერებული ღილები ასე იოლად არ წყდება. არა, ძალიან სასაცილო ხართ. ღილების დაკერება რა ისეთი დიდი საქმეა, რომ ქალი ზედმეტად შეწუხდეს? სასაცილოა, ხანდახან ისეთ რამეს იტყვით ხოლმე...

მანდლი: აბა, ნახვამდის, და ძალიან დამავალებთ... როგორც გითხარით... **მიდის, ნაბიჯების ხმა ისმის.**

ანა გასძახის: ნახვამდის! **ობრავს.**

ხანმოკლე შესვენება. მერე კარი იღება.

ბენეარალური ღირაქტორი არასასიამოვნო ინსტანცია: არ გესმით, ორჯერ

¹ პროკურისტის — რწმუნებული, ნდობით აღჭურვილი პირი.

დავრეკე, ყურმილს რატომ არ იღებთ?

ანა: ოჰ, ვერაფერს გეტყვით. ზარი არ დარეკილა! შეიძლება ღილაკი შეგეშალათ, არა, ნამდვილად არ დარეკილა, არსად წავსულვარ, სულ აქ ვიყავი.

გენერალური ღირაქტორი: მარტო ხართ? თქვენი უფროსი სად ბრძანდება? უკვე აითესა, არა?

ანა: ექვსი სრულდება...

გენერალური ღირაქტორი: ესე იგი, ექვსი ხდება. ასე, ასე, ექვსი სრულდება. მაშასადამე, ყოველთვის ზუსტად იცით, რა დროა. გეტყობათ, მთელ დღეს საათს შესცქერით. მე კი გეუბნებით, საათის წარამარა ცქერით დროს უფრო სწრაფად ვერ გაიყვანთ. დროს ვერ დააჩქარებ, დრო ძალიან ზუსტია, ბევრად უფრო ზუსტი, ვიდრე თქვენი პატივცემული უფროსი.

ანა: საათისთვის არც შემიხედავს; ფრანცისკანელების ეკლესიიდან ზარის რეკვის ხმა მომესმა. ზარი ძალიან ხმამაღლა რეკს, ჩვენ კი ფანჯარა ოდნავ გამოვალეთ.

გენერალური ღირაქტორი: კი მაგრამ, საშინელი საყინულეა, ახლავე დახურეთ ფანჯარა. გაციებოდა მაკლია.

ანა: დიახ, ცივი შემოდგომაა, მაგრამ, ალბათ, უნდა გვიხაროდეს, უფრო დიდი ყინვები რომ არ დაიჭირა, ჯერ კიდევ შეიძლება, პალტო არ შეიკრა. ჯერ ისევ მსუბუქი ფეხსაცმელი მაცვია... მაგრამ, ბუნებრივია, თუ კაცს მგრძობიარე ბრონქები აქვს, უნდა გაფრთხილდეს, რადგან იოლად შეიძლება გაცივდეს; ზოგიერთი ზაფხულშიც ახერხებს გაციებას; ამ სახის გაციებაზე სწორედ ცოტა ხნის წინ წავიკითხე, თურმე არც ისე უსაფრთხო ყოფილა, მგონი, იმ ჟურნალს „მზერა სამყაროში“ ერქვა — ეს ეტყობა, იმის ბრალია, რომ ოთახებში განსხვავებული ტემპერატურაა. უცნაურია, ზაფხულშიც სახიფათო რომ არის გაციება, ახლა კი ოქტომბერია, საღამოს შეიძლება გარეთ ჩამოვჯდე, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებს.

გენერალური ღირაქტორი: ბოლოს და ბოლოს, ფანჯარას დახურავთ თუ არა!

ანა: მხოლოდ პატარა ღრიჭო მაქვს დატოვებული, საიდანაც ჰაერი შემოდის, კარგია, როცა ოდნავ ნიავდება ოთახი, კაცები ყოველთვის ბევრს ენევიან, მიხარია, მოწვევას რომ არ მივეჩვიე, თუმცა ერთხელ დავაპირე... მაგრამ ახლა ძალიან მიხარია... **ფანჯარა დახურა.**

გენერალური ღირაქტორი: იქნებ ლორენცო მაინც იყოს აქ?

ანა: რასაკვირველია, აქ იქნება. მგონი, ამ წლების განმავლობაში, სამსახურიდან თქვენზე ადრე არასოდეს წასულა. ის, როგორც ამბობენ, მუდამ აქ არის. *იცინის, ძალზე მორიდებულად.*

გენერალური ღირაქტორი: ესე იგი, მუდამ აქ არის! კი მაგრამ, მაინც რას აკეთებს „მუდამ“ და „აქ“. არ მიყვარს, როცა ჩემს დასანახად „მუდამ აქ“ არიან. „მუდამ აქ“ ყოფნა აბეზარობაა. ასე ჩემს გულს ვერ მოიგებენ. ჩემთვის მთავარი — მოსწრებაა... ჩემს თვალში მხოლოდ მოსწრება ფასობს!

ანა: ოჰ, ის ძალიან მუყაითი და თავმდაბალი ადამიანია, გაუკვირდებოდა კიდევ, ვინმეს მისი მუდმივად სამსახურში ყოფნა და მუყაითობა რომ შეემჩნია; აღიარების ნიშნად ერთი სიტყვაც არ დაცდენია არავის, არავინ უფასებს და ალბათ ამიტომაც გაუკვირდებოდა. ერთად ათი წინადადებაც არ მითქვამს მისთვის, მაგრამ მასზე ასეთი აზრი შემექმნა. თუმცა, არა, ვაჭარბებ, ცხადია ათზე მეტი წინადადება მექნება ნათქვამი, ორი წლის განმავლობაში კი უფრო მეტიც დამიგროვდებოდა. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ასეთი განცხადება მეუფლება, თითქოს ათ წინადადებაზე მეტი არ მეთქვას მისთვის, ამით ხომ თითქმის ყველაფერია ნათქვამი... **ტელეფონი რეკავს. ანა ყურმილს იღებს — გენერალურ ღირაქტორს მიმართავს:** უკაცრავად. **სატელეფონო ზარს პასუხობს:** ალო, დიახ, არა, უკვე წავიდა. ბატონო ლორენცო, თუ შეიძლება ერთი წამით შემოიარეთ, დიახ, რაღაც საქმე მაქვს თქვენთან, ძალიან დამავალბეთ, თუ მოხვალთ. **იცინის.** დაკიდა! უკვე მოდის... **ყურმილს კიდებს.**

გენერალური ღირაქტორი: უთხარით, შეუძლია წავიდეს; მირჩევნია წავიდეს, ვიდრე ასე უსირცხვილოდ მიმტკიცებდეს თავის ერთგულებას. პალტო მომიტანეთ. მერე ლორენცომ ჩაკეტოს აქ ყველაფერი.

ანა: დიახ, ახლავე. **ნაბიჯების ხმა.**

ლორენცო კარი იღება, მოახლოებული ნაბიჯების ხმა: სალამო მშვიდობისა... ფროილან ანა... ხომ არ ნავიდა?... ალბათ, საბეჭდი მანქანის ნაღება უნდა ეთხოვა, ხვალამდე უნდა შეეკეთდეს... ე-ს ძალიან მქრქალად ბეჭდავს.

ბენერალური დირექტორი: ჰმ.

ანა ბრუნდება: ინებეთ, გეთაყვა, ხელთათმანებიც ვიპოვე, ვიცი, ხელთათმანების რაფაზე დატოვება რომ გიყვართ... ეს ძალიან ორიგინალურია.

ბენერალური დირექტორი: ორიგინალური? რაო? ჰმ. ღამე მშვიდობისა და იცოდეთ, დროზე წადით აქედან.

ანა და ლორენცო ერთხმად: ღამე მშვიდობისა, ბატონო გენერალური დირექტორო.

ანა: ბატონო ლორენცო, შეგიძლიათ ნახვიდეთ, ეს მინდოდა მეთქვა, შეფი ფიქრობს, რომ ვალდებული არ ხართ ყველაზე ბოლოს გახვიდეთ შენობიდან. მისი სუბიექტურობის ამბავი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, შეიძლება გაბრაზებულიყო კიდევ, აქედან ყველაზე ბოლოს თქვენ რომ არ გადიოდეთ, მაგრამ ახლა იმაზე ბრაზობს, რომ ყველაზე ბოლოს თქვენ... ცუდად არ გამიგოთ, ჩემი აზრით, გულთან ახლოს ნუ მიიტანთ.

ლორენცო: დიხ, დიახ, მესმის... არა, სინამდვილეში არაფერი მესმის, მაგრამ ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენ, ფროილან ანა, თქვენ ყოველთვის თავაზიანობას იჩენთ... ჩემდამი კეთილგანწყობილი ხართ. დიახ.

ანა კარისკენ მიმავალი ნაბიჯების ხმა, კართან კიდევ ერთხელ შემოტრიალდება: ოღონდ საკეტიდან გასაღების გამოძრობა და კარისკაცთან დატოვება არ დაგავინწყდეთ. ღამე მშვიდობისა. **კარი იხურება.**

ლორენცო მარტოა, თავისთვის: ცხადია, არ დამავინწყდება, აქამდე არასდროს დამვინწყინია... საბეჭდი მანქანა. **რამდენიმე ღილაკს თითს ჩაჰკრავს.** ე-ს ძლივს გაარჩევს კაცი... ფანჯარა უკვე დაუხეცავთ... **კიდევ ერთხელ ამონშებს ფანჯრის საკეტს.** გასაღები... **ოთახიდან გადის, კარს გასაღებით კეტავს, გზას აგრძელებს, ისმის ონკანის მოშვების ხმა, ხელს იბანს, მღერის:**

დრო მოსულა, დრო მოსულა, მივაშუროთ წყალს უნდა,
მინაზე დაბნელებულა, წყალქვეშ განათებულა...

დრო მოსულა, დრო მოსულა...

ესეც ასე... ონკანი, საშველი არ არის... ალბათ, წყალსადენის

ოსტატი თუ... ისევ წვეთავს... აბა, ვცადოთ...

არაფერი გამოდის... მაინც ვინ დატოვა... საპონი...

ჰო, ჰო, ნამდვილად ტრემელს დარჩებოდა... ძვირფასი

საპონია... მდააა. **ხელებს იმშრალებს.**

პეპი: ბატონო ლორენცო, პალტო ხომ არ მოგიტანოთ?

ლორენცო: არა, მადლობელი ვარ, პეპი. **კარადასთან მიდის, პალტოს იღებს, იცვამს.** შეგიძლია ნახვიდე.

პეპი: მაშ კარგი, მაშ, ღამე მშვიდობისა, ბატონო ლორენცო.

ლორენცო: ღამე მშვიდობისა. **კარს გასაღებით კეტავს, მიდის, კიბეზე ჩადის.** ღამე მშვიდობისა, ბატონო ვალდაუ...

ვალდაუ: ღამე მშვიდობისა!

ისევ კიბით ჩადის.

ლორენცო აკაკუნებს: გასაღები აიღეთ, ბატონო ნოვაკ.

კარისკაცი პატარა სარკმელს აღებს.

ნოვაკი: ვახ, ბატონო ლორენცო, რას მოვესწარი, დღეს ასე ადრე...

ლორენცო: დიახ, შეფმა ნება დამართო...

ნოვაკი: ნება დაგართოთ რა, ვითომ წასვლის დრო არ იყოს არა?

ლორენცო: ღამე მშვიდობისა, ბატონო ნოვაკ.

ნოვაკი: ღამე მშვიდობისა, ბატონო ლორენცო, თუ შეიძლება, ხვალ ტრენცინგერს უთხარით, ჩვენთან ერთხელ მაინც გადმონმინდოს მტვერი, თორემ ჭუჭყი თითის სიმსხოზე დევს...

ლორენცო: გადავცემ, ბატონო ნოვაკ. აბა, ღამე მშვიდობისა... **ქუჩაში გადის. ქუჩის**

ხმაური ისმის. ლორენცო ისევ ზუზუნებს სიმღერას:

დრო მოსულა, დრო მოსულა...

ქუჩაში სიარულისას შემდეგი სცენები გათამაშდება:

ქალბატონი: ...და იცით, ჩემო ძვირფასო, როგორ აიღო მაღალი დო... ბულბულივით ჩაარაკრაკა...

მეორე ქალბატონი: ამბობენ, რომ მას დირიჟორთან...

გამვლელი: მე შენ გეუბნები, ეს ბოლოა, უკანასკნელად... შენ მე არ მიცნობ...

ლორენცო: მინაზე ჩამოხველდება... წყალში გამოინათებს...

ქალბატონი: კარენისგან ამას ნამდვილად არ ველოდი, ვერასდროს ვიფიქრებდი, ვერასდროს! უნდა ხვდებოდეს, რომ თავისი საქციელით ყველა წესიერი ადამიანის პატივისცემა დაკარგა...

პირველი ბიჭი: ავტოსადგომზე ერთი მაღაზია ვიცი, სადაც ნაყინი ჯერ კიდევ იყიდება...

მეორე ბიჭი: ორიოდ გროშს თუ გაიმეტებ...

პირველი ქალბატონი ხალხის ჯგუფიდან: მკვდარი, არა, მკვლელი.

მეორე ქალბატონი ხალხის ჯგუფიდან: პოლიციამ, ცხადია, ამჯერადაც დააგვიანა, რა ეჩქარებოდათ.

პირველი ქალბატონი ხალხის ჯგუფიდან: საშინელებაა... ყელი გამოჭრეს...

ლორენცო: მინაზე ხველდება...

ხმაური: დაახლოებით კერენტნერშტრასესავით დიდ, ფართო ქუჩაზე რბილსაბურავიანი ავტომობილის თანაბარი მოძრაობის ხმა, მოახლოებისას რომ ძლიერდება. ადამიანები ჩერდებიან. სასტვენის ხმა.

პოლიციელი: ეი, თქვენ! წითელზე ქუჩა არ უნდა გადაკვეთოთ! გესმით თუ არა. ხომ ხედავთ, სხვებიც არ გადადიან. თქვენ გეუბნებით-მეთქი! ეი, თქვენ!

ისმის ხალხის ჩოჩქოლის ხმა, მოახლოებული მანქანები ამუხრუჭებენ.

მანდლი: სალამი ლორენცო, ეს თქვენ იყავით?

ლორენცო: ო, ღმერთო, ბატონო მანდლ, თქვენა ხართ?!

მანდლი: გვარიანად კი გიღრიალათ პოლიციელმა, არა? შინ მიდიოდით თუ ჯერაც საყვარელი ფირმის საქმეებს აგვარებთ?

ლორენცო: არა, ჩემი ძვირფასო, ჩემი ფირმის საქმეებზე არ გამოვსულვარ, მაგრამ არც შინ მივდივარ. მეშვიდე რაიონში ვცხოვრობ. დღეს ცოტა ადრე წამოვედი სამსახურიდან. გასეირნება მომინდა...

მანდლი: კარგია, ესე იგი, ერთადერთი გამონაკლისი არ ვყოფილვარ. რაღაც მაქვს საყიდელი, იცით, ჩემ ცოლს დაბადების დღე აქვს.

გამვლელი: ამას ქარაფშუტობა ჰქვია, დიახაც... ეს ახალგაზრდობა... კატასტროფაა...

მანდლი: რამდენი ხანია, ამ ვიტრინების წინ დავბორიალობ და არ ვიცი, რა ვქნა.

გამვლელი პაცი: გეგონება, რომანს მიყვებოდეთ. სიცილიაშიო, თქვენ ამბობთ...

გამვლელი ქალი: ფრთხილად, ეი, თქვენ, ბრმა ხომ არა ხართ...

მანდლი: არ ვიცი, უკანასკნელ წამებში რა უნდა მოიფიქროს კაცმა, რა შეიძლება აჩუქოს კაცმა ქალს. თქვენ ალბათ დიდი ხნით ადრე, წინასწარ ადგენთ ხოლმე საყიდლების სიას. ვიცი, ჩემი ნაკლია, ყველაფერს უკანასკნელ წუთებში...

გამვლელი ქალი: ლამის საკუთარ თავს შემოვფულანუნო... მაგრამ შენ ხომ იცი... დღეს ვინღა ენდობა საკუთარ მეხსიერებას. ნერვები, გეუბნები, ისე მაქვს...

გამვლელი პაცი: კატასტროფაა... კატასტროფა... ინდოჩინეთიდან არგენტინამდე.

ლორენცო: მე არასდროს ვყიდულობ... ანუ ასეთ რამეებს არ ვყიდულობ. ცოლი არა მყავს...

გამვლელი პაცი: 150.000 შილინგი, ეს დამნაშავეები...

ლორენცო: საუზმეს დიასახლისი მიმზადებს ხოლმე, სადილად პურს, ორმაგ ბუტერბროტს... სალამოსაც იგივეს, ჩაისთან ერთად... მეტი არც არაფერი მჭირდება.

მანდლი: კი მაგრამ, ძვირფასო ლორენცო, ასე ხომ ბლომად ფულს დაზოგავთ. იქნებ ჩუმ-ჩუმად ვინმეს ეხმარებით? **ცინიკურად იცინის.** შეიძლება ასეც იყოს... სახე წამოგენტოთ.

ლორენცო: მე არ ვნითლდები.

მანდლი: კარგით, თავს დაგანებებთ. იცით რა, იქნებ, გამომყვეთ და ამ ჩემი თავსატეხის მოგვარებაში დამეხმაროთ.

ლორენცო: ხო, არ ვიცი... დრო კი მაქვს, მაგრამ ამ საქმეში გამოგადგებით თუ არა... ქალისთვის... ჯობს, თქვენ თვითონ...

გამვლელი ქალი: ფრანცი, ფრანცი, ფრანცი!!!

მანდლი: რაო, რაო? კი მაგრამ, რამდენი წლის ხართ? თქვენსას ვერაფერს გაიგებს კაცი, მით უფრო ასაკს, ხან მორიდებულ დამფრთხალ ბიჭს ჰგავხართ, ხანაც დაჩაჩანაკებულ კაცს — ჰო, ცხოვრება — ასეთია ცხოვრება, ყველამ თავისი წილი ტვირთი უნდა ზიდოს, არა? ალბათ, თქვენც. ჰო, დარწმუნებული ვარ. ჰო, იოლი არ არის, არა?

ლორენცო: დიახ, მაგრამ ზამთარში მთაში მივდივარ ხოლმე. არ ვიცი, იცით თუ არა, რომ უკვე ექვსი წელია, რაც ფირმაში ვმუშაობ. ხელფასი მხოლოდ ახლა მომიმატეს, მაგრამ მეჩვენება, რომ ნაკლებს ვიღებ... გადასახადების გამო... მაგრამ თუ ფული მომრჩა, ზამთრისთვის ვიზოგავ.

მანდლი: ესე იგი, ამის გულისთვის მუშაობთ. ჰო, მშვენიერია, როცა გეგმები გაქვს. თანაც თავს ასეთი ფუფუნების უფლებას აძლევ.

გამვლელი ქალი: კარგი ერთი, იმან ხომ თმები შეიღება...

მანდლი: ერთხელ მაინც სიამოვნებით ნავიდოდი მთაში. ჩემ ცოლს საზაფხულო კურორტზე წასვლა ურჩევნია, მაგრამ არაფერი გამოვა, არა, საერთოდ, არასდროს არანაირი გეგმა არ ამართლებს. ასეა თუ ისე, ჩვენ შემთხვევაში არ ამართლებს. თქვენ ეს, ალბათ, უკეთ გამოგდით. ყოველთვის სიტყვაძუნწი ხართ. სიტყვაძუნწი ადამიანები ყველაფერს უკეთ აგვარებენ. ისიც დიდი საქმეა, ახლა საუბარში რომ ჩაგითრიეთ.

ლორენცო: ოჰ, საუბრისთვის მე უკვე...

მანდლი: აბა, რას იტყვით? მოგწონთ ეს აბრეშუმის თავსაფარი. აქ მოდით, მოდით აქ! ამ თავსაფარებზე რას იტყვით? როგორ ფიქრობთ, ეს, ჰმ... კარგია?.. 80 შილინგი.

უსტვენს.

ლორენცო: დიახ, იქნებ აი, ეს მწვანე აბრეშუმის თავსაფარი აირჩიოთ, დიახ, ეს ალბათ ძალიანაც... თუმცა, გემოვნებას გააჩნია.

მანდლი: ისეთი ძვირია, გაგიჟდება კაცი. არა, ასეთი რამ თუ ოდესმე გინახავთ? ფასებს ვგულისხმობ, მგონი, აბრეშუმის თავსაფარი კარგი არჩევანი არ უნდა იყოს. იქნებ წინდები შევურჩიო. წინდები ურიგო არ იქნებოდა, ჩემ ცოლს ყოველთვის გამოადგება.

ლორენცო: დიახ, წინდები შეიძლება უკეთესი იყოს.

გამვლელი ქალი: შეხე ერთი, რა კაბაა!

გამვლელი კაცი: წამო, თორემ კინოქრონიკას ვერ მივუსწრებთ.

მანდლი: აგერ ცხვირსახოცები. ცხვირსახოცი ძალიან პრაქტიკული და მუდამ საჭირო ნივთია.

ლორენცო: დიახ, ცხვირსახოცი ძალიან საჭიროა.

მანდლი: ცხვირსახოცებსა და ყვავილებს ვუყიდი. ვფიქრობ, ეს ხელგაშლილი საჩუქარი იქნება.

ლორენცო: ხელ...გამ...გაშლილი, რასაკვირველია. ცხვირსახოცები და ყვავილები.

მანდლი: ცოტა ხომ არ არის. შეიძლება ტკბილეული, დავამატო, თუნდაც, კანფეტები...

ლორენცო: ჰო, შეიძლება...

მანდლი: წამომყვებით? ეს ცხვირსახოცები მაინც ვიყიდო... თუ, აქ დამელოდებით? გპირდებით, მალე აქ დავბრუნდები. ყველაფრის სწრაფად მოგვარება მიყვარს.

ლორენცო: მიჩვენია, აქ დაგელოდოთ. ცოტას გავივლ-გამოვივლი, სანამ მობრუნდებით, ან ცოტა უფრო წინ, სანაპიროსკენ წავალ.

მანდლი: რა თქმა უნდა. *მალაზიაში შედის, კარი იღება, გამყიდველი ქალი ესალმება, კარი ისევ იხურება.*

ქუჩის ხმაური ისევ ძლიერდება, რეალური ქუჩის სცენა.

დალაქი: ჩემი გამოგონების უნახავად გვერდს ნუ აგვივლით, ბატონო ჩემო. „ფხა-

მარდი“ ნებისმიერი სამართებლის პირს ალესავს. „ფხამარდი“ სიფრიფანა ქალაღდივით, სუნთქვაზე მსუბუქად ალესავს დანის პირს. „ფხამარდი“ პარსვას სიამოვნებად გიქცევთ, გაჭრის საშიშროება არ არსებობს, „ფხამარდის“ წინაშე ნებისმიერი სახის წვერი, რბილი თუ უხეში, ფარ-ხმაღს ყრის.

გამვლელი ქალი: რას გაჩერებულხარ, გამოადგი ფეხი, ამ სისულელის ყიდვას ხომ არ აპირებ...

გამვლელი კაცი: დღღზე ხომ არა ვართ, რა იყო, ამ ფაციფუცმა შეიძლება გაგაცოფოს კაცი.

მოხუცი ქალი: საჰაერო ბუშტები, ცისფერი და წითელი საჰაერო ბუშტები. ორ შიღინგად, კეთიღო ბატონო! არ უნდა ბატონს საცოღეს ერთი საჰაერო ბუშტი მღართვას? ბაღღებისთვის მაინც იყიდეთ ერთი ცისფერი ბუშტი, კეთიღო ბატონო.

ღორენცი: არ მინდა, გმადღობთ, ბუშტები არ მჭირდება.

მეარღწე ჩახღეჩიღი ხმით ჰყვება არღნის ხმას:

დღღის და ხვალის გამყრელი
ყოფიღა ღამის სიზმარი,
თქვენ არ იღარღოთ ამაზე,
ჩემი სათქმელიც ეგ არი,
დღღის და ხვალის გამყრელი
ყოფიღა ღამის სიზმარი...

არღნის ხმა შორიღან ისმის, ნახევარი ტონით ხმადღბღა.

თავზის გამყიდვეღი: დღღეს ყვეღაფერი იაფად! ახაღთახაღი თევზი, ცოცხაღი, ბატონებო, ასე იაფი ჯერ არ ყოფიღა. კაღმახი, სიგი... შეხედეთ ერთი ამ მშვენიერ მეთევზე ქაღს, რამხეღა ქარიყღაპიღა და რა ხორცსაღსე კობრი დაუჭერიღა — თქვენთვის, ბატონებო, დღღეს ყვეღაფერი ძაღზე იაფიღა.

მეარღწე ისევ ახღოვდება:

თეთრ ღრუბღებს საბნად გაღაგაფარებ,
შორეულ ვარსკვღავებს საღთღებად აგინებ.
და ყვეღას: ბავშვიღა, ქაღიღა, კაციღა,
ერთხეღაც ნანატრი სიმშვიდე სწაღიღა.

ვიღაცას მიმართავს: მცირეღი მონყაღება მაინც გაიღეთ, ძვირფასო ბატონო. შინ ხუთი შვიღი და ავადმყოფი ცოღი მეღოღება.

ღორენცი დაბნეული: ფული თან არ წამომიღიღა. მაგრამ იქნებ ძეხვიანი ბუტერბროტი...

მეარღწე: რა გაენყობა... ამაზეც მადღობელი ვარ...

არღნის ხმა ისევ შორიღან ისმის, მიკროფონი ღორენციოს მიჰყვება, ქუჩის ხმაური, მერე უცებ თავგ ზაამბნევეღი მუსიკა შემოიჭრება, რაც შემდგომში ლაიტმოტივივით მიჰყვება ღორენციოს სიზმრების მაღაზიამდე.

გამყიდვეღი კაცი დარაბებს აღებს თუ კეტავს.

ღორენცი: მაპატიეთ, გეთაყვა...

გამყიდვეღი: დიახ, გისმენთ.

ღორენცი: ამ მაღაზიღში მუშაობთ?

გამყიდვეღი: დიახ, რა გნებავთ?

ღორენცი: თქვეღი ვიტრინა ცუდად არის განათებული. ჰმ. უკვე კეტავთ?

გამყიდვეღი: არა, მაღაზიღს ახღა ვაღებ. შემობრძანღით. რით შემიძღიღა გემსახუროთ?

ღორენცი: გმადღობთ. უბრაღოდ, თქვენს ვიტრინას რომ ჩავუარე, შევავალიერე და... ნაცნობს ვეღოღები, საცაღა გამოჩნდება... ცოღა იქით, მოღების ატელიეში შევიღა... კარგად ვერ დავინახე, რა იყო თქვენს ვიტრინღში გამოფენიღი და მხოღოდ ამიტომ... ცნობისმოყვარეობამ მიძღიღა. უკაცრავად და ვერაფრით ვხვდება, მაინც რა გაქეთ ამ პაკეტებში, აგერ აქ, ან იქ, რა არის შეფუთული ამ გამჭვირვაღე ქაღაღღში. ისეთი ცუდი განათება...

გამყიდვეღი: უკეთესი განათება რომ იყოს, რის ნახვას ინებებღით?

ლორენცო: ოჰ, არც კი ვიცი... კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას.

ბამყიდველი: იქნებ, რაიმე შესაფერისი იპოვოთ კიდევ. სიამოვნებით გიჩვენებთ ჩვენს საქონელს.

ლორენცო სულ უფრო გაუბედავად: არა, ეს აუცილებელი არ არის. მე ხომ არაფრის ყიდვას არ ვაპირებ, საერთოდ არაფერი მინდა... ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

ბამყიდველი ცივად: კი ბატონო, გასაგებია... სიამოვნებით დაგათვალიერებინებდით.

ლორენცო: არ ვიცი, სად დაიკარგა, ბატონი... მიკვირს, რომ ჯერ არ ჩანს, აკი დამპირდა, — ახლავე დავბრუნდებო... მე კიდევ, მგონი უკვე ათი წუთია, აქ ვწრივლებ...

ბამყიდველი: არ დაგაძალბოთ.

ლორენცო: არა, რას ამბობთ, გეთაყვა, შევცდი, ზედმეტი ცნობისმოყვარეობის ბრალია, არ მესმის, რა დამემართა. ეტყობა, ლოდინმა დამღალა. ღამე მშვიდობისა.

ბამყიდველი: ნახვამდის, ბატონო ჩემო.

შესაძლებელია, ხერხის ხმა.

ლორენცო დაგუდული ხმით: სად დაიკარგა, ამდენ ხანს სად უნდა იყოს, — მალე დავბრუნდებო.

ხერხის ხმა წყდება.

ხმადაბალი მუსიკა, ატმოსფერო კიდევ უფრო იძაბება, ქუჩა რეალური სახით კი არა, გუგუნით შემოიჭრება. მცირეოდენი ხმაური ქუჩიდან.

მოსუცი ქალი ამჯერად გამართული გერმანულით: საჰაერო ბუშტები, ცისფერი და წითელი ბუშტები. ორ შილინგად, მონყალეო ბატონო. მთავრით თქვენს საცოლეს წითელი ბუშტი.

მეარღნი:

დღეის და ხვალის გამყრელი,
ყოფილა ღამის სიზმარი,
თქვენ არ იდარდოთ ამაზე,
ჩემი სათქმელიც ეგ არი,
დღეის და ხვალის გამყრელი
ყოფილა ღამის სიზმარი.

თივზის ბამყიდველი: შეხედეთ ამ მშვენიერ მეთევზე ქალს, ხორცსავსე კობრი რომ დაუჭერია თქვენთვის. დღეს, ბატონებო, თქვენთვის ყველაფერი იაფად.

ბამვლელი კაცი: ამ შემთხვევაში ორჯერ ორი ოთხი არ არის...

ღალაქი: გამოიყენეთ „ფხამარდი“ და თქვენი სამართებელიც უფრო პირბასრი გახდება. ამ სამართებლით უზუსტესად გაიჭრება: დღე და ღამე... წყალი და ცეცხლი, ზედა და ქვედა, გარეთა და შიგნითა...

ლორენცო გაიქცევა, მისი ნაბიჯების ხმა ძალიან ხმამაღლა ისმის.

მეარღნი მოგუგუნე ხმაურში აგრძელებს სიმღერას:

შორეულ ვარსკვლავებს სანთლებად აგინებ,
თეთრ ღრუბლებს საბნად გადაგაფარებ.

სწრაფი გადასვლა, ლორენცო მირბის, მძიმედ სუნთქავს, კარი იღება, კარის ანჯამის ხმა, ქუჩის ხმაური წყდება, ისმის მუსიკა, ერთვება ბირდაბირის ხმა.

ლორენცო შიგნით: ეს რა მუსიკაა? რადიო ჩართეთ?

ბამყიდველი: არა, რადიო არ მაქვს. თანაც არანაირი მუსიკის ხმა არ მესმის.

ლორენცო: აბა, ყური დაუგდეთ, კარგად მოუსმინეთ. ეს რა არის?

ბამყიდველი: შეიძლება მტვერი შრაშუნებს, ან კოჭები ჭრიალებს, ანდა, ბანალურად რომ ვთქვათ, ქალაქის ხმაური აზანზარებს იატაკს.

ლორენცო: ისეთი ბინდი ჩამოწვა. შეიძლება მართლა მტვერის ხმა მიშრიალებს ყურებში. ვაჭრობის საქმე, ეტყობა, კარგად არ მიგდით. რატომ არ ცდილობთ, აქაურობა დაასუფთაოთ და გაანათოთ? ნათურაც შუქფარის გარეშე ჰკიდია. თანაც ბუზების შემოსევაა, — გვიან შემოდგომაზე, სად გაგონილა ბუზები გვიან შემოდგომაზე.

ბამყიდველი: რას ჩამაცვივდით, რა შარიანი ვინმე ხართ — *ხაზგასმის გარეშე, ხმა*

უნწყდება — სანამ გაიგებდეთ რა და რატომ ხდება, თუ შეიძლება დაბრძანდით!

ლორენცო: რატომ უნდა დავჯდე? გთხოვთ, მე მხოლოდ...

გამყიდველი: გთხოვთ, ამ სკამზე დაბრძანდით. **ძველებურად საქმიანი ხმით:** ახლა სინათლე უნდა გამოვრთო.

ლორენცო: სინათლე?.. არა, სინათლე არ გინდათ... სინათლე არა.

სინათლის ჩამრთველის ხმა. ძალიან ძლიერი მუსიკის ხმა.

გამყიდველი საქმიანად, ჩვეულებისამებრ, ეტყობა ლორენცო პირველი „კლიენტი“ არ არის: წარმოიდგინეთ, რომ წყლის სიღრმეში მოხვდით, თუმცა შეგიძლიათ თვალგახელილი იყოთ — თვალწინ ყველაფერი ვერცხლისფრად და წითლად ლივლივებს და სიზმრის ცისფერი ბაირაღები თქვენს ძილში ფრიალებენ. აღარ არსებობს არც სიგრძე-სიგანე, არც სიმაღლე და არც სიღრმე. ვედარც სივრცეს გრძნობთ და დრო ჩერდება, მაგრამ უფრო ჩქარა მოძრაობს, ისე ჩქარა, თითქოს დასასრულს, საბოლოო მიზანს უახლოვდებოდეს.

ლორენცო უშიშრად: თვალს მჭრის ძლიერი შუქი, ძალზე ბევრი სინათლეა და ძალზე ბევრი სიზმარი ჩემი სიფხიზლისა და ძილისთვის. მეტისმეტად ბევრია.

გამყიდველი საქმიანად: ასე ერთბაშად შეიძლება ბევრი იყოს. გირჩევთ, სიზმრები სათითაოდ ნახოთ. მარცხნივ გაიხედეთ, ქვედა, პატარა სიზმრიდან დაიწყეთ. თავიდან, უმჯობესია, პატარა სიზმარი ნახოთ... თორემ არჩევანი გაგიჭირდებათ.

ინწყება ახალი მუსიკა, ხშირად შემტევ ხასიათს იძენს, რათა შიშის მოტივი გაამძაფროს და გადმოსცეს.

პირველი სიზმარი

ხმაური, ხან მოახლოებული, ხან დაშორებული, უფრო ხშირად სახიფათოდ მოახლოებული ჩავლილი მატარებლის ხმასავით.

ლორენცო: ბატონო მეგობარო! ბატონო მანდლ! მეგობარო! მანდლ! ჩქარა, ჩქარა!

მანდლი: აღარ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია.

ლორენცო: მოდის. მოდიან, ბატონო მანდლ!

მანდლი: მეტი აღარ შემიძლია...

ანა: ხელებიდან სისხლი მდის, მუხლებიდან სისხლი მდის.

მანდლი: მეტი აღარ შემიძლია.

ლორენცო: ჩქარა, ჩქარა, გვირაბისაკენ.

მანდლი: აღარ შემიძლია, აღარც გვირაბი, აღარც ხელები!

ლორენცო: აგერ გვირაბი, აქეთ, არა იქით, აქ არის.

ანა: მიშველეთ, ხელებიდან სისხლი მდის.

ლორენცო: გვირაბი აქვეა, კიბე მომეცით.

ანა: სისხლი მდის, სისხლისგან ვიცლები. მოდიან.

ლორენცო: ზემოთ, გვირაბზე უნდა ავძვრეთ.

მანდლი: გადააგდე კიბე, ისინი მოდიან.

ანა: საათში ორასი კილომეტრი სიჩქარით. სისხლი მდის, სისხლი მდის, საათში ორასი კილომეტრი სიჩქარით.

ლორენცო: დაემხეთ გვირაბის წინ, გულით დაემხეთ გვირაბის წინ.

ანა: ლორენცო! დამეხმარეთ, გული, გული მტკივა.

ლორენცო: გული გაატარეთ გვირაბში. პირველად გული გაატარეთ.

მანდლი: ელმავლის წინაშე უნდა დავემხოთ.

ანა: ლორენცო, ელმავალი უნდა შეაჩეროთ.

ლორენცო: შევაჩერო! შევაჩერო!

ანა: გული სისხლისგან მეცლებს საათში ორასი კილომეტრი სიჩქარით.

გენერალური დირექტორი შორიდან: საჭაერო თავდასხმა მოვუწყვით!

ანა წამოიყვირებს: გაიგეთ? ჩვენ გულს თავს ესხმის.

ლორენცო: თავშესაფარში, სამალავში, მიწის ქვეშ!

მანდლი: მიწის ქვეშ!

ანა: მიწასაც სისხლი სდის! ჩემი მიწა, მასაც სისხლი სდის.

გენერალური დირექტორი შორიდან: ყურადღება, ბომბები დააყარეთ!

ბომბების აფეთქების ხმა.

ლორენცო: შეგვიბრალეთ!

ყველაფერი ერთბაშად წყდება. მერე თავგზააშენი მუსიკის ხმა შემოიჭრება.

გამყიდველი: რა გჭირთ. ცუდად ხომ არა ხართ?

ლორენცო: ოხ, არა, დიახ... საშინელებაა, თუმცა... აი, თურმე სად ვყოფილვარ... კარგია.

გამყიდველი: უცებ — „შეგვიბრალეთო“ — წამოიყვირეთ და ისევ ჩავრთე სინათლე, რომ მენახა, რა დაგემართათ.

ლორენცო: ეს მხოლოდ საშინელი... სიზმარი იყო, არა?

გამყიდველი: სამწუხაროა. ესე იგი, არ იყიდით. გასაგებია. სხვა სიზმარს გაჩვენებთ.

ლორენცო: დიახ, სხვა მაჩვენეთ, თუ შეიძლება. ოღონდ დამპირდით, რომ ასეთი ბოროტი არ იქნება.

გამყიდველი ღიმილით: მთელი სხეულით კანკალებთ. აი, აიღეთ ჩემი ცხვირსახოცი. შუბლიდან ოფლი მოინმინდეთ.

ლორენცო: ხო, ცხვირსახოცი... მაგრამ მე უნდა ნავიდე. ჩემს ნაცნობს ცხვირსახოცების ყიდვა უნდოდა...

გამყიდველი: გაჩვენოთ შემდეგი სიზმარი?

ლორენცო: დიახ, გთხოვთ... არა, გმადლობთ.

გამყიდველი: მოგვიანებით. ჯერ სინათლე უნდა გამოვრთო.

ჩამრთველის ხმა.

მეორე სიზმარი

სატელეფონო ხაზებს გამუდმებით ერთმანეთთან აკავშირებენ.

I მატალეფონე ქალი: გენერალური დირექტორი ლორენცო, გაკავშირებთ.

II მატალეფონე ქალი: გენერალური დირექტორი ლორენცო, გაკავშირებთ.

III მატალეფონე ქალი: გენერალური დირექტორი ლორენცო, გაკავშირებთ.

ანა: თქვენ დაუკავშირდით მის აღმატებულება გენერალურ დირექტორ ლორენცოს სამდივნოს. მასთან დაკავშირება დროებით შეუძლებელია. გთხოვთ, დაელოდოთ.

III მატალეფონე ქალი: მოითმინეთ. დაკავშირება დროებით შეუძლებელია.

II მატალეფონე ქალი: დაკავშირება შეუძლებელია. მოითმინეთ!

I მატალეფონე ქალი: ვწუხვარ, ბატონო მინისტრო, ვერ დაგაკავშირებთ. მოითმინეთ.

სმახი ყოველი მხრიდან: მოითმინეთ. დაელოდეთ. ვერ დაგაკავშირებთ.

ლორენცო: ამ ბოლო ზარს არ ვუპასუხებ. არც ერთ ზარს აღარ ვუპასუხებ. ყველამ დაიცადოს, დაიცადონ, მოითმინონ, გაიგეთ?!

ანა: ყველამ უნდა დაიცადოს: გასაგებია, თქვენო აღმატებულება.

ლორენცო: უფრო რბილი ხალიჩები უნდა დავაგოთ. ხმაურია, ძალიან ხმაურობს, გაიგეთ, ანა? იზრუნეთ იმაზე, რომ ყველაფერი ჩაჩუმდეს და ყველამ დაიცადოს.

ანა ისე ამოისუნთქავს, თითქოს იგუდებო: გასაგებია, თქვენო აღმატებულება. ყველაფერი უფრო ჩუმი უნდა იყოს, ყველამ უნდა დაიცადოს.

ლორენცო: დიქტოფონზე ჩანერეთ: „უკანასკნელად გაფრთხილებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში...“

ანა დიქტოფონზე კარნახობს: „...უკანასკნელად გაფრთხილებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში...“

ანას სიტყვებს უამრავი ხმა გადასცემს ერთიმეორეს, მერე შორიდან ისმის საბჭოთა მანქანების კაკუნის ხმა, გადაცემულ ინფორმაციას რომ ბეჭდავენ.

ლორანცო: უფრო სწრაფად, გამაოგნებლად დიდ დროს ანდომებთ ამ სულელურ კარნახს. ეს ყველაფერი შეიძლება უფრო ჩუმადაც მოაგვაროთ. თქვენ კი თავს არ ინუხებთ.

ანა: ო, როგორ არა, ძალიან ვცდილობ, თქვენო აღმატებულება, ლორენცო, მართლა ვცდილობ.

ლორანცო: მოიყვანეთ ჩემი ავტომობილი, ჩემს საბეჭდ მანქანასთან უნდა მივიდე. ნამიყვანეთ სხდომათა დიდ დარბაზში.

ავტომობილის ძლიერი ხმა, მალევე ისმის მუხრუჭების ღრჭიალი.

ანა: ხომ სწრაფად მოგიყვანეთ, ხომ არ გაგაბრაზებთ? თქვენი გამოხედვა მაშინებს.

ლორანცო: ისე გიყურებთ, როგორც იმსახურებთ, ჩემო ძვირფასო, დიახ, როგორც იმსახურებთ. მოინმინდეთ ეგ ცრემლები.

ანა: როგორც მიბრძანებთ, თქვენო აღმატებულება.

ლორანცო: დიახ, როგორც გიბრძანებთ, გაიმეორეთ. **ანა სწრაფად იმეორებს.** შემოიყვანეთ მოცეკვავე ქალები. მე მსურს... მე უნდა... შემოიძლია... მომავალში... მომავალში... საბოლოოდ... და მერე აღარასოდეს... მოცეკვავე ქალები, გეუბნებით... და მშვენიერი მუსიკა.

ანა: აქ მუსიკა არ არის. მუსიკა დიდი ხნის წინ დამთავრდა.

ლორანცო: მაშინ ახალი მუსიკა მოიტანეთ.

ანა: მთელ ქვეყანაში მუსიკა აღარ არსებობს.

ლორანცო: მაშინ ახალი მუსიკა დაინეროს. მოიყვანეთ მუსიკოსები.

ხმაგი ტელეფონში: ახლავე გამოცხადდეს მუსიკოსი, მუსიკოსი ახლავე გამოცხადდეს.

მანდლი: თქვენო აღმატებულება, რით შემოიძლია გემსახუროთ?..

ლორანცო: ვინა ხართ, რას გაეხართ?

მანდლი: მუსიკოსი ვარ.

ლორანცო: ახალი მუსიკა უნდა დანეროთ, ისეთი ძველი მუსიკა, რომ მისი გახსენება ვერავინ შეძლოს.

მანდლი: გასაგებია, თქვენო აღმატებულება. ახლავე დავნერ...

მუსიკა შემოიჭრება.

ლორანცო: შეწყვიტეთ მუსიკა. შეწყვიტეთ, შეწყვიტეთ. მუსიკის დრო არ არის. საერთოდ არ არის არც მუსიკა და არც დრო. გაეთრიეთ! თქვენი მუსიკა ტყუის!

ანა: წამობრძანდით, ბატონო მანდლ, ხომ ხედავთ, მისი აღმატებულება თქვენით უკმაყოფილოა.

ლორანცო ყვირის: ვუბრძანებ, რომ თქვენი ინსტრუმენტები ნამსხვრევებად აქციონ, თუ კიდევ მოიტყუებთ.

ანა: რაღას უცდით, წადით, ბატონო მანდლ!

ლორანცო: ყველას და ყველაფერს გავაცამტვერებ.

რამდენიმე ნივთს დაამსხვრევს.

მანდლი გარბის და გულნატკენი ბლავის.

ანა: ახლა რას გვიბრძანებს ბატონი გენერალური დირექტორი?

ლორანცო: მომიტანეთ ჩემი ჩალმა, გეთაყვა. ხოლო დიდი აღმასი გვერდით დამიდეთ, ისე, რომ იდაყვით ვეხებოდე. არა, ეგ არა, მეორე, რომელიც ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა, იოშამბურის მაჰარაჯამ მომიძღვნა თავის დღეობაზე. აბა, როგორ გამოვიყურები? გადასარევად, არა? გაიცინეთ, ჩემო მტრედო, ჩემო კისკისა გვრიტო. **მკაცრად:** გაიცინეთ, ახლავე, გასაგებია?

ანა ბრძანებას ემორჩილება და ნაძალადევად იცინის.

ლორანცო: ასე სჯობს, სიცილი მარგებელია. უფრო ხშირად უნდა იცინოს კაცმა. მოცა, აიღეთ ფანქარი, უძვირფასესო. იდეა მაქვს. ჩაინერეთ: ვბრძანებ, ყოველ მეორე ხუთშაბათს პირველიდან ოცდაჩვიდმეტი თებერვლის ჩათვლით, საყოველთაო კეთილდღეობის სამინისტრომ სიცილის დღე დააწესოს. ყველას, ვინც აღნიშნულ დღეს მოწყენილი ან ცრემლიანი სახით ივლის, ფულადი ჯარიმა დაეკისროს. ჯარმის ოდენობა 100 ერთეულით განისაზღვროს.

ანა სიცილით: დღეს ხომ ხუთშაბათია. უკვე კარგ გუნებაზე დავდექი. გასაოცარი იდეა

მოგივიდათ. დიახ, ორიგინალობით ყოველთვის გამოირჩეოდით.

ლორენცო: ნუ იცინით, დანერეთ! ხოლო როცა დაამთავრებთ და კანონი ლორენცოს სამოქალაქო კოდექსში ჩაინერება, მთავრობას აცნობეთ, რომ მზად ვარ მმართველობა ჩემ თავზე ავიღო.

ანა: არის, ჩემო მბრძანებელო.

ლორენცო: ახლა სტენოგრაფები გაუშვით და თარჯიმნები შემოიყვანეთ! პრეს-სამსახურის ყველა მუშაკი ჩემთან გამოცხადდეს! **მაგიდას მუშტს დასცხებს.** ყელში ამომივიდა საქმის გაჭიანურების პოლიტიკა. დროა შედეგზე ვიფიქროთ. ადგილებზე, ბატონებო.

ხმაური: ისმის ჩურჩული, შრიალი, ხალხმრავლობაა, საბჭოედი მანქანების კაკუნი. ლორენცოს ბოლო სიტყვებს თარჯიმნები თარგმნიან, ხოლო მეტელეფონები ამ სიტყვებს ტელეფონით კარნახობენ.

ლორენცო: ამა წლის 55-ე კონგრესს ოკეანის გაღმა ქვეყნების ათვისებასთან დაკავშირებით ტრანსგლობალური კონცერნის „ლორენცო & ლორენცო“ საკეთილდღეოდ გახსნილად გაცხადებ... 55-ე, არა, რას ვამბობ, 55-ე კონგრესის 32-ე რიგგარეშე სხდომას გახსნილად ვაცხადებ; 32-ე რიგგარეშე სხდომის, არა, არა, 55-ე კონგრესის მე-3 რიგგარეშე კონფერენციას.

I თარჯიმანი რუსული ენის ნაბაძვით სიტყვები სრულიად თვითნებურად უნდა შეირჩეს, გერმანულ ტექსტში ასე უნდა უღერდეს: ნიჰელ პაბ სობრამ ნიეტულავსკი საბოროს იონიტატ ჟუღდიე დრე დრე სოლუსცია სოციუალსკა...

II თარჯიმანი: სი ნონ მასონ ერესუსიონ როეტეტრ... და ა. შ. **უაზრო სიტყვები, ფრანგულის ნაბაძვით.**

III თარჯიმანი: ნაუ ველლ ადიუსტიემენ ინ ლიმიტ ველ შეტიემენ ნო ნო პრეპერიელ ეს რესერჩ ვიერ... **ინგლისურის ნაბაძვით.**

IV თარჯიმანი: კი-ვაი ლუნ პა პა ტაი პე მანგ ტუნგუნგ ლაო კე-ტანგ... **ფსევდოჩინურად ლაპარაკობს.**

ანა: ბატონო გენერალურო დირექტორო! ორი დეპეშა და ორი სატელევიზიო გამოსვლა! აქეთ, თუ შეიძლება, ეს სასწრაფოა.

ლორენცო: სასწრაფო არაფერია. მომეცით, ღვთის გულისათვის. **დეპეშას ხსნის.** დიახ, ასეც ვიცოდი. უჩემოდ თავს ვერაფერს მოაბამენ. ანა, გამომყევით. კონფერენცია ახლავე უნდა შეწყვიტოთ. უნდა გაფვრინდეთ. თუმცა არა, ჩემი პირადი კოსმოსური ხომალდი მოამზადებინეთ. ხომალდის ეკიპაჟს შეატყობინეთ. ეს ხეპრე ახლა სადღა დაიკარგა?

გენერალური დირექტორი: აქ გახლავართ, დიდად პატივცემულო ბატონო გენერალურო დირექტორო, თქვენს სამსახურში მიგულეთ. მუდამ მზად ვარ გემსახუროთ.

ლორენცო: ხა, ხა, ხა, შეგიძლიათ თავყვანი მცეთ. თუ არა და ძალღვივით გაგაგდებთ აქედან. რაო, ჯერაც არ დაგვიწყებიათ ოდესღაც გენერალური დირექტორი რომ იყავით? თქვენ ერთი უბადრუკი კონცერნის გენერალური დირექტორი იყავით, რომლის მართვაც მე გადავიბარე, თუმცა რას ვამბობ, მე ეს კონცერნი ფეხზე დავაყენე, ამოვქაჩე და გიგანტურ, დღემდე არარსებულ, შეუდარებელ, მსოფლიო მასშტაბის ორგანიზაციად ვაქციე. თავყვანი მეცით. სტარტი. ნავედით!

ძრავების გუგუნი.

ანა: თუ ჰაერის ტემპერატურა გეცხელებათ, გამაგრებულ მონყობილობას ჩაგირთავთ.

ლორენცო: ბევრს ნუ ლაპარაკობთ, ჩაჯექით. **ძრავების გუგუნი.** მოიცა, გადავიფიქრე. ვნახავ ერთი, უჩემოდ რას იზამენ. ჩემს წარმომადგენელს გავგზავნი, ესეც საკმარისია. გეზი შევცვალოთ. დღეს, დღესვე უნდა მოვასწროთ, გესმით, მესაჭევ, და მთვარეს დავეპატრონოთ.

ანა: ოჰ, მთვარე, ყოველთვის ვოცნებობდი სახლი მქონოდა მთვარეზე.

ლორენცო ამოქნარებს: გულმონყალებას გამოვიჩენ, ანა, და სახლი გექნებათ, მაგრამ არ დამავიწყდეს; უკვე რამდენიმე დღეა თავი მომაბეზრეთ; მთვარეზე თქვენთვის მთვარის

სასახლეს ავაშენებინებ და ამით დავამთავროთ. თქვენ ქვეყნიდან, პარდონ, დედამიწიდან გაგაძევებთ და იქ დარჩებით, სადაც ახლა გადაგსვამთ. გასაგებია, პატარავ?

ანა: ბატონო... ბატონო... ახ, ლორენცო, ლორენცო, ამას ვერ გადავიტან, მე ხომ თქვენ დღესაც ისე გეთაყვანებით, როგორც პირველ დღეს. მე თქვენ მიყვარხართ, თქვენ კი ხელს მკრავთ. არაფერს გთხოვთ, მხოლოდ თქვენს ფერხით მოკალათების უფლება მომეცით, თქვენი მონა-მორჩილი ვიქნები, თქვენს ბრძანებებს შევასრულებ, ოღონდ იმ დიად შუბლს ვუმზირო, რომლის მიღმაც ჯერ არნახული სიდიადის აზრები იბადება. სხვა არაფერი მინდა, არაფერი. ნუ გამაძევებთ. თუ გნებავთ შემცვლელი მომიძებნეთ, მასაც ისე მოვემსახურები, როგორც თქვენ... ახ, ლორენცო.

ლორენცო: დღეს სიცილის დღეა! თავს რატომ იმცირებთ? მორჩით ვიშვიშს, თქვენ თავს გუილო... გუილო... გილიოტინაზე... მოვაკვლევინებ!

ანა: მაშინ ყველაფერი დამთავრდება, მე აღარ შემიძლია, უთქვენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია.

ლორენცო: მაინც რა გინდათ, რას აპირებთ?

ანა: კარს ვეძებ, მინდა... ო, ლორენცო, სხვაგვარად არ შემიძლია. ერთ წუთში ყველაფერი დამთავრდება.

ლორენცო: აქ ხომ არ აპირებთ... შუა გზაზე, დედამიწასა და მთვარეს შორის... ღმერთო ჩემო, ფანტაზიის უნარი არ გაგაჩნიათ. ყოველთვის ვიცოდი, რომ მთელი თქვენი ცხოვრება ერთ უფერულ პიროვნებად დარჩებოდა. ღვთის გულისათვის, ჩაიდინეთ ის, რის ჩადენასაც აპირებთ. აი, კარები აქ არის.

ანა: მშვიდობით, დაიპყარით მინა და ზეცა. ჩემი დრო წავიდა, თქვენთვის მაინც არაფერს წარმოვადგენ.

ქარის შემოჭრის ხმა, კარი იღება და იხურება.

ლორენცო: კეთილი სული. ჰო, ჰო, ჩემთვის მაინც არაფერს წარმოადგენს. სევდიანი მონყენილობა მეუფლება. ბატონო რაკეტის მძღოლო, რა აზრის იქნებოდით, თუკი ჩემი ძილმორეული განწყობის გამოსაფხიზლებლად ომს გამოვაცხადებდი?

გენერალური დირექტორი: ვის გამოვუცხადოთ ომი, ბატონო გენერალური დირექტორო?

ლორენცო გაცეცხლებული: თქვენ, ეტყობა, სულ დაჩლუნგდით. ეს ხომ სულ ერთია... ვთქვი — ომი-მეთქი, უბრალოდ ომს ვინყებ.

ირთვება რეპროდუქტორი.

რეპროდუქტორის ხმა: როგორც ახლახან ტრანსგლობალურმა კონცერნმა „ლორენცო & ლორენცო“ — გვაცნობა, მისმა უმაღლესობა გენერალურმა დირექტორმა, მინისტრმა, დოქტორმა ლორენცომ ომი გამოაცხადა. ომი არის მიმართული განურჩევლად ყველას და ყოველი სავარაუდო ობიექტის წინააღმდეგ და უახლესი ბაზებიდან, ცენტრალური აღმოსავლეთის ცის მნათობებიდან და ახლახანს დაპყრობილი მთვარიდან წარმართება. მისი აღმატებულების, მისი ბრწყინვალეობა გენერალური დირექტორის ჯანმრთელობა და გუნება-განწყობა დამაკმაყოფილებელია.

მცირე ხნით ჰიმნი გაიჟღერებს, მერე უცებვე შეწყდება.

გამყიდველი: აბა, რას იტყვით, ბატონო ჩემო.

ლორენცო დაბნეული იცინის: ეს რა ვნახე. კი მაგრამ, ეს... არა, მირჩვენია ამ სიზმარზე უარი... ძალიან სახალისოა... გაკვირვებული ვარ. არა... სინამდვილეში არც ისე სახალისოა...

გამყიდველი: სიამოვნებით გაჩვენებდით კიდევ ერთ სიზმარს. **შუქის ჩამრთველის ხმა.** გთხოვთ!

მესამე სიზმარი

მეზღვაური: ამწე მოატრიალეთ, მარჯვნივ აიღეთ... 45 გრადუსით მოატრიალეთ.

ანა: უკვე ჩატვირთეთ?

მეზღვაური: საცაა მოვრჩებით. მეზავრებს შეუძლიათ გემზე ავიდნენ.

ანა: ძალიან დამავალბეთ, თუ საკონტროლო გამშვებ პუნქტამდე მიმაცილებთ. კაპიტანმა „sekuritas“-ით² მეზავრობის ნება პირადად დამართო. ის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გემიაო, — როგორც მითხრეს.

მეზღვაური: გთხოვთ, მკლავზე დამეყრდნოთ. ნამობრძანდით. მოხარული ვართ გემზე ასეთი მშვენიერი თანამეზავრი რომ გვეყოლება.

ანა: გამადლობთ. თქვენ ნამდვილი კავალერი ბრძანდებით, მეზღვაურო. ძალიან მომწონს თქვენი უნიფორმა.

მეზღვაური იცინის: მეც მადლობას გიხდით. ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, მშვენიერო ქალბატონო.

ანა: ანა მქვია.

მეზღვაური სიცილით იმეორებს: ანა...

განსხვავებული, განსხვავებულად აქცენტირებული მუსიკა იწყება და მიჰყვება ამ სიზმარს.

ლორენცო: ანა, გასამეზავრებლად პასპორტი გვჭირდება. დოკუმენტების გარეშე გემზე ვერ ახვალ. ანა, დაუმშვიდობებლად არ წახვიდე. გთხოვ, ერთხელ კიდევ შემომხედე. გთხოვ, ერთხელ კიდევ გამომიწოდე ხელი. არ ვიცი, დღეს რატომ მიემგზვრები. ღრუბლები ძალიან სწრაფად მიქრიან და ჰორიზონტიც მოქუფრულია. დღეს არ უნდა გაემგზავრო. ცოტაც მოიცადე, ხვალ გაემგზავრე.

ანა დაგუდული ხმით: მშვენიერი გემია, თეთრი და დიდი, ყოველთვის მინდოდა თეთრი დიდი გემებით მემგზავრა, რომლებზეც უამრავი ჭრელი მხიარული ალამი ფრიალებს.

ლორენცო: ანა, შენი არ მესმის. აიხედე, ცას ახედე, ხიფათით სავსეა. მომისმინე. ყველა სხვას სახეში შესცივინებ, მეზღვაურებს უღიმი, მე კი ამაოდ გიხმობ. რა მოხდა, მითხარი, რა მოხდა იმ დღეების შემდეგ, როცა მოოქროვილ ქალაქებს ვსტუმრობდით, მოოქროვილ სახურავებზე დავდიოდით და მოედნების თავზე ზარები ჩვენს სიყვარულზე რეკდნენ?

ანა: დიდი თეთრი გემები მიყვარს, მიყვარს თევზის ვერცხლისფერი ქერცლით მორთული კაბები, წყალმცენარეებისგან დამზადებული ყელსაბამები, მიყვარს ტალღები, დიდ თეთრ გემებს რომ ენარცხება, მეზღვაურების საოცარი სიმღერები მიყვარს და მაღალი ანძები, რომლებშიც თეთრთოვლა ღრუბლები გაებმება ხოლმე. მიყვარს საყვირების ყვირილი და შორეული სივრცე, რომლისკენაც დიდი თეთრი გემები გეზს იღებენ, მიყვარს ჰორიზონტზე გამოჩენილი მზიანი სანაპირო, საითაც ძლიერი მკლავებით ქარი გამიტაცებს, მიყვარს ზღვის უსასრულობა.

ლორენცო: ანა, პასპორტი თან არა გაქვს. შლაგბაუმს იქით არ გაგიშვებენ. მისმენ? ანა, უბრალოდ ვერ აირბენ გემზე. მთელი რიგი ფორმალობებია მოსაგვარებელი. ანა!

ანა: მეზღვაურებო, გზა მომეცით, კაპიტანს ჩემ შესახებ მოახსენეთ! თავისუფალი მოგზაურობის უფლება მაქვს და უსასრულობის ვიზა.

მეზღვაური: კაპიტანი ბორტზე ასვლას გთხოვთ. ამობრძანდით. უკვე გავდივართ.

გემის საყვირებმა დასჭექეს. მუსიკა.

ლორენცო: რატომ არ მომისმინე, ანა? ავდრის ბნელი ზოლი ჰორიზონტს ასცდა, შენ გემს კი წინ შორი გზა ელის შუა ზღვაში.

ანა: ჩვენ შორის ასი მილია.

ლორენცო: ასი მილი და მრავალი ეული სალამო უშენოდ, მთელი ქალაქი და ჩემი სამუშაო. და ჩემი მონატრებაც ჩვენ შორის დგება. ასე არ უნდა მენატრებოდეს.

ანა: ამ წუთებამდე ცა ლურჯი იყო, ახლა კი ღრუბლები შეიყარა და თოლიები გულგამგმირავი ყვირილით დასტრიალებენ კიჩოს. ხმელეთი აღარ ჩანს. არ ვიციოდი ამდენი ბნელთვალეებიანი წყალი თუ არსებობდა და სამარქაფო ღუზებივით მოჟღერიალე ტალღები, რომლებიც სიტყვებს ისევ პირში მჩრიან.

ქარი ძლიერდება.

მეზღვაური: ქვევით, კაიუტაში უნდა ჩახვიდეთ. ქარი ლოყებს აგინვავთ.

ანა: მაგრამ თავს ჯერ კიდევ ვიმაგრებ. თავი დამანებეთ, თავს ვიმაგრებ, სივრცესაც

² Securitas (ლათ.) — უშიშროება.

ვიმაგრებ და უსასრულო ცასაც, ზღვასთან ერთად მიწიერ წრეს რომ კრავს.

ლორენცო: ანა, უკან დაბრუნდი!

ანა: უკან, საით უკან? ერთხელ ერთ ქალაქში ვიყავი, სადაც მშრალი სახლები და კარიბჭეები იყო, რომელთა თავზე ანგელოზები დაყუდებულიყვნენ, ბალში ვიყავი, სადაც ბინდჩამდგარი ფანჩატურები წყურვილს მიცხრობდნენ და როცა შენი მკლავი მეხვეოდა... ვისი მკლავი მეხვეოდა მაშინ? მეზღვაურებო, ვისი მკლავი მეხვეოდა? ვისი მკლავი?

ლორენცო შორიდან: ანა! რატომ არ დამიჯერე?

ანა: ვისი მკლავი მეხვეოდა, ვისი წამწამები ეხებოდა ჩემს წამწამებს? ჩემთვის ბალიდან ვინ მოიპარა მხესავით თბილი იასამანი, ან ნასამხრალის ღვინო ვინ მასვა? აქ არც დღეა და არც ღამე, აქ ყოველსაათობით ცივი წყალია და ყოველსაათობით ძლიერი ქარი; აქ მეზღვაურები ყოველწამიერ მზადყოფნაში არიან და აღმებივით შეფენილან ანძებზე. ვინ წამართვა დამშვიდობებები და ხვევნები ჩაბნელებულ კართა სიახლოვეს?

ლორენცო: ძირს, დაწეი ანა. ვერ ხედავ, საშინელ ღრუბლებს, შენკენ შეუჩერებლად რომ მოქრიან?

ანა: მუდამ ასე უნდა ვიდგე, გაუნძრევლად, უსასრულო მოძრაობაში?

ლორენცო: ანა, მთაში აღარ წავალ. ჩვენი ფულით პატარა სახლს ვიყიდით. დატოვე გემი, ანა, გადმოხტი, გაიქეცი! გადმოხტი, დაბრუნდი! ჩვენს ბალში ყვავილებს დავრგავთ, ცისფერ ბუმბუს ვიყიდი, ღვინოს დავლევთ და თეთრ ღრუბლებს საბნად გადაგაფარებ. გამოიქეცი და გადმოხტი!

ანა: ვინ მეძახის? **სიცილი აუტყდება და ვერ ჩერდება.** ეს შენ ხარ, ლორენცო, შენ მეძახი?! მეზღვაურებო, ხედავთ პატარა მსხვილ წერტილს ნაპირთან, ამ პატარა ნაცრისფერ წერტილს, ცრემლივით რომ თრთის ქვიშაზე? იმ ცრემლს უნდა, რომ გადავხტე და უკან დავბრუნდე.

ლორენცო: ნუ იცინი, ანა. მეზღვაურების წინაშე ასე ნუ დამამცირებ. შენგან ამას არ ვიმსახურებ.

ანა ისევ იცინის.

ლორენცო: საღამოობით ყოველთვის დაქანცული მივდივარ აქედან, უკანასკნელი ვტოვებ სახლს. კარებთან მისულს მთელი დღის სამუშაო ისევ არ მასვენებს და თავში მიტრიალებს; დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემი უფროსის კალენდარში ყველა თარიღი ჩავინიშნე, ყველა დოკუმენტი მოვანესრიგე, სველ წერტილებში ონკანებიდან წყალი არ წვეთავს და რომ საბეჭდი მანქანები შესაკეთებლად წაიღეს. შინ ყოველთვის დაქანცული ვბრუნდები — **შესაძლებელია სიმებიანი ინსტრუმენტის ჩართვა:** როცა ქუჩები და ადამიანები საღამოს მტვერში უჩინარდებიან და ჩიტები წკრილა ხმით ჭიკჭიკებენ სახურავებს მაღლა... **სიმებიანი საკრავის ხმა წყდება.**

ანა ისევ იცინის.

ლორენცო: თუ დაბრუნდები, სიცილს გაპატიებ; რომ მიმატოვე, — ამასაც შეგინდობ.

ანა უფრო ჩუმად იცინის.

ლორენცო: ანა, სიცილს თუ არ შეწყვეტ და არ გადმოხტები, დაიღუპები. შავი ტალღები კიჩოს ნაკუნ-ნაკუნ აქუცმაცებენ, ფიცრები ტყდება! ჩემთვის დაიღუპე, თავს უშველე, შენთვის და ჩემთვის დაიღუპე.

ანა: მეზღვაურების საკვირველი სიმღერები მიყვარს, მიყვარს ზღვა და შორეთი, უსასრულობა და ხიფათი. მძულს სახურავებიანი ქალაქი, სახურავები ხომ მხრებზე მანვება; მძულს პატარა ნაცრისფერი ცრემლების ხვევნები ნაპირთან და მძულს სიცოცხლე და ადამიანები, მთაში წასვლა რომ უნდათ, სახლის აშენება რომ უნდათ და საღამოს ბალში თვალებს კოცნებით რომ მიფარავენ... მაგრამ სიკვდილი მიყვარს.

იწყება საშინელი გრივალი. მერე მორზეს აპარატის ხმა ისმის.

რადისტი სხვა გემებს გადასცემს: ქარიშხალმა „სეკურიტასი“ დააზიანა, გემს ნახვრეტი გაუჩნდა, სამხრეთ განედის 193-ე გრადუსზე, მინუს 17 გრადუსი, სამხრეთის გრძედებიდან 2 წუთის სავალზე, მინუს 17 გრადუსი, 11 წუთი სამხრეთის გრძედიდან. ვითხოვთ გადაუდებელ დახმარებას.

ხმა: „სეკურიტასი“? ეროვნება?

რადისტი: ეროვნება უცნობია.

ხმა: გვიპასუხეთ: „ვიქტორია“, სამხრეთ განედის 193-ე გრადუსი, მინუს 17 გრადუსი, სამხრეთის გრძედებიდან 2 წუთი. კურსს ვცვლით. საავარიო სვლით მოვემართებით დასახმარებლად. გაუძელით, ოთხ საათში თქვენთან ვიქნებით. კოორდინატები მუდმივად გვაცნობეთ.

მორზეს აპარატის ხმა.

რადისტი: „სეკურიტასი“ შევლას ითხოვს, სმს, ვითხოვთ გადაუდებელ დახმარებას, კოორდინატები თითქმის უცვლელია. ვიძირებით. საავარიო ნავები ჩავუშვით. წყალი სამანქანო განყოფილებას მისწვდა. მაქსიმუმ ერთ საათში წყალი დაგვფარავს.

ხმა: გვიპასუხეთ. გაუძელით, სამ საათში ადგილზე ვიქნებით. საავარიო სიჩქარით მოვემართებით. კოორდინატები მუდმივად გვაცნობეთ.

მორზეს აპარატის ხმა.

რადისტი: მორჩა. „სეკურიტასი“ კავშირს წყვეტს. აპარატურა დაზიანდა.

ხმა ხმამალლა, უბრძანებს: ყურადღება, ხრახნსაცობები ჩაკეტეთ, შეინარჩუნეთ რადიოკავშირი ყველა გემთან, რომელიც კი თქვენს სიახლოვეს იმყოფება. ნავები გაათავისუფლეთ. საგანგებო მდგომარეობაა, საყოველთაო განგაში.

განათდება.

გამყიდველი: ახლა საკმარისია?

ლორენცო: სინათლე მაინცდამაინც ახლა რატომ ანთეთ? მინდა ეს სიზმარი ბოლომდე ვნახო. ეს ჩემი სიზმარია, იქ ანაა, მე მას ვიცნობ... რომ ვიცოდე, რა ვიღონო...

გამყიდველი: რა ბრძანეთ? ანა?..

ლორენცო: იმ გოგონას ვგულისხმობ, ჩაძირულ გემზე რომ იყო... ოხ, ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს, გემუდარებით, შუქი გამორთეთ.

გამყიდველი: თუკი ასე გსურთ. თუ არსად გეჩქარებათ...

სიზმრის მუსიკა ისევ ერთვება.

ლორენცო: რაღაც მონაკვეთი გამოვტოვე... ყველაფერი შეცვლილა. ანა, ზღვის ფსკერზე ჩაყვინთვაც რომ მომიხდეს მაინც გამოვიყვან! **უცნაური ხმა აქვს, უცნაური ნაბიჯების ხმა ისმის შორიდან, თითქოს წყალში შეტოპა!** ანა!

ანა ამოიხრებს, თითქოს იღვიძებს: სად ვარ... რა დამემართა?.. ვინ მეძახის?

ლორენცო უახლოვდება: ანა... გიპოვე! უფრო გალამაზებულხარ. კანი უფრო გაგთეთრებია და თმა მარჯნების გვირგვინქვეშ გიციმციმებს.

ანა: უსაყვარლესო... რა დამემართა?

ლორენცო: შენ ყველა მეზღვაურთან ერთად ჩაიძირე... მათ ზვიგენების ხახებში და გემის ჟანგმოკიდებულ ნამსხვრევებზე სძინავთ. შენ კი ცოცხალი ხარ, რადგან მიყვარხარ, ჩემო მშვენიერო პატარა თევზო. შეხე, ნიჟარების რძე მომაქვს შენთვის და ზღვის მცენარეთა ნაყოფები, ზღვის ვარსკვლავებითა და წყალმცენარეთა ყვავილწუნულებით სუფრას გაგინყობ.

ანა: არ შეუშინდი ჩაბნელებულ წყალსა და სიღრმეს? და ყველაფრის მიუხედავად, ჩემთან მოხვედი?

ლორენცო: ყველაფრის მიუხედავად!

ანა: და ჩემთან რჩები? ღმერთო ჩემო, შენთან დარჩენის ღირსი არა ვარ. აქ თუ დარჩები, მთაში ველარ ნახვალ და ველარც პატარა სახლს ააშენებ. ვერასდროს დავსხდებით ბალში და ხეებს მიღმა ამომავალ მთვარეს ვერ დავინახავთ.

ლორენცო: იყურე და თავს ნუ იდანაშაულებ, მთაში აღარ მინდა, აღარც სახლი მინდა ჩვენთვის. შენთან დარჩენა მინდა. რადგან სადაც შენა ხარ, სამყარო იქ არის. მიწა ვერ გამათბობს ისე, შენი ცივი ხელი რომ მათბობს, ათასობით ადამიანი ვერ მაგრძნობინებს ისეთ სიყვარულს, ზღვის რიტმითა და შენი ბაგის სველი სურნელით სავსე შენი გულისცემა რომ მაგრძნობინებს უხსოვარი დროიდან უხსოვარ დრომდე. ჰო, მარად ახალგაზრდები ვიქნებით და არასოდეს მოვკვდებით. განუყრელნი ვიქნებით და ვერაფერი დაგვაშორებს. ჩვენ სახლს სიცოცხლის წყაროზე დავაფუძნებთ და მისი ცვალებადი კედლების ყველა საიდუმლოში დავმკვიდრდებით. და ფსკერზე არსებულ სარკეებში არეკლილ შენს გაა-

თასკეცებულ მშვენიერებას დავინახავ.

ანა: მე შეგიყვარებ შენი ერთგულებისთვის და შენი სიყვარულისთვის მეც გიერთგულებ.

I სირინოზი ნამღერებით: ზღვის ფსკერზე, ერთმანეთის მსურველნი,
ერთ ბაგედ ვქცეულვართ, ერთმანეთს ჩაწნულნი,
დავინყება-სიმშვიდის სურნელით
ვსუნთქავთ წყლით დაფარულნი.

II სირინოზი: მდუმარე ნავი, ჩვენ ზემოთ, მაღლა,
მინას ღიმილით წაიღებს შინ,
ღანვებშეფაკლული ტალღა
გრილ მზეს ხსოვნიდან შლის.

I სირინოზი: გვძინავს და აღარ გვახსენდება
წუთები — ნაპირთან გაფრენილი,
ნიჟარებივით ზღვის ფსკერს ჩაფრენილებს
გვეხვევა სიზმრები, ქვიშა და მარგალიტი.

ანა: მე შეგიყვარებ ერთგულებისთვის და გიერთგულებ სიყვარულისთვის.

ლორანცო: სირინოზების სიმღერა მესმის და ვიცი, რომ გიყვარვარ, თევის ქერცლით დაფარული კაბა გაცვია, ყელსაბამად წყალმცენარეები გაქვს და ვიცი, რომ გიყვარვარ. ისიც ვიცი, რომ მშვენიერი ხარ და სუნთქავ და სიცოცხლე და სამყარო ხარ, რადგან გიყვარვარ...

ანა: ...რადგან გიყვარვარ...

ლორანცო: ...რადგან გიყვარვარ...

ანა: ...რადგან გიყვარვარ...

„რადგან გიყვარვარ“ — ამ ფრაზას ტალღები ისე „ახშობენ“, თითქოს ჩახვეული კასეტა უკრავდეს. მუსიკა წყდება.

გამყიდველი ამთქნარებს: ამ სიზმარს ყიდულობთ თუ არა?

ლორანცო: დიახ, შევიძენ, თუ გავწვდები. ანგარიში გამომიწერეთ, გეთაყვა.

გამყიდველი: ადგილზე დარჩით... ერთი წამით, ბლოკნოტს მოვიტან.

ლორანცო: მართლა შემოიძლია... ოხ, ძალიან მიხარია...

გამყიდველი წერს: 14 და 3... და 7... ესე იგი, სულ... დიახ, ერთი თვე გადაიხადეთ... თუ შეიძლება.

ლორანცო ეჭვით: რაო, რაო? რა თქვით? შეამონმეთ.

გამყიდველი: არ გეხუმრებით. ალბათ, გეგონათ, რომ ფული უნდა გადაგეხადათ. მაგრამ უნდა გცოდნოდეთ, რომ სიზმრებს ფულით ვერ იყიდით. თქვენ დრო უნდა გადაიხადოთ. სიზმრები დრო ღირს, ზოგი სიზმარი ძალიან ძვირია, აურაცხელი დრო ღირს. ერთი სიზმარი გვაქვს — შემოიძლია გაგიმხილოთ, — მთელ სიცოცხლეს ვითხოვთ.

ლორანცო: ვშიშობ, ამდენი დრო არ მაქვს, პატარა სიზმრის დროც კი არ მექნება. **დაპირებასავით:** ბევრ ფულს, მთელ ჩემ დანაზოგს გადავიხდები ამ სიზმარში, მაგრამ უნდა ვიმუშაო, ჩემი სამუშაო კი ჩემს დროზე წინ დგას, ის ორიოდე დღე, ზამთარში ჩემთვის რომ ვზოგავ, მინდა მთაში გავატარო. ამ დასვენებაზე უარი რომც ვთქვა, ამ ძვირი სიზმრის შესაძენად დრო მაინც არ მეყოფა. **დაბნეული:** კი მაგრამ, რა დროა? საათი გაჩერდა. მგონი, მე... ალბათ... ძალიან გვიანია.

გამყიდველი: საცაა დილის რვის ნახევარი გახდება.

ლორანცო უაზროდ: დიახ, დიახ, რვის ნახევარი.

გამყიდველი: მაღაზია უნდა დავეკეტო. საერთოდ დილის ექვსამდე ვმუშაობთ! საღამოს ექვსიდან დილის ექვს საათამდე. იოლი სამუშაო არც ჩვენ გვაქვს. **ამთქნარებს.**

ლორანცო: მე ხომ... არა, ეს შეუძლებელია. დილის რვის ნახევარია! ახლავე სამსახურში უნდა წავიდე, ღმერთო მიშველე, არ უნდა დამაგვიანდეს!

გამყიდველი: ესე იგი, სიზმარს არ ყიდულობთ?

ლორენცო: ნახვამ... გმადლობთ, უკაცრავად... ამის საშუალება მართლა არა მაქვს. ჩემნაირები თავს ამის უფლებას ვერ მისცემენ... მაპატიეთ... ხო... აბა, კარგად...

ბამყიდველი კარს ალბს.

ლორენცო გარეთ გამოსვლისას ქუჩის ხმაური ისევ შემოიჭრება: კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა.

ბამყიდველი: არაფრის, არაფრის.

კარი იკეტება.

ლორენცო ქუჩაზე გადადის: ბატონო ინსპექტორო, მაპატიეთ, მართლა დილის რვის ნახევარია?

პოლიციელი: ამ დილაუთენია დალევა სად მოასწარიტ? რა თქმა უნდა, რვის ნახევარია. რა იყო?

ლორენცო: არაფერი. გმადლობთ. **გარბის.** სასწრაფოდ სამსახურში უნდა გამოცხადდე. **ყვირის:** ტაქსი! **ავტომობილი ჩაუქროლებს...** არ გააჩერა... ბატონო ინსპექტორო, უახლოეს ტაქსის გაჩერებას ვერ მიმასწავლიტ?

პოლიციელი: შეტეფანსპლატცზე...³ მეორე ქუჩაზე მარცხნივ... მერე მარჯვნივ გაუხვევტ.

ლორენცო: გმადლობთ, გმადლობთ, ვიცტი... მაგრამ ფეხით უფრო მალე მივალ.

გარბის, ქუჩის ხმაური ისმის, ისევ გარბის.

ალაყაფის კარი იღება, დაწესებულების ვესტიბიულში შედის.

ლორენცო სუნთქვა ეკვრის: დილა მშვიდობისა, ბატონო ნოვაკ... ბატონები უკვე გამოცხადდნენ?

ნოვაკი: დიახ, რა დაგემართათ? დღეს შეგაგვიანდატ. ბატონი მანდლი უკვე მოვიდა და შეფიც. გასალები მივეცი, ვიფიქრე, ავად იყავიტ.

ლორენცო: არა, არა... **კიბეზე სირბილ-სირბილიტ ადის.** დილა მშვიდობისა, ბატონო შპერლ.

შპარლი ჩაუვლის: დილა მშვიდობისა.

ლორენცო: დილა მშვიდობისა, ფროილან...

ფროილანი: დილა მშვიდობისა.

ლორენცო რომელიღაც კარს მთელი ძალიტ გამოაღებს: დილა მშვიდობისა, ფროილანი... ანა.

ანა: სალამი, სალამი, ბატონო ლორენცო. რა ხდება... დაგაგვიანდატ. შეფმა ის კი არ იგულისხმა გუშინ, რომ თქვენ... თიტქმის თერთმეტი წუთიტ დაგეგვიანებინატ.

ლორენცო: ფროილანი ანა... საბეჭდ... მანქანას... ახლავე წავიღებ... დიახ, ე...

მანდლი: სალამი, ჩემო ძვირფასო. გუშინ სად დამეკარგეტ? სად არ გექებეტ... ვერც სანაპიროზე გნახეტ... მაინც სად დამეკარგეტ... აბა, ამოღერღეტ.

ლორენცო: ბოდიში, მაგრამ... მირჩევნია არაფერი გიტხრატ...

მანდლი თიტქოს ვერ გაიგო: წარმოიდგინეტ, მერე მაინც ის მწვანე აბრეშუმის თავსაფარი ვიყიდე. ფროილანი ანა, ფერეცი ხომ იციტ?!
ანა: ფერეცის აბრეშუმის თავსაფრები ძალიან მომხიბლავია... სხვატა შორის, ლორენცო, ახლავე შეფტან უნდა გამოცხადღეტ.

ლორენცო: მართლა?

ანა აგრძელებს: ფერეცტან ზღაპრული თავსაფრები იყიდება, ასეტს სიზმარში ტუ ნახავ...

ლორენცო: მართლა?

ანა აგრძელებს: ფერეცტან ზღაპრული თავსაფრები იყიდება, ასეტს სიზმარში ტუ ნახავ...

სიტყვა „სიზმარში“ ბოლომღე ისმის ექოსავიტ, თიტქოს ფილტრში ისმოღეს.

ბენერალური დირექტორი: ლორენცო, სად დაიკარგეტ? სად ჯანდაბაში ხართ?

ლორენცო: ახლავე, მოვდივარ, ბატონო გენერალურო დირექტორო.

³ სტეფანეს მოედანი.

წერილები

როლან ბარტი

ინგლისურიდან თარგმნა
დავით ჩიხლაძემ

რა არის კრიტიკა?

ყოველთვის შესაძლებელია იდეოლოგიურ სიტუაციიდან გამოიყვანო მთავარი კრიტიკული პრინციპები, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, სადაც თეორიული მოდელები დიდი პრესტიჟულობით სარგებლობს. ეს მართლაც ასეა, რადგან ამ გზით ადამიანი რწმუნდება, რომ ის ერთდროულად მონაწილეობს ბრძოლაში, ისტორიასა და ტოტალურობაში; ფრანგული კრიტიკა, სხვადასხვაგვარი წარმატებით, სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე, მთავარ „ფილოსოფიათა“ წიაღში. უპირველეს ყოვლისა, ესაა, რასაც ზოგადად – და საეჭვოდ – ეგზისტენციალიზმი ეწოდება, და საიდანაც არსებითად სათავეს იღებს სარტრის კრიტიკული ნამუშევრები: მისი „ბოდლერი“, მისი „ფლობერი“, მცირე წერილები პრუსტის, მორიაკის, ჟიროდუს, პონჟის შესახებ და, რა თქმა უნდა, მისი ბრწყინვალე „ჟენე“. შემდეგ არის მარქსიზმი: ჩვენ ვიცით (და ეს არგუმენტი დიდი ხანია არსებობს), როგორი სტერილური აღმოჩნდა ორთოდოქსული მარქსიზმი კრიტიციზმში, როდესაც ნამუშევრის მხოლოდ წმინდა მექანიკურ ახსნას გვთავაზობდა ანდა ღირებულებათა კრიტერიუმების სანაცვლოდ დევიზებს გამოიმუშავებდა; ამიტომაც, მარქსიზმის მხოლოდ „საზღვრებთან“ (და არა მის საწინააღმდეგო ცენტრში) გვხვდება ყველაზე ნაყოფიერი კრიტიკა: ლუსიენ გოლდმანის ნამუშევარი ნამდვილად დიდადაა დავალებული ლუკასისგან; ეს ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და ორიგინალური კრიტიციზმია, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ ისტორიას საკუთარი ათვლის წერტილად განიხილავს. შემდეგ ეს არის ფსიქოანალიზი; დღეს, საფრანგეთში ფროიდული კრიტიციზმის საუკეთესო წარმომადგენელი შარლ მარონი გახლავთ აქაც ეს მხოლოდ „მარგინალური“ ფსიქოანალიზია, რაც ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა; ა. ბაშელარმა საწყისად სუბსტანცია აიღო (და არა ნამუშევართა) ანალიზი, უმეტეს პოეტთა შემთხვევაში იმიჯის დინამიურ სახეცვლილებებს გაჰყვა და რაღაც კრიტიკის სკოლის მსგავსი დააარსა, იმდენად გავლენიანი, რომ შეიძლება დღეს ამას ფრანგული კრიტიციზმიც კი ვუწოდოთ, მის იმ ყველაზე განვითარებულ ფორმაში – რასაც კრიტიციზმის ბაშელანური ინსპირაცია ეწოდება (პულე, სტარობინსკი, რიშარი). და ბოლოს, ჩვენ გვაქვს სტრუქტურალიზმი (ან – თუ ტერმინს გავამარტივებთ ექსტრემალური და უეჭველად შეურაცხმყოფელი განმარტებისკენ – ფორმალიზმი): ჩვენთვის ცნობილია მნიშვნელოვნება, თვით მოდაც კი ამ მოძრაობაზე საფრანგეთში მას შემდეგ, რაც ლევი-სტროსმა ამ სფეროში ხელმისაწვდომი გახადა სოციალური მეცნიერებები და გარკვეული ფილოსოფიური რეფლექსიები; ჯერ მხოლოდ რამდენიმე კრიტიკული ნამუშევარი შეიქმნა აქ, მაგრამ ისინი ჯერ მზადების პროცესშია და მათ შორის ჩვენ აუცილებლად აღმოვაჩინებთ ლინგვისტიკური მოდელების გავლენას, რაც სოსიურის მიერ იქნა კონსტრუირებული და შემდეგ იაკობსონის მიერ განვითარებული (ვინც, თავის მხრივ, საკუთარი კარიერის დასაწყისში მონაწილეობდა რუსული ფორმალისტური სკოლის ლიტერატურული კრიტიციზმის მოძრაობაში): აქ შესაძლებლად წარმოჩნდება, მაგალითად, მთელი ლიტერატურული კრიტიციზმის განვითარება ორი რიტორიკული კატეგორიიდან, რაც იაკობსონმა ჩამოაყალიბა: მეტაფორიდან და მეტონიმიიდან.

როგორც ვხედავთ, ეს ფრანგული კრიტიციზმი ერთდროულად არის „ნაციონალური“ (მას ნაკლები კავშირი აქვს ან საერთოდ არ გააჩნია ურთიერთობა ანგლო-ამერიკულ კრიტიციზმთან, სპიტცერთან და მის მიმდევრებთან და კროჩელებთან), თან თანამედროვეც არის (შეიძლება ვინმემ „ურწმუნოც“ უწოდოს): მთლიანად შეზავებული გარკვეულ იდე-

ოლოგიურ ანმყოში იგი უხალისოდ აღიარებს ნებისმიერ თანამონაწილეობას სენ-ბიუის, ტაინის ან ლანსონის კრიტიკულ ტრადიციაში. ეს ბოლო მოდელი, მიუხედავად ყველაფრისა, წამოწმებს განსაკუთრებულ პრობლემას ჩვენი თანამედროვე კრიტიკისათვის. სამუშაო, მეთოდი და სული ლანსონის, თავის მხრივ ფრანგი პროფესორის პროტოტიპს რომ წარმოადგენს, კონტროლს უწევდა მისი უთვალავი ეპიგონის საშუალებით მთელ აკადემიურ კრიტიციზმს ორმოცდაათი წლის განმავლობაში. რამდენადაც ამ კრიტიციზმის (აღიარებული) პრინციპები მძაფრი და ობიექტურია ფაქტების ჩამოყალიბებაში, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ლანსონიზმი და იდეოლოგიური კრიტიციზმები შეუთავსებელია, რომლებიც ინტერპრეტაციის კრიტიკას წარმოადგენენ.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი კრიტიკოსების უმეტესობა დღეს პროფესორები არიან, არსებობს გარკვეული დაძაბულობა ინტერპრეტაციულ კრიტიციზმსა და პოზიტივისტურ (აკადემიურ) კრიტიციზმს შორის. ეს იმიტომ, რომ თავად ლანსონიზმი იდეოლოგიაა; ლანსონიზმი არ კმაყოფილდება იმით, რომ მოითხოვოს ყველა სამეცნიერო გამოკვლევის ობიექტური კანონების გამოყენება, ის წარმოადგენს გარკვეულ ძირითად მოსაზრებებს ადამიანზე, ისტორიაზე, ლიტერატურასა და დამოკიდებულებაზე ავტორსა და ნაწარმოებს შორის; ლანსონიზმის ფსიქოლოგია დღეს უკვე უკიდურესად მოძველებულია, შედგება მთლიანად ანალოგიური დეტერმინიზმის სახეობებით, რომლის მიხედვითაც ნაწარმოების დეტალები უნდა ჰგავდეს ცხოვრების დეტალებს, პერსონაჟის სული უნდა ჰგავდეს ავტორის სულს, და ა.შ. – ეს გახლავთ ძალზე სპეციალური იდეოლოგია, რადგანაც სწორედ მომდევნო წლებში მოხდა ფსიქოანალიზის ჩამოყალიბება, რომელმაც გამოავლინა საწინააღმდეგო დამოკიდებულებები, უარყოფის დამოკიდებულებანი ნამუშევარსა და ავტორს შორის. მართლაც, ფილოსოფიური პოსტულატები ურთიერთჩანაცვლებადია; ლანსონიზმი დამნაშავეა არა საკუთარი ცრუნანამძღვრებისათვის, არამედ იმ ფაქტისთვის, რომ ის მალავს მათ და ნიღბავს პირდაპირობის და ობიექტურობის მორალური ალიბით: აქ იდეოლოგია სამეცნიერო ტვირთთან შეპარებულია როგორც კონტრაბანდული საქონელი.

ყველა ეს სხვადასხვა იდეოლოგიური პრინციპი ერთსა და იმავე დროს შესაძლებელია არსებობდეს (და მე, ჩემის მხრივ, მივმართავ ყოველ მათაგანს ერთსა და იმავე დროს), რადგან იდეოლოგიური არჩევანი არ შეადგენს კრიტიციზმის არსს და “ჭეშმარიტება” არ არის მისი სანქცია. კრიტიციზმი უფრო მეტია, ვიდრე დისკურსი “ჭეშმარიტი” პრინციპების სახელით. აქედან გამომდინარეობს, რომ უმძიმესი ცოდვა კრიტიციზმში იდეოლოგია კი არა, ის დუმლია, რომლითაც ინიღბება და ამ დანაშაულებრივ დუმლს თავისი სახელი აქვს: *კეთილსინდისიერება*, ან მეორე მხრივ, *არაკეთილსინდისიერება*. მართლაც, როგორ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ნაწარმოები არის მისი შემქმნელი ავტორის ფსიქიკისა და ისტორიის გარეთ არსებული ობიექტი, რომელზეც კრიტიკოსმა გარკვეული ექსტრატერიტორიალური უფლება უნდა გამოიყენოს? რა სასწაულით წყვეტს ნამდვილი კომუნიკაცია ურთიერთობას საკუთარ საქმიანობასთან და საკუთარ ეპოქასთან, რასაც უმეტესი კრიტიკოსები აღიარებენ, როგორც არსებულს ნაწარმოებსა და მის ავტორს შორის? ყოველგვარი კრიტიციზმი საკუთარ დისკურსში უნდა მოიცავდეს (თუნდაც ის ყველაზე არაკორექტიული, ზომიერი და წარმოსადგენი მიზეზით არსებობდეს) ნაგულისხმებ რეფლექსიას საკუთარ თავზე; ყოველი კრიტიციზმი არის ნამუშევრის კრიტიციზმი და საკუთარი თავის კრიტიციზმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრიტიციზმი სულაც არ არის შედეგთა ტაბლო ან დასკვნათა სერია, რაც უშუალოდ შეეხება ისტორიულ და სუბიექტურ არსებობას (ეს ერთი და იგივე საგნებია). შეიძლება აქტიურობა იყოს “ჭეშმარიტი”? ის სრულიად სხვა მოთხოვნებს ეხმაურება.

როგორ შემოვლით გზასაც არ უნდა მიმართოს ლიტერატურის თეორიამ, ყოველი რომანისტი და ყოველი პოეტი მოიაზრება, როგორც ადამიანები, რომლებიც საუბრობენ ობი-

ექტებსა და ფენომენებზე, თუნდაც წარმოსახვითზე, ენის გარეთ თუ შიგნით: სამყარო არსებობს და მწერალი ლაპარაკობს: ეს არის ლიტერატურა. კრიტიკის ობიექტი კი სრულიად სხვაა; კრიტიკის ობიექტი არის არა „სამყარო“, არამედ დისკურსი, ვილაცის დისკურსი: კრიტიციზმი არის დისკურსის დისკურსი; ის მეორადი ენაა, ან მეტაენა (როგორც ლოგიკოსები იტყოდნენ), რომელიც ოპერირებს პირველად ენაზე (*ენობრივ ობიექტზე*). აქედან გამომდინარეობს, რომ კრიტიკის ენას საქმე აქვს ორი სახის ურთიერთობასთან: კრიტიკის ენის ურთიერთობასთან შესასწავლი ავტორის ენასთან და ასევე ამ ენობრივი ობიექტის ურთიერთობასთან, სამყაროსთან მიმართებაში. სწორედ ეს გადაკვეთა ორ ენას შორის განსაზღვრავს კრიტიციზმს და შეიძლება დიდადაც ამსგავსებს მას მეორე მენტალურ აქტივობას – ლოგიკას, რომელიც ასევე დაფუძნებულია განსხვავებაზე ენობრივ ობიექტსა და მეტაენას შორის.

რადგან, თუ კრიტიციზმი მხოლოდ მეტაენაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ამოცანა სულაც არ არის „ჭეშმარიტებების“ აღმოჩენა, არამედ მხოლოდლა „დასაბუთებულობის“. საკუთარ თავში, ენა არ არის არც ჭეშმარიტი და არც ყალბი, ის მხოლოდ არის ან არ არის საფუძვლიანი: საფუძვლიანი, ანუ წარმოადგენს ნიშნების სისტემის მთლიანობას. ლიტერატურული ენის წესები არ გულისხმობს ამ ენის მისადაგებას რეალობასთან (როგორც არ უნდა ამტკიცებდნენ ამას რეალისტური სკოლები), არამედ მხოლოდ შესაბამისობას ნიშნების იმ სისტემასთან, რომელიც ავტორმა დააფუძნა (და ჩვენ, ცხადია, აქ სისტემას უნდა მივცეთ მკაცრი განსაზღვრება). კრიტიციზმი არ არის პასუხისმგებელი იმაზე, თქვა თუ არა „სიმართლე“ პრუსტმა, იყო თუ არა ბარონ დე სარლუსი მართლაც გრაფი მონტესკიე, იყო თუ არა ფრანსუაზ სელესტე, ან თუნდაც, უფრო ზოგადად, სწორად ასახავს თუ არა პრუსტის აღწერილი საზოგადოება არისტოკრატიის გაქრობის ისტორიულ პირობებს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს; მისი როლია მხოლოდლა იმ ენის გამომუშავება, რომლის მთლიანობა, ლოგიკა, მოკლედ, სისტემატიკა შეძლებს კოლექტირებას ან, მეტიც, ინტეგრირებას (ამ სიტყვის მათემატიკური მნიშვნელობით) უმეტესი შესაძლებელი რაოდენობების პრუსტიანული ენის, ისევე როგორც ლოგიკური გათანაბრება ადგენს საზრისის საფუძვლიანობას — მისი მამობილიზებული არგუმენტების „ჭეშმარიტების“ ამა თუ იმ მხარეზე დადგომის გარეშე. შეიძლება მავანმა განაცხადოს, რომ კრიტიკის ამოცანა (და ეს მისი უნივერსალურობის ერთადერთი გარანტიაა) წმინდად ფორმალურია: არა ის, რომ „აღმოაჩინოს“ ნამუშევარში თუ ავტორში რაიმე „დაფარული“, „ღრმა“ და „საიდუმლო“, რაც აქამდე შეუმჩნეველი დარჩა (განა რა სასწაულით? ნუთუ ჩვენ უფრო დაკვირვებულები ვართ, ვიდრე ჩვენი წინამორბედები?), არამედ მხოლოდ მიუსადაგოს მისი პერიოდის ენა (ექზისტენციალიზმი, მარქსიზმი, ფსიქოანალიზი) იმ ენას, ანუ ლოგიკური აგებულებების ფორმალურ სისტემას, რომელიც ავტორმა გამოიმუშავა მის საკუთარ პერიოდთან დაკავშირებით. კრიტიციზმის „დასაბუთება“ არის არა „ალერტიკული“ რიგი (ის არ გამომდინარეობს ჭეშმარიტებისგან), რადგანაც კრიტიკული დისკურსი – როგორც, უფრო მეტად, ლოგიკური დისკურსი – სხვა არაფერია, თუ არა ტავტოლოგიურობა: ის მთლიანად მეტყველებაში გამოიხატება, თუმცა მთელ თავის არსს დაყოვნებაში ათავსებს, რაც სულაც არ არის უმნიშვნელო: რასინი რასინია, პრუსტი პრუსტია; კრიტიკული „დასაბუთება“, თუკი ასეთი არსებობს, დამოკიდებულია სათანადოობაზე არა *აღმოაჩინოს* განსახილველი ნამუშევარი, არამედ საპირისპიროდ, რამდენადაც შესაძლებელია, დაფაროს ის საკუთარი ენით.

ასე რომ, ჩვენ კვლავ საქმე გვაქვს თავისი არსით ფორმალურ საქმიანობასთან, ამ ტერმინის არა ესთეტიკური, არამედ ლოგიკური გაგებით. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიტიციზმისათვის „კეთილსინდისიერების“ ან „არაკეთილსინდისიერების“ თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ მან საკუთარ მორალურ მიზნად გაიხადოს არა ნამუშევრის შინაარსის გაშიფვრა, არამედ იმ წესებისა და აგებულებების რეკონსტრუქცია, რაც მისი მნიშვნელობით არის გამომუშავებული; ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია საბოლოოდ ვაღიაროთ, რომ

ლიტერატურული ნამუშევარი არის ძალზე სპეციფიკური სემანტიკური სისტემა, რომლის მიზანიცაა მიანიჭოს „მნიშვნელობა“ და არა „რაიმე მნიშვნელობა“ სამყაროს; ნაწარმოები, რომელიც მალღდება კრიტიკულ დაკვირვებამდე – და, ალბათ, ეს არის დეფინიცია „კარგი“ ლიტერატურის – არასოდეს არის ბოლომდე არააღმნიშვნელი (მისტერიული ან „ინსპირირებული“) და არც არასოდეს არის გამჭვირვალე; ეს არის, როგორც მავანმა შეიძლება თქვას, შეჩერებული მნიშვნელობა: ის საკუთარ თავს სთავაზობს მკითხველს, როგორც მიღებული აღმნიშვნელი სისტემა და ამავე დროს იშორებს აღსანიშნ ობიექტს. ეს დაუკმაყოფილებლობა ობიექტით, ერთი მხრივ, იძლევა ახსნას, თუ რატომ აქვს ლიტერატურულ ნამუშევარს ამდენი ძალა, რომ შეკითხვები დაუსვას სამყაროს (ძირს უთხრის რა დამტკიცებულ მნიშვნელობებს, რომლებიც გააჩნია იდეოლოგიებს, რწმენებს და საღ აზრს), ისე რომ, არც კი პასუხობს ამ კითხვებს (არ არსებობს არც ერთი დიდი ნამუშევარი, რომელიც „დოგმატურია“), ხოლო მეორე მხრივ, თუ რატომ წარადგენს საკუთარ თავს უსასრულო გაშიფვრებისთვის, მაშინ როდესაც ჩვენთვის ისედაც არანაირი აზრი არა აქვს, შევწყვიტოთ საუბარი რასინზე ან შექსპირზე (გარდა მიუღებლობის შემთხვევისა, რაც ასევე ენაა თავისთავად): საკუთარი ერთდროულად ჯიუტი მოთხოვნით მნიშვნელობაზე და დაბეჯითებითი ესკაპისტური მნიშვნელობით, ლიტერატურა, მართლაც, მხოლოდ ენაა, ანუ ნიშნების სისტემა; მისი არსი არა მის გზავნილშია, არამედ ამ „სისტემაში“. ამგვარად, კრიტიკოსის პასუხისმგებლობა არაა ნამუშევრის გზავნილის რეკონსტრუქცია, არამედ მხოლოდ მის სისტემას წარმოადგენს; ისევე, როგორც ლინგვისტი არ არის პასუხისმგებელი წინადადების მნიშვნელობის გაშიფვრაზე, არამედ ფორმალური სტრუქტურის აშენებაზე, რაც გადაცემის საშუალებას აძლევს ამ მნიშვნელობას.

მხოლოდ იმის აღიარებით, რომ ის არაუმეტესია, ვიდრე ენა (ან უფრო სწორად, მეტაენა) კრიტიციზმს შეუძლია – პარადოქსულად, მაგრამ ავთენტურად – იყოს ობიექტური და სუბიექტური, ისტორიული და ექზისტენციური, ტოტალიტარული და ლიბერალური. რადგანაც ერთი მხრივ, ენა, რომელსაც ყველა კრიტიკოსი ირჩევს სასაუბროდ, უბრალოდ, ციდან არ ჩამოდის მასთან; ის იმ ერთი ენათაგანია, რომელსაც მისი ეპოქა სთავაზობს, ის ობიექტური პროდუქტია, გარკვეული ისტორიული ნაყოფია ცოდნის, იდეებისა და ინტელექტუალური მისწრაფებების – ის აუცილებლობაა; ხოლო მეორე მხრივ, ეს აუცილებელი ენა აირჩევა ყოველი კრიტიკოსის მიერ, როგორც თანმიმდევრობა გარკვეული ეგზისტენციალური ორგანიზაციის – როგორც სავარჯიშო ინტელექტუალური ფუნქციისა, რომელიც მას უფლებით ეკუთვნის; სავარჯიშო, რომელშიც ის სდებს საკუთარ „სიღრმეს“, ანუ საკუთარ არჩევანს, საკუთარ სიამოვნებებს, საკუთარ წინააღმდეგობებს, საკუთარ აკვიატებებს. ასე იწყება, კრიტიკული ნამუშევრის შუაგულში, დიალოგი ორი ისტორიისა და ორი სუბიექტურობის, ავტორისა და კრიტიკოსის. მაგრამ ეს დიალოგი ეგოისტურად გადაყვანილია ან-მყოსაკენ: კრიტიციზმი არ არის „პატივისცემა“ წარსულის ჭეშმარიტებისადმი ან „სხვათა“ ჭეშმარიტებისადმი – ის არის კონსტრუქცია ჩვენი დროის საზრისისა.

თამარ კოტრიკაძე

„მე ვარ აღამიანი“

რამდენიმე მოსაზრება ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე

ის, რასაც ბავშვობაში ვისმენთ და ვკითხულობთ, ჩვენი ცხოვრების უპირველეს, უღრმეს და ფუძემდებელ შთაბეჭდილებებად რჩება. ამით, ცხადია, ახალს არაფერს ვამბობ. როგორც მუდამ ხდება ხოლმე, საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობასაც ალბათ მთელი სიმძაფრით მაშინ შევიგრძნობთ, როდესაც მის დანაკლისს განვიცდით. ხოლო ჩვენში დღეს სწორედაც რომ იშვიათობაა ნამდვილად კარგი საბავშვო წიგნი, — მგონი, არც ამით გამოვთქვამ ახალ და ორიგინალურ აზრს, თუმცა შეიძლება ვინმე არც დამეთანხმოს.

ძალიან სასიხარულოა ის, რომ ბოლო წლებში წიგნის დახლები სულ უფრო ივსება ახალი, ლამაზად დაბეჭდილი საბავშვო გამოცემებით, რომელთა შორის შემეცნებითი ლიტერატურაც ბევრია, მაგრამ ამ წიგნების უმრავლესობა უცხოური გამოცემების თარგმანს ან პირდაპირ რეპრინტს წარმოადგენს. თარგმნილი ლიტერატურა და მისი ხარისხის შეფასება ცალკე თემაა, მაგრამ რაც შეეხება ორიგინალურ საბავშვო ლიტერატურას, ამ წერილს არც მისი ყოვლისმომცველი განხილვის პრეტენზია აქვს: საამისოდ უბრალოდ საკმაო ინფორმაციას არ ვფლობ. მხოლოდ რამდენიმე, თანაც, თუნდაც რაიმე ერთი ასპექტით მნიშვნელოვან და მოსაზრებ, მაგალითზე შევჩერდები.

შესაძლოა, სულაც არ მქონდეს მორალური უფლება, შევეხო ამ თემას, რადგანაც თვითონ ჩემთვის ქართული წიგნები არ ყოფილა სამყაროს გაცნობის პირველწყარო. ჩემი თაობის მრავალი წარმომადგენლის მსგავსად, მეც გავიზარდე ისეთ უმდიდრეს და მრავალფეროვან საბავშვო ლიტერატურაზე, როგორც რუსულია. მხოლოდ კორნეი ჩუკოვსკის, სამუილ მარშაკის, ედუარდ უსპენსკის თუ ალექსეი ტოლსტოის სახელების ჩამოთვლაც კმარა, რათა მის სიმდიდრეში დავრწმუნდეთ; და რამდენია კიდევ საბავშვო ლიტერატურის რუსი ავტორი, რომლის გვარიც არ გვამახსოვრდება, წიგნი კი სამუდამოდ ჩვენი სულის ნაწილად რჩება; და რამდენია თხელი თუ სქელტანიანი, პატარა თუ დიდი, მუდამ მიმზიდველად გაფორმებული საბჭოთადროინდელი წიგნის სრულიად გენიალური ილუსტრატორი: მისი შრომა ხომ თავისი მნიშვნელობით ავტორისას უტოლდება!

თუმცა, შესაძლოა, იმან, რომ ქართულ ლიტერატურას გარეშე თვალთ აღვიქვამ, ჩემს მსჯელობას ობიექტურობა შესძინოს. გამართლებად ის მცირე გამოცდილებაც მეგულება, ჩემს შვილთან მიმართებაში რომ შევიძინე. სწორედ მის „პირად ბიბლიოთეკას“ დავესესხები ამ წერილისათვის.

კარგი საბავშვო წიგნი, ჩემის აზრით, აუცილებლად უნდა იყოს სახალისო და გასართობი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მხოლოდ გასართობი, მხოლოდ დროის გასაყვანი. ბავშვის დრო მეტისმეტად ძვირფასია იმისათვის, რომ ის უქმად გავფლანგოთ! წიგნი შემეცნებითი უნდა იყოს, მაგრამ არც მხოლოდ მშრალი ინფორმაციაა საკმარისი. სხვათა შორის, რაოდენ საკვირველიც არ უნდა გვეჩვენოს, ბავშვის მიერ ნაწარმოების მოწონება ჯერ კიდევ არ მოწმობს მის მხატვრულ ღირსებაზე: გავიხსენოთ თუნდაც ის, თუ რა მდარე ხარისხის, აზრისაგან დაცლილ და აგრესიით სავსე მულტფილმებს უყურებენ — და რა გაცაცებით უყურებენ! — ჩვენი შვილები. გართობა საერთოდ არ უნდა იყოს თვითმიზანი, არადა დღეს ძალზე ხშირად სწორედ ასე ხდება. მრავალფეროვანი და თავშესაქცევი ზედაპირის მიღმა საბავშვო წიგნი უნდა შეიცავდეს ძალზე სერიოზულ, მსოფლმხედველურ **ბირთვის**, რომელიც, ამავე დროს, არ იქნება მეტისმეტად თვალშისაცემი. ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით, უკვე დიდობაში უნდა ვაცნობიერებდეთ, თუ რა ზნეობრივი, სულიერი, ემოციური

საძირკველი ჩაიყარა ჩვენში ამ ბირთვის სახით. და, აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ამ ბირთვის შინაარსს. მართლაც უდიდეს პასუხისმგებლობას უკავშირდება ბავშვის სულში ჩაყრილი თესლის დროული და ზომიერი გაღვივება: ზოგიერთი ფასეულობის ნაადრევი ან გადამეტებული წინ ნამონევა სამუდამოდ გვიმახინჯებს მენტალიტეტს. აქ, პირველ რიგში, ეროვნულ და რელიგიურ ფასეულობებს ვგულისხმობ. ამავე დროს, ვერც დიდი იდეალების (როგორცაა, თუნდაც, მეგობრობა, მშვიდობა, სიყვარული) შაბლონური გამეორება გამოიღებს შედეგს: ბავშვი მაშინვე იგრძნობს სიყალბეს. ალბათ აქ ცალსახა რეცეპტი არ არსებობს, ერთი კია: ნამდვილ მწერალს მსგავსი რამ არ შეეშლება.

და კიდევ: საბავშვო ლიტერატურა განუყოფელია ფოლკლორისაგან, რომელიც თავისთავად უკვე გვევლინება (ცხადია, არა მარტო საბავშვო) საკითხავ ლიტერატურად. ამ მხრივაც, ვთვლი, რომ სხვა ერებზე ნაკლებად გაგვიმართლა: ჩვენს ფოლკლორს არ განუცდია ლიტერატურული „კულტივირების“ ის პროცესი, რაც გერმანიაში ძმებმა გრიმებმა ჩაატარეს, საფრანგეთში — შარლ პერომ, რუსეთში — ა. ათანასევმა და სხვებმა, ამიტომაც ჩვენი უმდიდრესი ფოლკლორი ბუნებრივი, არქაული სახით შემოგვრჩა, რაც მას ასგზის უფრო თვითმყოფადსა და საინტერესოს ხდის მკვლევრისა და მოზრდილი მკითხველისათვის, მაგრამ არა ბავშვისთვის: ამ „ნედლი“ სახით ქართული ზღაპრები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ადრეულ ასაკში მძიმე აღსაქმელია.

რაც შეეხება საავტორო საბავშვო ლიტერატურას, ფოლკლორი მის აუცილებელ მასაზრდოებელ წყაროდ რჩება, — ეს ის ეროვნული მითოსია, რომელიც უფაქიზესად, შეუმჩნევლად გვიყალიბებს ეროვნულ თვითშეგნებასა და ნამდვილ, საღ პატრიოტიზმს.

* * *

ჩემს ხელთაა გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ 1973 წელს დაბეჭდილი ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“, — ჩემი მეუღლისა და მისი და-ძმების ბავშობის საყვარელი საკითხავი, რომელსაც ოთხი-ხუთი წლის ასაკში ჩემი შვილიც სიამოვნებით ისმენდა. ამ წიგნის ბოლოდროინდელი გამოცემაც მინახავს, რაც იმაზე მოწმობს, რომ მას ახლაც კითხულობენ არა მხოლოდ ჩვენს ოჯახში.

„დაჩის ზღაპრები“ მართლაც არ არის დასავიწყებელი წიგნი. კითხვისას მას ვერ მოსწყდები, ყოველ პასაჟს ნამდვილი მწერლის ხელი ეტყობა. ამავე დროს, საინტერესო, სათავგადასავლო შინაარსის მიღმა მასში ვხვდებით მნიშვნელოვან სათქმელსაც. მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს ამ წიგნის პარადოქსი — ყოვლად გამაოგნებელი და ღრმად დამაფიქრებელი.

ოტია იოსელიანი მოგვითხრობს ოჯახზე, რომელშიც იზრდებიან უფროსი ბავშვები, ბაჩო და მანო, და ნაბოლარა დაჩი, რომლის დაბადების მომსწრენი ვხვდებით და რომელიც სიუჟეტის მსვლელობისას ორი-სამი წლის ასაკს აღწევს. ეს — რეალურ სინამდვილეში. ხოლო ამ საერთო ჩარჩოში ჩასმულ ზღაპრებში, რომლებსაც დაჩის ძილის წინ უფროსი და-ძმა უამბობს, მთავარი გმირი „განთქმული მონადირეა“, ის მოგზაურობს და უამრავ ფათერაკშიც ებმება. ეს მომენტი, ისევე, როგორც ზღაპრების არქაულ-ფოლკლორული ფონი, დაჩის იმ მითიურ მზეჭაბუკებთან აახლოებს, დაბადებისთანავე რომ ზეადამიანური ძალით გამოირჩევიან და ურჩხულებს ერკინებიან (დაჩის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯებისაგან მინა იძვრის. ერთ-ერთ თავს ასეც ეწოდება: „დაჩი დადგა, მინა იძრა!“). მაგრამ ის, ამავე დროს, ჩვეულებრივი ბავშვიცაა და ამიტომ ძალზე ცოცხალ ხასიათად რჩება, ბოლომდე არასოდეს სცილდება სინამდვილის იმ პირველ, რეალურ პლასტს, რომელშიც გაკვრითაა მოხაზული თანამედროვეობა. თუმცა ეს მაინც ძველი ტრადიციების მატარებელი თანამედროვეობაა: ნახსენებია ჟურნალები, სკოლის კედლის გაზეთი და სხვა, მაგრამ, ამავე დროს, ახალდაბადებულ ბავშვს აკვანში აწვევენ (აკვანში მწოლიარე ყრმა ხომ ზოგადად კავკასიური მითოსის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა). დაჩი ორივე სინამდვილის ცენტრი და მამოძრავებელი ძალაა: რასაკვირველია, მას მთელი ოჯახი თავს ევლებს, ხოლო ოჯახი

ნიგნში კოსმოსთან იგივედება ასე რომ, მთელი სამყაროს შუაგული ეს პატარა გოლიათია.

ხასიათით დაჩი სრულიად შეესაბამება ტრადიციულ ქართულ წარმოდგენებს მამაკაცობაზე: პირქუში და გაუცინარია, გულფიცხიც: ოდნავ შეურაცხყოფასაც არავის აპატიებს („მე დაჩი ვარ!“ — წამდაუნუმ ისმის მისი ამაყი შეძახილი). თავის ბავშვურ ემოციებს მხოლოდ დედასთან გამოხატავს; ჯიუტი ახირებებიც სჩვევია. მოკლედ — თავისი მშობლიური კუთხის ნამდვილი შვილია. ის, რომ დაჩი მონადირეა, მართალია, უხდება ზღაპრების საერთო ტონალობას, მაგრამ მაინც გაუცხოების გრძნობას ბადებს თანამედროვე მკითხველში. აქ ნიგნის ორ სინამდვილეს შორის მძაფრი დისონანსი შემოდის. მკითხველი ხომ გარკვეულწილად ყოველთვის აიგივებს თავს მთავარ პერსონაჟთან, მაგრამ როგორ უნდა გაუგონ ჩვენმა შვილებმა თავიანთ თანატოლ ბიჭს, რომელსაც ვაჟკაცობად მიაჩნია, ჟლიტოს ნადირი, დღეს რომ სანთლით საძებარი და გასაფრთხილებელია (ასევე გაუგებარია ჩვენთვის დღეს ჰემინგუეის თავმომწონე მონადირული პათოსი). თუმცა უნდა ვაღიაროთ: „დაჩის“ ავტორი კონკრეტული ეპიზოდების აღწერისას ზოგავს თანამედროვე ბავშვის გრძნობებს. მონადირე ტყავს არ აძრობს დედა ვეფხვს, თუმცა მხოლოდ იმის გამო, რომ მის ბოკვერებს უცხადებს სოლიდარობას: მასაც ხომ მათსავით ჰყავს დედა და დედის რძე ყველაფერს ურჩევნია. ასევე მშვიდობიანად მთავრდება ქორბუდა ირმის ისრით მოკვლის ამბავი: დაჩის თხოვნით მას ჩიტი უკვდავების ნყლით აცოცხლებს, მაგრამ ესეც ძმის დარდს გადაყოლილი დის, მჭლე ირმის, ხათრით, რომლის სიკვდილიც მონადირის გეგმებში არ შესულა. სიბრალულის ეს ეპიზოდები საკმაოდ სენტიმენტალურ-დაშაქრულად და ცოტათი ყალბადაც კი გამოიყურება. როგორც ამ შემთხვევებში, ისე საერთოდაც, გმირსა და ავტორს თავად ცხოველები ნაკლებად აღელვებთ, მათთან დაკავშირებული ამბები მხოლოდ იგავური მაგალითებია მთავარი აზრის გამოსათქმელად, ეს აზრი კი ასეთია: ოჯახი და ნათესაური ურთიერთობები ამქვეყნად უნმინდესია.

დაჩის დაბადებასა და ზრდასთან დაკავშირებულ თავებს მეთოდური კანონზომიერებით მოსდევს: „დედის ზღაპარი“, „მამის ზღაპარი“, „ბებიას და ბაბუას ზღაპარი“, შემდეგ, შესაბამისად, „ძმის“, „დაიას“, „ბიძაშვილები“, „მეზობლის ბიჭისა“ და „მეზობლის გოგოს“ ზღაპრები. თითოეული მათგანი წარმოგვიდგენს ამა თუ იმ კონკრეტული ნათესაურ-ახლობლური კავშირის ნიუანსებს და მის დაფასებას გვასწავლის.

ნიგნის ყველა დანარჩენი პერსონაჟი ამ მკაცრად შემოსაზღვრული წრის ფარგლებს გარეთაა მოქცეული, ხაზგასმით უცხოა და მტრულად განწყობილი. ესენია: დევები, ჭინკა, ეშმაკი, კუდიანი დედაბერი, გველეშაპი. ამას გარდა არის ცხოველთა სამყარო, რომელიც, როგორც აღინიშნა, ადამიანთან მიმართებაში პასიურ, უუფლებო, ნაკლებმნიშვნელოვან როლს თამაშობს. გამონაკლისს შეადგენენ მონადირეები, რომლებიც დაჩის „ვეფხვების ქვეყანაში“ გამართულ ლხინზე მასპინძლობენ, — მასავით ორ, სამ თუ ექვსკბილამოჭრილი ბავშვები, თუმცა მათთან გმირს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ სუფრული ურთიერთობები აკავშირებს (მათი წვეულება ძალზე წააგავს ქართულ სუფრას, იმ განსხვავებით, რომ ღვინის მაგიერ ყანწებით სხვადასხვა სახის რძეს მიირთმევენ).

რამდენიმე დღით საქმეზე წასული დედის მონატრება დაჩის პირველად გააცნობიერებინებს იმ უცხადეს ჭეშმარიტებას, რომ დედაზე ტკბილი ქვეყნად არავინ და არაფერია. მას არაფრით არ სურს დაეთანხმოს შინ მობრუნებულ დედას იმაში, რომ, პირიქით, შვილია ამქვეყნად უძვირფასესი; კითხვა-კითხვით შემოივლის სამეზობლოსა და ტყეს და დარწმუნდება, რომ დედებიცა და შვილებიც თავის მხრივ მართლები არიან. დედაშვილობაზე წმინდა მართლაც რა უნდა იყოს ადამიანისთვის: ამაზე მსჯელობა უკვე ბანალურიც კია, და მაინც ეს, როგორც ჩანს, მარადიულ თემად დარჩება.

დაახლოებით მსგავსი მორალით გვირგვინდება ყველა დანარჩენი ამბავი. მათგან ერთ-ერთმა კი გამორჩეულად, მეტი რომ არ ვთქვათ, შოკის მომგვრელად იმოქმედა ჩემზე. აი, რას მოგვითხრობს „ძმის ზღაპარი“. უფროს ძმაზე, ბაჩოზე, გაგულისებულ დაჩი მის დაუკითხავად, მისი რჩევა-დარიგების გარეშე მიდის სახლიდან. ბაჩოს სიტყვებს: „მე შენი ძმა ვარ და უნდა მკითხო“ დაჩი ჯიუტად უპასუხებს: „შენ ძმა არა ხარ და სადაც მინდა იქ წავალ!“ ძმას რომ მოიკვეთს, საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი დაჩი დევს გადაეყრე-

ბა. მის შეკითხვას, ძმა თუ გყავსო, დაჩი უარყოფითად პასუხობს. დაიმედებული დევი მას ადვილად მოატყუებს, — არადა, ძმის რჩევა ამ ხიფათს თავიდან ააცილებდა, — და გამოქვაბულში გამომამწყვდევს, რასაც ვერ გაბედავდა, დაჩის უფროსი ძმის არსებობა რომ სცოდნოდა. რალაც ხიფათის შეგრძნებით გულდამძიმებული ბაჩო უმცროსი ძმის საძებნელად გაემართება, დევს ოდისევსივით დაუბრმავებს ერთადერთ ჯანსაღ თვალს, გათავისუფლებულ დაჩის „ნინ გამოიგდებს“, „კისერში წაუთაქებს“ და შინ წააბრძანებს. დაჩის თავმოყვარეობა ამას, აბა, როგორ გაუძლებდა: „მაინც გაგეპარები! — არ დაიშალა დაჩიმ, — და არავის ვეტყვი, რომ უფროსი ძმა მყავს“. ამგვარად, ის მეორედ ამბობს უარს ძმაზე, კვლავ იპარება, კვლავაც დევის ემმაკობის მსხვერპლი ხდება და ბაჩოს ხელმეორედ უწევს მისი დახსნა, მაგრამ მანამდე დაჩისა და დევს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„— შენი ძმა იყო, პატარა, თვალში რომ ისარი მკრა? ...

— არა, — უთხრა დაჩიმ, — არც კი ვიცნობ, ვილაც მონადირე იყო.

დევს ისევ გაუხარდა, მაგრამ ისიც გაუკვირდა, ამას ძმის მეტი ვინ იზამდაო.“

ეს ბოლო ფრაზა, რამდენჯერაც წავიკითხავ, იმდენჯერ მაოცებს და მთრგუნავს. განა რა ძნელი საქმეა ვაჟკაცი მონადირისთვის დევის დამარცხება და თავისნაირი მონადირის გადარჩენა? ნუთუ ის ამისათვის აუცილებლად მისი ძმა უნდა იყოს? აქ შეიძლება ერთი გამართლება მოვნახოთ: ამას ხომ დევი ფიქრობს, ის კი ცალსახად უარყოფითი პერსონაჟია. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ავტორი არანაირად არ ემიჯნება დევის აზრს, პირიქით: რანაირადაც არ უნდა გაამწაროს უმცროსმა ძმამ უფროსი, ის „არც უწყრება და არც არაფერს ეუბნება, რა ქნას, ძმა მაინც ძმაა“ და ძმის გარდა სხვა არავინაა ისეთი, გასაჭირიდან რომ გიხსნას. „ძმა მაინც ძმაა“, — რეფრენად მიჰყვება მთელ ამ ზღაპარს. და ეს მართალია, ძმამ ძმისთვის ყველაფერი უნდა გააკეთოს, მაგრამ რა ქნას მან, ვისაც ძმა არ ჰყავს? ნუთუ მას არავინ გაუნვდის ხელს?

„ამას ძმის მეტი ვინ იზამდაო?..“ — ეს ფრაზა ისე ჟღერს, თითქოს სადღაც იქვე, მთაში, ასეთსავე არქაულ გარემოში, არასოდეს მომხდარა უცხო მონადირეთა შეხვედრა და დაძმობილება, თითქოს ჯოყოლას თავისი ძმის მკვლელი შინ არ მოუყვანია და „მოსისხლე სტუმრის“ გულისთვის საკუთარ კლანს არ დაპირისპირებია. და, ბოლოს და ბოლოს, განა ვაჟს პერსონაჟთა ზნეობრივ გმირობაზე ბევრად დიდი მაგალითი არ გვიჩვენა მან, ვინც გვითხრა, გიყვარდეთ თქვენი მტრები და კეთილი უყავით თქვენს მოძულეებსო? ძმის და ახლოობის სიყვარული ხომ წარმართებსაც შეუძლიათო, — ესეც გვითხრა. დიახ, ეს სწორედ წარმართობაა, — მისი არა მისტიკური, მარადიული, არამედ შემაშფოთებლად რეალური, ყოფითი სახით. ის წარმართობა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეუქმებინა ქრისტეს მოძღვრებას, მაგრამ, აი, ვერ გააუქმა. რადგან ქრისტეს სიტყვა მუდამ ხელახლა უნდა დაიბადოს თითოეული ჩვენგანის გულში, ჩვენ კი ამას ხელს ვუშლით. ჩვენ ისე გამოვიარეთ ქრისტიანობის ათასწლეულები, რომ უცხოს დღესაც მტრულთან ვაიგივებთ, ჩვენი სულიერი ძალები მხოლოდ ჩვენი უახლოესი ადამიანების სიყვარულს ჰყოფნის (ეჰ, ნეტავ ეს მაინც შეგვეძლოს ბოლომდე და ნამდვილად!), ჩვენს საზოგადოებრივ ურთიერთობებს კი, აი, რა განსაზღვრავს: დევი მხოლოდ მაშინ ვერ გაბედავს ჩვენს დაჩაგვრას, თუკი უფროსი ძმის მხარდაჭერით გვექნება ზურგი გამაგრებული. ასეთ პირობებში იძულებულნი ვართ ჩვენც დევის ნააზრევით ვიცხოვროთ და საბოლოოდ თავადაც დევებად ვიქცეთ...“

ჩვენ ვალმერთებთ იმ უზენაეს ღვთაებას, — **გვარს**, — რომელსაც ნიკოლაი ბერდიაევი უდიდეს დამანგრეველ ძალად თვლის, რადგან ის ადამიანის უძვირფასეს არსს, **პიროვნებას**, უპირისპირდება. „მშობლის დამოკიდებულება შვილისადმი ჯერ კიდევ ბიოლოგიურ-ზოოლოგიურია“, — წერს ბერდიაევი, — „ამაში ჯერაც მეტისმეტად ვგავართ ქათამს ან ძალღს... ქრისტიანობა ერთხელ და სამუდამოდ გადალახავს და უკუაგდებს გვაროვნულ სტიქიასა და გვაროვნულ აუცილებლობას.“¹

მართლაც, რა კანონზომიერი, ნინასწარ დაგეგმილი და მოსაწყენია: ბიძაშვილები მხოლოდ იმიტომ ეხმარებიან დაჩის გველემპაპის დამარცხებაში, რომ ნათესაური ვალი აიძულებთ: აბა, უცხო ვინ მოვა დასახმარებლად, ყველას თავისი გასჭირვებია! დაჩი იმიტომ

¹ Н. Бердяев: Смысл творчества. Опыт оправдания человека. М., 1916.

კი არ ეთამაშება მეზობლის ბიჭს, რომ მისი პიროვნული თვისებები ხიბლავს, არამედ იმიტომ, რომ ის მისი კარის მეზობელია. მეზობლის გოგოს გართობა, მასზე ზრუნვა და მისი დაცვაც დაჩის იმიტომ კი არ მიაჩნია თავის ვალად, რომ მან იგი სილამაზით თუ სათნოებით სხვებში გამოარჩია, არამედ იმიტომ, რომ ის, როგორც არ უნდა იყოს, უახლოესია. ვაი, თუ წამოიზარდოს დაჩი და რომელიმე სხვა სოფლელი ან სულაც გადამთიელი გოგო ჩაუვარდეს გულში? მაგრამ ეს არ მოხდება — ის ხომ დაჩია!

ჩვენც, ოტია იოსელიანის პერსონაჟებთან ერთად, ძალზე ხშირად ამ აუცილებლობის მონები ვხვდებით, გვაროვნულ ჭაობში ვიძირებით. პიროვნული თავისუფლება კი მხოლოდ იქ იწყება, სადაც ვილაც ერთი ჭაობიდან წამოჰყოფს თავს, გამოეყოფა გვარს, ჯოგს, ბრბოს და რაღაც არაორდინალურს, უცნაურს, გიჟურს ჩაიდენს. პიროვნება მხოლოდ იქ იბადება, სადაც ქრისტე გვეუბნება: მიატოვე შენი მშობლები და გამომყევი მე.

იქნებ ეს ჩემი ახირებაა და უსამართლოდ გამოვეკიდე ერთ პატარა ფრაზას? მაგრამ რა ვქნა, რომ ის მოსვენებას არ მაძლევს. ნურავის ეგონება, რომ ნათესაურ კავშირებზე ვილაშქრებ. მოციქული პავლეც ხომ გვასწავლის: თუკი არ გიყვარს შენი ძმა, რომელიც შენს გვერდითაა, როგორღა გეყვარება ღმერთი, რომელიც არასოდეს გინახავს? მაგრამ ადამიანი ღმერთს თავისუფალ და წინააღმდეგობრივ არსებად ჰყავს ჩაფიქრებული: პიროვნებას არასოდეს აკმაყოფილებს ხილული, ახლო, მინიერი, მუდამ რაღაც მიღმიერი და მოუხელთებელი იზიდავს, გრძნობს, მასთან უფაქიზესი უხილავი ძაფები რომ აკავშირებს. „Где тонко, там и рвется,“ — ამბობდა ამგვარ კავშირებზე მარინა ცვეტაევა. სისხლისმიერი კავშირი კი ყველაზე უხეში და გამძლე ბაგირია: მისი იმედი მუდამ შეიძლება გვექონდეს და მეტიც: მას, რაგინდ ვეცადოთ, მაინც ვერ გავაპოვებ...

აი, ასეთი წინააღმდეგობრივი მიმართება მაქვს „დაჩის ზღაპრებთან“, — თან მომწონს და თან მაღიზიანებს. ნამდვილად ვერ მივცემ თავს უფლებას, ვამტკიცო, რომ ამ წიგნის ბავშვებისათვის წაკითხვა არ შეიძლება, ერთს კი ცალსახად ვაცხადებ: **მხოლოდ** „დაჩის ზღაპრებზე“ და მსგავსი მენტალიტეტით გაჟღენთილ ნაწარმოებებზე გაზრდილი ბავშვი პიროვნებად და მსოფლიო მოქალაქედ ვერ ჩამოყალიბდება.

* * *

ნაირა გელაშვილის 1999 წელს „კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემული „წინწკლების ქოხი“ უფრო ადრინდელი გამოცემის („წინწკლებიანი მუსტანგი და პატარა წვიმა“, 19..) მნიშვნელოვნად გავრცობილი ვარიანტია. თუკი პირველ გამოცემაში მხოლოდ პროზაული ზღაპრებია შესული, მეორე მათ გარდა ლექსებს, სიმღერებსა და პიესებსაც შეიცავს და, თუმცა ეს ყოველივე სხვადასხვა დროს დაინერა, წიგნი მაინც ერთ მთლიან სამყაროდ აღიქმება, რაც მისი სათაურიდანაც გამომდინარეობს: ის ჯადოსნური წინწკლების ქოხის ჭერქვეშ აერთიანებს ბუნებასა და ადამიანებს, დაბურულ ტყესა და მის გულში გაშლილ ყვავილებიან მინდორს, სადაც ხავსიან კორდთან ერთმანეთს გულითადი მეგობრები ხვდებიან და სადაც მთელი არემარეს ახალი ამბები იყრის თავს, სიოს, ფრინველების, ყვავილების თუ ცხოველების მიერ ნაამბობ-განცდილი; სადღაც დაბურულ სიღრმეში კი გამოქვაბულია, სადაც „ტყის წიგნი“ ინახება, ქვეყნიერების ყველა საიდუმლოს რომ ინახავს. მზე, მთვარე და ვარსკვლავებიანი ცა ამ ერთიანი სამყაროს დინამიკაში არიან ჩართულნი.

ყველა ზღაპარი აბსოლუტურად დამოუკიდებელ ამბავს წარმოადგენს, მათ შორის კავშირი სიუჟეტური კი არა, სიღრმისეულ-ემოციურია და, ამის გამო, უფრო მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი. აქ მხოლოდ ერთი პერსონაჟია ისეთი, ზღაპრების უმრავლესობაში რომ გვხვდება, ეს წინწკლებიანი მუსტანგია, და მაინც ვერ ვიტყვით, რომ იგი წიგნის მთავარი გმირია. „წინწკლების ქოხი“ მისი თავგადასავალი არ გახლავთ. მუსტანგი უფრო სიმბოლური სახეა. წიგნის მთავარ გმირად თვით ეს ტყე გვევლინება, უფრო ფართო გაგებით კი — მთელი ბუნება, მთელი მრავალფეროვანი ქვეყნიერება, ურიცხვი — დიდი და მცირე, საქმიანად მოფუსფუსე — ცოცხალი არსებისაგან შემდგარი. ის იმთავითვე ძალზე ფართოდ იღება მკითხველ-მსმენელის წინაშე, ადვილად და ხალისით გაეცნობა ბავშვს და მისი

სულის ლანდშაფტად იქცევა. ბავშვობა ხომ მსოფლმხედველობის პირველადი, ანიმისტური, შესაქმნისელი ეტაპია, როდესაც ადამიანი ჯერაც არ განასხვავებს საკუთარ თავს დანარჩენი ბუნებისაგან, როდესაც მასთან კავშირი ჯერაც უშუალო და შეურყვნელია. ბავშვი სულიერი განვითარების იმავე ეტაპებს გადის, რაც მთელმა კაცობრიობამ გამოიარა: ერის ფრომის თქმით, „ვიდრე ადამიანი საკუთარ თავს ბუნებასთან აიგივებს, მისი ღმერთებიც ბუნების ნაწილს წარმოადგენენ... ღმერთი მას მფარველი და მკვებავი „დიადი დედის“ სახით ეცხადება“². მხოლოდ ამ აუცილებელი ეტაპის გავლის შემდეგ — აქვე, ამავე წიგნის ფურცლებზე, — შემოდის მეორე, უფრო მოწიფული მსოფლალქმა: ადამიანის მიერ საკუთარი არსის გაცნობიერება, ცოდნა იმისა, რომ ის განსხვავდება უფლის დანარჩენი ქმნილებისაგან და რომ უფალმა თავისი ქმნილების გაფრთხილებისა და დაცვის პასუხისმგებლობა მას დააკისრა. ეს „მამა-ღმერთის ხანაა, რომელსაც მოაქვს გონება, პრინციპები, კანონები“³. თუმცა ეს ორი ეტაპი წიგნში ტექსტობრივად არ არის ერთურთისაგან მკვეთრად გამოყოფილი, ისინი მაინც თავ-თავიანთ ადგილს იკავებს მკითხველის ფსიქიკაში.

რაც შეეხება მუსტანგს, იგი ამ სამყაროს სულია, მისი სინდისი და ზნეობა, მისი გრძნობა და აღმაფრენა, — ის, რაც ადამიანს ბუნებასთან აკავშირებს არა ფიზიოლოგიურად, არამედ სწორედ სულიერად (თუმცა ადამიანებს ამ ზღაპრებში თითქმის არ ვხვდებით). ამის გამომხატველი მისი არსი და იერია: ის წინკლებიანია, — მაშასადამე, ლამაზი, საყვარელი, ფაქიზი, და, ამავე დროს, მუსტანგია, ანუ ველური ცხენი — ლალი, შეუპოვარი, თავისუფალი სტიქიის სიმბოლო. წინკლები სასიცოცხლო ენერგიით დამუხტული პატარა ცოცხალი ნაწილაკებია, ისინი „წინკლების ქოხში“ ცხოვრობენ „წინკლების ხელმწიფესთან“, ენაკვიმატ და ბუზლუნა ჯუჯასთან ერთად, რომელიც მათ საგნებისა და არსებების „დასაწინკლად“ იყენებს.

მუსტანგი კეთილშობილია და მრავალი კეთილი საქმის მოთავე (ზღაპარში „წინკლებიანი მუსტანგი“ ის თავისი გამომაფხიზლებელი შეძახილით „ჩქარა, თორემ გვიან იქნება!“ ტყის ყველა ბინადარს თავიანთ აუცილებელ მოვალეობებს შეახსენებს, რისი შესრულებაც გადაავიწყდათ ან დაეზარათ). ის ძალიან მგრძნობიარეა, ცოტათი მიამიტიც, და ზოგჯერ თავდაც სჭირდება რჩევა-დარიგება („წინკლებიანი მუსტანგის ლექსი“ იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობს იგი დღისით-მზისით, ყველას წინაშე ლექსის დანერას, სხვები კი, პატარა კალმახის თაოსნობით, აჯავრებენ და ხელს უშლიან: „რატომ ვერ ხვდება მუსტანგი, რომ ლექსი მარტოობასა და სიჩუმეში უნდა დაინეროსო“). ის მინის მკვიდრია, თუმცა, ზღაპარს „წინკლებიანი მუსტანგის უცნაური მოგზაურობა“ თუ დავუჯერებთ, „საიდან მოვიდა, არავინ იცოდა, მაგრამ სულ იმის ნატვრაში რომ იყო, ნეტავი ერთხელ ცაში ამიყვანაო, ყველას გაგონილი ჰქონდა“. მას შემდეგ, რაც ერთხელაც ეს ნატვრა უსრულდება, მისი სწრაფვა მიუწვდომელი და იდუმალი ვარსკვლავებისაკენ კიდევ უფრო ძლიერდება. მაშასადამე, მუსტანგი ადამიანსა და ბუნებას კიდევ სხვა, მიღმიერ სამყაროსთან აკავშირებს, იგი თავადაც, შესაძლოა, ამ სამყაროს შვილია. ნუ დავგავიწყდება, რომ ცხენი საერთოდ, — ხშირად კი მფრინავი ცხენი, — მსოფლიოს ხალხთა ხატოვან წარმოსახვაში სულიერი აღმაფრენისა და ღვთაებრივთან შეხების სიმბოლოა.

მზე მთელ სამყაროს ათბობს და აცოცხლებს, ამიტომაც ბოლმიანი ობობა, მსოფლიოს განადგურება რომ განუზრახავს, სწორედ იმით იწყებს, რომ თავის შავ ბადეში მზის დაჭერასა და მოგუდვას ცდილობს, მაგრამ ტყის არსებები ამას, რა თქმა უნდა, არ დაუშვებენ („ობობა და მზე“). ღამის ცას კი მთვარე პატრონობს, როცა საჭიროა, გუქსავს და სჯის კიდევ ონავარ ვარსკვლავებს. ასე ცოცხლდება ქართული ხალხური ლექსი: „მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამაჩემი...“ და, თუმცა წიგნში არსად ხაზგასმით არ არის მინიშნებული ეროვნულობა, ეს მაინც გამოკვეთილად ქართული მითოსია: ოლონდაც ქართველობას თავისი მნიშვნელობით **ადამიანობა** უსწრებს წინ.

ყურადღებას იქცევს ენა, რომლითაც ეს წიგნი ბავშვს მიმართავს: ის არც ზედმეტად გამარტივებულია, არც გაუგებარი სიტყვებით დამძიმებული, ამასთან ძალზე ფერსავსე და

² Эрих Фромм: Искусство любить, Санкт-Петербург, 2002.

³ Там же.

მულერია, მთხრობელის კილოც განონასნორებულია: არც ენამოჩლექილია, არც დატკბილული, ძალზე ხალისიანი და, ამასთან, თავისი სერიოზულობითა და ემოციურობით სულში ჩამწვდომია. რაც შეეხება ლექსებს, აქ მხატვრული საშუალებების უსასრულო ვარიაციებით ხდება ენის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება. ლექსების უმრავლესობა სულმთლად ადრეული ასაკის ბავშვისთვისაა განკუთვნილი, მათთან ერთად მას შეუძლია ენაზე მოირგოს და ყველანაირად ატრიალოს მშობლიური ბგერები და სიტყვები, ავტორი კი სულ ახალ-ახალ მელოდიურ-აზრობრივ თამაშებს სთავაზობს. მხოლოდ ზოგიერთი ლექსის სათაურების ჩამოთვლაც უკვე კმარა მათ ფორმაზე წარმოდგენის შესაქმნელად: „ასლოკინებთ ლოკოკინებს“, „რო, ბუ, კუ“, „ხოჭო და როჭო“, „თოვლი და თოლია“... მგონი არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ამგვარი ექსპერიმენტი ქართულ საბავშვო ლირიკაში ასეთი ვარიაციებით აქამდე არავის ჩაუტარებია, — თავისი მასშტაბით ის, შეიძლება, კორნეი ჩუკოვსკის საბავშვო ლირიკას შევადაროთ, თავბრუდამხვევი სიმსუბუქითა და მრავალფეროვნებით რომ იყენებს ენის საშუალებებს, — მის მასაზრდოებელ წყაროდ კი ალბათ ისევ და ისევ ხალხური შემოქმედება უნდა მივიჩნიოთ.

თითოეულ ზღაპარს განსხვავებული სიბრძნე მოაქვს ჩვენამდე. ზოგიერთი მათგანი ზრდასრულ ადამიანსაც კი ბევრ რამეს ასწავლის, მათი „დიდური“ აზრი ხშირ შემთხვევაში არასაბავშვო ნაწარმოების თემადაც შეიძლება იქცეს და, ამავე დროს, ის ბავშვისთვისაც მუდამ ნათელი და საინტერესოა. არის ისეთი ზღაპრებიც, უბრალოდ სასაცილო ამბებს რომ შეიცავს, მათი იუმორი იმდენად გადამდებია, იმდენად გემუხტავს სასიცოცხლო ხალისით, რომ ვხედავთ: გართობაც არის და გართობაც. შეუძლებელია დავივიწყოთ, თუნდაც, მთვრალი ღრუბელი ამავე სახელწოდების ზღაპრიდან, მთაზე მდებარე სოფლის ერთი ქვევრიდან მაჭარი რომ ამოუნრუპავს და ახლა ცაზე „მობუქნაობს, კურდღელივით მალაყებს გადადის, ხან დავლურს უვლის, ხან ტაშს უკრავს და გაჰყვირის კიდეც: — აბა, განი, განიო, — თანაც ხელებს გვერდებზე იჭერს და ხითხითებს, ხითხითებს, კვდება სიცილით.“ ეს როხროხა, უდარდელი მოქეიფე უთუოდ კახელი ღრუბელი უნდა იყოს: ამაში ეჭვი არავის შეეპარება.

აი, ერთ-ერთი ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი ამბავი, ორი არსების — ვარსკვლავისა და გვირილის — მეგობრობის შესახებ რომ მოგვითხრობს. მათ სულიერ ნათესაობას მათი გარეგნული მსგავსება გამოხატავს. ეს ყოველგვარ სენტიმენტალურობას მოკლებული, შემოქმედებითი, ნაყოფიერი სიყვარულია, რომელიც ჩვენ თვალწინ ზრდის დაუდევარ, ზარმაც და უხალისო არსებას, პატარა ვარსკვლავს, მანამდე თავისი მოვალეობის შესრულება — დედამინის განათება — რომ არ სურდა. მხოლოდ საკუთარი არსისა და მოწოდების რეალიზების გზით პოულობს იგი მეგობარს: მისი შუქი მინდვრის სწორედ იმ კუნჭულისათვის ყოფილა განკუთვნილი, სადაც გვირილა ცხოვრობს, მანამდე რომ სიბნელეში რჩებოდა და ვარსკვლავისათვის უხილავი იყო. მათ მეგობრობას ნათელი ტრაგიზმი ახლავს თან: ერთი მათგანი ცაში ცხოვრობს, მეორე — მიწაზე და ისინი ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიან. მაგრამ მათ წერილები და სიზმრები აკავშირებთ, რაზედაც მარინა ცვეტაევა ამბობდა, ურთიერთობის ეს ორი უინტიმურესი და უფაქიზესი საშუალება ყველა სხვას მირჩევნიაო.

ნაირა გელაშვილის პერსონაჟებს, როგორც უკვე შევნიშნეთ, შორეულისა და მიუწვდომელისაკენ სწრაფვა ახასიათებთ. დიდი და ფაქიზი მეგობრობა აკავშირებთ ასევე წინ-წკლებიან მუსტანგსა და პატარა წვიმას, ოლონდ — ნაკლებად სევდიანი: წვიმა ხანდახან მაინც ჩამოდის მიწაზე.

ვიდრე ყველა საგანი და არსება ერთხელ და სამუდამოდ დაემორჩილებოდა კოსმიურ კანონებს, ამ წიგნის მკითხველის მსგავსად, მათაც განუცდიათ ბავშვობის ხანა. ამის შესახებ „ახლად გაჩენილი ქვეყნის ამბები“ მოგვითხრობს. სანამ ყველა არსებას მის კუთვნილ ადგილს მიუჩენდა, „ქვეყნის გამჩენს“ მათთვის ერთი „დიდი თამაშის დღე“ უჩუქებია. „ო, რომ გენახათ, რა ხდებოდა იმ დღეს ქვეყანაზე! ყველა იქ მიდიოდა, სადაც უნდოდა: ხეებს ფრთები გამოესხათ და ცაში აფრინდნენ, თევზები ბალახში კოტრილობდნენ... მზე, მთვარე და ვარსკვლავები ერთად ანათებდნენ ცაზე... ზოგი ვარსკვლავი ბუჩქებს გამოება მაცვალ-

ვით. ერთად იყო თოვლი და ყვავილები, ელვა და მზე, ზამთარი და ზაფხული, შემოდგომა და გაზაფხული, ღამე და დღე, ცეცხლი და წყალი. და ერთმანეთს არაფერს ვნებდნენ, რადგან ყველა თამაშობდა. ცისარტყელა კი მინაზე წამოწოლილიყო, ბოლოები ზემოთ აერკალა, ზედ ბავშვები და ბატკნები წამოსკუპულიყვნენ და აინონა-დაინონას თამაშობდნენ“. ამ მხიარულ აურზაურში ძნელი ამოსაცნობი არაა შესაქმისეული ქაოსი, დასაბამისეული ედემის ბალი და თან მომავლისეული ზეციური იერუსალიმი, სადაც „თხა და მგელი ერთად ძოვს“. ძალიან მომწონს ის, რომ ამ ყოველივეს შემოქმედი ასე ფაქიზად, ყოველგვარი რელიგიური კონკრეტულობის გარეშე ნახსენები: „ქვეყნის გამჩენი“ ერთდროულად მოალერსე, დამთმობი დედაცაა და მკაცრი წესრიგის დამაკანონებელი მამაც, — დედამინა და ზეციური მამა. აი, მთავრდება ეს ჯადოსნური დღე და შემოქმედი ასე მიმართავს თავის შვილებს: „...ამიერიდან ყველა თავის ადგილას დარჩება — ვარსკვლავი ცაში და თევზი წყალში, ხე მინაზე და ჩიტი ჰაერში ან ხეზე. ხოლო იმათ, ვინც ველარასდროს შეხვდება ერთმანეთს, დაე, შორიდან უყვარდეთ ერთმანეთი. ამქვეყნად უნდა იყოს წესრიგი და მონატრება, მაგრამ რომ არ მოინყინოთ, მე ყველას გაჩუქებთ ოცნებას.“ რამდენი სიკეთე და მოწყალებაა ამ სიმკაცრეში და, მართლაც, როგორ გვამშვიდებს და გვზრდის ეს სიტყვები: ყველას თავისი მოვალეობა აქვს, ყველამ თავისი ჯვარი უნდა ზიდოს და მაინც, საკუთარ ბედზე მიჯაჭულობა ბრმა მონობა კი არა, — ჩვენთვის ბოძებული წესრიგის წინაშე მონინებაა.

რა ხდება მაშინ, როდესაც გაფურბით ჩვენს ცხოვრებისეულ მოვალეობას, როცა ეჭვი შეგვაქვს უზენაესი წესრიგის აზრში? აი, ნარჩიტას ერთი ბარტყი, ყოფნა-არყოფნის პრობლემას რომ შესჭიდებია („უცნაური ამბავი“): მას კვერცხშივე მოუკრავს ყური, ამქვეყნად მცხოვრებ ყველა არსებას უამრავი პრობლემა რომ აწუხებს და გადაუნყვეტია, საერთოდ არ დაბადებულიყო. ასე, თავის ნაჭუჭში გამოკეტილი, ქვეყნის ორომტრიალის მიღმა პასიურ მსმენელად დარჩენილი, უკვე წამოზრდილი ბარტყი ლამის საბედისწერო შეცდომას სჩადის: ცოტაც, და დააგვიანდებოდა, ნაჭუჭს დროზე ვერ დაამსხვრევდა და მრისხანე ალალის კლანჭებიდან ვერ დაიხსნიდა ნიბლიას, არადა სწორედ მისმა გალობამ შეაცნობინა ბარტყს, რომ ამქვეყნად ცხოვრება მაინც ღირს (აქაც ლიტერატურულ ტექსტში ორგანულად შემოდის ფოლკლორი, ამჯერად პირდაპირ ციტირებული ხალხური სიმღერის სახით: „ნეტავ არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა...“). საკუთარი ბედისაგან გაქცევა საერთოდ ძალზე მნიშვნელოვანი თემაა ნაირა გელაშვილის შემოქმედებისათვის. ზღაპრის შინაარსი, ფაქტობრივად, იმეორებს მის არასაბავშვო ნაწარმოებს „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“, რომლის მთავარი გმირი კარგა ხანს ზუსტად ასევე ისხლეთს ცხოვრებას, ყველაფერში იოლ გზას ირჩევს, რის გამოც ის გადამწყვეტ მომენტში შინაგანად მოუმზადებელი აღმოჩნდება და კარგავს იმ არსებას, ერთბაშად უძვირფასესი რომ გამხდარა მისთვის. მოთხრობა, ზღაპრისაგან განსხვავებით, ტრაგიკულად მთავრდება, მაგრამ, ზუსტად ისევე, როგორც ავტორის ზღაპრებში, სწორედ საყვარელ არსებასთან შეხვედრა შემოაბრუნებს მთავარ გმირს სიცოცხლისაკენ.

ღიახ, ეს ფერადოვანი, მშვენიერი ქვეყანა მუდამ როდია უღრუბლო და გაცისკროვნებული და ეს ბავშვობიდანვე თუ არ შევიგრძენით, ვერასოდეს გავიზრდებით: ქვეყნად არსებობს დიდი დარდიც, ავადმყოფობაც, სულში ჩაგუბებული სიძულვილიც და სიკვდილიც (თუნდაც ხის სიკვდილი!) — ქვეყანაზე გაბატონებული „წესრიგი“ ითხოვს ამ მსხვერპლს, მაგრამ ესეც სიკეთეა და საბოლოოდ ყოველივე სიკეთისათვის ხდება, თუმცა თავად ადამიანი ძალზე ხშირად იქცევა უსამართლოდ. ლექსი-სიმღერა „ო, ციყვი, ო, თელა, ო, ტყე“ დასტირის „ბრიყვის“ მიერ უმიზნოდ და ბოროტად მოჭრილ თელას, მაგრამ ზღაპარში „ბურბუშელა“ მოჭრილი ხის ტრაგედია გამართლებულია: მისგან რიკულებიან საწოლს ამზადებენ პატარა გოგონასათვის, სულ რომ ავადმყოფობდა და მშობლებს შორს სამკურნალოდ ჰყავდათ წაყვანილი. „ამ საწოლში სულ კარგად იქნება, ავად აღარ გახდებაო,“ — ფიქრობს გოგონას უფროსი ძმა და, თითქოს ამ ახალი, ჯანსაღი და იმედიანი ცხოვრების დასტურად, მოჭრილი ალვის ხის კუნძზე ახალი მწვანე ყლორტები ამოდის.

წიგნი დაჟინებით მიგვითითებს ამქვეყნად არსებულ დიდ უსამართლობაზე და იმაზე, რომ ნამდვილი ადამიანი თავისი არსით სწორედ ამ უსამართლობასთან საბრძოლველადაა

მონოდებული. ზღაპარი „სოკოები“ უაღრესად მტკივნეულად განგვაცდევინებს აცდენას ჩვენს რეალურ ცხოვრებისეულ წარმოდგენებსა და ქრისტიანული თავგანწირვის მონოდებას შორის, რომელიც თითქოსდა შესისხლხორცებული უნდა გვქონდეს, და აქვე გვიჩვენებს ამგვარი თავგანწირვის მაგალითს: რათა ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი წვიმისაგან არ დასველდეს და არ დაიღუპოს, ერთი უბრალო თეთრი სოკო თავიდან ქუდს მოიძრობს (თუმცა ქუდი მისი სხეულის ნაწილია და მას ეს აუტანელ ტკივილს ანიჭებს) და ბარტყს დააფარებს, გაპრანჭული სოკოები კი მედიდურად და ტლანქად ცდილობენ სიკეთის ამ აქტის დამცირებასა და გაცამტვერებას, რაკილა თავად მსგავსი რამე არ ძალუძთ. ყველაზე მწარე კი ისაა, რომ სოკოს თავგანწირვისა არ სჯერა თვით ბარტყის დედასაც, რომელიც ოდნავ მაინც მადლიერი უნდა იყოს შვილის გადარჩენისათვის: „სისულელეა! ... თავიდან ქუდს ვინ მოიძრობს სხვისი გულისთვის, პატარა ხარ და არ გესმის, სხვისი გულისთვის არავინ არ დაიტანჯება!“ მაგრამ ზღაპრის ფინალი აღადგენს სამართლიანობას და მთელ ამ ამბავს ლეგენდარულ ტონალობას ანიჭებს: მზის სხივები უმშვენიერეს მონამეობრივ გვირგვინად შემოენებებიან ყველასაგან გაკიცხულ, უქოლგოდ დარჩენილ სოკოს და ტყის დედოფლად აქცევენ.

ლექსები, სიმღერები და ლექსად დანერილი პიესები უშუალოდ უკავშირდება თანამედროვეობასა და მის პრობლემატიკას და უფრო გამოკვეთილად გვეუბნება მნიშვნელოვან და საგანგაშო სათქმელს, გვაფრთხილებს, გვაფხიზლებს და გვმოდგვრავს, მაგრამ მათი დიდაქტიკა იმდენად გულწრფელია, რომ არ გვაღიზიანებს.

როგორც კი ბავშვი საკუთარ თავს ბუნების საშოდან გამოსულ, დამოუკიდებელ არსებად აღიქვამს, მაშინვე ჩაესმის წიგნის მთავარი გმირის ხმა, მუდართა და იმედით რომ მიმართავს:

მამ, ასე —
 მე ვარ ადამიანი!
 „ო, ნუ იქნები,
 ნუ, ავზნიანი,
 დაუნდობელი
 და ბრაზიანი!“
 ვისი ხმა არის?
 ვინ მეხვეწება?
 მინა და ზეცა.
 „ადამიანო, ადამიანო,
 გთხოვ, არაფერი დააზიანო!..
 ...ადამიანო,
 დედამინა ხომ გადარჩება?“

უმძაფრესი, არაბავშვური სიმწარითაა გაჟღენთილი „ნაძვების საახალწლო სიმღერა“ — ჩივილი ადამიანების უგულობაზე, ნაძვებს ზრდასა და სიცოცხლეს ერთდღიანი ზეიმისათვის რომ არ აცლიან, ბრჭყვიალა მძივებით რთავენ, მოედნებსა და სასახლეებში დგამენ „მოჭრილი მტკივანი ფეხით“, მათ გარშემო ცეკვავენ და სულაც არ ესმით ცოცხალი არსებების გმინვა და კვნესა: „ო, ღმერთო, გართობის ასეთი ხერხი?!“ ამ ლექსს ეხმიანება ასევე უმონყალოდ მოჭრილი „ბზების სიმღერა (ბზიკების მისამღერით)“, უკვე პირდაპირ საზოგადოებრივ პროტესტს რომ გამოთქვამს („ო, იესო, ო, მესია, შეასმინე ეკლესიას, მცენარეების ნამება განა ღვთიური წესია!“) და ყურში ზარივით ჩაგვესმის: „გზა-გზა-გზა გზა-გზა-გზა არ არის მზა, უფრო კი იქ არის, იქ არის გზა, სადაც არ ამტვრევენ ნაძვსა და ბზას...“

„პატარა მანანწალას სიმღერა“ შეგვახსენებს ადამიანის დანაშაულს იმ არსების, ძალის, წინაშე, რომელიც მოიშინაურა, მაგრამ რომლის მოვლა-პატრონობაზეც ასე ხშირად ამბობს უარს (გავიხსენოთ სენტ-ეგზიუპერი: „ჩვენ პასუხს ვაგებთ მათზე, ვინც მოვიშინაურეთ!“).

პიესა „კუს ტბა“ საშუალებას აძლევს თავად ბავშვებს, განასახიერონ დაბინძურებული კუს ტბისა და მისი ბინადარი ცხოველების გასაჭირი.

ამგვარი ლექსების გვერდით გვხვდება ისეთები, ლირიკულ სიღრმეს რომ ანიჭებს წიგნის სამყაროს და ბუნების სულთან იდილიური, სათუთი შერწყმის სურათებს წარმოგვიდგენს. ასეთებია: „ისლის ქობი“ („მწვანე ტყესთან, ლურჯ ტბასთან მიდგას ქობი ისლის, ზოგჯერ მთვარე ანათებს, ზოგჯერ ფარავს ნისლი...“), „პატარა საყდარი“ („მთაზე დგას საყდარი, ვინ იცის, სად არი, ის მთა, ის საყდარი წყნარი. მრავალი დაეძებს და ცოტა პოულობს და ის-მის წკრიალი ზარის...“), დრუიდული იდემალებით აღბეჭდილი „მუხა“ („მუხა, დიდო მუხა, მუდამ ჩუმად ნუ ხარ. ვიცი, სავსე იქნები საოცარი ფიქრებით...“); რალაც ძველთაძველი, ბუნდოვნად ნაცნობი, დასაბამისეული ჟღერს „ხეტილის სიმღერაში“:

ნამოდი და ვიაროთ,
ცხრა მთა გადავიაროთ,
ცხრა ტყე შემოვიაროთ
და თორმეტი ველი.

დაფუკრათ სალამური,
სიმღერა საამური
ვიმღეროთ და ვიცეკვოთ
ცეკვა საკვირველი...

ამავე რკალს ეკუთვნის ჩემი — და ყველა ბავშვის — საყვარელი ლექსი-სიმღერა „პატარა დედოფალი და მხიარული ჭინკები“, სასახლეში გაფუფუნებულ-განებივრებული გოგონასა და ტყის კეთილი ჭინკების დამეგობრების შესახებ რომ გვიამბობს. ამ ლექსების გამჭოლი ანიმიზმი წარმართობის სწორედ ის ნაწილია, რომელიც ქრისტიანობამ გაითავისა და შეისისხლხორცა და რომლის გარეშეც იგი მკვდარ დოგმად რჩება. ბუნებასა და უძველეს ხალხურ ტრადიციებთან შერწყმულ სწორედ ამგვარ რწმენას მირჩია ელიადე „კოსმიურ ქრისტიანობას“ უწოდებს.

განცალკევებულ ჯგუფადაა გაერთიანებული „სიმღერები პატარა იესოზე“. მათი სულისკვეთება აპოკრიფული ყრმობის სახარებიდან და ზოგადად ლეგენდის ხალხური, არაკანონიკური ტრადიციიდან გამომდინარეობს (სხვათა შორის, ის ძალზე ახლოა ამავე წყაროთი ნასაზრდოებ წიგნთან „ლეგენდები ქრისტეზე“, რომელიც არაჩვეულებრივმა ფინელმა მწერალმა სელმა ლაგერლოფმა დაწერა, ქართულად კი 2004 წელსაა გამოცემული „საარის“ მიერ). ეს სიმღერები ხოტბას ასხამს იესოს დაბადებას, მოგვითხრობს იესოს, მარიამისა და იოსების ეგვიპტეში გაქცევისა და იქ ცხოვრების შესახებ. თუ ვინ არის პატარა იესო, ამას ბავშვი ტექსტში დასმული, შეფარული, მაგრამ მაინც მკაფიო აქცენტის მეშვეობით ხვდება. არსად არ არის ნათქვამი, რომ იგი ღვთის ძეა და, ამავე დროს, მას წიგნის სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება. ის „სასწაული ბავშვია“, ზეცის „საყვარელი შვილი“, „დედამინის საშველად [რომ] მოდის დედამინაზე“. ყველაზე სულში ჩამწვდომია დიდი სინაზითა და სევდით გაჯერებული სიმღერა „ეგვიპტეში“:

ნილოსის ახლოს
ბიჭუნა სახლობს.
დედა ეძახის:
„— ემანუელ!

ემანუელ,
ემანუელ,
არ ნახვიდე შორს!

ემანუელ,
ემანუელ,
არ შეხვიდე წყალში!
მზეზე დიდხანს
ნუ იქნები,
მანდ იცის
დიდი ეკლები,
ემანუელ, უკვე სალამოა,
მოდი, შვილო,
მოდი, შვილო, შინ!“

მარიამისა და მისი ძის საბედისწერო წინათგრძობებით სავსე სიყვარული მისტიკურ დე-დაშვილობად წარმოგიდგება და, ამავე დროს, თითოეული რიგითი დედის გრძობებს გამოხ-ატავს.

ეს სიმღერები (სხვა, არარელიგიური შინაარსის სიმღერებთან ერთად) ცალკე ნოტების ნიგნადაც გამოიცა. გარდა ამისა, ისინი აუდიო-სახითაცაა ჩანერილი (მუსიკა ნაირა გელაშვილისა, არანჟირება ნუკრი აბაშიძის, შემსრულებელი — ანსამბლი „იმიჯი“).

„წინწკლების ქოხს“ ქრონოლოგიურად მოსდევს ნაირა გელაშვილის მიერ ბოლო წლებში შექმნილი სხვა საბავშვო ნაწარმოებები: „გოლიათების მწვანე კუნძული და ლტოლვილი გოგონა ნია-ნია“ (2004 წ.), „ტროლეიბუსი ასტარიონი და მისი მგზავრები“ (2005 წ.) და „აკამუკის გზები“ (2006 წ.). პირველი არაჩვეულებრივად დასურათებული იდა თვარაძის მიერ, ორ დანარჩენს კი სოფიო კინწურაშვილის მიერ შესრულებული, ასევე მშვენიერი გაფორმება ახლავს. ეს სამი დამოუკიდებელი ნიგნი რამდენადმე ტრილოგიას წარმოადგენს. ყოველი მათგანი განაგრძობს და აღრმავებს პირველი ნიგნის თემებს, მაგრამ „წინწკლების ქოხის“ გლობალურობა და ყოვლისმომცველობა მათ არ ახასიათებს. ისინი უფრო კონკრეტულ, თანამედროვე რეალობასთან არის დაკავშირებული. ბუნების დაცვა აქაც უმძაფრეს პრობ-ლემადაა წარმოჩენილი: პესონაჟები აწყობენ მიტინგებსა და დემონსტრაციებს ეკოლო-გიური მოთხოვნებით, ზოოპარკის გალიებიდან ათავისუფლებენ მოუვლელ და გატანჯულ ცხოველებს და სხვა კეთილ საქმეებსაც სჩადიან. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის დაცვასაც: ზღაპრული კუნძულის მკვიდრი კეთილი არსებების მიერ შეკედლებული ნია-ნიასა და სხვა ლტოლვილი ბავშვების განცდები გვიჩვენებს ომის ტრაგედიას, რომელიც საკუთარი სახლის, ქალაქის, ახლობლების დაკარგვასთანაა დაკავშირებული.

სამივე ნიგნი გამოირჩევა მხატვრულ სახეთა და სიტუაციათა არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით. ზოგიერთი პერსონაჟი — მაგალითად, პატარა, ცოცხალი, „ეკოლოგიურად სუფთა“ შვეულმფრენი რიმფარო, კლოუნი ტიზა და ბიჭი ალათანი, — ერთი ნიგნიდან მეორეში გადადიან. შეუძლებელია არ დაგვამახსოვრდეს რიმფაროს გენიალური და სასაცილო „მამილო კარლოები“ — მეცნიერ-გამომგონებლები, ტყუპი ძმები აქსაგორა და ადაგორა; დიდრონთვალეზიანი გოლიათების ოჯახი; საკარნავალო კოსტიუმების ოსტატი თერძი ბალახა, რომელსაც იმდენად უყვარს ბუნება, რომ ყოველი შემოდგომით ფოთოლ-ცვენასთან ერთად შაკიკი ეწყება; ცხოველების მფარველი მღვდელი გაბრიელი; თავად ავტორის ორეული, პირმრგვალი, კეთილი და ენერგიული ქალბატონი დიდუდა და სხვა და სხვა. ამასთან, ამ ნიგნებში ვხვდებით ისეთ რეალურ თუ მხატვრულ სახეებს, ქართული სუ-ლიერებისა და კულტურის განუყოფელ ნაწილებად რომ ქცეულან. ზედროულ განზომილე-ბაში მოძრავი ჯადოსნური ტროლეიბუსის, ასტარიონის, მგზავრები არიან ჩოხაში გამონ-ყობილი, ფაფახიანი ვაჟა-ფშაველა — შვლის ნუკრების მოსარჩლე, მხატვარი ნიკალა და მისი სურათების გაცოცხლებული პერსონაჟები, სასაცილოდ და საყვარლად გამოსახული ადამიანები და სევდიანი ცხოველები: ვირზე შემომჯარი სოფლის ექიმი, თეთრწინსაფრიანი მეეზოვე, ჟირაფი... იმ მსუქან, გამოპრანჭულ გოგონას, დიდი ქუდი რომ ახურავს და ბუშტი უკავია, როგორც ვგებულობთ, დოდო რქმევია, და მაშინვე ვხვდებით, რომ სხვა სახელი მას არანაირად არ მოუხდებოდა... აქ ვხვდებით წყნარ, გარინდულ სკვერში მდგარ პოეტის

ქანდაკებას, მუდამ რომ კითხულობს საკუთარ ლექსებს გადაშლილი წიგნიდან: „წარვედ წყალის პირს, სევდიანი ფიქრთ გასართველად...“. პატარა, მყუდრო, ხიდეებიან-აივნიანი ქალაქი, სადაც ზღაპრების უმრავლესობის მოქმედება ხდება, რა თქმა უნდა, თბილისია, მას იგივე პრობლემები ემუქრება, რაც ჩვენ რეალურ ქალაქს, მაგრამ, მაინც უფრო მეტადა აქვს შენარჩუნებული თავისი არსი და თვითმყოფადობა.

გამორჩეული ადგილი უკავია გოლიათების ზღაპარს, რადგან ის, ამავე დროს, მიუზიკლიცაა და კომპაქტ-დისკის სახითაცაა გამოშვებული. როგორც უკვე ნახსენები სიმღერების შემთხვევაში, აქაც თავად ავტორი გვევლინება კომპოზიტორად და, ამავე დროს, მთხრობელადაც, ხოლო მუსიკალურ როლებს არაჩვეულებრივი შთამბეჭდაობით ასრულებს გოგონათა ანსამბლი „ლარგო“ (ხელმძღვანელი ლეილა ასლანიძე). ეს ის შემთხვევაა, როდესაც მუსიკა და ტექსტი ერთურთის მიერ მოგვრილ განცდას აასმაგებს და ერთად უღრმეს შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე. ამასთანავე, ეს ზღაპარი საკარნავალო-პერფორმანსული ინსცენირების უსასრულო შესაძლებლობებს იძლევა, რადგან მასში ძალზე ბევრი მრავალფეროვანი პერსონაჟის გვერდით მთელი ბუნებაცაა ჩაბმული. მსგავსი მოვლენის მომსწრენი და მონაწილენი გახდნენ კიდევ 2005 წლის ზაფხულში „კავკასიურ სახლთან“ არსებული საკვირაო სკოლის აღსაზრდელები და სხვა უამრავი ბავშვი.

რალა დავამატო? ნაირა გელაშვილის საბავშვო ნაწარმოებები მართლაც მდიდარი, მრავალფეროვანი და ძალზე საინტერესო სამყაროა და მე აღარც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ბავშვი მის გარეშე გაიზარდოს.

* * *

არის კიდევ ერთი წიგნი, ჩემს შვილსა და ჩვენს ახლობელ სხვა ბავშვებს ძალიან რომ უყვართ. ეს გახლავთ დავით ზურაბიშვილის „მოგზაურობა სიზმარეთში“ (გამომც. „დიოგენე“, 1997). ეს ჯადოსნური ამბავი და-ძმის, ექვსი წლის გიორგისა და ოთხნახევარი წლის ანასტასიას ზღაპრულ ქვეყანაში მოგზაურობისა და მათ მიერ პატარა უფლისწულის, ვარსკვლავიჭუნას გადარჩენის ამბავი გახლავთ. კეთილი და ბოროტი ძალების შერკინების მარადიულ ზღაპრულ თემას წიგნი თავბრუდამხვევი თავგადასავლების მთელი კასკადით წარმოგვიდგენს, ამიტომ იგი ძალზე მსუბუქად იკითხება, მისი განწყობა ხალასი და მხიარულია, მაგრამ იმთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ის ემოციური და აზრობრივი სიღრმით არ გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ესაა სიუჟეტურად და კომპოზიციურად მართლაც კარგად დამუშავებული სათავგადასავლო ნაწარმოები. მე მას შევადარებდი რუსი მწერლის, ვლადიმერ ვოლკოვის საბავშვო ეპოპეას „ზურმუხტქალაქის ჯადოქარი“, რომელიც ასევე, პირველ რიგში, თავისი სათავგადასავლო ხასიათით ხიბლავს პატარა მკითხველს.

„სიზმარეთის“ კითხვა ერთგვარ სახალისო თამაშს წარმოადგენს, თან, ხშირ შემთხვევაში, დიდისათვის უფრო, ვიდრე ბავშვისთვის, რადგან მასში უამრავი მინიშნებაა, ერთი მხრივ, სხვა საბავშვო თუ არასაბავშვო ნაწარმოებებზე, მეორე მხრივ კი, ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეზე. ტრადიციული ფოლკლორული მოტივების გამოყენების გვერდით (როგორცაა, მაგალითად, მდევრების შესაჩერებლად სავარცხელის, წყლიანი ბოთლის და ა. შ. გადაგდება), ვხვდებით თუნდაც ისეთი კლასიკური ნაწარმოებიდან ნასესხებ ელემენტებს, როგორც ჯ. რ. რ. ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელია“. ზოგჯერ ამ სესხებას პირდაპირ ტექსტის ზედაპირზევე შევნიშნავთ მიმსგავსებული სახელების სახით: კეთილ ფერია ლორიელში ადვილად ამოვიცნობთ ტოლკინისეული ელფების ტყის, ლორიენის, დედოფალ გალადრიელს; ბოროტი ძალების მეთაური საურმაგ ბუნდოვანი კი მაშინვე შავ მბრძანებელ საურონს გაგვახსენებს, თუმცა ზოგჯერ მსგავსება უფრო სიღრმისეულია: ძალიან კეთილი, მაგრამ სასწაულად ბუზღუნა ჯადოქარი დონ ნასიმენტო (!) ხასიათით ჯადოქარ გენდალფს მოგვაგონებს. ავტორის მწერლურ ღირსებას უნდა მივანეროთ ის, რომ ამგვარი სესხებანი უხეშ პლაგიატად არ აღიქმება და გამაღიზიანებლად არ მოქმედებს, რადგან ყველა ელემენტი შემოქმედებითადაა „გადამუშავებული“ და ორგანულადაა მოქცეული საერთო სიუჟეტურ ქსოვილში.

რაც შეეხება პოლიტიკურ რემინისცენციებს, ისინი დღეისათვის უკვე მოძველებულია, ნიგნის გამოცემისას კი მძაფრი და აქტუალური იყო და, როგორც მახსოვს, საზოგადოებაში ერთგვარი პროტესტიც კი გამოიწვია. სიზმარეთი ვრცელი ქვეყანაა მრავალფეროვანი მოსახლეობითა და საკმაოდ რთული ტოპონიმიკით. მის შუაგულში წმინდა გარგარის ხე დგას, რომელსაც კეთილ ჯადოქართა ორდენი იცავს („წმინდა გარგარის მცველნი“ ჟღერადობითვე რობაქიძისეულ „გრაალის მცველებზე“ მიგვითითებს), სწორედ ისინი განაგებენ წესრიგსა და სამართლიანობას და ბოროტ ძალებს ებრძვიან. ამ ხის სიახლოვეს კი მდებარეობს „ცაფირუზხმელეთზურმუხტოვანი ქვეყანა გიორგეთი“, რომელსაც ტახტზე ახლად ასული მეფე გიორგი კედლისმნგრეველი მართავს (აქ ბერლინის კედელია ნაგულისხმები!). ხოლო სადღაც იქვე, ყველანაირი კრიმინალური ელემენტით დასახლებულ მიწისქვეშეთში, თავის გარემოცვასთან ერთად თავი შეაფარა გიორგეთის ყოფილმა მეფემ, გიორგი მოდრეკილმა. მიწისქვეშეთის მკვიდრთა შორის გვხვდებიან ისეთი ფიგურები, როგორცაა კიტუსი, ჯაბახანა (არიან კიდევ ალხანა და ჩალხანა) და ა. შ. სამართლიანობისათვის უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა მიწისქვეშელები საშიში ხალხია, მთლად ბოროტების, „შავებისნაირი“ მაინც არ არიან, მათთან რაღაცნაირად მაინც შეიძლება საერთო ენის გამონახვა. „შავების“ დასახასიათებლად ავტორი არაქართულ სინამდვილეს ესესხება: მათ შორის არიან ლავროსი (ანუ ლავრენტი), რკინის ფელიქსი (მართლა რკინისაგან დამზადებული რობოტი-მონსტრი, ბერმრუდი (მას ეკუთვნის საშიში „ბერმრუდის ოთხკუთხედი“), ბაბო იგა და სხვები. ეს მიხვედრა-ამოცნობა ზოგჯერ შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ია გიგოლაშვილის მიერ ძალზე კარგად შესრულებული ილუსტრაციები, რომლებზეც ხშირად პირდაპირ პორტრეტულ მსგავსებას ვხედავთ. ერთი მომენტი კი განსაკუთრებით მწვავე სატირად და გენიალურ მიგნებად მესახება, რაც ალბათ პირველ რიგში გამოიწვევდა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღშფოთებას: წარმოდგინეთ თვალებზე ქუდჩამოფხატული, უღვაშებიანი ექს-მეფე გიორგი მოდრეკილი, რომელიც ლეგენდარული ვირთხიჭერიას მსგავსად სტივრზე უკრავს, მისი მუსიკით მოჯადოებულ-მოხიბლული ვირთხები კი უკან მიჰყვებიან მწყობრად. ერთი კია: მთელი ეს პოლიტიკა ბავშვისთვის გაუგებარია, მას მხოლოდ საინტერესო ფათერაკები და სასაცილო, უცნაური სახელები ხიბლავს, ამიტომ ბავშვისა და დიდის რეაქციები ამ ნიგნზე მონყვეტილია ერთი მეორეს, მისი ერთად კითხვისას ისინი სრულყოფილად ვერ ისიამოვნებენ. და, მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, „მოგზაურობა სიზმარეთში“ დიდი ინტერესით იკითხება.

* * *

მე და ჩემი შვილი ბოლო დროს თბილისში ყოველწლიურად გამართულ ნიგნის ფესტივალს ვსტუმრობთ ხოლმე და სულ ცოტა ერთი შენაძენით მაინც ვბრუნდებით შინ. სამწუხაროდ, იშვიათად ვახერხებთ ხოლმე ახალი ქართული საბავშვო ნაწარმოების ყიდვას. წელს ერთი სასიამოვნო სიახლე გამოვარჩიეთ: ვასილ გულეურის საბავშვო ლექსები „მელაკუდას მაღაზია“, გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ ღია ბარათების შეკვრის სახით დასტამბული (ჩემმა შვილმა ძალზე იხალისა ამ ბარათების კითხვით, თუმცა ის უკვე 8 წლისაა, ლექსები კი უფრო 4-5 წლის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი). კრებული საბავშვო ლირიკის უთუოდ კარგი ნიმუშია. მისი ავტორი (აქვე უნდა ითქვას, რომ იგი რუსული, ინგლისურ- და გერმანულენოვანი პოეზიის ძალზე მაღალკვალიფიციური მთარგმნელიც არის) ბავშვის პერსპექტივიდან გვიჩვენებს თანამედროვე რეალობას და იმას, თუ როგორ იკვლევს ბავშვი გზას ტელევიზორით თუ მშობლების საუბარში ყურმოკრული „დიდური“ სიტყვებისა და პრობლემების უცხო სამყაროში, რაც არცთუ იშვიათად კურიოზამდეც მიდის: მაგალითად, შვილის კითხვაზე, თუ რას ნიშნავს გრძელი სიტყვა „ჰიდრო-მეტეო-როლოგი“,

მამამ თქვა: მაგის გარეშე
ცაზე ღრუბელი არ მიდის.
ის გვეუბნება, ხვალისთვის

როგორი გველის ამინდი...

და, აი, ბავშვის დასკვნაც:

მახსოვს, სოფელში რამდენჯერ
გავუშვით ჭიამაია,
ვეკითხებოდით: — ხვალისთვის
გვითხარ, როგორი დარია?

მჯეროდა, ჩემი მამიკო
გამიმართლებდა მოლოდინს...
ჭიამაია ყოფილა
ჰიდ-რო-მე-ტე-ო-რო-ლო-გი!

აი, ამ მამამ კი თავის შვილს იმედი გაუცრუა, თუმცა მან საჩოთირო კითხვით, თუ როგორ ჩნდებიან ბავშვები, თავიდან ჯერ დედას და ბებიას მიმართა და მათგან პასუხად ყოველად გაცვეთილი ტყუილი რომ მიიღო (რომლისაც უკვე ძალიან პატარა ბავშვებსაც კი აღარ სჯერათ!), კომბოსტოში გიპოვეთო, მხოლოდ ამის მერე მიმართა მამიკოს, „ან თვითონ მიპასუხოს, ანდა სხვისგან გამიგოს“ (მამა, შვილის აზრით, ბავშვების დაბადებასთან საერთოდ არანაირ მიმართებაში არ უნდა იყოს, მაგრამ, რა იცი რა ხდება, ეგებ მაინც იცოდეს...).

დედიკომ და ბებიამ მამაც გადაიბირეს,
— კომბოსტოში გიპოვეთ! — იმეორებს იგივეს.

შვილს რაღა დარჩენია, მიღებული პასუხი საკუთარი გამოცდილებით უნდა შეამოწმოს და ბოსტანში კომბოსტოებს მიადგეს:

გავაცალე ფოთლები, ერთიც არ შევარჩინე...
გჯერათ? ბავშვი ვერც ერთში მე ვერ აღმოვაჩინე.

ჩვენს ყოველდღიურობაზე საუკეთესო სატირად გვევლინება ლექსი, რომლის სათაურიც კრებულის დასახელებადაა გამოტანილი. „მელაკუდას მალაზიის“ პერსონაჟი, კომერსანტი მელია, კრებულის ყდიდან ეშმაკურად რომ გვიღიმის, ვაჭრობის წარმატებული დღის შემდეგ აცხადებს:

— ...ვაფართოებ ვაჭრობას,
ეს უნდა გადავაკეთო
და მალაზიას ხვალიდან
დავარქმევ „სუპერმარკეტსო“.

საქმეს ავანყობ თანდათან,
განა ვაჭრობა ძნელია.
ქათმის ქურდს ვილა მიწოდებს,
ვიქნები ბიზნესმელია.

აი, ასეთი იუმორით, გემოვნებითა და სიტბოთია გაჯერებული ვასილ გულეურის ლექსების კრებული. უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო ღია ბარათების მხატვრული გაფორმება, თუმცა მისი ავტორის, ია გიგოლაშვილის ნამუშევრები სხვა დროს ნამდვილად მოსაწონია (ის უკვე ვახსენეთ, როგორც „სიზმარეთის“ ილუსტრატორი), ამ შემთხვევაში ნახატები ზედმეტად ჭყეტელა და ნაკლებად თვითმყოფადი მეჩვენება...

* * *

ამ რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლები, დასასრულს კი, ბავშვების სახელით, ვისურვებდი, რომ ჩვენი საბავშვო ლიტერატურა იყოს უფრო ღრმა, უფრო ნიჭიერად დანერგილი, უფრო შემეცნებითი და, რაც მთავარია, საერთოდ იყოს.

ლევან ბრეგვაძე

ნოპალიანტი თარგმანის ჩიჩნურ თქმულებას

1889-1892 და 1899-1902 წლებში საქართველოში მოღვაწე ფრანგი ჟურნალისტი ჟიულ მურიე თბილისში ყოველთვიურ ფრანგულ ჟურნალს გამოსცემდა სახელწოდებით „ლე კოკაზ ილიუსტრე“ („ილუსტრირებული კავკასია“). იმ დროისთვის მაღალპოლიგრაფიული დონის ამ პერიოდული ორგანოს მეშვეობით ფრანგულის მცოდნე მკითხველი კავკასიის ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშებს ეცნობოდა, მათ შორის ლიტერატურულ და ფოლკლორულ თხზულებებსაც (იხ. ჩვენი ნაშრომი „ქართველი ავტორები „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ ფურცლებზე“, „ცისკარი“, 1977, N11, გვ. 142-146).

ამ კეთილშობილური პროექტის განსახორციელებლად, ბუნებრივია, ფრანგულის მცოდნე მთარგმნელთა შემოკრებაც იქნებოდა საჭირო. ჟურნალში გამოქვეყნებული თხზულებების მთარგმნელთა შორის, თვით რედაქტორის — ჟ. მურიეს — გარდა, ვხვდებით პეტრე მირიანაშვილს, ნ. მარქაროვს, ა. იოანისიანის (Ioannissiany), ლეონარდ ბალბაშევესკის (თბილისელ პოლონელს); ქართული ანდაზების და აფორიზმების ორი პუბლიკაცია ასეა ხელმოწერილი: m.M.I.n.J., რაც, ჩვენი აზრით, *იონა მეუნარგია*დ უნდა გაიშიფროს (ამის შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომი „რუსთველის აფორიზმები ფრანგულ ჟურნალში“, კრებული „პოეზია უპირველის ყოვლისა“, „მერანი“, თბილისი, 1980, გვ. 230-231).

„ლე კოკაზ ილიუსტრეს“ 1890 წლის მეორე ნომერში (ეს სექტემბრის ნომერია), მე-8-9 გვერდებზე ჩიჩნური თქმულება დაბეჭდილი („Légende Tchetchèniène“). თხზულების ბოლოს სქოლიოს ნიშანია დასმული, ხოლო სქოლიოში ვკითხულობთ: **„ბ-ნ დოლბეშევის ტექსტის მიხედვით; თარგმანი ქ-ნ ბარონესა ზუტნერისა“**.

გთავაზობთ ამ ჩიჩნური თქმულების ქართულ თარგმანს:

„დიდი ხნით, დიდი ხნით ადრე ჩვენს დაბადებამდე, როცა ჯერ ჩვენი მამა-პაპანი არ იყვნენ გაჩენილნი, ერთ მთაზე ცხოვრობდა კაცი სახელად გოვდაჰი (Gowdah). იგი ისე ძლიერი იყო, ვერც ერთი მისი მეზობელი ვერ ბედავდა შეურაცხყოფა მიეყენებინა ან მოუზომელი სიტყვა ეთქვა მისთვის. ის თანდათან გაამაყდა და ტრაბახი დაიწყო, ჩემზე ძლიერი ქვეყნად არავინ არისო. მის ცოლს ხშირად ესმოდა ეს ტრაბახი, მაგრამ არაფერს ამბობდა, ვიდრე ერთხელაც მოთმინების ძაფი არ გაუწყდა და უთხრა: „ტყუილად ტრაბახობ, გოვდაჰ! მე მსმენია, რომ ქვეყნად შენზე ბევრად ძლიერი ადამიანებიც არიან!“ არ დაიჯერა გოვდაჰმა და უბრძანა ცოლს ყოველივე გაემზადებინა, რაც მგზავრობისთვის იყო საჭირო. მას განზრახული ჰქონდა ქვეყანა მოეველო, რათა ეპოვა ის, ვინც შეძლებდა მას გამკლავებოდა. ცოლმა შეუკაზმა ცხენი, მოართვა იარაღი და ისიც გზას გაუდგა. დიდხანს, დიდხანს იარა ცხენით. რამდენ ხანს? არავის შეუძლია ამის თქმა. ბოლოს ერთ ქალაქს მიადგა. ქალაქში შესვლისას დაინახა ეზო, სადაც ბოძი იყო დარჭობილი, რომელზეც ცხენების მისაბმელი რგოლები მიემარებინათ და იქ უკვე შვიდი ცხენი ება. გოვდაჰი ახლოს მივიდა, ჩამოხდა, ცხენი დააბა და გაემართა კუნაკისაკენ (ეს სიტყვა სქოლიოში განმარტებულია როგორც სტუმრობისთვის განკუთვნილი ცალკე მდგარი პატარა შენობა, რომელსაც თავისი ამ დანიშნულების გამო „კუნაკს“ ანუ „სტუმარს“ ეძახიან. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ყონალი [თურქ. კუნაკ] საუბ. სტუმრობით დამეგობრებული პირი“. — ლ. ბ). ის იყო რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რომ შვიდი გოლიათი გამოვიდა კუნაკიდან. ამოდენა ადამიანები გოდვაჰს სიზმარშიაც არ ენახა. ერთი მათგანი მიუახლოვდა მას, დაავლო ხელი და ნაფოტივით გადაუდგო მეორეს, მეორემ — მესამეს და ასე შემდეგ, ვიდრე გოდვაჰი მეშვიდეს მკლავებში არ აღმოჩნდა. ამან შეათვალა იგი ყოველი მხრიდან

და ასე მიმართა სხვებს: „ძალიან კარგი! აღარ გვჭირდება სადილზე ზრუნვა, რადგან სადილი თავისი ფეხით მოგვადგა კარზე. დავანთოთ ცეცხლი და შევბრანოთ!“ ეს გოლიათები წარმართები და კაციჭამიები იყვნენ. გოდვაჰის საბედნიეროდ, გოლიათების დედამ შენიშნა ის და შეეცოდა. მან მოიბრინა, გამოგლიჯა იგი ხელიდან თავის ვაჟს და ურჩია გაქცეულიყო. გოდვაჰმა არ დაახანა, მოახტა ცხენს და თავს უშველა. მალე მან ზურგს უკან ცხენების ფეხის ხმა გაიგონა. მიიხედა და იცნო შვიდი გოლიათი, რომლებიც თავიანთ სადილს გამოჰკიდებოდნენ. გოდვაჰს შეეშინდა და ცხენს ფეხი ააჩქარებინა, მაგრამ გოლიათებს, ცხადია, ვერ დაუსხლტებოდა, უცბად სხვა გოლიათი რომ არ დაენახა ტყეში. ეს გოლიათი ბრმა იყო და გასართობად ძირფესვიანად გლეჯდა ხეებს, ერთიმეორის გვერდით აწყობდა და მზის ცხელი სხივებისაგან საფარს იკეთებდა. გოდვაჰმა მას მიაშურა და, კაციჭამიებისგან დამიცავიო, შეეხვეწა. ბრმა გოლიათს შეებრალა პატარა კაცი. დაიხარა, აიყვანა და მისი ცხენიარალიანად ჯიბეში ჩაისვა. გამოჩნდნენ კაციჭამიები და ჰკითხეს ბრმას, ტყვე გამოგვექცა და ხომ არ დაგინახავსო. ბრმა გოლიათმა მიუგო: ახლახან გავიგონე ვიღაც ცხენს მიაჭენებდაო და ხელი გაიშვირა რომელიღაც მიმართულებით. მდეურებიც იქით გაქანდნენ. როცა ისინი შორს დაიგულა, ამოიყვანა ბრმამ ჯიბიდან გოდვაჰი, დაისვა ხელისგულზე და ამბავი გამოჰკითხა. გოდვაჰს არაფერი დაუმაღავს, გულახდილად დაუსახელა თავისი აული (*ეს სიტყვა სქოლიოშია განმარტებულია ამგვარად: village. — ლ. ბ.*) და აუწყა, ჩემი ბადალის საპოვნელად წამოვედიო. ბრმამ გაიღიმა და უთხრა: „ჩვენ შვიდი ძმანი ვიყავით და შენსავით გვეგონა, რომ არავინ იყო ქვეყნად ჩვენზე ძლიერი. ჩვენც შენსავით გავუდექით გზას ჩვენი ბადალის საპოვნელად. მივედით ერთ ქალაქში, სადაც გოლიათები ცხოვრობდნენ, რომელთა გვერდით ჩვენ ბავშვებივით მოეჩანდით. გოლიათებმა დაგვიჭირეს და დახოცვა მოგვინდომეს; მაგრამ ვიდრე ისინი ბჭობდნენ, მოვახტით უნაგირებს და თავს ვუშველეთ. გოლიათები გამოგვიდგნენ და უსათუოდ შეგვიპყრობდნენ, რომ ბედად ველზე ვეებერთელა თავის ქალა არ შეგვემჩნია. როგორც ჭიშკარში, ისე შევედით გაღებულ ყბაში, ისე საიმედოდ დავიძალეთ ჩვენი ცხენებიანად, რომ გოლიათებმა ვერ გვიპოვეს. გვეშინოდა სამალავიდან გამოსვლა, ვფიქრობდით, ვაითუ გოლიათები ჯერ კიდევ სადმე ახლომახლოს იყვნენო, და განძრევასაც ვერ ვბედავდით. საღამოს ხმაური მოგვესმა და ერთი მწყემსის სიტყვები გავიგონეთ: „რა მშვენიერი თავის ქალაა! ეს უნდა წავილო და ჩემი ქოხის (*ფრანგულ ტექსტშია tsakli და სქოლიოში განმარტებულია სიტყვით hutte. — ლ. ბ.*) წინ უნდა მივამაგრო!“ ამის შემდეგ ვიგრძენით, რომ მძლავრმა ხელმა აიღო თავის ქალა და ასე გვატარა მანამ, ვიდრე დაღლილმა მწყემსმა შორს არ მოისროლა იგი. ქალა ქვას დაეცა და დაიღვნა. ექვსი ჩემი ძმა და ყველა ცხენი დაიღუპა, მე ქვის ნამსხვრევებმა თვალები დამთხარა! ასე რომ, როგორც ხედავ, ჩემო პატარა მეგობარო, ქვეყნად ძალიან ბევრი ძლიერი გოლიათია! იცოდე ეს და ნუ დაიკვებნი შენს სიძლიერეს!“ — უთხრა ბრმამ, მერე დასვა ჩვენი გმირი მიწაზე და გაუშვა. გოდვაჰმა თავმდაბლად გადაუხადა მადლობა და მგლებდადევნებულ ირემზე სწრაფად მოკურცხლა შინისაკენ. იმით კმაყოფილი, რომ ცოცხალი გადარჩა, აღარ ტრაბახობდა თავისი სიძლიერით“.

ეს გახლავთ ჩეჩნური ვერსია ნართების სახელგანთქმული ეპოსის ერთი ეპიზოდისა (შდრ. „სოსლანი ეძებს თავისზე ძლიერს“, წიგნში: „ნართები“, თარგმნა მერი ცხოვრებოვმა, გამომცემლობა „ირისტონი“, ცხინვალი, 1977; „მჯობნის მჯობნი არ დაილევა“, წიგნში: „ამბავი ნართებისა“, აფხაზური ხალხური ეპოსი, თარგმანი გიორგი ბაქანიძისა და ჯემალ აჯიაშვილის, ბნკარედი მოამზადა გიორგი ამიჭბამ, მეორე გამოცემა, კავკასიური სახლი, 2007; აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის „ცოცხლად დამარხული და უსახოდ დიდი ადამიანები“, წიგნიდან „სიბრძნე სიცრუისა“).

როგორც ვთქვით, ეს თქმულება **დოლბეშევის** ტექსტის მიხედვით ფრანგულად ქ-ნ **ზუტნერს** უთარგმნია.

ამ თქმულების ფრანგულად მთარგმნელი, პრალაში დაბადებული და ვენაში გარდაცვლილი ავსტრიელი ქალბატონი **ბერტა ფონ ზუტნერი** (1843-1914) მშვიდობის დარგში ნობელის

პრემიის პირველი ლაურეატი (1905 წ.) და ჩვენში კარგად ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწეა (მისი ქალიშვილობის გვარია კინსკი — გენერალ გრაფ კინსკის ქალიშვილი იყო, მამამისი მის დაბადებამდე გარდაიცვალა, 75 წლისა). ბერტამ და მისმა მეუღლემ, არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერმა, თითქმის ცხრა წელიწადს დაჰყვეს საქართველოში (1876-1885), აქედან ხუთი წელი ზუგდიდში გაატარეს, სადაც ცოლ-ქმარი სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის სტუმრები იყვნენ. სტუმრებმა და მასპინძელმა ერთმანეთი პარიზში გაიცნეს (ბერტასა და მასზე შვიდი წლით უმცროსი მისი მეუღლის რომანტიკული თავგადასავალი მოთხრობილი აქვს სოლომონ ცაიშვილს. მკითხველს შეუძლია გაეცნოს ამ ნაშრომს მკვლევარის წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები“, რომელიც 1962 წელს გამოიცა, წერილის სათაურია „ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ“; გირჩევთ წაიკითხოთ აგრეთვე ნოდარ კაკაბაძისა და ნოდარ რუხაძის „ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებები საქართველოზე“, „ცისკარის“ მე-5 ნომერში დაბეჭდილი 1962 წელს, და გურამ ჭოხონელიძის „ნობელიანტი ზუგდიდში ცხოვრობდა“, გამოქვეყნებული გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ 1997 წლის 23-ე ნომერში).

ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ (1882 წ.) ავსტრიელი ცოლ-ქმარი ზუგდიდიდან თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. არტური ავეჯის ფაბრიკაში მხატვარ-გამფორმებლად მუშაობდა, ბერტა კი ფრანგულ და გერმანულ ენებსა და მუსიკას ასწავლიდა მსურველთ და ასე ირჩენდნენ თავს (ს. ცაიშვილი). ბერტაც და არტურიც საქართველოში ჩამოყალიბდნენ მნიშვნელოვან მწერლებად და პუბლიცისტებად. ბერტა ზუტნერი მშვიდობისათვის თავდადებული მებრძოლი იყო, ომის მოწინააღმდეგე, პაციფისტი. ომის საშინელებებს მიუძღვნა მან რომანი „ძირს იარაღი!“ (1889 წ.), რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად, 16 ენაზეა თარგმნილი და უამრავჯერ არის გამოცემული. ქართულად ამ რომანის ნაწყვეტი ჟურნალ „მოამბის“ 1895 წლის მე-11 ნომერში დაიბეჭდა სათაურით „ომის მსხვერპლი“ (მთარგმნელის ხელმოწერა — ილო). გერმანულ ვიკიპედიაში ამ რომანის შესახებ ვკითხულობთ, რომ, ვიდრე რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ გამოჩნდებოდა (1929 წ.), „ძირს იარაღი!“ ომის წინააღმდეგ დაწერილ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლებოდა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX-ის დამდეგს ბერტა ფონ ზუტნერი ყველაზე ცნობილი ქალი იყო მსოფლიოში, რომელთან შეხვედრას, საუბარს, ნაცნობობას დიდ პატივად მიიჩნევდნენ სახელმწიფოთა მეთაურები (1904 წელს იგი ამერიკის შეერთებული შტატების იმჟამინდელმა პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა თეთრ სახლში მიიწვია სასაუბროდ).

აი ასეთი სახელოვანი ადამიანი გახლავთ ჩეჩნური თქმულების ფრანგულად მთარგმნელი, თავისი ბიოგრაფიით და შემოქმედებით კავკასიასთან მჭიდროდ დაკავშირებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ახლა დოღბეშევი.

დოღბეშევის ტექსტის მიხედვით უთარგმნია ბერტა ზუტნერს ჩეჩნური თქმულება ფრანგულად.

ამ კაცზე კი ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, ის ამჟამად მივინწყებულისა, არადა, როგორც დავრწმუნდი — და წინამდებარე წერილის გაცნობის შემდეგ, იმედია, მკითხველიც დამეთანხმება — სრულიად უმართებულოდ.

ეტყობა, თვით გვარიც — დოღბეშევი — ერთობ იშვიათია. რუსულ ინტერნეტში ის ერთადერთხელ გვხვდება ერთი ფორუმის („საუბრები რიგაზე“) მასალებში: ვინმე კატარინა პეტროვნა პოპოვის (ასეა!) ქალიშვილობის გვარი ყოფილა დოღბეშევი.

იმ დოღბეშევს, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკის გერმანული წიგნების კატალოგში მივაკვლიეთ: რარიტეტის განყოფილებაში თითო ეგზემპლარად არის დაცული ორი ცალკე ამონაბეჭდი (Sonder-Abdruck) დოღბეშევის (W. J. Dolbescheff) ნაშრომისა „არქეოლოგიური ძიებანი თერგის ოლქში (ჩრდილო კავკასიაში)“ („Archäologische Forschungen im Bezirk des Terek (Nordkaukasus)“), რომელიც ბერლინურ ჟურნალ „Zeitschrift für Ethnologie“-ში გამოქვეყნებულა 1884 და 1887 წლებში. ავტორის ინი-

ციალებისა და გვარის ქვეშ ვკითხულობთ, რომ იგი ვლადიკავკაზის გიმნაზიის უფროსი მასწავლებელი ყოფილა.

„არქეოლოგიური ძიებანი თერგის ოლქში“ რამდენიმე ქვეთავის შემცველი ნაშრომის საერთო სათაურია. 1884 წელს გამოქვეყნებული ნაკვეთის მესამე ქვეთავის სახელწოდებაა „ჩეჩნეთის მთიანეთში. არლუნის რაიონი“ („Im Hochlande der Tschetschna. District des Argun“), ხოლო 1887 წლის ნომერში მოთავსებულ მეოთხე ქვეთავს მხოლოდ „ჩეჩნეთის მთიანეთში“ ჰქვია. რაკი ბერლინური ჟურნალის პუბლიკაციას მთარგმნელზე მითითება არ ახლავს, საფიქრებელია, რომ თავისი ნაშრომი ვლადიკავკაზის გიმნაზიის უფროსმა მასწავლებელმა ვ. დოლბეშევიმა გერმანულად დაწერა ან რუსულად დაწერა და თვითონვე თარგმნა გერმანულად.

მაგრამ ეს ორი ამონაბეჭდი (ერთ მათგანს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი აზის) სრულად ვერ მოიცავს ნაშრომს, ორივე მათგანი თავდება მინანქრით „გაგრძელება იქნება“. ის თქმულება, რომელიც ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნდა, ამ ორ ნაკვეთში (ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ამონაბეჭდებში) არ გვხვდება, — აქ სხვა ჩეჩნური თქმულებები და ლეგენდებია: „ჩუაპას (Tschuapa) ლეგენდა“, ჩანერილი იტერკალეში (Iterkale); „ლეგენდარული ტრადიცია“, ჩანერილი ზემო-კიიში (Ober-Kij) ჩეჩნური მილიციის ლეიტენანტის, პასკოჩიის (Paskotschij) მონათბრობის მიხედვით; „კინგალას (Kkyingala — თეთრი კომკი) ლეგენდა“; „მოუცგატიას (Moutsgatia) ციხის ლეგენდა“; „ტრადიცია, ჩანერილი ცეჩი-აკკიში (Tsetschi-Akki) გვარის თავკაცის (Stammeshaupt) სერალისაგან (Serali)“; „თემურ-ლენგის ვაჟის ლეგენდა“; „თემურ-ლენგის ლეგენდა“ გალანჩოჩში (Galantschotsch) ჩანერილი და სხვ. საერთოდ კი ეს ნაშრომი ოსეთისა და ჩეჩნეთის მატერი-ალური კულტურის ძეგლებს ეძღვნება — ციხე-კომპებს, სამაროვნებს, ახლავს ჩანახატები. ორ ქვესათაურს დავასახელებ სანიმუშოდ: „მუშგენ-გაალას (Muschgen-Gaala) ნანგრევები“, „გათხრები სოფელ ცეჩი-აკკისთან“... მოკლედ, ძვირფას მასალასთან გვაქვს საქმე.

ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილი თქმულებაც ალბათ ვ. დოლბეშევის გერმანულად გამოქვეყნებული ამ ნაშრომის ერთ-ერთი, ჩვენთვის ხელმიუწვდომელი, მონაკვეთის ნაწილია, ანუ, ეტყობა, მომავალ ნობელიანტს ჩეჩნური თქმულება თავისი მშობლიური ენიდან უთარგმნია ფრანგულად. ზუტნერის ფრანგული თარგმანის გერმანულიდან წარმომავლობაზე მთავარი პერსონაჟის სახელის დაწერილობაც მეტყველებს — **Gowdah**; ასო **w** ფრანგულში გერმანული და ინგლისური ენებიდან შესულ სიტყვებში გვხვდება, ანუ, რუსულიდან თარგმნილ ტექსტთან რომ გვექონდეს საქმე, მაშინ აქ **w**-ს ნაცვლად **v** იქნებოდა. გარდა ამისა, საეჭვოა ამავე სახელის ბოლოში **h** გაჩენილიყო, თუკი თქმულება რუსულიდან იქნებოდა ფრანგულად თარგმნილი, ვინაიდან რუსულში **h** ბგერა არ არის. და კიდევ: უ. მურიეს ფრანგულ ჟურნალში დოლბეშევის გვარში **შ** გერმანულად წერია, სამი ასოთი: **sch**.

ამრიგად, ოსეთის დედაქალაქის ვლადიკავკაზის გიმნაზიის რუსი პედაგოგის მიერ ჩანერილი ჩეჩნური თქმულების გერმანული ტექსტიდან ავსტრიელი მწერლის მიერ შესრულებულ ფრანგულ თარგმანს ფრანგი რედაქტორ-გამომცემელი საქართველოს დედაქალაქში გამომავალ თავის ფრანგულ ჟურნალში ათავსებს, რომელიც ორბელიანის ქუჩაზე მდებარე მარტიროსიანცის სტამბაში იბეჭდებოდა და... რუს ცენზორსაც სანინალმდეგო არაფერი აქვს — ნომრის ბეჭდვის დასტურს იძლევა: „Дозволено Цензурою, 28 сентября 1890 г.“

ხალხთა, ენათა, კულტურათა ნამდვილი თაიგულია მართლა ეს კავკასია!

და ბოლოს: ბერტა ფონ ზუტნერმა სათარგმნელად მაინცდამაინც ეს თქმულება ალბათ იმიტომ შეარჩია, რომ იგი მის პაციფისტურ ბუნებას ესაღბუნებოდა.

მერაბ ლალანიძე

მერაბ მამარდაშვილის ლექციები

1990 წლის 25 ნოემბერს, მოსკოვის აეროპორტში, თბილისისაკენ მომავალი თვითმფრინავის მგზავრთა რიგში გარდაიცვალა მერაბ მამარდაშვილი. მისი პიროვნული მასშტაბების, მისი აზროვნების შესახებ მანამდეც და მერმეც არაერთხელ დაწერილა არაერთ ენაზე, ამჟამად კი მისი ოდინდელი მსმენელი მერაბ მამარდაშვილის გახმაურებულ თბილისურ ლექციებს და მათ გარემოს იხსენებს იმდროინდელი საზოგადოებრივი ატმოსფეროს კონტექსტში.

როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი უკვე კრემლის კედელთან განისვენებდა, ხოლო მიხაილ გორბაჩოვი ჯერ მხოლოდ პოლიტიურს რიგითი წევრი იყო, როცა ბრეჟნევის მემკვიდრეს, დაავადებულ და არაქათგამოცლილ იური ანდროპოვს გორბაჩოვის წინამორბედი, ასევე დაავადებული და არაქათგამოცლილი კონსტანტინ ჩერნენკო ენაცვლებოდა და ამ დაუჯერებლად უხეში სიმბოლოს მნიშვნელობას ცოტა ვინმე თუ აცნობიერებდა დედამიწის ზურგზე, როცა კომუნიზმი სულს ლაფავდა და შხამის უკანასკნელ შხეფებს ანთხევდა, — იმხანად თბილისში მილიცია რაიონის განყოფილებაში მიაქანებდა რესტორნიდან გამოსულ შექეიფიანებულ კაცებს და საგულდაგულოდ ამოწმებდა სამუშაო დროს ავტობუსის გაჩერებაზე ნებისმიერად მდგომთ, მეტროს ვაგონებსა და ხელფასის რიგებში პოლიტიკური ანეკდოტების თხრობის მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იკლებდა, შინნაკეთი სტუდენტურ-ახალგაზრდული ჟურნალების ავტორები უხმაუროდ იგზავნებოდნენ მორდოვეთის პოლიტპატიმართა ბანაკებში, ხელისუფლება დიდი მონდომებით ზეიმობდა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, ხოლო მართლმადიდებელ მღვდელს ხვრეტდენ იმის გამო, რომ რამდენიმე ახალგაზრდას ურჩია (თუ არ ურჩია!), საზღვარგარეთ მოსახვედრად თვითმფრინავი გაეტაცებინათ. და მაინც, შესაძლოა, ეს იყო საქართველოსათვის სიმშვიდის უკანასკნელი წლები, როცა საზოგადოება უდარდელად ცხოვრობდა, როცა პოლიტიკური შეხედულებების გამო ერთმანეთს ტყვიას არ უშენდნენ, ქალაქებს არ ანგრევდნენ და ოჯახები არ იხლიჩებოდა; როცა ყველას ერთსულოვნად სწამდა, რომ კომუნიზმი უვარგისი და გახრწნილი სისტემა იყო და არც გაზეთებისა და ტელევიზიის ნდობა შეიძლებოდა, როცა ავად თუ კარგად ყველა თავის საქმეს აკეთებდა: მევენახე ღვინოს წურავდა, მუშა ასფალტს აგებდა, მასწავლებელი გაკვეთილს ატარებდა, ქართველი დიასახლისი კი ხაჭაპურებს აცხობდა. ეს იყო უკანასკნელი წლები, როცა სულიერ სფეროში მოღვაწე ადამიანი ხელისუფლებასთან კეკლუცს შეუფერებელ საქციელად მიიჩნევდა და ყოველგვარი პარტიულ-პოლიტიკური ანგაჟირებისაგან თავი შორს ეჭერა. ამიტომ ის, ვინც ფილმებს არ იღებდა, რომანებს არ ბეჭდავდა და მეცნიერულ აღმოჩენებს არ აკეთებდა, მოსკოვიდან დადგენილ ხელფასს სჯერდებოდა, თავისთვის იჯდა შინ და წიგნებს კითხულობდა.

სწორედ ამ დროს თბილისის ინტელიგენციის ვინრო წრეში შეიძლებოდა ყური მოგეკრათ, რომ პროფესორი მერაბ მამარდაშვილი თეატრალური ინსტიტუტის შენობაში მეტად უჩვეულო ლექციებს კითხულობს მარსელ პრუსტის შესახებ, მოულოდნელს და უჩვეულოს — სიღრმით, სიფართოვით, სითამამით, არტისტულობით. მაშინ მერაბ მამარდაშვილის სახელი ბევრს არაფერს ეუბნებოდა ქალაქის ინტელექტუალურ წრეებსაც კი,

— მისი სახელგანთქმული ლექციების დიდებას თბილისამდე თითქმის არ მოეწინა, ბიბლიოთეკებში კი მისი ორიოდ თხელტანიანი ნიგნი და რამდენიმე სტატია თუ მოიძიებოდა, რომლებიც მეტისმეტად რთული და აბსტრაქტული იყო ჰეგელის, მარქსის ან ბუდიზმის გასაგებად, და მაინცადამაინც არც ავტორის რეალური სახის წარმოსადგენად გამოდგებოდა. ბევრი მას შორიდან იცნობდა როგორც საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიური ბურჟუების — ჟურნალების „პრობლემაში მირა ი სოციალიზმა“-სა და „ვოპროსი ფილოსოფიი“-ს წამყვან თანამშრომელს, ამ უკანასკნელის მთავარი რედაქტორის მოადგილედაც კი, თუმცა ასევე ბევრმა ისიც იცოდა, რომ თუ მის მეგობართა და კოლეგათა უმეტესობამ დასავლეთის უნივერსიტეტებს შეაფარა თავი, მან თბილისისკენ აიღო გეზი, რათა დილით „იმელ“-ის შენობაში მისჯდომოდა სანერ მაგიდას, შუადღით „ივერიის“ კაფეში ესაუზმა, საღამოობით კი ლექციები წაეკითხა უნივერსიტეტის — ეგრეთ წოდებული — მეორადი ფაკულტეტის მსმენელთათვის, — მათთვის, ვისთვისაც ხელოვნება გატაცება იყო და არა პროფესია.

თავდაპირველად საუბარ-სემინარები ერთ პანანინა ოთახში ტარდებოდა, თითქმის სხვენზე, რუსთაველის თეატრსა და სასტუმრო „თბილისს“ შორის, მოზრდილი დარბაზის გვერდით, სადაც სტუდენტები საბალეტო თუ საცეკვაო პრაქტიკას გადიოდნენ, შემდგომში ლექციებმა, — რომელსაც ცხრილის მიხედვით „დრამის თეორია“ ერქვა, შინაურულად კი „პრუსტს“ უწოდებდნენ, — უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის მყუდრო კინოდარბაზში გადაინაცვლა, მაგრამ მსმენელთა რაოდენობა ყოველკვირეულად მატულობდა და „პრუსტმაც“ სხვადასხვა კორპუსებსა და აუდიტორიებში დაიწყო მოგზაურობა, ძირითადად მაინც იმ სხდომათა დარბაზში ბანაკდებოდა, რომლის კათედრასთან ადრე რომან იაკობსონი და ნილს ბორი მდგარან; ლექტორს კი სულ თან დაჰყვებოდა ერთგულ, შეფიცულ მსმენელთა თითქმის უცვლელი ჯგუფი, — მსმენელები, რომელთათვისაც იმ აუდიტორიებში ყოფნა, სადაც მერაბ მამარდაშვილი საუბრობდა, ორდენის წევრთა იმგვარივე ამაღელვებელი ვალდებულება იყო, როგორც ტამპლიერთა ან როზენკროიცერთათვის თავიანთ სატაძრო რიტუალებზე დასწრება.

კურსი თითქოსდა მარსელ პრუსტს, უფრო კონკრეტულად, მისი რომანების ციკლს — „დაკარგული დროის საძიებლად“ — ეძღვნებოდა, რომელიც მსმენელთაგან ცოტა ვისმე თუ ჰქონდა წაკითხული, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ქართულად საერთოდ არ იყო თარგმნილი, ხოლო რუსულად ორჯერ წამოწყებული თარგმანი პირველ ტომებზე იყო შეჩერებული. ასე რომ, ვინც ფრანგულ ორიგინალში არ იცნობდა ამ შვიდ უზარმაზარ ტომს, ძნელად ხვდებოდა, რას და ვის გულისხმობდა პროფესორი, როცა მარსელისა და სენ-ლიუს, სვანისა და შარლიუსის, ოდეტისა და ალბერტინის შესახებ საუბრობდა. ლექტორი ხანდახან ეპოპეის რომელიმე ტომის რომელიმე გვერდს გადაშლიდა და საჭირო ციტატას მოძებნიდა, ხშირად იქვე თარგმნიდა, ხშირად შინ მომზადებულ საკუთარ თარგმანს ჩაიკითხავდა, მაგრამ იმ მსმენელსაც კი, რომელსაც არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა გერმანტებსა და სვანს შორის გაორებულ გმირზე; არც უხერხულობას და არც სინდისის ქენჯნას არ გრძნობდა, რადგან ლექტორი საუბრობდა სიცოცხლისა და სიკვდილის, ისტორიისა და ბედისწერის, ხელოვნებისა და სიყვარულის, ადამიანისა და ღმრთის შესახებ.

მერაბ მამარდაშვილი — იშვიათი გამონაკლისის გარდა — ლექციის დაწყებამდე საკმაოდ ადრე მოდიოდა და საგულდაგულოდ ამზადებდა სამუშაო მაგიდას, — ჩანთიდან დინჯად ამოალაგებდა და წინ დაიწყობდა ჩიბუხს, თუთუნს და ყველა თანმხლებ მონყობილობას, პორტატულ მაგნიტოფონს, კასეტებს, წიგნს — ძირითადად პრუსტის რომელიმე ტომის თხელყდიან, ჯიბის გამოცემას და ერთ ან ორ ფურცელს, — იმ ციტატით ანდა ლექსით, რომლითაც ხშირად იწყებდა ლექციას და რომელიც საწყის განწყობას, ტონალობას აძლევდა დარბაზსაც და მთხრობელსაც, — იქნებოდა ეს უილიამ ბლეიკის,

მანდელშტამის, გოტფრიდ ბენის ლექსი თუ ნანყვეტი დანტედან, ანტონენ არტოდან, ბორხესიდან, — ორიგინალის ფრაგმენტებს თარგმანი მოჰყვებოდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ლექტორს ეკუთვნოდა.

ლექციები ძირითადად მეტ-ნაკლებად ნაკითხი აუდიტორიისათვის იყო გამიზნული, ხოლო ნაკლებად ნაკითხს, მართალია, მთლიანი მსჯელობისათვის თვალის გადევნება უფრო უჭირდა, მაგრამ მასაც ეძლეოდა გამოცოცხლების საშუალება, თუნდაც რომელიმე ყოფითი ან მხატვრული ეპიზოდის გადმოცემისას, თუნდაც ანეკდოტის თუ ცნობილ ადამიანთა ბიოგრაფიის პიკანტური დეტალის მოხმობისას, თუნდაც თავად პროფესორის ავტობიოგრაფიული მომენტის გახსენებისას, — მაგალითად, როგორ გადაწყვიტა მან, სკოლის მონაფემ, ინგლისური ენის შესასწავლად ჯონ რესკინის „ვენეციის ქვების“ ნაკითხვა, — თუნდაც მკვეთრად ანტიკომუნისტური განცხადებისას, „დოქტორი ჟივავოს“ ან „არქიპელაგი გულაგის“ დამონმებით, — ამ დროს მსმენელებს ცივი ოფლი ასხამდათ ხოლმე, — პერესტროიკამდე ჯერ კიდევ შორს იყო! თუმცა ეს ყველაფერი მთავარი სათქმელის შემზადება და შეფარვა, სიმბოლოთა და მეტაფორათა ენაზე მტკივნეული გადატანა იყო: შეჯამებებსა და მცნებებს არავინ ელოდა, მაგრამ უცნაური ის გახლდათ, რომ თითქოს არც ეს მთავარი სათქმელი არსებობდა, — მთავარი იყო არა სათქმელი, არამედ თავისუფალი აზრის თავისუფალი მდინარება, აზრის იდუმალი და მოულოდნელი მწვერვალებისაკენ სვლა, რასაც ემსახურებოდა ლექტორის ინტელექტუალური ვაჟკაცობა, ცოდნა, სიბრძნე, გამოცდილებად ქცეული განცდა, აღტაცებისა და ღიმილის უნარი, გაგებისა და ჩანვდომის ნიჭი. თავისი დიდი მასწავლებლების მსგავსად, მას უყვარდა და სჭირდებოდა აგორა, — ირგვლივ შემოკრებილ მსმენელთა გარემო, მას სურდა, რომ მის შინაგან სივრცეში გათამაშებული დრამისათვის მაყურებელს ედევნებინა თვალი და მუდამ იმას ცდილობდა, მხედველობიდან არ გამოჰარვოდა, უყურადღებოდ არ დარჩენოდა ეს მაყურებელი — ხშირად მისი ლექციები, განსაკუთრებით ახალზიარებულთათვის, მსუბუქი, ლალი, ნათელი, ეფექტური ჩანდა. მას უნევდა დრამის რეჟისორიც ყოფილიყო და მსახიობიც, ამიტომ სათქმელის არტისტულობას თქმის არტისტულობაც ერწყმოდა, — იგი სიტყვებს მკაფიოდ, დინჯად, გემრიელად გამოთქვამდა, ყურადსაღებ პაუზებს აკეთებდა, ამაღლებულ სტილს სლენგს უნაცვლებდა, დახვეწილი შესტითა და გამჭოლი მზერით ხაზს უსვამდა სათქმელის მნიშვნელობას, მაგრამ ხანდახან თითქოს უეცრად დაავიწყდებოდა მსმენელის არსებობა და საკუთარ თავთან განმარტოვდებოდა, საკუთარ თავში ჩაიძირებოდა; არავინ იცოდა, ამგვარ წუთებში საკუთარ სიღრმეში მიგნებულ დაიმონს ესაუბრებოდა თუ თავის მარადიულ, უკვდავ თანამოსაუბრეებს. ალბათ, სწორედ მაშინ იბადებოდა ყველაზე იდუმალი, ყველაზე უცნაური, ყველაზე გამოუთქმელი აზრები, — მეგზურის გარეშე დარჩენილ მსმენელს ამ დროს მეტად უჭირდა გზის გაგნება, მაგრამ მაინც სინათლესთან ზიარების ბედნიერი გრძნობა ეუფლებოდა, რადგან იმ სასწაულის შემსწრე ხდებოდა, რასაც აზრის მშობიარობა ჰქვია.

1990 წლის ნოემბრის მიწურულს მერაბ მამარდაშვილი სამუდამოდ ტოვებდა უკვე სხვაგვარ თბილისს და ეს სხვაგვარი თბილისიც უკვე საყოველთაოდ ცნობილ ადამიანს ემშვიდობებოდა, — ქართული ეროვნული მოძრაობის ნაციონალისტურ-იზოლაციონისტურმა ფრთამ სწორედ იმ დღეებში მოიპოვა ტრიუმფალური გამარჯვება და ახლადმოვლენილი ბელადის თაყვანისმცემელთა მოზეიმე მასებს პრუსტის მოყვარული პროფესორი სახიფათო და თავიდან მოსაშორებელ მტრად ჰყავდათ მიჩნეული. გამარჯვებულთან სხვადასხვა მიზეზით დაპირისპირებულთათვის იგი მომავალ დიქტატორთან ბრძოლის დროშა და სიმბოლო, საყვირი და მეხამრიდი უნდა ყოფილიყო, კიდევ უფრო მცირეთათვის იგი იყო მოძღვარი, მასწავლებელი, შესაძლოა, ცხოვრებაში ერთადერთხელ პირისპირ შეხვედრილი დიდი ადამიანი, პიროვნება, ვინც მის ნამდვილ მსმენელს ცხოვრებისა და თავისუფლების ვნებიანი სიყვარული ასწავლა, ჭვრეტის გემო გაუღვიძა, უცნობი სამ-

შობლოს გალავნები დაანახა, ყველაფერში გაბნეული სილამაზის დანახვის უნარი შესძინა, კაცი, რომელიც აზროვნებისა და ხელოვნების მოციქულად მოვლინებოდა ქალაქს.

რამდენიმე ათასი თბილისელი ნოემბრის იმ სუსხიან დღეს მერაბ მამარდაშვილს ემშვიდობებოდა. საქართველოს შემზარავი ქარიშხლები, უგონობა და სისასტიკე, შიმშილი და სიცივე, ცეცხლი და ცრემლი ელოდა.

ნოემბერი, 1995.

რელიგია

ჰეინერ ბიელეფელდტი

ფრანგულიდან თარგმნა
ვასილ კობახიძემ

რელიგიის თავისუფლება: საბოლოო კრიტიკიზმი?

საზოგადოების ინტერესი რელიგიის, როგორც ნოსტალგიის, ცნობისმოყვარეობის თუ უსაფრთხოების ობიექტის მიმართ, უკანასკნელ წლებში უდავოდ გაიზარდა. რელიგიის თავისუფლების თემაც იმავე პროპორციით დაბრუნდა საჯარო დისკუსიების ცენტრში. თუმცა, იდეა იმის შესახებ, რომ რელიგიის თავისუფლება ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა, პრინციპულად საყოველთაოდ აღიარებული რჩება ევროპის ქვეყნებში. ამიტომ ძალზედ მკაფიოდ ისმება კითხვა: ვის შეუძლია თავისთვის მოითხოვოს რელიგიის თავისუფლება, კონკრეტულად რას იცავს ეს თავისუფლება და ზუსტად სად გადის რელიგიის თავისუფლების საზღვრები. ე. წ. „ფსიქო-სექტების“, ნეო-ნარმართული კულტების და ფუნდამენტალისტური მოძრაობების ადეპტებს შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია მათი რელიგიური თავისუფლების აღიარებაზე? შეიძლება მუეძინის შეძახილი იურიდიულად ქრისტიანული ეკლესიების ზარების რეკვის ტოლფასად ჩაითვალოს, თუ უნდა განვასხვავოთ საზოგადოების რელიგიური უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესები? რელიგიის თავისუფლების გამო, შეუძლიათ მშობლებს უარი თქვან მათი ბავშვების გარკვეული ტიპის სამედიცინო მკურნალობაზე?

ბოლო პერიოდში, გერმანიაში, განსაკუთრებით მწვავე დებატები გამოიწვია პრობლემამ აქვთ თუ არა მუსლიმ მასწავლებელ ქალებს, საჯარო სკოლებში, მუსლიმური თავშალის ტარების უფლება. ადგილობრივი (ფედერალური მინების) კანონმდებლობის ამ თემასთან დაკავშირებული მრავალი ნორმის კრიტიკა ხდება რელიგიის თავისუფლების პოზიციიდან. აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს რელიგიის თავისუფლება სკოლაში რელიგიების კონფესიურს ნავლებასთან დაკავშირებულ დებატებში: შენარჩუნებული უნდა იქნეს ამგვარი სწავლება საჯარო სკოლებში, თუ არაკონფესიური ფასეულობების სწავლებით შეიცვალოს?

დიდ სიახლეს არ წარმოადგენს, რომ რელიგიის თავისუფლება დაპირისპირებებს იწვევს. როგორც ადამიანის უფლება, ის თავიდანვე საკამათო იყო. ქრისტიანული ეკლესიებიც დიდხანს სიფრთხილით ეკიდებოდნენ რელიგიის თავისუფლებას, ზოგჯერ კი მძაფრად ეწინააღმდეგებოდნენ მას. რომის პაპების მრავალჯერადი დაგმობის, განსაკუთრებით კი პიუს IX-ის მიერ 1864 წელს, ანტიმოდერნისტული *ცდომილებათა სილაბუსის (Syllabus errorum)* გამოცემის მიზეზი იყო იმის შიში, რომ რელიგიის თავისუფლება გზას გაუხსნიდა რელიგიურ ინდიფერენტიზმს, ქრისტიანობის სოციალურ მარგინალიზაციას და ათეიზმს. მხოლოდ ნაციონალ-სოციალიზმის და სხვა სახელმწიფოებრივი ტოტალიტარიზმების გამოცდილების შემდეგ დამკვიდრდა კათოლიციზმში ის იდეა, რომ სწორედაც მორწმუნეთა უფლებების დასაცავადაა აუცილებელი რელიგიის თავისუფლება. ორმოცი წლის წინ, ვატიკანის მეორე საეკლესიო კრების დეკლარაციით „ადამიანის ღირსება“ (*Dignitatis humanae*) დაიწყო კათოლიკეთა მიერ რელიგიის თავისუფლების აღიარება.

იმ ქვეყნებში, სადაც ძლიერია მართლმადიდებელი ეკლესიების გავლენა დღემდე არსებობენ რელიგიის თავისუფლების შემზღუდავი კონცეფციები: მაგალითად, ეს სახელმწიფოები მკაცრ სამართლებრივ საზღვრებს უწესებენ მისიონერულ მოღვაწეობას. სულ ახლახან, საბერძნეთში დააპატიმრეს იეჰოვას მოწმე. გაცილებით მძიმე მდგომარეობაა ისეთ

კონსერვატიულ ისლამურ სახელმწიფოებში, როგორებიც არიან საუდის არაბეთი, ირანი ან მავრიტანია. იქ ისლამის “დატევენამ”, შეიძლება სიკვდილით დასჯაც კი გამოიწვიოს. XIX საუკუნეში, ირანში წარმოშობილი პოსტ-ისლამური რელიგიის, ბაჰაის მიმდევრების მდგომარეობა მძაფრად დრამატულია. ისინი, განსაკუთრებით ირანში, ოფიციალურად იდეენებიან და საშინელი სოციალური დისკრიმინაციის ქვეშ იმყოფებიან. რელიგიის თავისუფლების და კონკრეტულად მუსლიმის მიერ რწმენის შეცვლის უფლების აღიარება, ისლამის წიაღში რეფორმების გარშემო ამჟამად მიმდინარე მწვავე დებატების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

შეცდომა იქნებოდა ზოგიერთივით გვეფიქრა, რომ რელიგიის თავისუფლების მიმართ უნდობლობა, მხოლოდ მონოთეისტურად ნოდებულ რელიგიების კონტექსტში არსებობს. ინდუიზმისა და ბუდიზმის მრავალი ადეპტი შიშობს, რომ რელიგიის თავისუფლების მიერ დამკვიდრებული რელიგიური პლურალიზმი, ეჭვის ქვეშ დააყენებს მათ საკუთარ ტრადიციებს და სოციალურ მშვიდობას დაემუქრება. ჩინეთში, პოლიტიკური კონტროლის მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს იმ რელიგიური ჯგუფების დევნას, რომლებსაც არ სურთ მის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა. მოკლედ, ადგილი აქვს რელიგიის თავისუფლებისადმი წინააღმდეგობას და მისი ნორმების დარღვევას სხვადასხვა რელიგიური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მოტივაციით. ისტორიული თვალთახედვით, წარსულში, რელიგიის თავისუფლებამ მრავალი შიში გამოიწვია, ცხადია, რომ იგი დღესაც მრავალს აშფოთებს. რადგან რეალურად, იგი აბსოლუტურად რევოლუციური გადატრიალებაა სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობაში. პარადიგმის ცვლილება შემდეგში მდგომარეობს: ამიერიდან რელიგიური შეხედულებების და ორიენტაციის, ცხოვრებაში რელიგიური ქცევების საკითხები, აღარ ექვემდებარება სახელმწიფოს კონტროლს და მთლიანად მიეკუთვნება პასუხისმგებლობის უნარის მქონე ადამიანების თავისუფლების სფეროს. ამ ღონისძიებამ თავისი შედეგები მოუტანა როგორც რელიგიურ ორგანიზაციებს, ასევე სახელმწიფოს. რელიგიურ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ გამოიყენონ სახელმწიფოს ძალა, რათა გაუსწორდნენ დისიდენტებს საკუთარ წიაღში და დისტანციაზე ამყოფონ კონკურენტი კონფესიები, მით უმეტეს სახელმწიფოს არა აქვს უფლება, გამოიყენოს რელიგია საკუთარი ლეგიტიმაციის წყაროდ ან პოლიტიკური ინტეგრაციის საშუალებად. ამიტომ, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და რელიგიური ორგანიზაციებისათვის, რელიგიის თავისუფლება ერთნაირ გამონწვევას წარმოადგენს.

რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობა

სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის პარადიგმის ცვლილება მინიმუმზირებულია მაშინ, როდესაც რელიგიის თავისუფლება რელიგიურ ტოლერანტობასთან არის გაიგივებული — ეს კი ხშირად ხდება. მაგალითად, მუსლიმი ავტორები ხშირად აღნიშნავენ, რომ რელიგიის თავისუფლების იდეა ისლამისათვის არაა ახალი, რადგან ებრაელები, ქრისტიანები და მუსლიმები, მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ისლამის დომონირების ქვეშ შუასაუკუნეების ესპანეთსა თუ ოტომანთა იმპერიაში. ისტორიულად, ისლამურ ქვეყნებში ტოლერანტობის ტრადიციულ პრაქტიკას, შუასაუკუნეების ქრისტიანულ საზოგადოებებთან და თანამედროვე ეპოქის პირველ პერიოდთან შედარებით, მრავალი დადებითი თვისება ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ასეთი ტოლერანტობა არსობრივად განსხვავდება ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე რელიგიის თავისუფლებისაგან. მართალია, ისლამური სახელმწიფო თანაარსებობდა ზოგიერთ რელიგიურ უმცირესობასთან, მაგრამ მას აგრეთვე გააჩნდა მისია დაეცვა ქვეყნის რელიგიის გაბატონებული

მდგომარეობა. რელიგიის შეცვლა მხოლოდ ერთი მიმართულებით შეიძლებოდა, შერეული ქორწინებები მკაცრად იყო შეზღუდული, ხოლო ისეთი სამოქალაქო სტატუსის იდეა, რომელიც ყველა რელიგიას ერთნაირ უფლებებს მიანიჭებდა, აბსოლუტურად უცნობი იყო.

რეფორმების მომხრე მუსლიმები ხშირად წარმოადგენენ ყურანის ცნობილ ციტატას: „რწმენაზე იძულება არ შეიძლება“ (სურა 2,256), როგორც ყურანში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ რელიგიის თავისუფლების საფუძველს. ჩვეულებრივ კი ტრადიცია ამ ციტატის შემდეგ ინტერპრეტაციას ახდენდა: მართალია არავინ არ შეიძლება აიძულოს, რომ აღიაროს ისლამი, მაგრამ ისლამის დატოვება პრინციპულად უნდა ინვევდეს სისხლის სამართლებრივ დევნას. ასე რომ, განვერიანების თავისუფლებასთან ერთად არ არსებობდა წასვლის თავისუფლება.

შუასაუკუნეების ქრისტიანი მოაზროვნეების ნაწერებშიც იგივე შეხედულებებს ვპოულობთ. წმინდა თომა აქვინელი ქრისტიანად გახდომას „თავისუფლების აქტად“ თვლის, თუმცა მიაჩნია, რომ ერთხელ მიღებული ქვეყნარბიტი სარწმუნოების დაცვა, ის აუცილებლობაა, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებით უნდა იქნეს დაცული. ისლამის ტრადიციულ ინტერპრეტაციასთან პარალელი ნათელია. სხვათა შორის თომა შესაძლებლად მიიჩნევდა განსხვავებული სარწმუნოების მიმდევრებთან ერთად მშვიდობიან სოციალურ თანაცხოვრებას, მაგრამ „ერეტიკოსებისა“ და ქრისტიანი დისიდენტების „ბოროტი“ გავლენის წინააღმდეგ სახელმწიფოს ძალისმიერ ჩარევას მოითხოვდა. ამით იგი ადგენდა ტოლერანტობის ქრისტიანული ტრადიციული დოქტრინის ვიწრო საზღვრებს. რეფორმაციის ეკლესიებიც დიდხანს ემხრობოდნენ ამ პოზიციას და ხშირად ავლენდნენ იგივენაირ დამოკიდებულებას.

ადამიანური ღირსებისადმი პატივისცემის გამოხატულება

როგორც ადამიანის უფლება, რელიგიის თავისუფლება განსხვავდება არა მარტო ტრადიციული რელიგიური ტოლერანტობისაგან, არამედ უფრო შორსმიმავალი, თანამედროვე ეპოქის ტოლერანტობის პოლიტიკისგანაც. მაგალითად, ფრედერიკ დიდი ამბობდა: ყოველ ადამიანს აქვს უფლება „თავისებურად გახდეს ბედნიერი“. ფრედერიკ II-ის პრაგმატული რელიგიური პოლიტიკა ნამდვილად სცილდებოდა ტრადიციულ ვიწროდ შემოსაზღვრულ, კონფესიურ პლურალიზმს, მაგრამ მისი მთავარი მოტივი იყო განათლებული რელიგიური ემიგრანტების მოზიდვა, რომელთაც შეეძლოთ სახელმწიფოს ეკონომიკური აყვავება. ამ პოლიტიკას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ადამიანების რელიგიური შეხედულებების საყოველთაო პატივისცემასთან: ებრაელთა მიმართ ხორციელდებოდა დისკრიმინაცია, რომელიც ფრედერიკ II-ის მეფობის გარკვეულ პეროდში კიდევ უფრო გამკაცრდა.

ბუნებრივია, რომ რელიგიური ტოლერანტობის პოლიტიკა უფრო ჰუმანურია ვიდრე რელიგიური შეუწყნარებლობა. მაგრამ კონცეპტუალური სიცხადისათვის მნიშვნელოვანია ტოლერანტობისა და რელიგიური თავისუფლების კატეგორიების ერთმანეთისაგან გარჩევა: მაშინ როდესაც ტოლერანტობის გამოცხადება (ან აკრძალვა) ხდებოდა ხელისუფლების მიერ, რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ უცილობელ მოთხოვნას წარმოადგენს; როდესაც ტოლერანტობა მოიცავდა რელიგიური ჯგუფების ვიწრო წრეს, რელიგიის თავისუფლებას საყოველთაო განზომილება აქვს; და როდესაც რელიგიური ტოლერანტობის ჩარჩოებში შესაძლებელი იყო ზოგიერთ რელიგიური ორგანიზაციებს დანარჩენებზე მეტი უფლებები ჰქონოდათ, რელიგიის თავისუფლება დაკავშირებულია მოთხოვნასთან, რომ გაუქმებულ იქნას ყოველგვარი დისკრიმინაცია. როგორც ადამიანის ყველა უფლება, რელიგიის თავისუფლებაც ადამიანური ღირსების პატივისცე-

მის გამოხატულებაა. პოლიტიკურად და იურიდიულად ადამიანური ღირსება დაცულია, თუ აღიარებულია ადამიანის თავისუფალი თვითგანსაზღვრის უფლება. ღირსება ყველა ადამიანს გააჩნია, ამიტომ თავისუფლებები ყველას თანასწორ უფლებად უნდა იყოს დადგენილი. „ყველა ადამიანი დაბადებულია თავისუფალი და თანასწორუფლებიანი“, — ამბობს 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პროგრამული I მუხლი. მნიშვნელოვანია რელიგიის თავისუფლების განხილვა ამ პოსულატის შუქზე.

რელიგიის თავისუფლების სუბიექტები რელიგიები ან კონკრეტული მსოფლმხედველობები კი არ არიან, არამედ ადამიანები, რომელთა, რელიგიის სფეროში თვითგანსაზღვრის თავისუფლება იურიდიულად უნდა იყოს აღიარებული. ადამიანის უფლებათა კონტექსტში ეს აღიარება ყველა ადამიანს თანაბრად უნდა ეხებოდეს და გარანტირებული იყოს არადისკრიმინაციის პრინციპის მიხედვით. რელიგიური თავისუფლებიდან გამომდინარე, პატივისცემის უფრო მეტად გამოხატვა ამა თუ იმ რელიგიური პრაქტიკისადმი, იმ მიზეზით, რომ იგი უფრო შეესაბამება მოცემული ქვეყნის ადათ-წესებს (მაგალითად, ზარების რეკვის მუეძინის შეძახილზე უფრო მნიშვნელოვნად გამოცხადება), არალეგიტიმური იქნებოდა. რელიგიური ორგანიზაციის სიდიდე ან ისტორიული მნიშვნელობა არ უნდა ჩაითვალოს მისი წევრებისათვის პრივილეგიების მინიჭების კრიტერიუმად, აგრეთვე არალეგიტიმურია მცირერიცხოვანი ორგანიზაციების შეზღუდვა, რომელთაც ხშირად უწოდებენ „სექტებს“, რაც დამამცირებელი ტერმინია.

ბოლოს, რელიგიის თავისუფლება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს რელიგიური ორგანიზაციის დოგმატურ სისტემაზე: მაგალითად, მონოთეისტურია ის თუ არა ან საერთოდ თუ არის მასში ღმერთისადმი რწმენა. რელიგიის თავისუფლების უფლება აგრეთვე აქვთ არათეისტურ ორგანიზაციებს, ამიტომ ზუსტი ტერმინოლოგიით, საუბარი უნდა იყოს არა „რელიგიის თავისუფლებაზე“, არამედ „რელიგიისა და მსოფლმხედველობის თავისუფლებაზე“. სხვათა შორის ინგლისურენოვან სამყაროში გამოიყენება ტერმინი *ფრეედომ ოფ რელიგიონ ანდ ბელიეფ*.

მართალია რელიგიის თავისუფლება, როგორც ადამიანის უფლება ყოველ ცალკეულ ადამიანს მიემართება, მაგრამ მაინც არ შეიძლება მისი, როგორც მხოლოდ ინდივიდუალისტურის, ვინრო გაგებით ინტეგრეტაცია. ის აგრეთვე მოიცავს რელიგიური თემის საზოგადო პრაქტიკას, მაგალითად, ღვთისმსახურებას, ლიტურგიკულ პროცესებს, რელიგიის სწავლებას და რელიგიურ ორგანიზაციაში განწევრიანების რიტუალებს. რწმენისა და სინდისის თავისუფლებასთან ერთად, რელიგიის თავისუფლება იცავს გარეგან აღსარებას ანუ სარწმუნოების და რელიგიური პრაქტიკის თუ არათეისტური მსოფლმხედველობის საჯარო მანიფესტაციებს. პოლიტიკა, რომელიც ცდილობს რელიგიური კონფესიები მხოლოდ „პირად საქმედ“ წარმოადგინოს და საჯარო სივრციდან მოაშოროს, ეწინააღმდეგება რელიგიის თავისუფლების გლობალურ მოთხოვნებს.

აგრეთვე მნიშვნელოვანია წარმოჩნდეს განსხვავება რელიგიის პოზიტიურ თავისუფლებასა და რელიგიის ნეგატიურ თავისუფლებას შორის. პოზიტიური თავისუფლება გულისხმობს რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი (ყველაზე ფართო გაგებით) მოღვაწეობის დაცვას, „რელიგიის ნეგატიური თავისუფლება“ კი უკრძალავს სახელმწიფოს, აიძულოს ადამიანი ირწმუნოს რომელიმე რელიგია ან მონანილეობა მიიღოს ამა თუ იმ რელიგიასთან თუ მსოფლმხედველობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. რელიგიის თავისუფლების შესახებ ადამიანის უფლებაში ეს ორივე ასპექტი ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს.

რელიგიის თავისუფლების საზღვრები

უკანასკნელ პერიოდში, რელიგიური მოტივაციით განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, ახალი სიმწვავეთ დაისმის რელიგიის თავისუფლების საზღვრების საკითხი. არავის ეპარება ეჭვი ამგვარი შეზღუდვების აუცილებლობაში, დებატები მიმდინარეობს მხოლოდ მათი დადგენის კრიტერიუმების შესახებ. რელიგიის თავისუფლების შინაარსის რელატივიზაცია მავანთა სურვილის მიხედვით რომ არ მოხდეს, 1950 წელს ევროკავშირმა მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელსაც “საზღვრების საზღვრებს” უწოდებენ. იგი აკონტროლებს, რომ რომელიმე სახელმწიფოს მიერ დადგენილი რელიგიის თავისუფლების საზღვრები ზედმეტად ვიწრო არ იყოს:

„საკუთარი რელიგიის ან მსოფლმხედველობის რწმენის თავისუფლებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის და აგრეთვე სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“ (მუხლი 9. 2).

რელიგიის თავისუფლება კიდევ უფრო მკაფიოდაა დადასტურებული ფუნდამენტურ კანონში (მუხლი 4). აქ ის, სხვა ფუნდამენტური კანონებისაგან განსხვავებით, არანაირი ლეგალური პირობით არ არის შეზღუდული. გაბატონებული იურიდიული კონცეფციის მიხედვით, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ეს პირდაპირ ემსახურება სხვა ფუნდამენტური უფლებებისა და ამავე დონის იურიდიული პრივილეგიების დაცვას.

მაგალითად, უეჭველია, რომ რელიგიის თავისუფლება არ შეიძლება დაუპირისპირდეს სიცოცხლის უფლებას. ამიტომ, მშობლებს არა აქვთ უსაზღვრო თავისუფლება, რომ საფრთხის ქვეშ დააყენონ ბავშვების სიცოცხლე და რელიგიური მოტივით, უარი განაცხადონ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე. რელიგიური ორგანიზაციის მიერ მის ნიაღში არსებულ დისიდენტთა ან სხვა კონფესიის მორწმუნეთა მკვლელობისაკენ მოწოდება, ცხადად არღვევს რელიგიის თავისუფლების საზღვრებს.

მაგრამ როგორი მდგომარეობაა ნაკლებად დრამატულ შემთხვევებში? მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნა, რომ გარკვეულწილად შეიზღუდოს ზარების რეკვისა და მუეძინის შეძახილის სიძლიერე, რათა დაცული იქნას მეზობლად მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობის უფლება, რომელიც აგრეთვე გულისხმობს ღამით წყნარ ძილს. ბუნებრივია ამ მსჯელობიდან არ გამომდინარეობს მუეძინის შეძახილის საერთოდ აკრძალვა ან მისი ზარების რეკვასთან შედარებით არათანასწორად განხილვა. განათლების მიღების საყოველთაო და სავალდებულო კონსტიტუციური პრინციპი არ შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს რელიგიის თავისუფლების გამო – შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივი შეღავათები: მაგალითად, სპორტისა და კოლექტიური ცურვის გაკვეთილების ხარჯზე, თუ მხოლოდ ასე შეიძლება იმ საფრთხის აცილება, რომელიც სინდისის თავისუფლებას ემუქრება.

რამდენიმე წელია მიმდინარეობს დებატები მუსლიმი მასწავლებელი ქალების შესახებ: შეუძლიათ მათ საჯარო სკოლებში მუსლიმური თავშალის ტარება? საკითხი რთულდება იმის გამო, რომ ერთმანეთს უპირისპირდება რელიგიის თავისუფლებაში შემავალი ორი ასპექტი – მასწავლებლის რელიგიის პოზოტიური თავისუფლება და მოსწავლეების რელიგიის ნეგატიური თავისუფლება. ჩემი აზრით, მასწავლებლის თავისუფლების შეზღუდვა, რომ გაკვეთილების დროს თავისი რელიგიური შეხედულებების მიხედვით იყოს ჩაცმული, მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ მასწავლებლის ქცევების ერთობლიობიდან ნათლად ჩანს ზიანის შესაძლებლობა მოსწავლეთა რელიგიის ნეგატიური თავისუფლებისათვის.

რელიგიის თავისუფლება სეკულარულ სამართლებრივ სახელმწიფოში

რელიგიის თავისუფლების საზღვრების არსებობა გამართლებულია, მაგრამ ეს არ უნდა აზიანებდეს ადამიანის ამ უფლების ღირებულებას. ამიტომაც რელიგიის თავისუფლების ადგილის განსაზღვრა სხვა იურიდიული გარანტიების მიმართ სიფრთხილით უნდა მოხდეს. მხოლოდ უმნიშვნელოვანესი იურიდიული უფლებების, კერძოდ ადამიანის უფლებების გამო შეიძლება შეიზღუდოს რელიგიის თავისუფლება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის ადგილი აქვს რეალურ კონფლიქტს. ამჟამად გავრცელებული შეხედულებები, მაგალითად, მუსლიმური უმცირესობების მიმართ, რომელთა მიზანია ზოგადად კონფლიქტების პრევენცია, არ იძლევიან რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მოტივებს.

რელიგიის თავისუფლების სრული განხორციელება მხოლოდ სეკულარიზებულ სამართლებრივ სახელმწიფოში არის შესაძლებელი. მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის ყველა უფლება შეიცავს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან დაცვის მოთხოვნას. თუ სახელმწიფო განსაკუთრებული დამოკიდებულების ვალდებულებას გრძნობს კონკრეტული ოფიციალური რელიგიისადმი, მაშინ, სიმბოლურად მაინც, აღიარებს ამ ოფიციალური რელიგიის მიმდევრების პრიორიტეტს, რითაც დაარღვევს არადისკრიმინაციის ნორმას. ამგვარი მდგომარეობისადმი სერიოზული დამოკიდებულება მოითხოვს, რომ სახელმწიფომ არ გააიგივოს საკუთარი თავი რომელიმე კონკრეტულ რელიგიასთან და რელიგიისა და მსოფლმხედველობის სფეროში ნეიტრალური პოზიცია აირჩიოს. ასე რომ, არადისკრიმინაციის ნორმას მოსდევს სახელმწიფოს მიერ კონკრეტული რელიგიისადმი საკუთარი თავის არგაიგივების ნორმა.

სამართლებრივი სახელმწიფოს სეკულარულობის პოზიტიურ მოტივს ადამიანების რელიგიის თავისუფლების მიმართ პატივისცემა წარმოადგენს. ამიტომაც საჭიროა სახელმწიფოს რაიმე რელიგიისადმი არაგაიგივების მოთხოვნა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და განისაზღვროს, როგორც „პატივისცემით განმსჭვალული არგაიგივების პრინციპი“. გარდა ამისა, რელიგიისა და მსოფლმხედველობის სფეროში სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი არ უნდა აგვერიოს, როგორც ეს ხშირად მოსდით, უნივერსალურ „აქსიოლოგიურ ნეიტრალიტეტში“. რელიგიისა და მსოფლმხედველობის თავისუფლების ადამიანის უფლების, როგორც უმაღლესი „კონსტიტუციური ღირებულების“ ლოგიკურ შედეგს, სახელმწიფოს ნეიტრალურობას, არავითარი კავშირი არა აქვს ეთიკურ ინდიფერენტულობასთან. მათ გაიგივებას ხშირად კარიკატურულად ცდილობენ, ისინი კი ანტიპოდებს წარმოადგენენ.

პატივისცემით განმსჭვალული არგაიგივების პრინციპი, რომელიც სეკულარული სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს, სრულებიდაც არ გამოორიცხავს რელიგიური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ურთიერთ თანამშრომლობას. ის არ მოითხოვს, რომ გერმანიაში (და აგრეთვე მრავალ ევროპულ სახელმწიფოში) არსებული თანამშრომლობის ურთიერთობები, შეიცვალოს 1905 წლიდან საფრანგეთში დადგენილი რელიგიის და სახელმწიფოს მკაცრი გაყოფით. მიუხედავად ამისა, პატივისცემით განმსჭვალული არგაიგივების პერსპექტივაში, სასურველია სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების თანამშრომლობის ურთიერთობები ითვალისწინებდნენ ბოლო პერიოდში ჩვენს საზოგადოებებში წარმოშობილ რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ პლურალიზმს.

ამ პოსტულატის განხორციელების სირთულე ჩანს, გერმანიაში ამჟამად მიმდინარე დებატებში, საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების თაობაზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმრავლეს ფედერალურ მინებში არსებული კონფესიური სწავლების სისტემის შენარჩუნება, მხოლოდ იმ პირობით იქნება შესაძლებელი, თუ გაიღება ქვეყანაში იურიდიულად აღიარებული ყველა რელიგიისა და მსოფლმხედველობისათვის. თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდება პრაქტიკული განხორციელების ან სხვა მიზეზის გამო, დასაშვებია,

რომ დროთა განმავლობაში, სკოლაში რელიგიის არაკონფესიური სწავლების მოთხოვნები იქნება უფრო მისაღები.

რელიგიური დისკრიმინაცია „გაბატონებული და წარმართველი კულტურის“ სახელით?

თანამედროვე ევროპაში არ არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ სახელმწიფომ, საუდის არაბეთის ამ ირანის მსგავსად, საკუთარი თავი მოიაზროს ქვემარტივი რელიგიის ან ღვთის მცნებების აღმასრულებელ ორგანოდ. თეოკრატია უკვე აღარ არის ევროპაში, ხოლო სახელმწიფოებრივ-რელიგიური სტრუქტურები, რომლებსაც ზოგიერთ ქვეყანაში (ინგლისი, დანია) ვხვდებით, უბრალოდ ისტორიულ ნაკვალევს წარმოადგენენ.

თანამედროვე ევროპულ ქვეყნებში რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაცია შეიძლება განხორციელდეს არა ოფიციალური ან გაბატონებული რელიგიის სახელით, არამედ „გაბატონებული კულტურის“ სახელით. ზოგადად ევროპული კულტურისა და ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარებაში ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი ისტორიული როლი, ხშირად გამოიყენება საჯარო სივრცეში ქრისტიანობის სიმბოლოებისათვის პრივილეგირებული სტატუსის მინიჭების კონტექსტში, რასაც ნებით თუ უნებლიეთ, არაქრისტიანული რელიგიებისა და მსოფლმხედველობების დისკრიმინაციისაკენ მივყავართ. ამის მრავალ მაგალითს ვნახულობთ უახლოეს წარსულში მიღებულ ნორმებსა თუ სხვადასხვა ფედერალური მინების მიერ სასკოლო განათლების შესახებ მომზადებულ კანონპროექტებში. განსაკუთრებით ეს ეხება რელიგიურ სიმბოლოებს.

ამ ნორმების მომხრეებს ზოგჯერ მოჰყავთ შემდეგი არგუმენტი: რელიგიის თავისუფლება და მასზე დაფუძნებული სეკულარული სახელმწიფო ქრისტიანულ კულტურაში წარმოიშვნენ და, ბოლოს და ბოლოს, მათი შენარჩუნება მხოლოდ ქრისტიანული ორიენტაციის „წარმართველი კულტურის“ ჩარჩოებში იქნება შესაძლებელი. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ქრისტიანულმა ეკლესიებმა თავისუფლების ფასი მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გაკვეთილისა და გრძელვადიანი ისტორიული კონფლიქტების შემდეგ გაიგეს.

დღეს, ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლები სეკულარული სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის თეოლოგიური დასაბუთებისათვის იყენებენ იესოს სიტყვებს: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათე 22:21), მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ იმ რელიგიურ და კულტურულ ფესვს, საიდანაც, ორი ათასი წლის განმავლობაში ამოიზარდა სეკულარული სახელმწიფო. სიტუაცია უფრო საპირისპიროდ განვითარდა: ჯერ თანამედროვეობის ნიადაგზე იესოს ამ სიტყვებმა რეტროსპექტიულად მიიღეს სიმბოლური მნიშვნელობა, რამაც შემდგომში, შესაძლებელი გახადა სეკულარული სახელმწიფოს არსებობის აგრეთვე თეოლოგიური დასაბუთება.

იმ ფაქტს, რომ რელიგიის თავისუფლება არ წარმოადგენს ქრისტიანული კულტურის ექსკლუზიურ მემკვიდრეობას, განსაკუთრებით ნათლად წარმოაჩინეს რელიგიის თავისუფლების, როგორც ადამიანის უფლების, საყოველთაო განზომილება. პირიქით, ეს თავისუფლება მოგვიწოდებს გადავლახოთ ის კულტურული ჰორიზონტი, სადაც პირველად მოხდა რელიგიის თავისუფლების ფორმულირება. ის, ვინც ცდილობს ამ ჰორიზონტის შემოფარგვლას სავალდებულო „წარმართველი კულტურის“ სახელით, რომელსაც წარმოაჩინეს რელიგიის თავისუფლების გააზრების ერთადერთ პირობად, ცხადად თუ ფარულად, ეჭვის ქვეშ აყენებს რელიგიის თავისუფლების ადამიანის უფლებებისადმი კუთვნილებას. კონკრეტულად ეს ნიშნავს რეგრესს პრემოდერნული ტოლერანტობის პოლიტიკისაკენ. ევროპული დემოკრატიები ვერ ასცდნენ ამ რეგრესს თავისი არსებობის პირველ ეტაპზე. რე-

ლიგის თავისუფლება დისკრიმინაციის გარეშე მოითხოვს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი პლურალიზმის განხორციელებას, ამიტომ დღესაც პოლიტიკურად აქტუალური რჩება.

Revue *Esprit*, mars-avril, 2007.

დამუშავილობა

„კავკასიურმა სახლმა“ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ჩვენი სახლის დედაბოძი, დიდებული პიროვნება ანა წვინარია-აბრამიშვილი, რომელმაც მთელი სიცოცხლის საქმედ გაიხადა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, თავდაუზოგავად ემსახურებოდა იმ საქმეს, „ხალხური დიპლომატია“ რომ ეწოდება და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ, აფხაზ და უცხოელ კოლეგებს შორის.

ვბეჭდავთ გაზეთ „აფხაზსკი მერიდიანში“ დაბეჭდილ გამოსათხოვარ წერილს.



აფხაზურის გაკვეთილი

ის ჭემმარიტად აფხაზური სიამაყით ებრძოდა ავადმყოფობას — მკაცრად და უსიტყვოდ.

თვითონაც ასეთი იყო. თავის უკანასკნელ საათამდე.

თანდაყოლილი არისტოკრატიზმი, საკუთარი ღირსების გრძნობა და ადამიანებთან ერთგვარ დისტანციაზე ყოფნის უნარი გასაოცარი ჰარმონიულობით ერწყმოდა მის სულიერ სიფაქიზეს და სიკეთეს, იმ ლტოლვას, მუდამ გამოსდგომოდა ადამიანებს და მუდმივად ეკეთებინა ღირებული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე.

ანა წვინარია-აბრამიშვილისა აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის ძალიან ცნობილ სოფელში — კუტოლში დაიბადა. ამ სოფლიდან წამოვიდა აფხაზური კულტურის მოღვაწეთა მთელი პლეადა, ისეთები, როგორებიც არიან იუა კოლონია, ალიომა ლასურია, კუფი ლომია, ბორის გურგულია და მრავალი სხვა.

როცა ჯერ ისევ გოგონამ მოსკოვში გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება, წინააღმდეგობა არავის გაუწევია. გადაწყვიტა და ჩააბარა კიდეც მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტში.

მაგრამ მოსკოვში სტუდენტური წლები დიდხანს არ გაგრძელებულა. იქ შეხვდა ახალგაზრდა, ნიჭიერ არქიტექტორს ვახტანგ აბრამიშვილს და პირველად აღმოჩნდა მისთვის სრულიად უცხო ქალაქი — თბილისში. თბილისში ჩამოსვლისთანავე იქცა ანა — ქალბატონ ანიკოდ, ძალიან ახლობლებისთვის კი, უბრალოდ — ანიკოდ.

ცოტა ხნით მოუწია სწავლის მიტოვება, ვიდრე სამ შვილს ფეხზე დააყენებდა.

ქალბატონმა ანიკომ ბრწყინვალედ დაასრულა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი. და იმ დროიდან იწყება მისი მსახურება აფხაზური ენისადმი, არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ცოცხალი აფხაზური ენის ბრწყინვალე მცოდნემ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კოლეგიაში დაიწყო მუშაობა, სადაც კავკასიური განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა.

ქალბატონმა ანიკომ ჩაუყარა საფუძველი ქართული და აფხაზური ლიტერატურის აფხაზურ და ქართულ ენებზე თარგმანს, იგი იყო მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების 50 ტომეულის აფხაზური გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი. მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ვითარება მალე შეიცვალა და პროექტის განხორციელება ვეღარ მოხერხდა.

კოლეგიის დახურვის შემდეგ ქალბატონმა ანიკომ მოღვაწეობა კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში“ განაგრძო, სადაც დირექტორის მოადგილედ დაიწყო

მუშაობა. სწორედ ეს ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი, მწერალი ნაირა გელაშვილი იქცნენ სულიერების იმ კერად, რომელიც კავკასიელ ხალხთა ძმობას ქადაგებდა და მრავალი სამშვიდობო წამონწყებას ედგა სათავეში. ქალბატონი ანიკო დაუღალავად იბრძოდა ქართველი და აფხაზი ხალხების შესარიგებლად.

აფხაზურ ენას ყველა მსურველს ასწავლიდა, იყო კავკასიის ქალთა ლიგის და გაზეთ „კავკასიური აქცენტის“ ერთ-ერთი დამაარსებელი.

კინომატოგრაფისტი არ ყოფილა, მაგრამ თვითონ იყო ფილმის „აფხაზეთი. ათი წლის შემდეგ“ იდეის ავტორი და შემქმნელი.

ამ ფილმმა დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოში და აფხაზეთშიც აჩვენეს.

მისი გამორები — უბრალო აფხაზი ადამიანები არიან, სტუდენტები, მოქალაქეები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. თბილისიდან ჩამოსულმა გადამღებმა ჯგუფმა თითქმის მთელი აფხაზეთი მოიარა და მათ ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ.

ქალბატონი ანიკოს გარდაცვალების შემდეგ უამრავი წერილი და დეპეშა მოვიდა. ერთი მათგანი იაპონიიდან იყო გამოგზავნილი.

რამდენიმე ათასი აფხაზური სიტყვა და გამოთქმაა თავმოყრილი მსოფლიოში უნიკალურ აფხაზურ-იაპონურ, აფხაზურ-ინგლისურ, აფხაზურ-რუსულ ლექსიკონებში, რომლებიც შეადგინა და დღემდე ამუშავებს ნაგოის უნივერსიტეტის პროფესორი, ლინგვისტი ტამიო იანაგისავა.

ამ უნიკალური ნაშრომის თანაავტორი ანა წვინარია-აბრამიშვილისა გახლდათ, რომელმაც დიდებულად იცოდა აფხაზური ენა.

მათი შემოქმედებითი თანამშრომლობა ათი წლის წინ დაიწყო და სულ უფრო მტკიცდებოდა.

იაპონიიდან დაბრუნებული ქალბატონი ანიკო ოცნებობდა თავის საყვარელ აფხაზეთში მიენვია პროფესორი იანაგისავა. უნდოდა ეჩვენებინა, როგორ ყვაოდა მთებში ალუჩა, რომლის ყვავილიც ასე ჩამოჰგავს სეკურას ნაზ ყვავილს.

ველარ მოასწრო.

ბედმა სხვაგვარად განსაჯა.

ქალბატონ ანიკოს უკანასკნელ გზაზე თბილისში მცხოვრები მთელი აფხაზური დიასპორა მიაცილებდა. მოვიდნენ მისი მეგობრები და მოწაფეები, რომელთაც აფხაზურს ასწავლიდა, ოღონდ არა მხოლოდ გრამატიკით, არამედ მთელი თავისი ცხოვრებითაც. მოვიდნენ მისი შვილების, მისი შვილიშვილის და გარდაცვლილი ქმრის მეგობრებიც.

ქალბატონ ანიკოს არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავდა. ის და ბატონი ვახტანგი დიდებული წყვილი იყვნენ. ისინი ჰარმონიულად ერწყმოდნენ ერთმანეთს თავიანთი ცხოვრებისეული ღირებულებებით და სულიერი ლტოლევებით.

როცა ცნობილ არქიტექტორს ვახტანგ აბრამიშვილს პრესტიჟულ სახლში მისცეს ბინა, ცოლს ჰკითხა, წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდა, რომ სახლის ნაწილი მისი კოლეგისათვის დაეთმოთ და ცხადია, თანხმობა მიიღო.

ასეთ წერილებში წესი არ არის სუფრაზე წერა, მაგრამ მაინც მინდა ერთი ნიუანსიც აღვნიშნო.

ქელები ქალბატონი ანას შესაფერი იყო. მისი სულის მოსახსენიებლად კი ყველამ შესვა აფხაზეთიდან ჩამოტანილი „ლიხნი“.

ვფიქრობ, ამ ღვინომ ყველას გაახსენა, რა ლამაზი, ამაყი და შეუდრეკელი იწვა ქალბატონი ანიკო თავის უკანასკნელ სამყოფელში, თითქოს ყველა იქ მყოფს აფხაზურის უკანასკნელ გაკვეთილს უტარებდა.

მან საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მეუღლის გვერდით განისვენა. და ვიმედოვნებ, რომ თავისი მშობლიური სოფლიდან ჩამოტანილი ერთი პეშვი მინა სულს გაუნათებს სამუდამო სასუფეველში.

ნათელა ხუციშვილი

ნათელა ხუციშვილი უამრავი ღირსებით შემკული ადამიანი ბრძანდებოდა. შესანიშნავი გერმანისტი, არაერთი თაობის მოამაგე და აღმზრდელი, სიცოცხლის ბოლომდე დაუღალავად იღვწოდა ქართული კულტურისა და სულიერების სამსახურში და ისეთ გადამდებ ენერჯიას ასხივებდა, რომ სოლიდური ასაკის მიუხედავად, მისი ავადმყოფობა ვერაფრით დავიჯერეთ. თანაც, საქართველოში ბოლო დროს ასე მოძალებული საყოველთაო წუნუნის საპირისპიროდ, საკუთარ ტკივილებზე ჩივილი არასდროს ჩვეოდა და იუმორით ცდილობდა თავისი თავისა და სხვების გამხნეებას.

„კავკასიურ სახლთან“ თავიდანვე თანამშრომლობდა, ბოლოს კი თითქმის მთლიანად ჩვენთან იყო და ყველაფერს, როგორც სჩვეოდა, შესაშური პროფესიონალიზმითა და დიდი გულისხმიერებით აკეთებდა.

ნაირა გელაშვილმა, რომელსაც სიზუსტისაკენ სწრაფვა ზედმეტ სენტიმენტალიზმს არასოდეს, თვით ყველაზე ტრაგიკულ ჟამსაც კი, არ ანებებს, ნათელა ხუციშვილის დაკრძალვაზე ასეთი რამ ბრძანა: „გოეთეს ნათქვამია: „არაფრისა ისე არ მეშინია, როგორც ცუდად შესრულებული სამუშაოსი“. ახალგაზრდობაში ამ სიტყვების აზრი მაინცდამაინც კარგად არ მესმოდა და მხოლოდ მოგვიანებით, როცა საქართველოს ვითარებას დაფუკვირდი, მივხვდი, რა შიშსაც გულისხმობდა გოეთე. ჩვენთანაც ხომ საქმეს თითქმის არავინ ასრულებს კარგად. ხოლო ქალბატონი ნათელა ხუციშვილი, დიდი უმრავლესობისაგან განსხვავებით, იყო ნიმუში კარგად შესრულებული სამუშაოსი.“

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ქალბატონმა ნათელამ „აფრისათვის“ ახალი თარგმანები გამოგვიგზავნა. უდიდესი გულისტკივილით ვთავაზობთ მკითხველს ამ ნიმუშებს, სადაც კარგად ჩანს მთარგმნელის საქმისადმი სიყვარული, ოსტატობა და ლიტერატურული გემოვნება.



ერნსტ იანდლი (1925-2000)

ზაფხულის სიმღერა

ჩვენ ვართ ადამიანები მდელოების ზემოთ,
მერე ადამიანები მდელოების ქვემოთ,
მდელოებად ვიქცევით და გადვიქცევით ტყედ,
ბუნებაში ვიარსებებთ მხიარულად, მხნედ.

კრისტინან მორგენშტერნი (1871-1914)

მაგისტრის სიამენი

(მოსალხენი)

გერმანელს უკვე არაფრად თვლიან,
გერმანისტია დღეს კაცი ნაღდი,
სხვები გერმანულს მხოლოდ ჯიჯგნიან,
ის ერთადერთი ფლობს ენას ნამდვილს.
მაგრამ რადგანაც არ ეყო ძალა,
თუნდ ერთი სიტყვა შეექმნა თვითონ.
ამ გერმანისტმა მაინც იძალა,
უფრო საამოდ თავი გაირთო —
თვით შემოქმედნი აბრუნ-ანვალა.

უნინარესად კლასიკოსები
ხამს ალიჭურვონ ვრცელი გლოსებით
და დაინომროს ყველა სტრიქონი,
მათ მხოლოდ ასე ჩასწვდება გონი.
რათა გაცადდეს არსი მთლიანი,
დაგეხმარება საფუძვლიანი,
პროფესიულად გაბმული ხლართი:
წინა-, ბოლოთქმა, ჩანართ-დანართი.

იურა ზოიფერი (1912-1939)

უკრალო ადამიანის სიმღერა

ადამიანნი ვიყავით ალბათ
ანდა ვიქცევით მერმის მათგვარად,
თუ ყოვლივე ცუდს ამოვშანთავთ.
ადამიანი გვეთქმის დღეს? არა!

რამე საბუთში ვართ მხოლოდ გვარი,
ვართ ანარეკლი სარკეში მკრთალი,
გამოძახილი სიტყვათა ღვარის,
და მკვდარი ექოს — ექო მიმქრალი.

ყალბი სახელის დავრჩით ამარა,
 გულქვა ქალაქმა გადაგვაგვარა,
 გადაგვთელა და დაგვასამარა.
 ადამიანი გვეთქმის დღეს? არა!

დიდი ქალაქის ვართ ქუჩის მტვერი,
 ჩვენ ვართ კადასტრში რალაც ნომერი,
 შრომის ბირჟასთან რიგი უძრავი
 და თან ჩრდილები საკუთარ თავის.

ადამიანი ჩვენში რომ აღსდგეს,
 ამისთვის მხოლოდ ეს ერთი კმარა:
 თავს ვკითხოთ: ვარ კი ასეთი ამ დღეს
 და ვუპასუხოთ ყოველთვის: არა!

ჩვენ — უბადრუკი მონახაზები,
 დაუხატავი ტილოს მსგავსები,
 ჯერ არ ნამღერის წინარე ხმები.
 ადამიანებს გვინოდებთ? სცდებით!

სიმღერა ტალებრაფზე

I

კუთხე-კუნჭული სადმე რაც კია,
 ბურთივით მრგვალ ამ დედამინაზე
 მარჯვედ მუშაობს ყველა რაცია,
 მოგვენოდება მარდად, იმნამსვე
 ინფორმაცია.
 სპილენძის მაგარ მავთულთა ქსელში —
 მინის ელვარე სათუთ ნერვებში
 არის ერთი რია-რია —
 რეკს მსოფლიოს ისტორია.
 ზრიალია საშინელი —
 ზრრრ — ზუ-უ-უ — მოკლე — გრძელი —
 არ ჩერდება, არ იღლება —
 გადაცემა — ვრთავთ — მიღება.
 სდექ!

II

მსხვერპლი მრავლდება, კურსი მაღლდება,
 პაქტები მშვიდად განისვენებენ,
 სიხარულისგან ვართ მეცხრე ცაზე,
 ხელყუმბარებით ცა არის სავსე.
 გადამცემები არ ისვენებენ —
 პროგნოზები — ნალექები — რომის ხელშეკრულებები —
 ჩემპიონი ვინ იქნება —
 ჯარისკაცები გვჭირდება —
 ნაკადია უწყვეტელი,
 აპარატი არ იღლება —
 გაზი — ტანკი. მოკლე — გრძელი —

გადაცემა — ვრთავათ — მიღება.
სდექ!

III

მორზეს ნიშნები, მერე მარცვლები,
მერე სიტყვები, მერე ფრაზები
წვრილ მავთულებში მკვირცხლად ძვრებიან,
სპილენძის ხაზებს მიუყვებიან,
მისრიალებენ, განიბნევიან.
მხოლოდ ეს სიტყვა არ გაფანტულა,
„წარღვნა!“ — უკვალოდ არ დაკარგულა.
მავთულხლართებში ფართხალებს, ანცობს,
საფრთხე რომ გველის, სურს ყველას ამცნოს.
არ ისვენებს, არ იღლება;
დაქრის სიტყვა საშინელი,
მოკლე — გრძელი — მოკლე — გრძელი —
გადაცემა — ვრთავათ — მიღება.
სდექ!

IV

მიმოქრის, ყველგან მისი ხმა ისმის,
მისთვის პლანეტა დიდი არც კია,
გლეჯს მორზეს ლენტებს ძალა იმისი,
ააზანზარა ყველა რაცია,
კრიალა რელსებს ის მიუყვება
იჩქარის, მიჰქრის სხვადასხვა მხრისკენ,
სამხრეთისკენ თუ ჩრდილოეთისკენ
და იუნყება:
მსოფლიოს, ურიცხვ ქვეყნებით სავსეს,
მანქანებით და ხალხებით სავსეს,
დღეები რჩება თითქმის დათვლილი —
მას სიკვდილი აქვს უკვე მისჯილი!
არც სამველი არავისთვის,
არც იმედი გადარჩენის —
ამ მაისის დამღვევისთვის
აღსრულდება განაჩენი!
სდექ! სდექ! სდექ!

ლუდვიგ ჰაინრიხ კრისტოფ ჰიოლტი (1748-1776)

აღქაჯების სიმღერა

მერცხალი დაქრის,
გულუხვად გვაყრის
მძლე გაზაფხული
საჩუქრად ვარდებს.
კარში გავძვრებით,
გავფრთხილდებით
და საცეკვაოდ გავინავარდებთ!

შავი ალქაჯი
 გვიძვრება ლაჯში
 და მიგვაქანებს ბროკენის მთაზე,
 ცა — პირმცინარე,
 მაისის მთვარე
 თვალ-მარგალიტებს გვაპკურებს თავზე.

ლუციფერს ვუვლით გიჟურ ფერხულით,
 ვცეკვავთ, თან ვკოცნით მის მხრჩოლავ ხელებს,
 ავსულთა წყება
 ზედ მოგვანყდება
 და ცეკვის ცეცხლი უფრო გვახელებს!

ჩვენ ლუციფერი
 გვპირდება მერე
 უმშვენიერეს საჩუქრებს უღევს.
 დიბა-ატლასებს
 ყველას ჩაგვაცმევს,
 განძს გვაპოვნინებს და ოქროს ფულებს.

მერცხალი დაქრის,
 მაისის ამქრის
 ფერთა შეჯიბრი მზერას იტაცებს,
 კარში გავძვრებით,
 ჩუმად გავშპებით
 და სანოლებში დავტოვებთ კაცებს...

აპოლონი და დაფნე

აპოლონმა, ქალებისკენ თვალი სულ რომ გაუბოდა, —
 — რაც პოეტთა არის წესი —
 დაინახა ხეების ქვეშ ჩრდილში როგორ ნებივრობდა
 დაფნე, ნიმფა უტურფესი.

გაემართა თავმომონედ, მისკენ ლალი ნაბიჯებით,
 ლიქნით მოჰყვა ოხვრა-კვნესას,
 მაგრამ ნიმფამ დრო იხელთა, თითქოს სიოს მსუბუქ ფრთებით
 მსწრაფლ გაექცა მაცდურ ქლესას.

მალე კიდევ გაუსწრო და წინ მიჰქროდა ფრენა-ფრენით.
 აპოლონი ფიცხლად სდევდა,
 ლამაზს თითქმის ენეოდა, გაშმაგებით, მძიმე ქმენით,
 ჰა, და მიზანს მიაღწევდა, —

მაგრამ ვერცხლის ნაკადულთან ნიმფამ ღმერთებს თხოვა შველა,
 შეევედრა, ეს სულელი!
 ზევსმა რაღაც ანიშნა და შემოეხვა ტანზე ხელად
 დაფნის ხისტი სამოსელი.

და ფეხებიც ეგზომ კობტა ფესვად ექცა, ჩაიზარდა
 ღრმად მინაში მისი ძირი.
 აპოლონმა ეს რომ ნახა, კისრისტეხით როს მოვარდა,
 მოჰყვა ყვირილს: „ფუი, ჭირი!“

მან ლოყები დაცვარული მიატმასნა ცივ ტანს ხისას,
 იგრილებდა ასე სახეს,
 ხეს ეკვროდა — სულ ახლახან ნიმფას მისი ოცნებისას
 და ნიმფების სიამაყეს.

მელა დაცხრა, დაფიქრდა და დიდხანს აღარ ვალალებდა.
 მერე დასწვდა ფოთლებს ხისას
 და გვირგვინი დანნა მყისად, ქერა თავს რომ უმშვენებდა
 ცეკვისას და სიმღერისას.

საცოდავო, აის მერე თმებს გაგლეჯენ ათასები,
 უმონყალოდ იძარცვები,
 რადგან ყველას სურს დაიდგას თავზე დაფნის გვირგვინები.
 დაფნე, როგორ მებრალები!

შენ ხშირ თმებში ფათურობენ პოეტები, მეომრები,
 რჩები აშლილ-არეული:
 განყდებიან, როგორც ტყეში მოთარეშე ქარიშხლები
 მათ გარდა კი — მზარეულნი!

დიახ, დიახ, შავგვრემანი მარეულნიც შესევნიან
 შენს კულულებს, განა რისთვის?
 ამ საამო სანელებით აზავებენ კერძებს წვნიანს
 საზეიმო სუფრებისთვის.

დე, ამ მითის მაგალითი დაიხსომონ გოგონებმა,
 ვიდრე გვხიბლავთ და ვარგიხართ,
 ეს მიიღეთ გაფრთხილებად, შეისმინეთ შეგონება:
 პოეტებს ნუ გაგვირბიხართ.

ვილი ბარტოკი (1915-?)

ქვემო რაინი

არ მინდა ხოტბა შეგასხა
 ყალბი მზისგან ნასესხებ გამონაშუქით
 ვერ მომჭრი თვალს და
 ვერც სიმდიდრეთა მთრეველი კუზით
 ვერ მომისყიდი.

შორს გამოიჭერ
 და ღრმად დაეცი
 მოხველ მხიარულ ვაზით შემკულ მთის კალთებიდან
 და ჩაიძირე დახშულ მონურ დაბლობის შლამში.

დიდი ხანია ტაძრები და ციხე-კოშკები
ზარდაცემული გაქვავებულან.
გოგირდის ხრჩოლვით, ჭვარტლის ბოყინით, მაზუთის რწყევით
დაგროვებულან საკვამურები ბრძმედული გაზის მრეცხი კოშკები
და კაცის სიმსხო მიღები ყველგან
შენს აოხრებულ სანაპიროზე.

მინდა მივუძღვნა ნრფელი ნეკროლოგი
მკვდარ თევზებს
მღვრიე დურდოში რომ ჩაიხოცნენ
შენი დინების მარჯვნივ და მარცხნივ
ჩამდინარ წყალთა არხებიდან მუდივ რომ ანთხევ.

შენი სულ ბოლო შენაკადები
რური ემშერი ლიპე ძვრებიან
მუდმივ ნაბილწვით ქანცგანყვეტილი
მაგ შენს ჭუჭყიან ბებრულ საწოლში.

თავს ველარ იცავ
ერთ დროს ძლიერო, შეგინებულო და მონამლულო
ზაფხულში ცამდე ამდის სიმყრალე
მეც სულს მიხუთავ და სუნთქვას მიკრავ
და თვითონ ზღვასაც
აღარ უნდა შენი მიღება.

რადინარ მარია რილკა (1875-1926)

შეყოფილის დღე

უფალო, დროა: ამ გრძელ ზაფხულს დაუდე ზღვარი.
გადააფინე შენი ჩრდილი მზის საათებზე
და სანახებზე მიუშვი ქარი.

დარჩენილ ნაყოფს დავარგებას რომ დაავალებ
უბოძე კიდევ ორიოდ დღე სამხრეთულ ხვატის.
განაგე, წვენიტ გაიჟღინთონ, დაშაქრდნენ მალე
და ძელგ ღვინოში ჩაადინე სიტკბო შარბათის.

ვინც ახლა არის უსახლკარო, ასე დარჩება,
ვინც მარტო არის, მარტოობა მოუწევს დიდხანს,
უძილო ღამით შეუდგება ნიგნების კითხვას,
წერს გრძელ წერილებს, წერილებსაც არ მოაქვთ შვეება.
და ხეივნებში აშლილ ფოთლებს სადღაც გაჰყვება.

ჰერმან ჰესე (1877-1962)

ნელინადის ღრონი

(ნაწყვეტები)

იანვარი

მიიჩქარის მკრთალ ღრუბელთა წყება,
არემარე მისცემია დუმისს,
სულ ცოტა ხანს ასე გაგრძელდება —
ყველაფერი კარგია და ჩუმი.

მარტი

ზოგჯერ ყალბი და ნაღვლიანი ჩანს ყოველივე,
როდესაც სუსტებს და მოღლილებს ტკივილი გვტანჯავს,
ყველა წადილი მწუხარებად ლამობს გადიქცეს,
ყველა სიხარულს იმთავითვე ფრთა ეკვეცება.
სმენადქცეულნი სიშორეებს გავცქერთ იმედით,
იქნებ ახალი სიხარული იქიდან მოდის.

დეკემბერი

სამშობლოს მონატრება —
უსასრულო და ძველი
ღრმავდება, ძლიერდება,
გამოუთქმელად ნელი.
ეს ბალიც გაშიშვლდება —
და გადის ერთი ნელი.

ფრიდრიჰ მარტინ ბოდენშტადტი (1819-1892)

„ხალხური მოტივები“-დან

ქორწილი იყო სოფელში,
ილხენდა დიდი, პატარა.
ერთი მოხუცი მგოსანი
გზამ აქეთ ჩამოატარა.
ნეფე-დედოფალს გულუხვად
უძღვნიდნენ მდიდრულ საჩუქარს,
მოხუცმა სხვა არაფერი —
ერთი სიმღერა აჩუქა.

მექორწილენი უკლებლივ
საფლავის მიწამ გალია,
ის საჩუქრებიც მტვრად იქცა,
სიმღერა კვლავ ცოცხალია.

„ღამფვილოჯუბა კავკასიონთან“

ბრწყინვას მატებს მთვარე
მყინვარების ციმციმს.
მე ცრემლი მდის ცხარე,
განშორება მიმძიმს.

ქარიშხალი ღმუის,
თოლიების ხმები
ერთვის ზვირთთა შხუილს,
ფიქრით შენთან ვრჩები!

ხმელეთი ჩანს ბუნდად,
მზერა ველარ წვდება,
გულს კი მაინც უნდა
შენთან დაბრუნება.

მსურს სიმღერის დარად
გულს შევასხა ფრთები,
რომ გიმღერდეს მარად:
ფიქრით შენთან ვრჩები!

ჰაინრიხ ჰაინე (1797-1856)

„სიმღერების ნიბნიდან“

XXXIII

უყვარდათ ერთურთი და არც ერთს
არ სურდა ამ გრძნობის განდობა;
მტრებივით უფრთხოდნენ ერთმანეთს,
თუმცა სიყვარული აღნობდათ.

ბოლოს მთლად დაშორდნენ, მხოლოდ-ღა
სიზმრებში ხანდახან ხვდებოდნენ.
სიცოცხლე მათი დაბოლოვდა
და ალბათ, ვერც ამას ხვდებოდნენ.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1794-1832)

„სატრფოს სიასლოვა“

მე ვფიქრობ შენზე, როს მზის სხივები
ზღვიდან მინათებს.
მე ვფიქრობ შენზე, როს მთვარის კრთომა
წყაროებში იხატება.
მე გიცქერი შენ, როცა შორ გზებზე

მტვერი აიშლება
 უკუნ ლამეშიც, როს წვრილ ბილიკზე
 მგზავრი შეკრთება.
 შენ გისმენ მაშინ, როს ხმაურით
 ტალღა იწევა.
 ჩუმ ბალნარში ხშირად ყურს გიგდებ,
 როს დუმს ყოველი.
 მე შენთანა ვარ, თუნდ შენ იყო სულ შორს,
 მაინც ხარ ახლოს.
 მზე ჩაეშვება, მალე ვარსკვლავნი გამინათებენ.
 აქ იყო ნეტა!

რუთი კლიუბერი (ღანიბ. 1931 წ.)

ოსვენციმი

ცივი დილა. ოსვენციმი.
 ნაბიჯები ისმის მძიმე.
 სამუშაოდ წამოყრილნი,
 თავდახრილნი, დათრგუნულნი
 მიჰყვებიან გზას ბედკრულნი.
 ჩაუქრებათ მზის ნათელი —
 ეს ჯერ იმათ არ იციან,
 ჯერ წინაა განსაცდელი
 და მკვლელობა საშინელი.
 უხმოდ ამ გზას მიჰყვებიან.

ბარაკების უკან, ხედავ
 კვამლი მუდამ ცას ეხვევა,
 ებრაელო, გიმტრო ბედმა,
 მას ვერავინ გაექცევა.
 კვამლში ჯერ ვერ დაინახე
 დაღმეჭილი რაღაც სახე?
 ხმაც გაისმის დამცინავი,
 ნიშნსაც გვიგებს ეს პირშავი:
 აქ ყველაფრის ვარ ბატონი,
 ჩავნთქე ხუთი მილიონი.
 მე ვერავინ გადმირჩება,
 ყველა, ყველა დაინვება.

მავთულხლართში დღე-ცისმარე
 მზე ამოდის მოელვარე,
 მაგრამ შუქი მყის მკრთალდება
 სხვა ცეცხლი რომ ააღდება.
 მაცოცხლებელ სხივთა ძალა
 ოსვენციმში მთლად გამქრალა.
 ცეცხლმა იწყო კვლავ ვარვარი,
 ღუმელია აქ მთავარი.
 მას ვერავინ გადურჩება,
 ყველა, ყველა დაინვება.

ეგონ ფრიდელი (1878-1938), ალფრედ პოლგარი (1813-1955)

გერმანულიდან თარგმნა
ნათელა ხუციშვილმა

გოეთე

გროტესკი ორ სურათად

მოქმედი პირნი:

გოეთე

სკოლის მრჩეველი

ლიტერატურის ისტორიის პროფესორი

დამსწრე

ციუსტი, ცუდი მოსწავლე

კონი, კარგი მოსწავლე

ლინერლი, ციუსტის მეგობარი გოგონა

სკოლის მსახური

პირველი სურათი

საკლასო ოთახი

ციუსტი და ლინერლი

ციუსტი ბოლთას ცემს, თან იზეპირებს, სასონარკვეთით:

— შეუძლებელია, არაფერი გამოდის!

ლინერლი: მიყურე! გოეთედან ცოტაოდენს ხომ კიდევ ისწავლი...

ციუსტი: ცოტაოდენსო?! საერთოდ აზრზე თუ ხარ! ვიდრე ამგვარი უსასრულო პოეტის ოცდამესამე ეპოქას დაიზეპირებ, პირველი თორმეტი რა ხანია პირწმინდად დავინწყებულნი გექნება. აი, კიორნერი კი სულ სხვა მასტი იყო! ოცდამეცამეტი წლისა უკვე მიიცვალა! ეს გოეთე, ეს ოლიმპიური მონსტრი კი, რომელმაც იმაზე მეტი წელი დაამღერა, ვიდრე ყველა დანარჩენმა პოეტმა ერთად აღებულმა! მაინცდამაინც ოთხმოცდასამი წლისა უნდა გამხდარიყო; ყველაფერში ცხვირი უნდა ჩაეყო, ყველა თავის საიუბილეო თარიღს მოსწრებოდა; რამდენჯერაც ვინმე დედაკაცთან ექნებოდა საქმე, მისი შემოქმედება უფრო მეტად ნაყოფიერი ხდებოდა...

ლინერლი: ნადი ერთი!

ციუსტი: ჰოდა, თხზულებათა სრული კრებულებიდან ახალ სიბრძნეებს აფრქვევდა.

ლინერლი: აჰ, ასე!..

ციუსტი: ეს კიდევ რაა! ჯერ სადა ხარ! ისეთი გამჭრიახი გონება ჰქონდა ბალახის ზრდაც კი ესმოდა. მის სიახლოვეში მყოფი ყველა საუკეთესო პიროვნება „გოეთესთან საუბრებში“ ჩაითრია, ხოლო უფრო შორს მყოფნი ორ ან სამტომიანი მიმონერისათვის გამოიყენა. მერე კი, როცა მთლად მოხუცდა და წერა აღარ შეეძლო, ეკერმანი აიყვანა მდივნად და

ლაპარაკით ყურები გამოუჭედა. და ეს მხოლოდ იმისათვის, რომ მის შესახებ იმ პერიოდში დანაც რაიმე ისწავლოს კაცმა!

ლინარლი: კი მაგრამ, ყველაფერი ხომ არ იქნება ასე მნიშვნელოვანი?

ციუსტი: მნიშვნელოვანი არ იქნებაო?! აბა, ერთი უთხარი ეს პროფესორ ჰინტერჰუბერს! (ბაძავს): „გოეთეს ცხოვრებაში არაფერია უმნიშვნელო! გოეთე წმინდათაწმიდაა!.. მე იძულებული ვიყავი მის ოთხ იტალიურ მოგზაურობაშიც თან ვხლებოდი.“

ლინარლი: ასეა, შენ კი პრალაშიც ვერ ნაწყობიხარ მამაშენს!

ციუსტი: ღმერთო, იქნებ სულაც მხოლოდ სამი იყო იტალიური... გთხოვ, ერთი სწრაფად ჩახედე!

ლინარლი: (წიგნს ფურცლავს) ღმერთო ჩემო! ერთი შეხედე! კარლსბადშიც ყოფილა!

ციუსტი: რა-ა-ო?

ლინარლი: ჰო, აქ ასე წერია! (კითხულობს): „თავი მეთვრამეტე: პოეტთა მეფე კარლსბადში და მისი მნიშვნელობა ბოჰემიის სამეფოს ტუტე წყლებისათვის“.

ციუსტი (გაცოფებული): ესეც შენ! ახლა კი ნამდვილად ჩავიჭრები, რადგან ბატონ საიდუმლო მრჩეველს ყაბზობა ჰქონია. ეშმაკსაც წაუღია! ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! (წიგნს კუთხეში მოისვრის) ბნელდება, გრგვინვა, ელვა.

დაბაღი ხმა: ეს სამჯერ უნდა თქვა!

ციუსტი (აკანკალებული, ავტომატურად იმეორებს): ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! ბნელდება, კარი იღება, გამოჩნდება გოეთე.

ციუსტი (მისუსტებული ხმით): ვინ ბრძანდებით? — (ისევ ნათდება)

ბოიტი (რბილად): ეჰ, ვერა მცნობთ? ისა ვარ, ეშმაკმა რომ უნდა წაიღოს.

ციუსტი (მუხლებზე ეცემა და მიაყრის): ო, დიდოსტატო... პოეზიის გმირთა გმირო... გერმანული პოეზიის განმაახლებელო... ვაიმარის დიდო დიოსკურო... ანტიკურობის ამლორძინებელო...

ბოიტი: ეი, შეეშვით რა ამ ფორმალობებს! უბრალოდ მომმართეთ: „თქვენო აღმატებული“ „მისვდი? (რადგანაც მოსწავლე გაოგნებული შესცქერის, ამატებს): ჩემი ფრანკფურტული კარგად არ გესმით? (ღიმილით): მართლაცდა ეს ზემოგერმანული ყოველთვის მიჭირებდა საქმეს. ახლა კი მითხარით, მაინც რა გაქვთ ჩემი საწინააღმდეგო, ერთთავად რომ ჩემს ლანძღვაში ხართ?

ციუსტი: მე... მე... მინდოდა... თუ თქვენი აღმატებულება ინებებს, მითხრას... რამდენჯერ ბრძანდებოდა თქვენი აღმატებულება იტალიაში?

ბოიტი: ნუ, სამჯერ მაინც იქნებოდა — მაგრამ მითხარით, რა თქვენი საქმეა?

ციუსტი (წამოდგება): ოჰ, თქვენო აღმატებულება, ეს საკითხი ნამდვილად ხვალ გამოცდაზე შემხვდება. კი, ვიცი, რომ ყველაფერი, რაც თქვენ გეხებათ, ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ მეტისმეტად ბევრია! და თუ გამოცდა ვერ ჩავაბარე, იძულებული ვიქნები, ბანკში ვიმსახურო, მე კი უზომოდ მინდა ფილოსოფიის დოქტორი გავხდე, რათა კაბარეში გამოსვლა შემეძლოს...

ბოიტი: ეჰ, რა მალლა უმიზნებს!

ლინარლი: ჰო, მართლაც მეტისმეტს ედება!

ბოიტი (ამჩნევს ლინარლს): ეს რა კობტა გოგოა! (ნიკაპზე წაავლებს ხელს).

ციუსტი: ოჰ, ღმერთო, ზოგჯერ მგონია, რომ ყოველ შეკითხვას, რომელიც გოეთეს ეხება, კაცმა რომ თქვას, მართლაც მხოლოდ თავად მის აღმატებულებას შეუძლია უპასუხოს!

ბოიტი: რაო? მე თვითონ? თქვენ კარგი აზრი მომანოდეთ! მოდი და, ერთი პატარა ოინი მოვანყოთ! მე გავალ გამოცდაზე თქვენს მაგიერ. მე თქვენად გადავიქცევი. ერთხელაც, მონაფეს მეტი ეცოდინება, ვიდრე ბატონ მასწავლებლებს! ყველას ეგონება, რომ ეს თქვენა ხართ, ამ დროს კი იქ მქვიდგები და ყველა შეკითხვას ჩინებულად ვუპასუხებ. თუ ვინმეს თავისი საქმე ეხერხება, ეს ხომ მე ვარ! (კმაყოფილებით): ეს საქმე კარგად გაიჩარება!

ციუსტი (მუხლებზე ეცემა): ო, თქვენო აღმატებულება, რით გადაგიხადოთ?

ბოქითი: მოეშვით მაგას! მე თვითონ მეხალისება, რომ ამ მჯღაბნელებს სირცხვილი ვაჭამო; თანაც როცა ასეთი კობტა გოგო გვესწრება, უკვე საერთოდ აღარ ძალმძის უარის თქმა. საერთოდ, ეს არც არასდროს შემეძლო — მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, არასდროს!..

ლინერლი (მუხლებზე ეცემა): ო, თქვენო აღმატებულება! რაკი ასე თავაზიანი ბრძანდებით, მეც ერთი თხოვნა მექნებოდა! ჩამინერეთ რაიმე ჩემს ალბომში! ბატონი ბონი და ბატონი კარუზო უკვე არიან შიგ!

ფარდა

მეორე სურათი

სკოლის მრჩეველი, ლიტერატურის პროფესორი, დამსწრე, კონი, ციუსტი, მოგვიანებით ბოქითი, სკოლის მსახური

პროფესორი: ამრიგად, თქვენ იცით, რომ გოეთესთან მიმართებაში ხუმრობა არ მიყვარს. გოეთე წმინდათაწმინდაა.

სკოლის მრჩეველი (უკბილო, მიხრწნილი, უგერგილო ირონიით): რომლის გათავისება მხოლოდ რკინისებრი მუყაითობის წყალობით თუ ძალუძს კაცს.

პროფესორი: ჩვენ კიდევ დაგვრჩა კონი და ციუსტი. ციუსტ, თქვენ უფრო სუსტი ხართ, ადექით! (ჩუმად ელაპარაკება კომისიას. ციუსტი წამოდგომას რომ აპირებს, ამ დროს გოეთე გამოჩნდება მის უკან. ციუსტს მერხის ქვეშ მალავს და საგამოცდო კომისიის წინაშე წარსდგება). — გოეთე იმდენად კოლოსალური მნიშვნელობის მოვლენაა, რომ მას ყოველი განათლებული ადამიანი ზედმინევენით კარგად უნდა იცნობდეს. მხოლოდ მას შეუძლია წარმატების პერსპექტივით ცხოვრების არსის წვდომა, ვისაც გოეთეს ცხოვრება და შემოქმედება გაუხდია პურად თვისი არსობისა.

ბოქითი (თავმდაბლურად უარობს): რას ბრძანებთ, სულაც არა...

პროფესორი (ძალიან მკვახედ): თქვით რამე?

ბოქითი (გაჯავრებით): არა!

პროფესორი (იხედება თავის ბლოკნოტში): დავინწყოთ ოჯახის ისტორიით. რა ერქვათ, რას წარმოადგენდნენ და სად ცხოვრობდნენ გოეთეს პაპა და ბებია ა) მამის მხრიდან, ბ) დედის მხრიდან?

ბოქითი: ნუ, მამისმამა გახლდათ ბებერი შორშ ფრიდრიჰ გოეთე, ის თერძი იყო ფრანკ-ფურტში, ჰოდა, მისი ცოლი, ქალიშვილობაში შალჰორნი, საძოვრების პატრონის ქალიშვილი იყო, რომელიც ნეკერგემინდიდან აქეთ გამოთხოვდა, მისი ძმა — კასპერ შალჰორნი კი...

პროფესორი (კმაყოფილებით): შესანიშნავია, აქამდე კარგად დაგისხომებიათ.

ბოქითი (მტკიცედ აგრძელებს): ჰოდა, იმას ვამბობდი, მისი ცოლი, ბიზე მერელი კათრინი ხომ პირველი ბებიაქალი იყო, რომელსაც დიდი ჰერცოგის დამონმებული დიპლომი ჰქონდა, ისე კი, ერთი აშარა დედაკაცი გახლდათ; უფროსი ვაჟიც არ დაქორწინდა ბენზჰაიმში. ხომ იცით, ველარ აიტანა ჩხუბი და აყალმაყალი, ესე იგი, ეს ულრიხი...

პროფესორი: მამ ასე, ძალიან კარგი, საკმარისია!

ბოქითი (ნირს არ იცვლის, განაგრძობს): ეს ულრიხი ფრანც თეოდორი...

პროფესორი: ჯერჯერობით გეტყობათ, მასალას ღრმად ჩანვლომისხართ.

ბოქითი: აბა რა!

პროფესორი: ახლა კი თავად პოეტზე. ის დაიბადა...

ბოეტი: 1749 წლის 28 აგვისტოს.

პროფესორი: სად?

ბოეტი: ფრანკფურტში, დიდი ჰირშგრანდის №12 (პროფესორს სურს, შეაწყვეტინოს), ცისფერ ოთახში, მესამე სართულზე, მარცხნივ (მოგონებებში გაერთობა), იქ აგრეთვე ორი ქანქარიანი საათი იყო ბიძაჩემ რეტიხისა, კოპნია ამურებით თავდამშვენებული. აი, შორშმა რომ დაამსხვრია, სროლა რომ აუტეხა.

პროფესორი (გალიზიანებული გოეთეს ჭარბი ცოდნით): თავი დავანებოთ გოეთეს დაბადების ადგილს... როდის შევიდა უნივერსიტეტში?

ბოეტი: თექვსმეტი წლისა რომ იყო.

პროფესორი: რომელ ქალაქებში, რა მიზნით სწავლობდა?

ბოეტი: ესე იგი, ლაიფციგში, მერე — სტრასბურგში. თავიდან — არაფერს.

პროფესორი: ჰმ?!

ბოეტი: შემდგომ ამისა, იურისპრუდენციას და ხელოვნების ისტორიას, ცოტაოდენ ფილოსოფიასაც.

პროფესორი (ბრაზმორეული): როგორ თუ ცოტაოდენს?

ბოეტი: ნუ, ბევრიც არ ეთქმის.

პროფესორი: როდის დატოვა გოეთემ ვეცლარი?

ბოეტი: ე-ე... ასე 71 ან 72 წელს.

პროფესორი (ტრიუმფით): მე გეკითხებით, როდის დატოვა გოეთემ ვეცლარი-მეთქი.

ბოეტი (ჭოჭმანით, შეფიქრიანებული): 72-ში, ჰო, ჰო... ასე იქნებოდა.

პროფესორი: ამ უაზრო, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით თქვენს უცოდინარობას ვერ დაფარავთ! მე, ცხადია, ვგულისხმობ: რომელ თვეში დატოვა გოეთემ ვეცლარი?

ბოეტი: რომელ თვეში? მოიცათ, ამას ახლავე გეტყვით (ფიქრობს სასონარკვეთით, დაძაბულად) — ეჰ, მაინც როდის იყო ეს? ე-ე, ეს ხომ ვიცოდი...

პროფესორი: დიახ, ეს გამოთქმა მუდამ პირზე გაკერიათ! თქვენ ხომ ყოველთვის იცოდით! მაგრამ არაფერი იცით! (მიმართავს კონის, რომელიც ცმუკავს, პატივმოყვარეობა არ ასვენებს). როდის დატოვა გოეთემ ვეცლარი?

პონი: თავისთავად ცხადია, 1772 წლის 23 სექტემბერს, ნაშუადღევს ხუთ საათზე.

ბოეტი (გახარებული): სწორია, სექტემბერში, საფოსტო ეტლით.

პროფესორი (გამჭოლავ-გამკიცხავ მზერას ესვრის გოეთეს): დიახ, საფოსტო ეტლით. (მცირე პაუზა, რომლის დროსაც გოეთე გულთბილად უცქერს კონის) რა საბაბით დანერა გოეთემ „შეყვარებულის კაპრიზი“?

ბოეტი: ნუ, მაშინ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ათასი რამ მოსდიოდა თავში. ამიტომ ბევრს წერდა, შემდეგში კი ალბათ ამჯობინებდა, რომ ეს არ დაენერა.

სკოლის მრჩეველი (ქირქილით): ჰი-ჰი-ჰი! თქვენთვის ცხადია, უკეთესი იქნებოდა, რომ არაფერი დანერა (კონი ხითხითებდა. გოეთე გამკიცხავად შეხედავს)

პროფესორი: როდის ნაიკითხა გოეთემ პირველად გოტშედი?

ბოეტი: ეჰე, ეს არ ვიცი.

პროფესორი: როგორ?

ბოეტი: არ ვიცი. თანაც დიდად მნიშვნელოვანი არც უნდა იყოს!

პროფესორი: გოეთეს ცხოვრებაში არაფერია უმნიშვნელო, დაიხსომეთ ეს, ღლაპო! (გოეთე გაკვირვებით შეხედავს პროფესორს. პროფესორი ლითანიის ხმით აგრძელებს): ყველაფერს აქვს თავისი მნიშვნელობა, როგორც საყრდენ ძელს ტექტონურ კონსტრუქციაში. ამგვარი — ძალისა და სიმძიმის ჰარმონიულ ურთიერთქმედებაზე უნიკალურად დაფუძნებული ბიოგრაფიისა.

ბოეტი (მხიარულად): არა, ასე უსაშველოდ ჰარმონიული სულაც არ იყო...

პროფესორი: ვფიქრობ, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია უფრო კომპეტენტური მოაზროვნეების მიერ, ვიდრე თქვენ ბრძანდებით.

ბოქთია: აჰ, ასე?

პროფესორი: ახლა სხვა შეკითხვა: როდის გადაამუშავა გოეთემ „სტელა“?

სკოლის მრჩეველი: ეს, იმედია, თქვენის ნებართვით, საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ბოქთია: „სტელა“? მაცალეთ ერთი... (ყოყმანით) — 1804-ში?

კონი (თავზარდაცემული): ტუ! ტუ! ტუ!

პროფესორი (გაშეშებული): ენა წამერთვა... მართლა არ იცით, რომ „სტელას“ პირველი გადაამუშავება 1806 წელს მოხდა? ჰოდა, მითარით, საერთოდ რა გიყრიათ თავში? (გოეთე განცვიფრებით შეხედავს პროფესორს).

პროფესორი: როდის გამოქვეყნდა „ჰერმანი და დოროთეა“?

ბოქთია (მცირე დაფიქრების შემდეგ): 1796 წელს.

პროფესორი (დამცინავად): თქვენს ადგილას ახლავე 95-ს ვიტყოდი!

სკოლის მრჩეველი: ან 94-ს.

პროფესორი (ღრიალებს): „ჰერმანი და დოროთეა“ გამოქვეყნდა 1797 წელს, თქვე უვიცო!

ბოქთია (ურყევად): არა, ეს 96 იყო!

პროფესორი: 97.

ბოქთია (მტკიცედ): 96.

(კონი გოეთეს მეშვეობით პროფესორს გადაშლილ წიგნს გადასცემს).

პროფესორი: აი, აჰ! თქვე თავხედო ყმანვილო!

ბოქთია: ჰო, ნამდვილად ხომ დავიფიცე. ეს 96 იყო!

პროფესორი: გერმანელ ჭაბუკს რომ ასეთი თარიღები არ ახსოვს, ამან შესაძლოა ადამიანს მართლაც დააკარგინოს ახალგაზრდების რწმენა! გოეთე ახლა ხომ ნამდვილად გადატრიალდება საფლავში.

სკოლის მრჩეველი: ჰი-ჰი-ჰი! მსახურო, შეატრიალე გოეთეს ბიუსტი, რათა ავარიდოთ ამის მზერა (გოეთეზე უთითებს).

(ეს სრულდება კიდევ. გოეთე იცინის).

პროფესორი: ახლა კი ვხედავ, რომ თქვენთვის თარიღების გამოკითხვას აზრი არა აქვს. მაშ, ცოტაოდენი რამ გოეთეს სულიერი ცხოვრებიდან. რა განცდებმა მისცეს ბიძგი გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის“ გასაგრძელებლად?

ბოქთია: ა-ა, მას გამომცემლისაგან უკვე მიღებული ჰქონდა 200 ტალერი ავანსად მეორე ტომისათვის, ამიტომაც იძულებული იყო, დაენერა.

პროფესორი: რაო? მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ხელის ჭუჭყზე დახარბება გოეთეს გენიალური შემოქმედების მამოძრავებელი ძალა იყო?

ბოქთია: ეჰი, როგორ თუ სიხარბე? ფული მას რა ხანია, აღარ ჰქონდა.

პროფესორი: ერთი რამ ნათელია, გოეთეს ცხოვრებას არაფრად მიიჩნევთ (გოეთე განცვიფრებული შესცქერის), ახლა კი მინდა ვნახო, ჩემი ლექციებიდან რამე მაინც თუ დაიხსომეთ. რას იტყვით ტასოს ხასიათის შესახებ?

ბოქთია: ნუ... ეს ბავშვური ზნის, ისტერიული ადამიანია, რომელიც ხეირიანად ვერ ერკვევა ცხოვრებაში. ერთი შეშლილი პოეტია რა...

პროფესორი (მუშტს დაჰკრავს მაგიდაზე): ყურებს არ ვუჯერებ! (ლაპარაკობს ავტომატურად დამრიგებლური ტონით, თან ორივე საჩვენებელ თითს აქნევს) — ტასო გვიჩვენებს პიროვნების ბრძოლას და მის შებოჭილობას, რომელიც განეფინება რა ობიექტურში, აუცილებლად მარცხდება სუბიექტ-ობიექტის შინაგანი განხეთქილების — ე. ი. გარეგანზე პროეცირებული ინდივიდუალობის გამო (კონი ამ განმარტებას თავის ქნევით ჩუმად აყოლებს ხმას; ბოლო სიტყვებს თითქმის ხმამაღლა ამბობს და პროფესორთან ერთდროულად მაგიდაზე ხელს არტყამს. გოეთე შეშინდება, კონიზე ბრაზობს).

სკოლის მრჩეველი: შემთხვევით იქნებ იცით, რომელია გოეთეს მთავარი ნაწარმოე-

ბი?

ბოიტი: ნუ, „ფერთა მოძღვრება!“ (ხმამალალი სიცილი) რა არის აქ სასაცილო?

სკოლის მრჩეველი: ჰი-ჰი-ჰი! მართალია, ეს უფრო სატირალია!

პროფესორი: როდის შეიქმნა „ტანკრედი“?

(გოეთემ ეს არ იცის, პასუხისთვის კონის მიუბრუნდება).

კონი (კარნახობს): 1800 წელს.

ბოიტი (შვებით): 1800 წელს.

პროფესორი: სასწაულია, რომ ამ ერთხელ მაინც რაღაცას სწორად ამბობთ (გოეთემ მაღლიერებით უცქერის კონის) რომელი ნაწარმოებები შეიქმნა კიდეც ამ წელს?

ბოიტი: ნუ, ერთი-ორი ლექსუკა.

პროფესორი: ეს არ არის პასუხი. ლექსებს ყოველ წელს წერდა, მაგრამ 1800 წელს შეიქმნა, უწინარეს ყოვლისა, პალე... პალე...

(გოეთემ ისევ კონის მიუბრუნდება პასუხის მოლოდინში).

კონი (კარნახობს): „პალეოფრონი და ნეოტერპე“.

გახარებულ გოეთეს სურს გაიმეოროს: პალეოფრონი.

პროფესორი (მკვახედ): კმარა, ყველა სიტყვა გავიგონე. ჩემი ყურთასმენა უკანასკნელ მერხამდე სწვდება! — რა იყო გოეთეს უკანასკნელი სიტყვები?

ბოიტი: რძე მოისურვა.

პროფესორი: რა-ა-ო? ნუთუ მართლა „რძე“ მომესმა?

ბოიტი: სწორედ რომ რძე თავისი ყავისათვის, რომელიც მისთვის მეტისმეტად მუქი ჩანდა. ჰოდა, მაშინ თქვა: „უფრო ბაციო“.

პროფესორი (ზარდაცემული): შეხედულებათა უაღრეს სიმდაბლეზე მეტყველებს იმის დაშვება, რომ ისეთი გენიოსი, როგორც გოეთეა, ამგვარ ტრივიალურ თემას აირჩევდა თავის უკანასკნელი გამონათქვამისათვის!

სკოლის მრჩეველი: თქვენ იცით, შემთხვევით, ვინ იყო ქალბატონი ფონ შტაინი?

ბოიტი: ნუ, მისი შეყვარებული.

პროფესორი (წამოდგება): ამგვარი გამოთქმები სრულიად დაუშვებელია. სახელმწიფო დანებსებულებაში გამირული სულის მქონე პოეტი ფრაუ ფონ შტაინს იმდენად აფასებდა, რომ საყვარლად არ გაიხდიდა და არ დაამცირებდა. ნუ იცინით, თავხედო ყმაწვილო! — რატომ გააუქმა გოეთემ ნიშნობა ლილისთან?

ბოიტი (უხალისოდ): ამის თქმა არ შემიძლია, მეჩოთირება...

სკოლის მრჩეველი: თავდაჭერილობა მართლაც თქვენი მთავარი თვისებაა, რომელსაც თქვენ გოეთეს მიმართ იჩენთ (კონი ხითხითებს. გოეთემ გამკიცხავად უყურებს).

პროფესორი: ის მაინც თუ იცით, რატომ შეწყვიტა მან ურთიერთობა ფრიდერიკესთან?

ბოიტი: ჰო, ეს კი ვიცი დიდი ხანია, მაგრამ ვისი რა საქმეა?

პროფესორი: რას ამბობთ? მაშ, ეფენჰაიმის ყვავილისა და გოეთეს ურთიერთობას (1770 წლიდან 1772 წლამდე) არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან?

ბოიტი: ასეა. ეს არავისი საქმე არ არის.

სკოლის მრჩეველი: საერთოდ თუ იცით, ვინ არის ის ბატონი აი, იქ? (უთითებს ვენაში აღმართულ გოეთეს ძეგლის რეპროდუქციაზე).

ბოიტი (ანგარიშმიუცემლად): არა, არ ვიცი.

დამსწრე (რომელიც აქამდე მთლად გამოყვეყნებული იჯდა, ბოხი ხმით ამბობს): გამოდის, ამ ტლექვიამ ისიც არ იცის, რომ აქ გოეთეა წარმოდგენილი!

ბოიტი: რაო, ეს გოეთეა?

პროფესორი: აბა სხვა ვინ?

ბოიტი: ახლა კი მთლად გააფრენს კაცი. ჯერ იყო და ისეთ რამეებს მეკითხებით, რაც არც ერთმა სულიერმა არ შეიძლება იცოდეს და არცაა საჭირო. ამის შემდგომ რაღაც უაზ-

რობას მიყვებით ტასოს შესახებ. მერე მიწუნებთ „ფერთა მოძღვრებას“, შემდეგ გინდათ გაიგოთ ქალების ამბები... — (პროფესორს სურს შეედავოს) — რაც სულაც არ არის თქვენი ჭკუის საქმე. ახლა კი გინდათ დამარწმუნოთ, რომ ის ქოთანზე შემომჯდარი მამაკაცი გოეთეა! დროა გოეთეს ციტირება მოვახდინო: ყველას ერთად შეგიძლიათ... (გამმაგებულია, წასვლას აპირებს).

პროფესორი (სულს ძლივს ითქვამს): შეჩერდით! დარჩით! თქვენი თავხედობისთვის სასჯელად საკუთარი შერცხვენის მონმე უნდა გახდეთ! — (ამის შემდეგ ტემპი მეტად აჩქარებულია) — კონი! ადექით! ადექით-მეთქი!

კონი: აკი ვდგავარ!

პროფესორი: როდის დატოვა გოეთემ რომი?

კონი: 1788 წლის 22 აპრილს.

პროფესორი: რომელი ადგილები მოიარა მან იმავე წელს?

კონი: პემპელფორტი, მიუნსტერი, შტიხროდა.

პროფესორი: როდის დაიბადა ეკერმანი?

კონი: 1790 წლის 14 ნოემბერს.

პროფესორი: რა დანერა გოეთემ ამ წლის გაზაფხულზე?

კონი: „პირველქმნილი მცენარე“, „ამინტასი“, „მგოსანი“.

პროფესორი (სულ უფრო გახარებული): რა ვალდებულებები იკისრა მან ამ წელს?

კონი: ზედამხედველობა ქვეყნის სხვადასხვა დანესებულებაზე.

პროფესორი: რომლებზე?

კონი: ხელოვნებისა და ტიპოგრაფიისა.

პროფესორი: რა ერქვა გოეთეს დას?

კონი: კორნელია.

პროფესორი: დაიბადა?

კონი: 1765 წელს.

პროფესორი: გარდაიცვალა?

კონი: 1814-ში.

პროფესორი (სიხარულისგან აღელვებული, ლამის წამოხტეს): ვისზე იყო გათხოვილი?

კონი: შლოსერზე.

პროფესორი: დაიბადა?

კონი: 1754-ში.

პროფესორი: გარდაიცვალა?

კონი: 1829-ში.

პროფესორი: შვილები?

კონი: ფრანცი, გეორგი, მარია, თეოფილე.

პროფესორი, **კონი** (ერთდროულად უსწრაფეს ტემპში): დაიბადა? 1780. გარდაიცვალა? — 1824. სად? მაგდებურგში. როდის? ნოემბერში. რამდენჯერ? სამჯერ. რატომ? ჰერდერის გამო. სად? „ჰორებში“. ვისთან ერთად? შილერთან. ავად გახდა? 14 რიცხვში. გამოკეთდა? 9-ში. რითი? ნანლავების გადახლართვით.

პროფესორი ფურცლავს კონსპექტს. კომისია უდიდეს კმაყოფილებას გამოხატავს. გოეთე ჯერ უგუნებოდ და გაკვირვებით უსმენდა, მერე სულ უფრო და უფრო მეტი სიამოვნებით, ბოლოს კი სიცილით იგუდება. როცა გამოცდის ალიაქოთი მიწყნარდება, პროფესორი მოზეიმე ხმით ეუბნება გოეთეს: ხედავთ? ესაა განათლება!

ფარდა სწრაფად ეშვება

„...შენი კალამი — ნაწიხი სისხლის გუბებში“

გარდაიცვალა ზაზა თვარაძე.

ყველას, ვინც ცოტათი მაინც იცნობდა ზაზას, ეს ფრაზა ყურს მოსჭრის თავისი შეუსაბამობით. იგი არაბუნებრივია, გაუგებარია, მიუღებელია. ეს მრავალმხრივ ნიჭიერი, ერთდროულად სიმშაგემდე მისული ხალისითა და ძალისგამომცლელი ტკივილით სავსე ადამიანი ხომ თავად იყო სიცოცხლის ერთ-ერთი ყველაზე სისხლსავსე განსახიერება, რომლის წარმოდგენაც შეიძლება.

ზაზასთან ურთიერთობისას გამუდმებით გეკონდა განცდა, რომ რაღაც საოცრებას, ნიჭიერების სასწაულს ეხებოდი, ისეთსავე დაუჯერებელსა და ადვილად მოწყვლადს, როგორც, — ერთი დიდი მწერლის შედარება რომ გამოვიყენოთ, — თოვლის ფანტელია ზაფხულის ხვატში.

ზაზა თვარაძის პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, რომელთაგან ზოგს უკვე უწოდეს შედევი და ზოგსაც (დღესვე შეგვიძლია ამაში ეჭვი არ გვეპარებოდეს) მომავალში უწოდებენ, მისი რთული და უცნაური პიროვნების მარტოოდენ ცაკეული წახნაგების ანარეკლს წარმოადგენს.

ზაზა იშვიათად წერდა, მხოლოდ მაშინ, როცა ეწერებოდა... ასეთ დროს კი თავდავინყებით, თავდაუზოგავად მუშაობდა, არ ახსენებოდა დასვენება, ძილი, ჭამა. ნაწერს ადვილად ვერ ელეოდა. დაუსრულებლად ხვენდა და ცვლიდა, ქმნიდა ახალ ეპიზოდებსა და ვარიანტებს და ძალიან იშვიათად იყო კმაყოფილი (თუმცა მინახავს კარგად დაწერილი ეპიზოდის გამო სრულიად ბედნიერი ზაზა თვარაძე). ცდილობდა მიეგნო აბსოლუტურად ზუსტი ჟღერადობისთვის. ის იყო აბსოლუტის მაძიებელი, აბსოლუტისკენ მიმავალი ადამიანი. მისთვის შემოქმედება კაზმულსიტყვაობა, რიოში მარგალიტებით თამაში კი არ იყო, არამედ ჭეშმარიტების ძიება, ღვთისმსახურების მისთვის ყველაზე ბუნებრივი და მისაღები ფორმა.

გასაგებია, რომ ამგვარი ხელოვანი ბევრად უფრო მკაცრია საკუთარი თავისადმი, ვიდრე ნებისმიერი მკითხველი თუ რედაქტორი. ზაზა თვარაძეს საკუთარი ინიციატივით არასოდეს შეუთავაზებია რედაქციებისთვის არც ერთი ნაწარმოები. ყოველთვის იბეჭდებოდა მისი ნიჭის მცოდნე და დამფასებელი რედაქტორებისა და გამომცემლების თხოვნით. მაშინაც ეჭვისა და ყოყმანის შემდეგ გაიმეტებდა ხოლმე ლექსსა თუ მოთხრობას გამოსაქვეყნებლად და ხშირად ბოლო წუთამდე შეჰქონდა ცვლილებები, ყოველ დეტალს ჩაჰკირკიტებდა.

ქვემოთ პირველად ქვეყნდება მისი შემოქმედების ორი ადრეული ნიმუში, რომელთა დაბეჭვდა მას იქნებ არ უფიქრია და, იქნებ, ამას არც დათანხმებოდა, მაგრამ ისინი მაინც ძვირფასია ჩვენთვის, რადგან წარმოდგენას გვიქმნის მწერლის ადრეულ ძიებებზე. ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ოპუსისა და მხატვრული პროზის ზღვარზე მოძრავი ამ ნაწარმოებების თემები და მხატვრული სახეები შემდგომ პერიოდში მრავალგან და მრავალი სახით განვითარდა.

აქვე ქვეყნდება ნაწყვეტი ვრცელი პოემისა, რომელმაც ერთიანად შთანთქა მისი ცხოვრების ბოლო წლები. სამწუხაროდ ზაზას არ დასცალდა პოემის დასრულება, თუმცა, ალბათ, ბევრიც არაფერი იყო დარჩენილი(ანდა, ვინ იცის, ზაზას ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კარგა ხანს მოანდომებდა მის დასრულებას). მალე “მხიარული ლანდები” მთლიანად დაიბეჭდება და ყველასთვის ცხადი გახდება, რომ ეს არის ქართუ-



ლი პოეზიისთვის სრულიად ახალი, უჩვეულო და მოულოდნელი ნაწარმოები, რომელშიც უმოკლეს მანძილზე, ზოგან ერთი სტროფის საზღვრებში, ენაცვლება ერთმანეთს ტრაგედია და გროტესკი, უნუგემო დარდი და გულიანი სიცილი. პოემა ზაზას პიროვნების, ალბათ, ყველაზე სრულყოფილი ანარეკლია. ადრეულ შემოქმედებათან შედრებისას კი ადვილი დასანახია, გამოხატვის რა ვირტუოზულ სიზუსტეს და სრულყოფილებას მიაღწია სიცოცხლის ბოლოს პოეტმა ზაზა თვარაძემ.

ზაზა საოცრად მღეროდა. მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაარქმევდი ტკბილხმოვანს. (ტკბილი, დაშაქრული სიმღერები ჭირივით სძულდა). არამელოდიური ხმა ჰქონდა, ხისტი, ზოგჯერ უხეშიც. სამაგიეროდ, ამ ხმიდან ისეთი ენერგია მოდიოდა, რომ გეჩვენებოდა, ამ ძალას შეეძლო ისე დაენგრია გადიდკაცებული ნაბოზრებისა და სულშეპილწული ცოცხლად დახოცილი ბავშვების ზაზასთვის საძულვილი სამყარო, რომ მისგან ქვაქვაზე არ დაეტოვებინა. და იგივე ხმა გადმოგცემდა ყველაზე უნუგემო სევდასა და ყველაზე სუფთა, ანკარა ლირიზმსაც.

პირადად მე არც ერთი ისტორიული ქრონიკის, გამოკვლევისა თუ რომანის კითხვისას არ მიგრძენია ისე მძაფრად ათასწლოვანი ნაღველი ჩვენი გამუდმებული ისტორიული უბედურების, ზაზას აზრით, — თავიანთი ბუნებით სიხარულისთვის გაჩენილ ქართველთა მარად და მარად განმეორებული უიღბლობისა და განწირულების გამო, როგორც მაშინ, როცა ვუსმენდი ზაზას მიერ ნამღერ ყველაზე გენიალურ ქართულ დატირებას (ვაჟას ლექსი, მიძღვნილი ყაზბეგის გარდაცვალებისადმი):

შვილო ტანჯულო ქვეყნისა,

სული დალიე ტანჯვითა,

მიუხვალ მამა-პაპათა

ამოღებულის ხანჯრითა...

ერთი დიდებული ქართველიც მიუვიდა მამა-პაპათა.

P.S.

ძალიან მინდოდა, ჩემს უახლოეს მეგობარზე წერისას მაინც ავცდენოდი ლამაზ-ლამაზ, ტრაფარეტულ, ფუყე წინადადებებს, თვითონ ზაზას გულს რომ ურევდა. ვერაფერი მოვახერხე. წერილი შუამდეც არ მქონდა ჩაყვანილი, როცა მივხვდი, რომ ჩავფლავდი. ისევ აზროვნებისა და გამოთქმის ათასი არაფრისმთქმელი გამოკვლევითა და სტატიით გათელილ, ათასი მაღალფარდოვანი სიყალბით ატალხებულ გზებს მივუყვებოდი. როცა აზრს ვინყებდი, თითქოს, სრულიად გულწრფელი ვიყავი, ჩავათავებდი და რაღაც საცოდაობა გამოდიოდა. უტყუარ ტონალობას ვერაფრით მივაგენი. მერე წარმოვიდგინე, როგორ მეტყოდა ამის ნაკითხვისას ზაზა: “დროზე მაინც გაჩემდი, რას ბოდილობ, შე უბედურო!” წარმოვიდგინე და... ბედს შევურიგდი – არაფერ უკეთესის დამწერი ახლა არა ვარ.

ზაზა რომ დავმარხეთ, მეორე დღით ანდო ბუაჩიძეს დავურეკე. ანდრომ მითხრა, საფლავი ჩემი ფანჯრებიდან მოჩანსო. ესე იგი, ჩემი სახლიდანაც უნდა გამოჩნდეს. სახურავზე ავირბინე და, საფლავი ვერა, მაგრამ ის გადასახვევი კი კარგად გავარჩიე, სადაც ზაზა მივასვენეთ. ხელი დავუქნიე და დავიყვირე: “ზაზა, ჯიგარო!” ვინმე რომ მხედავდეს, კრეტიწულად ვიქცევი, მაგრამ მე ხომ ვგრძნობ, სწორედ ამ წამს მისი სული ქალაქს დასტრილებს და ილიმება: “იცით, აქ რა მაგრად ვარ, რა გაბღვალებთ, ჯერ არაფრის აზრზე არა ხართ...”

ზაზა, ძმობილო, როცა ერთად ვიყავით, კარგად ვიცოდით, რომ ამ ქვეყნად ყველაფერზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი ჩვენი აქ ყოფნა და ასე ყოფნა იყო; ყველა წიგნი და ნახატი, ყველა მთა და მდინარე, ყველა პლანეტა და ვარსკვლავი სწორედ იმიტომ შეიქმნა, ჩვენ რომ აქ ვყოფილიყავით და ასე ვყოფილიყავით. იმ არაილუზიურ, ჭეშმარიტ სივრცეში, სადაც მკვდრები და ცოცხლები გვერდიგვერდ მკვიდრობენ, ჩვენ ახლაც ერთად ვართ და (შენი საყვარელი სიმღერის სიტყვებით ვიტყვი) ჩვენი ყოფნა არ დამთავრდება!

P.S.

პუბლიკაციისთვის მასალების შერჩევა დამთავრებული გვექონდა, როდესაც ზაზას კომპიუტერში ვიპოვეთ მისი, ალბათ, სულ ბოლო დროინდელი ლექსი „ალმასხან“, რომელშიც დიდი სისავსით და შეულამაზებლად არის გამოხატული ავტორის იმდროინდელი განწყობილება, როცა სიკვდილამდე ორიოდე თვეც აღარაა დარჩენილი (ზაზა 6 ნოემბერს, გამთენიისას გარდაიცვალა. ლექსი 14 სექტემბერსაა შეყვანილი კომპიუტერში).

უკვე რამდენიმე თვით ადრე ზაზასთან ურთიერთობა ძალიან დამძიმდა, იგი მეტისმეტად დაპრესიული გახდა, საკუთარ ტკივილში ჩაიკეტა, თითქმის გაუქრა ის საოცარი სილალე, რომელიც ამ ადამიანს, შინაგანი ტრაგიზმის მიუხედავად, ყოველთვის ახასიათებდა. ამგვარ განწყობილებას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. ცხადია, სულ უფრო მძლავრობდა უკურნებელი სენიც და ორგანიზმში გაბნეული მეტასტაზები სულ უფრო მეტი შხამით უნამლავდნენ სხეულს და სიცოცხლეს.

და მაინც, მთავარი მაინც ის იყო, რ ზაზა ზნეობრივი გამოცდისა და განსაცდელის წინაშე იდგა და ნუხდა, რ გამოცდილი მებრძოლივით ვერ მოქმედებდა. როგორც თვითონ წერს ერთ ამავე პერიოდში შექმნილ ესეში (რომელიც, ალბათ, სრული სახით მომავალში გამოქვეყნდება): „როცა ბოროტება მოდის, ინსტინქტი გაქვს, მოიშორო, თუ არ გშორდება, დაეტაკო და ისე მოიშორო, თუ ვერა და — გაიქცე და მოიშორო. მაგრამ შეიძლება გამოგეკიდოს, დიდხანს არ მოგეშვას. და თუ მოგეშვა, გაქცეულს მაინც კომპლექსად მოგყვება — როგორც ფარული ჩანანერი, რომელიც შემდეგ ფონად გასდევს შენს საქციელს და ცხოვრებას“. ზაზა, როგორც ჩანს, ვერც დაეტაკა, ვერც გაექცა ბოროტებას, რამაც უკიდურესად გაუმძაფრა, ერთი მხრივ, ღვთისმადიებლობის სიჭაბუკიდანვე დამახასიათებელი ტენდენცია, მეორე მხრივ, საკუთარი ცოდვიანობის განცდა.

მარტოობისა და მწუხარების ამ უდაბნოში იყო ერთადერთი ოაზისი: საოცნებო ქვეყანაში, ინგლისში მოგზაურობა სიკვდილამდე სამი თვით ადრე (ზაზა ანგლოფილი იყო, გამორჩეულად უყვარდა ყველაფერი ბრიტანული: მწერლობა, კინო, ფეხბურთი, ვისკი და ა.შ.). ეს იყო ზაზა თვარაძის ბედნიერებისა და სილალის ბოლო დღეები. აქ გამოქვეყნებული ფოტოები სწორედ მაშინ არის გადაღებული.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ძველი განწყობილება განახლდა და ლექსში „ალმასხან“ ჩვენ ვხედავთ სასონარკვეთის უკიდურეს ზღვარზე მყოფ ადამიანს, რომელიც იმდენად დათრგუნა საკუთარი ცოდვიანობის განცდამ, რომ ყველაფერი, რაც მის თვალსაწიერში ან აზროვნებაში მოექცევა, იბილწება, აზრს კარგავს, ფუტუროვდება. ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი და ზაზა თვარაძე დიდი ხნის განმავლობაში მიუყვებოდა მისი „გოგირდოვანი სუნთქვით სავსე“ ბილიკებს (ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ ჯობს მაინც აღინიშნოს, რომ სახელი ალმასხან ამ ლექსში აღნიშნავს გოიმობას, ხეპრობას, რითაც საკუთარი მდგომარეობა ასე უშელავათოდ შეაფასა ავტორმა).

გამოიგნო თუ არა გზა ჯოჯოხეთიდან და იხილა თუ არა ახალ გზათა მაჩვენებელი ვარსკვლავი? მან გაიმარჯვა საკუთარ განცდებსა და ბედისწერაზე, როცა უმძიმესი ოპერაციიდან მე-4-5 დღეს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა, რომ არანაირ ამქვეყნიურ სიკეთეზე არ გაცვლიდა უფლის მიერ ნაწყალობევე ამ განსაცდელს, რომელმაც დაანახა, რამდენად უაზრო და უმნიშვნელო იყო მთელი მისი წინა ცხოვრება (ეს და კიდევ სხვა სიტყვები მან უთხრა მეუღლეს, რომლისგანაც, კორექტულობის დასაცავად, ნება ვითხოვე, მცირედი მაინც გამემხილა მკითხველისათვის). ამ სიტყვებიდან, რომელთა გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, ისიც მოჩანს, რომ ამ ადამიანმა ჩვეულებრივ უკვდავთა თვალთაგან დაფარული რაღაც დიდი ნათელი და ჭეშმარიტება დაინახა, ზნეობრივ საყრდენს მიაგნო და უკვე აღარაფრის ეშინოდა; რომ ძლიერმა სულიერმა და ფიზიკურმა ტანჯვამ ერთიანად, სულ-ხორციანად განწმინდა ზაზა თვარაძე. სწორედ მაშინ ინახულა იგი საავადმყოფოში თამაზ ჩხენკელმა და თქვა: „ისეთი ლამაზი იყო, რომ შემეშინდა, ანგელოზს ჰგავდა“.

ზაზა თვარაძე

ნამეა

ლამეა.
 ღამის პირველი საათი.
 სტანდარტულ ერთოთახიან ბინაში სინათლე
 ციმციმებს.

ოთახის კუბი სავსეა ამ სინათლით.
 ოთახი სავსეა ნივთებით.
 შუა ოთახში — დიდი მრგვალი მაგიდა.
 მაგიდასთან, ღრმა სავარძელში, ზის
 ახალგაზრდა კაცი.



იგი სრულიად მარტოა.
 ფეხი ფეხზე გადაუდვია. მუხლზე — გაშლილი რვეული. დაფიქრებული
 ჩასცქერის რვეულს.

ხელში უჭირავს შავ-ოქროსფერი კალმისტარი.
 მაგიდაზე — ბოთლი, ორი ჭიქა, ასანთი. აქვეა ძველი საბეჭდი მანქანა.
 სამზარეულოდან მაცივრის ჩუმი ზუზუნის ხმის.
 ახალგაზრდა კაცი კალმისტარს იმარჯვებს და წერს:

ლამეა.
 ღამის პირველი საათი.
 ერთოთახიან ბინაში სინათლე ციმციმებს.
 ოთახის კუბი სავსეა ამ სინათლით.
 ოთახი სავსეა ნივთებით.
 შუა ოთახში — დიდი მრგვალი მაგიდა.
 მე მაგიდასთან ვზივარ. ღრმა სავარძელში.
 მუხლზე — გაშლილი რვეული.
 კალმისტარს ვიმარჯვებ და ვწერ:

ლამეა. ღამის პირველი საათი. აქ, ჩემს ერთოთახიან ბინაში სინათლე ციმციმებს. ოთახ-
 ის კუბი სავსეა ამ სინათლით. ოთახი სავსეა ნივთებით. და მე სრულიად მარტო ვარ ოთახში.
 ჩემს წინ, მაგიდაზე — ბოთლი, ორი ჭიქა.
 აქვეა ძველი საბეჭდი მანქანა.
 სამზარეულოდან მაცივრის ჩუმი ზუზუნის ხმის.
 ბოთლი მოყვითალო არყით არის სავსე. შიგ ვარდის ფურცლები დაცურავს. დიდ ჭიქაში
 — სიროფიანი წყალი.
 არყის პატარა ჭიქაში ცოტა არაყს ვისხამ. ვარდის ფურცელიც გადმოჰყვება და უცნაურმა
 განცდამ შემიპყრო: უეცრად გამახსენდა გოგო, სახელად ლია, რომელიც დილაობით ავტო-
 ბუსის გაჩერებაზე მხვდება.

მე მას არ ვიცნობ. მხოლოდ ვიცი, რომ ბალერინაა და ლია ჰქვია.
 იგი ცალი თვალით მიყურებს ხოლმე. მეც მას ცალი თვალთ ვუყურებ...
 ახლა ღამეა.
 ღამის პირველი საათი.
 მაგიდასთან ვზივარ.
 ჩემს წინ, მაგიდაზე — ბოთლი და ორი ჭიქა.
 თვალის კუთხით ვხედავ მონითალო ფერს — შინდის სიროფი.

მარჯვნივ, ბოთლში — ყვითელი ვარდის არაყი. არყის სუნი ცხვირის ნესტოებს ეხება. ვსვამ. ჭიქა ადგილზე დავდგი.

ნეტა რამე თუ შეიცვალა? — ვფიქრობ და ამასვე ვნერ.

აი, ზუსტად ამ წამში ქალაღზე დაეღვენთა ეს წამი.

და კალმისტრის წვერი და ნანერი რკინასავით რეალური გახდა მაშინვე, როცა დავწერე — “აი, ზუსტად ამ წამში” - მეთქი.

მაგრამ უკვე სხვა წამია და სიტყვა “მეთქის” ხმაური შემოაქვს.

(აქ ხდება მოულოდნელი რამ):

ამ ამბის მერე, როდესაც მე ამას ვნერდი, მრავალი წელი გავიდა.

უკვე სხვა სახლში ვცხოვრობ.

მყავს ცოლ-შვილი. მაქვს სამუშაო.

ერთ მშვენიერ დღეს ეს ძველი ხელნაწერი კარადის უჯრაში ვიპოვე და გადავწყვიტე გადამეხედა.

ახალგაზრდობის საბეჭდი მანქანა მაქვს. აკადემიური შრიფტით.

მაგიდას მივუჯექი და ბეჭდვა დავიწყე.

შაბათია. ღრუბლიანი ნაშუადღევი. გარეთ წვიმს და ქუჩიდან მანქანების შიშინი ისმის — წვიმიან ქუჩაზე მიმოდადიან.

იქით, სამზარეულოში, დედაჩემი მეზობელ ქალს ესაუბრება. შუა კარი დაკეტილია, მაგრამ მათი საუბრის ხმა მაინც აღწევს ჩემამდე.

ვბეჭდავ ჩემს ძველ ხელნაწერს, რომელშიაც მოხსენებულია ვინმე გოგო, სახელად ლია, რომელიც ახლა უკვე აღარსად მხვდება, და აქვე მაგონდება სხვა ლია, ჩემი მეგობარი, რომელიც ავად არის და გამოკვლევაზე წევს — მას ვერაფერი გაუგეს... ვერავინ...

და სწორედ ამ გახსენების წამს მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა.

“ალბათ ჩემი ძმაა” — ვფიქრობ და ყურმილს ვიღებ.

წყნარად ვამბობ: “გისმენთ!” და პასუხად მესმის ხმა სწორედ იმ ლიასი, რომელიც ახლა მომაგონდა.

იგი ტირის. ტირის და რალაცას მეუბნება.

ვცდილობ დავამშვიდო, მაგრამ არ მისმენს. ვგრძნობ, რომ ჩემი ლაპარაკი ამაოა.

მაინც კარგა ხანს ველაპარაკები.

მერე კი ისევ ოთახში გამოვდივარ და ხელნაწერის ბეჭდვას განვაგრძობ...

...ხმაური მიწყდა. განვაგრძობ წერას.

მარცხენა იდაყვი სავარძლის სახელურზე მაქვს დაბჯენილი, ლოყით ხელისგულს ვეყრდნობი — ასეთია ჩემი მდგომარეობა.

ვხედავ ჩემს მუცელზე ჯემპრის სიმწვანეს. ნინ, მუხლზე ეს რვეული მიდევს (სწორედ ამ რვეულზეა საუბარი, აი, ამაზე)

...(მრავალი წლის მერე, სხვა სახლში, სადაც ამ ძველ ხელნაწერს ვბეჭდავ და სადაც ახლახანს ტელეფონზე ვილაპარაკე, ვაკვირდები ნახსენებ რვეულს. ჩვეულებრივი რვეულია. არაფრისმთქმელი. ეს სიტყვებიც — სრულიად უაზრო)...

...წერა შევწყვიტე.

ჭიქას ვიღებ და ვსვამ.

ჭიქა...

მასში — შუშის უსასრულობის მსგავსი ნიშნები.

შიგნით — გამჭვირვალე შუშის წრე — ჭიქის ფეხი ზედხედში.

ფსკერზე — შუშის ექვსკუთხედი.

ყვითელი არაყი, მოოქროსფრო შუშისებრი სითხე...

...ჭიქას ადგილზე ვდგამ, სარკესთან მივდივარ და ჩემსავე თავს ვუცქერ. ისიც მე შემომცქერის.

“იმედია, დილას გათენდება” — ვფიქრობ და უეცრად ვგრძნობ, რომ თითქოს ყოველივე ახლა, ამ წამში შეიქმნა და მხოლოდ ახლა არსებობს.

მეც თითქოს საიდანღაც მხოლოდ ახლა გამოვიღვიძე — აქამდე ჩემი არსებობა ზღაპარია...

მაგრამ ადრე რაღა იყო? — თუნდაც საათის დროით ორმოციოდე წუთის წინ, როდესაც ლამის ქუჩებით სახლისკენ მოვდიოდი?

მაშინ მე სხვა ცხოვრებაში ვცხოვრობდი, რომელიც სახლში მისვლისთანავე გათავდა.

ახლა კი აქ სულ სხვა ცხოვრების მონაწილე კაცი დგას და იხსენებს, რომ ორმოცი წუთის წინანდელი ცხოვრება ისეთივე წარსულია, როგორც ათასი წლის წინანდელი. დგას, სარკეში უყურებს თავისთავს და ეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ამ წამში გაჩნდა.

ამდაგვარი გრძნობა ადრეც ბევრჯერ მქონია,

ადრეც, ოდესღაც, მე ვიფიქრე, რომ ეს ყოველივე ახლა შეიქმნა. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ მაინც ეს ორი წამი ერთი და იმავე ცხოვრების ორი თანამიმდევარი წამია. — მათ შორის განვლილი დრო კი სხვა ცხოვრებებით იყო შევსებული.

ყოველი წამი, რომლებშიც ერთსა და იმავეს განვიცდი, თითქოს ერთი და იგივე ცხოვრების ნაწილებია — ერთმანეთს აგრძელებენ და უკავშირდებიან.

ყოველი ცხოვრების ყოველ წამს მე თავიდან ვინყებ ცხოვრებას და იმავე წამს ვხვდები საკუთარ თავს — იგიც მუდამ იგივე მხვდება — ჩემშია და მიყურებს... ჩემმა თავმა უკვე თავი მომაბეზრა... კარგი თუ იქნებოდა, რომ მე მას არ ვიცნობდე?.. მე მას კარგად ვიცნობ და უკვე სავსებით შევეჩვიე (ამას თქვენ გეუბნებით. ვხედავ ჩემში თქვენს წითელ სიცილს)...

ცხოვრებები კი ბევრია.

ისინი ერთმანეთს მისდევენ და არაფრით უკავშირდებიან — ერთის ადგილს მეორე იჭერს, მერე — მესამე... სადღაც, ოდესმე ისევ პირველი ამოყოფს თავს და ა.შ. — მათი მონაცვლეობის განრიგი ჩემზე არ არის დამოკიდებული. — ეს ცხოვრებები ჩემს შიგნით მიედინებიან და მთელი ეს ამბავი დაუსრულებელსა ჰგავს...

ზოგიერთი მათგანი ისე გამჯდარი მაქვს შინაგან, რომ მაშინაც კი, როცა მასში არ ვცხოვრობ (ანუ ის არ მიმდინარეობს ჩემში), იგი მაინც არსებობს და მეყვსეულად გაივლევს ხოლმე ცნობიერებაში, ან სხეულის რომელიმე მარადმტკიცე ჩვევის სახით.

ეს ცხოვრებები მერქანივით არის ჩემს გარშემო დალექილი — ესენია ჩემი რეალური ჟამთასვლა: მე, ჩემი ტანი, ტანსაცმელი, სარკე, საათი, ეს სამშაბათის ღამე, დღევანდელი დღე, დღეს განვლილი რამდენიმე ცხოვრება (მათგან რაღაც ბუნდოვანი მოგონებალა დამრჩა), წარსული, მომავალი, სხვა ადამიანები... ახლა ჩემი აქ ყოფნა და ამ წრეებზე მიმართულობა — ეს ყოველივე კონცენტრულად არის ჩემს ირგვლივ განლაგებული (გეომეტრია) და მათი ჭრიალი მხოლოდ ახლა, ამ წამშია ასეთი (ორბიტები).

ეს წამი სწორედ ამას ავლენს და ყოველივე ეს ამ წამში იქმნა.

...ისევ სარკეში ვუყურებ ჩემს თავს... თუმცა არა...სარკე ახლა ჩემ ზურგს უკან არის და მე იქით არ ვიყურები... ალბათ ჩემი თავი მიყურებს სარკიდან...

...სავარძელში ვჯდები და მაგონდება, რომ გუშინ (აქვე მეორე ფიქრით ვფიქრობ, ხომ არ ჩავრთო-მეთქი მუსიკა. იქით მაცივარი თავისთავად ჩაირთო და უხმაუროდ ზუზუნებს), გუშინ, დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ მე კალინინის ქუჩაზე შევუხვით, სადაც ოდესღაც მიცხოვრია და ახლა, ზამთრის ამ მზიან დილას მომინდა კიდევ ერთი წამი მიმემატებინა იმ ჩემი ძველი ცხოვრებისათვის, რომელიც, თავისთავად, საათის დროით ერთმანეთისგან კარგა დაშორებული წუთებისა და საათებისგან შედგებოდა (რადგან ბავშვობაში წუთებსა და საათებს დროსთან არავითარი კავშირი არა აქვს და არც ერთურთისაგან განსხვავდება) და მისი ბოლო რგოლი ჩემს წარსულში განყვეტილი ჯაჭვის ბოლოსავით ეგდო — სადღაც, უხსოვარებაში, ოღონდ საათის დროით არცთუ ისე შორს — თუნდაც ამ ორიოდე კვირის წინ, როდესაც მე გუშინდელივით გამოვიარე ამ ქუჩაზე.

იმ შორეული ცხოვრების შემადგენელი წამები ჩემს მეხსიერებაში სხვა ფაქტებიდან

გადაუბმელადაა მიმოყრილი...

მახსოვს, მაგალითად, რომ მე და ჩემი უმცროსი ძმა ჩვენს ძველ ოთახში ფანჯრის რაფაზე ვისხედით და განვლილ ტრამვაებს ვითვლიდით — ვის მხარესაც მეტი გაივლიდა, მოგებულეც ის იყო.

ფანჯრის რაფას ზოგან საღებავი ჰქონდა ატკეჩილი. მინაში შემოჭრილ მზის სხივებში მტვერი დაფრინავდა და ირგვლივ მტვრისა თუ მიხაკის უცნაური, საიდუმლო სუნი იდგა.

და იმნამს ჩემი ძმის მხარეს ორმა ტრამვაიმ ჩაიარა, ჩემს მხარეს კი არც ერთმა...

ისიც მახსოვს, რომ ტრამვაის ვაგონები თითქოს ხისგან იყო გაკეთებული და რალაცით ფანჯრის რაფას მიაგავდა... ოღონდ რით? — იქნებ სიძველით...

ის კი აღარ მახსოვს, ჩვენი სახლის პირდაპირ რა შენობა იდგა...

ტრამვაი იქ ახლაც დადის, ოღონდ ვაგონები სხვანაირია... ხოლო ქუჩის იმ ადგილას, სადაც ჩვენი მოპირდაპირე შენობა იდგა, ახლა კავშირგაბმულობის უზარმაზარი, უფერო უკანა ყრუ კედელია...

მახსოვს, აგრეთვე, სადარბაზო და სადარბაზოს კარი — მძიმე, ფიგურულ შუშებიანი... სადარბაზოს იატაკი — პრიალა, ცივი, ქვის...

სადარბაზოში გრილი სინათლე ატანდა. სიღრმეში — ბინდი და ორი კარები — ერთი ჩვენსა შემომავალი. იქაც სიცარიელისა და მტვრის ოდნავი, არარსებობასთან მიახლოებული სუნი იდგა...

როდესაც ვწერდი, “უზარმაზარი, უფერო უკანა ყრუ კედელია”-მეთქი, მომაგონდა ერთი სიზმარი, რომელიც ოთხ თუ ხუთი წლისას მესიზმრა — ოღონდაც ეს სიზმარი სხვა ცხოვრებიდან დამამახსოვრდა — არა იმიდან, რომელზეც ახლა ვლაპარაკობდი.

მესიზმრა, თითქოს შინ ვბრუნდებოდი.

ქუჩას მივუყვებოდი. ქუჩის ბოლოს ჩემი სახლი იდგა.

მაგრამ ახლოს რომ მივედი, სახლი ადგილზე აღარ დამხვდა.

მის ნაცვლად დავინახე უზარმაზარი, ბნელი, ნისლისებრი ყრუ კედელი, რომლის გვერდები აქეთ-იქით უსასრულო წყვდიადში დნებოდა. აქ ქუჩაც თავდებოდა და ქალაქიც. იქით — აღარაფერი.

თავზარდაცემული გავქვავდი.

ვხედავდი, ჩემს უკან ხალხი როგორ ლანდებივით ჩუმად მიმოიძვროდა. უკან იყო ქუჩა, რომელიც შინისკენ მომავალმა გამოვიარე, უკან იყო ქალაქი, მთელი ქვეყანა, და ჩემი სახლი კი იქაც არ იყო. იქ უფრო მეტად არ იყო, ვიდრე აქ, ქუჩის ბოლოს, სადაც წესით უნდა ყოფილიყო, სადაც, ვიცოდი, ყველანი სახლში მელოდებოდნენ.

მაგრამ სახლის ნაცვლად აქ სიბნელის კედელი იდგა და ყველაფერი თავდებოდა.

საშინელი არარსებობა ვიგრძენი. გულგახეთქილს გამომეღვიძა.

ოთახში ბნელოდა. ზაფხული იყო. სიცხე. წყვდიადი.

მე ვინეჭი და ვსუნთქავდი სიზმრის საზარელი, მსუბუქი, არარსებული

სიბნელიდან ოთახის ხაოიან, ხორციელ სიბნელეში შიშის გვირაბით გადმოსროლილი.

ყველას ეძინა. და მე მარტო ვიყავი დარჩენილი ამ ორმაგი ძრწოლის წინ...

... ეს სიზმარი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია. ოღონდ არა იმ ცხოვრებისა, რომელშიაც მე და ჩემი ძმა ფანჯრის რაფაზე ვისხედით და განვლილ ტრამვაებს ვითვლიდით (მის მხარეს უკვე სამმა ჩაიარა, ჩემს მხარეს კი — მხოლოდ ერთმა... ჰმ!)

...ვზივარ. გარედან ტროლეიბუსის ხმა ისმის. — ქვემოთ, პროსპექტზე, ასფალტის გლუვ ზედაპირზე, სადაც ღამლამობით, ყინვაში სახლისკენ მოვაბიჯებ ხოლმე და შავ ცაზე ორიონის მარადიულ სიღრმეს ავყურებ.

ჩემს წინ, კედელზე მოჩანს შპალერის უთავბოლო ხაზები, ინგლისის დროშა, თარო, ფირფიტები — ყველაფერი გაქვავებული. აქვე, მაგიდაზე — მრგვალი თეთრი საათი, ერთიანთან და ათიანთან დაცქვეტილი ისრებით. აქვეა საბავშვო სიმღერების წიგნი, გარეკანზე — გიტარიანი ბიჭი, სახლის წინ მდგარი. მისკენ ვაშლი მოფრინავს. განჯინაზე — ხმელი

ფოთოლი, კედელზე — სურათი.

მაგონდება ნავკისი.

სიგრილე, ზაფხულის ცივი დღე, ფოთლების ფრენა, ქარის შრიალი. შარაგზა და გამხ-
ამრი ბელტების სუნი, ხმელი ბალახი, ცაზე მფრენი თეთრი ღრუბლები... მზე არ ჩანს...

ამ მოგონებით შევუხვით კლარა ცეტკინის ქუჩაზე.

ქუჩას ტრამვაის ვერცხლისფერი ლიანდაგი მიუყვება. ოთხივე რელსი პარალელურად
უხვევს ზემოთ. უეცრად მზის სწრაფმა სხივებმა ყვითლად გაიბრჭყვიალა ფანჯრის მინ-
აზე.

მე მარცხნივ გავუყვეი ლიანდაგს, მერე მარჯვნივ შევუხვით და ჩემს წინ კალინინის ქუჩა
გამოჩნდა.

მზე ანათებდა. აქეთ-იქით მდგარ აკაციის ხეთა ტოტები ქუჩას თალივით გადასწვდო-
მოდა ზემოდან.

ტრამვაის ვაგონი სწრაფად გაქანდა ქუჩის გვირაბში. შუქჩრდილები სახლთა კედლებზე
აქანავდა.

ნელა მივდიოდი და ვცდილობდი, ყოველი დეტალი შემენიშნა, რომ ძველი, ოდესღაც არ-
სებული ცხოვრების რომელიმე წამი ახლა, ცხოვრების ამ წამში გაცოცხლებულიყო.

ჩავუარე სახანძრო რაზმს...

აქ, ამ ქუჩაზე იდგა ჩვენი ძველი სახლი, სადაც, ფანჯრის რაფასთან მდგარი, სინათლის
სხივებში მფრინავი მტვრის მარადისობას ვუმზერდი.

ოთახის კედელზე შავ-მონითალო ხაოიანი ნოხი აეკრათ. მარცხნივ, სამზარეულოს
კარის ქრილში, ჭურჭლით დატვირთულ თაროებს იქით, კიდევ ერთი კარის ქრილი იკვეთე-
ბოდა, რომლის მიღმაც ჩანდა უკანა ეზოს მზით გახურებული ასფალტი, ონკანი, ხე, ბალის
მესერი; ბაღში — ლოკოკინების ვერცხლისფერ გზათა ციმციმი და რაღაც უცნაური, უსხე-
ულო სუნი...

და იმავე წამს, როდესაც, ფანჯრის რაფასთან მდგარი, სხივებში გაფანტულ საუკუნო
მტვერს შევცქეროდი (ოთახში არავინ იყო, მხოლოდ ფანჯარასთან, გრილ ბინდბუნდში,
ცოცხალი სინათლის კუბი ღვიოდა), ცოდნა იმისა, რომ ეს წამი სამუდამო ცხოვრების მყო-
ვრი წამია, და ეს ყოველივე თითქოს ამ წამში იქმნა და არასოდეს დასრულდება, რადგან
ყოველთვის იყო...

...მაგიდას ვუზი...

ახლა, აქ, ღამით, ჩემს ყრუ ოთახში, სადაც ამას ვწერ (და არა მრავალი წლის შემდეგ,
სხვა სახლში, სადაც ეს ძველი ხელნაწერი ვიპოვე და მანქანაზე ვბეჭდავ), რეკავს ტელე-
ფონი.

“ალბათ ჩემი ძმა იქნება” — ვფიქრობ და აქვე მახსენდება, რომ ჩემი ძმა ავად არის —
თავი სტკივა და მაღალი სიცხე აქვს.

ყურმილს ვიღებ.

წყნარად ვამბობ — “გისმენთ!”

პასუხი არ არის.

ყურმილში სიჩუმეა. უფრო სწორად — ჩუმი შრიალი... შორეული შიშინი თუ სუნთქვა...
ტელეფონის ნიჟარა თითქოს ზღვის შორეულ სივრცეთა ჰაერით იყოს ავსებული, უშორესი
ტალღების ჩუმი ხმაურით...

მასში დროის შავბნელი ნიავი უბერავს...

იქაც ღამეა. და ჩემამდე აღწევს ძლივსგასაგონი ილუზიური სიგნალები...

კარგა ხანს ვუსმენ.

მერე, მოულოდნელად, აქვე, ჩემს ყურთან რაღაც ჩხაკუნობს.

და ირთვება გაბმული ზუმერი — უსივრცო, უდროო, ერთგვაროვანი...

ზაზა თვარაძე

მარტოყონა

ხანდახან ირგვლივ ყველაფერი ცოცხლდება — ყველა ნივთი: ლოგინის გადასაფარებელი ლივლივებს, ფერს იცვლის. კარი იკეტება — გმინავს და ჭრიალებს... ვზივარ ნივთებით გარშემორტყმული. რაღაც ახლებურად ჩანს მთელი ოთახი: ჭერზე ტორშერის შუქია — გეომეტრიულ ყვავილს ჰგავს, მის აქეთ-იქით ჭერი შავია. ჭერის კუთხეები მრგვალდება და თვალი რომ დახუჭო, იგრძნობ, როგორ ცოცხლდებიან ნივთები — თვალებს დააჭყეტენ და მოგაჩერდებიან.

თვალს გააღებ — ისევ ყველაფერი უძრავია.

მერე ნელ-ნელა ისევ თავიდან აშრილდება გადასაფარებელი და კარი ამოიგმინებს — ოღონდ მაშინ, როცა ყურადღებას არ აქცევ.

ფანჯრის იქით მლამური ქალაქი და სახლები მოჩანს. ქალაქიც ოთახივითაა — ეს ღამით გამოჩნდება ხოლმე, როცა ადამიანებს სძინავთ: ცა არაფერს შველის, კოსმოსი არ არსებობს — ამ ოთახს გამოსავალი არა აქვს, ისევე, როგორც ჩემსას.

ჩემი ოთახი ჩემსავე ფანჯრის მინაში ირეკლება. ერთმანეთში არეულია ოთახი და ქალაქი, ნათურა, კარადა, მთვარე, სახლები და სიბნელე.

ოთახი ტელევიზორის ჩამქრალ ეკრანზეც ირეკლება — განელილად, სხვა პერსპექტივაში, სხვა რაკურსში. იქ ფორმები შეცვლილია, ოთახი დაპატარავებული, ტელევიზორშია ჩატეული, და იმ ოთახის ბოლოს ჩემსავე თავს ვხედავ — ლოგინზე გდია ნახევრად ნამონეული, იქ ჩაჭედულია - თითქოს სულ სხვა სამყაროს ბინადარი იყოს.

კარადის პრიალა კარში არეკლილი ოთახი ამათგან სრულიად განსხვავდება — მუქი, რბილი — და კარადაში არეკლილი ფანჯრის მიღმაც სულ სხვა ქალაქი ჩანს.

კარადას გამოაღებ — ეგებ იმ ოთახში მოახერხო შესვლა... მაგრამ არა. კარადა ტანსაცმლით აღმოჩნდა სავსე. თაროებზე დაკეცილი თეთრეული აწყვია...

ოთახი სამ ადგილას ირეკლება და ამ სამ არეკლილ ოთახთაგან არც ერთს არა აქვს გასასვლელი.

იქნებ გონებაში არეკლილს მაინც ჰქონდეს? — (ოთახი ჩემს ტვინშიც ირეკლება — ეს უეჭველია) — ამის თქმა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ დანამდვილებით ვერა, რადგან ოთახი ჩემს გონებაშია, მე თვითონ კი — ოთახში ვარ... ეს ამბავი სარკეების ერთმანეთში არეკვლას მიაგავს, როცა თითოეული სარკე უსასრულოდ აირეკლავს მეორეს და მასში არეკლილ თავისთავს.

მაგიდასთან ვჯდები, ჩემს გამოსახულებას ვეღარ ვხედავ — მარჯვნივ გასცდა ტელევიზორის კიდე. ვერც ის მხედავს იქიდან... მხოლოდ ჩანს ლოგინი, ნათურა, კარადა, სავარძელი... მაგიდა არ ჩანს. — იქ, იმ მაგიდას ჩემი ორეული უზის. ისიც ხედავს ამ ლოგინს, ნათურას, კარადას, სავარძელს... მე კი, მაგიდასთან მჯდომს, ვერ მხედავს.

ახლა ავდგები, ტელევიზორის წინ გავივლი და ერთმანეთს პირისპირ შევხვდებით.

მაგრამ, სანამ ამას ვიზამდე, სურვილი მიჩნდება, სარკეში ჩავიხედო რათა ვიგრძნო, რომ ორეული მრავალი შეიძლება იყოს, მე კი ერთი ვარ... თორემ მისი დანახვისას შესაძლოა მომეჩვენოს, რომ მეც მასავით მოჩვენებითად ვარსებობ, მეც რაღაცის ანარეკლი ვარ.

სარკე ხელთ არ აღმომჩინდა. მაინც ვდგები. ლოგინთან მივდივარ.

იქით, ოთახის ბოლოს, ლოგინზე ჩემი ორეული ჩამოჯდა — შორს, პატარა...

ირგვლივ კი მარტო ნივთებია: ჭიქა, ასანთი, სხვა ასანთი, სიგარეტის კოლოფი, საფერფლე, დამსხვრეული ლამბაქი, გაზეთი, ოთხი სხვადასხვა ფერის რვეული, კალმისტარი,

ქალაქის ნაკუნები, ცხვირსახოცი, ატლასი, მაკრატელი, ფანქარი, კარტის დასტა, — ეს ყველაფერი მაგიდაზე დევს.

მაგიდა ოთახშია. იქვეა სკამი, კიდევ ერთი სკამი, კიდევ ერთი, კიდევ ერთი... სავარძელი, კარადა, ნიგნის კარადა, პიანინო, სანოლი, ტელევიზორის მაგიდა და ტელევიზორით; ტელევიზორის თავზე ანტენა.

მაგიდასთან — ტორშერი, ნათურა, — ესენიც ოთახში... ძველი ქალი — კარადის თავზე. იქვე — დახვეული ქალაქები, დახვეული დროშა და მტვერი — ეს ყველაფერი კარადის თავზე.

იქით — ფანჯარა, რაფა, ზედ მიყუდებული ორი ფიცარი — ძველი მაგიდის ნაშთი; ნიგნები — სულ სხვადასხვანაირი... ათიოდე ნიგნი ფანჯრის რაფაზე, იქვე — ჭადრაკი, დიდი მაკრატელი, სალესი ქვა, კარტის მეორე დასტა...

სავარძელზე — ორი პატარა ბალიში, ლოგინზე — დიდი ბალიში, გიტარა მწვანე გადასაფარებლები; კარადაში — ნიგნები, ათასი სხვადასხვა ნიგნი, ასიოდე რვეული, მაგნიტოფონი, ფირფიტები — დიდები და პატარები, ნიგნების მთელი ლაშქარი: ი.ჭ. 1, ი.ჭ. 2, ი.ჭ. 3, ი.ჭ... ი.ჭ... ი.ჭ... წყვდიადში...

და მწვანე ნიგნი.

ტანსაცმლის კარადაში არეკლილი ოთახი. მისსავე კარში — ორი სხვადასხვა გასაღები... ჭერი, ფარდა, კედლები და იატაკი... იატაკზე — პარკეტის კუბიკები. უამრავი კუბიკი. კედელზე სურათი. სურათზეც ნივთებია — კუბიკები და სახლები, ბუხრის მილები, ლურჯლივრეიანი ლაქია, აგურისფერი გზები და ხეები... ხეებს იქით — ცა.

ეს ყველაფერი სურათზეა. სურათი — კედელზე. კედელზევეა ოთხი ჭიკარტი, ჩამრთველ-ამომრთველი, შტეფსელი, თეთრი და შავი შნურები, შპალერის უთავბოლო ხაზები და ფიგურები, მერე — ფანჯარა, კედლის კუთხე და ტელევიზორი, ტელევიზორში არეკლილი მთელი ოთახი — ყველაფერი ისევ თავიდან... ტელევიზორის მაგიდა, უჯრა, ანტენა, პიანინოზე — საათი და მეტრონომი...

ოთახის ბოლოს — ამოქოლილი კარები.

იქით დერეფანი, სააბაზანო და სამზარეულო, მერე — მეორე ოთახი, დერეფანი, კიდევ ოთახი, ლოჯი, აივნები და მილიარდი სხვადასხვა ნივთი.

ქვემოთ — სიცარიელე, ქვედა სართული, ოთახები, დერეფნები, მთელი სახლი — ასიათასი ოთახი, მილიარდი ფანჯარა — ყველაფერი ნივთებით არის სავსე...

სალამოს მოპირდაპირე სახლში სინათლეებს ანთებენ. ყავისფერი და მწვანე ოთახები, ნითელი ფარდები და კედლებზე მობანცალე რაღაც აჩრდილები მოჩანს.

ირგვლივ კი — სხვა სახლები, მთელი ქალაქი, ათასობით ქალაქი, ოთხი მილიარდი ქალაქი და ამდენივე ვარსკვლავი ცაზე. ყველაფერი ერთად ალბათ უთვალავზე მეტია, — უთვალავჯერ ულეველი, და, ამდენ რამეში, უცნაურია, მე რატომღა ვარ ერთი?.. (15 მილიარდი ნეირონი, ბილიონობით უჯრედი, ქრომოსომები, მოლეკულები და კავშირები)...

ხანდახან ზოგიერთი ამათგანი ცოცხლდება — გადასაფარებელი... ან კარები... საკმარისია, თვალი მოაცილო, მაშინვე ფორმას იცვლიან.

მაგრამ ხომ არ გეჩვენება ეს ყველაფერი? (სავარძელს შეხედავ — ასეთია. კიდევ შეხედავ — ისევ ასეთია... ისევ... ისევ)...

ზოგჯერ ოთახში ბუზი შემოფრინდება ხოლმე. კედლიდან კედლამდე დაფრინავს და გასასვლელს ეძებს... ჰმ! ოთახს გასასვლელი არა აქვს!.. ბუზი სინათლისკენ მიიწევს, ნათურას უახლოვდება, სინათლის შემომგარსველ მინას ეხლება — ვერ ერწყმის... უკანვე მიფრინავს. მერე ისევ ეხლება... ბუზის... ბუზის...

ოთახის გლუვ კედლებში მოხვედრილი ბუზი ბორგავს, ჰალუცინაციები ეწყება... ბუზს სიბნელის თექვსმეტტონიანი წნეხის ქვეშ გაქრობა ელანდება...

მერე ეჩვენება, რომ ლოგინის გადასაფარებელი ლივლივებს, თითქოს კუთხეებში ყურები ამოსდიოდეს. კარები გმინავს და ჭრიალებს... სამზარეულოდან ვილაცის ფეხის ხმა ის-

მის და ჩუმი საუბარი — აქაც, იქაც, მეორე ოთახშიც, ბნელ დერეფნებშიც — ყველგან.

იქნებ ოთახი სულელებით არის სავსე? თუმცა არა... რამდენი მკვდარი დაეტევა ერთ ოთახში?!..

შორს, ოთახის ბოლოს, ლოგინზე ჩემი ორეული ნვება — შორს, პატარა; შორს, პატარა...

და უცებ ვგრძნობ რომ იგი ილუზიაა, რადგან ცოცხალი არ არის...

ირგვლივ ყველაფერი ილუზიაა — რადგან ცოცხალი არ არის...

მარტო მე ვარ და მეტი არაფერი.

და ეს არაფერი ნივთებით არის სავსე — ირგვლივ ნივთებია, უარსებო ფორმები და კუთხეები. ნივთების ტანჯვა, გმინვა და ყვირილი...

კედლისკენ თუ გადაბრუნდი, იგრძნობ, ხელებს როგორ ინვდიან შენკენ. იქნებ მე მათი არსება ვიყო?! მე არსება მაქვს, ამათ კი — არა. და ჩემგან მოელიან შევლას. მე კი მათ შევსთხოვ: ჰეი, მოჩვენებებო, გადამარჩინეთ, რადგან ჩემი სიკვდილით თქვენი სამყაროს აღსასრულიც დადგება... გადამარჩინეთ და უკვდავები იქნებით — თქვენც ხომ გინდათ ცხოვრება?!..

თუმცა ვის მივმართავ! ეგენი ხომ არ არსებობს... მე არარსებულის წინაშე ვდგავარ...

სამყარო, გარშემორტყმული არარაობით და ისიც უნდა გაქრეს.

მაგრამ რატომ ცოცხლდება ხანდახან ზოგიერთი ამათგანი? ლოგინის გადასაფარებელი იტალღება და ზემოთ მიიწევს — თითქოს კუთხეებში ყურები ამოსდიოდეს. კარები გმინავს და ჭრიალებს. იქნებ ოთახი აჩრდილებით არის სავსე? აჩრდილები და ნივთები, ნივთების ჩურჩული და ხრიალი, ხავილი, ცოდვების გადაბრალება: მე მძინავს. ახლა კი მე მღვიძავს... მღვიძავს და მერე ისევ მძინავს... ისინი მელოდებიან. მე კი ისევ გავიღვიძებ, დავიძინებ, კიდევ გავიღვიძებ და დავიძინებ... მერე ისევ დავიძინებ. — არსად წასვლას არ ვაპირებ...

თუმცა... მინდოდა (რისთვის აქვს ოთახს კარები?)... ჰო... ტყეში მინდოდა გასვლა...

მაგრამ იქაც იგივეა. ტყეში ადგილი აღარ არის... ტყეშიც ფუსფუსია, გაუთავებელი ჩორქოლი და არეგდარევა... სულები ტყეში აღარ ჩერდებიან (ცხადია, რა სისულელეა, რატომ უნდა ამჯობინონ ქალაქს ტყე), ქუჩებში დააბიჯებენ — ჩონჩხები და აჩრდილები... მკვდრები ცოცხლებთან ერთად.

ცელიანი ჩონჩხი შუკებში დარბის, ჩიხებს აწყდება... ჩონჩხს რწმენა დაეკარგა, მკვდარსა და ცოცხალს განურჩევლად სცელავს, თავისთავსაც აღარ ინდობს — მისი არსება სიმართოვია, ამიტომ მასაც სიკვდილი ელის.

მაგრამ სიკვდილმა საკუთარი არსება დაკარგა... ეშინია...

სიკვდილს ძილი დაეკარგა. — მათ ერთმანეთი დაკარგეს.

აზრი დაიკარგა, მარტოობა გაქრა... ძილი ფიქრად იქცა, ფიქრი — სიკვდილად, სიკვდილი — სიზმრად, სიზმარი ბრძოლად, ბრძოლა — სიცოცხლედ, სიცოცხლე — ყვირილად, და გაუთავებელ ხმოვა-ვედრებად: გვიხსენი, ღმერთო! ღმერთო, გვიხსენი!

„მხიარული ლანდები“

ისმის ფანჯრიდან სონატა მთვარის —
რა სინათლეა, რა იდილია,
მაგრამ ჩრდილია დღეს ეს სიცხადე,
თვითონ ქალაქიც მხოლოდ ჩრდილია,

ჩრდილია ყველა კარი, ფანჯარა,
ყველა ბგერა და ყველა ატომი,
ხედავ — საკრავის ჩრდილთან დამჯდარა
გოგო — ფანტომთა უფრო ფანტომი,

და უკრავს ლანდებს, და უკრავს ჩრდილებს,
და იქ მდოვრდება დროთა დინება
და გრძნობა დარდით გაბანრულ საგნებს
მთვარის ჩრდილივით ეპოტინება.

შორს ბჟუტავს ცეცხლი, რომლის წინაშე
შავი მუშები უხმოდ დადიან
და ცეცხლი ავლენს ახალ მირაჟებს:
ეს მირაჟია, განა ცხადია,

შენც ამ ჩრდილეთში უნდა იცხოვრო —
არ იცი, რისთვის, არ იცი, რატომ,
ველურ ძაღლების გდევენ ხროვები:
„მეიცა, სიმონ! სა მიხვალ, პლატონ!“...
და ფანტომივით ეცოტავები
ბუნების ყველა წერტილს და ატომს...

ეს სხვა ხალხია. შენ სულ სხვას ეძებ:
ლანდს კეთილშობილს, არა აქაურს,

გაივლი. თითქმის გაცდები ქალაქს,
ზურგსუკან ისევ ცეცხლი კიაფობს,
ლანდი ქუჩაში თავს უკრავს სხვა ლანდს,
რა უქეიფოდ, რა უნიათოდ,

შენ კი ანთებულ ტვინის ამარა
მიჰყვები ბნელეთს როგორც სალოსი
და თვალწინ გიდგას ცივი სამარე
და სიველურე საბურთალოსი.

მიდიხარ ისევ. და აი, ლანდიც —
კეთილშობილი, ზეპურ ბუნების,
რომლის მზერაში ცოდვა და მადლი
ბრწყინავს, ვით ოქროს უზალთუნები

წმინდა წყაროში. ის არვის უფროთხის
და მისი მზერა ამხელს, თავნება,
რომ ეს შავეთი ღირსია ფურთხის,
და მაინც ის წუხს, და ენანება.

დგას. შვენის ასე დგომა მარტოკა,
გვესება გული ქარით პირამდი,
ქარით, ძენა რომ გადაატოკა
ამ ნაპირიდან იმ ნაპირამდი,

და გრძნობ: გამძიმებს შენივ სხეული,
ეს ხორცი, ძვლებზე შემოკვართული,
ძველქართულივით თერგდალეული,
და ფუყე, როგორც ახალ-ქართული,

მიეახლები რიდით და რცხვენით,
მძიმე ფლოქვებით, ოფლით, ხელებით,
როგორც კენტავრი ან ტროას ცხენი
სავსე ვერაგი აქაველებით,

შეკადრებ სალამს:

— ლაერტეს ძეო!

რა არის, გიმზერ ეგ ზომ მჭმუნვარეს!
ალბათ იგონებ შენს სახლს საზეოს
და მონარნარეთ მუნ შიმუნვარებს!

ალბათ თვალწინ გაქვს წმინდა ტაძარი
თორმეტწერთიანი შენი სასახლე,
დღეს იქ ჩარჩების ისმის ბაზარი,
გმირების ნაცვლად ქურდნი დასახლდნენ,

ჩვენ ბედისწერა გვაქვს ოდნავ მსგავსი:
მეც ხომ ვერა ვცნობ მამულს სრულებით,
ლაერტეს ძეო! ჩვენ მშრალზე დავრჩით,
დავრჩით სამკვიდრომოკლებულები!

მაშ ვინახულთ გმირო სამშობლო,
ნანატრი კერა, საღვთო ქალაქი:
ფარისეველი შოლტით გავშოლტოთ,
ქართულად რომ ვთქვათ — პროსტა გავლახოთ!

მე მათთვის არ ვმღერ, ჩემო ბატონო,
არ ვარ ნაჩვევი ხმატკბილ გალობას,
ჩემი ფიქრია, რით ვუპატრონო
ჩემსა მამულსა, შთამომავლობას,

სახელოვანო ძეო მეხისა,
ნუთუ შავეთში ფიქრობ დარჩენას,

ნუთუ ცა, მე რომ აღარ მეღირსა
შენთვისაც შეკრა ჩვენმა გამჩენმა!

არა! შეკაზმე ჭიხვინა მხეცი,
ის დარახტული შმაგი ნადირი,
მეც არ გეგონო ბოთე და ბეცი —
მეც ძალმძის ვიპყრა ლაგამ-აღვირი,

და რადგან მე ვარ ბოთე და ბეცი,
შენ დაუჭირე ლაგამ-აღვირი

ეგებ გეღირსოს, იხილო ისევ
მიტოვებული შენი ცოლ-შვილი:
ერთგული ცოლი პულოვერს გიქსოვს
და ბრუნავს, ბრუნავს ჯარა მოშლილი,

შენი ვაჟი კი შესცქერის ჩარჩებს
რომ ხორხოცობენ ველზე ველურად,
და ნაბიჭვრები თავიანთ ბავშვებს
ზრდიან ახვრულად, ფარისევლურად...

ძალღებო! ნუთუ გეგონათ, მუდამ
ფონს გაგიყვანდათ თქვენი ყისმათი,
ილიღინებდით მაშრიყულ მულამს,
ნაირყვნებოდა ქვეყნად ცის ხატი,

არა, ერთხელაც საათი ცამეტს
დაჰკრავს, და გახევს გმირი არტახებს,
და ძალღებს, კაცის გულ-ღვიძლს რომ ჭამენ,
ხელი ერთპირად გააპარტახებს!

მაშ მოვსრათ, გმირო, ხროვა ძალღების,
მათ ნასახლარზე დავცეთ კარავი,
შენი დიდებით მეც ავმალღები,
თორემ ამქვეყნად ვინ ვარ? —
არავინ!

მე ვარ არავინ! ჩემივ მუქარა
მიჩქროლებს გულს და
შიშსაც მიმატებს,
უნდა და თითქოს არც რა უნდა რა
კაცურ კაცობას, მართალ სიმართლეს,

არ დაგიმაღავ — მე მეშინია
არ დამეკარგოს სულის ტაროსი,
არ ავნკავენ კავდე, როგორც ფინია,
არ გავტყდე ქარში, ვით კვიპაროსი...

მე ვინ ვარ? — ფუჭი მოლაპარაკე,
მე ვარ კენტავრი ზურგჩალენილი,

ვარ ოქროს ვირი, ნარცისის სარკე,
პანი, სირცხვილით ტყეს გახვენილი,

მე ვარ ესთეტი, მე ვარ პათეტი,
ვარ სამკუთხედი ორთავ კათეტი,
ჰიპოტენუზით, კუთხით მახვილით,
მე ვარ ნიშანი კითხვა-დახილის,

ჩემი ფიქრია თმაგრძელი ნიმფა
შარას რომ მისდევს, ვით ნა რხეული,
მსუბუქ სხეულზე რომ ადგას ნიმბად
მზის სხივი, სხივზე გადამსხვრეული,

ის ლამაზია, ოდნავ მწითური,
ოდნავ ელამი, ოდნავ ყრუ-მუნჯი,
თვალის ჭრილი აქვს ოდნავ სკვითური
(რომ დავინახე, ლამის დავმუნჯდი)

მისი ფიქრია, ვით უპატრონოს
თვისსა მამულსა, რომ შემდგომ დროთა...
ხომ ხედავ, გმირო, მის ხსენებაზე
დამეზნა აზრი, და უშნოდ ვბოდავ,

მაგრამ ხომ მაინც ჩვენებურია
ეს ჩემი ლექსი ვაჟურ-ქალური,
მეც ქართველი ვარ! სისხლი მწყურია
(ეს — გამოთქმაა ფიგურალური)!

მე ვარ ქართველი,
მეც სხვა ქართ ველი,
მეც სულს მიწენავს ბნელი ბორიო,
გამომყევ გმირო ჩვენს სამშობლოში,
ხნული გავავლოთ ბარე ორიოდ,

ნინ გამიძეხი, გმირო მგოსანო,
დიდხანს მდუმარე ნულა იქნები:
გვჭირდება მხოლოდ ჰუნე ფრთოსანი
და სიორძილე ბლაგვი რითმების,

ლექსი... ვინ იცის, ეს არის ღმერთი
სულში რომ მოდის და მოიღვრება,
რომ დამცირებულს დაგიდგეს გვერდში
და გააღვიძოს შენში ღირსება...

მაშ გამიგონე, თუკი ასეა,
გამყევ მეგ ზურად, ხორცი შეისხი,
ვინძლო, ვიგემოთ ღვინო საზეო
ქვეყნის ათასფერ თვალისსეირში,

გამიძებს, როგორც მოგვი, მისანი,
გამასაუბრე ცათა ვარსკვლავებს,
მახილნე ბნელში შუქნი მზისანი,
იმიერ ცათ რომ გამოსარკავენ...

გამოაგელვე ჰუნე ზერდაგი,
რვალი აისხი ტანთ საომარე,
გადავიმოკლოთ გზანი მტერთაკენ,
დავცეთ კიჟინა არა-მკრთომარე,
ვინძლო მოგვაგოს კვართი სპეტაკი
მარჯვენით მისსა მორჭმით მჯდომარემ...

პასუხად ლანდმა დიდხანს მიყურა
მონყალე, მერე უწყალო თვალით:
„ვაი, ჩვენს დღესო!“... — ჩაიბურტყუნა
და ლომურ წვერზე დაისვა ბრჭყალი...

ალმასხან

და ჩემს თავს ზემოთ მოჩანდა
ცივი ფუტურო ცა.
ვიდექი მეტროს ჩასასვლელთან —
ეს არის გვირაბი,
არა, ჯურღმული,
ქვევით დამრეცად მიმავალი
თავისი ხოდით,
გოგირდოვანი ქარით სავსე,
უცნაური, შეუძლებელი,
სრული აბსურდი.
მე იქ ვიდექი.
ცივი, ფუტურო ცა.
ცა ცარიელი.
არ ხარხარებდა ველური ღმერთი,
მეძავებსაც ჩასძინებოდათ,
ზამბახიც ისევ
თავს უხრიდა ნაბიჭვარ ნიავს.
ცივი ფუტურო ცა.
ცარიელი.
ვდგავარ მეტროსთან.
ყველაფერი მიაგავს ბილიკს.
ყველაფერი მიაგავს ბილიკს.
თვით ბილიკიც კი —
მიაგავს ბილიკს.
ცარიელი ცა.
ფუტუ, ცივი.
დაკარგული სინათლით სავსე,

გამობრუჭული ტრაკებით სავსე —
 ცა ცარიელი
 და მეტროს ხარო,
 პირდაფჩენილი,
 ხან ამომძახებს : გარყენილი ხარო.
 რადგან ფუტურო, ცარიელი,
 ვდგავარ მეტროსთან,
 ცივი ნიავეთ შუბლდანაქროლი,
 გოგირდოვანი სუნთქვით სავსე
 როგორც ზღაპრის ელექტროდეპო...
 არა — ურჩხული,
 ცივი, ფუტურო, ცარიელი,
 გადანგრეული.
 ცა — დანგრეული.
 იქ ღრუბლები კორპუსებივით
 უმონყალოდ ეხეთქებიან
 და ხალხი კივის,
 კივის უღმერთოდ:
 მიწისძვრა, ზემლეტრესენიე!
 იქ ის ინგრევა,
 მე აქ, მეტროსთან
 ვდგავარ მყარი და მონა-მორჩილი
 პარლამენტივით,
 რუმინეთის პარლამენტივით,
 სანზონასავით ცივი, ფუტურო,
 ცარიელი,
 ამქვეყანაზე მოვლენილი, როგორც აღმასხან.

მადლობას ვუხდით
ევროპული ფონდის HORIZON წევრებს
ამ ნომრის გამოსაცემად გაწეული დახმარებისათვის

**We express deep gratitude to the members of the
European Foundation HORIZON
for their assistance in publishing this copy**

აფრა
XIII

2007-2008

სტილისტი მზია გელაშვილი

კორექტორები: რუსუდან კაივაური,
ლეილა სიხარულიძე

ოპერატორი ნინო პიპინაშვილი
დამკაბადონებელი ნიკოლოზ გელაშვილი